ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორია

XIX- XX საუკუნეებში

ტომი IV

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის
სამეცნიერო ცენტრი

საქართველოს ისტორია

ოთხ ტომად

(უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე)

სარედაქციო კოლეგია: აკად. მარიამ ლორთქიფანიძე (მთ. რედაქტორი)
აკად. ოთარ ჯაფარიძე
აკად. დავით მუსხელიშვილი
აკად. როინ მეტრეველი

თბილისი
2012

UDC (უდკ) 94(479.22)
ს-323

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთხტომეულში გამოყენებულია საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტური და ფოტომასალა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული მასალების ფოტოასლები, ინტერნეტ-პორტალ „ბურუსის" (თ. ვერულავა) ფოტოები, ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის (თბილისი) კუთვნილი ფოტოები (ავტორი მ. ფხაკაძვილი), წიგნის ავტორების: აკად. ო. ჯაფარიძის, ალ. ბენდიანიშვილის, ნ. ასათიანის, ალ. დაუშვილის პირადი არქივის ფოტომასალა.

მთავარი რედაქტორი **მაია ალუდაური**
რედაქტორი **ნინო დეკანოსიძე**
კორექტორები: **ნატალია ჩიმაკაძე**
ლუიზა ჯიქია
დიზაინერები: **ეთერ გზირიშვილი**
მედეა მაზანიშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **დათო მოსიაშვილი**
ანა რუაძე
მარიამ ბუტიკაშვილი

გამომცემლობა პალიტრა L, 2012
მისამართი: იოსებიძის ქ. 49, ტელ.: 238-38-71
E-mail: book@palitra.ge

ISBN 978-9941-19-404-7 (ოთხივე ტომი)
ISBN 978-9941-19-408-5 (ტომი IV)

MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ ...

ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის „მაგთიკომს" ოთხტომეულის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი,
მაყვალა ნათმელაძე

ტომი მეოთხე

საქართველო XIX-XX საუკუნეებში

რედაქტორი პროფ. მაყვალა ნათმელაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინათქმა

„საქართველოს ისტორიის“ წინამდებარე, მეოთხე, დამამთავრებელ ტომში XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის დრამატული პერიოდია გადმოცემული — ეს არის უდიდესი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების, დიდი ისტორიული ქარტეხილების, მსოფლიო ომების, რევოლუციების, ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის, სოციალური ილუზიების, შემოქმედებითი შრომის, სოციალური და კულტურული დაწინაურების ისტორიული ხანა.

ამ ეპოქას განსაზღვრავდა საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის მიერ დანარჩენი მსოფლიოსათვის შეთავაზებული სოციალური სამართლიანობის, დემოკრატიული ფასეულობების უზენაესობის, კაცთა შორის ჭეშმარიტი სათნოებისა და კაცთმოყვარეობის მარადიული იდეები, ფეოდალიზმის სიმახინჯეების ნაცვლად პიროვნების თავისუფლებისა და სოციალური უსამართლობის დაძლევის კონკრეტული ამოცანები.

ეს შეხედულებები ძნელად, მაგრამ მაინც ვრცელდებოდა ჯერ მეზობელ, ხოლო შემდეგ – დანარჩენ მსოფლიოში, აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთშიც კი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში კონსერვატიზმისა და უძრაობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული.

პიროვნების თავისუფლებამ, საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ, სამრეწველო რევოლუციებმა საოცრად სწრაფად წასწია წინ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, რამაც სახე უცვალა ქვეყნებსა და კონტინენტებს — ინგრეოდა ძველი სტერეოტიპები, იქმნებოდა ახალი. ეს რადიკალური შეხედულებები ნელა, მაგრამ მაინც ვრცელდებოდა რუსეთის უკიდეგანო იმპერიაშიც.

XVIII საუკუნის დასასრულს, მუსლიმური სახელმწიფოების გარემოცვაში მოქცეული, პოლიტიკურად დასუსტებული და დაშლილი ქვეყნის წინაშე მწვავედ დადგა ახალი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა, რაც საქართველოს მესვეურებმა რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვიტეს, რათა საქართველოში დასრულებულიყო მაჰმადიანური სახელმწიფოების გაუთავებელი თარეში და ქართველი ხალხის ტოტალური გენოციდი. რუსეთის სახელმწიფოსთან გაფორმდა მფარველობითი — გეორგიევსკის

ტრაქტატი. მაგრამ, როგორც წინა ტომში დავინახეთ, რუსეთმა უსამართლოდ, ვერაგულად დაარღვია ამ საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტის სამართლებრივი ნორმები და მოახდინა დაქუცმაცებული, მაგრამ დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროების ანექსია. ასე შევიდა საქართველო XIX საუკუნეში.

საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე 1801 წლიდან აღარ არსებობს. 117 წლის განმავლობაში ის რუსეთის ჩვეულებრივი კოლონია იყო და განიცდიდა ეკონომიკურ, სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას, იდევნებოდა მისი კულტურული ფასეულობები.

ქართველი ხალხი არასდროს შერიგებია მონობის დამამცირებელ მდგომარეობას და ყველა შესაძლო შემთხვევაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სხვადასხვა ფორმით ეწეოდა უკომპრომისო ბრძოლას რუსეთის ცარიზმის ძალადობის წინააღმდეგ.

XX საუკუნის პირველ ოცეულში, მსოფლიოში პოლიტიკური ვითარების მკვეთრი ცვლილების გამო, პირველი მსოფლიო ომისა და განსაკუთრებით რუსეთის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელების მცდელობის შედეგად, საქართველომ მცირე ხნით მოიპოვა ნანატრი თავისუფლება — 1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რაც აღიარა მსოფლიოს რამდენიმე დიდმა ქვეყანამ.

მაგრამ, რუსი კომუნისტებისა და მათი ქართველი მხარდამჭერების პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, 1921 წლის 25 თებერვალს, რუსეთის უსამართლო აგრესიის შედეგად, საქართველოში კვლავ პროლეტარული ხელისუფლება დამკვიდრდა, რომელმაც ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ქვეყანა კვლავ რუსეთის კომუნისტურ იმპერიას დაუქვემდებარა — საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენელი ნაწილი გახდა. საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება უსიტყვოდ ასრულებდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს მითითებებსა და დირექტივებს, იყო ტიპური მარიონეტი, საკავშირო ინტერესებიდან გამომდინარე ხშირად მიდიოდა ეროვნული ინტერესების ღალატზეც კი. სწორედ ამიტომაც, საქართველოს ძალმომრეობითი გასაბჭოებისთანავე დაკარგული თავისუფლების მოსაპოვებლად ახალი ძალით გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

საქართველოში საბჭოთა სახელმწიფოებრიობა ხასიათდებოდა არნახული პოლიტიკური რეპრესიებით, საკოლმეურნეო მშენებლობის დრამა-

ტული მოვლენებით, მაგრამ იყო „ნათელი მომავლის“ რწმენაც, სოციალისტური მშენებლობის ჰეროიკაც, ქალაქებისა და სოფლების, გრანდიოზული ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობაც — იყო სოციალური პროგრესი. სწორედ ამ პერიოდში ძალუმად განვითარდა ქართული კულტურა.

ქართველმა ხალხმა, მსოფლიოს პროგრესულ ერებთან ერთად, უდიდესი მსხვერპლი გაიღო მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე და ამით მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების კეთილ ნების ადამიანების პატივისცემა დაიმსახურა.

ყველაფერ ამას, რა თქმა უნდა, თან სდევდა საბჭოთა ბიუროკრატიის პოლიტიკური თარეში, პარტიული პლუტოკრატიის გადაგვარება, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების ფეხქვეშ გათელვა, რამაც ძალუმად ააღორძინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რაც წარმატებით დაგვირგვინდა და საქართველო XX საუკუნის დასასრულს — უკვე მეორედ გახდა თავისუფალი და დამოუკიდებელი. საბჭოთა იმპერია დაიშალა.

მსოფლიოს თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნების დახმარებით საქართველოში დაიწყო სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების მშენებლობა, მაგრამ ეს პროცესი მიმდინარეობდა გარეშე იმპერიული ძალების მიერ თავს მოხვეული სამოქალაქო დაპირისპირებების, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების, ეკონომიკური კოლაფსისა და პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში. საქართველოს მოსახლეობის ტოტალური გაღატაკების მიუხედავად, მომავლის პერსპექტივისადმი იმედი და ერთგულება არ გამქრალა — ამას უდიდეს ძალისხმევას ახმარს საქართველოს სამოციქულო ეკლესია, ქართული სულიერების შეურყვნელი სავანე.

„საქართველოს ისტორიის“ წინამდებარე ტომს საფუძვლად დაედო არსებული ისტორიოგრაფიული მიღწევების შემოქმედებითი ათვისება. ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს ისტორიკოსთა რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა გამოკვლევები და მონოგრაფიები, მაგრამ ნაშრომი ძირითადად დაწერილია საქართველოს, რუსეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში ავტორების მიერ მიკვლეული ახალი მასალის გამოვლენისა და ისტორიოგრაფიულ მიმოქცევაში მათი ჩართვის საფუძველზე.

ავტორები მაქსიმალურად შეეცადნენ დაეძლიათ კომუნისტური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ცალმხრივობა ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების შეფასებაში, რადიკალურად შეცვალეს მსოფლმხედველობითი პრინციპები, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. თუ კო-

მუნისტური იდეოლოგიის ბატონობის დროს ისტორიოგრაფიაში უბირატესობა ენიჭებოდა სოციალურ, კლასობრივ ფაქტორებს, ყველა მოვლენა ვიწროპარტიული პოზიციებიდან ფასდებოდა, ახლა უკვე დომინირებს ეროვნული იდეოლოგია და ისტორიოგრაფიაში წამყვანი ადგილი დაიკავა ეროვნულმა და საერთო-საკაცობრიო პრინციპების უზენაესობამ, რომლისთვისაც მთავარია არა საზოგადოების რომელიმე კლასი, არამედ ერი და საერთო-საკაცობრიო პროგრესი. ამ აზრზე მდგომი მკვლევრები ყველა ისტორიულ მოვლენასა და ფაქტს, საერთო-ეროვნული ინტერესების ფონზე მეცნიერული ობიექტურობით აანალიზებენ, ადამიანსა და პიროვნებას მთელი ხალხის წინაშე გაწეული ღვაწლის მიხედვით აფასებენ. ჩვენთვის მთავარია ილია ჭავჭავაძის კონცეფცია: „ჩვენი ისტორია მთელი ქართველი ხალხის შემოქმედების ნაყოფია. ვინც ამ ისტორიის ღირსება-ნაკლოვანების შეფასებას შეუდგება, ის შეეხება მთელი ხალხის ღირსება-ნაკლოვანებას, მისი ცხოვრების უნარსა და წესს, ისტორიულ მომზადებულობას და ნაყოფიერებას“.

დემოკრატიული პრინციპებისა და ეროვნული თავისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის პირობებში ისტორიის, მისი სწორად აღქმისა და შემოქმედებითი გამოყენების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. ავტორები იმედოვნებენ, რომ ჩვენი ისტორიის განახლებული ვარიანტი, კერძოდ, IV ტომი, ხელს შეუწყობს ქართველთა ეროვნული თვითშეგნების, ცნობიერების განმტკიცებას, პოლიტიკური კულტურის ამაღლებას, რაც ასე აუცილებელია დღევანდელ მეტად რთულსა და წინააღმდეგობრივ ეპოქაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი I

ბაგრატიონი უფლისწულებისა და ქართველი ხალხის ბრძოლა მონარქიული სახელმწიფოს აღდგენისათვის XIX ს-ის პირველ მესამედში

ანტირუსული მოძრაობა 1802 წელს. მაორგანიზებელი დასი. ძირითადი მიზანი

ალექსანდრე I-ის მანიფესტმა აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ საფუძველი ჩაუყარა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას, საქართველოს ისტორიაში უსახელმწიფო პერიოდის დასაწყისს. ორმხრივი ოფიციალური სამართლებრივი ურთიერთობა მეტროპოლიისა და კოლონიის ურთიერთობის ფორმებით იცვლებოდა.

რუსეთიდან მომდინარე ძალადობას ქართველი ხალხის პოლიტიკური ელიტა თავიდანვე პროტესტით შეხვდა. მალე დაუმორჩილებლობის მოძრაობაში მოსახლეობის დაბალი ფენებიც ჩაებნენ. ეროვნულ ძალებს ბაგრატიონი უფლისწულები და გვარის სხვა წარმომადგენლები აერთიანებდნენ. უმეტესად ისინი განსაზღვრავდნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად მიზანს და ფორმას. მალე მათ გვერდით აღმოჩნდა თავადაზნაურული წარმომავლობის ორგანიზებული დასი და ქართველი სამღვდელოების საგრძნობი ნაწილი. სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ გენერალმა ლაზარევმა ჯერ კიდევ 1801 წლის მარტში მოუწოდა უზენაეს მთავრობას, ბაგრატიონი უფლისწულები რუსეთს გადაესახლებინა, და გააფრთხილა, თუ ისინი საქართველოში დარჩნენ, ამ ქვეყანაში სასურველი წესრიგის დამყარება ვერ მოხერხდებაო.

რუსულ ხელისუფლებას აშინებდა ქართველი ხალხის საერთო-ოპოზიციური განწყობილება და ამიტომ იმპერატორის მანიფესტის თბილისში გამოცხადებას აგვიანებდა. რამდენიმე თვეს „საზოგადოებრივ წესრიგს“ გენერლები და საოკუპაციო ჯარის ბატალიონები იცავდნენ. მხოლოდ 1802 წლის 9 აპრილს შემოვიდნენ თბილისში იმპერატორის მიერ ახალი პროვინციის მმართველად დანიშნული მოხელეები — მთავარმმართებელი კნორინგი, მისი ხელქვეითნი და რუსეთის არმიის ახალი პოლკები. გენერალმა კნორინგმა რუსული მმართველობა საზეიმოდ გახსნა 8 მაისს, როცა სიონის ტაძარში შეკრებილ საზოგადოებას წაუკითხეს ალექსანდრე I-ის მანიფესტი რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ. მისი შინაარსის გაცნობამ ქართლ-კახეთის მოსახლეობა დაარწმუნა, რომ ქართველ ხალხს საზეიმო არაფერი ჰქონდა. გენერალ კნორინგის მოწოდე-

ბამ — დაედოთ რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი, „ზეიმის“ მონაწილენი აღაშფოთა. თავადაზნაურთა ერთმა ნაწილმა ხმალზე გაიკრა ხელი, მაგრამ პროტესტანტები მყისვე დააპატიმრეს. რუსეთის ბატონობა საქართველოში დაუმორჩილებელთა საწინააღმდეგო რეპრესიებით იწყებოდა. მალე ზეწოლის ქვეშ მოექცა მოსახლეობის ქვედა ფენა, რომელიც ქართული მონარქიული ხელისუფლების შენარჩუნების სურვილს აშკარად ამჟღავნებდა.

1802 წლის ივლისში გენერალი ლაზარევი საქართველოს მთავარმმართებელ კნორინგს აუწყებდა, პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, ბაგრატიონი უფლისწულები ყველანაირად ცდილობენ ხალხი აამხედრონ რუსული ხელისუფლების წინააღმდეგო. ლაზარევი მთავარმმართებელს იმასაც აცნობებდა სინანულით, რომ ბაგრატიონთა შინადინასტიური წინააღმდეგობა აღმოიფხვრა და დავით გიორგის ძე იულონ ერეკლეს ძეს ეხმარება სამეფო ტახტის დაკავებისათვის დაწყებულ ბრძოლაში, ხოლო ქვრივი დედოფლები — დარეჯანი და მარიამი აქტიურობენ და თავიანთ გარემოცვას ჩვენს წინააღმდეგ განაწყობენო. ქართველ თავადაზნაურთა მცირე ნაწილი თითქოს რუსული ხელისუფლების მხარესაა, მაგრამ დიდ იმედს ვერც მათზე დავამყარებთო.

რუსი გენერლების სხვა პატაკებიდან ჩანს, რომ მღელვარების ტალღა ქართლ-კახეთის თითქმის ყველა რეგიონში გავრცელდა. რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ასაჯანყებლად გამზადებულ თბილისელ მოქალაქეთა დასაშინებლად გენერალმა ლაზარევმა XVII პოლკის ასეულები ავლაბარში განალაგა. ჯარი გაგზავნა აგრეთვე დუშეთის მიმართულებით, რათა ჩაეშალა ვახტანგ ერეკლეს ძის გეგმა, რომელიც არაგველ მთიელთა აჯანყებას და დარიალის გზის გადაკეტვას ითვალისწინებდა. ანტირუსული მოძრაობის მთავარ კერად გადაიქცა კახეთი. თავადები და მღვდელმთავრები სათათბიროდ შეიკრიბნენ მდინარე კელმენჩურის პირას. თავადებმა, სიმონ და დავით ქობულაშვილებმა, გიორგი, დომენტი და დავით ჩოლოყაშვილებმა, ლუარსაბ და ომან ჯანდიერებმა, რევაზ ვაჩნაძემ, იოსებ ჭავჭავაძემ, მღვდელმა ელეფთერმა და სხვა პატრიოტებმა მთელ კახეთში გაავრცელეს მოწოდება-წერილები. თვით რუსულ დოკუმენტებშია აღნიშნული, რომ თავადთა მიერ მოწვეულ ყრილობაზე 40 ათასი კაცი შეიკრიბა. გენერალი გულიაკოვი სინანულნარევი ტონით აუწყებდა უფროსებს, რომ თითქმის არავინ შეხვედრია სიამოვნებით საქართველოს მოქცევას რუსეთის შემადგენლობაში, თითქმის ყველამ დაარღვიაო იმპერატორისადმი მიცემული ერთგულების ფიცი. კელმენჩურს შეკრებილმა თავადაზნაურებმა, მღვდელმთავრებმა, გლეხთა წარმომადგენლებმა ფიცი დასდეს იულონ

ერეკლეს ძის ერთგულებაზე, ბევრმა ხელი მოაწერა (ან ჯვარი დაუსვა) მის მეფედ დამტკიცებისათვის რუსეთის უზენაეს ხელისუფლებაში გასაგზავნ მოთხოვნაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაო მხარდაჭერით გამხნევებულმა ეროვნული მოძრაობის მეთაურებმა რუსეთის იმპერატორისათვის მისართმევად შეადგინეს ასეთი თხოვნა: „უმოწყალესო ხელმწიფევ! როდესაც ერთგულებასა თქვენსა დაგვაფიცეს მყის გამოგვიცხადეს მანიფესტით, რომ ვითომც ჩვენ მოგვეხსენებინოს კარსა წინაშე უდიდებულესისა ხელმწიფისა თქვენისა, მეფე აღარ გვინდა და უმეფოდ შემოვსულვართ მფარველობასა (რუსეთისა) ქვეშე. ეს ფრანციელთა მსგავსი რესპუბლიკობა იქნებოდა ჩვენგან. ჩვენს მეფეებს რა დაუშავებიათ ჩვენზედა, რომ უარვყოთ... ეს ჩვენი აზრი არ არის, მაცდურთა კაცთაგან მოგონილია. ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩვენზე მრავალგვარად გარჯილის და ღვაწლდადებული მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენის მეფით თქვენს მფარველობის ქვეშ გვამყოფოთ და რაოდენ შეძლება იყოს ისე გვიმსახუროთ“.

ეს დოკუმენტი იმის ცხადი მოწმობაა, რომ 1802 წელს დაწყებული ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მშვიდობიანი იყო, არ ატარებდა აგრესიულ-სეპარატისტულ ხასიათს, ლეგიტიმურ საფუძველს ემყარებოდა. ეროვნული მოძრაობის ლიდერები რუსეთის იმპერიიდან გამოსვლას, სრული დამოუკიდებლობის აღდგენას კი არ ისახავდნენ მიზნად, არამედ იმპერიის შემადგენლობაში ქართლ-კახეთის ავტონომიური სამეფოს არსებობის დაკანონებას მოითხოვდნენ. ასეთი თხოვნა ღვთისნების გამოხატულების ერთ-ერთ ფორმად მიაჩნდათ. საერთაშორისო სამართალიც მათ მხარეზე იყო — მისი ნორმები ეწინააღმდეგებოდა რუსეთისაგან გიორგიევსკის ტრაქტატის ცალმხრივად დარღვევას, ღვთისაგან კურთხეული ქართველი მეფისათვის სუვერენული უფლებების წართმევას, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებას. მაგრამ რუსი მოხელეები და მათი ხელმწიფე სამართლიანობისაკენ არ შემობრუნდნენ. ალექსანდრე I, რომელიც ძალიან უფრთხილდებოდა ღვთისაგან ბოძებულ სამეფო უფლებას, ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ანალოგიურ უფლებას რუს მოხელეთა ფეხით თელავდა.

რუსეთის ხელისუფლების ასეთი ანტილეგიტიმური პოზიციის გამო, კელმენჩურელი შეთქმულნი იძულებულნი გახდნენ რუსული ძალისმიერი აგრესიისათვის ქართული ძალა დაეპირისპირებინათ. მეთაურებმა კიდევ უფრო გააფართოეს თავიანთი პოლიტიკური პროგრამის პროპაგანდა, დაიწყეს მზადება შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბებისათვის. საომრად

შეიმართა სპარსეთს გადახვეწილი ალექსანდრე ერეკლეს ძე. ჩნდებოდა რუსული ხელისუფლების საწინააღმდეგო ომში სამხრეთულ ხელმწიფეთა გამოყენების შესაძლებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რუსმა მთავარმმართებელმა კნორინგმა ამჯობინა მოწინააღმდეგისთვის დაესწრო — ყველაზე სახიფათო უბნებისაკენ რუსული პოლკები და ბატალიონები გაგზავნა, კახეთს ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯარი შეუსია. გენერალმა ლაზარევმა საომრად შემართულ ხალხს მორჩილებისაკენ მოუწოდა. კახელებმა გაუმართლებლად მიიჩნიეს უთანასწორო ბრძოლის გამართვა და სახელდახელოდ შეკრებილი ლაშქარი დროებით დაშალეს. ამის შემდეგ რუსული ხელისუფლების ყურადღების ცენტრში არაგვის ხეობა და შიდა ქართლი მოექცა. გაირკვა, რომ მთიულთა, მოხევეთა და ფშავ-ხევსურთა ლაშქრის სათავეში იდგა ვახტანგ ერეკლეს ძე. მან დიდი სიძნელეები შეუქმნა რუს გენერლებს. იულონ ერეკლეს ძემ ავჯანყების თესლი გააღვივა შიდა ქართლში. ისიც ცნობილი გახდა, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II თავისი ჯარით დაბანაკდა ქართლის საზღვართან, სადაც მას შეუერთდა ალექსანდრე ბატონიშვილი თურქთა და ლეკთა რაზმებით. იქვე მივიდნენ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებიც. ბაგრატიონმა უფლისწულებმა კვლავ დაგზავნეს მოწოდებები, ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცი გაიწვიეს სახალხო ლაშქარში. მაგრამ საყოველთაო ომი ამჯერად არ შედგა. რუსმა გენერლებმა ხელმეორედ მოახდინეს არაგვისა და დარიალის ხეობების ოკუპაცია, ჩრდილოეთიდან მრავალრიცხოვანი ჯარი შემოიყვანეს, შეძლეს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის აღელვებული ხალხის დროებით დამორჩილება — დაწყნარება.

რუსეთის უზენაესმა ხელისუფლებამ საქართველოში დატრიალებული არასასიამოვნო მოვლენების მიზეზად გენერალ კნორინგის უნიათობა მიიჩნია. იმპერატორმა იგი თანამდებობიდან გადააყენა. კავკასიაში მდგარი რუსეთის ჯარის მთავარსარდლად და საქართველოს მთავარმმართებლად გენერალი ციციანოვი (ციციშვილი) დანიშნა. ალექსანდრე I-ის მიერ ციციანოვისათვის გაგზავნილ რესკრიპტში ნათქვამი იყო: შინაბრძოლებმა და გარეშე მტრების შემოსევებმა საქართველო ისე დააძაბუნა, რომ საჭიროდ მივიჩნიეთ იმპერიასთან მისი შემოერთება. სამწუხაროდ, ამის შემდეგაც არ დამყარებულა მშვიდობა, არ შეწყვეტილა დარეჯან დედოფლისა და ბაგრატიონ უფლისწულთა პრეტენზიები საქართველოს სამეფო ტახტის მიმართ, რასაც მხარს უჭერს ირანის მფლობელი ბაბა ხანი. ქვეყნის სიმშვიდისა და ჩვენი ჯარის უშიშროებისათვის აუცილებელია აღმოვფხვრათ ბაგრატიონთა ოპოზიციური განწყობა. თქვენი უპირველესი მოვალეობაა, გამოიყენოთ ყველა საშუალება — დარწმუნება, დათანხმება და ბოლოს და

ბოლოს ძალდატანება, რომ ეს მშფოთვარე უფლისწულები და დედოფალი დარეჯანი გადმოასახლოთ რუსეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერატორის დავალება-ბრძანების შესასრულებლად ციციანოვს ძალა დაქვემდებარებული მოხელე აამუშავა. ბაგრატიონებისაგან მოითხოვა მორჩილება და ნებაყოფლობით რუსეთს წასვლა. ქართული წარმომავლობის ამ დიდმოხელეს უფლისწულებმა კონტრმოთხოვნები წაუყენეს; ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრემ იულონ ერეკლეს ძემ შეახსენა ციციანოვს, რომ თვით სპარსეთის ტირანი ხელმწიფენიც კი არ კადრულობდნენ ბაგრატიონთა ღვთაებრივი უფლების შელახვას. მით უმეტეს იმედი გვაქვს ქრისტიანი იმპერატორისა, თუ თქვენ ჭეშმარიტებას მოახსენებთ ბაგრატიონთა საგვარეულოს კანონიერ უფლებებზე და ქართველი ხალხის სურვილის შესახებ, დაარწმუნეთ რუსთა ხელმწიფე, რომ იმპერიის ინტერესებისათვის ისა სჯობია, რომ საქართველოს სამეფო დარჩეს რუსეთის მფარველობაში, იმპერიამ ისარგებლოს მისი ბუნებრივი სიმდიდრით, სტრატეგიული მდებარეობით, მაგრამ ბაგრატიონთა ღვთაებრივი უფლება სამეფო ტახტის მიმართ არ დაირღვესო.

უფლისწულ იულონს იმედი არ გაუმართლდა — ციციანოვს თითქმის აღარაფერი გააჩნდა ქართული. რუსეთის სამსახურში დაწინაურებულ მოხელეს აზრადაც არ მოსვლია ალექსანდრე I-ის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენის თაობაზე. იგი ენერგიულად შეუდგა იმპერატორის ბრძანების შესრულებას, დააზუსტა ბაგრატიონთა ოჯახების გადასახლების გრაფიკი. ზოგთან პირად მოლაპარაკებას ამჯობინებდა, ზოგს წერილობითი ფორმით მიმართა, ყველას ურჩევდა რუსეთში წასვლას და იმპერატორის წყალობა-მზრუნველობის მიღებას. მაგრამ ქვრივმა დედოფლებმა და უფლისწულებმა კატეგორიული უარი თქვეს რუსეთს გადასახლებაზე. ციციანოვმა იმპერატორს აუწყა: მათი პოზიცია მარწმუნებს ჭეშმარიტებაში გავრცელებული ხმებისა, რომ 1803 წლის გაზაფხულზე უფლისწულები — ალექსანდრე, იულონი და ფარნაოზი, რომელთაც მფარველობა-დახმარებას ჰპირდება ბაბა ხანი, მიზნად ისახავენ საქართველოში შემოჭრას და ერთ-ერთი ბაგრატიონი უფლისწულის მეფედ კურთხევას.

ციციანოვს რუსეთის ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგედ მიაჩნდა ირანს გადახვეწილი ალექსანდრე ერეკლეს ძე, აგრეთვე უცხოობაში მასთან ჩასული თეიმურაზ გიორგის ძე და ამიტომ თავგამოდებით ურჩევდა მათ უკან მობრუნებას, რუსეთს გადასახლებას, იმპერატორის წყალობა-მზრუნველობის ქვეშ გაბედნიერებას. ალექსანდრემ კატეგორიული უარი თქვა ამ „ბედნიერებაზე“. 22 წლის თეიმურაზი უარის თქმას არ დასჯერდა, საყვედურებით აავსო რუსეთის ხელისუფლება. მან ციციანოვს შეახსენა: ერთ

დროს საქართველო ბრწყინავდა სიდიადით... შემდეგ მტერი გვჯაბნიდა, მაგრამ ღვთისმშობლის წილხვედრი ეს პატარა წალკოტი, ღვთის შეწევნითა და ქართველთა გმირული თავდაცვითი ბრძოლების მეშვეობით არსებობას განაგრძობდა, გაძლიერება-განახლების უნარს ინარჩუნებდა. მეფე ერეკლემ იმედის თვალით ერთმორწმუნე რუსეთისკენაც გადაიხედა. მაგრამ თქვენ (რუსებმა) არ გაამართლეთ ჩვენი ნდობა და იმედი. ქართველთა სამეფო შეიერთეთ, უბრალო პროვინციად გადააქციეთ. მეფე ერეკლეს მემკვიდრენი კი ჩამოაცილეთ ქვეყნის მართვა-გამგეობას, სამშობლოში ცხოვრების უფლებასაც კი ართმევთო. თუ გსურთ ქართველი ხალხის გული თქვენკენ მოაბრუნოთ, მისი ნდობა აღიდგინოთ, გამოაცხადეთ რომელიმე უფლისწული საქართველოს მეფედ. ამის გარეშე რუსეთის ხელისუფლებასთან საერთო ენას ვერ გამოვნახავთო.

თეიმურაზ გიორგის ძემ და მისმა ბიძამ, ალექსანდრემ კარგად იცოდნენ, რომ ირანის მბრძანებელი კავკასიაში თავისი პოზიციების გამაგრებისათვის იღვწოდა, მაგრამ სულაც არ იყო წინააღმდეგი ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენისა, თუ მისი მეფე ირანის შაჰის უზენაეს ხელისუფლებას აღიარებდა და სიმბოლურ ხარკს გაიღებდა. ამიტომ ლტოლვილი ბიძა-ძმისწული ირანში ჩავიდნენ. ისინი ბაბა ხანსა და მის მემკვიდრე აბას მირზას მიანიშნებდნენ, ისე წარემართათ თავიანთი პოლიტიკა, რომ კავკასიის ხალხთა ნდობა მოეპოვებინათ და მთელი ეს რეგიონი რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ — ეს არისო თქვენი გამარჯვების აუცილებელი წინა პირობა. შაჰის კარზე მყოფი ქართველი უფლისწულები ახერხებდნენ კონტაქტების დამყარებას ოსმალეთის, ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებთან, სთხოვდნენ დახმარებას რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. თეიმურაზ ბატონიშვილმა საფრანგეთის იმპერატორს ნაპოლეონ ბონაპარტესაც კი მიმართა დახმარების თხოვნით. მართალია, ხსენებულ სახელმწიფოებს ძალიან აშინებდა რუსეთის ექსპანსია კავკასიისა და წინ აზიისაკენ, მაგრამ ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირების გამო, არ მოხერხდა ძლავრი ანტირუსული კოალიციის შექმნა, რომელზეც ალექსანდრე, თეიმურაზი და მათი ძმები დიდ იმედს ამყარებდნენ.

რუსეთის იმპერატორის სატრაპმა ციციანოვმა კი ბაგრატიონთა გაუვნებლობის აუცილებელ წინა პირობად მათი რუსეთს ძალდატანებით გადასახლება მიიჩნია. 1803 წელს რუსეთის გზას გაუყენა დავითი, იოანე, ბაგრატი და ვახტანგ ბატონიშვილები. როცა რუსი მოხელეები გიორგი XII-ის ქვრივის ბინაში შეიჭრნენ, მარიამ დედოფალმა წინააღმდეგობა გაუწია მოძალადეებს და ხანჯლით განგმირა გენერალი ლაზარევი. „დამნაშავე“ დედოფალი და მისი მცირეწლოვანი შვილები რუსეთს გადაასახლეს. მალე

რუსეთისაკენ გაისტუმრეს მეფე ერეკლეს ქვრივი დარეჯან დედოფალი. ბაგრატიონთა ძალადობრივი გადასახლება გაგრძელდა მომდევნო წლებშიც.

1803-1804 წლებში ჯერ კიდევ საქართველოში მყოფი ბაგრატიონები, სხვადასხვა ფორმით აგრძელებდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლას. რუსულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ხალხისგან მათი იზოლირება. განმათავისუფლებელი მოძრაობა უფლისწულების მეთაურობით გრძელდებოდა.

ქართლის მთიანეთის 1804 წლის ანტირუსული აჯანყება

1804 წელს დაიწყო რუსეთ-ირანის ომი. ქართველმა პატრიოტებმა ეს მოვლენა ხელსაყრელ მომენტად ჩათვალეს და კიდევ უფრო გააქტიურდნენ. იულონი და ფარნაოზი იმერეთიდან, ალექსანდრე და თეიმურაზი სპარსეთიდან წერილებს გზავნიდნენ, ქართველ თავადაზნაურობას, სამღვდელოებასა და გლეხობას სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ.

სამ-ოთხ წელიწადში ქართლ-კახეთის მოსახლეობამ კარგად გაიგო, თუ როგორი იყო რუსული მართვა-გამგეობა, საოკუპაციო რეჟიმი; მძიმე სახელმწიფო გადასახადები, აუტანელი საგზაო-სატრანსპორტო ბეგარა, პოლიციის თვითნებობა და სასამართლოს მოხელეთა უსამართლობა-განუკითხაობა იყო ქართლ-კახეთის მოსახლეობის უკმაყოფილების სოციალურ-პოლიტიკური მიზეზი. განსაკუთრებით დამძიმდა საქართველოს სამხედრო გზის ორივე მხარეს მცხოვრებ მთიელთა მდგომარეობა: გზების გაყვანა, ხიდების აგება, სამხედრო დანიშნულების ტვირთების გადაზიდვა და სხვა მოვალეობა აუტანელი გახდა. უკმაყოფილების გამოთქმა „აჯანყებად" აღიქმებოდა, მას სამხედრო ეგზეკუციები მოსდევდა. ამაყი მთიელის შეურაცხყოფა-დამცირება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ხალხის მოთმინების ფიალა აივსო.

რუსეთ-ირანის ომის დაწყების შემდეგ მძიმე საგზაო-სატრანსპორტო ბეგარას სალაშქრო მოვალეობაც ემატებოდა. ერევნის ციხე-ქალაქის მიდამოებში რუსთა ჯარმა მარცხი განიცადა. ციციანოვმა ანანურის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლს, თორნიკე ერისთავს სახალხო ლაშქრის შეკრება და რუსთა ჯარის დასახმარებლად გაგზავნა უბრძანა. მთიელები ლაშქარში ერთსულოვნად გამოვიდნენ, მაგრამ ციციანოვის მისაშველებლად კი არ გაემართნენ, არამედ ანტირუსული აჯანყების დროშა ააფრიალეს.

1804 წლის ივნის-ივლისში მთიულებმა და მოხევეებმა აიღეს რუსთა რაზმებისაგან გამაგრებული ანანური, ჟინვალი, ლარსი, სტეფანწმინდა; დაეუფლნენ სამხედრო გზას და რუსთა კავკასიური ჯარის კომუნიკაციები შუაზე გაკვეთეს. მალე აჯანყებას შეუერთდნენ ფშავ-ხევსურებიც. სა-

ხალხო ლაშქარმა მოციქულები გაგზავნა იმერეთში, იულონ და ფარნაოზ ერეკლეს ძენი მეთაურებად მიიწვია. ეს ფაქტი თავისთავად იმის მაუწყებელი იყო, რომ მთიელებმა დაგმეს დამპყრობელი ძალა, რუსული საოკუპაციო რეჟიმი, ეროვნული მმართველობის აღდგენა და იულონ ერეკლეს ძის გამეფება მოიწადინეს. უფლისწულები მყისვე დაიძრნენ არაგვის ხეობისაკენ. მათ მხარში ამოუდგა ქართლის თავადაზნაურთა ერთი ნაწილი. რუსთა ჯარმა ქართველთა მცირე რაზმი ალყაში მოაქცია, იულონი დაატყვევა. ფარნაოზმა უვნებლად გაცლა მოახერხა, მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ კახეთს ჩავიდა და თავადაზნაურთა რაზმის თანხლებით ავჯანყებულებს შეუერთდა. ფარნაოზმა ანტირუსული მოძრაობა გააფართოვა, ავჯანყების ცეცხლი ქსნის ხეობაშიც გადაიტანა, დიდი სიძნელეები შეუქმნა რუსულ ხელისუფლებას.

ფრიად შეშფოთებულმა ციციანოვმა ალყა მოხსნა ერევანს და მთელი ჯარით არაგვის ხეობისაკენ დაიძრა. ჩრდილოეთიდან თერგის ხეობაში შემოიჭრა გენერალი ნესვეტაევი 3000-იანი ჯარით და 30 ქვემეხით. ფარნაოზის ლაშქარი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა და გამაგრებული პოზიციები თანდათან დათმო. ნესვეტაევმა დაიკავა ლარსი, დარიალი, სტეფანწმინდა; სიონთან დაამარცხა ქართველ მთიელთა ლაშქარი და 19 ოქტომბერს ანანურთან შეუერთდა თბილისიდან შემოჭრილ ციციანოვის ჯარს.

ფარნაოზმა ირანს გადახვეწა სცადა, მაგრამ ყაზახის მიდამოებში რუსებმა დაატყვევეს. ეს ფაქტი რენეგატმა ელიზბარ ერისთავმა შეატყობინა მთიელებს და რუსეთის მთავრობისადმი მორჩილების გამოცხადება ურჩია. ავჯანყებულთა პასუხი: სამწუხაროა, რომ ფარნაოზი დაატყვევეს, მაგრამ უფლისწულები ალექსანდრე, თეიმურაზი და ლევანი კვლავ თავისუფალნი არიან და ჩვენ ბრძოლა მათი მეთაურობით უნდა გავაგრძელოთო. ცხადია, ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო ქართველი ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურად მიაჩნდა. სწორედ ამიტომ ცდილობდა ასეთი დაჟინებით რუსული ხელისუფლება საქართველოს გაწმენდას სამეფო სახლის წარმომადგენლების, ბაგრატიონებისაგან, ყველა მათგანის რუსეთს გადასახლებასა და მკაცრი კონტროლის ქვეშ მოქცევას.

რუსეთის აგრესიის გაფართოება დასავლეთ საქართველოს მიმართულებით. იმერეთის მეფე სოლომონ II ქართული სახელწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის სათავეში

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის ერთიანობა-თანადგომა არც XIX საუკუნიის დამდეგს არსებობდა. სამეგრელოს მთავარი იმერეთის

მეფის ვასალობას არ კადრულობდა, სოლომონ II-მ ძალას მიმართა და წარმატებასაც მიაღწია. შევიწროებულმა გრიგოლ დადიანმა დახმარება-სათვის რუსეთის ცარიზმის კავკასიელ მოხელეებს მიაკითხა. ციციანოვმა ხელიდან არ გაუშვა ხელსაყრელი მომენტი, დასავლეთ საქართველოს შინაპოლიტიკურ საქმეებში აშკარად ჩაერია: სოლომონ II-ს გრიგოლ დადიანის „დაჩაგვრის" ნება არ მისცა. 1803 წლის 2 ოქტომბერს სამეგრელოს მთავარმა ხელი მოაწერა რუსეთის მფარველობაში შესვლის ხელშეკრულებას. გრიგოლ დადიანი რუსეთის კავკასიური ხელისუფლების უმაღლეს მოხელეს დაემორჩილა. მას მხოლოდ მეტისმეტად შეზღუდული შინაგანი თვითმმართველობის უფლება მიეცა.

სამეგრელოს მთავრის დამორჩილება-ერთგულების შემდეგ ციციანოვის ტონი იმერეთის მეფესთან ურთიერთობაში უფრო ქედმაღლური და მკაცრი გახდა. მან კატეგორიულად მოითხოვა იმერეთის შესვლა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. 1804 წლის მარტში სოლომონ II-მ თავისი დესპანი გაგზავნა ციციანოვთან. რუსეთის მფარველობაში შესვლას დათანხმდა იმ პირობით, თუ იმერეთის სამეფო ფართო ავტონომიას შეინარჩუნებდა. რუსულმა ხელისუფლებამ თითქოს ანგარიში გაუწია მეფის სურვილს, მაგრამ მისთვის წარდგენილი ხელშეკრულების პროექტი მინიმუმამდე ზღუდავდა იმერეთის სამეფოს სუვერენიტეტსა და მასზე სოლომონ II-მ ხელი არ მოაწერა.

განრისხებული ციციანოვი დიდი ჯარით შეიჭრა იმერეთში და მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის მორჩილება-ერთგულებაზე დაფიცებას შეუდგა. სოლომონი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1804 წლის 25 აპრილს სოფელ ელაზნაურში იმერეთის მეფემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებდა მის გადაქცევას რუსეთის იმპერატორის კავკასიელი დიდმოხელის მარიონეტად. ციციანოვმა მეტად კმაყოფილი ტონით აცნობა იმპერატორს, იმერეთი რუსეთის პროვინცია გახდაო. ალექსანდრე I-მა მადლობა გადაუხადა თავის დიდმოხელეს საქმის კეთილად დაბოლოებისათვის. სოლომონ II-ს კი ბრძოლა ჯერ კიდევ არ მიაჩნდა წაგებულად. იმედოვნებდა, რომ იმერეთის სამეფო სრულ დამოუკიდებლობას თუ არა, ფართო ავტონომიას მაინც შეინარჩუნებდა. რუსი მოხელეები გრძნობდნენ საშიშროებას და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ სოლომონ II-ის წინააღმდეგ აემხედრებინათ დასავლეთ საქართველოს მთავრები და მსხვილი თავადები, მთელი მასშტაბით აემოქმედებინათ გათიშე და იბატონე — ყველა დამპყრობლის დოქტრინა.

ციციანოვმა დასავლეთ საქართველო რუსეთის ნაწილად მიიჩნია. ყურადღება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე გადაიტანა, მორჩილებაზე დაითანხმა შირვანის, ნუხის და ყარაბაღის ხანები. 1806 წლის დამდეგს რუსთა

საქართველოს პარლამენტის

ჯარმა ბაქოც აიღო. ბაქოს ხანმა რუსეთის ბატონობა აღიარა და ხარკის გაღებაც იკისრა. მაგრამ ციხის გასაღების საზეიმო გადაცემისას, [illegible] ხა ციციანოვის მოკვლა. რუსთა ჯარის ახალმა სარდალმა გენერალმა გუდოვიჩმა მოახდინა ბაქოს სახანოს ოკუპაცია და მალე, თითქმის მთელი სამხრეთ კავკასია რუსეთის იმპერიის ნაწილად გადააქცია.

სოლომონ II-მ სცადა მთავარმმართებელ გუდოვიჩთან საერთო ენის გამონახვა. მოახსენა მას, რომ ციციანოვმა დაარღვია ელაზნაურის ტრაქტატის ზოგი მუხლი, მინიმუმამდე შეკვეცა ჩემი მეფური უფლებამოსილება; მე დავვიწყებ ამ უსამართლობას, თუ ქუთაისიდან ჯარს გაიყვანთ და ხელშეკრულების შეცვლაზე დამეთანხმებითო. სოლომონმა კიდეც შეადგინა და გუდოვიჩს წარუდგინა ხელშეკრულების ახალი პროექტი, რომლის მიხედვით იმერეთის მეფე აღიარებდა რუსეთის იმპერიის უზენაეს ხელისუფლებას, მაგრამ დაუშვებლად მიაჩნდა მისი მოხელეების იმერეთის საშინაო საქმეებში ჩარევა; თანხმდებოდა ომის დროს იმერეთში რუსეთის ჯარის შემოსვლას, მაგრამ მოითხოვდა ომის დამთავრების შემდეგ ამ ჯარის გაყვანას; ასევე თანხმდებოდა იმერეთში მხოლოდ 120-კაციანი რუსული რაზმის დატოვებას. ერთი სიტყვით, ახალი ხელშეკრულების გაფორმებით სოლომონ II მიზნად ისახავდა იმერეთის სამეფოს შინაგანი დამოუკიდებლობის განმტკიცებას, ავტონომიურ უფლებათა მაქსიმალურ გაფართოებას, მაგრამ რუსულმა ხელისუფლებამ უარყო ახალი ხელშეკრულების პროექტი და სოლომონისაგან სრული მორჩილება მოითხოვა.

1806 წელს ომი დაიწყო რუსეთსა და ოსმალეთს შორის. სოლომონ II-ს მიეცა პოლიტიკური მანევრირების, ორ დამპყრობელს შორის არსებული წინააღმდეგობების იმერეთის სამეფოს სასარგებლოდ გამოყენების მეტი საშუალება. მან სულთანს სთხოვა სამხედრო-პოლიტიკური დახმარება და ამ მანევრით სცადა რუსეთის დათმობაზე წაყვანა. მოხდა პირიქით — სუსტი ვასალის ასეთმა „თავხედობამ" რუსეთის იმპერატორის გულისწყრომა გამოიწვია. ალექსანდრე I-მა საიდუმლო ბრძანება გამოუგზავნა საქართველოში დასაქმებულ თავის მოხელეებს — მოითხოვა სოლომონის ტახტიდან ჩამოგდება და იმერეთში რუსული მმართველობის დამყარება.

იმპერატორის ბრძანების შესრულება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. საგარეო და შიდა სირთულეების გამო გუდოვიჩმა ეს ვერ შეძლო. მისმა შემცვლელმა, გენერალმა ტორმასოვმა კი 1810 წლის 20 თებერვალს იმერეთში გაავრცელა რუსეთის ხელისუფლების განკარგულება სოლომონ II-ის სამეფო ტახტიდან გადაყენების შესახებ. რუსული ჯარის პოლკები გაიგზავნა ვარციხის (სადაც სოლომონი იყო გამაგრებული), ჩხარისა და რაჭისაკენ. მიუხედავად უხეში ზეწოლისა, მოსახლეობამ უარი თქვა

რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცზე და ტყეს შეაფარა თავი. იმერეთის მეფის მიერ მობილიზებული ლაშქარი კი ციხეებში გამაგრდა. 1810 წლის თებერვალ-მარტში რუსთა ჯარებმა აიღეს ვარციხე და ბაღდადი. დიდი ბრძოლები გაიმართა ჩხერის ციხესთან და რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე, რის შემდეგაც რუსთა ჯარებმა დაიკავეს ტოლა, ხვანჭკარა, ხოტევი, მინდაციხე, ონი. რუსთა ჯარის სხვა დანაყოფებმა ხანისწყლის ხეობა დალაშქრეს და მოახერხეს სოლომონის შეთხელებული ლაშქრის ალყაში მოქცევა. შედგა თავისებური დიალოგი: რუსმა სამხედროებმა მეფეს პირადი უშიშროება აღუთქვეს და დანებება ურჩიეს. სოლომონი ნებაყოფლობით გამოცხადდა ტორმასოვის ბანაკში. 1810 წლის 13 აპრილს გენერალმა ამაყი ტონით აუწყა ზემდგომ ინსტანციებს, რომ უმაღლესი ბრძანება შესრულდა, იმერეთის ყველა ციხესიმაგრე დავიკავეთ ერთ თვეში; მოსახლეობა დავაფიცეთ რუსეთის ერთგულებაზე; ურჩი ვასალი სოლომონ II დატყვევებულიაო; რუსეთის კავკასიურ ხელისუფლებას რომ ნებდებოდა, იმერეთის მეფეს იმედი ჰქონდა იმპერატორისაგან შეწყალებისა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთს გადასახლებაზე ჩამოუგდეს სიტყვა, სოლომონმა მიზნად დაისახა ტყვეობიდან თავის დახსნა, რაც ერთგულ ქვეშევრდომთა შემწეობით კიდეც მოახერხა. თბილისიდან გაქცეული მეფე ახალციხეს ჩავიდა.

ამ ამბავმა მთავარმმართებელ ტორმასოვს თავზარი დასცა, ქართველი პატრიოტები კი უზომოდ გაახარა. ყოფილი მეფის მოწოდებას აჯანყებისკენ უამრავი ხალხი გამოეხმაურა, სახალხო ლაშქარში ქუდზე კაცი გამოვიდა, იმერეთის ქალაქებსა და ციხეებში გამაგრებული რუსთა გარნიზონები ალყაში აღმოჩნდა. იმერეთის მმართველად დანიშნული გენერალი სიმონოვიჩი ქუთაისიდან თავს ვერ ყოფდა. სოლომონი ახალციხიდან იმერეთში გადმოვიდა და სათავეში ჩაუდგა თავისუფლებისათვის ამხედრებულ ლაშქარს.

სოლომონმა კარგად იცოდა, რომ მცირე ქვეყანა რუსეთის მრავალრიცხოვან ჯარს მარტო ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომ, იგი, თუ ერთი მხრივ რუს მოხელეებთან დიპლომატიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა, მეორე მხრივ, ირან-ოსმალეთთან ცდილობდა მოლაპარაკებას, რომ მათი ანტირუსული სამხედრო ოპერაციები აჯანყების მიმდინარეობისათვის შეეთავსებინა. მეფე იმედოვნებდა, რომ ირან-ოსმალეთთან ომში ჩაბმული რუსეთის მთავრობა იძულებული გახდებოდა იარაღით შემართული იმერეთისათვის დაეთმო და მისთვის ავტონომიური სამეფოს სტატუსი მიენიჭებინა. იმერეთის მმართველი გენერალი სიმონოვიჩი ამაზე თანხმობას აცხადებდა, მაგრამ ცენტრმა ამ იდეას მხარი არ დაუჭირა და აჯანყების ჩახშობა მო-

ითხოვა. მთავარმმართებელმა ტორმასოვმა ირან-ოსმალეთის ფრონტებზე მოქმედი ჯარი თითქმის გაანახევრა, რამდენიმე პოლკი და კაზაკთა რაზმები იმერეთს შეუსია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1810 წლის ივნისის შუა რიცხვებში სოფელ საკაროსთან აჯანყებულებმა დაამარცხეს მაიორ კალატოზოვის ბატალიონი. ივნისის დამდეგს გენერალმა დიმიტრი ორბელიანმა რუსთა ჯარის მთავარი ძალებით გადალახა სურამის ქედი და ალისა და ვახანის გზით ორ კოლონად დაიძრა იმერეთის შიდა რაიონისაკენ. იმერელთა ლაშქარმა მედგარი ბრძოლა გაუმართა რუსულ პოლკებს, ოთხასი თავდამსხმელი მოკლეს და კიდევ მეტი დაჭრეს. 16 ივლისს მთავარმმართებელმა ორბელიანი გადააყენა და აჯანყების ჩაქრობა გენერალ როზენს დაავალა. იმერლებმა გზები ჩახერგეს, საფრებში მეთოფეები ჩასხეს. წინ ეღობებოდნენ, ფლანგებიდანაც უტევდნენ რუსთა ჯარს. დიდი ბრძოლები მოხდა ცხრაწყაროსთან, ყვირილას ფონზე, სიმონეთთან. 29 ივლისს როზენმა დაამარცხა ქუთაისის მოალყე აჯანყებულთა რაზმები და აქამდე ქუთაისს გამოკეტილი გენერლის, სიმონოვიჩის ჯარს შეუერთდა.

იმერეთის ლაშქარი პარტიზანული ომის ტაქტიკაზე გადავიდა. სოლომონი სოფლიდან სოფელში გადადიოდა, ელვისებურად ესხმოდა თავს რუსთა ჯარის ნაწილებს და სწრაფადვე უჩინარდებოდა. 3 და 10 აგვისტოს გამართულ ბრძოლებში გენერალმა როზენმა ვერ შეძლო აჯანყებულთა რაზმების განადგურება. 1810 წლის სექტემბრის დამდეგს რუსთა ჯარმა ვარციხე დაიკავა. მეფე 2000-იანი რაზმით ხანისწყლის ხეობაში შევიდა. მას გაცილებით მრავალრიცხოვანი რუსთა ჯარი დაედევნა, დაამარცხა კიდეც, მაგრამ მარჯვე მანევრით სოლომონი მტერს დაუსხლტა და ახალციხეში გადავიდა. იმერეთის მმართველმა სიმონოვიჩმა სინანულის გამომხატველი ტონით აუწყა ტორმასოვს, რომ სოლომონ მეფის ვერც მოკვლა მოვახერხეთ და ვერც დატყვევებაო. ცდა არ დაგვიკლია, განუწყვეტელი ბრძოლებითა და შიმშილით განაწამები ჯარისკაცები ჩონჩხებს დაემსგავსნენ, მაგრამ მთავარი ამოცანა ვერ შევასრულეთ. „საყოველთაო რევოლუციის“ პირობებში არავინ დახარბდა იმ დიდ თანხას, რასაც სოლომონის შეპყრობა-მოკვლისათვის ვპირდებოდითო. ახალციხეს გადასული უგვირგვინო მეფე კვლავ ცდილობდა საქმის შემობრუნებას, განმათავისუფლებელი ომის განახლებისათვის ემზადებოდა. კვლავ სთხოვა დახმარება საფრანგეთის იმპერატორს, ოსმალეთის სულთანზეც ამყარებდა იმედს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთმა საზავო ხელშეკრულება დადო ოსმალეთთან (1812 წ.) და ირანთან (1813 წ.), რომლითაც ამ სახელმწიფოებმა საქართველო რუსეთის სამფლობელოდ აღიარეს, სოლომონს უიმედობა დაეუფლა.

განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურმა 1815 წელს უცხოობაში დალია სული, მაგრამ ტრაპიზონის ქართულ მიწაში პოვა განსასვენებელი.

ტრაგიკულ-გმირული 1810 წლის შემდეგ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მხოლოდ მცირე ხნით შენელდა. ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებს, ვინც რუსეთს გადასახლებას გადაურჩა, არც ამ დროს შეუწყვეტიათ რუსული აგრესიის საწინააღმდეგო საქმიანობა. რუსმა „ჩინოვნიკებმა" შეამჩნიეს, რომ იარაღით იმერეთის დაპყრობამ და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ (1811 წ.) კიდევ უფრო აამაღლა ქართველთა საპროტესტო განწყობილება. გაფართოვდა განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალური ბაზა, რაც შედარებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა წარმატებისათვის.

საქართველოს თავადაზნაურობა, სამღვდელოება, გლეხობა, ბუნებრივია, ვერ ურიგდებოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოსპობას, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. ქართველმა თავადაზნაურობამ დაკარგა პოლიტიკური წონა და ეკონომიკური ზარალიც განიცადა. ქართველი სამღვდელოება პროტესტით შეხვდა ქართული სამეფოების გაუქმებას და რა თქმა უნდა ხმა აღიმაღლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და საეკლესიო-სამონასტრო მამულების რუსეთის სახელმწიფო ხაზინის გამგებლობაში გადაცემის წინააღმდეგ. მმართველობის რუსული ავტორიტარული სისტემა განსაკუთრებით მძიმედ დააწვა მხრებზე გლეხობას; საგზაო-სატრანსპორტო ბეგარა, სასურსათო გადასახადი, რუს მოხელეთა მექრთამეობა და ბოროტმოქმედება, მათ მიერ ხალხის აბუჩად აგდება, ბუნებრივია, გლეხობის აღშფოთებას იწვევდა და არცთუ იშვიათად აჯანყებაში იწყებდა გადაზრდას. რაც მთავარია, თითქმის ყველა ქართველს ამშვენებდა ეროვნული თვითშეგნება და სიამაყე, თავისუფლების დიადი განცდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მოსახლეობის ანტაგონისტური სოციალური ფენები რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ მხარდამხარ იბრძოდნენ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საყოველთაო სახალხო ხასიათს იღებდა. ასეთი იყო XIX საუკუნის პირველ ათწლეულში გაჩაღებული განმათავისუფლებელი ომები, ასეთივე ხასიათს ატარებდა კახეთის 1812 წლის აჯანყებაც.

ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონი ერთი მუჭა რენეგატების პატრიოტულ და სამართლიან გზაზე შემობრუნებასაც კი ცდილობდა. მან კარგად იცოდა, რომ გაბრიელ ყაზბეგი რუსეთის სამსახურში იყო გადასული, ხელს უწყობდა რუსის ჯარის დარიალის ხეობაში უხიფათოდ მისვლა-მოსვლას. უფლისწულმა ამ რუსოფილს შეახსენა, მეფე ერეკლე მამაშენის მწყალობელი იყო, მეფე ერეკლეს შვილი ვარ და ამიტომ მამაშენის

შვილს პატივს არ მოვაკლებო. იცოდე, რუსებისაგან მიღებული პატივ წარმავალია, ჩვენი წყალობა კი წარუვალია, საშვილიშვილო, გიჩვენ, ჩემი დავალება შეასრულო — გზები და ხიდები დაანგრიო, რუსის ჯარი საქართველოში აღარ გადმოუშვაო. რამდენიმე დღის შემდეგ გაბრიელ ყაზბეგმა მიიღო არაგველთა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ფშავი და არაგვი ერთიანად გაფიცული ვართ და თუ შენ ჩვენი ძმობიდან არ გასულხარ, როგორც ჩვენ ვახლავართ ბატონიშვილ ალექსანდრეს და ბაგრატიონებისათვის თავი დაგვიდვია, შენც ისე ერთგულად მოიქეცი... თუ ჩვენი ძმობიდან გახვალ და ამდენ სულს გვიმუხანათებ, ვინც მოკვდება ჩვენი სისხლი შენს კისერზე იქნება და ყოველთვის ჩვენი მოსისხლე იქნები“.

ანტირუსული აჯანყება კახეთში 1812 წელს.
ალექსანდრე ბაგრატიონი განმათავისუფლებელი ბრძოლის სათავეში.
დავით ბაგრატიონის ეროვნულ-პოლიტიკური პოზიცია

კახეთის მოსახლეობის აჯანყების უშუალო მიზეზი რუსი მოხელეების მიერ სოფლებში სამხედრო ეგზეკუციების ჩაყენება, ხალხის ძარცვა და პიროვნული დამცირება იყო. ერთი შეხედვით, იგი სტიქიურად დაიწყო, მაგრამ თვით რუსი მმართველები აღიარებდნენ, რომ ჯანყი კარგა ხნის განმავლობაში მზადდებოდა, ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა და საერთო-კავკასიური განმათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე ვითარდებოდა.

საქართველოს მთავარმმართებელმა, გენერალმა პაულუჩმა 1812 წლის 22 თებერვალს რუსეთის იმპერატორს მოახსენა, რომ მთელი კახეთი და არაგვის ხეობა აჯანყდა. სახალხო ლაშქარმა სცადა სამხედრო გზის დაუფლება, კავშირის დამყარება ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებთან. კახელებმა ამოხოცეს ბევრი რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი. გამოავლინეს საშინელი სიმკაცრე, რომლის მაგალითები უფრო ადრე მოგვცა საფრანგეთის რევოლუციამ. აჯანყებები დაიწყო აგრეთვე დაღესტანში, შირვანში, შაქში. კახეთის მეფედ გამოცხადებული გრიგოლ ბაგრატიონი ცდილობს აჯანყების არეალის კიდევ უფრო გაფართოებას. ყოველივე ეს, ასკვნიდა პაულუჩი, ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს ფართომასშტაბიან შეთქმულებასთან, რომლის მეთაურები მიზნად ისახავენ ჩვენი ჯარების გაწყვეტას და კავკასიის რუსეთისაგან ჩამოცილებასო. მთავარმმართებელი იმასაც აუწყებდა ალექსანდრე I-ს, რომ „კახეთის რევოლუციის“ გაჩაღებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს საქართველოს ყოფილი სამეფო სახლის წევრებმა, რომელნიც ერთგული თავადების დახმარებით ყოველთვის ცდილობდნენ და ცდილობენ ხალხის აჯანყებასო. ხალხს კი საამისო მიზეზი, აღიარებს პაულიჩი, საკმაოზე მეტი ჰქონდა: რუსეთის ადგილობრივი მოხელეების უზნეობა,

ძალიან მძიმე საგზაო-სატრანსპორტო ბეგარა, რუსეთის მოხელეთა ბოროტმოქმედება, რუსული სასამართლოს უვარგისობა და სხვა.

ეროვნული თავისუფლების დროშა თავდაპირველად ახმეტელებმა ააფრიალეს. მალე მათ შეუერთდნენ მატანელი, თიანეთელი, მარილისელი და სხვა სოფლების მკვიდრნი. აჯანყება სწრაფად გაფართოვდა. 1812 წლის 2 თებერვალს კახელთა მრავალათასიანმა ლაშქარმა ქალაქი თელავი დაიკავა. 5 თებერვალს ქიზიყელები ქალაქ სიღნაღს დაეუფლნენ. 6 თებერვალს კახელებმა გაანადგურეს რუსთა ჯარის ასეულები და ბატალიონები კოდალოში, ბოდბისხევში, ანაგაში, კაკაბეთში, მანავში. 7 თებერვალს სახალხო ლაშქარმა დაამარცხა კახეთის ოლქის უფროსი გენერალი პარტიაგინი და აიძულა იგი თავისი ჯარის ნაშთებთან ერთად თბილისს გაქცეულიყო. წარმატებით განვითარდა განმათავისუფლებელი ბრძოლები არაგვის ხეობაშიც, მთიულებმა და ფშავ-ხევსურებმა რუსთა ჯარის ნაწილებს წაართვეს დუშეთი და ფასანაური, საქართველოს სამხედრო გზა გადაკეტეს.

1812 წლის 21 თებერვალს თვით მთავარმმართებელი პაულუჩი ჩაუდგა სათავეში აჯანყების ჩახშობისათვის დაძრული რუსეთის ჯარის პოლკებს. თავდაპირველად ტკბილი სიტყვით და კეთილისმყოფელი დაპირებებით სცადა დაეწყნარებინა აღელვებული ხალხი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და სამხედრო მოქმედების გეგმის შემუშავება დაიწყო.

კახეთის თითქმის მთელ მოსახლეობას უსამართლობად, ღვთის ნების საწინააღმდეგო მოქმედებად მიაჩნდა, ბაგრატიონთა საგვარეულოსათვის სამეფო ტახტის ჩამორთმევა, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება. ამიტომ იყო, რომ აჯანყების დაწყებიდან ათიოდე დღის შემდეგ სახალხო ლაშქარმა მეთაურად მიიწვია და მეფედ აკურთხა გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი.

ბრძოლის ველზე ქართველი მეფის გამოჩენა აჯანყების პოლიტიკური მიზნის აშკარად გამოცხადებას ნიშნავდა (ქართული მონარქიული სახელმწიფოს აღდგენა), რამაც საქართველოს რუსი ხელისუფალნი (ვინ იცის მერამდენედ) ძალიან შეაშფოთა. პაულუჩი რუმიანცევს სწერდა: გრიგოლ ბატონიშვილი მნიშვნელოვანი ფიგურაა არა პირადი ღირსებით, არამედ იმ პატივისცემით, რითაც ქართველი ხალხი მოსავს ბაგრატიონთა სამეფო სახლს და მის თითქმის ყველა წარმომადგენელს. ამ მხარის მშვიდობა-სტაბილურობის აუცილებელ პირობად იყო მიჩნეული ყველა ბაგრატიონის რუსეთს გადასახლება. მაგრამ გრიგოლ იოანეს ძე რატომღაც საქართველოს რუს მთავარმმართებელთა ყურადღების მიღმა დარჩა; თავისუფლად ცხოვრობდა მთებში და „რევოლუციის“ დაწყების შემდეგ მნიშვნელოვან პერსონად გადაიქცა. კახელებმა იგი თავის ლაშქარს ჩაუყენეს სათავეში და მეფედაც გამოაცხადესო.

კახეთის სახალხო ლაშქარი პაულუჩის ჯარს პირველად ხაშმის მიდამოებში დაუპირისპირდა. ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. აჯანყებულნი თავს არ ზოგავდნენ, სიმამაცის ნიმუშს განასახიერებდნენ. მაგრამ რუსეთის რეგულარულ არმიას ვერ გაუძლეს, უკან დაიხიეს. ტყვედ ჩავარდნილები პაულუჩის ბრძანებით იქვე ჩამოახრჩვეს. ხაშმიდან პაულუჩი საგარეჯოს მივიდა. შემდეგ ქიზიყი გაწმინდა აჯანყებულთა რაზმებისაგან. თელავისაკენ მობრუნებული რუსთა სარდალი 1-2 მარტს ჩუმლაყის მიდამოებში შეება კახელთა ლაშქარს. ბრძოლის შედეგი რუსულმა არტილერიამ გადაწყვიტა. გენერალ პაულუჩის მოპოვებული გამარჯვება ძვირი დაუჯდა. მისი ჯარი შეთხელდა, ამიტომ თავისთან გამოიძახა არაგვის ხეობაში ომგადახდილი ჯარი და თელავს მიადგა. დიდი ბრძოლის შემდეგ ქალაქი აიღო, გამოიხსნა თელავის ციხესიმაგრეში თითქმის ორ თვეს გამომწყვდეული რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები. პაულუჩიმ ისიც მოახერხა, რომ დაღესტნისაკენ გადახიზნული გრიგოლ ბატონიშვილი მორჩილებაზე დაითანხმა და რუსეთს გადაასახლა. რუსთა დამსჯელი ჯარის სარდალმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ კახელთა ამბოხება ჩააქრო.

სამხრეთ კავკასიის რუსი მთავარმმართველი ცდებოდა. კახელებმა მხოლოდ შეისვენეს. კახეთი ნაცარმიყრილ ნაკვერჩხალს ჰგავდა, რომელიც მალე აალდებოდა. სიწყნარე სტაბილური არც არაგვის ხეობაში იყო. აჯანყება აპრილ-მაისის მიჯნაზე განახლდა. კახელთა თავყრილობამ 30 კაცი შეარჩია და მოციქულებად ალექსანდრე ერეკლეს ძესთან გაგზავნა, იგი თავის მეთაურად მოიწვია.

ალექსანდრე ერეკლეს ძემ, რუსთა ხელმწიფის ერთგულ მსახურებად გადაქცეულ ქსნის ერისთავთა ქართველი ხალხის სამსახურში გადმოყვანა, ანტირუსულ მოძრაობაში ჩაბმაც მოიწადინა. წერილი გაუგზავნა რევაზ ერისთავს. აუწყა, რომ კახელი თავადები, მარტყოფიდან დაწყებული მატანამდე, ყველა ჩვენს რიგებში დგანან, გევალება ელიზბარ ერისთავი დაუყოვნებლივ გამოგზავნო ჩემს ბანაკში, შენ კი ქსნის ხეობაში ლაშქარი შეკრიბე და გვერდში ამომიდექიო. ქართველ პატრიოტთა სამწუხაროდ, რევაზ ერისთავმა პრორუსული პოლიტიკა გააგრძელა, ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს წარუდგინა და თანაც, „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში“ სრული თანადგომა აღუთქვა. 1812 წლის სექტემბრის ბოლოს კი ქსნის ერისთავებმა გუბერნატორს აცნობეს, ალექსანდრე ერეკლეს ძე დაჟინებით ცდილობს ქართლში შემოჭრას, მცხეთისა და გორის ციხეების დაკავებასო. იმასაც აუწყებდნენ, ქართლის თავადთა დიდი ნაწილი იმედის თვალით უყურებს მეფე ერეკლეს მეამბოხე ვაჟს, არცთუ ძალიან შორს კი, აწყურში, იმერეთის ყოფილი მე-

ფე, სოლომონი იმყოფება, ქართლში აჯანყების დაწყებას ელოდება, რათა საქართველოს საზღვრებში შემოიჭრას და ალექსანდრე ერეკლეს თან მხარდამხარ დიდი ომი გაუმართოსო რუსეთის ხელისუფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენეგატთა მიერ რუსი გუბერნატორისათვის მიწოდებული ეს ინფორმაცია რეალურ ვითარებას ასახავდა. ალექსანდრე ბაგრატიონის მოწოდებებს, კახელებთან და მთიელებთან ერთად, ქართლის ბევრი თავადაზნაურიც გამოეხმაურა და მისი დროშის ქვეშ დასარაზმად ემზადებოდა. ზოგმა, ადგილზე მომენტის ლოდინს, ალექსანდრეს ბანაკში წასვლა ამჯობინა. ყველაზე ადრე ერეკლეს ძესთან გაიქცნენ ციციშვილები, ავალიშვილები, ამილახვრები, კავთისხეველი აზნაურები და გლეხები. მაგრამ ამბოხებულთა ლაშქრის ძირითადი კონტინგენტი კახელებმა და არაგველებმა შეადგინეს. ალექსანდრე ბაგრატიონმა თავისუფლებისათვის საომრად გამზადებული ლაშქარი რამდენიმე რაზმად გაყო: ერთ რაზმს სათავეში ჩაუყენა თადია ჩოლოყაშვილი, რომელსაც დაავალა თბილისიდან კახეთისაკენ მიმავალი გზების ჩაკეტვა. მეორე, უფრო მრავალრიცხოვან რაზმში გაერთიანდნენ ერწო-თიანელები, ფშავ-ხევსურები, ქსნის ხეობის ქართველი და ოსი გლეხები. მათი მეთაურობა და ქართლიდან თიანეთ-თელავისაკენ მიმავალი გზების გადაკეტვა დაევალა ომან ჩოლოყაშვილს. მესამე რაზმი, გორჯასპი ნათელაშვილის სარდლობით არაგვის ხეობაში შედგა. მან იკისრა სამხედრო გზის გადაკეტვა, რუსეთის კავკასიური არმიის კომუნიკაციების შუაზე გახლეჩა. თვით მთავარსარდალი ალექსანდრე ბაგრატიონი აჯანყებულთა მთავარ ძალებს ჩაუდგა სათავეში და საომრად მოეშზადა.

ალექსანდრე ერეკლეს ძე კახეთის აჯანყებაში, სულით და გონებით მის პირველ ეტაპზეც მონაწილეობდა. ირანში მყოფი უფლისწული საკმაოდ სრულ ინფორმაციას იღებდა საქართველოში დატრიალებული მოვლენების შესახებ. აღფრთოვანებული იყო კახელების გმირული ბრძოლით: „თქვენმა ეგეთმა სახელგანთქმულმა სიმხნეევემ — სწერდა იგი კახელებს — ოთხსავე მხარეს მიაღწია. რა ქება მოგიძღვნათ, უმაღლეს ღირსებისა და პატივის ღირსი ხართ. განსვენებული ერეკლე მეფის სახელიც ადიდეთ და მის შვილებსაც თავისუფლებისა გიხაროდენისა ხმასა გვცემთ“. 1812 წლის ივლისში ალექსანდრე კახელებს აცნობებდა: თქვენი გამოგზავნილი მოციქულები უკვე მოვიდნენ ჩემთან. მალე საქართველოში ჩამოვალ და ჩემს სისხლს თქვენს სისხლს შევუერთებ. ალექსანდრე თანამემამულეებს იმასაც სწერდა, რომ საქართველოში ირანის ჯარიც შემოვა, მაგრამ არა იმისათვის, რომ დაგვიპყროს, არამედ დაგვეხმარება რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და უკანვე გაბრუნდებაო.

რუსეთის რეგულარულ არმიას ქართველთა ლაშქარმა უკვე ნაცადი

პარტიზანული ომი გაუმართა. ეს ლაშქარი ძირითადად ცხენოსანი რაზმებისაგან შედგებოდა, სწრაფი მოძრაობისა და მანევრირების უნარი ჰქონდა. რუსთა ქვეით ჯარს კი ასეთი უნარი არ გააჩნდა. დიმიტრი ორბელიანის ხელქვეითი რუსული პოლკები ზოზინით დასდევდნენ ალექსანდრეს მხედრობას, რომელიც ადგილს ხშირად იცვლიდა, მოულოდნელად დაცემულ მტერს საკმაოდ დიდ ვნებას მიაყენებდა და სწრაფად გაეცლებოდა. ასეთი ტაქტიკური მანევრი ხშირად მეორდებოდა. ყოველი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ბრძოლის შემდეგ, რომელშიც რუსის ჯარი თითქოს იმარჯვებდა, დიმიტრი ორბელიანი მთავარმმართებელ რტიშჩევს აჯანყებულთა „საბოლოო დამარცხების“ ამბავს ატყობინებდა. ასეთი „საბოლოო დამარცხება“ ხშირად მეორდებოდა, მაგრამ კახელთა ლაშქრის აქტიურობა არ ცხრებოდა. ბოლოს და ბოლოს, დიმიტრი ორბელიანი და მისი ოფიცრები მიხვდნენ, რაც ხდებოდა და მთავარმმართებელს მრავალრიცხოვანი ჯარი გამოსთხოვეს, რათა მთელ კახეთში დაემყარებინათ საოკუპაციო რეჟიმი, გასაქანი აღარ მიეცათ ალექსანდრე ერეკლეს ძის ცხენოსანი ლაშქრის თარეშისათვის. გენერალური ბრძოლა 9 ოქტომბერს, სოფელ შილდის მიდამოებში მოხდა. ალექსანდრე ბატონიშვილის 6-ათასიანი მხედრობა გაბედულად შეება მტერს. ქართველები თავგანწირვით იბრძოდნენ, ხმალ-ხანჯლით რუსულ თოფებსა და ქვემეხებს უტევდნენ, დიდი ზარალი მიაყენეს დამსჯელ ჯარს და 7 საათის ბრძოლის შემდეგ უკან დაიხიეს.

ამასობაში ნაპოლეონის მარცხისა და რუსეთის გამარჯვების ნიშნები გამოიკვეთა. ამბოხებული კახეთის გასანადგურებლად გაცილებით მრავალრიცხოვანი ჯარი გამოიგზავნა. ნოემბრის ბოლოს ცხადი გახდა, რომ ქართველთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ეს ეტაპიც მარცხით მთავრდებოდა. ალექსანდრეს ლაშქარმა მთებისაკენ აიღო გეზი, რუსული პოლკები აედევნენ, მაგრამ უფლისწულმა მაინც შეძლო გზის გაკაფვა და პირიქითა ხევსურეთში დაიდო ბინა. მთავარმმართებელმა რტიშჩევმა ზემდგომ ინსტანციას მოახსენა: მადლობა ღმერთს, დამთავრდა უფლისწულ ალექსანდრეს მიერ ატეხილი „უსასტიკესი რევოლუცია“, რომელიც ოთხი თვე გრძელდებოდა; მასში მონაწილეობდნენ ყველაზე ცნობილი თავადაზნაურნი და მათ შორის თელავის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი (მარშალი) ნინია ანდრონიკაშვილიც. ამ რევოლუციას განსაკუთრებით გააფთრებულ ხასიათს აძლევდა სახალხო ლაშქარში გამოსული გლეხობა. მაგრამ ახლა ყველასაგან მიტოვებული, გაყინულ-გათოშილი უფლისწული სალ კლდეებს მიღმა იმალებაო.

რუსი მოხელეები ცდებოდნენ: სალ კლდეებს თავშეფარებულ ალექსანდრე ერეკლეს ძეს არც სციოდა და არც შიოდა: მას ყურადღება-მზრუნვე-

ლობას არ აკლებდნენ მეფე ერეკლეს ერთგულებით გამორჩეული ხევსურები. ერეკლეს ძეს სულაც არ მიაჩნდა განმათავისუფლებელი ომი დამთავრებულად და ანტირუსული მოძრაობის გაფართოების გეგმას ადგენდა. ჯერ ისევ რუსეთთან ომში ჩაბმული ირანის დიდმოხელეებს სწერდა — ჩემი სამშობლოს გვერდით ცხოვრობენო დაღესტნელები, ჩეჩნები, ჩერქეზები და სხვა ტომები, თუ ფინანსურ დახმარებას გამიწევთ, კავკასიელებისაგან 100-ათასიან ლაშქარს შევადგენ და ადრე გაზაფხულზე რუსებს კვლავ შევებმებიო.

სამხრეთ კავკასიის რუსი მთავარმმართებელისათვის ცნობილი გახდა ალექსანდრეს ეს გეგმები და ერთხელ კიდევ სცადა მისი მოთვინიერება. გენერალმა რტიშჩევმა უფლისწულს მისწერა: ღვთის ნებითა და ქართველ მეფეთა სურვილით საქართველო რუსეთმა შეიერთა, შენ კი ამის წინააღმდეგ გამოდიხარ და დახმარებას საქართველოს საუკუნოვან მტრებს სთხოვო. კახეთი შენი მიზეზით განადგურდა, მიზანი კი მაინც ვერ შეასრულე, რადგან ღმერთი არ გწყალობს, გირჩევ, დაგვიზავდე და რუსთა ხელმწიფის წყალობის კალთას შეეფაროო.

რტიშჩევისათვის გაგზავნილ საპასუხო წერილში ალექსანდრე ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ ქართველთა მოქმედება ღვთივკურთხეული და სამართლიანია. ისინი თავისუფლების, ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის იბრძვიან. ეს კი წმინდა საქმეა. ამ მიზნის მიღწევისათვის ამხედრებულმა ქართველობამ მეთაურად მომიწვია და მეც ცხენი შემოვაგელვეო სამშობლო ქვეყნისა და ხალხის დასაცავად. ალექსანდრე ერეკლეს ძე ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ იმ დიდი ომის შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა მისი მეთაურობით რუსეთის ჯარებს გაუმართა, შესაძლებელი გახდებოდა კომპრომისი, უნდოდა დაეჯერებინა, რომ რუსეთის მთავრობა განაახლებდა 1783 წლის ხელშეკრულებას და გამოაცხადებდა იმპერიაში შემავალ ავტონომიურ სამეფოდ საქართველოს. მაგრამ იმპერატორი უკან დახევას, სამართლიანობისაკენ შემობრუნებას არ აპირებდა.

მხარეების მიმოწერა უშედეგოდ დამთავრდა. კალმის ნაცვლად კვლავ ხმალი აელვარდა. 1813 წლის მაისში რუსთა ჯარები ოთხივე მხრიდან შეიჭრნენ ხევსურეთში. ხევსურები თავგანწირვით იცავდნენ ქართველი ერის ღირსებას, ალექსანდრე ერეკლეს ძის სიცოცხლეს. უთანასწორო ბრძოლაში 600 ხევსური დაეცა გმირული სიკვდილით. რუსთა ჯარმა, მართალია აიღო ციხე-სოფელი შატილი, მაგრამ რუსმა გენერლებმა მთავარი მიზანი ვერ შეასრულეს: უკვე ლეგენდად ქცეული უფლისწული ალექსანდრე, ხევსურთა თავადების წყალობით ამჯერადაც გაუსხლტა მდევარს და დაღესტანში გადავიდა. ასე დამთავრდა განმათავისუფლებელი ომის კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ ერთი ეტაპი, მაგრამ ქართველთა ეროვნული მოძრაობა სხვა ფორმით გრძელდებოდა.

დაღესტანსა და ჩრდილო კავკასიის სხვა ქვეყნებში ალექსანდრე ბაგრატიონმა თითქმის 5 წელი გაატარა. აქაური ხალხის დიდი ნდობა და პატივისცემა მოიპოვა. მას შეეძლო რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა დაღესტნელები, ჩეჩნები, ინგუშები და სხვა ტომები, აქედანაც დაემყარებინა კონტაქტი ირანის შაჰთან, ოსმალეთის ხელისუფლებასთან. უფლისწულს იმედი ჰქონდა, რომ კვლავ დაბრუნდებოდა საქართველოში და განაახლებდა ქართველთა განმათავისუფლებელ ომს, შეძლებდა მის გაფართოებას კავკასიური მასშტაბით. რუსეთის მთავრობა და მისი კავკასიელი მოხელენი ასეთ საშიშროებას გრძნობდნენ და ცდილობდნენ ქართველი უფლისწული დაღესტნიდან გამოეტყუებინათ, რუსეთის იმპერატორის მორჩილ ქვეშევრდომად გადაექციათ. რუსული ხელისუფლება განსაკუთრებით შეშფოთდა მას შემდეგ, რაც გახმიანდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოსმალეთის სერასქერები და ფაშები თავისთან ეპატიჟებოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს და სულთნის სახელით ჰპირდებოდნენ იმერეთის სამეფო ტახტზე აყვანას.

რუსმა მოხელეებმა ისიც გაიგეს, რომ ალექსანდრე ერეკლეს ძე აგრძელებდა პოლიტიკური ხასიათის მიმოწერას ირანის ხელისუფლებასთან, რომელიც ვერ ურიგდებოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაკარგვას და რევანშის სურვილით გამსჭვალულს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა გამოყენებაც სურდა. ასე რომ, ალექსანდრე ბაგრატიონის გადაბირებას სამი დიდი სახელმწიფო ერთდროულად ცდილობდა. ალექსანდრეს საშუალება ეძლეოდა შექმნილი სიტუაცია თავის დიდი მიზნის რეალიზებისთვის გამოეყენებინა.

საქართველოს ახალი მთავარმმართებელი გენერალი ერმოლოვი დარწმუნდა, რომ ალექსანდრე ბაგრატიონის მოთვინიერება შეუძლებელი იყო და თავის ქვეშევრდომ მოხელეებს მასთან წერილობითი ურთიერთობა აუკრძალა. ალექსანდრე ბატონიშვილმაც დაკარგა რუსეთის მთავრობის დათმობაზე წაყვანის იმედი და უფრო მტკიცედ დადგა ირან-ოსმალეთის ორიენტაციაზე.

1818 წლის 6 მარტს ალექსანდრეს მიერ ირანელი პოლიტიკოსებისათვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია: ღვთის წყალობით და თქვენგან მიღებული ფინანსური დახმარების შედეგად, მოხერხდა მთელი დაღესტნის ირანის ორიენტაციაზე დაყენება, რუსეთის წინააღმდეგ წარმართვა. ვინც რუსის მხარეს არიან და რუსეთისაგან ჯამაგირს იღებენ, ისინიც კი ჩვენს მხარეს გადმოდიან. დაღესტნელთა ასეთი განწყობილება დროებითი („მარტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეისა და ხვალის") როდია. დაღესტნელების და მათი მეზობელი ტომების ანტირუსული პოზიცია და ორიენტაცია ირანზე მყარი და საბოლოო არისო. ქართველი უფლისწულის დამსახურება ცხადია. მისი წინასწარი ხედვაც სწორი აღმოჩნდა; მალე ამის შემდეგ, დაღესტანსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთში დაიწყო ფართო ანტირუსული (მიურიდიზმის იდეოლოგიურ საფუძვლებზე) მოძრაობა, რომლის დასათრგუნად რუსეთს რამდენიმე ათეული წელი დასჭირდა. ამ უსამართლო, დაპყრობით ომში რუსეთმა მრავალი ათასი ჯარისკაცი დაკარგა.

მშვიდობიანი ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიას საფუძველი ჩაუყარა დავით გიორგის ძე ბაგრატიონმა და გაახმიანა რუსეთის იმპერატორისათვის წარდგენილ „ბარათებში". იმ დროს, როცა ალექსანდრე ერეკლეს ძე სახალხო ლაშქრის სათავეში იდგა და იარაღით იბრძოდა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის, მისმა ძმისშვილმა დავითმა, პირველი ბარათი — „საქართველოს უკეთესი მოწყობის შესახებ" მიართვა ალექსანდრე I-ს (1812 წლის სექტემბერი). უფლისწული სინანულს გამოთქვამდა 1783 წლის ტრაქტატის დარღვევის, 1800 წლის „სათხოვარი პუნქტების" დაუმტკიცებლობის გამო, რასაც მოჰყვა ქართული სახელმწიფოს გაუქმება, ქვეყნის ნორმალური მართვა-გამგეობის მოშლა და გაუთავებელი ანტირუსული აჯანყებები. ყოველივე ამაში დავით ბაგრატიონი ადანაშაულებდა არა რუსეთის იმპერატორს, არამედ ბრალს სდებდა საქართველოს მთავარმმართებლებს, რომლებმაც დაუშვეს დანაშაულის ტოლფასი შეცდომები. დავითი მოუწოდებდა იმპერატორს გამოესწორებინა მის მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაული და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღედგინა ქართლ-კახეთის სამეფო. ალექსანდრე I-მა უსამართლობად მიიჩნია რუს მოხელეთა კრიტიკა და უარყო დავით ბაგრატიონის პროექტი.

1817 წელს დავით ბაგრატიონმა იმპერატორს გაუგზავნა მეორე, გაცილებით დამაჯერებლად დასაბუთებული ბარათი (თხოვნა). მის პრეამბულაში აღნიშნული იყო, რომ საქართველო არცთუ იშვიათად აღიარებდა მეზობელი დიდი სახელმწიფოების უზენაეს ხელისუფლებას, თითქოს ხდებოდა მათი ვასალი, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებდა შიდა დამოუკიდებლობას. ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნიდან საქართველოს ყოველთვის ჰყავდა საკუთარი მეფე, ჰქონდა თავისი კონსტიტუცია (მართვა-გამგეობის სისტემა – ა. ბ.), რომელსაც მფარველი ხელმწიფენი არ არღვევდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ქართველი ხალხი არავისათვის იქნებოდა სასარგებლო „თავის წინანდელი უფლების, თავის კონსტიტუციის გარეშე". პაპაჩემი ერეკლე მეორე ნებაყოფლობით შემოვიდა რუსეთის მფარველობაში; იმპერატორმა პირობა დადო დაეცვა საქართველოს სამეფო ტახტის მი-

მართ ერეკლესა და მის მემკვიდრეთა ღვთიური უფლება; გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ მე სავსებით კანონიერად დავიკავე საქართველოს გამგე-მმართველის თანამდებობა და თქვენი უმაღლესობისგან ველოდი მეფედ დამტკიცების სიგელს, მაგრამ გენერალმა კრონინგმა საქართველოს სამეფო გააუქმა და თბილისში გახსნა რუსული მმართველობაო.

დიდო ხელმწიფევ! აგრძელებდა დავით ბაგრატიონი – თქვენი სახელი ცნობილია მთელ მსოფლიოში, სამართლიანი ბრძანდებით; თქვენ აღადგინეთ და განამტკიცეთ სამეფო ტახტებზე საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიისა და სხვა ქვეყნის მეფენი. ქართველ ბაგრატიონთა დინასტია კი, რომელიც 1266 წელი მეფობდა, ახლა დაკნინებულია და წმინდა უფლების საფუძველზე ელოდება თავის აღდგენას; თუ რუსეთის იმპერატორის ნებით და წყალობით ჩვენი მიზანი აღსრულდა, ბაგრატიონთა გვარი და ქართველი ხალხი მადლობის ნიშნად მუხლს მოიყრის თქვენი უდიდებულესობის წინაშეო.

ღვთიური განგება, საერთაშორისო სამართალი და თანამიმდევრული მსჯელობა ნათლად იკვეთება დავით ბაგრატიონის ბარათებში. მაგრამ ისტორიული ფაქტების და მონარქიული ლეგიტიმიზმის პრინციპის შეხსენება რუსეთის იმპერატორის შემეცნების მიღმა დარჩა: „ყოვლად მოწყალე“ იმპერატორმა არ ინება თავისი სკიპტრის ქვეშ საქართველოს ავტონომიური სამეფოს აღდგენა. მეტიც, იმპერატორის დიდმოხელეებმა მკაცრად გაკიცხეს რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფი გენერალ-ლეიტენანტი უნიადაგო ოცნებისა და ყოვლად მიუღებელი თხოვნის წარდგენის გამო. დავით ბაგრატიონმა, როგორც ჩანს, მწვავედ განიცადა წარუმატებლობა, იმედების დამსხვრევა. 1819 წელს იგი გარდაიცვალა, მაგრამ მისი მოგვარენი და სხვა თანამემამულენი განმათავისუფლებელ ბრძოლას აგრძელებდნენ.

ანტირუსული აჯანყება იმერეთში 1819-1820 წლებში

დასავლეთ საქართველოს სამთავროების ფრიად შეზღუდული ავტონომიური სტატუსით მიერთებისა და იმერეთის სამეფოს იარაღით დაპყრობის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ შეადგინა და დაამტკიცა კანონი, რომელიც აუქმებდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას (ავტოკეფალიას). კათალიკოსი ანტონ II (ბაგრატიონი) გადააყენეს და რუსეთს გადაასახლეს. საქართველოს ეკლესია-მონასტრების გამგებლობა, ქართველი სამღვდელოების „ხელმძღვანელობა“ რუსეთის სინოდმა თავის მოხელე ეგზარქოსს დაავალა. თავდაპირველად ამ თანამდებობაზე დაინიშნა ვარლამ ერისთავი. სასულიერო რეფორმის გატარება იმით დაიწყო, რომ საქარ-

თველოს ეკლესიებისა და მონასტრების მამულები რუსეთის სახელმწიფო ხაზინის გამგებლობაში მოაქციეს, ქართველ სამღვდელოებას ფულად-ეს საკუთარი ეკონომიკური ბაზა, რუსულ ჯამაგირზე გადაიყვანეს. 1815 წელს ჩამოყალიბდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. დასავლეთ საქართველოშიც დაიწყო საეკლესიო რეფორმის გატარება და მიწათმფლობელობის საკითხის გარკვევა; იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსებს, მღვდლებს, მონასტრების წინამძღვრებს მოსთხოვეს სტატისტიკური ცნობები სამღვდელოების ყმა-მამულისა და შემოსავლების შესახებ. საეკლესიო მიწების ყველა მფლობელ-მოსარგებლემ ეჭვით შეხედა ამ ღონისძიებას. ისინი ყოველნაირად აგვიანებდნენ სათანადო მასალის წარდგენას საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში.

რუსეთის ხელისუფლებამ პასიურობის ბრალდებით ვარლამი გადააყენა და საქართველოს ეგზარქოსად დანიშნა პირწავარდნილი რუსიფიკატორი — თეოფილაქტე რუსანოვი. იგი დაუყოვნებლივ შეუდგა ქართულ-ქრისტიანული წყობის რუსული მოდელის მიხედვით გარდაქმნას. იმავდროულად მიზნად დაისახა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო-სამონასტრო მამულების რუსეთის ხაზინის გამგებლობაში ფაქტიურ მფლობელობაში დაჩქარებული ტემპით გადაცემა, რამაც საყოველთაო უკმაყოფილება, კიდევ მეტი — აღშფოთება გამოიწვია. სამღვდელოებისათვის ისიც ცნობილი გახდა, რომ ახალი ეგზარქოსი აპირებდა ეპარქიების შემცირებას, ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილის დახურვას. საეკლესიო-სამონასტრო მამულების და ყმა-გლეხების უძრავ-მოძრავი ქონების აღწერას, თავისი კონტროლის ქვეშ მოქცევას. დაუმორჩილებლობა და აქტიური წინააღმდეგობა საყოველთაო იყო. ეგზარქოსის მოხელეები სოფლებშიც კი არ შეუშვეს, სადაც შეაღწიეს და აღწერა ჩაატარეს, უკან ხელცარიელი გამოუშვეს, აღწერის დავთრები გაანადგურეს.

დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების, თავადაზნაურობის და გლეხობის ანტირუსულ მოძრაობას გამაერთიანებელი, ერთი მიზნისკენ წარმმართველი ბირთვი ჩაუდგა სათავეში, რომელმაც მიზნად დაისახა ამ სამართლიანი, მაგრამ სტიქიური მოძრაობის ორგანიზება, მისი არეალის გაფართოება — 1819 წლის ივლისში იმერეთის წოდებათა წარმომადგენლების კრებამ რაჭის მოსახლეობასაც გაუგზავნა ასეთი წერილი-მოწოდება: ეგზარქოს თეოფილაქტეს და მის მოხელეებს განზრახული აქვთ ჩვენი ეკლესიები დაანგრიონ, წმინდა ნაწილები და სახელგანთქმული ჯვრები ჩამოგვართვან. საშუალებას გვისპობენ ვადიდოთ ქრისტე. თუ ხელუხლებლად და დამოუკიდებლად რჩება სომეხთა, კათოლიკეთა, ებრაელთა და მუსლიმანთა ეკლესია, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ გამონაკლისი? აგარიანთა

ბატონობის დროს არ მოუყენებიათ ჩვენთვის ასეთი შეურაცხყოფა. ახლა განა რა დავაშავეთ რომ ეკლესიებს გვიხურავენ. თუ ჩვენს ქრისტიანულ ქართულ წესებს არ დაგვირღვევენ, ერთგული ვიქნებით რუსეთის ძმაკრატორისა, მაგრამ ხელმწიფისათვის სულის შეწირვა არ შეგვიძლია, ის მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. ამიტომ ჩვენ, ერთად შეკრებილი მღვდელმთავრები, თავადები, აზნაურები და გლეხები ცრემლით შევთხოვთ უფროსებს, ეგზარქოს თეოფილაქტეს მიერ ჩვენდა სამწუხაროდ მოფიქრებული საქმე უარყონ. თუ ამ თხოვნას არ შეგვისრულებენ, სჯობს ამოგვწყვიტონო. ბოლოს იმერლები მოუწოდებდნენ რაჭველებს: მოიქეცით თქვენი ქებული პატიოსნების შესაფერისად, ნუ მისცემთ პასუხს გამოგზავნილ აღმწერებს, გაისტუმრეთ უკან გაწბილებული, როგორც ჩვენ გავისტუმრეთ, ნუ მიუშვებთ თეოფილაქტეს მოხელეებს ნურც მღვდლებამდე და ნურც ხალხამდე. საჭიროა ამ წმინდა საქმეში ერთად ვიმოქმედოთო.

რაჭველები თავიდანვე შეიმართნენ სამართლიანობისათვის საბრძოლველად. რა თქმა უნდა, იმერელთა მოწოდებასაც გამოეხმაურნენ. შეიკრიბნენ ეკლესიებში, ფიცი დადეს ერთსულოვან მოქმედებაზე. მღელვარება გურიასამეგრელოსაც მოედო. იმერეთის რუსმა მმართველმა ზემდგომ ინსტანციას აუწყა: „აჯანყება საყოველთაოა. ჩვენს მხარეს არავინ დარჩა. გურულები და მეგრელები მზად არიან იმერლებთან ერთად იბრძოლონ. აფხაზებიც ალბათ ამ გზას დაადგებიან. მთავრების ერთგულებაც საეჭვოა. მათ საამისო ძალა არ გააჩნიათ, რომ წინ აღუდგნენ საერთო მოძრაობას“.

ამ დროს მთავარმმართებელი ერმოლოვი თბილისში არ იმყოფებოდა. მისმა დროებითმა შემცვლელმა, გენერალმა ველიამინოვმა საყვედურებით ააკსო იმერეთის მმართველი, საქმე რატომ მიიყვანე აჯანყებამდეო. მან თითქოს გამოასწორა ზოგიერთი შეცდომა: ბრძანება გასცა საეკლესიო მამულების აღწერის შეჩერების შესახებ; აჯანყების უშუალო მიზეზი თეოფილაქტე რუსანოვი იმერეთიდან გაიწვია; ხალხის დამშვიდება პროკლამაციითაც სცადა, მაგრამ ბევრი არაფერი გამოუვიდა. მოსახლეობას ეჭვი ეპარებოდა რუსული ხელისუფლების კეთილგანზრახვაში. მართალია, მოძრაობის მეთაურებმა გლეხთა საგრძნობი ნაწილი შეიარაღებული რაზმებიდან გაუშვეს სასოფლო სამეურნეო სამუშაოთა ჩასატარებლად, მაგრამ კვლავ გრძელდებოდა ხალხის ხატზე დაფიცება: თავადი, აზნაური, მღვდელი, ბერი და გლეხი პირობას დებდა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ერთსულოვნად შეიმართებოდა საომრად, წმინდა საქმის წარმატებისათვის თავს დადებდა.

1819 წლის მიწურულს შეიარაღებული შეტაკებები მოხდა. რაჭველ აჯანყებულთა რაზმებმა მათ მიწაზე მდგარი რუსული ჯარის ნაწილი და-

ამარცხეს, ბლოკადაში მოაქციეს. მაიორმა ცაცკამ გენერალ ერმოლოვის ბრძანება ვერ შეასრულა, ბლოკადა ვერ გაარღვია, ვერ შეძლო თავის ბატალიონის ქუთაისში ჩაყვანა. იმერეთის შეშინებული მმართველი კურნატოვსკი ერმოლოვს ატყობინებდა, რომ აჯანყებულთა ლაშქარი საერთო შეტევისათვის ემზადებოდა.

ქართული ქრისტიანული ეკლესიის შევიწროების გამო დაწყებული მოძრაობის მიზანი გაფართოვდა, აჯანყების მეთაურებმა წინ წამოსწიეს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პრობლემა. მათ სულაც არ მიაჩნდათ აუცილებლად იმერელი ბაგრატიონის გამეფება, მეფობის ღირსეულ კანდიდატს ქართლ-კახეთის ბაგრატიონთა შტოშიც ეძებდნენ; ერთიანი ქართული მონარქიული სახელმწიფოს აღდგენაზე მსჯელობდნენ. მცირე ნაწილი მხარს უჭერდა გამეფებას ივანე აბაშიძისა, რომელიც სოლომონ I-ის ასულ დარეჯანისაგან იყო შობილი; უმრავლესობა კი მოითხოვდა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ შეუპოვარი მეომრის, ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონის გამეფებას — ირანში კიდეც გაიგზავნა დელეგაცია უფლისწულთან მოსალაპარაკებლად.

ალექსანდრე ბაგრატიონმა ნდობა და თანხმობა გამოუცხადა ეროვნული მოძრაობის ამ ახალი კერის მეთაურებს და იმთავითვე სცადა მჭიდრო კავშირი დაემყარებინა იმერელ და გურულ თავადებთან. წერილებით მიმართა გურიისა და სამეგრელოს მთავრებს, სცადა ეროვნულ აჯანყებაში ჩაება რუსეთის ერთგული მამია გურიელი და გრიგოლ დადიანი. ეს კი არ აღმოჩნდა ადვილი საქმე და ამიტომ იმერეთისკენ გამომგზავრება დაუგვიანდა. ასეთ პირობებში იმერეთის გავლენიანმა თავადებმა მეფედ გამოაცხადეს სოლომონ I-ის შვილიშვილი ივანე აბაშიძე.

დასავლეთ საქართველოს პატრიოტები და მათ შორის ივანე აბაშიძეც, ვარაუდობდნენ, რომ თუ ანტირუსულ აჯანყებას სათავეში ჩაუდგებოდა ალექსანდრე ბაგრატიონი, მოძრაობის არეალი გაფართოვდებოდა, საერთო-ქართული და საერთო-კავკასიური მასშტაბით გაიშლებოდა. სამეგრელოსა და გურიის მთავრები, რუსეთის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას ვერ ბედავდნენ (სიფრთხილეს იჩენდნენ), მაგრამ არც მათ და არც სამთავროების მოსახლეობას არ აკმაყოფილებდა ვასალური მდგომარეობა, იმპერატორისაგან დროებით ნაბოძები მეტისმეტად შეზღუდული ავტონომია, და ხელსაყრელ სიტუაციაში შესაძლებლად მიაჩნდათ ბრძოლა ფართო ავტონომიისა და საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვისაც კი. ერთი რუსული დოკუმენტიდან ჩანს, რომ რუსულ დაზვერვას უმუშავია საქართველოში და პარალელურად ახალციხის საფაშოშიც. დაუდგენია, რომ ანტირუსული ძალები 1820 წლის გაზაფხულზე აპირებდნენ საერთო აჯანყების დაწყ-

ებას; გურიელმა, დადიანმა და იმერელმა თავადებმა ერთობლივი წერილი გაუგზავნეს თურქეთის სულთანს და ალექსანდრე ბაგრატიონს, ერისთავებს-ტებს (დაზვერვის მოხელეებს) ისიც შეუმჩნევიათ, რომ იმერლები გაძალებით ემზადებოდნენ ომისათვის, იმარაგებდნენ თოფებს და ტყვია-წამალს; ქუთათელმა მიტროპოლიტმა თურმე სულ დააცარიელა თავისი არსენალი, მომავალ მეომრებს დაურიგა თოფები, დამბაჩები, ხმლები; სახალხო ლაშქარი განმათავისუფლებელი ომის დაწყების სიგნალს ელოდებოდა.

ასეთი ინფორმაციის მიღების შემდეგ მთავარმმართებელმა ერმოლოვმა და მისმა ხელქვეითებმა ამჯობინეს მოქმედება დაესწროთ და დასაპატიმრებელთა სიაში შეიყვანეს სოლომონ პირველის ასული, ივანე აბაშიძის დედა დარეჯანი, ივანე აბაშიძე, მიტროპოლიტი ქუთათელი, მიტროპოლიტი გენათელი, არქიმანდრიტი გრიგოლი, მღვდელი გუგსაძე; თავადები — ბეჟან წერეთელი, სეხნია წულუკიძე, დავით მიქელაძე, გრიგოლ ჩხეიძე. დაპატიმრებულნი უნდა გადაესახლებინათ რუსეთში. 1820 წლის მარტში, პირველ ყოვლისა დააპატიმრეს იმერეთის მიტროპოლიტები და გადაიყვანეს ქართლში, იქიდან რუსეთის გზას გაუყენეს, რამაც საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ადრე დაწყებული შეიარაღებული ბრძოლა გაცილებით ფართო მასშტაბით გაგრძელდა. კვლავ აქტიურობდნენ რაჭველები. რაჭაში გაშლილ მოძრაობასთან დაკავშირებით, იმერეთის მმართველი პუზირევსკი ზედა ინსტანციას აცნობებდა, რომ იქ, კარგა ხანია მიმდინარეობს შეიარაღებული ჯანყი და ახლა აუცილებელიაო რაჭის მცხოვრებთა სამაგალითო დასჯა.

ვიდრე დამსჯელი ექსპედიცია ფართო მასშტაბით ამოქმედდებოდა, თავისუფლებისათვის ბრძოლის ცეცხლი თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. რაჭველებმა ქუთაისისკენ აიღეს გეზი; ქაიხოსრო გურიელის რაზმმა შემოქმედთან გაანადგურა რუსთა ასეული, ბრძოლაში დაიღუპა თვით იმერეთის მმართველი პოლკოვნიკი პუზირევსკი. გურია-სამეგრელოს მთავრები თითქოს რუსეთის იმპერატორის ღალატს არ აპირებდნენ, მაგრამ ამ რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეროვნულ მოძრაობას შეუერთდა; აჯანყების ცენტრი იყო იმერეთი. მეფედ გამოცხადებული ივანე აბაშიძე ხშირად იცვლიდა ადგილს; თავისი რაზმით ჯერ რაჭველებს შეუერთდა, ლეჩხუმელებიც გაამხნევა, ბოლოს ქაიხოსრო გურიელის რაზმთან ერთად გააგრძელა ომი.

მეფედ და მთავარსარდლად მიწვეული ალექსანდრე ბაგრატიონი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბრძოლის ველზე ვერ ჩავიდა, აჯანყებულთა რაზმების სრული კონცენტრაცია ვერ მოხერხდა. გენერალ ერმოლოვის მიერ დასავლეთ საქართველოში გაგზავნილმა მრავალრიცხოვანმა ჯარმა ცალ-

ცალკე გაანადგურა ეროვნული აჯანყების კერები იმერეთში, რაჭაში, გურიაში. რუსმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა დაანგრიეს სოფლები, ჯანყის ბალ-ვენახები. რაჭაში ტყვედ აყვანილი 70 კაციდან, ათი ადგილზე ჩამოახრჩვეს, ხალხის შეშინების მიზნით. ოფიციალურად გამოცხადებულმა ტერორმა ფართო მასშტაბი მიიღო. ოდნავ მოგვიანებით, გენერალი ერმოლოვი და მისი ჯალათი ხელქვეითნი იმპერატორისათვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში თავს იქებდნენ იმით, რომ უმოწყალოდ დათრგუნეს, დასაჯეს ხალხი, აოხრებული რეგიონების მოსახლეობა დიდი ხნის განმავლობაში ვერ აღიდგენდა ადრინდელ კეთილდღეობას. უკიდურესი სიღარიბე იქნებოდა მისი სასჯელი.

ამგვარად, არც 1819-1820 წლების აჯანყება დაწყებულა სტიქიურად. ამ განმათავისუფლებელ ომსაც ჰყავდა სულიერი მეთაურები და საერო-სამხედრო წინამძღოლები. კვლავ ისმოდა ქართული მონარქიული სახელმწიფოს აღდგენის იდეა. ბაგრატიონთა საგვარეულო ამჯერადაც მოიაზრებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოდ. ალექსანდრე ერეკლეს ძეს დაუსწრებლად ეპყრა განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა, სოლომონ I-ის შვილიშვილი ივანე აბაშიძე კი ფიზიკურად იბრძოდა.

ასე ჩათავდა ქართველი ერის განმათავისუფლებელი ომების ოცწლიანი ისტორია. ყველა აჯანყება მარცხით დამთავრდა, ყველას დიდი მსხვერპლი და მატერიალური ზარალი მოჰყვა. მაგრამ ქართველი ხალხი სულით არ დაცემულა, მისი ეროვნული ენერგია არ ამოწურულა, განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩვენი ისტორიის მომდევნო პერიოდშიც გრძელდებოდა.

ქართველ პატრიოტთა ფარული საზოგადოება. ანტირუსული შეთქმულება და აჯანყების მცდელობა 1832 წელს

XIX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე საქართველოს განთავისუფლებისა და ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ ოქროპირ გიორგის ძე და დიმიტრი იულონის ძე ბაგრატიონები, ასევე მათთან დაკავშირებული პატრიოტთა დასი. პეტერბურგსა და მოსკოვში სხვადასხვა მიზნით ჩასული ქართველები (ძირითადად ახალგაზრდები) ბატონიშვილების ოჯახებში იყრიდნენ თავს. დიმიტრი ბაგრატიონის ბინაში ხშირად იკრიბებოდნენ ელიზბარ, ზაქარია და დიმიტრი ერისთავები, ალექსანდრე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ლუარსაბ და ივანე ჩოლოყაშვილები, გაბრიელ მამაცაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, ესტატე ჯავახიშვილი, სოლომონ რაზმაძე და სხვები. ურთიერთობა ბაგრატიონთა გვარის ახალი თაობის ამ წარმომადგენლებთან, რომელნიც რუსეთის დედაქალაქების კულტურული ცხოვრების ცენტრში ტრიალებ-

დნენ და დასავლური იდეებითაც სულდგმულობდნენ, დადებით გავლენას ახდენდა მათი ახალგაზრდა სტუმრების პოლიტიკურ მსოფლმხედველობასა და ეროვნულ სულისკვეთებაზე.

ოქროპირ და დიმიტრი ბაგრატიონებიც იმ აზრის იყვნენ, რომ რუსეთის მთავრობამ დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები, 1783 წლის მფარველობით-სამოკავშირეო ტრაქტატი შეცვალა რუსეთთან საქართველოს შეერთების მანიფესტით და მოსპო ქართული სახელმწიფო. მათი აზრით, რუსეთის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის პარალელურად აუცილებელი იყო საგარეო ძალის გამოყენებაც. ბატონიშვილებსა და მათ თანამოაზრეებსაც სჯეროდათ, რომ ინგლისის, საფრანგეთის და სხვა დიდ სახელმწიფოთა მთავრობებს შეეძლოთ დათმობაზე წაეყვანათ რუსეთის ხელისუფლება, აეძულებინათ იგი, 1783 წლის ტრაქტატის უფლებრივ ნორმათა საფუძველზე აღედგინა საქართველოს ეროვნული სახელმწიფო.

რუსეთში ჩასახულმა პროგრესულმა მოძრაობამ, კერძოდ დეკაბრისტების გამოსვლამ, როგორც ჩანს, ააჩქარა ქართველ პატრიოტთა პულსი. ოქროპირ და დიმიტრი ბაგრატიონების თაოსნობით ფარული საზოგადოების კერები უკვე 1826 წელს გაჩნდა პეტერბურგსა და მოსკოვში. 1828 წელს ფარული საზოგადოება ჩამოყალიბდა თბილისში. პატრიოტ შეთქმულთა დასი თანდათან გააქტიურდა, შეადგინა საზოგადოების წესდება, დასახა მოქმედების გეგმა, პოლიტიკური პროგრამა. საზოგადოების მიზანი გახდა ქართველი ხალხის მომზადება განმათავისუფლებელი ომისათვის, რომლის შედეგი უნდა ყოფილიყო ეროვნული სახელმწიფოს აღორძინება.

შეთქმულთა სულისკვეთებას კარგად გადმოგვცემს გრიგოლ ორბელიანის ლექსის შთამბეჭდავი სტროფი: „მე თავისუფლებისათვის სული მარადის მიკვნესის და ეს ოცნება დღედაღამ, ვითა აჩრდილი თან მდევნის..., ხმა საიდუმლო მარადჟამს მეჩურჩულების მე ყურსა, ჟამი არს მტერი მამულის მივცეთ მახვილსა ლესულსა“.

შეთქმულთა საზოგადოების ყველა წევრი, რა თქმა უნდა, ასეთი რადიკალური განწყობის არ იყო. ზოგს, იხსენებდა რა ადრინდელ აურაცხელი მსხვერპლით დამთავრებულ ანტირუსულ აჯანყებებს, დიდი უბედურების მომტანად მიაჩნდა ახალი განმათავისუფლებელი ომის დაწყება. მაგალითად, დიდი პატრიოტი გენერალი, აფხაზი, აცხადებდა რომ, ასი წელი მაინც უნდა ვიყოთ რუსეთის შემადგენლობაში მშვიდად, ავმაღლდეთ ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად. ქართველი საზოგადოება ამ ხნის განმავლობაში შეძლებს ახალი ეპოქისათვის ფეხის აწყობას და ბოლოს ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენასაცო.

ასეთი გადაჭარბებული სიფრთხილე და შორეული მომავლისათვის გა-

დადებული თავისუფლება ფარული საზოგადოების უმრავლესობას არ აკმაყოფილებდა. გრიგოლ ორბელიანის აზრით, ქართველ ხალხს ამ დროს შეეძლო თავისუფლებისათვის წარმატებული ბრძოლა, აღდგენილი სახელმწიფოს შენარჩუნება და სრულყოფა. მოპოვებული დამოუკიდებლობის დაცვას, გრიგოლ ორბელიანის განცხადებით, ისიც გააადვილებდა, რომ ირან-ოსმალეთის მმართველმა წრეებმა შეიგნეს თავიანთი შეცდომა (პერმანენტული შემოსევებით რომ გვაიძულეს რუსეთის სახიფათო მფარველობაში შესვლა); თუ საქართველო აღდგა, ეს ჩვენი მეზობლები აღარ შეგვიქმნიან ისეთ მდგომარეობას, რომ დახმარებისათვის ისევ რუსეთს მივმართოთ და საქართველო ამ აგრესიული სახელმწიფოს გეოსტრატეგიულ პლაცდარმად გადავაქციოთ, რაც საფრთხეს შეუქმნის არა მარტო ირან-ოსმალეთს, არამედ დასავლეთ ევროპასაც. შეთქმულთა შორის იყვნენ დავით ბაგრატიონის იდეისა და პოზიციის მომხრენიც. ალექსანდრე ორბელიანს მიზანშეწონილად მიაჩნდა, ფარულ საზოგადოებას იმპერატორისთვის წარედგინა დამაჯერებლად დასაბუთებული თხოვნა საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს აღდგენის შესახებ.

ერთი სიტყვით, XIX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში სამი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება გამოიკვეთა: მოსახლეობის მცირე ნაწილი შეურიგდა რუსეთთან საქართველოს შეერთებას. მას სასარგებლოდ მიაჩნდა იმპერიული ხელისუფლების ქვეშევრდომობაში ყოფნა. მეორე ნაწილის იდეალი იყო 1783 წლის რუსეთ-საქართველოს მფარველობით — სამოკავშირეო ხელშეკრულების აღდგენა და ამის მიღწევას მშვიდობიანი გზით ვარაუდობდა; გათვითცნობიერებული ქართველი საზოგადოების უმრავლესობა შეიარაღებული ბრძოლის ტაქტიკას ემხრობოდა. მათი აზრით, აჯანყების გარეშე ავტონომიის აღდგენაც კი ვერ მოხერხდებოდა, მით უმეტეს შეუძლებელი იყო სრული დამოუკიდებლობის მოპოვება.

შეთქმულთა საზოგადოებაში მესამე მიმართულება დომინირებდა. წევრთა დიდი უმრავლესობა ფარული საზოგადოების ძირითად ამოცანად თვლიდა ანტირუსული ომისათვის მომზადებას, სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას, ეროვნული სახელმწიფოს შექმნასა და სრულყოფას. აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა მხოლოდ ქართული სახელმწიფოს ფორმისა და სტრუქტურის განსაზღვრის საკითხებში.

ფარულ საზოგადოებაში ძირითადად თავადაზნაურობა გაერთიანდა. ასეთდე შეთქმული თავისთავად ბევრს ვერაფერს გააკეთებდა, მხოლოდ ტერორისტული აქტების განხორციელებას შეძლებდა, ამიტომ, ისინი ცდილობდნენ ეროვნული მოძრაობისათვის ფართო ხასიათი მიეცათ და

განმათავისუფლებელ ომში მოსახლეობის ყველა ფენა ჩაებათ. შეთქმულნი განსაკუთრებით დიდ იმედს გლეხობაზე ამყარებდნენ. ვარაუდობდნენ, ანტირუსულ მოძრაობაში თბილისელ და სხვა ქალაქების ხელოსანთა ჩაბმასაც. ფაქტები ნათელი მოწმობა იყო იმისა, რომ XIX საუკუნის პირველი მესამედის საქართველოში, მართალია, არსებობდა სოციალური წინააღმდეგობანი, მაგრამ საერთო მჩაგვრელი ძალის, რუსეთის დიდმპყრობელურ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობაში ყველა სოციალური ძალა მონაწილეობდა. შეთქმულნი ვარაუდობდნენ, რომ მათ მიერ მომზადებული განმათავისუფლებელი ომიც საერთო-ეროვნული, საერთო-სახალხო ხასიათისა იქნებოდა.

ცარიზმის რუსიფიკატორულ-კოლონიურ პოლიტიკას შეთქმულთა იდეოლოგი, სოლომონ დოდაშვილი მთელი ქართველი ერის სახელით აკრიტიკებდა, მთელი ხალხის ინტერესების დამცველად გამოდიოდა. მაგრამ მას განსაკუთრებით აწუხებდა უნუგეშო მდგომარეობა გლეხობისა, რომელიც სიღარიბის, რუსული ენისა და კანონების უცოდინარობის გამო ყველაზე მეტად იჩაგრებოდა. აუტანელი სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები, რუს მოხელეთაგან აბუჩად აგდება, მისი კაცური და ეროვნული ღირსების შეურაცხყოფა იყო გლეხთა უკმაყოფილება-ჯანყის მიზეზი XIX საუკუნის პირველ ოცეულში და იგივე მიზეზები მოქმედებდა მომდევნო პერიოდში. სოლომონ დოდაშვილი და შეთქმულთა საზოგადოების სხვა წევრები ინფორმაციას ფლობდნენ გლეხობის განწყობილების შესახებ და მომავალ ანტირუსულ ომში მის აქტიურ ჩართვას ელოდებოდნენ.

შეთქმულთა საზოგადოების ლიდერები — ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი და სხვა აქტიური წევრები ცდილობდნენ ანტირუსული აჯანყების არეალის გაფართოებას, მის გადაქცევას საერთო-კავკასიურ განმათავისუფლებელ ომად. მასში აზერბაიჯანელების, სომხების, ჩრდილოკავკასიელი ტომების ჩაბმას; აგრეთვე კონტაქტების დამყარებას რუსეთის იმპერიის სხვა დაჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

შეთქმულთა საზოგადოებამ კავშირი დაამყარა ანტირუსული ომების ყველაზე სტაჟიან და გამოჩენილ ორგანიზატორთან, ალექსანდრე ბაგრატიონთან და ახალი ანტირუსული აჯანყების მეთაურობა მას შესთავაზა. საზოგადოება ალექსანდრე ერეკლეს ძის მეშვეობით ვარაუდობდა თავისი მიზნისათვის ირან-ოსმალეთის გამოყენებას. შეთქმულებს იმის იმედიც ჰქონდათ, რომ რუსეთის გავლენა-გაძლიერებით შეშფოთებული ინგლისი და საფრანგეთი დესანტს გადმოსხავდნენ შავი ზღვისპირეთში და რუსეთს ამიერკავკასიის საზღვრებს დაატოვებინებდნენ.

1830 წელს პოლონეთში იფეთქა ანტირუსულმა აჯანყებამ, რამაც ქართველი შეთქმულნი დიდად გაახარა. ამ მომენტში პოლონელთა სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებას დაუკავშირეს ფარული საზოგადოების სამოქმედო გეგმა. რუსულმა პოლიციამ შეამჩნია და მოგვიანებით დააფიქსირა, რომ „პოლონეთის აჯანყების გაფართოებასთან ერთად ძლიერდებოდა აქაურ ბოროტგანმზრახველთა საზოგადოების ანტირუსული საქმიანობა". პოლონელთა სახალხო ლაშქრის მიერ ვარშავის აღების შემდეგ, ქართველმა შეთქმულებმა გადაუდებელ საქმედ მიიჩნიეს აჯანყების დაწყება; კვლავ გაგზავნეს დესპანი ალექსანდრე ბაგრატიონთან, სთხოვეს დაეჩქარებინა საქართველოში ჩამოსვლა; იმავდროულად გაავრცელეს ინფორმაცია ირანის ჯარის სამხრეთ კავკასიაში შემოჭრის შესახებ, რაც რუსულმა ხელისუფლებამ ჭეშმარიტებად მიიჩნია და ირანის საზღვრებისაკენ რამდენიმე პოლკი გაგზავნა. განმათავისუფლებელი ომის დაწყებისათვის თითქოს ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა, მაგრამ მოულოდნელად გაჟღერდა სამწუხარო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოლონელთა ლაშქარი დამარცხდა და რუსებმა ვარშავა აიღეს. ასეთ ვითარებაში ანტირუსული ომის დაწყება აღარ იყო მიზანშეწონილი და შეთქმულებმა აჯანყება უფრო ხელსაყრელ მომენტამდე გადადეს.

1832 წელს ფარული საზოგადოების სააჯანყებო საქმიანობა კვლავ გაძლიერდა. მოამზადეს სახალხო ლაშქრის ორგანიზაციული საფუძვლები, შეიმუშავეს სასწავლო ბატალიონისა და საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელთა (500 კაცი) აჯანყებაში ჩაბმის გეგმა. იმავდროულად შეთქმულებმა სცადეს ალექსანდრე ბაგრატიონის მეშვეობით დაჰკავშირებოდნენ ეგვიპტის ფაშას და ჩეჩნეთ-დაღესტნის ეროვნული მოძრაობის მეთაურს, ყაზიმოლას. დაინიშნა ანტირუსული ომის დაწყების თარიღი, შეადგინეს ე. წ. „პირველი ღამის განკარგულება".

შეთქმულების ლიდერებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს აჯანყების დაწყება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს დეპუტატებისა და წინამძღოლთა (მარშლების) არჩევნების დღეს, როცა თბილისში ჩამოვიდოდა თავადაზნაურობა მრავალრიცხოვან თანმხლებთან ერთად. ეს არჩევნები, მთავრობის განკარგულების თანახმად, უნდა ჩატარებულიყო 1832 წლის 20 ნოემბერს. შეთქმულთა გეგმით ამ დღეს არჩევნების დამთავრების შემდეგ ლუარსაბ ორბელიანის სახლში უნდა გამართულიყო ბანკეტი, რომელზეც მოიწვევდნენ მთავარმმართებელს, სამხედრო და სამოქალაქო დიდმოხელეებს; ღამის პირველ საათზე შუშხუნებით მიცემულ ნიშანზე დაიწყებოდა „პირველი ღამის განკარგულების" შესრულება: ბანკეტის ვითომდა მონაწილე შეიარაღებული შეთქმულნი დაატყვევებდნენ (წინააღმდეგობის

გამწევთ მოკლავდნენ) მთავარმმართებელს და მის მოხელეებს. ამის შემდეგ შეიარაღებული რაზმები დაიკავებდნენ ქალაქის სტრატეგიულ ობიექტებს: დაეუფლებოდნენ არსენალს, ყაზარმებს, ყველა ხელსაყრელ პოზიციას. თათრის მოედანზე გაიმართებოდა ეროვნული დემონსტრაცია, რომელიც შეიერთებდა ქალაქის ყველა ასაკოვან მოსახლეობას. თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონში გავრცელდებოდა სოლომონ დოდაშვილის მიერ შედგენილი მოწოდება: „ქართველ ხალხს ყოველთვის ჰქონდა საკუთარი ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება. საქართველოს ჰყავდა ყოვლის დროსა თავის ხელმწიფე და არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არც მონა, ვითარცა დღეს არის მამული ესე ჩვენი. სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა... ხოლო აწ ვხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა. რაისთვის არს ესრეთ. ნუთუ ჩვენ არ ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთა, ნუთუ ჩვენ არ ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა... მაშ რაისათვის ცოცხალ ვართ“...

სახალხო ლაშქრის ავანგარდული ნაწილის მიერ თბილისში მოპოვებული პირველი გამარჯვების შემდეგ, შეთქმულთა საზოგადოების მაცნენი და წარმომადგენლები რეგიონებში გადავიდოდნენ, მოსახლეობას აუწყებდნენ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე საქართველოშია და ვითარცა მეფე და მთავარსარდალი საყოველთაო მობილიზაციას აცხადებს, ყველას თავის დროშის ქვეშ უხმობს; ქართველი დესპანები გაიგზავნებოდნენ აგრეთვე აზერბაიჯანში, დაღესტანში, სხვა ქვეყნებში და შეეცდებოდნენ ანტირუსული ომისათვის მიეცათ საერთო-კავკასიური მასშტაბი; ყველგან ერთდროულად უნდა აღემართათ განმათავისუფლებელი მახვილი, რათა რუსთა ჯარის გარნიზონების გაერთიანება არ დაეშვათ, ცალ-ცალკე დაემარცხებინათ ისინი.

რუსეთის მოხელეებისა და ჯარის განდევნის შემდეგ ახალი ამოცანები დაისახებოდა. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა თავდაცვის სისტემის შექმნას: ჩაიხერგებოდა დარიალის ხეობა, შავი და კასპიის ზღვების პირზე განლაგდებოდა შეიარაღებული რაზმები. დიდ სახელმწიფოებში გაგზავნილი დესპანები წარადგენდნენ თხოვნას იმის შესახებ, რომ არ დაეშვათ რუსეთის აგრესიის განმეორება.

წინასწარ შედგენილი გეგმა-პროექტი ითვალისწინებდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას კონსტიტუციური მონარქიის ფორმით. სახელმწიფოს სიმბოლური მეთაური იქნებოდა მეფე (ჯერ ალექსანდრე ბაგრატიონი, შემდეგ მისი მემკვიდრენი). შეთქმულთა საზოგადოება აპირებდა პოლონეთისა და ფინეთის გამოცდილების გამოყენებას. სეიმი (პარლამენტი) აღიჭურვებოდა საკანონმდებლო უფლებამოსილე-

ბით; მინისტრთა კომიტეტს მიეცემოდა აღმასრულებელი ხელისუფლება; მისი თავმჯდომარე ერთხანს იქნებოდა თვით მეფე; სამხედრო მინისტრად დაინიშნებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძე, ფინანსთა — ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, შინაგან საქმეთა — კონსტანტინე მუხრანბატონი, საგარეო საქმეთა — ბებუთაშვილი, სახალხო განათლების მინისტრად იაგორ ჭილაშვილი. მაზრების მართვა-გამგეობისათვის ჩამოყალიბდებოდა სამდივნოები (თვითმმართველობის მაგვარი ორგანოები), რომლებშიც არჩევის გზით გავიდოდნენ თავადაზნაურობის, სამღვდელოებისა და დაბალი ფენების წარმომადგენლები.

განმათავისუფლებელი ომის დაწყება 1832 წლის 20 ნოემბერს გამართლებული ჩანდა იმიტომაც, რომ მთავარმმართებელი როზენის (და იმავდროულად კავკასიაში მდგარი რუსეთის ჯარის მთავარსარდლის) ბრძანებით იმ დროს რუსული ჯარის ძირითადი ნაწილი დაღესტანში ლაშქრობდა. შეთქმულნი ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ ზამთრის პირობებში რუსეთიდან დამატებითი შეიარაღებული ძალების გადმოყვანა გაძნელდებოდა და გაზაფხულამდე აჯანყების წარმატებით დაგვირგვინების იმედი ჰქონდათ. მაგრამ 20 ნოემბერს არჩევნების ჩატარება არ მოხერხდა, თარიღმა გადაიწია და მის შესაბამისად შეიცვალა აჯანყების დაწყების დროც. თარიღების შეცვლა კიდევ ორგზის გამეორდა. ამასობაში მოვლენათა გეგმის მიხედვით განვითარებას წერტილი დაუსვა ფარული საზოგადოების ერთერთმა წევრმა იასე ფალავანდიშვილმა, რომელიც საკუთარმა ძმამ, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა ნიკოლოზმა დაარწმუნა იმაში, რომ შეთქმულნი ქვეყანასაც დაღუპავდნენ და თავიანთ თავსაც. ტრაგედიის თავიდან აცილება შეიძლებოდა მხოლოდ შეთქმულების გაცემით. იასე ფალავანდიშვილმა ეს მოღალატური აქტი ჩაიდინა 1832 წლის 9 დეკემბერს. ორ-სამ დღეში შეთქმულთა საზოგადოების თითქმის ყველა წევრი დააპატიმრეს. გამოძიებისა და რეპრესიების ქვეშ მოექცა 145 კაცი. ოპტიმიზმი ნაადრევი აღმოჩნდა. შეთქმულთა საზოგადოებამ დიდი ეროვნული მისია ვერ შეასრულა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ვერ აღადგინა.

რუსეთის კავკასიურმა ადმინისტრაციამ სამწუხარო გამოცდილებით იცოდა, თუ რას ნიშნავდა ქართველთა აჯანყება და იმის ვარაუდიც შეეძლო, რაოდენ დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა ახალი განმათავისუფლებელი ომი. მთავარმმართებელი და მისი მოხელენი ძალიან კმაყოფილი დარჩნენ იმით, რომ აჯანყების დაწყებამდე გაანადგურეს შეთქმულთა საზოგადოება და იმთავითვე სცადეს მისი მნიშვნელობის შემცირება; შეთქმულება-აჯანყების გეგმა გამოაცხადეს ფუქსავატი ქართველი თავადაზნაურობის უნი-

ადაგო ოცნებად, რომელსაც არ შეეძლო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოზიციების შერყევა ოდნავადაც კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მასშტაბს მიიღებდა და რა შედეგს მოიტანდა ქართველთა ახალი განმათავისუფლებელი ომი, ამის შესახებ მსჯელობა ძნელია. შეთქმულთა საზოგადოების საქმიანობის ანალიზი იმ დასკვნის საფუძველს კი გვაძლევს, რომ XIX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე საგრძნობლად ამაღლდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თეორიული და ორგანიზატორული დონე, დაიხვეწა საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფოს ფორმისა და მისი სტრუქტურების შესახებ; ნათლად გამოიკვეთა კონსტიტუციურ მონარქისტული, მკრთალად კი — რესპუბლიკური მიმართულება, დამკვიდრდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი II

საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა XIX საუკუნის 30-50-იან წლებში. ცვლილებები რუსულ მმართველობაში

მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა და წოდებათა ურთიერთობის ფორმები

XIX საუკუნის პირველ მესამედში რუსეთის ცარიზმა ქართველი ხალხისადმი აღთქმული მშვიდობა ვერ დაამყარა. რუსეთის ომები ირან-ოსმალეთთან კვლავ გრძელდებოდა, სახალხო აჯანყებები არ წყდებოდა. დამსჯელი ექსპედიციების თარეშის შედეგად ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად ნადგურდებოდა. მდგომარეობა უკეთესობისაკენ რამდენადმე შეიცვალა მომდევნო 20-30 წლის გამავლობაში.

თავადაზნაურობა

სოციალურ-ეკონომიკურად გაბატონებული ეს წოდება საქართველოს მოსახლეობის 5%-ს შეადგენდა. მაღალმა წოდებამ XIX საუკუნეშიც შემოაბიჯა არაერთგვაროვანი ფენის სახით. კვლავ რჩებოდა გრადაცია: თავადი თავისი პრივილეგიებით და ეკონომიკური შეძლებით გაცილებით მაღლა იდგა აზნაურზე. აზნაურთა საგრძნობი ნაწილი პიროვნულად და ეკონომიკურად თავადთა დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

რუს მოხელეთა კასტამ თავადაზნაურობაც დაჩაგრა და შეაკიწროვა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ამ წოდების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში მოქცევა. რუსულმა ხელისუფლებამ თითქოს თავიდანვე სცადა თავადაზნაურული ოპოზიციის აღმოფხვრა. მისი ზოგიერთი წარმომადგენელი მიიწვიეს მრჩევლებად რუსულ ადმინისტრაციასა და სასამართლოში. 1803 წელს იმპერატორის ნებართვით, მთავარმმართებელმა ციციანოვმა თავადაზნაურობას უბოძა წოდებრივი თვითმმართველობა: მაღალ წოდებას უფლება მიეცა თავის ყრილობაზე აერჩია საგუბერნიო და სამაზრო წინამძოლები, რუსული ადმინისტრაციის და

სასამართლოს ქართველი მოხელეები (ე. წ. მრჩევლები). წინამძღოლებისა და თავადაზნაურთა საკრებულოს ძირითად ფუნქციას შეადგენდა მემამულეთა შორის აღმოცენებული ქონებრივი და სხვაგვარი დავის გარჩევა, აზნაურობის მაძიებელთა წოდებაში დამტკიცება, რუსეთის ხელისუფლებისა და ქართველ თავადაზნაურთა ურთიერთობაში არბიტრის როლის შესრულება. თავადაზნაურთა პირველმა კრებამ ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა წინამძღოლად, ე. ი. წოდებრივი თვითმმართველობის მეთაურად აირჩია გარსევან ჭავჭავაძე. აირჩიეს აგრეთვე სამაზრო წინამძღოლები და თავადაზნაურთა საკრებულოს დეპუტატები.

თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობა ზოგჯერ ბედავდა ადგილობრივ რუს მოხელეთა კრიტიკას. 1810 წელს თვითმმართველობის ლიდერები იმპერატორს მოახსენებდნენ: თქვენი ერთგული ვართ, მაგრამ აქაური მოხელეების ყველა მოქმედებას ვერ მოვიწონებთ; მათ ზომაზე მეტად დაბეგრეს გლეხები სასურსათო გადასახადით და საგზაო-სატრანსპორტო ვალდებულებებით. აუცილებელია ამ ბეგარის შემცირებაო. იმპერატორს იმასაც სთხოვდნენ, დამნაშავედ მიჩნეულ თავადაზნაურთა მემკვიდრეებს მიწა-წყალს ნუ ჩამოართმევენ და ხელუხლებელი დატოვონ საეკლესიო მამულებიცო.

იმპერატორმა თითქოს სამართლიანობის დაცვა მოითხოვა, მაგრამ მისი მოხელეები ამის შემდეგაც აგრძელებდნენ უსამართლო რეპრესიებს, ოპოზიციური თავადაზნაურობისა და სამღვდელოების ხარჯზე თანდათან ზრდიდნენ სახაზინო მიწის ფონდს. დადებითი ის იყო, რომ რუსულმა ხელისუფლებამ დააკმაყოფილა აზნაურთა თხოვნა და ისინი უფლებრივად თავადებს გაუთანაბრა, ყმა აზნაურებს თავისუფლება მიენიჭა.

საქართველოს მაღალი წოდება უფლებრივად გათანაბრდა. გაიზარდა აზნაურთა როლი წოდებრივ თვითმმართველობაში. მაგრამ 1840 წლის ადმინისტაციულმა რეფორმამ თითქმის სრულიად გამოდევნა ქართველთა წარმომადგენლობა მმართველობის სისტემიდან. რაკი ქართველი მრჩევლისა და მსაჯულის თანამდებობა გაუქმდა, ბუნებრივია, თავადაზნაურთა საკრებულოს მოეხსნა მათი არჩევის ფუნქცია. მის კომპეტენციაში დარჩა მხოლოდ შინაწოდებრივ ურთიერთობათა დარეგულირება. ისედაც შეზღუდული წოდებრივი თვითმმართველობის კიდევ უფრო შეზღუდვამ თავადაზნაურთა პროტესტი გამოიწვია, 1840-1848 წლებში წინამძღოლთა და დეპუტატთა არჩევნებიც კი აღარ ჩატარებულა. მხოლოდ მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა შეძლო ქართველ თავადაზნაურთა ამ თავისებური ბოიკოტის აღმოფხვრა, მაღალი წოდების მოთვინიერება. ვორონცოვის ხელმძღვანელობით 1845 წელს ჩამოყალიბდა წოდებრივი თვითმმართველობის

ახალი წესდება, რომელიც დასავლეთ საქართველოზეც გავრცელდა. დაკანონდა ქართველი თავადაზნაურობის უფლება თავისი წრიდან აერჩია საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამღვდელოება

საქართველოს რუსეთთან მიერთების და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ სამღვდელოების მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. დაბალი სამღვდელოება, მართალია, ყმური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდა, რაც პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ მისი დიდი ნაწილი, ეპარქიებისა და საეკლესიო მსახურთა შემცირების გამო, უადგილოდ დარჩა. კიდევ უფრო უარყოფითი შედეგი მოჰყვა საეკლესიო მამულების ჯერ რუსული ხელისუფლების გამგებლობაში, მოგვიანებით კი რუსეთის ხაზინის საკუთრებაში გადასვლას. ქართველმა სამღვდელოებამ დაკარგა საკუთარი ეკონომიკური ბაზა და სახელმწიფო ჯამაგირზე გადასულს ერთხანს გაუჭირდა ეროვნული ინტერესების სამსახური. მოგვიანებით ბევრი მღვდელმთავარი ოპოზიციაში ჩაუდგა რუსეთის ხელისუფლებას.

გლეხობა

ფეოდალური საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი სოციალური ფენა შინაგანი დიფერენციერებით, კატეგორიების სიმრავლით ხასიათდებოდა; იყვნენ სახასო, საეკლესიო და საბატონო გლეხები. მათგან ზოგი მკვიდრი იყო, ზოგი ნასყიდი, ნაწყალობევი, თავშეწირული და სხვაგვარი წარმომავლობისა. რუსული ხელისუფლების დამყარების შედეგად ბევრ გლეხს პატრონი და ბატონი შეეცვალა, ზოგსაც კატეგორია და ყმური ვალდებულება.

XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში, ქართველ მეფეთა და უფლისწულთა დამოკიდებულებაში მყოფი გლეხები, რუსეთის სახელმწიფოს (სახაზინო) გლეხებად იქცნენ. რუსეთის ხაზინის უწყებაში გადაირიცხნენ აგრეთვე ანტირუსულ აჯანყებებში მონაწილე თავადაზნაურთა ყმა გლეხები. ოდნავ მოგვიანებით რუსეთის სახელმწიფო ხაზინას დაუქვემდებარეს საეკლესიო გლეხები. 50-იან წლებში სახელმწიფო გლეხები შეადგენდნენ საქართველოს გლეხური მოსახლეობის თითქმის 50%-ს. რუს მოხელეებს უჭირდათ ნატურალურ გადასახადთა აკრეფა, ხშირი იყო კონფლიქტები, სისხლიანი შეტაკებებიც. XIX საუკუნის 30-იან წლებში მთავრობამ მოახდინა ნატურალური გადასახადების კომუტაცია (ფულზე გადაყვანა), რითაც, რა თქმა უნდა, სახაზინო გლეხთა მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

საბატონო ბეგარა-ვალდებულებანი თითქმის უცვლელი დარჩა. ყმა გლეხებს მძიმე ტვირთად აწვა საადგილმამულო ვალდებულებანი, ანდა ნატურალურ გადასახადს (რენტას) და დადგენილი დღეების განმავლობაში მუშაობდნენ ბატონის მეურნეობაში (შრომითი რენტა). გლეხებს დაკისრებული ჰქონდათ პირადი ვალდებულებანიც: მათ საშობაო, საადგომო, საქორწინო და სხვაგვარი ძღვენი უნდა მიერთმიათ ბატონებისათვის.

რუსეთის ხელისუფლება, მართალია, პოლიტიკური მოსაზრებით, პრივილეგიური წოდების ინტერესებს იცავდა, მაგრამ რაკი თავადაზნაურთა დიდი ნაწილი ანტირუსულ აჯანყებათა მონაწილე და ზოგჯერ ინიციატორიც კი იყო, მთავრობის ადმინისტრაცია, არცთუ იშვიათად, გლეხობას ესარჩლებოდა, რითაც სოციალურ წინააღმდეგობებს კიდევ უფრო ამწვავებდა და ანტირუსული მოძრაობის ერთიანობისათვის ძირის გამოთხრას ლამობდა. 1836 წლის კანონის ძალით, თუ მებატონეს არ გააჩნდა მათი ფლობის საბუთი, გლეხს შეეძლო საჩივარი აღეძრა და თავისუფლება სასამართლოს დადგენილებით მოეპოვებინა. ძალიან მალე თხოვნა-საჩივრებით აივსო ყველა ინსტანციის სასამართლოები. ამით უკმაყოფილო თავადაზნაურობამ მთავრობისგან კატეგორიულად მოითხოვა ბოლო მოეღო გლეხობის თვითნებობისათვის. რამდენიმე წლის შემდეგ მთავრობამ შეშფოთებული მაღალი წოდება იმით დააწყნარა, რომ გამოსცა სხვა კანონი, რომელიც ყმა გლეხს მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევდა სასამართლოში საქმის აღძვრის უფლებას, თუ წარადგენდა თავისუფლების დამადასტურებელ საბუთს, რაც იშვიათი მოვლენა იყო.

ამ კანონმა დაძაბული სიტუაცია ვერ განმუხტა. გლეხები ანტიბატონყმური მოძრაობის სხვა ფორმებზე გადავიდნენ. უარს ამბობდნენ არა მარტო საბატონო, არამედ სახელმწიფო გადასახადებზეც. ბევრი გლეხი თვითნებურად გარბოდა სასტიკი მებატონის მამულიდან. გახშირდა ყაჩაღობა-აბრაგობა. რუსული ადმინისტრაცია იარაღით იცავდა ხაზინის და მებატონეთა ეკონომიკურ ინტერესებს. ზოგიერთ სოფლებში დამსჯელ რაზმებს გზავნიდა, ეგზეკუციას აყენებდა.

ადმინისტრაციული რეფორმა

უკვე ითქვა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს შეერთება-დაპყრობა განხორციელდა ოკუპაციის სახით და რუსეთის ე. წ. კავკასიის სამხედრო ხაზის სარდალი გამოცხადდა საქართველოს მთავარმმართებლად. როცა რუსეთის ბატონობის არეალი გაფართოვდა, მას ამიერკავკასიის მთავარმმართებელი ეწოდა. მხარე დაიყო მაზრებად, რომელთა სათავეში რუსი კაპიტან-ისპრავნიკები ჩააყენეს. რუსულ სამხედრო მმართველობას ხალხი ვერ შეეგუა,

პროტესტით შეხვდა. თვით რუსი დიდი მოხელეები აღიარებდნენ, რომ ბახალხო აჯანყებათა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მმართველობის ნაკლოვანებანი, კაპიტან-ისპრავნიკების და მათ ხელქვეითთა ბოროტმოქმედება იყო.

რუსი მოხელეების უმრავლესობა, მმართველობის უვარგისობას იმაში ხედავდა, რომ რუსულ სამხარეო ადმინისტრაციასა და სასამართლოში გარკვეული ადგილი დაუთმეს ვახტანგ VI-ის დროინდელ კანონებს, ქართულ საადათო სამართალს და მუსლიმანურ ადათ-წესებსაც. 1831 წელს მთავარმმართველმა პასკევიჩმა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ს წარუდგინა სამხრეთ კავკასიის მართვა-გამგეობის მთლიანად რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის პროექტი. პასკევიჩის შემცვლელმა გენერალმა როზენმა ასეთი გარდაქმნა ნაადრევად მიიჩნია. 1833 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოსთან შეიქმნა კავკასიის კომიტეტი, რომელსაც დაევალა ამ მხარისათვის ადმინისტრაციული კანონის მოშზადება. 1837 წელს თბილისში ჩამოვიდა ამ კომიტეტისაგან დაკომპლექტებული კომისია განის მეთაურობით, მან მცირე კორექტივები შეიტანა პასკევიჩის პროექტში და დასამტკიცებლად იმპერიის ცენტრში გაგზავნა.

კანონპროექტის განხილვაში ჩაერია თვით იმპერატორი. ნიკოლოზ I-მა ამიერკავკასიის მთავარმმართველ გოლოვინს დაავალა, გაემიჯნა სამოქალაქო საქმეები სამხედროსაგან. ცალკე ჩამოეყალიბებინა სამოქალაქო მოხელეებისაგან დაკომპლექტებული დაწესებულებები. 1840 წლის 10 აპრილს კანონი დამტკიცდა და ამოქმედდა მომდევნო წლის იანვარში. ამიერკავკასიის ადმინისტრაციის სათავეში რჩებოდა მთავარმმართველი (რომელიც კავკასიის კორპუსის სარდალიც უნდა ყოფილიყო). მას ეკისრებოდა საშუამავლო ფუნქცია ამიერკავკასიის გუბერნიებსა და რუსეთის სამინისტროებს შორის. მთავარმმართველთან შეიქნა კოლეგიური სახელისუფლებო ორგანო — საბჭო. მხარე გაიყო 2 გუბერნიად და 19 მაზრად.

ამგვარად 1841 წელს ამიერკავკასიაში შეიქმნა სამსაფეხურიანი მმართველობა: 1) მთავარი სამმართველო, რომელსაც განასახიერებდნენ მთავარმმართველი და საბჭო. 2) საგუბერნიო და 3) სამაზრო სამმართველოები. მთავარმმართველი უფლებამოსილებით გათანაბრებული იყო რუსეთის შიდა გუბერნიების გენერალ-გუბერნატორთან. მაგრამ იმის გამო, რომ ამიერკავკასია განაპირა მხარე იყო და ეთნიკური სიჭრელითაც გამოირჩეოდა, მთავარმმართველს რამდენადმე გადამეტებული უფლება დაუკანონდა: მას შეეძლო გაეუქმებინა საგუბერნიო დაწესებულებათა დადგენილებანი, გადაეყენებინა თანამდებობის პირები, საგანგაშო მდგომარეობის პირობებში არ დალოდებოდა ზემოდან მითითებას და ყველა შესაძლო ზომა გამოეყენებინა სიტუაციის განმუხტვისათვის.

ახალმა ადმინისტრაციულმა კანონმა მხარეში წესრიგი ვერ დაამყარა, პირიქით, გამოიწვია ხალხის უკმაყოფილება. 1841 წელს გურიაში ანტირუსული აჯანყებაც კი მოხდა. ნიკოლოზ I-მა დაადგინა კავკასიის განსაკუთრებული ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა, მისი მმართველობის სადავეების თავისი ნაცვლისათვის ჩაბარება. 1844 წელს მეფისნაცვლად კავკასიაში მიხეილ ვორონცოვი დაინიშნა. იგი წინა მმართველებზე უფრო განათლებული, გამოცდილი და მოქნილი ადმინისტრატორი იყო. მიხეილ ვორონცოვმა სამხრეთ კავკასიაში შექმნა 5 გუბერნია, ჩამოაყალიბა თბილისის, ქუთაისის, განჯის, ბაქოსა და ერევნის საგუბერნიო სამმართველოები. გუბერნიაში შემავალ მაზრების უფროსებს ძირითადად საპოლიციო ფუნქციები დაეკისრა.

რამდენიმე ათეულ წელს ამიერკავკასიას ჰქონდა თავისებური ადმინისტრაციული ავტონომია, რომლის სათავეში იდგა რუსეთის მეფისნაცვალი. იგი არაფერს ეკითხებოდა მინისტრებს, თავის სახელმწიფოებრივი საქმიანობის ანგარიშს მხოლოდ იმპერატორს აბარებდა. 1857 წელს მეფისნაცვლად კავკასიაში ფელდმარშალი ალექსანდრე მიხეილის ძე ბარიატინსკი გამოიგზავნა. ჩრდილოკავკასიელ მთიელთა განმათავისუფლებელი მოძრაობის დამთრგუნველი და შამილის დამატყვევებელი ფელდმარშალი ბარიატინსკი დიდი ნდობით და პატივისცემით იყო აღჭურვილი. მან კავკასიის მართვა-გამგეობის ახალი დებულება (კანონი) შეადგინა, რაც კიდევ უფრო აფართოებდა მეფისნაცვლის უფლება-კომპეტენციას. ამ დებულების შესაბამისად კავკასიის სამეფისნაცვლოს მთავარმმართებლობა შედგებოდა საერთო საქმეთა, საფინანსო საქმეთა, სახელმწიფო ქონებისა და სასამართლო დაწესებულებათა დეპარტამენტებისაგან. ბარიატინსკი კავკასიის თითქმის სრულუფლებიანი მმართველი გახდა. იგი ფინანსთა სამინისტროსაგან დამოუკიდებლად ადგენდა მხარის შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტს და კონტროლს უწევდა მის შესრულებას.

ფელდმარშალი ბარიატინსკი მეფისნაცვალის უფლებამოსილების ესოდენ გაფართოებას კავკასიელი ხალხებისათვის დათმობის, მათი ინტერესების დაცვის ფაქტად აცხადებდა. მაგრამ კავკასიის ადმინისტრაციულ ავტონომიას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა დადებითი მნიშვნელობა, თუ მეფისნაცვალი და მისი მოხელეები ანგარიშს გაუწევდნენ ადგილობრივი ეთნოსების ზნე-ჩვეულებას და ტრადიციებს, არ შეზღუდავდნენ ეროვნულ ენებს, კულტურებს, მიზნად დაისახავდნენ მოსახლეობის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობა და უკონტროლობა ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა ადგილობრივი რუსი მოხე-

ლების თვითნებობისა და ბოროტმოქმედებისათვის. ამ კითხვებზე ახლო მომავალს უნდა გაეცა პასუხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის საგარეო ომები და საქართველო

XIX საუკუნის პირველ მესამედში რუსეთმა ორგზის დაამარცხა ირანი. დაეუფლა ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილს. 1829 წელს გაფორმებული ადრიანოპოლის ზავით რუსეთმა საგრძნობლად შეავიწროვა ოსმალეთიც. რუსეთის ხელში გადმოვიდა ქალაქი ფოთი და მიმდებარე ტერიტორია, ახალციხე, ახალქალაქი. გამუსლიმანებული სამცხე-ჯავახეთის ქრისტიანულ საქართველოსთან ადმინისტრაციულ გაერთიანებასაც კი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამას თან ახლდა ჩრდილოვანი მხარეც. ოსმალურმა პროპაგანდამ და რუსეთის ქრისტიანულმა პოლიტიკამ გამოიწვია მუსლიმანი ქართველების თურქეთს გადასახლება და ქრისტიანი სომხების სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლება. 1830 წელს ამ რაიონში აღირიცხა 25 ათასი სომეხი და მხოლოდ 12 ათასი ქართველი. ამ პერიოდში რუსეთმა ვერ შეძლო აჭარისა და ბათუმის შემოერთება, მაგრამ მოახერხა გურიის სტატუსის შეცვლა; მთავრის ხელისუფლება გაუქმდა, გურიაში დამყარდა რუსული მმართველობა.

1833 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. თურქეთმა ივალდებულა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოებისათვის ჩაეკეტა ბოსფორ-დარდანელის სრუტეები, გართულებული სიტუაციების დროს, მათი გემები არ შემოეშვა შავ ზღვაში. ამ უთანასწორო და უსამართლო გარიგებამ გამოიწვია ინგლის-საფრანგეთის პროტესტი. 1840-1841 წლების კონვენციებით ოსმალეთზე დამყარდა ე. წ. „კოლექტიური პროტექტორატი". მაგრამ 1848-1849 წწ-ების რევოლუციების დროს რუსეთმა ევროპის ჟანდარმის როლი შეასრულა, რამაც აამაღლა ამ სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟი. ნიკოლოზ I-ის აზრით, დადგა ხელსაყრელი მომენტი ოსმალეთის წინააღმდეგ ახალი ომის დაწყებისათვის.

დასავლეთ ევროპა რომ ნეიტრალურ პოზიციაზე დაეყენებინა, რუსეთის იმპერატორმა 1853 წელს ინგლისს შესთავაზა ოსმალეთის სამფლობელოების განაწილების კომპრომისული გეგმა: რუსეთი თავისთვის მოითხოვდა დუნაისპირა სამთავროებს, კონსტანტინეპოლსა და ბოსფორ-დარდანელის სრუტეებს, ხოლო ინგლისს ეგვიპტესა და კუნძულ კრეტას უთმობდა. ინგლისს თავისი წილი ეცოტავა და შეთავაზებულ გეგმაზე უარი თქვა, იმ მომენტში ამჯობინა ოსმალეთის იმპერიის „გადარჩენა". ინგლისის მხარეს დადგა საფრანგეთიც. რუსეთის იმპერატორი უკან დახევას არ აპირებდა. ამავე წელს სულთანს მოსთხოვა ეცნო რუსეთის პროტექტორატი ოსმალე-

თის იმპერიის ქრისტიანულ მოსახლეობასა და წმინდა ადგილებზე. ინგლის-საფრანგეთის მთავრობების მიერ დახმარების გაწევით დამოძღვერებულმა სულთანმა უარყო რუსეთის ულტიმატუმი. ამის პასუხი იყო რუსეთის მიერ ოსმალეთისათვის ომის გამოცხადება (1853 წ.).

საომარი ოპერაციების გაშლის წინ საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე განლაგებული ოსმალეთის 100-ათასიანი არმია ინგლისური იარაღით იყო აღჭურვილი. თურქთა სარდლობა უპირატესობას გრძნობდა და შეტევა წამოიწყო. გურიის ტერიტორიაზე, შეკვეთილის საგუშაგოსთან თურქებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს, თითქმის მთლიანად ამოხოცეს რუსული გარნიზონი და გურულ მოხალისეთა რაზმი. ახალციხესთან მომხდარ მეორე ბრძოლაში გენერალ ივანე ანდრონიკაშვილის სარდლობით მოქმედმა რუსთა ჯარმა და ქართულმა მილიციამ დაამარცხა გაცილებით მრავალრიცხოვანი თურქული ჯარი. რუს-ქართველთა შეერთებულმა ჯარებმა კიდევ უფრო დიდი გამარჯვება მოიპოვეს 1854 წლის 19 ნოემბერს ყარსთან გამართულ ბრძოლაში.

1855 წლის ივნის-ივლისში, ოსმალეთმა ინგლის-საფრანგეთის საზღვაო ფლოტის დახმარებით უზარმაზარი დესანტი გადმოსხა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ომერ ფაშა აქედან სამეგრელოს მიმართულებით ამხედრდა. დიდი ბრძოლები მოხდა მდინარე ენგურის გასწვრივ, რუხისა და ნარმანიოს გადასასვლელებთან. გენერალმა ივანე მუხრან-ბატონმა უთანასწორო ბრძოლა არ გააგრძელა, უკან დაიხია რუს-ქართველთა ჯარის ნაწილებით ცხენისწყლის პირზე, მარანის მიდამოებში გამაგრდა. ომერ ფაშამ სამეგრელო დაიკავა და დავით დადიანის ქვრივს, ეკატერინეს (ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს), ზავი და მეგობრული კავშირი შესთავაზა. მაგრამ დედოფალმა რუსეთს უერთგულა, თვით ჩაუდგა სათავეში სახალხო ლაშქარს და მტერს პარტიზანული ომი გაუმართა.

ამასობაში ყირიმში მიმდინარე ბრძოლები დამთავრდა. ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა აიღეს სევასტოპოლი და სხვა ციხესიმაგრეები. რუსებმა რევანში კავკასიის ფრონტზე აიღეს — ყარსის ციხე-ქალაქს დაეუფლნენ. ომერ ფაშამაც მარცხი განიცადა და სამეგრელოდან თავისი ჯარის ნაწილები გაიყვანა. 1856 წლის 18 მარტს დადებული ზავის თანახმად ინგლისმა და საფრანგეთმა ყირიმი რუსეთს დაუბრუნეს, მაგრამ არ მისცეს მას ოსმალეთის ტერიტორიების მითვისების უფლება, აგრეთვე, დაატოვებინეს ყარსი და სხვა ტერიტორიები.

ყირიმის ომის დროს დასავლეთ საქართველოში შექმნილმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ რუსეთის ხელისუფლება იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საგარეო გართულების დროს ავტონომიური სამთავროების სრუ-

ლიად ფორმალური არსებობაც კი შეიძლება საშიში გამხდარიყო რუსეთის ბატონობისათვის ამ რეგიონში. ზავის დადებისთანავე მის წინაშე დაესვა სამეგრელოსა და აფხაზეთის ავტონომიების გაუქმების საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსმა მოხელეებმა 1857 წელს სამეგრელოში ატეხილი გლეხთა აჯანყება მთავრის „უნიათო" ხელისუფლებას გადააბრალეს. ბარიატინსკიმ იმპერატორისაგან გამოითხოვა სამეგრელოს სამთავროს გაუქმების უფლება და კიდეც მიიღო დასტური. 1857 წლის 26 სექტემბრის რესკრიპტით სამეგრელოს „დროებით" მმართველად გენერალი კოლუბიაკინი დაინიშნა. ფაქტობრივად ეს მოასწავებდა სამეგრელოს ავტონომიის გაუქმებას, რაც იურიდიულ-სამართლებრივად დადასტურდა 1867 წელს, როცა უკვე სრულწლოვან ნიკოლოზ დადიანს უარი ათქმევინეს მთავრის სტატუსზე და თავად მინგრელსკად გადანათლეს.

1857 წელსვე რუსულმა ხელისუფლებამ საბაბად გამოიყენა დადეშქელიანთა ორ შტოს შორის ატეხილი დავა და აშკარად ჩაერია სვანეთის სამთავროს საშინაო საქმეებში. სვანეთში რუსული პოლკი გაიგზავნა. კონსტანტინე დადეშქელიანი ნებაყოფლობით დაემორჩილა პოლკოვნიკ უსლარს. მიუხედავად ამისა, ყოფილ მთავარს უნდობლობა გამოუცხადეს, მშობლიურ კუთხეში უბრალო მემამულედაც კი არ დატოვეს და საცხოვრებლად ერევნის გუბერნია მიუჩინეს. როცა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გაგარინმა ეს დადგენილება კონსტანტინე დადეშქელიანს გააცნო (1857 წლის 27 ოქტომბერი), ამ უკანასკნელმა სვანეთში დროებით წასვლის ნებართვა გამოითხოვა. გაგარინმა ამაზე უარი უთხრა, რასაც კონსტანტინეს მწვავე პროტესტი მოჰყვა. გენერალ-გუბერნატორმა ბრძანა ყოფილი მთავრის მოთვინიერება და განიარაღება. მოთმინებიდან გამოსულმა კონსტანტინე დადეშქელიანმა სატევრით განგმირა გაგარინი, მოკლა აგრეთვე მისი ორი მოხელე და გაიქცა. სვანეთის დევნილი მთავარი მალე დაატყვევეს და დახვრიტეს, მისი მამულები რუსეთის ხაზინის საკუთრებად გამოაცხადეს. მალე მთავრის უფლებაზე უარი ათქმევინეს დადეშქელიანთა მეორე სახლის მეთაურს, თენგიზსაც. სვანეთის სამთავრო გადაიქცა საბოქაულოდ, რომელსაც შეუერთეს რუსეთის ხელისუფლების მიერ ადრე (1839 წ.) დამორჩილებული სვანეთი.

სამეგრელოსა და სვანეთის ბედი აფხაზეთმაც გაიზიარა. მეფისნაცვალმა გენერალმა მურავიოვმა, ჯერ კიდევ 1856 წელს მიხეილ შერვაშიძეს „ღალატი" დასწამა და დასვა აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხი. ამ დროს აფხაზეთის ჩრდილოეთით ომი გრძელდებოდა. რუსეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის დაპყრობა. მიხეილ შერვაშიძე დიდი გავლენით სარგებლობდა უბიხებს, ჯიქებსა

და ჩერქეზებს შორის. მურავიოვის შემცვლელმა ფელდმარშალმა ალექსანდრე მიხეილის ძე ბარიატინსკიმ მიზანშეწონილად მიიჩნია აფხაზეთის მთავართან ნორმალური ურთიერთობის გაგრძელება და მისი გამოყენება ხსენებულ ტომთა დამორჩილების საქმეში.

1859 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარებმა აიღეს ციხესიმაგრე ღუნიბი და დაატყვევეს შამილი. 1864 წელს უბიხებმა, ჩერქეზებმა და სხვა ტომებმაც შეწყვიტეს წინააღმდეგობა. კავკასიის დაპყრობისათვის 60 წელს მიმდინარე ბრძოლა დასრულდა და აფხაზეთის სამთავროს არსებობის უკანასკნელი დღეებიც იწურებოდა.

1864 წლის მარტში მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა იმპერატორს მოახსენა, აფხაზეთის ავტონომიური სამთავროს გაუქმების დრო დადგაო. ამის შემდეგ მიხეილ შერვაშიძეს ურჩიეს, ნებაყოფლობით ეთქვა უარი მთავრის ხელისუფლებაზე. მან ურჩობა არ ინება და თვითონვე „მიულოცა“ აფხაზეთის მოსახლეობას რუსული მმართველობის შემოღება. მიუხედავად ამისა, რუსულმა ხელისუფლებამ სახიფათოდ მიიჩნია ყოფილი მთავრის აფხაზეთში დატოვება და რაკი იგი ნებაყოფლობით არ წავიდა აფხაზეთიდან, „სახელმწიფოს ღალატი“ გაუხსენეს და 1864 წლის ნოემბერში ავადმყოფი მთავარი რუსეთს გადაასახლეს. ამ აქტით დაასრულა რუსეთმა საქართველოსა და მთელი კავკასიის დაპყრობა.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა. კაპიტალიზმის განვითარების პირველი ეტაპი

XIX საუკუნის პირველ მესამედში რუსეთის ცარიზმი ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა საქართველო რუსული სამრეწველო პროდუქციის გამსაღებელ ბაზრად გადაექცია. ამით იყო განპირობებული სამხრეთ კავკასიაში შეღავათიანი საგარეო-სავაჭრო ტარიფის დაწესება (1821 წ.), ამ რეგიონში დასავლეთ ევროპის კაპიტალისათვის მოქმედების თითქოს სრული თავისუფლების მინიჭება. საქართველო გადაიქცა სატრანზიტო გზად. საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა ირანიდან და შუა აზიიდან დასავლეთში გაზიდული საქონლის რაოდენობა. საგარეო-სატრანზიტო ვაჭრობაში აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისელი, გორელი და ქუთაისელი ვაჭრები, რის შედეგადაც სავაჭრო მოგების რაღაც ნაწილი საქართველოში რჩებოდა. ეს ხელს უწყობდა არა მარტო საშინაო სავაჭრო ბრუნვის გაფართოებას, არამედ ამზადებდა პირობებს სავაჭრო კაპიტალის წარმოებაში დაბანდებისათვის. 1831 წელს, მართალია, შეღავათიანი სავაჭრო ტარიფი გაუქმდა და საქონლის ტრანზიტი თითქმის მთლიანად შეწყდა, მაგრამ ქართველმა კომერსანტებმა დროულად შეძლეს ორიენტაციის შეცვლა და სავაჭრო ოპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციები დასავლეთ ევროპიდან რუსეთში გადაიტანეს. მათი კომერციული საქმიანობის ძირითად პუნქტებად გადაიქცა მოსკოვი, ნიჟნი ნოვგოროდი, ოდესა, ტაგანროგი, ფეოდოსია და სხვა ქალაქები.

დადებითი ძვრები საქართველოს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში შესამჩნევი გახდა XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან. დასავლეთ საქართველოში მარცვლეული კულტურების ძირითადი სახეობა იყო სიმინდი, რომელიც თანდათან სასაქონლო-სავაჭრო ხასიათს იძენდა. XIX საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოდან დასავლეთ ევროპაში ყოველწლიურად გაჰქონდათ 1 მილიონი ფუთი სიმინდი, კიდევ მეტი იყიდებოდა შიდა ბაზარზე, უფრო სწრაფად იზრდებოდა მევენახეობა-მეღვინეობის მასშტაბი — ამ დარგმა სასაქონლო-სავაჭრო ხასიათი მიიღო კახეთში. ვენახების ფართობი იზრდებოდა ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რაიონშიც, მაღლდებოდა მეცხოველეობის მნიშვნელობა. წინ მიდიოდა მეაბრეშუმეობა. აბრეშუმის ძაფის საგრძნობი ნაწილი უცხოეთში გაჰქონდათ.

იცვლებოდა მეურნეობის ფორმები, შრომის ორგანიზაცია. მართალია, სახელმწიფო ხაზინა და თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი ტრადიციის ერთგული იყო — თავად მიწის თითქმის მონოპოლიური მესაკუთრენი იყვნენ, მაგრამ მიწის დამუშავების „მონოპოლიას" გლეხებს უთმობდნენ და სამაგიეროდ მათგან ღალას (მიწის რენტას) იღებდნენ. სიახლე თითქოს ის იყო, რომ თავად-აზნაურნი თანდათან აფართოებდნენ საკუთარ მეურნეობას, მემამულეთა ზვრებისა და ხოდაბუნების სასაქონლო პროდუქცია თანდათან იზრდებოდა, მაგრამ გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხურ მეურნეობებს. 196 ათასი გლეხური კომლი აწარმოებდა პურის, სიმინდის, ხორცის, ხილის, ღვინოს და სხვა პროდუქტების 70-80%-ს, რომლის საგრძნობი ნაწილი ბაზარზე გადიოდა.

XIX საუკუნის 40-50-იან წლებში აღმავლობისა და ზრდა-განვითარების ტემპი შედარებით მაღალი იყო მრეწველობის სფეროში. თვისებრივი ცვლილებები ხდებოდა შიდამრეწველობასა და ხელოსნობაში. ჩნდებოდა მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციისა და მანუფაქტურული ხასიათის საწარმოები.

1844 წელს საქართველოს სოფლებში აღირიცხა 4 ათასზე მეტი საქსოვი დაზგა. შიდამრეწველთაგან დამზადებული ბამბა, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების უფრო დიდი ნაწილი თვით ოჯახში მოიხმარებოდა, მაგრამ პროდუქციის 30-40% ბაზარზე გადიოდა გასაყიდად. შეიმჩნეოდა სოფლის სახელოსნოების რაოდენობრივი ზრდისა და თვისებრივი გარდაქმნის ტენდენცია. 1845 წელს აღირიცხა 2800 ხელოსანი ოსტატი, რომელთაც დაქირავებული ჰყავდათ 2500 მუშა.

ხელოსნური წარმოების ყველაზე მსხვილი ცენტრი იყო თბილისი. 1855 წელს ამ ქალაქში, საქმიანობდა 2 ათასზე მეტი ოსტატი ხელოსანი, 4 ათასამდე ქარგალი, შეგირდი და დაქირავებული მუშა. ქალაქელი ხელოსნები გაერთიანებული იყვნენ ამქრულ ორგანიზაციებში (თბილისში არსებობდა 60-70 ამქარი). თანდათან იზრდებოდა ამქარგარეშე ხელოსანთა კონტინგენტი, რომელსაც ძირითადად რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან მოსული ხელოსნები ავსებდნენ. მათ შემოჰქონდათ ხელოსნობის ახალი დარგები (საკონდიტრო წარმოება, ძეხვის დამზადება, მეთუნუქეობა, მკინძაობა, ეტლების დამზადება, მეკასრეობა და სხვა). მიმდინარეობდა ხელოსანთა დიფერენციაცია: ძლიერდებოდა წვრილ ხელოსანთა გაკოტრების, დაქირავებულ მუშებად გადაქცევის ტენდენცია. ოსტატთა მცირე ნაწილი ახერხებდა სახელოსნოების გამსხვილებას, თანდათან მზარდი რაოდენობით იყენებდა დაქირავებულ მუშახელს.

მსხვილი სახელოსნოები კაპიტალისტური მანუფაქტურული საწარმოს სახეს იღებდა. ზოგიერთ მანუფაქტურებში, მართალია, იყენებდნენ მანქანებს და კვალიფიციურ სპეციალისტებს, მაგრამ მრეწველობაში ჯერ კიდევ ხელით შრომა დომინირებდა.

XIX საუკუნის 50-იან წლებში მარტო თბილისში ითვლებოდა 3 ათასი ვაჭარი. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საგარეო ვაჭრობაშიც. თელავში საქმიანობდა 250 ვაჭარი; სიღნაღში — 200, გორში — 65-100 ვაჭარი.

მშვიდობიანობის დამყარებამ და კაპიტალისტური წარმოების ჩასახვა-განვითარებამ ხელი შეუწყო მოსახლეობის გამრავლებას. გამოიკვეთა მეორე ტენდენციაც: ცხადი გახდა ქალაქის მოსახლეობის უფრო სწრაფი ზრდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე. 1821-დან 1861 წლამდე საქართველოს მთელი მოსახლეობა თითქმის გაორმაგდა და მიაღწია მილიონ ას ოთხმოცა ათას ადამიანს. ქალაქების მოსახლეობა გასამმაგდა, გადააჭარბა 150 ათასს. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების დონით და მოსახლეობის რაოდენობით მკვეთრად გამოირჩეოდა თბილისი. 1821 წელს დედაქალაქში ითვლებოდა 16 ათასამდე მკვიდრი მცხოვრები, 1860 წელს — დაახლოებით — 60 ათასი, ახალმოსულებთან, ქალაქში ჯერ კიდევ ჩაუწერელ მაცხოვრებლებთან ერთად კი 90 ათასს აჭარბებდა. მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა აგრეთვე ქალაქებში — ქუთაისი, ფოთი, სოხუმი, ახალციხე, გორი, თელავი და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი III

ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის კრიზისი. ბურჟუაზიული რეფორმების გატარება საქართველოში

სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავება. გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა

უშუალო მწარმოებელ მოსახლეობას არასდროს სიამოვნებდა ყმობა. გლეხობა ყოველთვის ცდილობდა თავისუფლების მოპოვებას. მაგრამ ფეოდალიზმის ხანაში ამ მისწრაფებას დიდი სიძნელეები ეღობებოდა. ზოგი გლეხი ახერხებდა მიწის ყიდვას, თავისუფლების გამოსყიდვასაც. მაგრამ ბატონყმური ურთიერთობის დომინირების პირობებში თავდახსნილი გლეხები იშვიათად ახერხებდნენ პირადი თავისუფლების შენარჩუნებას. XIX საუკუნეში მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გაფართოების პირობებში გაძლიერდა გლეხობის ქონებრივ-სოციალური დიფერენციაცია. მდიდარ გლეხებს, რა თქმა უნდა, მეტი საშუალება ჰქონდათ საარსებო მიწისა და თავისუფლების მოპოვებისათვის. 1864 წლამდე საბატონო გლეხებიდან (60 ათასი კომლი) თავისუფლება გამოისყიდა 6 ათასმა კომლმა. იყვნენ გლეხები, რომლებმაც 500-3000 მანეთი გაიღეს, პიროვნულ თავისუფლებასთან ერთად საკუთრებად დაიმკვიდრეს 10-50 ჰექტარი მიწა, 2-5 ჰექტარი ვენახი. მაგრამ ბევრი გლეხი, რომელთაც საკმარისი სახსარი არ გააჩნდათ, პირადი თავისუფლების გამოსყიდვას დასჯერდა და დაქირავებულ შრომას მიჰყო ხელი.

ყმაგლეხთა დიდი უმრავლესობა ვერც მიწის ყიდვას ახერხებდა და ვერც პირადი თავისუფლების გამოსყიდვას. ისინი არაოფიციალური, მთავრობისა და მებატონეთათვის მიუღებელი ფორმით იბრძოდნენ ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ. XIX საუკუნის 40-50-იან წლებში კიდევ უფრო გახშირდა ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმა, აყრა-გაქცევა, მებატონეთა ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ამ პერიოდში განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო გლეხთა მასობრივმა ანტიბატონყმურმა აჯანყებებმა.

1841 წელს აჯანყებამ იფეთქა გურიაში. იგი მიმართული იყო როგორც ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაციის თვითნებობა-ბოროტმოქმედებათა, ისე მებატონეთა ძალადობის წინააღმდეგ. გურიის გლეხთა „ბუნტს“ გამოძახილი ჰქონდა იმერეთსა და სამეგრელოშიც. 1842 წელს მებატონეთა წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს სიღნაღის მაზრის გლეხებმა.

სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წლების აჯანყება

ავტონომიური სამთავროს მთელი ტერიტორია აჯანყების ალში გაეხვია. გლეხობამ მიზნად დაისახა ბატონყმობის მოსპობა, მიწის და თავისუფლების მოპოვება. სტიქიურად დაწყებულმა მოძრაობამ მალე ორგანიზებული ხასიათი მიიღო, აჯანყებულთა ცალკეული რაზმები გაერთიანდნენ და სახალხო ლაშქრის მეთაურად სოფლის მჭედელი, უტუ მიქავა აირჩიეს. მიქავა გლეხთა კეისრის ტიტულით შეამკეს. აჯანყებულთა კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა სოფლები — ობუჯი, ჩაქვინჯი, ყულისკარი, კორცხელი, კირცხი, ხიბულა. 1857 წლის 12 მაისს სახალხო ლაშქარმა ალყაში მოაქცია ქალაქი ზუგდიდი. სამეგრელოს მთავარი, ეკატერინე დადიანი ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა. მისმა დიდმოხელემ, ნიკოლოზ დადიანმა მარცხი განიცადა. აჯანყებულებმა ზუგდიდი დაიკავეს. სამეგრელოს მთავრის ხელისუფლება დამხობილად გამოაცხადეს და ხელში აიღეს მართვა-გამგეობის სადავეები.

აჯანყებულები მთელ სამეგრელოს დაეუფლნენ. როცა სახალხო ლაშქარი მარისის ველზე შეიყარა, უტუ მიქავამ გამოაცხადა „მანიფესტი“: „ძმებო და მეგობრებო! ჩვენი გადაწყვეტილება მტკიცეა. თავგანწირულად მოვისწრაფვით ბატონყმობის დახავსებული ციხე-სიმაგრის დასანგრევად. ძმებო, სიკვდილი გვიჯობს მონობას. ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის. დაუზოგავად დავკრათ მებატონეებს, უარი ვუთხრათ ბატონყმობას“.

1857 წლის მაისის მიწურულს ეკატერინე დადიანი დაბრუნდა სამეგრელოში და აჯანყებულებს მოუწოდა წარმომადგენლები გაეგზავნათ მასთან მოსალაპარაკებლად. ოდესღაც მორჩილი ყმები ახლა გაურჩდნენ, არ ეახლნენ დედოფალს. სამეგრელოს თავადაზნაურობა მიხვდა, რომ ტკბილი სიტყვით ვერაფერს გახდებოდა, აუცილებელი ჩანდა შეიარაღებული ძალის გამოყენებით ხალხის დაწყნარება. რაკი თავადაზნაურობას საკმარისი ძალა არ გააჩნდა, დახმარება სთხოვა რუსეთის მთავრობის კავკასიურ ადმინისტრაციას. თხოვნა დაკმაყოფილდა; გენერალ კოლუბიაკინის 3-ათასიანი ჯარი სამეგრელოში შეიჭრა. უტუ მიქავამ მას 20-ათასიანი ლაშქარი დაუპირისპირა. გენერალს წარმატებაში ეჭვი შეეპარა და „გლეხთა კეისართან“ მოლაპარაკების დაწყება ამჯობინა. უტუ მიქავამ რუს გენერალს

წაუყენა კონკრეტული მოთხოვნილებანი: 1) ბატონყმობა და თავადაზნაურთა წოდებრივი უპირატესობანი უნდა გაუქმდეს; 2) თავისუფლებასთან ერთად გლეხობას მიეცეს მიწა. 3) დამყარდეს სამართლიანობა, გლეხსაც სჭირდება ადამიანური უფლება და საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტია.

ასეთი მოთხოვნებით გაოცებულმა გენერალმა კოლუბიაკინმა მეფისნაცვალს აუწყა — ზოგიერთი იდეა, ხალხში გადასროლილი მოწოდება მოწინავე დასავლეთიდან უნდა იყოს შემოსული. ასეთი მიზნისათვის ამოძრავებული ხალხი საფრთხეს უქმნის არა მარტო სამეგრელოს მთავრის ხელისუფლებას, და აქაურ მემამულეთა ბატონობას, არამედ რუსეთის ვრცელ იმპერიაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ წყობასაცო. გენერალმა თავდაპირველად ტკბილი სიტყვით და დაპირებებით სცადა ამბოხებული გლეხების მოთვინიერება, მაგრამ ბოლოს ძალა გამოიყენა მათ წინააღმდეგ.

სამეგრელოს სახალხო ლაშქრის წინააღმდეგ დიდი ჯარით ამხედრდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი. 1857 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე დიდი ბრძოლები გაიმართა ზუგდიდისა და მარტვილის მიდამოებში, ჯვარისა და ჩაქვინჯის ახლოს. ბრძოლაში დაიღუპა რამდენიმე ასეული გლეხი, უფრო მეტი დაიჭრა. სამეგრელოს გლეხთა დიდი სოციალური ომი მარცხით დამთავრდა. ცოცხლად დარჩენილი მისი მეთაურები და აქტიური მონაწილენი დააპატიმრეს და ციმბირს გადაასახლეს.

იმერეთის, გურიის, აფხაზეთის და სხვა
რეგიონების გლეხთა აჯანყებები

არც საქართველოს ამ კუთხეების გლეხებს ულხინდათ, ისინიც ჩაებნენ ანტიბატონყმურ მოძრაობაში. სოციალური თავისუფლებისათვის საბრძოლველად შეიმართნენ.

სამეგრელოს გლეხთა ომის ექო იმერეთშიც გავრცელდა. მღელვარება სოფელ დიმში დაიწყო, ბაღდადისა და ამაღლების საპოლიციო უბანი თითქმის მთლიანად მოიცვა. 1859 წლის იანვარ-თებერვალში იარაღასხმული 400-მდე გლეხი ახუთის ტყეში დაბანაკდა. ამ რაზმთან შეერთების მსურველი ბევრი აღმოჩნდა, რამაც მაზრის ადმინისტრაციის შეშფოთება გამოიწვია. „აბუნტებული“ გლეხობის წინააღმდეგ მაზრის უფროსი ამხედრდა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ჯანყის ჩახშობა თვით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ივანოვმა იტვირთა. მან გლეხთა მეთაურებთან მოლაპარაკება გამართა, გლეხთა „პეტიციაშიც“ ჩაიხედა. პირობა მისცა აჯანყებულებს, თუ დაიშლებით თქვენს კანონიერ მოთხოვნებს დავაკმაყო-

ფილებთო. გლეხებმა მთავრობის მრავალრიცხოვან ჯართან შებრძოლებას თავი აარიდეს, თითქოს ირწმუნეს დაპირება და დაიშალნენ. ამის მაძღარ საგუბერნიო ადმინისტრაციამ შეძლო „წესრიგის“ დამყარება ამაღლებისა და ბაღდადის უბნებში: აჯანყების მეთაურები და აქტივისტები — 18 კაცი რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს.

ერთხანს საქართველოს სოფლებში თითქოს სოციალური ზავი სუფევდა: იარაღის ჟღარუნი არ ისმოდა, მაგრამ გლეხობა მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას სხვა ფორმებით კვლავ აგრძელებდა. 1858 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის სიტყვა-დაპირება ბატონყმობის გაუქმების შესახებ, რამაც გლეხთა სოციალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კანონიერი საფუძველი შეუქმნა. 1861 წელს რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში ბატონყმობა კიდეც გაუქმდა და ქართველ გლეხთა მოძრაობის ლეგიტიმურობის ხარისხი კიდევ უფრო ამაღლდა. მათ უარი თქვეს ბეგარა-გადასახადების გაღებაზე.

მკაცრი რეპრესიების მიუხედავად, გლეხთა მოძრაობა გაგრძელდა. 1864 წელს აჯანყება მოხდა თბილისის მაზრაში, თიანეთის „ოკრუგში“. 1866 წელს კი აფხაზეთში იფეთქა ფართომასშტაბიანმა ამბოხებამ, რომელიც ანტიფეოდალურთან ერთად ანტიკოლონიურ ხასიათსაც ატარებდა. სამთავროს გაუქმებითა და გლეხთა გათავისუფლების კანონით უკმაყოფილო აფხაზებმა ბრძოლის ველზე 20 ათასი კაცი გამოიყვანეს. აჯანყებულთა მოსათვინიერებლად სოხუმის ოლქის უფროსი კონიარი წავიდა მცირე რაზმით. მისმა მუქარამ, უტაქტობამ, მოთმინებიდან გამოიყვანა ხალხი და იარაღით გაუსწორდნენ მოძალადეებს. ბრძოლაში დაიღუპა პოლკოვნიკი კონიარი, მისი ხუთი მოხელე და 50 ჯარისკაცი. 27 ივლისს აჯანყებულნი სოხუმს მიადგნენ. ალყაში მოქცეული გარნიზონის დასახმარებლად მრავალრიცხოვანი რუსული ჯარი გაიგზავნა. ხანგრძლივ მოლაპარაკებას მოჰყვა „დაზავება“, მაგრამ აჯანყების მეთაურებს „დანაშაული“ არ აპატიეს. სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენის თანახმად, სამი კაცი ჩამოახრჩვეს, 30 კაცი ციმბირს გადაასახლეს.

აჯანყების ჩახშობას მოჰყვა აფხაზ-აფსუათა პირველი „მუჰაჯირობა“: ოსმალეთში გადაასახლეს (ზოგი ნებით, ზოგი ძალდატანებით) 3358 ოჯახი – 19342 სული. ანტირუსულად განწყობილი აფხაზები რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის დროსაც აჯანყდნენ, თურქული დესანტის მხარეს გადავიდნენ. რუსული სასჯელი ამჟამად გაცილებით მკაცრი იყო და ოსმალეთს გადასახლება კიდევ უფრო მასობრივი. „მუჰაჯირის სტატუსი“ შეიძინა 32 ათასმა კაცმა. ადგილზე დარჩენილ აფხაზებს „დამნაშავის“ იარლიყი მიაკრეს და მიწის საკუთრების უფლება ჩამოართვეს, ხოლო 27

წლის შემდეგ ეს „იარლიყი“ იმ მოტივით მოუხსნეს, რომ აფხაზ-აფსუები არ ჩაბმულან 1905 წლის რევოლუციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1857-1866 წლებში ანტიბატონყმური ხასიათის 11 აჯანყება ძოხდა. თუ მოვლენებს სამხედრო ასპექტში განვიხილავთ, გლეხები დამარცხდნენ, მაგრამ სოციალ-პოლიტიკურად, აჯანყებულებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს.

გლეხობის განმათავისუფლებელი მოძრაობა გახდა ძირითადი საფუძველი მწყობრი ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბებისა, რაც დაკავშირებულია თერგდალეულთა (სამოციანელთა) პროგრესული მოღვაწეობის პირველ პერიოდთან. 1857 წელს, როცა სამეგრელოში აზვირთებული იყო გლეხთა აჯანყება, ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის ლექსი — „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, რომელშიც დაგმობილია ბატონყმობა. ამ ლექსით აღფრთოვანებული ილია ჭავჭავაძე წერდა: ეს პირველი ხმა იყო ჩვენში უსამართლოდ ჩაგრულთა დასაცველად, იმ დაწყევლილი ანომალიის მოსაშლელად, როცა ერთის ნაშობზე მეორე ბატონობდა. კიდევ მეტი სენსაცია გამოიწვია 1860 წელს გამოქვეყნებულმა დანიელ ჭონქაძის მოთხრობამ, „სურამის ციხე“. ავტორის ცნობიერების საფუძველს სოციალური უსამართლობით გატანჯული და ბატონყმობის წინააღმდეგ შემართული გლეხობა წარმოადგენდა. მძაფრად შეუტია ფეოდალურ ბატონყმურ სისტემას ილია ჭავჭავაძემ. მისი „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“ და სხვა ნაწარმოებები უსამართლოდ დაჩაგრული, პირად თავისუფლებას მოკლებული, შრომისმოყვარე გლეხების თანაგრძნობა-სიყვარულითაა გამსჭვალული. ილია დარწმუნებული იყო, რომ დრომოჭმული სოციალ-პოლიტიკური წყობილება „განახლებისა გრიგალის ქროლვას“ ვერ გაუძლებდა, კაცთა ცხოვრების შემფერხებელი ბორკილები დაიმსხვრეოდა, იზეიმებდა თავისუფალი შრომა, დამყარდებოდა სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილება („აჩრდილი“).

ეროვნული მოძრაობა. მისი ხასიათი

1832 წელს, ქართველ შეთქმულთა ფარული საზოგადოების აღმოჩენა-განადგურებით, არსებითად დამთავრდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ერთი ეტაპი. მეორე პერიოდი დაიწყო 50-60-იანი წლების მიჯნაზე და მის სათავეში აღმოჩნდა თერგდალეულთა თაობა, რომლის იდეური მრწამსი ორი ძირითადი პრობლემის ფონზე ჩამოყალიბდა. მათი მიზანი გახდა ბატონყმობის გაუქმება და ეროვნულ-პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება. სამოციანელ მოღვაწეთა აზრით, განახლებულ სოციალურ საფუძველზე უნდა აშენებულიყო საქართველოს ეროვნული სახელმწიფო.

1863 წლის იანვარში ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი. მის წინაშე მწვავედ იდგა ეროვნული საკითხი, მაგრამ მკაცრი ცენზურით შებოჭილი ავტორები ინიღბებოდნენ: ჟურნალის ფურცლებზე უცხოეთის ამბებს ეხებოდნენ, მკითხველს კი მიანიშნებდნენ, რომ საქართველოზე, მის უკეთეს მომავალზე ეფიქრა. პუბლიცისტები სოლიდარობას უცხადებდნენ იტალიელების, პოლონელების, ირლანდიელების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ცდილობდნენ აემაღლებინათ ქართველთა ეროვნული ცნობიერება, ჩაენერგათ მათში თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა.

იმ დროს, როცა პოლონელები თავგამოდებით იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის (1862-1863 წწ.) ქართველთა ეროვნული მოძრაობის იდეურმა ხელმძღვანელებმა ჩამოაყალიბეს ფარული საზოგადოება — „ახალგაზრდა საქართველო“. იგი მიზნად ისახავდა საყოველთაო ეროვნული აჯანყების ორგანიზებას, რომლის რეალიზაცია ილიას ასე ჰქონდა წარმოდგენილი: „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს ერთი ზღვიდამ მეორემდე, ერთ ფიქრსა ფიქრობს და ეგ ფიქრია ჩვენის ქვეყნის თავისუფლება. დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება“. ჭაბუკი ილია ნატრობდა იმ დღეს, როცა მოხევის სიტყვები — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“ — რეალობად იქცეოდა, ქართველი ხალხი აღიდგენდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

ნიკო ნიკოლაძე ფხიზელი გონებით აკვირდებოდა ქართველი ხალხის, მისი მოწინავე მოღვაწეების სულისკვეთებას და კარგად ამჩნევდა, რომ ყველა თავისუფლებისათვის საბრძოლველად ემზადებოდა. „ქართველი ხალხი — წერდა ნიკო ნიკოლაძე 1865 წელს ჟურნალ „კოლოკოლში“ — დღითიდღე და უფრო მეტად იმსჭვალება ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით. მცირეოდნავადაც არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ რუსეთის მთავრობას საქართველოში ამჟამად კეთილმსურველები არ ჰყავს, გარდა ერთი მუჭა ბობოლა მოხელეებისა და მცირერიცხოვან დიდ მიწათმფლობელებისა, რომელთა ინტერესების მიხედვით შედგენილია ახალი „კანონდებულებანი“. ყველა დანარჩენი, ვინც კი ცოცხლობს და აზროვნებს, გამსჭვალულია ნაციონალიზმით“. ნიკო ნიკოლაძე იზიარებდა ეროვნული თვითგამორკვევის იდეას, მხარს უჭერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ მიაჩნდა, რომ ეს დიდი მიზანიც კი ყველა საამისო საშუალებას როდი ამართლებდა. მისი აზრით, შექმნილ სიტუაციაში ნაციონალიზმის შემდგომი გაღრმავება, რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დაწყება საქართველოს მიიყვანდა „იმ სასაკლაომდე, სადაც ამისწინათ ტყავი გააძვრეს პოლონეთს და სადაც მთლად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზებს“.

ნიკო ნიკოლაძის აზრით, ქართველ ხალხს ხელი უნდა აეღო სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად შეიარაღებულ ბრძოლაზე და დასჯერებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსის მიღებას. დაახლოებით ასეთსავე თვალსაზრისზე დადგა სამოციანელ მოღვაწეთა თაობა საერთოდ. მათ უარყვეს შეიარაღებული აჯანყების იდეა, დაიწყეს რუსეთის იმპერიის ფედერაციულ საწყისებზე გარდაქმნის თეორიის პროპაგანდა, ცდილობდნენ მის მხარდასაჭერად განეწყოთ რუსული ხელისუფლება და საზოგადოება.

საადგილმამულო რეფორმა

რუსულ გუბერნიებში აგრარული რეფორმა 1861 წელს გატარდა. 19 თებერვალს გამოქვეყნდა იმპერატორის მანიფესტი ყმა გლეხების განთავისუფლების შესახებ. მეფისნაცვალმა კავკასიაში, ფელდმარშალმა ალექსანდრე მიხეილის ძე ბარიატინსკიმ მყისვე გასცა ბრძანება და სარეფორმო საქმიანობის დაჩქარება მოსთხოვა დაქვემდებარებულ მოხელეებს, მასში მონაწილეობის მიღება ურჩია ქართველ თავადაზნაურობას.

საქართველოს პრივილეგიური წოდება ამოქმედდა. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ ბატონყმობის გაუქმების პირობათა პროექტის შედგენა დიმიტრი ყიფიანს მიანდო. ამ უკანასკნელმა სათანადო კითხვარი შეადგინა და მაზრებში დაგზავნა, რათა მასზე პასუხი გაეცათ მებატონეებს. მალე დიმიტრი ყიფიანის ხელში აღმოჩნდა ორასამდე თავად-აზნაურის მიერ გამოგზავნილი, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული კონკრეტული პასუხი და სამომავლო წინადადებები. დიმიტრი ყიფიანმა მათზე დაყრდნობით შეადგინა თბილისის გუბერნიის გლეხთა გათავისუფლების და მათი მიწათმოწყობის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ყმაგლეხების პირადად თავისუფალ ხიზანთა კატეგორიაში გადაყვანას.

1862 წლის 30 აპრილს ჩატარდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს საგანგებო სხდომა. მასში მონაწილე 552 კაციდან დიმიტრი ყიფიანისეულ პროექტს ხელი მოაწერა 536-მა კაცმა. თავად-აზნაურთა უმცირესობამ პროექტის თავისი ვარიანტი შეადგინა. სარეფორმო საქმიანობაში ლიბერალური თავად-აზნაურნიც მონაწილეობდნენ. გათავისუფლებული გლეხობისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნის წინადადება წამოაყენეს კ. მამაცაშვილმა, რ. ვაჩნაძემ, დ. ფურცელაძემ. მათ მოითხოვეს გლეხთა მიწიანად გათავისუფლება, თუ ასე არ მოვიქცევით, წარმოიშობა არაფრის მქონე პროლეტარიატი, რომელიც დიდ საფრთხეს შეუქმნისო მშვიდობასა და წესრიგს.

მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა და გლეხთა მომწყობმა მთავარ-

მა კომისიამ თავადაზ-ნაურთაგან შედგენილი ყველა პროექტი დაიწუნა. მთავრობის კომისიამ გამოიყენა დაგროვილი მასალა და თვითონ შეადგინა კანონპროექტი, რომელიც მოიწონა მეფისნაცვალმა. მაგრამ მისი ბოლო მუხლი დაიწუნა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ, რომელიც სარეფორმო საქმიანობაში დაშვებული არ ყოფილა.

1864 წლის 6 აპრილს მთავარი კომისიის კანონ-დებულებაზე „კრიტიკული შენიშვნები" წარადგინა ილია ჭავჭავაძემ. თერგდალეულთა ლიდერმა დაგმო ის მუხლები, რომელიც ითვალისწინებდა გათავისუფლებული გლეხებისათვის მიზომილი მიწის (ნადელების) შემცირებას, ჩამოჭრილი ნაკვეთების მემამულეებისათვის გადაცემას, ზღუდავდა გლეხთა ადრინდელ უფლებას საძოვრითა და ტყით სარგებლობის სფეროში, ხელოვნურად ართულებდა ნაბატონარის და დროებით ვალდებული გლეხის ურთიერთობის ნორმებს, აგრეთვე სანადელო მიწის გამოსყიდვის წესებს. პროექტის მთავარ ნაკლად ილიას მაინც ის მიაჩნდა, რომ იგი აკანონებდა „დროებითვალდებულებას" გლეხისა მემამულისადმი, რაც შეიძლებოდა რამდენიმე ათეული წელი გაგრძელებულიყო. ილიას აზრით, აგრარული საკითხის გადაწყვეტა უნდა დაფუძნებოდა ნაბატონარისა და ნაყმევის მეურნეობათა სრული გამიჯვნის საწყისს. სხვაგვარი გადაწყვეტა იქნება გაგრძელება შეცვლილი ფორმით თითქმის იმავე ბატონყმური ურთიერთობისა, დაუყოვნებლივ უნდა დადგინდესო მემამულის დამოკიდებულებისაგან გლეხური მეურნეობის სრული გათავისუფლების პირობები.

მაგრამ ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმული შენიშვნები, გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად წამოყენებული წინადადებები რუსულმა ხელისუფლებამ უარყო. 1864 წლის 13 ოქტომბერს იმპერატორისაგან დამტკიცდა და ამოქმედდა მთავარი კომისიის (რუსი მოხელეების) მიერ შედგენილი დებულება, დაკანონდა „დროებითვალდებულის" ინსტიტუტის არსებობა, რაც ბატონყმობის რამდენადმე შეცვლილი ვარიანტი იყო და გლეხობის უკმაყოფილება გამოიწვია.

აღმოსავლეთ საქართველოში საადგილმამულო რეფორმის მოშზადებაგატარების შემდეგ, დასავლეთ საქართველოში ანალოგიური საქმიანობა გაადვილდა. შემუშავდა ძირითადი დებულების დამატებითი წესები, რომელშიც აისახა ამ მხარის ბატონყმური ურთიერთობისა და აგრარული წყობის თავისებურებანი. რუსეთის იმპერატორმა იმერეთ-გურია-რაჭისათვის გლეხთა გათავისუფლებისა და მიწათმოწყობის დებულება დაამტკიცა 1865 წლის 13 ოქტომბერს, სამეგრელოსათვის — 1866 წლის 1-ელ დეკემბერს, აფხაზეთისათვის — 1870 წლის 8 ნოემბერს, სადადეშქელიანო სვანეთისათვის — 1871 წლის 8 ოქტომბერს. 70-იან წლებში აგრარული

რეფორმა შეეხო საქართველოს იმ რაიონებს, სადაც უმრავლესობას აზერ-ბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობა შეადგენდა და თურქულ-ირანული-წათმფლობელობის წესები იყო შემოსული. რეფორმა საერთოდ არ შეხებია სახელმწიფო გლეხობას და ხიზნებს, ალბათ იმიტომ, რომ რუსეთის მთავ-რობა მათ პირადად თავისუფალ მიწათმოქმედთა კატეგორიას აკუთვნებდა.

აღნიშნულ პერიოდში ბატონყმობიდან გათავისუფლდა 82680 კომლი (0,5 მილიონი სული) გლეხი. ყმა გლეხთა მიერ პირადი თავისუფლების მიღება დადებითი მოვლენა იყო და ძირითადად ამით განისაზღვრებოდა რეფორმის პროგრესული მნიშვნელობა. ზედაფენების მიერ გატარებული რეფორმის ძირითადი ნაკლი ის იყო, რომ მან გლეხობას მარჩენალი მი-წა მისცა არა საკუთრებად, არამედ მუდმივმფლობელობა-სარგებლობაში. ვიდრე ნაყმევი ამ მიწას არ გამოისყიდდა, მანამდე იგი „დროებითვალ-დებულ“ გლეხად მიიჩნეოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარიგების სი-გელთა შედგენის პროცესში გლეხობას ჩამოართვეს (ჩამოაჭრეს) ადრე მის სარგებლობაში მყოფი მიწის თითქმის მესამედი. 11 ათასი კომლი (45 ათასი სული) გლეხი სრულიად უმიწაწყალოდ დარჩა.

აგრარული რეფორმა, რომელიც რუსმა მოხელეებმა საგლეხო რეფორ-მად მონათლეს, თავიდანვე მოექცა კრიტიკის ქარცეცხლში. ამ მოვლენას პირველი ნიკო ნიკოლაძე გამოეხმაურა და 1865 წელს ჟურნალ „კოლო-კოლში“ გამოაქვეყნა სტატია. ახალგაზრდა პუბლიცისტი მკაცრად დაესხა თავს რეფორმატორებს და მათ მიერ შედგენილ კანონს, რომელმაც ყველა უფლება-პრივილეგია მემამულეებს უბოძა, ყველა მოვალეობა კი გლეხებს დააკისრა. „კაცმა რომ იკითხოს — წერდა ნიკოლაძე — სადაა აქ ბატონ-ყმობის მოსპობა?... აბა სადაა გლეხთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესება? ერთი გვითხარით, თუ ღმერთი გწამთ, მოეპოვება თუ არა რამე აზრი თქვენს ე. წ. რეფორმას, როდესაც მემამულეს გლეხობის მთელი მიწის მესაკუთ-რედ აცხადებთ... როცა გლეხს ხელიდან ეცლება მიწა, წყალი, ტყე და სა-ძოვარი“. ყოველივე ამის გამო წერილის ავტორი გაოცებას გამოთქვამდა, რომ „მელანმა აიტანა და სირცხვილისაგან არ გაწითლდა, დღის სინათ-ლეზე რომ გამოჰქონდა სიყალბისა და მძარცველობის ეს დაკანონება“.

ნიკო ნიკოლაძისგან შერისხულმა რეფორმატორებმა ბატონყმობის გა-უქმებას დაუკავშირეს სოფლის მმართველობის რუსულ ყაიდაზე ჩამოყა-ლიბება. 1865 წლის 11 აპრილის დებულების თანახმად, სასოფლო საზო-გადოებაში უნდა გაერთიანებულიყო ყველა კატეგორიის გლეხობა. საზო-გადოებრივი მმართველობის განმკარგულებელ ორგანოდ მიჩნეული იყო გლეხთა ყრილობა. აღმასრულებელი ხელისუფლება ეძლეოდა ყრილობის მიერ არჩეულ მამასახლისს, ხოლო მართლმსაჯულების ფუნქცია სოფ-

ლის სასამართლოს. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა ყალიბდებოდა გლეხთა წოდებრივი დაწესებულების სახით. სოფლის მოსახლეობის ზედაფენები მის იურისდიქციას არ ექვემდებარებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროგრესული მოღვაწენი მიესალმნენ სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის დაბადებას, მაგრამ იმთავითვე შეამჩნიეს მისი დიდი ნაკლი: დებულების თანახმად, თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა საზოგადოებრივი მმართველობის სუბიექტს — გლეხობას. საქმეები უმეტესწილად წყდებოდა მთავრობისა და ზედაფენების ინტერესთა შესაბამისად. სოფლის მამასახლისი გამოდიოდა პოლიციის აგენტის როლში და იმას აკეთებდა, რასაც მაზრის უფროსი უბრძანებდა.

აკრიტიკებდა რა კანონის ამგვარ მანკიერებას, ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ სოფლის მმართველობას და სასამართლოს „ხელი მიუწვდებოდა მარტო გლეხკაცზე. თუ გლეხმა დააშავა რამე, წაუხდინა რამ ვისმე... თავადს, აზნაურს, მედუქნეს ნება აქვს, უხარჯოდ და მოუცდენლად, სოფლის სასამართლოს შემწეობით დააკისროს გლეხს სასჯელი; თუ არაგლეხმა გლეხს დაუშავა რამე... საწყალი გლეხი იძულებულია მომრიგებელ მოსამართლეს მიმართოს, რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს... ყოველივე ეს იმისთანა მძიმე რამ არის გლეხისათვის, რომ იძულებულია თავის დაჩაგვრა გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზე, გული აიყაროს კანონზე, სოფლის სასამართლოზეც, რომელიც უღონოა დიდის წინაშე“.

დიდი ილიას აზრით, ამ ნაკლის ნაწილობრივი გამოსწორება შეიძლებოდა ყველა წოდებისათვის საერთო სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღებით, რომელიც უფლებასაც და მოვალეობასაც თანაბრად გაანაწილებდა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებზე. მაგრამ მმართველობის ამგვარი რეორგანიზაცია რუსეთის ცარიზმს და მის კავკასიურ ადმინისტრაციას ხელს არ აძლევდა.

სასამართლო და საქალაქო რეფორმები

რუსეთის იმპერიაში რეფორმამდე სასამართლო მთლიანად მთავრობის ადმინისტრაციასა და პოლიციაზე იყო დამოკიდებული. მოსამართლეებს მთავრობა ნიშნავდა და საქმის გამოძიებაში გადამწყვეტ როლს მოხელეები ასრულებდნენ.

რუსულ გუბერნიებში სასამართლოს რეფორმირება 1864 წელს მოხდა. ახალი წესდების საფუძველზე მოწყობილი სასამართლო დაწესებულებანი და თვით სასამართლო პროცესი არსებითად შეიცვალა: სასამართლო დამოუკიდებელი სტრუქტურა გახდა, ჩამოყალიბდა საგუბერნიო და სამაზ-

რო სასამართლოები, დაკანონდა მოსამართლეების და ნაფიც მსაჯულთა არჩევის პრინციპი, ადმინისტრაციული წესით მათი გადაყენება აეკრძალა, დაწესდა სასამართლო პროცესის საჯაროობა. ახალი რუსული სასამართლო დაემსგავსა ევროპულს, რამდენადმე პასუხობდა „კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპს“.

იმპერიის თითქმის ყველა განაპირა (დაპყრობილ) მხარეებში, სასამართლო რეფორმა შეკვეცილი ფორმით გატარდა. რეფორმატორები ამის მიზეზად „მოსახლეობის მოუმზადებლობას“ და ადგილობრივ „სპეციფიკურ პირობებს“ აცხადებდნენ. სინამდვილეში კი აქაც მოქმედებდა რუსული დიდმპყრობელური, დისკრიმინაციური პოლიტიკა. რუსეთის ცარიზმს დაუშვებლად მიაჩნდა კოლონიებში თავისი ადმინისტრაციის ყოვლისშემძლეობის შეზღუდვა, სამართლის წარმოების სფეროს გადაცემა ადგილობრივი მოსახლეობის (თუნდაც მხოლოდ ზედაფენის) მიერ არჩეული მოსამართლეებისათვის.

1868 წელს საქართველოში გაუქმდა წოდებრივი სასამართლოები, მაგრამ ახალი დებულების ძალით ჩვენს ქვეყანაში არ გადმონერგილა ბურჟუაზიული სასამართლოს ძირითადი პრინციპები: არ შემოუღიათ მოსამართლეთა არჩევითობა, სამართლის წარმოებაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის წესი. მოსამართლეებს რეფორმის შემდეგაც მთავრობა ნიშნავდა და ისინი თითქმის მთლიანად რუსული ადმინისტრაციის მოხელეების კონტროლქვეშ რჩებოდნენ. ე. ი. საქართველოში არ მომხდარა სასამართლოს გამიჯვნა ადმინისტრაციისაგან. დამოუკიდებელი სასამართლოების ნაცვლად აქ შეიქმნა ახალ ყაიდაზე მოწყობილი მთავრობის მოხელეთა სასამართლოები, რომელთაც უნდა შეესრულებინათ უმაღლესი (იმპერატორის) ნება. ამ სასამართლოს ყველაზე დიდი ნაკლი (კურიოზი) ის იყო, რომ საქმის წარმოება, პროცესი, მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, რომელიც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას არ ესმოდა. ახალმა სასამართლომ ქართველი საზოგადოება, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილა. დიდ ქართველ მოღვაწეთა საქმიანობას სასამართლოსა და მართლმსაჯულების სრულყოფისათვის წარმატება არ მოჰყოლია. საქართველოს 1918 წლამდე არ ღირსებია დემოკრატიულ პრინციპზე დამყარებული სასამართლო.

თვითმპყრობელური რეჟიმისა და ფეოდალური პრივილეგიების წინააღმდეგ ქალაქის მოსახლეობა, „მესამე წოდებაც“ იბრძოდა, რამაც მასობრივი ხასიათი თბილისში მიიღო. თავისუფლების სიომ იქ შედარებით ადრე დაუბერა. დედაქალაქის მკვიდრმა ვაჭარ-ხელოსნებმა ძირითადად შეძლეს ფეოდალთა დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება, მოიპოვეს შრომა-საქმიანობის ნორმალური პირობები.

XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, საქართველოს ქალაქებს განაგებდა პოლიცია, რომელიც ზოგიერთი საქმის შესწავლა-შესრულებისთვის მოსახლეობის მიერ არჩეულ რწმუნებულებს იყენებდა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და კაპიტალიზმის განვითარების პირობებში იზრდებოდა და ძლიერდებოდა „მესამე წოდება". რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, ახალშექმნილი ბურჟუაზიული ფენისთვის გარკვეული უფლებები მიეცა.

პირველად მთავარმმართებელმა ევგენი ალექსანდრე ძე გოლოვინმა ცნო საჭიროდ თბილისის მართვა-გამგეობის ზოგიერთ სფეროში მოქალაქეთა მონაწილეობა. 1840 წლის დებულებით თბილისის მოსახლეობის ზედაფენას უფლება მიეცა შეექმნა საქალაქო სათათბირო ქალაქისთავისა და ექვსი ხმოსნის (დეპუტატის) შემადგენლობით. ქალაქისთავს ფორმალურად მთელი მოსახლეობა ირჩევდა, ხმოსნებს კი — სახლთმფლობელები, ვაჭრები და ხელოსნები. თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის (ნათლობის სახელი გოლოვინიდან წამოვიდა) ძირითადი ფუნქცია იყო ქალაქში გადასახადების გაწერა-აკრეფა და თბილისში განლაგებული ჯარის ნაწილების ბინებით უზრუნველყოფა. ამდენად, თბილისის მოსახლეობის ზედაფენამ მიიღო მხოლოდ თვითდაბეგვრისა და გადასახადების აკრეფის უფლება, მაგრამ ამასაც ჰქონდა დადებითი მხარე — ქალაქელები რამდენადმე გათავისუფლდნენ პოლიციის თვითნებობისა და ბოროტმოქმედებისაგან.

ოცი წლის განმავლობაში თბილისი საგრძნობლად გაიზარდა. ქალაქის საზოგადოებრივ მმართველობას ხარჯები მოემატა. მთავრობის ნებართვით საზოგადოებრივმა მმართველობამ შემოიღო ახალი გადასახადები, დაბეგრა სახელოსნო, სავაჭრო და სხვა ობიექტები. ამან მესამე წოდების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რაც მალე აჯანყებაში გადაიზარდა.

1865 წლის 26 ივნისს თბილისელების თავყრილობამ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა, დაიხურა დუქნები, მაღაზიები, სხვა დაწესებულებები. 27 ივნისს ათი ათასამდე თბილისელმა, ამქრის დროშების ფრიალით თავი მოიყარა მოედანზე (ახლანდელი თავისუფლების მოედანი) და კატეგორიულად მოითხოვა საფინანსო-საგადასახადო პოლიტიკის შეცვლა. გაისმოდა რუსული თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო ლოზუნგებიც. მთავრობამ იარაღის გამოყენებით დაარბია საპროტესტო დემონსტრაცია. ბრძოლის ველზე დარჩა ორი-სამი ათეული მოკლული და დაჭრილი თბილისელი.

თბილისელთა რევოლუცია, მართალია, დამარცხდა, მაგრამ მას მთლად უშედეგოდ არ ჩაუვლია. ხელისუფლება დათმობაზე წავიდა. რამდენადმე გააფართოვა თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის შემადგენლობა და უფლება-კომპეტენცია. გამოქვეყნდა კანონი ამქრების რეორგანიზაციის

შესახებ. ვაჭართა ამქრული ორგანიზაციები გაუქმდა. დატოვეს ხელოსანთა 17 ამქარი. ახალმა დებულებამ ძირი გამოუთხარა ამქართა მონოპოლიას ხელოსნურ წარმოებაში, შეასუსტა ამქრის უსტაბაშის როლი და გავლენა. ამის შემდეგ ხელოსანთა საქმიანობასა და ცხოვრებაში მეტ როლს ასრულებდა მთავრობის მიერ შექმნილი ხელოსანთა გამგეობა.

1866 წლის 11 აგვისტოს დებულების შესაბამისად, თბილისის მოსახლეობის ზედაფენამ მიიღო მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებული თვითმმართველობა. მას უფლება მიეცა აერჩია საქალაქო საკრებულო (100 ხმოსნის შემადგენლობით), რომელიც თავის მხრივ აირჩევდა ქალაქისთავსა და განმკარგულებელი სამმართველოს 8 წევრს. არჩევნებში მონაწილეობდნენ მხოლოდ უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელი მოქალაქეები. 1866 წლის ბოლოს ჩატარდა საკრებულოს პირველი არჩევნები. ხმოსნის სტატუსით აღიჭურვა გრიგოლ ორბელიანი, მ. ერისთავი, ე. გრუზინსკი, რ. ანდრონიკაშვილი, მ. თუმანიშვილი, ივ. ზუბალაშვილი, ა. ოვანესიანი, ნ. მირიმანოვი, ზ. სარაჯიშვილი და სხვ. ქალაქისთავად აირჩიეს სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი გენერალი ე. არწრუნი, განმკარგულებელი სამმართველოს წევრებად — ნ. ზუბალაშვილი, ა. ონიკოვი, მ. შადინოვი, ნ. ნარიმანოვი და სხვა. აირჩიეს აგრეთვე წოდებათა მამასახლისები.

1869 წელს თბილისის საზოგადოებრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოს რწმუნების ვადა გაუვიდა. ჩატარდა ახალი არჩევნები. განახლდა საკრებულოს შემადგენლობა. ქალაქისთავის თანამდებობა დაიკავა იაზონ თუმანიშვილმა. თვითმმართველობის უფლებამოსილება იგივე დარჩა. თვითმმართველობის საშემოსავლო ბიუჯეტმა 300 ათას მანეთს გადააჭარბა, მაგრამ ამ თანხის ოთხი მეხუთედი, კანონის თანახმად, თბილისის გარნიზონისა და პოლიციის დაფინანსებას ხმარდებოდა. ამდენად, თბილისის საზოგადოებრივი თვითმმართველობა ფაქტობრივად რუსეთის კავკასიური ადმინისტრაციის დანამატი იყო და მას მთავრობის ინტერესების შესაბამისად იყენებდნენ.

1870 წლის 16 ივნისს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დაამტკიცა ახალი საქალაქო დებულება და ბრძანა მთელ იმპერიაში საქალაქო რეფორმის ჩატარება. ახალი კანონი უკვე აღარ უწევდა ანგარიშს მოსახლეობის წოდებრივ და კლასობრივ დაყოფას. საარჩევნო თანრიგებს საფუძვლად უდებდა მოქალაქეთა ეკონომიკურ მდგომარეობას. ქალაქებში იქმნებოდა სამი თანრიგი, ყალიბდებოდა სამი საარჩევნო კრება — მსხვილი, საშუალო შეძლების და წვრილი მესაკუთრეებისა.

1870 წლის კანონ-დებულება, დიდი და საშუალო მოცულობის ქალაქების მოსახლეობას, უფრო სწორად, მის ზედაფენას თვითმმართველო-

ბის უფლებას აძლევდა. თვითმმართველობის განმკარგულებელ ორგანოდ ცხადდებოდა საქალაქო სათათბირო, რომლის კომპეტენციაში შედიოდა: თანამდებობის პირთა არჩევა და მათი ხელფასების განსაზღვრა, ბიუჯეტის დამტკიცება, ქალაქის სახელით სესხის აღება, მთავრობის წინაშე თხოვნა-შუამდგომლობის აღძვრა. სათათბირო ირჩევდა მის წინაშე ანგარიშვალდებულ გამგეობას, რომელსაც აღმასრულებელი ფუნქციები ეკისრებოდა. საქალაქო თვითმმართველობის მთავარ ფუნქციას შეადგენდა კომუნალური მეურნეობის კეთილმოწყობა. მას ხელი უნდა შეეწყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის, გაეხსნა და დაეფინანსებინა ზოგიერთი სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, საავადმყოფოები, საქველმოქმედო დაწესებულებები.

კანონ-დებულების ზოგიერთი მუხლი ზღუდავდა ქალაქის თვითმმართველობას, მისი კონტროლისათვის ჩამოყალიბდა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საგანგიო. მიუხედავად ამისა, საქალაქო თვითმმართველობის ჩამოყალიბებას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. არჩევით პრინციპზე დამყარებული საქალაქო თვითმმართველობის ორგანოები მკვეთრად დაუპირისპირდნენ თვითმპყრობელური მონარქიის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ დაწესებულებებს. ქალაქებში რამდენადმე აილაგმა მთავრობის მოხელეთა თვითნებობა, შეიქმნა პროგრესული საზოგადოებრივი ძალების სამოქმედო ასპარეზი.

საქართველოში საქალაქო რეფორმის გატარება 1874 წელს დაიწყო. თბილისელებმა ნოემბრის თვეში აირჩიეს 75-ხმოსნიანი სათათბირო, რომელმაც თავის მხრივ აირჩია ქალაქის გამგეობა. ქალაქისთავის თანამდებობა დიმიტრი ყიფიანმა დაიკავა. ქუთაისში საქალაქო არჩევნები 1875 წელს ჩატარდა. ქუთაისელებმა სათათბიროში შეიყვანეს 32 ხმოსანი. ქუთაისის ქალაქისთავის სავარძელი ნ. აბაშიძეს ერგო. 1876 წელს საქალაქო თვითმმართველობის ორგანოები შეიქმნა გორსა და ახალციხეში.

1882 წელს საქალაქო რეფორმა გატარდა ფოთში. ქალაქი ბათუმი თურქეთის ბატონობისაგან 1878 წელს გათავისუფლდა. ათიოდე წელიწადში იგი გადაიქცა საკმაოდ მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად. რა თქმა უნდა, ბათუმის მოქალაქეებმაც მოითხოვეს თვითმართვის უფლება. 1888 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია ბათუმში საქალაქო რეფორმის გასატარებლად. ბათუმის საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეებმა აირჩიეს 36-ხმოსნიანი სათათბირო და სამწევრიანი გამგეობა. ქალაქისთავი არ აურჩევიათ. ამ თანამდებობაზე მთავრობამ დანიშნა კ. გავრონსკი. შემდეგ კი, ბათუმის ქალაქისთავს სათათბირო ირჩევდა. XIX საუკუნის 90-იან წლებში, გამარტივებული საქალაქო დებულების საფუძველზე თვითმარ-

თვის უფლება მოიპოვეს თელავის, სიღნაღის, დუშეთის, ახალქალაქის, ოზურგეთის და სოხუმის საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეებმა.

ინტელიგენციას, მცირე გამონაკლისის გარდა, საკმარისი ქონებრივი ცენზი არ გააჩნდა და ამიტომ ვერც არჩევნებში მონაწილეობდა და ვერც თვითმმართველობის პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს ფენა ჩადგა თვითმმართველობის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის სათავეში. მაგრამ არსებული ფორმითაც თვითმმართველობა დადებითი მოვლენა იყო. ნიკო ნიკოლაძე ყურადღებას ამახვილებდა თვითმმართველობის ნაკლოვანებათა ობიექტურ მიზეზებზე და, უპირველეს ყოვლისა, ბრალს სდებდა მეფის მთავრობის კანონმდებლობას, რომელიც აიძულებდა მუნიციპალურ მოღვაწეებს თავისი შრომისა და ბიუჯეტის ორი მესამედი დაეხარჯათ არა ქალაქის კეთილმოსაწყობად, არამედ მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის საჭიროებისათვის. ნიკო ნიკოლაძეს ინტელიგენციის მოვალეობად მიაჩნდა თვითმმართველობის დაცვა, რადგან მისი ღრმა რწმენით, ქვეყნისა და ხალხის უკეთესი მომავალი დაკავშირებული იყო თვითმმართველობის ფორმების სრულყოფასა და დემოკრატიზაციასთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი IV

ეკონომიკურ-სოციალური ვითარება და განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში

აგრარულ-სამეურნეო ურთიერთობანი და გლეხთა მოძრაობა

ბატონყმობის გაუქმება კომპრომისული რეფორმის მეშვეობით განხორციელდა: ერთი მხრივ დაუთმეს გლეხობას, მიანიჭეს პირადი თავისუფლება, მეორე მხრივ დაიცვეს თავადაზნაურობის ეკონომიკური ინტერესები და თითქმის ხელუხლებლად დაუტოვეს მას მიწის საკუთრების მონოპოლია. ეს კი საშუალებას აძლევდა ნაბატონარს ძველი წესით განეგრძო მეურნეობა. რეფორმამ, მართალია, საფუძველი ჩაუყარა მემამულეთა და გლეხთა ფენის საადგილმამულო გამიჯვნას, გლეხური მეურნეობის დამოუკიდებლობას, მაგრამ ეს პოტენციური შესაძლებლობა ნელი ტემპით გადადიოდა რეალობაში. მიზომილი მიწის ნაკვეთის გამოსყიდვამდე გლეხთა სამფლობელო მიწის იურიდიული მესაკუთრე მემამულე იყო, საკუთრების ამ უფლების რეალიზაციას მიწის რენტის აღებით ახდენდა. XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს დროებითვალდებული გლეხები ერთ ჰექტარ ნადელზე (მიზომილ მიწაზე) იხდიდნენ 9 მანეთს (სულ 262 ათასი ჰექტარი მიწით სარგებლობისათვის — 2,4 მილიონ მანეთს) ამის გარდა, გლეხობა საძოვრებით სარგებლობის საზღაურად იხდიდა ე. წ. „საბალახოს", ტყით სარგებლობისათვისაც დაწესებულ თანხას. ორივე ერთად, კომლზე საშუალოდ შეადგენდა 5 მანეთს, მთლიანად 438 ათას მანეთს.

ამდენად, დროებითვალდებულების ინსტიტუტი, შეიძლება ითქვას, იყო ბატონყმობის ახალი ნაირსახეობა, რომელმაც თითქმის თავიდანვე გლეხთა პროტესტი გამოიწვია. ეს არსებითად იყო ანტიბატონყმური მოძრაობის მომდევნო ეტაპი. იგი, თავისი არსით, ობიექტური პირობებით გამოწვეული სტიქიური მოვლენა იყო, მასში ორგანიზებულობა შეჰქონდათ გათვითცნობიერებულ გლეხებს და რევოლუციონერ ხალხოსნებს. ისინი გლეხთა მასას შთააგონებდნენ, რომ ბუნებისაგან ნაბოძები მიწა იმის საკუთრებაა, ვინც დაამუშავებს, არავის აქვს უფლება გლეხს გადასახადი დაადოს, მოსავ-

ლის წილი და ფული მოსთხოვოს. ხალხისნები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ მთავარი მჩაგვრელი ძალა და ექსპლუატატორი მეფის მთავრობა და ადგილი ადმინისტრაციის ბიუროკრატიული აპარატი იყო. ხალხისანთა შორსმიმავალ გეგმებში გლეხობა ვერ ერკვეოდა, აგრარულ საკითხში კი მათ თვალსაზრისზე დგებოდა, ბატონყმობის ნაშთების მოსპობისა და მიწის სამართლიანი გადანაწილებისათვის იბრძოდა.

სამეგრელოს გლეხთა 1873-1876 წლების პერმანენტული რამდენიმეციკლიანი აჯანყება დროებითვალდებულთა ყველაზე მასობრივი და ხანგრძლივი საპროტესტო მოძრაობა იყო რუსეთის იმპერიის მასშტაბით. იგი დაიწყო ზუგდიდსა და კირცხში, გაგრძელდა სოფელ კოშკში, ლიაში, ხიბულაში, ნოსირში და სხვა სოფლებში. გლეხებმა კატეგორიულად თქვეს უარი ყველაზე მსხვილი მემამულეების ნ. მინგრელსკისა და კ. დადიანის მორჩილებაზე, ღალასა და ბეგარაზე. აჯანყების ცეცხლით მოცულ სამეგრელოში თვით ქუთაისის გუბერნატორი ჩავიდა მრავალრიცხოვანი ჯარით. დაარბია ხალხი, ურჩობით განსაკუთრებულად გამორჩეულ სოფლებში დამსჯელი ეგზეკუციები ჩააყენა, ამბოხების მეთაურები დააპატიმრა. მაგრამ 1875-76 წლებში ამბოხი ახალი ძალით გაგრძელდა. ბრძოლის ალში გაეხვია მთელი ზუგდიდის მაზრა და სენაკის მაზრის დიდი ნაწილი. გლეხობის ძირითადი მოთხოვნა იყო დროებითვალდებულების გაუქმება, მიზომილი მიწების გლეხთა საკუთრებად აღიარება. 1876 წლის ივნისში ქუთაისის გუბერნატორი განმეორებით შეიჭრა სამეგრელოში. გენერალური ბრძოლა 17 ივნისს მოხდა. ბრძოლის ველზე აჯანყებულებმა ათეულობით მოკლული და ასეულობით დაჭრილი დატოვეს. მთავრობის მოხელეები აღიარებდნენ, რომ სამეგრელოს გლეხთა ამ გრანდიოზულ ამბოხებას მთელ საქართველოში ჰქონდა გამოძახილი, მაგრამ გლეხთა სამართლიანი მოძრაობა ყველგან მარცხით დასრულდა.

ფართო მასშტაბითა და შეუპოვრობით გამოირჩეოდა აგრეთვე სვანეთის გლეხთა 1875-1876 წლების აჯანყება. სვანეთი ვერ ურიგდებოდა რუსი სამხედროებისაგან დამყარებულ საოკუპაციო რეჟიმს და უსამართლობას. 1870 წელს სვანები გადასახადებით დაბეგრეს. 1875 წელს მთავრობამ დაადგინა სვანთა სამფლობელო მიწების აღწერა, მითვისება და საადგილმამულო გადასახადის (რენტის) დაწესება.

სვანეთი ბოქაულ ჯორჯაძის რაზმის და მიწისმზომელთა შესვლას პროტესტით შეხვდა. მღელვარება თითქმის ყველა თემსა და სოფელს მოედო. აჯანყების პირველი ნაპერწკალი ლატალში გაჩნდა და ცეცხლად მულახში იქცა. ყაზბულათ შერვაშიძის წინადადებით, მულახის თემმა დაადგინა, თუ მთავრობა ხელს არ აიღებს ჩვენი მიწების აზომვა-დაბეგვრაზე, ყველამ ია-

რაღს მოკიდოთ ხელი და სვანეთის უფლებები წინაპართა მსგავსად ბრძოლით დავიცვათო. რამდენიმე დღეში მულახელთა გადაწყვეტილებას თავისუფალი სვანეთის ყველა თემი შეუერთდა. ბრძოლისუნარიანმა მოსახლეობამ იარაღი აისხა. 2 ათასი კაცი შეგროვდა სახელგანთქმული წმინდა სალოცავის, კვირიკეს ეზოში. მთელმა ხალხმა შალიანის ხატის წინაშე მუხლი მოიყარა, ფიცი დადო მთავრობის ავი განზრახვის წინააღმდეგ ერთსულოვან მოქმედებაზე. ყრილობამ „ამენ" დაიგრიალა. ყველამ თავის სოფელს და ოჯახს მიაშურა მტკიცე გადაწყვეტილებით, ფხიზლად ედევნებინა თვალი რუსული ადმინისტრაციის მოქმედებისათვის და საჭიროების შემთხვევაში თავგანწირული წინააღმდეგობა გაეწიათ მთავრობის ძალადობისათვის.

სვანეთის ბოქაულმა, თავადმა ჯორჯაძემ სწორი ინფორმაცია და ყალბი ცნობები ერთად მიაწოდა ქუთაისის გუბერნატორს; სასიკვდილო საფრთხის წინაშე ვართ, ჩვენს გადასარჩენად მრავალრიცხოვანი ჯარი უნდა გამოიგზავნოსო. ლეჩხუმის მაზრის უფროსს სვანთა პოზიციების დაზვერვა დაევალა, ვიცე-გუბერნატორ მალოფეევს კი აჯანყებულთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკება, რაც უშედეგოდ დამთავრდა. ვიცე-გუბერნატორი დარწმუნდა, რომ სვანეთში ვერც ადგილობრივ ბატონს იტანდნენ და ვერც მთებს გადაღმიდან მოსულ მოხელეებს. მან თავისი ჯარი ლატალის უღელტეხილისკენ დაძრა. უხიფათოდ გადაიარა და სოფელ კალაში დაბანაკდა. აქ, ენგურის ორივე მხარეს, ერთმანეთის პირისპირ განლაგდა ორი ათასი შეიარაღებული სვანი და მთავრობის ჯარის ორი ბატალიონი. გენერლებმა მალოფეევმა და ციტოვიჩმა დაპირებებით მოახერხეს სვანთა უნდობლობის ნაწილობრივი გაფანტვა და აჯანყებულთა ერთიანობაში ბზარის შეტანა. 20 ივლისს კალელები და უშგულელები გამოეყვნენ სახალხო ლაშქარს. მეორე დღეს თავიანთ სოფლებს დაუბრუნდნენ სხვა ამბოხებულებიც. მაგრამ ყველამ უარი თქვა აჯანყების მეთაურთა დასახელება-გაცემაზე. სვანეთის ბოქაულმა კი ზემდგომ ინსტანციას გადასცა ამბოხების მეთაურთა და წამქეზებელთა 36-კაციანი სია. კავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ დამნაშავედ ჩათვალა 16 კაცი. აქედან დანებებაზე უარი თქვა ოთხმა კაცმა და ტყეს შეაფარა თავი.

რუსულ ხელისუფლებას კანონის დარღვევად მიაჩნდა დამნაშავეთა დაუსჯელად დატოვება და ამიტომ ოთხი კაცის შესაპყრობად მომდევნო 1876 წლის ივლისს სვანეთში გააგზავნა ლეჩხუმის მაზრის უფროსი გრინევსკი და მაიორი ლეუსი ასეულის თანხლებით. „სამართლიანობის დამცველნი" სოფელ ხალდეს მიადგნენ და დამნაშავე გ. გასვიანის და რ. ჯოხაძის გადაცემა მოითხოვეს. სოფელმა ასეთ მუხანათობაზე უარი თქვა. მაიორი ლეუსი საიერიშოდ შეემზადა.

სოფელ ხალდეში იმ დროს 19 კომლი ცხოვრობდა, სადაც 40 შეიარაღებული მამაკაცი ითვლებოდა. ხალდელი ვაჟკაცები კოშკებში გამაგრებულ-რუსული რაზმის მეთაურს, მშვიდობიანი მოლაპარაკების მიზნით, ორი კაცი — გეგი და გიორგი გირგვლიანები შეახვედრეს. მაიორმა ლეუსმა არ იკადრა კომპრომისზე წასვლა და სვანთა მოციქულების ხიშტებზე აგება ბრძანა. ჯარისკაცებმა გიორგი მყისვე გამოასალმეს სიცოცხლეს, გეგიმ კი სამი თავდამსხმელი ხანჯლით განგმირა და მტერს შეაკვდა. მთავრობის ჯარის ქმედების საპასუხოდ, კოშკებში გამაგრებულმა ხალდელებმა ცეცხლი გახსნეს, რამდენიმე წუთში მოკლეს მაიორი ლეუსი, უნტერ-ოფიცერი ტიშჩენკო და რამდენიმე ჯარისკაცი. მეორე დღეს ბრძოლაში დაიღუპა მაზრის უფროსი გრინევსკი, რამდენიმე მოხელე და ჯარისკაცი. რუსთა ასეულიდან დაიღუპა 25 კაცი.

სამწუხარო ინფორმაციის მიღებისთანავე რუსულმა ხელისუფლებამ შეადგინა ხალდელების ამოწყვეტის გეგმა. გენერალ ციტოვიჩის ბატალიონი სოფელს მიადგა. 21 აგვისტოს ციტოვიჩის არტილერიამ ცეცხლი გახსნა, მაგრამ სვანურ კოშკებს ბევრი ვერაფერი დააკლო. მალე ხალდელებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 7 მეზარბაზნე და რუსთა მეორე იერიშიც მოიგერიეს. 27 აგვისტოს მთავრობის ჯარმა გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო. შეძლო რამდენიმე კოშკის აფეთქება. ხალდეს დამცველებს ტყვია-წამლის მარაგიც ამოეწურათ. მათ მაინც შეძლეს ალყაში მოქცეულ სოფლიდან გასვლა და ტყეს შეაფარეს თავი. რუსთა რაზმმა კი ყველა კოშკი ააფეთქა. სოფელი ნანგრევებად გადააქცია, მოსამკელ ყანებს ცეცხლი წაუკიდა.

მთებში თავშეფარებულ ხალდელთა დევნა რამდენიმე თვე გაგრძელდა. ნაწილი დაატყვევეს, სხვები ზამთრის პირზე ნებაყოფლობით ჩაჰბარდნენ მთავრობას. 22 პატიმარი ეტაპით გაგზავნეს ქუთაისში. მათი საქმე სამხედრო სასამართლომ გაარჩია და უმკაცრესი განაჩენის გამოტანა დააპირა. თავისუფლებისათვის ვაჟკაცურად შემართული ხალდელების დასაცავად ხმა აიმაღლა ქართველმა ინტელიგენციამ: ნიკო ნიკოლაძემ, აკაკი წერეთელმა, დავით ლორთქიფანიძემ, ლუარსაბ ლოლუამ და სხვებმა; ოფიციალურმა და არაოფიციალურმა დამცველებმა დაასაბუთეს, რომ ხალდეს ტრაგედიაში დამნაშავე იყო რუსული ადმინისტრაცია, რუსი გენერლები და ოფიცრები. სამხედრო პროკურორმა უკან წაიღო გამოტანილი სასჯელი — დამნაშავეთა ჩამოხრჩობა. სასამართლოს საბოლოო დადგენილება ასეთი იყო: 5 კაცს მიუსაჯეს სამუდამო კატორღა; 12 კაცს — ციმბირში სამუდამო გადასახლება; 5 კაცს გადასახლება ევროპული რუსეთის გუბერნიებში.

მომხდარ აჯანყებათა ანალიზს, მათი მიზნის მთლიანობაში გააზრებას

იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ყველა ეს, თითქოსდა იზოლირებული გამოსვლები ერთი დიდი მოვლენის — განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილები იყო. თერგდალეულები, ხალხოსნები და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები ცდილობდნენ უფრო მჭიდრო იდეურ-პოლიტიკური კავშირი დაემყარებინათ მოძრაობის სხვადასხვა კერას შორის, მოემზადებინათ საერთო-სახალხო განმათავისუფლებელი ომი.

სოციალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდში დროებითვალდებულად გარდასახული ნაყმევი გლეხები იდგენ, მაგრამ არც სახაზინო (სახელმწიფო) გლეხთა მდგომარეობა იყო სახარბიელო. ბევრი მათგანი მწვავედ განიცდიდა მცირემიწიანობას, ვერ ახერხებდა სახელმწიფო გადასახადის გაღებას და რეპრესიების ქვეშ ექცეოდა. მათ დღეში აღმოჩნდნენ ყოფილი საეკლესიო გლეხებიც.

1869 წელს, ალექსანდრე II-ის ბრძანების თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მამულები, რომლებიც 1811 წლის შემდეგ ხაზინის გამგებლობაში მოექცა, სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. ხაზინის ხელში გადავიდა 136 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, საძოვრები, ტყეები. საეკლესიო გლეხებს კი „საზეიმოდ" აუწყეს, რომ „გათავისუფლდნენ" ეკლესიის მღვდელმთავრების დამოკიდებულებისაგან და მიიღეს სახელმწიფო გლეხის სტატუსი. 70-იან წლებში იმპერატორის ბრძანება დასავლეთ საქართველოს გლეხებზეც გავრცელდა. სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში მოექცა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურიის და სამეგრელოს ეკლესია-მონასტრების ყმა-მამული. რუსეთის სახელმწიფოს მიწის ფონდი და სახელმწიფო გლეხთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის სახელმწიფო ხაზინას საქართველოში ეკუთვნოდა თითქმის 2 მილიონი ჰექტარი მიწა, საიდანაც 946 ათასი ჰექტარი გლეხთა 70 ათასი კომლის სარგებლობაში იყო გადაცემული. მიწის ნაკვეთები არათანაბრად იყო განაწილებული: გლეხთა დიდი ნაწილი კომლზე ფლობდა მხოლოდ 1-2 ჰექტარი ფართობის ნაკვეთს. სახაზინო გლეხები დაბეგრილი იყვნენ როგორც სახელმწიფო, ისე საერობო (ადგილობრივი) გადასახადებით. ყველა ერთად წლიურად იხდიდა მილიონ მანეთს. კომლზე საშუალოდ, 14 მანეთი მოდიოდა. სახაზინო გლეხებზე დადებული საგზაო-სატრანსპორტო ბეგარის ფულადი გამოხატულება იყო 400-500 ათასი მანეთი, კომლზე საშუალოდ 6-7 მანეთი.

ხიზან გლეხთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა და 80-იან წლებში 10 ათას კომლს გადააჭარბა. ამ კატეგორიის გლეხობა თავიდანვე პირადად თავისუფალი იყო, მემამულეზე მხოლოდ ეკონომიკურად იყო დამოკიდებული. მიწით სარგებლობის საზღაურად იხდიდა ღალას (ნატურით და

ფულადი რენტით), ზოგი კი განსაზღვრული დროის განმავლობაში მემამულის მეურნეობაში მუშაობდა (შრომითი რენტა). აღნიშნულ პერიოდში ხიზანთა საკითხს მთავრობამ და საზოგადოებამ ადრინდელზე გაცილებით მეტი ყურადღება მიაქცია, მემამულეები აცხადებდნენ, რომ ხიზნები ჩვეულებრივი მოიჯარეებისაგან არაფრით განსხვავდებიან და ჩვენ უფლება გვაქვს მათ მიწის ნაკვეთები ჩამოვართვათო. ილია ჭავჭავაძის აზრით კი ხიზნები ქმნიდნენ გლეხთა განსაკუთრებულ კატეგორიას. მიზანშეწონილია ქართულ საადათო სამართალს, რომლითაც განსაზღვრულია ხიზანთა მდგომარეობა, მივცეთ დაწერილი კანონის ფორმა. შევინარჩუნოთ ამ ინსტიტუტის ყველა ის თავისებურება, რაც შედეგია ხალხის სულიერი მუშაობისა და რომელიც მიწისა და შრომის გათიშულობის პირობებში, პასუხობს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებსო.

1891 წელს დამტკიცდა დებულება ხიზანთა შესახებ. იგი არეგულირებდა მემამულეებისა და მათი მიწით მოსარგებლეთა ურთიერთობას. ყველა დაკავებული ნაკვეთი რჩებოდა ხიზანთა სარგებლობაში, რის საზღაურადაც იხდიდნენ მიწის რენტას. თუ მემამულე მოისურვებდა ხიზნის აყრა-გადასახლებას, უნდა აენაზღაურებინა მისთვის სახლ-კარის, მრავალწლოვანი მცენარეების გაშენებისა და მიწის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯები. აღნიშნული დებულება გარკვეულ პირობებს ქმნიდა მხარეების ცივილიზებული აგრარული ურთიერთობისათვის.

მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესი.
მესაკუთრე გლეხთა ფენის ჩამოყალიბება

საქართველოს გლეხურ მოსახლეობას არ აკმაყოფილებდა მიწის მფლობელობა-სარგებლობის წინა დროიდან შემორჩენილი ფორმები. ცდილობდა მიწის გამოსყიდვას. სავაჭრო ბრუნვაში შესული მიწის სხვა ნაკვეთების ყიდვასაც.

1868 წელს დამტკიცდა დებულება, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მთავრობისაგან დაშვებული კრედიტების გამოყენებით, მიზომილი მიწის (ნადელის) გამოსყიდვის წესები.

აღმოსავლეთ საქართველოში 1869 წლიდან 1903 წლამდე ნადელი გამოისყიდა და მესაკუთრე გახდა 4595 კომლი. 17 ათასი ჰექტარი მიწის დასაკუთრება მათ დაუჯდათ 1,5 მილიონი მანეთი, რომლის ორი მესამედი მთავრობისაგან გაცემული კრედიტი იყო. გლეხობას უჭირდა მიწის გამოსასყიდი სესხისა და მისი პროცენტის დაფარვა. 1899 წელს მათზე ირიცხებოდა 270 ათასი მანეთის ვალი.

დასავლეთ საქართველოს დროებითვალდებულმა გლეხებმა საერთოდ

უარი თქვეს მთავრობისაგან შეთავაზებულ მაღალპროცენტიან კრედიტზე. ისინი საკუთარი თანხებით ახერხებდნენ მიზომილი მიწების გამოსყიდვას. 1903 წლამდე ნადელი გამოისყიდა 35 ათასმა კომლმა. 149 ათასი ჰექტარი მიწის დასაკუთრება მათ დაუჯდათ 7,5 მილიონი მანეთი. ქუთაისის გუბერნია იყო ერთადერთი მთელ რუსეთის იმპერიაში, სადაც დროებითვალდებულ გლეხთა 70%-მა საკუთარი სახსრებით გამოისყიდა მიზომილი მიწა.

სავაჭრო ბრუნვაში დიდი რაოდენობით შევიდა ნედლეულგარეშე მიწებიც. მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა მონაწილეობდა. მიწის გამყიდველთა შორის ჭარბობდა თავადაზნაურობა, მყიდველთა შორის — გლეხობა.

სტატისტიკა, კონკრეტული ფაქტები, ყოველგვარი მასალის შეჯამება ცხადყოფს, რომ XX საუკუნის დამდეგს დასავლეთ საქართველოს გლეხთა საკუთრებაში უკვე იყო 400 ათასი ჰექტარი მიწა. ხაზინისა და თავადაზნაურობის საკუთრებაში ისევ რჩებოდა მათ მიერ გლეხობისათვის რენტის მიღების პირობებით მოზომილი 200 ათასი ჰექტარი. აღმოსავლეთ საქართველოს გლეხებს საკუთრებაში ჰქონდათ 150 ათასი, ხოლო მემამულეებისა და ხაზინის საკუთრებაში რჩებოდა 900 ათასი ჰექტარი ნადელებად გლეხებზე გაცემული მიწა. ეს ციფრები ცხადყოფს, რომ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ბატონყმობის ნაშთები გაცილებით ჭარბად შემორჩა. დასავლეთ ნაწილის სოფლის მეურნეობაში ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების დონე შედარებით მაღალი იყო და გლეხობის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლა უფრო მასობრივ ხასიათს ატარებდა.

ამრიგად, სასაქონლო ურთიერთობის გაფართოების ერთ-ერთ შედეგსა და გამოხატულებას წარმოადგენდა საკმაოდ მრავალრიცხოვან მესაკუთრე გლეხთა ფენის ჩამოყალიბება. მიწის წვრილ საკუთრებაზე გადასვლა დადებითი მოვლენა იყო. ქართველიც და სხვატომელი გლეხიც, საკუთარ მიწაზე გაცილებით მუყაითად შრომობდა, ყოველნაირად ცდილობდა მეურნეობის გაუმჯობესებას. იგი დარწმუნებული იყო, რომ მიწა აუნაზღაურებდა იმ შრომასა და ხარჯს, მის გასანოყიერებლად რომ გასწია. მემამულეებისა და სახელმწიფო ხაზინის დამოკიდებულებაში დარჩენილ მიწის რენტის გადამხდელ გლეხებს ასეთი სტიმული არ გააჩნდათ. ბატონყმობის ნაშთები და მიწის იჯარის კაბალური ფორმები საგრძნობლად აფერხებდა გლეხური მეურნეობის აღმავლობას. ეს მოვლენები ხელს უშლიდა აგრეთვე მემამულური მეურნეობის ბურჟუაზიულ ევოლუციას, სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი V

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა XIX საუკუნის 70-90-იან წლებში

ამ პერიოდში ქართულ საზოგადოებრივ აზრს ტონს აძლევდნენ თერგდალეულები, ხალხოსნები და მათი ეპიგონები. პირველნი თავიანთ მიზნად აცხადებდნენ ქვეყნის ევროპეიზაციას, ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის გავრცელებას, განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოებას და ავტონომიის ფორმით ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ქართველი ხალხოსნები კი არსებითად რუსული „ნაროდნიკობის" პოზიციაზე იდგნენ, პირველი რიგის ამოცანად სოციალური ჩაგვრისაგან ხალხის გათავისუფლება, სოციალიზმის ნაციონალური მოდელის განხორციელება მიაჩნდათ. ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ამის შემდეგ ვარაუდობდნენ.

თერგდალეულები რუსეთის ცარიზმს, იმპერიულ ხელისუფლებას, მართალია, მჩაგვრელ ძალად თვლიდნენ და იბრძოდნენ მის წინააღმდეგ, მაგრამ დადებითად აფასებდნენ რუსეთთან საქართველოს შეერთების ზოგიერთ ობიექტურ შედეგს. მიესალმებოდნენ იმ ფაქტს, რომ საქართველომ თავი დააღწია მუსლიმურ გარემოცვას, შედარებითი მშვიდობა მოიპოვა და თურქთაგან მიტაცებული მიწა-წყლის ნაწილი დაიბრუნა.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და საქართველო

1875 წელს ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდნენ ბალკანეთის სლავები. სლავებს დახმარების ხელი გაუწოდა რუსეთის მთავრობამ და საზოგადოებამ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ოსმალეთის განდევნა ბალკანეთიდან და ბოსფორ-დარდანელის სრუტეების დაპატრონება რუსეთის სტრატეგიული ამოცანა იყო. 1877 წლის 24 აპრილს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საბრძოლო ოპერაციები გაჩაღდა როგორც ბალკანეთში, ისე კავკასია-ანატოლიის ფრონტზე.

საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის იდეა, რაც რუსეთს ჯერ კიდევ ერეკლე II-მ დაუკავშირა, რეალობად იქცა XIX საუკუნის 20-30-იან წლებში. ეს რეალობა 70-იან წლებში გაგრძელდა. დედა საქართვე-

ლოს წიაღში დაბრუნებაზე მუსლიმი ქართველებიც ოცნებობდნენ. 1875 წელს აჭარლები კიდეც აჯანყდნენ ოსმალთა წინააღმდეგ. ამ ინციდენტ-ასთან დაკავშირებით სერგი მესხი წერდა, რომ ქობულეთში ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო. სასურველია ისე განვითარდეს მოვლენები, რომ ოსმალთაგან გამუსლიმანებული ქართველები ქრისტიან ქართველებს შემოუერთდნენო. ილია ჭავჭავაძე იმედოვნებდა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომს სამუსლიმანო საქართველოს გათავისუფლება მოჰყვებოდა, დიდი ხნის წინ გაშორებული ძმები, ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველები კვლავ ძმურად შეეთვისებოდნენ ერთმანეთს.

რუსეთის მთავრობაც დიდ იმედს ამყარებდა ქართველთა ამგვარ განწყობილებაზე. როცა დაიწყო მოხალისეთა ლაშქრის ჩამოყალიბება, სახალხო მილიციაში უამრავი ქართველი ჩაწერა. რუსეთის არმიასთან ერთად ბრძოლის ველზე გავიდა ქართველთა 30-ათასიანი ლაშქარი.

ომის საწყის ეტაპზე ოსმალეთის საზღვრები გადალახა რუსეთის 60-ათასიანმა ჯარმა. რუსული პოლკების მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ ქართველ მოხალისეთა რაზმები. შედეგი ის იყო, რომ ოსმალეთს ხელიდან გამოჰგლიჯეს ბაიაზეთი, რუს-ქართველთა ჯარმა ვერ შეძლო ყარსის აღება და ვერც ოსმალთა კონტრშეტევის მოგერიება. ერთხანს გამარჯვების სასწორი მტრისკენ გადაიხარა (ივნისი, ივლისი, აგვისტო). 1877 წლის სექტემბერში რუსეთის ჯარს შეემატა 2 დივიზია და ქართველ მილიციონერთა რამდენიმე რაზმი. 15 ოქტომბერს ალაჯის ზეგანზე გამართულ გენერალურ ბრძოლაში თურქები დამარცხდნენ, მოკლულთა სახით დაკარგეს 13 ათასი კაცი, 7 ფაშა, 250 ოფიცერი, 7 ათასი ჯარისკაცი ტყვედ აიყვანეს რუსებმა. რუსეთის ჯარმა კვლავ დაიკავა საქართველოს ყოფილი ტერიტორიები და ანატოლიის აღმოსავლეთი ნაწილი. ოსმალთა ჯარებმა კიდევ უფრო დიდი მარცხი განიცადეს ბალკანეთის ფრონტზე. 1878 წლის 20 იანვარს რუსეთის ჯარმა დაიკავა ადრიანოპოლი და გეზი აიღო სტამბოლისაკენ. ოსმალეთის სულთანმა კაპიტულაცია გამოაცხადა.

1878 წლის 3 მარტს სან-სტეფანოში გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ოსმალეთის დამოკიდებულებიდან თავისუფლდებოდნენ ბულგარეთი, ჩერნიგორია, რუმინეთი. რუსეთს უნდა გადასცემოდა ბესარაბია, ოსმალეთისგან XVI-XVII საუკუნეებში მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და დასავლეთ სომხეთის ტერიტორიები. ოფიციალურად ეს ტერიტორიები რუსეთის იმპერიას უერთდებოდა, მაგრამ ამ ფაქტს ქართველი ხალხისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ორად გაგლეჯილი საქართველო ადმინისტრაციულად გაერთიანდა. ამ განმათავისუფლებელ ომში სახელოვანი მონაწილეობა მიიღეს რუსეთის ჯარში მომსახურე ქარ-

თველმა გენერლებმა და ოფიცრებმა, აგრეთვე ქართული მილიციის მებრძოლებმა. მათ შორისაც საზრიანობა-სიმამაცით გამოირჩეოდნენ: გენერლები — ზაქარია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ქავთარაძე, მიხეილ ამირეჯიბი, ოფიცრები — ამილახვარი, მიქელაძე, კვინიტაძე, იოსელიანი, ორბელიანი, ფანჩულიძე და სხვა.

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება 13 ივლისს ბერლინის კონგრესზე რამდენადმე შეიცვალა; ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთის მფლობელობაში გადმოვიდა და საქართველოსთან ადმინისტრაციულად გაერთიანდა შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი, ოლთისი და აჭარა. ომის დროს რუსეთის ჯარს აჭარა არ დაუკავებია. ოსმალთა ჯარებმა ეს ტერიტორია ბერლინის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ დატოვეს. 1878 წლის 25 აგვისტოს რუსული არმიის პოლკები ბათუმში შევიდნენ. ქალაქის ციტადელზე რუსეთის დროშა აღიმართა. ქვემეხების სალუტმა მოსახლეობას ამცნო, რომ დამთავრდა ოსმალთა ბატონობა, აჭარა დედა-სამშობლოს შემოუერთდა. ორიოდე დღის შემდეგ იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, უწინდელი განათლების აკვანი, ძველი საქართველო ჩვენ შემოგვიერთდა“, ხოლო ილია ჭავჭავაძემ ქართველ ხალხს მოუწოდა დახმარების ხელი გაეწოდებინა ახლად გათავისუფლებული და ომით დაზარალებული მუსლიმანი ქართველებისათვის.

თერგდალეულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოებისათვის

თერგდალეულთა იდეოლოგიაზე, ამ მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკური დიფერენციაციის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში შეხედულებათა სხვადასხვაობაა. ზოგს მიაჩნია, რომ სამოციანელები ერთიანობას შემდეგაც ინარჩუნებდნენ, სხვათა აზრით კი 70-იან წლებში ილია ჭავჭავაძის მიმდევართა ჯგუფს გამოეყო „ახალი ახალგაზრდობა“, მოხდა თერგდალეულთა გათიშვა პირველ და მეორე დასებად. მაგრამ მათი იდეოლოგიისა და პრაქტიკული საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ დასებს შორის არსებითი განსხვავება არ იყო. თერგდალეულები მტკიცედ იდგნენ ეროვნულ ნიადაგზე, ერთად ემსახურებოდნენ საქართველოს და საკაცობრიო პროგრესის საქმეს.

70-იან წლებშიც იყვნენ ანტირუსული საყოველთაო აჯანყების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის მომხრენი. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია, 1873 წელს, ცენზურაგაუვლელ გაზეთ „დროშაში“ დაბეჭდილი დავით მიქელაძის სტატია: ავტორის აზრით, იმპერიული ხელისუფლების რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში ქართველ

და კავკასიის სხვა ერებს გადაგვარება და გაქრობა ელოდა. იყო მხოლოდ ერთი გამოსავალი — მთელი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია მოეხმარებინათ საყოველთაო აჯანყების მომზადებისათვის და როცა რუსეთი დიდ ომში დამარცხებით დაძაბუნდებოდა, ქუდზე კაცი გამოეყვანათ, თავგანწირული ბრძოლა დაეწყოთ საშობლოს გათავისუფლებისათვის. მეორე საბუთი — 1874 წელს ჟენევაში ჩატარდა კავკასიელ მოღვაწეთა კონგრესი. უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რუსეთიდან გამოყოფას, დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას.

ცხადია, რომ თითქმის ყველა განათლებული პატრიოტი სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა, მაგრამ რუსეთის იმპერიაში არსებული სულისშემხუთველი რეჟიმის პირობებში, ოცნებას ფრთები ეკვეცებოდა. თერგდალეულები კარგად გრძნობდნენ, რომ ანტირუსული აჯანყება უპერსპექტივო და თანაც დიდად სახიფათო საქმე იყო და ამიტომ გასაქანს არ აძლევდნენ ოცნებას, ზღუდავდნენ სამოქმედო გეგმას. მათ კარგა ხნით ხელი აიღეს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე და ეწეოდნენ რუსეთის იმპერიის ფედერაციულ საწყისებზე გარდაქმნის, ფედერაციის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს შექმნის იდეის პროპაგანდას.

1881 წელს ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიაში" წერდა: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, სადაც სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ, ამიტომაც ერთს უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს, სხვადასხვა ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ და მერე როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან... ყველას წინასწარ უნდა სცოდნოდა, რომ დღესა თუ ხვალ რუსეთი იძულებული შეიქმნებოდა დაენიშნა საზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნებისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეფარგლა". ასეთ გარდაქმნებს, ილიას აზრით, მოითხოვდა არა მარტო სამართლიანობის პრინციპის ისტორიული განვითარება, თვით რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებიც. ამგვარად, ილია ჭავჭავაძეს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა მრავალეროვნული რუსეთის უნიტარული სახელმწიფოს დემოკრატიულ და ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზება. ამ ფედერაციაში საქართველო და სხვა განაპირა რეგიონები უნდა შესულიყვნენ ავტონომიური სახელმწიფოებრივი ერთეულების სახით. ასეთი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნით მოიპოვებდა რუსეთის მთავრობა და ხალხი სხვა ერების თანამოქალაქეთა ნდობას. იგი გახდებოდა მრავალეროვნული ფედერაციული სახელმწიფოს განვითარებისა და გაძლიერების საფუძველი.

რუსეთის მმართველი ფენა, სამწუხაროდ, არ იწონებდა ფედერაციისა

და ავტონომიის იდეას. ილია ხედავდა ამას და დაუღალავად განაგრძობდა თავისი პოლიტიკური პროგრამის უფრო დამაჯერებლად დასაბუთებას. თანაც, ყველა ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტი მოღვაწის დიდ მოვალეობად აცხადებდა ხალხის ეროვნული ცნობიერების ამაღლებას, მის მომზადებას განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა ფორმებისათვის. ყველას მიზანი უნდა გამხდარიყო „ჩვენი (ქართველების) ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისაგან". ილია სიამაყით აღნიშნავდა, რომ ახალმა თაობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეროვნულ საკითხს. ქართული პერიოდული პრესის ყველა ორგანო ეროვნული მიმართულების „ბუკსა და ნაღარას" სცემდა". თერგდალეულთა ლიდერის აზრით, ყველა განათლებული ქართველი ამ მიმართულების სასწორზე უნდა აწონილიყო, ეროვნული მოღვაწეობისათვის უნდა მომზადებულიყო „ევროპის მეცნიერებითა და გამოცდილების ფარხმალით აღჭურვილი" ახალი თაობაც.

ილია ჭავჭავაძის მიერ დამუშავებული სოციალ-პოლიტიკური პროგრამა ძალასა და მნიშვნელობას ინარჩუნებდა რამდენიმე ათეულ წელს და დღესაც ბევრ რამეში გვეხმარება. თერგდალეულები დადებითად აფასებდნენ ბურჟუაზიულ რეფორმებს, რადგან ხელს უწყობდნენ საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებას, ამაგრებდნენ პროგრესულ სოციალურ ფენებს და ქმნიდნენ პირობებს განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოებისთვის.

რუსეთის ხელისუფლებას საქართველოში არ გაუტარებია საერობო რეფორმა, საფუძველი არ შეუქმნია უფლებაშეკვეცილ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვისაც კი, რამაც ქართველი საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. 1868 წელს გორის მაზრის თავად-აზნაურთა საკრებულომ აღძრა შუამდგომლობა საქართველოში საერობო დაწესებულებათა დაარსების შესახებ, მაგრამ რუსეთის მთავრობამ იგი ყურადღების მიღმა დატოვა. XIX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა ისეთი სტატიები, რომელშიც ასახული იყო რუსეთში შექმნილი საერობო დაწესებულებათა დადებითი საქმიანობა და გამოითქმოდა ანალოგიური დაწესებულებების საქართველოში შექმნის სურვილი. ერთ-ერთ სტატიაში ილია ჭავჭავაძე წერდა: „თუ ერობის საქმე ისეა მოწყობილი, რომ იგი მართლა ერობდეს, უკეთესის ნატვრა ჯერ ამხანად მაინც, მეტისმეტი წადილი იქნება". ილიას არ მოსწონდა ის, რომ კანონი თვითვე განსაზღვრავდა საერობო დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მოქმედების სქემას და ერობის საკუთარ ინიციატივას მინიმუმამდე ზღუდავდა. „თუ მაგალითად, კანონით

დაიდვა — აღნიშნავდა ილია — რაც მეამება, მარტო ისა სთქვიო, რაც მე ვინდომო, ის გააკეთეო, მაშინ ერობა ტვირთია და არა შვება და შეღავათი.. ერობა ორკეცი რამ არის: ერთით მოვალეობა და მეორით უფლება. ერთით ტვირთია, მეორეთი ღონეა სიკეთისა, რადგან ერი თვითვე პატრონობს თავის თავს. რაღა თქმა უნდა სანუკვარი უფრო მეორეა. ადამიანი ტვირთს ადვილად იკისრებს, როცა საჭიროა ეგ თავის თავისივე საკეთილდღეოდ. მაშასადამე აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა მოედანი ექნება შემოფარგლული ერობას, და რა ფართო გზა მოქმედებისა დაენიშნება და უკეთესთა მოჭირნახულეთა არჩევანი დაბრკოლდება რითიმე თუ არა".

ილიას ამგვარი მსჯელობა ცხადყოფს, რომ თერგდალეულთა ლიდერს არ მოსწონდა რუსეთის მთავრობის ბიუროკრატიული აპარატის ახალი დანამატის სახით არსებული ერობა და იბრძოდა ჭეშმარიტი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, რომელიც ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის წინამორბედად მიაჩნდა.

საყოველთაოდ აღიარებული დიდი პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილი გაზეთ „ივერიაში" წერდა: მამულის სიყვარული, პატრიოტიზმი ერის წარმატების ძირითადი პირობაა. რაც უფრო ბევრი ჰყავს ქვეყანას გულშემატკივარი და ერთგული მამულიშვილი, მით უფრო სწრაფად მიდის პროგრესის გზაზეო და იქვე აღნიშნავდა, რომ ეროვნული და სოციალური საკითხები ერთმანეთზეა გადაბმული, ჩვენი ინტელიგენცია ორივე მათგანს აქცევდა ყურადღებას, მაგრამ ეროვნული კითხვა მაინც წინ ჰქონდა წამოწეული და ეს ბუნებრივია, რადგან ეროვნული მხარე ჩვენი არსებობისა უფრო ძლიერ გვტკიოდა, ვიდრე სოციალური; თუმცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ერის აღორძინების ერთ-ერთი მთავარი პირობა არისო.

სოციალურ საკითხს ეროვნულზე მაღლა ხალხოსნები აყენებდნენ. ქართველ ხალხოსანთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენდა გერცენის, ჩერნიშევსკის, ლავროვისა და ბაკუნინის ნააზრევი, დასავლეთ ევროპაში მოარული უტოპიურ-სოციალისტური თეორიები. მაგრამ მათ პრაქტიკულ საქმიანობაში უფრო რელიეფურად ჩანდა საქართველოს კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პირობების ანარეკლი: ბატონყმობის ნაშთები, წვრილი წარმოების დომინირება, გლეხობის გაჭირვება და მისი დახმარების სურვილი აღვივებდა ხალხოსნებში რევოლუციურ სულისკვეთებას. ქართველი ხალხოსნები ცდილობდნენ ფართო აგიტაცია-პროპაგანდით დაერწმუნებინათ მოსწავლე ახალგაზრდობა, მშრომელი ხალხი, რომ აუცილებელია ცარისტული თვითმპყრობელობის, მისი ბიუროკრატიული აპარატის განადგურება, რომ არსებული წყობილების დამხობის შემდეგ დამყარდება ხალხის განუსაზღვრელი თვით-

მმართველობა, დამკვიდრდება თანასწორობა, საზოგადოებრივი დოვლათის სამართლიანად განაწილების პრინციპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მთავრობის ჟანდარმერიამ 1876 წლის სექტემბერში დაარ-ბია ქართველ ხალხოსანთა ფარული ორგანიზაცია. დააპატიმრეს ეგნატე იოსელიანი, მიხეილ ყიფიანი, ვასილ დეკანოზიშვილი, ვარლამ გაბიჩვაძე, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვანი. პასუხისმგებაში მისცეს 80 კაცი. ამის შემდეგ ხალხოსნურმა მოძრაობამ უფრო მშვიდობიანი ხასიათი მიიღო. საგრძნობი ცვლილებები მოხდა ხალხოსნების მსოფლმხედველობასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. ბევრმა მიატოვა უტოპიური ოცნება, ზეცაში ფრენა, რეალურ ნიადაგზე დაეშვა. მათ განიცადეს ძველი და ახალი თერგდალეულების გავლენა. დაიწყეს გაზეთ „შრომის“ და ჟურნალ „იმედის“ გამოცემა. დიდი ადგილი დაუთმეს საგამანათლებლო საქმიანობას, მეტი ყურადღება მიაქცეს ეროვნულ საკითხს.

რუსი „ნაროდნიკების“ ერთი ნაწილი კი ტერორზე გადავიდა. 1881 წლის 1-ელ მარტს „ნაროდოვოლცებმა“ მოკლეს იმპერატორი ალექსანდრე II. რევოლუციური გადატრიალების ცდას მმართველმა წრეებმა მწვავე რეაქციით უპასუხეს. დაიწყო რეპრესიები მემარცხენე ძალების წინააღმდეგ. განაპირა ქვეყნებში და კერძოდ საქართველოში, დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები. 1882 წელს ცენტრმა გააუქმა სამხრეთკავკასიის ადმინისტრაციული ავტონომია. მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი რუსეთში გაიწვიეს. მთავარმმართებელად გამოგზავნეს რეაქციონერი და დიდმპყრობელი გენერალი დონდუკოვ კორსაკოვი, ეგზარქოსად დანიშნეს არქიეპისკოპოსი პავლე, კავკასიის სასწავლო ოლქის მეთაურად იანოვსკი. გაძლიერდა ცენზურა, მკაცრი კონტროლის ქვეშ მოაქციეს პერიოდული პრესა, ქართული ენა და ქართული კულტურა დევნის ობიექტი გახდა.

რუსიფიკატორული პოლიტიკა განსაკუთრებული აგრესიულობით გამოიხატა სწავლა-განათლების სფეროში. სკოლებიდან თითქმის მთლიანად განიდევნა ქართული ენა და ქართველი მასწავლებელი. იანოვსკის „პედაგოგიური მეთოდი“ (რუსულის მუნჯურად სწავლება) სავალალო მდგომარეობაში აყენებდა არა მარტო რუსული ენის არმცოდნე ქართველ ბავშვებს, არამედ ქართული ენის არმცოდნე რუს პედაგოგებსაც. მეფის მთავრობის მოხელეები, ვითომდა ნაცუმცირესობათა დაცვის მიზნით, ცდილობდნენ დაწყებით სასწავლებელში ქართული ენის ნაცვლად მეგრულის, სვანურისა და თურქულის დამკვიდრებას. ოსმალთა ბატონობისაგან ახლად გათავისუფლებულ მუსლიმან ქართველებს თურქებად აცხადებდნენ, კრძალავდნენ მათთვის ქართული სკოლების გახსნას, თხზავდნენ ქართვე-

ლი ერის დაბერების უნიადაგო თეორიას, მიზნად ისახავდნენ ქართველების გარუსებას.

ქართველი მოღვაწეები, ბუნებრივია, წინააღმდეგობას უწევდნენ დიდმპყრობელურ რუსულ შოვინიზმს. სერგი მესხმა გაზეთ „დროების“ მეშვეობით ღია წერილი გაუგზავნა რუსიფიკატორთა ლიდერ იანოვსკის. კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მის მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამა, რომლის მიზანი იყო ქართული ენის სრული დისკრიმინაცია, ქართველი ერის არსებობისათვის ძირის გამოთხრა. სერგი მესხის პოზიცია კიდევ უფრო განამტკიცეს დიმიტრი ყიფიანმა, ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა. მათ ცხადყვეს, რომ იანოვსკის პროგრამა ეწინააღმდეგებოდა პედაგოგიურ მეცნიერებას. სახალხო სკოლის სწორ პედაგოგიურ საფუძველზე დაყენების და ახალი თაობის ნორმალურ აღზრდას ემსახურებოდა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსკოე სლოვო“.

თერგდალეულები და სხვა პატრიოტი მოღვაწეები ცდილობდნენ დაეარსებინათ და ერის სამსახურში ჩაეყენებინათ სამეურნეო, კულტურულ-საგამანათლებლო დაწესებულებები. ქართველ თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი, რომლის სათავეში ილია ჭავჭავაძე იდგა, აფინანსებდა ქართულ თეატრს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და სხვა ეროვნულ დაწესებულებებს. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879 წელს დაარსდა. მისი დამფუძნებლები და ხელმძღვანელები იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკოლოზ ცხვედაძე. ამ საზოგადოებამ ათი წლის განმავლობაში ქართული სკოლები გახსნა თბილისში, ქუთაისში, ძველ სენაკში, ბათუმში, წინარეხში, ხელთუბანში, თიანეთში, გომარეთში, ვლადიკავკაზში.

გიორგი ერისთავმა 1850 წელს ააღორძინა ქართული თეატრი. მისმა ვაჟმა, დავით ერისთავმა კი განაახლა იგი 1879 წელს. მანვე ქართულ ყაიდაზე გადაამუშავა ფრანგი დრამატურგის, სარდუს ნაწარმოები „სამშობლო“ და სპექტაკლი ქართველი საზოგადოების წინაშე გამოიტანა. III მოქმედებაში, როცა საბრძოლველად გამზადებული გმირები ეროვნული დროშის წინაშე სამშობლოსათვის თავდადების ფიცს სდებდნენ, მაყურებელიც მზად იყო მუხლი მოეყარა ეროვნული დროშის წინაშე და წინაპართა გმირულ კვალზე წასულიყო.

ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების, ცნობიერების ამაღლებაში დიდ როლს ასრულებდა პერიოდული პრესა. ქართული ჟურნალ-გაზეთები უშიშრად ამხელდნენ რუსიფიკატორთა ბნელ ზრახვას. მკითხველს აწვდიდნენ თავისუფალ სიტყვას, საუბრობდნენ პატრიოტიზმსა და დემოკ-

რატიული აზროვნების შესახებ. ცენზურამ აკრძალა სიტყვა „საქართველო“, „მავნე მიმართულებისათვის“ დახურეს ჟურნალი „იმედი“, „გახეთები“ — „დროება“ და „შრომა“. ასევე მოექცნენ რუსულ „ობზორს“, რომლის რედაქტორი, ნიკო ნიკოლაძე საქართველოდან გაასახლეს.

1886 წლის 24 მაისს მოსწავლე იოსებ ლაღიაშვილმა უსამართლო ქმედებისათვის მოკლა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი შოვინისტი ჩუდეცკი. ეს ფაქტი რუსმა მოხელეებმა ქართველთა სეპარატიზმის ერთ-ერთ გამოვლინებად მიიჩნიეს და რეპრესიები გააძლიერეს. ჩუდეცკის დასაფლავების დღეს ეგზარქოსმა პავლემ დასწყევლა ქართველი ერი, რომელმაც შობა ტერორისტი და ავაზაკი იოსებ ლაღიაშვილი. აღშფოთებულმა დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოსს საპროტესტო ღია ბარათი გაუგზავნა, სადაც მის მიერ შეჩვენებულ-დაწყევლილი ქვეყნის დატოვება მოსთხოვა. ეს არ აპატიეს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, თანამდებობიდან გადააყენეს და გადაასახლეს სტავროპოლში, სადაც იგი მთავრობის აგენტებმა ვერაგულად მოკლეს.

დიდი ქართველი მოღვაწის და პატრიოტის მკვლელობამ აღაშფოთა ქართველი საზოგადოება. დიმიტრი ყიფიანის ცხედარი მთაწმინდის პანთეონისაკენ წაასვენეს. თანამედროვეთა შორის „დიმიტრი თავდადებულად“ წოდებული ქართველის დასაფლავება ეროვნულ საპროტესტო დემონსტრაციად გადაიქცა.

„საქართველოს თავისუფლების ლიგა“

თერგდალეულთა ბრძნული აზრები, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეები, ფართოდ გავრცელდა საქართველოს სემინარია-გიმნაზიების მოსწავლეებსა და რუსეთის უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტებს შორის. ახალგაზრდობამ მხარი აუბა წინა თაობის ლიდერებს.

ჟანდარმერიის მასალებიდან ჩანს, რომ XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველ სტუდენტთა სათვისტომოები იწყებენ გაერთიანებას, ცდილობენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას. მისი პროგრამის შედგენაზე თავდაპირველად მუშაობდნენ ვარშავის, პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტთა სტუდენტები. მალე საქმეში ჩაებნენ კიევის, ხარკოვის, ოდესის უნივერსიტეტელები და შეთანხმდნენ, რომ ქართველ სტუდენტთა წრეების წარმომადგენელთა ყრილობა ჩაეტარებინათ საქართველოში.

ჩანაფიქრი შესრულდა. სტუდენტთა პირველი თავყრილობა ქუთაისში ჩატარდა 1892 წლის 26-29 ივლისს. მონაწილეობდა 20 დელეგატი — მიხე-

ილ ხელთუფლიშვილი, გიორგი გვაზავა, ივანე ელიაშვილი, ვახტანგ დამბაშიძე, ნიკოლოზ ჯაველი, იაკობ ფანცხავა, ვარლამ ჭიჭინაძე და სხვები. ყრილობამ ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციის, მისი სექციების მიზნად გამოაცხადა საშშობლოს სამსახური, რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს გათავისუფლება; სტუდენტთა წრეებს დაუყოვნებლივ უნდა დაეწყოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის იდეის პროპაგანდა.

რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში ამის შემდეგაც გრძელდებოდა სჯა-ბაასი ორგანიზაციის მიზნებისა და საქმიანობის ფორმებზე. ყველაზე მეტად აქტიურობდნენ ვარშავის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები, მათ სოლიდარობას უცხადებდნენ პოლონელები. ვარშავაში „დაიბადა" ანტირუსული ორგანიზაცია — „საქართველოს თავისუფლების ლიგა". აქ შეადგინეს სამოქმედო პროგრამის უფრო სრული ვარიანტი. მასში ჩაიწერა: „საქართველო დაჩაგრულია. ქართველ ხალხს ემუქრებოდა მშობლიური ენისა და საარსებო მიწა-წყლის დაკარგვის საფრთხე..., „თავისუფლების ლიგა" მიზნად ისახავს ქართველი ერი გამოიყვანოს მონური მდგომარეობიდან, დააყენოს თავისუფალი განვითარების გზაზე. ლიგა იმასაც შეეცდება, რომ ხელი შეუწყოს კავკასიის ხალხთა ძალების გაერთიანებას, მათს დარაზმვას საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენი მიზანია კავკასიელთა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მათი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა. მომავლის ამ საზოგადოებაში ადგილი არ ექნება ეროვნების, რელიგიის და რწმენის შევიწროვებას...საქართველოს თავისუფლების ლიგა" იბრძოლებს არა მარტო ქართველი ერის, არამედ მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ". პროგრამის დასკვნით ნაწილში ნათქვამია: „თავისუფლების ლიგა" ემსახურება წმინდა საქმეს. ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხს არ დაუკარგავს თავისუფლების მოპოვების იმედი. ქართველი ერი სიცოცხლისუნარიანია. ქართველებო! „ლიგა" კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ჰამლეტურ კითხვას — „ყოფნა თუ არ ყოფნა". ერთსულოვნად ვთქვათ „ყოფნა" და დავიწყოთ მოქმედება. შევმართოთ მახვილი თავისუფლებისათვის საბრძოლველად".

პროგრამისა და წესდების დახვეწის შემდეგ „ლიგამ" კიდევ უფრო გააცხოველა საქმიანობა. განმტკიცდა ორგანიზებული კავშირი სტუდენტთა წრეებს შორის, საქართველოში დაიწყო სექციების ჩამოყალიბება. 1893 წლის ივლისში ჩატარდა ორგანიზაციის მეორე თავყრილობა თბილისში. ახალგაზრდები კიდევ უფრო მეტად დაიმუხტნენ თავისუფლებისთვის საბრძოლველად, მაგრამ მათ წინ უხეში ძალა გადაეღობა.

1894 წელს რუსეთის ჟანდარმერიამ „თავისუფლების ლიგა" აღმოაჩინა და დაარბია. მისი თითქმის ყველა მეთაური და აქტიური წევრი დააპა-

ტიმრეს. ერთწლიანი ძიებისა და სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ უზენაეს ინსტანციას აუწყეს, რომ გამოაშკარავდა ლიგის წევრთა „მავნე“ განზრახვა, „დანაშაულებრივი საქმიანობა“. მაგრამ მთავრობამ გარკვეული მოსაზრებით, გააუბრალოვა ფაქტის მნიშვნელობა, რეზონანსი. დამნაშავეებს ერთწლიანი პატიმრობა სასჯელის მოხდად ჩაუთვალეს და გაათავისუფლეს, მაგრამ ჟანდარმერიის მეთვალყურეობა-კონტროლქვეშ დატოვეს.

ამრიგად, „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ იყო ეროვნულ-რევოლუციური პარტიის ჩანასახი. მიზნად ისახავდა ხალხის მომზადებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის, თვითმმართველობისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. მის წევრთა მსოფლმხედველობრივი სხვადასხვაობის გამო „ლიგა“ ვერ გადაიქცა მონოლითურ ორგანიზაციად. მისი განადგურების შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ „ლიგის“ ყოფილი წევრები სხვადასხვა პარტიაში აღმოჩნდნენ. უმრავლესობა სოციალ-ფედერალისტი და ეროვნულ-დემოკრატი გახდა, სხვები ნეონაროდნიკულ და მარქსიზმის პოზიციებზე დადგნენ. „ლიგის“ საქმიანობა განსაკუთრებულია განმათავისუფლებელი მოძრაობის მატიანეში.

საქართველოს მუნიციპალიტეტები 80-90-იან წლებში

1870 წლის საქალაქო დებულების შესაბამისად ჩამოყალიბებული თვითმმართველობის ორგანოები თანდათან მეტ როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის კვალობაზე მწვავდებოდა ბრძოლა ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის თვითმმართველობაში გაბატონებისათვის. ხშირად სოციალური და შინაკლასობრივი ბრძოლა ნაციონალური ელფერით იმოსებოდა. ეროვნულ-დაპირისპირებას საკმაოდ მწვავე ხასიათი ჰქონდა ახალციხეში, გორში, თბილისში.

თბილისის თვითმმართველობის ამოქმედების დროს მართვა-გამგეობას მიუჩვეველმა სომეხმა ბურჟუაზიამ ქალაქისთავის პოსტზე ხმა მისცა გამოცდილ სახელმწიფო მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანს (1874 წ.). საზოგადოების ეს ფენა თავდაპირველად არ ამჟღავნებდა ანტიქართულ განწყობილებას, მაგრამ მალე სიტუაცია არსებითად შეიცვალა: სომხები გააქტიურდნენ და გაშოვინისტდნენ, საქალაქო სათათბიროსა და გამგეობაში გაბატონდნენ. ქალაქისთავის საკარძელში 1878-დან 1890 წლამდე ა. მატინოვი იჯდა. გამგეობის წევრთა უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ.

1890 წელს წინასაარჩევნო ბრძოლამ თბილისში მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ერთმანეთს დაუპირისპირდა სომხური წარმომავლობისა და ქართველი ბურჟუაზია. ქართველმა ვაჭარ-მრეწველებმა დახმარება სთხოვეს

ყველა ხმის უფლების მქონე ქართველს და მათ შორის ქალაქელ ქართველ თავადაზნაურობას. სომეხი ბურჟუები საკუთარ სასახლეებში ჭართავდნენ ბანკეტებს, აგროვებდნენ ხმებს. „ქართველთა პარტია", რომელსაც მემარცხენე პოზიცია ეკავა, პრესის მეშვეობით ეწოდა წინასაარჩევნო ბრძოლას. „ივერიის" კორესპონდენტი აკრიტიკებდა პასიურ ქართველებს, მოუწოდებდა მათ, შეეგნოთ საქალაქო თვითმმართველობის დიდი მნიშვნელობა, სათათბიროში გაეყვანათ ქართველი ერის ინტერესთა გამომხატველ-დამცველი ხმოსნები (დეპუტატები). ამგვარ პროპაგანდას დადებითი შედეგი მოჰყვა. 1890 წლის არჩევნებში ქართველმა ხმის უფლების მქონე ამომრჩევლებმა საგრძნობლად გაზარდეს თავისი წარმომადგენლობა თბილისის საქალაქო სათათბიროსა და გამგეობაში. გაზეთმა „ნოვოე ობოზრენიემ" ახალი შემადგენლობის სათათბირო ასე დაახასიათა: „ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ახალი სათათბიროსი ძველისაგან მდგომარეობს ადგილობრივი ფინანსური ტუზების გავლენის შემცირებაში. ინტელიგენცია, რომელსაც აქამდე მდიდრები თითქოსდა სამოწყალოდ ითმენდნენ, ამ დროიდან საქალაქო სათათბიროში ყალიბდება დამოუკიდებელი ფრაქციის სახით. მას შეუძლია მოიპოვოს 45 ხმოსნის მხარდაჭერა, იმოღვაწეოს ქალაქის მეურნეობისა და მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად". მართლაც, კარგა ხანს, საქალაქო სათათბიროს მუშაობას რაციონალისტ ვაჭარ-მრეწველებთან ერთად (დ. სარაჯიშვილი, გ. ქართველიშვილი, დ. ბარათაშვილი, მ. ანანოვი და სხვ.) უძღვებოდნენ ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, ვლადიმერ მიქელაძე, ნიკო ცხვედაძე.

ეროვნული და კლასობრივი დაპირისპირება დასავლეთ საქართველოს ქალაქებშიც შეიმჩნეოდა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ რეგიონის ეკონომიკაში ქართველი ბურჟუაზია გაცილებით მყარ პოზიციას ფლობდა და მუნიციპალიტეტებში მათ, და ასევე ქართველ ინტელიგენციას, უპირატესობა ეკუთვნოდა.

საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობაში, რა თქმა უნდა, ხარვეზებიც იყო; რეაქციონერები ღვარძლიანად ლაპარაკობდნენ მუნიციპალიტეტების სუსტ მხარეებზე, იყენებდნენ მას თვითმმართველობის იდეის სახელის გასატეხად. იმის დამტკიცებას ცდილობდნენ, რომ საქალაქო მეურნეობის მოწესრიგების საქმეში უფრო მეტის გაკეთება შეუძლია მთავრობის ადმინისტრაციას, ვიდრე საზოგადოებრივ თვითმმართველობას.

რეაქციონერთა შემოტევისაგან თვითმმართველობას იცავდა პროგრესული ინტელიგენცია. თვითმპყრობელობის იდეოლოგებთან კამათის დროს, მაგალითად, ნიკო ნიკოლაძე, უპირველეს ყოვლისა საქალაქო თვითმმართველობის სუსტ მხარეზე მიუთითებდა, მაგრამ ამის მიზეზად საზოგადო-

ებრივი ძალების არაკომპეტენტურობას როდი მიიჩნევდა — ბრალს აბსოლუტური მონარქიის კანონმდებლობას აკისრებდა. „საქალაქო თვით-მმართველობა, წერდა მუნიციპალურ მოღვაწეთა აღიარებული ლიდერი, წმინდა ადმინისტრაციული მიზნით დააარსეს და ზედაფენები მას ითმენენ როგორც მთავრობის აპარატის დანამატსა და დამხმარე დაწესებულებას. ბევრმა არ იცის, რომ ქალაქის საშემოსავლო ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი, კანონის ძალით, უნდა დაიხარჯოს ჯარისა და პოლიციის დასაფინანსებლად". 1875 წელს ამ ხარჯებმა შთანთქა თბილისის ბიუჯეტის 72%. მიუთითებდა რა, მუნიციპალიტეტის არაეფექტური მუშაობის ობიექტურ მიზეზებზე, ნიკო ნიკოლაძე თავგამოდებით იცავდა თვითმმართველობის პრინციპს. მისი აზრით, ქვეყნისა და საზოგადოების უკეთესი მომავალი მჭიდრო კავშირში იყო თვითმმართველობის იდეასთან და როცა მას მოსახლეობის თვალში უსამართლოდ სვრიდნენ, საკუთარ მოვალეობად მიაჩნდა თვითმმართველობის პრინციპის დაცვა და განვითარება. ნიკო ნიკოლაძესა და მის თანამოაზრეებს სრულყოფილი, ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი თვითმმართველობა მიაჩნდათ პოლიტიკურ სკოლად, ავტონომიის მოპოვების, ქართული სახელმწიფოს აღდგენის ერთ-ერთ მთავარ წინა პირობად.

მთავრობის მიერ 1892 წელს შედგენილმა ახალმა საქალაქო დებულებამ და შესაბამისად გატარებულმა კონტრრეფორმამ კიდევ უფრო შეკვეცა საქალაქო თვითმმართველობის უფლება-კომპეტენცია, კიდევ უფრო შეამცირა მასში დემოკრატიული ფენების წარმომადგენლობა. კანონით გათვალისწინებული აუცილებელი არამწარმოებლური ხარჯების (ჯარისა და პოლიციის დაფინანსება) სიდიდის გამო ქალაქების არსებით საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის მცირე თანხა რჩებოდა. თვითმმართველობებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ და ბანკებისაგან კრედიტებს იღებდნენ. მთავრობის ნებართვით, თბილისის თვითმმართველობამ 1.500.000 მანეთის ოდენობის საობლიგაციო სესხი აიღო. ასეთივე უფლება მიიღეს ფოთისა და ბათუმის საქალაქო თვითმმართველობებმა.

მუნიციპალიტეტის მთავარი ფუნქცია იყო კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესება. შედარებით უკეთ ეს ხერხდებოდა თბილისში, ფოთში, ბათუმში. თანდათან იცვლებოდა ქალაქის გარეგანი სახე. იზრდებოდა მოკირწყლული და მოასფალტებული ქუჩების რიცხვი. მრავლდებოდა წყალსადენები. ნავთის ფარნებს თანდათან გაზის ლამპიონები და ელექტრონი ცვლიდა. ეწყობოდა მასობრივი ტრანსპორტი. 1887 წელს თბილისში ამოქმედდა ცხენებშებმული კონკა, 1904 წელს — ელექტროტრამვაი და ფუნიკულიორი. მუნიციპალიტეტები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ასევე

კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათ მთლიანად როდი გაამართლეს პროგრესული ინტელიგენციისა და ხალხის იმედი.

საქალაქო თვითმმართველობის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ნიკო ნიკოლაძე (იგი თითქმის 2 ათეული წელი იყო ფოთის ქალაქისთავი) წერდა: „ქალაქის მმართველობის რეფორმამდელ პოლიტიკურ ფორმასთან შედარებით, თვითმმართველობა პროგრესულად გამოიყურება, მაგრამ რუსეთის იმპერიაში არსებული საქალაქო თვითმმართველობები მხარს ვერ უსწორებენ დასავლეთ ევროპაში მოქმედ მუნიციპალიტეტებს. დასავლეთში უკვე არსებობს საყოველთაო საარჩევნო სისტემა, პროგრესული საშემოსავლო გადასახადი. რუსეთში კი მოქმედებს 1892 წლის დებულება, რომელიც საარჩევნო ხმას მხოლოდ მსხვილ მესაკუთრეებს აძლევს. რუსეთში არსებული ეს ბოროტება შეიძლება თავიდან ავიცილოთ საყოველთაო საარჩევნო უფლების დაკანონებით“. მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ ხალხს ამგვარი რეფორმა არ აღირსა. სწორედ ამიტომ აღმოცენდა მუნიციპალური ოპოზიცია, რომელშიც ერთ-ერთ რადიკალურ ფრთას ქმნიდა ქართველ მუნიციპალურ მოღვაწეთა ჯგუფი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი VI

კაპიტალისტური წარმოება. ვაჭრობის და კრედიტის ფორმები

კაპიტალისტური ურთიერთობის გაფართოება საქართველოს სოფლებში

ბურჟუაზიული რეფორმების გატარებამ, რასაც რკინიგზების მშენებლობა და გზატკეცილების გაუმჯობესებისთვის წარმოებული სამუშაოები დაემთხვა, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის აღმავლობას. საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგებს შორის ყველაზე ფართომასშტაბიანი მემინდვრეობა იყო. ქართლ-კახეთში წამყვანი კულტურები იყო პური და ქერი, დასავლეთ საქართველოში — სიმინდი. XIX საუკუნის 80-იან წლებში პურის, ქერის და სიმინდის ყანებს ეკავა 700 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი. მიღებული მოსავლის დიდ ნაწილს თავად მწარმოებელი მოსახლეობა მოიხმარდა, ნამატი საშინაო და საგარეო ბაზრებზე გადიოდა.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონი ყოველთვის კახეთი იყო. 1875 წელს კახეთში მევენახეობა-მეღვინეობას ეწეოდა 19 ათასი გლეხური კომლი და თავად-აზნაურთა 800 ოჯახი. თანდათან იმატა რუსეთში გასაგზავნი კახური ღვინის რაოდენობამ.

XIX საუკუნისის 70-იანი წლებიდან თანდათან ფართოვდება და სასაქონლო ხასიათს იღებს მეხილეობა და მებოსტნეობა. საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ინერგება უცხოეთიდან შემოტანილი კულტურები (ჩაი, ციტრუსები, რამი, ბამბუკი და სხვ.). ეს დარგები, ყოველწლიურად 5 მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქციას იძლეოდა, რომლის ორი მესამედი ბაზარზე გადიოდა; იზრდებოდა მეთამბაქოეობის მნიშვნელობა. ერთხანს თამბაქოს პლანტაციებს შედარებით მეტი ფართობი ეკავა კახეთში, იმერეთსა და გურიაში. 90-იანი წლებიდან მეთამბაქოეობის სპეციალიზებული წარმოების რეგიონად გადაიქცა აფხაზეთი, რომლის პროდუქციის 70-80 % რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში გაჰქონდათ.

საქართველოს მთიანეთში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მეცხოველეობა იყო. მთის ძირსა და ბარის რაიონებში მას დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა. იმდროინდელი ეკონომისტების აზრით, მეცხოველეობის ნაკ-

ლებპროდუქტულობის მიზეზი საკვები ბაზის სიმცირე იყო. დასავლეთ საქართველოს ბარი გამოირჩეოდა მაღალგანვითარებული მეფრინველეობით; ამაღლდა შინამრეწველური მეაბრეშუმეობა, მასში ჩართულ მოსახლეობას ყოველწლიურად გამოჰყავდა 50-60000 ფუთი აბრეშუმის პარკი. თითქმის მთელი პროდუქცია ნედლეულის სახით ბაზარზე გადიოდა.

საქონელწარმოება და მიმოქცევა საქართველოშიც კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ დონემდე ამაღლდა. ამის შედეგი იყო გლეხობის სოციალური დიფერენციაცია და თავად-აზნაურთა ერთი ნაწილის კაპიტალისტურ მეწარმეებად გადაქცევა.

გლეხთა წოდება არც ფეოდალიზმის ხანაში წარმოადგენდა ერთგვაროვან მასას. გვიანფეოდალურ პერიოდში გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია რამდენადმე გაღრმავდა: მდიდარი გლეხები მეფე-მთავრებისაგან იღებდნენ „თარხნობას", აზატობას, გადადიოდნენ მსახურის კატეგორიაში. მსახურნი კი აზნაურულ ნიშან-თვისებებს იძენდნენ, თან ახლდნენ მეფეებსა და მთავრებს ლაშქრობაში; მათ შორის უფრო თავგამოჩენილნი აზნაურის წოდებასაც იღებდნენ. ამდენად, საქართველოში თავადაზნაურობა ჩაკეტილ კასტად არ გადაქცეულა, მათ რიგებში ვაჭრები და გამდიდრებული გლეხებიც გადადიოდნენ. ამან განაპირობა საქართველოს თავადაზნაურობის მრავალრიცხოვნობა — იგი მოსახლეობის 5-6%-ს შეადგენდა, მაშინ, როცა რუსეთში 2%-ს არ აღემატებოდა.

რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. რუსულმა ხელისუფლებამ აკრძალა თავად-აზნაურთა წოდების „დანაგვიანება" დაბალი ფენებიდან გამოსული ადამიანებით. ეკონომიკურად დაწინაურებულთა წოდებრივად აღზევების პირობები თითქმის მთლიანად მოიშალა. ქონებრივ-წოდებრივი დიფერენციაცია ქონებრივ-კლასობრივი დიფერენციაციით შეიცვალა.

პატრიარქალურ გლეხურ მეურნეობას ძირი გამოეთხარა: შეიცვალა გლეხობის შიგასოციალური სტრუქტურა, წარმოიშვა სოფლის ბურჟუაზია და სოფლის პროლეტარიატი. მაგრამ გლეხობა როგორც კლასი, არ გამქრალა. მისი ბირთვი იყო საშუალო შეძლების გლეხობა, რომელიც გლეხური წარმომავლობის მოსახლეობის 60%-ს შეადგენდა. გლეხობის დაახლოებით 5% სოფლის ბურჟუად იქცა, ხოლო 35% სიღარიბის ზღვარზე მოექცა. ეს მასა თანდათან ებმებოდა დაქირავებული შრომის ფერხულში, ავსებდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მუშების კონტინგენტს.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველო პარცელური, გლეხური მეურნეობის კლასიკური ქვეყანა იყო. სრულიად უმიწაწყლო ღატაკები არ არსებობდნენ. თითქმის ყველას გააჩნდა სანადელო, საიჯარო თუ საკუთარ

მიწაზე გამართული მცირე მეურნეობა, მაგრამ სანახევროდაც არ ჰყოფნი-და ამ მინიატიურული მეურნეობიდან მიღებული მოსავალი, სურსათიანობა-ნოვაგე. ამიტომ მიმართავდნენ დამხმარე სარეწებს, გადიოდნენ საშოვარზე. უკვე 70-იან წლებში რაჭის მაზრის უფროსმა საშოვარზე გასვლას „რაჭ-ველებში განმტკიცებული ჩვეულება“ უწოდა. არის ცნობა, რომ 1897 წელს დასავლეთ საქართველოს სოფლებიდან საშოვარზე გავიდა 30 ათასი კაცი. მათი დაქირავებული შრომის სარბიელი იყო კავკასია, შუა აზია, ციმბირი, ზოგი უცხოეთში წასვლასაც ბედავდა. სოფლიდან გასულ პროლეტართა და ნახევრად პროლეტართა ნაწილი ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობდა. უფრო მეტი დასაქმებული იყო სავაჭრო და მომსახურების დაწესებულებებში. ეს მასა ძირითადად გლეხურ ფსიქოლოგიას ინარჩუნებდა; ქალაქსა და სხვა ქვეყანას თავის შრომითი საქმიანობის დროებით ასპარეზად თვლიდა; ცდი-ლობდა გროშების დაგროვების შედეგად მიღებული თანხით მიწა ეყიდა, მშობლიურ სოფელში მეურნეობა გაეფართოებინა.

კაპიტალისტური ურთიერთობის გაფართოება-განვითარების შესაბამი-სად საგრძნობი ცვლილებები ხდებოდა აგრეთვე თავადაზნაურულ მიწათ-მფლობელობასა და მემამულურ მეურნეობაში.

1865 წელს აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ თავის წინამ-ძღოლად დიმიტრი ყიფიანი აირჩია. იგი კარგად ერკვეოდა კრედიტის დიდ მნიშვნელობაში და პრივილეგიურ წოდებას ურჩია, ყმაგლეხთა პირადი გა-თავისუფლების საზღაურად მიღებული თანხის ერთი ნაწილი, საადგილმა-მულო ბანკის დასაარსებლად გადაედო. ათი წლის შემდეგ ბანკი ამოქმედა. ოდნავ მოგვიანებით გაიხსნა ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო-საად-გილმამულო ბანკი.

თავად-აზნაურთა უმრავლესობა აღებულ კრედიტს ყოველდღიური სა-ჭიროებისათვის იყენებდა, ამიტომ სესხის დაფარვას ვერ ახერხებდა და დაგირავებულ მიწას კარგავდა. ამით შეწუხებულმა თავადაზნაურობამ შე-ღავათები მოითხოვა. ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძემ მემამულეებს აუხსნა და დაუსაბუთა, ბანკს არ შეუძლია უგულებელყოს კაპიტალისტური საკრედიტო ურთიერთობის კანონები და დაუდევარ დე-ბიტორებს შეღავათები მიანიჭოსო. მით უმეტეს, რომ ბანკის მოგების დიდ ნაწილს, დამფუძნებელთა დადგენილების თანახმად, ეროვნული კულტუ-რის წარმატებისათვის ვიყენებთო.

ილია ჭავჭავაძე თავიდანვე აფრთხილებდა თავადაზნაურობას, რომ კრე-დიტი ორლესილი მახვილია; ბანკიდან გატანილი სესხი მხოლოდ იმას დაეხმარება, ვინც ფულს მეურნეობის გაუმჯობესების და რენტაბელობის ამაღლებისათვის გამოიყენებს, მფლანგველ და მოქეიფე დიდკაცებს კი სა-

მარეს გაუთხრისო. ასეც მოხდა. 1903 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ დააგირავა თავის მიწების 65% — 350000 ჰექტარი ბანკებში, 302000 ჰექტარი მევახშეებთან. მთელი ვალი 11 მილიონ მანეთს შეადგენდა. ისინი თავნისა და პროცენტის დასაფარავად ყოველწლიურად მარტო ბანკებს, 800 ათას მანეთს უხდიდნენ. მევახშეებისათვის გაცილებით მეტი უნდა გადაეხადათ, რასაც ვერ ახერხებდნენ: დაგირავებული მიწის ოფიციალური პატრონი ნომინალურად რჩებოდა მიწის მესაკუთრედ. ფაქტობრივი მესაკუთრე იყო კრედიტორი (ბანკი ან მევახშე), რომელიც არსებითად ითვისებდა მიწის რენტას კაპიტალის პროცენტის სახით. ბევრი მემამულე ამ ნომინალურ უფლებასაც კარგავდა. ბოლოს და ბოლოს მათი მიწები საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველი თავადაზნაურობის საკუთრებაში იყო 2 მილიონი ჰექტარი მიწა. 1904 წლამდე, 400 ათასი ჰექტარით შემცირდა. პრივილეგიური წოდების მქონე უმრავლესობა მცირემიწიანი იყო — მცირე ნაწილი ფლობდა თავადაზნაურთა მიწის ფონდის 68%-ს. რამდენიმე ათეული მსხვილი მემამულის საკუთრებაში იყო 5-10 ათასი, 10-20 ათასი და კიდევ მეტი ჰექტარი მიწა.

გარდამავალი პერიოდის სიძნელეების მიუხედავად, მემამულური მეურნეობა შედარებით ადვილად ეგუებოდა ბაზრის მოთხოვნას და სასაქონლო-სავაჭრო ხასიათს იღებდა. თავად-აზნაურთა ერთ ნაწილს გასასყიდად გაჰქონდა მარცვლეული; უმეტესობა ვენახებსა და ბაღებს აფართოებდა. ზოგი მათგანის ზვარი 40-50 და 100 ჰექტარზეც იყო გადაჭიმული. კახეთში მაღალი ხარისხის ღვინოს აყენებდნენ ჭავჭავაძეები, ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ვახვახიშვილები, ჩოლოყაშვილები. მაგრამ მათ შორისაც კი გამოირჩეოდა ზაქარია ჯორჯაძე. მან 70-იან წლებში დაიწყო ღვინის ევროპული წესით დაყენება, გააცნო რუსეთს კახური ღვინის მაღალი ღირსება, მიიღო პირველი ხარისხის ჯილდოები რუსულ გამოფენებზე. პარიზში გამართულ ღვინოების კონკურსზე აიძულა ფრანგები კახური ღვინო ბურგუნდიულის გვერდით დაეყენებინათ. მეღვინეობის მემატიანე მ. ბალასი ერთ დონეზე აყენებდა ზაქარია ჯორჯაძისა და უფრო გვიან, კახეთში აშენებულ რომანოვთა მეურნეობა-ქარხანას და აღნიშნავდა, რომ ისინი ტექნიკური აღჭურვილობით არ ჩამოუვარდებოდნენ ევროპაში არსებულ ყველაზე მსხვილ მეურნეობა-ქარხნებს.

ქართლში მევენახეობა-მეღვინეობა მაღალ დონეზე დააყენა ივანე მუხრან-ბატონმა. მისი სარდაფი-ქარხანა 100 ათას ვედრო ღვინოს იტევდა. 1886 წელს, მაგალითად, ივანე მუხრან-ბატონმა ბაზარზე გაიტანა 30 ათასი ვედრო ღვინო. მისი წლიური შემოსავალი უდრიდა 224 ათას მანეთს. წარმოების ხარჯები (სპეციალისტების და მუშების ქირა, პროდუქციის

ტრანსპორტირება და სხვ.) შეადგენდა 123 ათას მანეთს, სუფთა მოგება — 121 ათას მანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში რომანოვთა საგვარეულოს ხელთ აღმოჩნდა იმპერატორისაგან ნაჩუქარი და ნაყიდი 150 ათას ჰექტარამდე მიწა. დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისაგან იყიდეს წინანდალი, ნაფარეული, მუკუზანი და სხვა მამულები, შექმნეს მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალიზებული უმსხვილესი წარმოება. ბორჩალოში გამართეს მებამბეობისა და მეცხოველეობის, აჭარაში კი — მეჩაიეობის მეურნეობები, რომელთაც სამმართველოები განაგებდნენ. ყველა სამუშაოები სრულდებოდა დაქირავებული მუშა-მოსამსახურეების მიერ.

საქართველოში იყვნენ ახალი ყაიდის მემამულეები, რომელნიც მეურნეობას ეწეოდნენ 500-1000 ჰექტარ, ზოგიერთნი კი უფრო დიდი ფართობის მიწაზე. რუსეთიდან ჩამოსახლებული დიდვაჭარი კ. პოპოვი, რომელიც აჭარაში 300 ჰექტარ მიწას ფლობდა, ჩაის კულტურის დანერგვის ერთ-ერთი პიონერი იყო. მან თავის მამულში, 1892 წლიდან 1902 წლამდე 2 მილიონი მანეთი დააბანდა და გააშენა ჩაის პლანტაცია 140 ჰექტარზე. ძმებმა ანანოვებმა იმერეთში 5 ათას ჰექტარზე შექმნეს მსხვილი მეურნეობა. გააშენეს ბამბის პლანტაცია, ვარციხეში გამართეს მევენახეობა-მეღვინეობის მსხვილი მეურნეობა. ვარციხის ქარხანა-სარდაფიდან ყოველწლიურად იგზავნებოდა ბაზარზე 20-30 ათასი ვედრო ღვინო, 30-40 ათასი ბოთლი შამპანური, 60 ათასი ბოთლი კონიაკი.

მრეწველობის განვითარების დონე საქართველოში

ბურჟუაზიული რეფორმის მომდენო ხანაში ტექნიკური პროგრესი მშენებლობისა და წარმოების ყველა სფეროში დაჩქარდა. რუსეთის მთავრობა, სტრატეგიული თუ კომერციული მოსაზრებით, მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავდა გზებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გასაუმჯობესებლად. წვრილხელოსნური წარმოებიდან და მანუფაქტურიდან მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლის პროცესის ნაწილი გახდა რკინიგზების მშენებლობა.

1864 წელს დამტკიცდა სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მშენებლობის პროექტი. თავდაპირველად მუშაობა მიმდინარეობდა თბილისი-ფოთის ტრასაზე და მშენებლობას აფინანსებდა სახელმწიფო ხაზინა. 1869 წელს მთავრობამ რკინიგზის მშენებლობის საკონცესიო ხელშეკრულება გააფორმა ინგლისელ კაპიტალისტთა კომპანიასთან. ტემპი დაჩქარდა. 1872 წელს დაიწყო მატარებლების რეგულარული მოძრაობა ფოთი-თბილისის ხაზზე. 1877 წელს რკინიგზას შეემატა რიონი-ქუთაისის ხაზი, 1883 წელს კი სამტრედია-ბათუმისა. იმავე წელს მოძრაობა გაიხსნა თბილისი-ბაქოს

ტრასაზე. 1886 წელს ამოქმედდა ქუთაისი-ტყიბულის ხაზი, 1895 წელს ამუშავდა შორაპანი-ჭიათურის რკინიგზა, მოძრაობა გაიხსნა ტყვარჩელი-ბორჯომის ხაზზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინიგზამ გააფართოვა და გააუმჯობესა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის კავშირურთიერთობა, საქონელმიმოქცევა, სტიმული მისცა სამთამადნო მრეწველობის და ზოგიერთი სხვა დარგის განვითარებას. რკინიგზა თავად იყო დიდი კაპიტალისტური კომუნიკაცია და მისი საჭიროებისათვის შეიქმნა სახელოსნოები, მსხვილი მექანიკური ქარხანა. 1889 წელს რუსეთის სახელმწიფო ხაზინამ ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი ინგლისური კომპანიისაგან გამოისყიდა. მომდევნო წელს მან დააფინანსა წიფის გვირაბის მშენებლობა, რის შედეგად რკინიგზის გამტარუნარიანობა საგრძნობლად გაიზარდა და შესაბამისად, ხაზინის მოგებაც გადიდდა.

რკინიგზის სახელოსნოები თბილისში ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოდ — ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხნად გადაიქცა, რომელშიც 2-3 ათასი მუშა იყო დასაქმებული. რკინიგზა — სამრეწველო გადატრიალების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. გაიზარდა ქვანახშირის მოპოვება ტყიბულში. ჭიათურაში დაიწყო მანგანუმის მოპოვება. თანდათან გაფართოვდა მეტალურგიისათვის აუცილებელი ამ მადნის ექსპორტი.

ჭიათურის შავი ქვის ექსლოატაციის დაწყების (1879 წ.) პირველი ინიციატორი აკაკი წერეთელი იყო. მისმა საგაზეთო სტატიამ ზემოიმერელი თავადაზნაურობა აამოძრავა, რომლის საკუთრებაში იყო ძვირფასი მადნით მდიდარი მიწის ნაკვეთები. ჭიათურას მოაწყდნენ რუსი და უცხოელი საქმოსნები, გაიმართა მკაცრი კონკურენცია. კარგა ხანს, უპირატესობას ადგილობრივი მრეწველები ინარჩუნებდნენ. აქციონერული საზოგადოება „იმერეთი“ შექმნეს ჩუბინიძემ, მოსეშვილმა, გამყრელიძემ. 1880 წელს ამოიღეს მხოლოდ 350 ფუთი მანგანუმის მადანი. 1884 წელს ჭიათურის სარეწებში დასაქმებული იყო 1156 მუშა, 1890 წელს 2000 მუშა, რომელთაც მიწის წიაღიდან ამოიღეს 10 მილიონი ფუთი მადანი. წარმოების ტექნიკა ჯერ კიდევ მეტად პრიმიტიული იყო; მადანს წერაქვით ანგრევდნენ, მაღაროებიდან ხელით ან ცხენის რონოდებით გამოჰქონდათ, ჭიათურიდან შორაპნამდე მანგანუმს ხარის ურმებითა და სასაპალნე ცხენებით ეზიდებოდნენ. 1895 წელს ამუშავდა ჭიათურა-შორაპანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, რამაც მადნის გადაზიდვა გააადვილა და რამდენადმე გააიაფა.

1899 წელს ჭიათურაში დასაქმებული იყო 3000 მუშა. მათ ამოიღეს 34 მილიონი ფუთი, 1900 წელს კი 40 მილიონი ფუთი მადანი. მსხვილი მწარმოებლები შეადგენდნენ მრეწველთა 11%-ს და იძლეოდნენ მთელი პროდუქციის 46,7%-ს. ქართველ მრეწველთა შორის წარმატებით გამოირჩეოდნენ

გედევან ჩუბინიძე, ნიკოლოზ ღოღობერიძე, სამსონ აბესაძე, ნესტორ კაკაბაძე, პავლე მოსეშვილი. 1900 წლის შემდეგ ჭიათურაში თანდათან ანაცვალეს ტაიცეს პოზიციები გერმანელმა და ფრანგმა კაპიტალისტებმა. ქართული მანგანუმი მთლიანად მსოფლიოს მეტალურგიული მრეწველობის ცენტრებში გადიოდა და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ფარავდა მისი მოთხოვნის 45-50%-ს. თანდათან ძლიერდებოდა კონკურენცია ადგილობრივ და მოსულ ვაჭარ-მრეწველებს შორის, უმჯობესდებოდა წარმოების ტექნიკური აღჭურვილობა. მანგანუმის მოპოვება, გადაზიდვასა და ექსპორტზე დასაქმებული იყო დაახლოებით 7-8 ათასი მაღაროელი და მტვირთავი მუშა.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში კვლავ მიმდინარეობდა სპილენძის მადნის მოპოვება და გამოდნობა ალავერდსა და შამბლუღში (ბორჩალოს მაზრა). 1888 წელს ბერძენ ოსტატთა ამხანაგობის ხელიდან წარმოება გადავიდა ფრანგული კომპანიის ხელში. 1899 წელს ამოიღეს 700 ათასი ფუთი მადანი და გამოადნეს 12700 ფუთი სპილენძი. ალავერდის სამრეწველო რაიონში 1900 წელს აღირიცხა 340 მუშა, 1908 წელს — 1585, 1912 წ. — 2550, 1914 წელს — 2800 მუშა. ფრანგული ფირმის საწარმოებმა 1908 წელს დააშზადეს 1,4 მილიონი მანეთის, 1913 წელს — 2,9 მილიონი მანეთის პროდუქცია. ფრანგი კაპიტალისტები დაეპატრონენ ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილში აღმოჩენილ სპილენძის საბადოებსაც. 1903-1913 წლებში ჭინკათხევში მოქმედი სპილენძის ქარხნების მწარმოებლობამ ალავერდში არსებული საწარმოების დონეს გადააჭარბა.

XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან დიდ მასშტაბებს მიაღწია ნავთობის მოპოვებამ აფშერონის ნახევარკუნძულზე. ბაქოს ნავთის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტირების საჭიროებამ წარმოშვა ბათუმის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა. XX საუკუნის დამდეგს ბათუმში არსებული საექსპორტო ჭურჭლის (თუნუქის ბიდონები და ხის ყუთები) ქარხნებში დასაქმებული იყო 2-3 ათასი მუშა. წლიურად მზადდებოდა 22 მილიონი ცალი თუნუქის ბიდონი და მათ ჩასაწყობად 11 მილიონი ცალი ხის ყუთი, ბათუმიდან ყოველწლიურად მსოფლიო ბაზარზე გადიოდა 20 მილიონი ფუთი ნავთი. კიდევ მეტი რაოდენობით ნავთის ექსპორტი ტანკერებით გადაიზიდებოდა.

70-იანი წლებიდან იწყება ორთქლის ძრავების ფართოდ გამოყენება ხე-ტყის მრეწველობაში. თბილისში დაარსდა ხეტყის სახერხი 7 ქარხანა, რომლებიც წლიურად 200-400 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებდნენ. ბორჯომისა და ატენის ქარხნები ყოველწლიურად აშზადებდნენ 210 ათასი მანეთის საშენებლო ხის მასალას. სოხუმისა და მარანის ხეტყის ქარხნები ყოველწლიურად 600 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებდნენ. ქალაქშენებლობების გაფართოებამ მოითხოვა აგურ-კრამიტის წარმოების გაზ-

რდაც. XX საუკუნის დამდეგს თბილისში არსებობდა აგურის 4 ქარხანა, რომლებიც აღჭურვილი იყო გოფმანის სისტემის ღუმელებით. ქარხანული ხასიათი მიიღო მინის წარმოებამაც.

ამ პერიოდში გაძლიერდა შინამრეწველური არაყსახდელების როლის შემცირებისა და მსხვილი ქარხნების გაბატონების ტენდენცია. ამ დარგებში გამორჩეული ადგილი დაიკავა დავით სარაჯიშვილმა. XX საუკუნის დამდეგს მისი კუთვნილი სპირტსახდელი და კონიაკის ქარხანა წლის განმავლობაში უშვებდა 600 ათასი მანეთის პროდუქციას. სარაჯიშვილის ტექნოლოგიით დამზადებული სპირტი და მაღალხარისხოვანი კონიაკი დიდი რაოდენობით იყიდებოდა ცენტრალურ რუსეთში, სადაც მას რამდენიმე სავაჭრო ფირმა ჰქონდა გახსნილი.

ერთი სიტყვით, XIX საუკუნის 80-იან წლებში სამრეწველო გადატრიალება კოლონიურ საქართველოშიც განხორციელდა. რაოდენობრივად სახელოსნოები და მანუფაქტურები ჭარბობდა, მაგრამ ფაბრიკა-ქარხნები უშვებდნენ სამრეწველო პროდუქციის 70-80%-ს. საგრძნობი გახდა წარმოების კონცენტრაცია მსხვილ ცენტრებში (თბილისი, ბათუმი, ჭიათურა), აგრეთვე მსხვილი აქციონერული საზოგადოებების, კომპანიების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა.

ვაჭრობა და კრედიტის ფორმები

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღმავლობის, საქონელწარმოების გაფართოების შედეგი იყო საქონელმიმოქცევის, საშინაო და საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდა, საკრედიტო ოპერაციების გაფართოება. თუ XIX საუკუნის 80-იან წლებამდე საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი პასიური იყო, მომდევნო ხანაში აქტიური გახდა: ექსპორტმა გადააჭარბა იმპორტს.

70-იან წლებში ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში ყოველწლიურად შემოდიოდა 4 მილიონი მანეთის საქონელი, რუსეთიდან კი 4,5 მილიონი მანეთისა. 90-იან წლებში დასავლური საქონლის იმპორტმა მიაღწია 10 მილიონ მანეთს, რუსეთიდან შემოტანილი პროდუქციის ღირებულებამ გადააჭარბა 25 მილიონ მანეთს.

ამავე ხანებში საკმაოდ გააქტიურდა ადგილობრივი (ქართული, სომხური) სავაჭრო კაპიტალი. საქართველოს დაბა-ქალაქებში თანდათან ფართოვდებოდა საწყობების, მაღაზიების, დუქნების ქსელი. მრავლდებოდა სავაჭრო კომპანიები და ფირმები. მათი ძირითადი ფუნქცია იყო ადგილობრივი ნაწარმის გაყიდვა, უცხოური, იმპორტული საქონლის რეალიზაცია. ქართული წარმოების ღვინო, კონიაკი, აბრეშუმი, მატყლი, თამბაქო, ტყავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა თანდათან მზარდი ოდენობით გაჰქონდათ რუსეთში და საზღვარგარეთის ქვეყნებში. 90-იანი წლებიდან ექსპორტში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართულმა მანგანუმმა და ბაქოს ნავთმა.

თანდათან იზრდებოდა კრედიტის როლი და მნიშვნელობა. 1866 წელს თბილისში გაიხსნა რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილება. 1871 წელს დაარსდა თბილისის კომერციული ბანკი, 1873 წელს — ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოება, 1874 წელს — თბილისის საადგილმამულო ბანკი, მომდევნო წელს მოქმედება დაიწყო ქუთაისის საადგილმამულო ბანკმა. 80-იან წლებში საკრედიტო დაწესებულებათა ქსელი კიდევ უფრო გაფართოვდა. სოფლებში თანდათან მრავლდებოდა ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები და საკრედიტო საზოგადოებები.

საკრედიტო ოპერაციების დიდი მასშტაბით გამოირჩეოდა თბილისის კომერციული ბანკი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს მთელ კავკასიაში ცნობილმა ვაჭრებმა და მრეწველებმა (ე. დავითაშვილი, ო. ზუბალაშვილი, პ. ნადირაძე, ა. ევანგულოვი, ა. ონიკაშვილი, პ. ნაკაშიძე, ნ. ფრიდონოვი და სხვ.). მათ ბანკის ძირითადი კაპიტალის შესადგენად ერთი მილიონი მანეთი გაიღეს. ოცი წლის განმავლობაში თბილისის კომერციული ბანკის ოპერაციები 15 მილიონი მანეთიდან 157 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. ბანკი აწარმოებდა თამასუქების განაღდებას, ანაბრების მიღებას, სესხების გაცემას. 80-იან წლებში ბანკმა თავისი განყოფილებები გახსნა ბაქოსა და ბათუმში, ყველგან გასცემდა სხვადასხვა დანიშნულების კრედიტებს მილიონი და ათეული მილიონი მანეთის ოდენობით.

საქართველოს საადგილმამულო ბანკების თავდაპირველ მიზანს საიპოთეკო კრედიტის გაცემა (მიწის გირაოს ქვეშ) შეადგენდა. მოგვიანებით მათ კომუნალური და კომერციული ბანკების ზოგი ფუნქციაც იკისრეს. 1875-1900 წლებში თბილისის საადგილმამულო ბანკმა გასცა 45 მილიონი მანეთის გრძელვადიანი და 5 მილიონი მანეთის მოკლევადიანი სესხი, რომელთა 80% ქალაქის მცხოვრებლებმა აიღეს. ამავე პერიოდში ქუთაისის საადგილმამულო ბანკმა სოფლის მამულების გირაოს ქვეშ სესხად გასცა 2,5 მილიონი მანეთი, ქალაქელთა ქონების გირაოს ქვეშ კი 7,2 მილიონი მანეთი.

XX საუკუნის 20-იან წლებამდე საკრედიტო დაწესებულებათა ქსელი გაფართოვდა და მათი მნიშვნელობა გაიზარდა.

კაპიტალისტური საზოგადოების კლასების ჩამოყალიბება

კაპიტალიზმის საყოველთაო კანონზომიერება, ქალაქის მოსახლეობის ზრდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე, ცხადი გახდა საქართველოშიც. 1865 წლიდან 1897 წლამდე ქალაქების მოსახლეობა 103%-ით გაიზარდა.

მთელი მოსახლეობა კი მხოლოდ 40%-ით გადიდდა. მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპით გამოირჩეოდა თბილისი, რომლის მოქალაქეთა რიცხვი აღნიშნულ პერიოდში 67 ათასიდან 160 ათასამდე გაიზარდა. უფრო მეტი იყო ბათუმის მოსახლეობის ზრდის ტემპი. საქართველოს ქალაქების მთელი მოსახლეობა 1865-დან 1897 წლამდე 140 ათასიდან 300 ათასამდე გაიზარდა. ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ტენდენცია იყო ახალი სავაჭრო-სარეწაო დაბა-სოფლების აღმოცენება რკინიგზის სადგურებში და მაგისტრალის ახლოს. ქალაქებში უფრო მეტად იგრძნობოდა ახალი ფორმაციის მაჯისცემა, უფრო არსებითი ცვლილებები ხდებოდა მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში.

რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერისას (1897 წ.) საქართველოში აღირიცხა 2109 ათასი მცხოვრები: 1786 ათასი (84,7%) სოფლებში, 322 ათასი (15,3%) ქალაქებში. მთელი მოსახლეობის 70% სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. რუსეთის იმპერიაში იურიდიულ-ფორმალურად ბოლომდე იყო დაცული მოსახლეობის წოდებრივი დაყოფის პრინციპი, მაგრამ განათლებული საზოგადოება ხედავდა, რომ თავადაზნაურობა და გლეხობა ისეთი აღარ იყო, როგორიც 100 და 50 წლის წინ. კაპიტალიზმის განვითარებამ არსებითი ცვლილებები შეიტანა სხვადასხვა ფენის ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობაში.

XIX საუკუნის მიწურულს თავადაზნაურობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 5-6%-ს. იგი აღარ წარმოადგენდა ერთიან პრივილეგიურ წოდებას; დაშლილი იყო მსხვილ, საშუალო შეძლებისა და წვრილ მესაკუთრეებად. ეს უკანასკნელი დიდ უმრავლესობას შეადგენდა და ეკონომიკური შეძლებით, ღარიბ გლეხებისაგან არ განსხვავდებოდა. მსხვილი მემამულეები თავიანთი საქმიანობით თანდათანობით ბურჟუაზიულ ფენას ემსგავსებოდნენ.

კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთი გამოხატულება იყო მესამე წოდების ზედაფენის ჩამოყალიბება ბურჟუაზიულ კლასად. სოციალურ სტატუსს გლეხობაც იცვლიდა. ზედაფენა სოფლის ბურჟუაზიას ქმნიდა, ქვედაფენა კი — სოფლის პროლეტარიატს ავსებდა. სოციალური ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა გახდა დამქირავებლისა და დაქირავებულის ურთიერთობა. XIX საუკუნის მიწურულს საქართველოს სოფლებში იყო 316 ათასი საოჯახო ტიპის მეურნეობა, რომელთაგან დაქირავებულ შრომას სისტემატურად იყენებდა 15614 მეურნეობა (5%). 1897 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 33 ათასი მუდმივი და 50 ათასი სეზონური მუშა. იმავე წელს ფაბრიკა-ქარხნებში აღირიცხა 30 ათასი მუშა, სამშენებლო სამუშაოზე 8 ათასი, რკინიგზაზე — 3 ათასი, მომსახურების სფეროში კი 19 ათასი მუშა.

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მუშათა კლასი წარმოიშვა. იმის გამო, რომ საქართველოს მრეწველობა ჯერ კიდევ არ იდგა მაღალ დონეზე, სამრეწველო სფეროში დასაქმებული მუშების რიცხვი შედარებით ნაკლები იყო, სჭარბობდა სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სფეროში დასაქმებული მუშების რაოდენობა. მუშათა ამ რაზმების კლასობრივი თვითშეგნების დონე განსხვავებული იყო, მაგრამ აერთიანებდა იმის მეტ-ნაკლები შეგნება, რომ არ გააჩნდათ წარმოების საშუალებანი, აქირავებდნენ საკუთარ სამუშაო ძალას და ყველას ინტერესი მოითხოვდა ამა თუ იმ ფორმის ბრძოლას შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამგვარი გააზრების საფუძველზე უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ 100-ათასიანი მუშათა კლასი უპირისპირდებოდა ბურჟუაზიას. ამ ორი კლასის ურთიერთობის დარეგულირება საქართველოს ინტელიგენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა გახდა. ამ პრობლემას თავისებურ ელფერს აძლევდა ის, რომ საქართველოს პროლეტარიატის ძირითად ნაწილს ქართველი მუშები შეადგენდნენ, ხოლო ბურჟუაზიის რიგებს უფრო მეტად ადგილობრივი სხვატომელები და უცხოელები ავსებდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი VII

განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისი. პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება (XIX-XX საუკუნეების მიჯნა)

ამ პერიოდში, მართალია, კვლავ მწვავე იყო ბატონყმობის ნაშთების საფუძველზე არსებული სოციალური წინააღმდეგობანი, მაგრამ იკვეთებოდა კაპიტალიზმის განვითარების შედეგად აღმოცენებული კლასების (ბურჟუაზია, პროლეტარიატი) ანტაგონიზმიც. განმათავისუფლებელ მოძრაობაში განსხვავებული პოზიციებიდან ებმებოდნენ ახალი საზოგადოებრივი ძალები. ყალიბდებოდნენ პოლიტიკური პარტიები.

ბატონყმობის ნაშთების მოსპობა, რუსული აბსოლუტური მონარქიის დამხობა და მართვა-გამგეობის დემოკრატიული სისტემის შექმნა პასუხობდა როგორც ბურჟუაზიის, ისე გლეხობისა და მუშების ინტერესებს. თუმცა სამეურნეო საქმიანობასა და ყოფა-ცხოვრებაში არსებული წინააღმდეგობები წარმოშობდა განსხვავებულ შეხედულებებს, სოციალურ საფუძველს უქმნიდა საზოგადოების მსოფლმხედველობრივ დიფერენციაციას, პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას.

აგრარული მოძრაობა. მუშათა პირველი გაფიცვები

ბატონყმობის ნაშთებისა და ცარისტული ბიუროკრატიის წინააღმდეგ მიმართული აჯანყებები XIX საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის იმპერატორის სატრაპებმა სისხლში ჩაახშეს. მომდევნო ხანს სოციალურ-პოლიტიკური ჩაგვრის საწინააღმდეგო მოძრაობამ სხვა ფორმები მიიღო. თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ღალა-ბეგარაზე უარის თქმა, მემამულეთა ტყე-საძოვრებით თვითნებური სარგებლობა, ფირალობა-ყაჩაღობა, ტერორი.

სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, 1882 წელს თბილისის გუბერნატორს ატყობინებდა, რომ გახშირდა გლეხთა მემამულეებზე თავდასხმის შემთხვევები. მომრიგებელ მოსამართლეთა საქმეში ჩარევა ვერ

უზრუნველყოფს თავად-აზნაურთა უშიშროებას, გთხოვთ მიიღოთ მეამბოხე გლეხების წინააღმდეგ მკაცრი ზომებიო. პასუხი დადებითი იყო: ადმინისტრაციული წესით (სასამართლოს დადგენილების გარეშე), მრავალი ურჩი გლეხი ციმბირს გადაასახლეს, გახშირდა ეგზეკუციები. 1883-1884 წლებში დამსჯელი რაზმები გორის მაზრის 129 სოფელში ჩააყენეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული სოციალ-პოლიტიკური წყობის საწინააღმდეგოდ, პროტესტის ნიშნად გახშირდა სოციალური მოთხოვნებით გამოწვეული ყაჩაღობა-ფირალობა. ტყედ გავარდნილი იარაღასხმული გლეხები ტერორს მიმართავდნენ ყველაზე უფრო უსამართლო მემამულეებისა და მოხელეების წინააღმდეგ. 1881 წელს გაზეთ „დროების" კორესპონდენტი წერდა, ავაზაკობა თანდათან მატულობს, ადმინისტრაცია მკაცრ ღონისძიებებს იყენებს, მაგრამ იმის გამო, რომ ყაჩაღებს ხალხი თანაუგრძნობს — საკვები პროდუქტით ეხმარება, მთავრობის მოქმედება უშედეგოდ მთავრდებაო. ხალხი, რა თქმა უნდა ეხმარებოდა უსამართლობა-ძალადობის წინააღმდეგ ამხედრებულ ყაჩაღებს, რომლებიც მდიდრებს ართმევდნენ და ღარიბებს აძლევდნენ.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ფირალები ყველაზე მეტად აქტიურობდნენ გურიაში. მთავრობამ სამხედრო წესები შემოიღო. დამსჯელი რაზმებით აავსო ეს პატარა მაზრა. პოლიციელთა რაზმებმა მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი გააჩანაგა, ლიხაურის, აკეთისა და ჯუმათის მკვიდრ გლეხებს 12 ათასი მანეთის ზარალი მიაყენა, მაგრამ რეპრესიები შედეგს არ იძლეოდა, ფირალობა გრძელდებოდა.

აღნიშნული პერიოდის საქართველოში აღმოცენდა ანტაგონიზმი ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორისაც. გაღატაკებული გლეხები ხმას იმაღლებდნენ მათივე წრიდან აღზევებული კულაკების, სოფლის ბურჟუების წინააღმდეგაც.

მთელი გლეხობის ბრძოლას თავადაზნაურობის წინააღმდეგ, პირველი სოციალური ომი უწოდეს, ხოლო სოფლის ბურჟუაზიისა და სოფლის პროლეტარიატის ბრძოლა მეორე სოციალურ ომად მონათლეს. მეორე სოციალური ომის მასშტაბი გაცილებით მეტი იყო ქალაქებში, მრეწველებში. 80-იანი წლებიდან თანდათან გაფართოვდა სამრეწველო მუშების საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც სოციალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი შენაკადი გახდა.

საქართველოს მუშათა მოძრაობის ავანგარდში თავიდანვე თბილისის პროლეტარიატი ჩადგა. სტიქიური, პირველი არაორგანიზებული გაფიცვები 70-იან წლებში მოხდა. 1886 წელს გაიფიცნენ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები. მათ ინგლისურ კომპანიას ცხრამუხლიანი მოთხოვნა

წაუყენეს. 1889 წლიდან რკინიგზელ მუშათა გაფიცვები უფრო მასშტაბური გახდა. ეს ის დროა, როცა რუსეთის სახელმწიფო ხაზინამ გამოიყენა რკინიგზა და ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანაც. გაუქმდა ადრე ბოსტნეულ შელავათები, შეამცირეს უქმე დღეები, ხელფასი. აღშფოთებულმა მუშებმა საპროტესტო დემონსტრაცია ქალაქის ქუჩებში გამართეს. ადმინისტრაციას მოთხოვნათა საკმაოდ ვრცელი ნუსხა წარუდგინეს. „დარღვეული საზოგადოებრივი წესრიგის" აღსადგენად რუსმა მოხელეებმა გამოიყენეს უხეში ძალა. ჯარისკაცებმა დემონსტრანტები ქუჩიდან გარეკეს, ხოლო პოლიციის რაზმი ქარხანაში ჩადგა. მუშებს ჯერ არ გააჩნდათ პროფესიული ორგანიზაცია, არც ასეთ ვითარებაში გამოსაყენებელი თანხა. ვერ გაუძლეს უხელფასობას და ცხრადღიანი გაფიცვის შემდეგ მუშაობა განაახლეს.

საქართველოს მუშათა მოძრაობის ვეტერანი, ზაქარია ჩოდრიშვილი, მისი ძმა და რამდენიმე მუშა ხალხოსნური ორგანიზაციის წევრები იყვნენ. მათ ჩამოაყალიბეს საგამანათლებლო წრე, მუშათა პირველი ორგანიზაცია ამიერკავკასიაში. თბილისელმა პროლეტარებმა დააარსეს ხელნაწერი ჟურნალი „მუშა", აგრეთვე „განთიადი" და „სხივი". მათში შეტანილი წერილები ცხადყოფს, რომ მუშებში თანდათან მაღლდებოდა არა მარტო კლასობრივი თვითშეგნება, არამედ ეროვნული ცნობიერებაც.

„მესამე დასი". ქართული სოციალ-დემოკრატიის დაბადება

დასავლეთევროპული უტოპიური სოციალიზმისა და ხალხოსნური (ნაროდნიკული) იდეოლოგია საქართველოში, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან კრიზისს განიცდის, გზას იკაფავს სოციალიზმის ახალი მოდელი. მარქსიზმი შემოდიოდა როგორც დასავლეთ ევროპიდან, ისე რუსეთიდან. 90-იანი წლების დამდეგს ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და სხვ. მათ სახელებთანაა დაკავშირებული „მესამე დასის" ჩამოყალიბება. დასელებმა დაიწყეს მარქსიზმის ათვისება, მაგრამ პირველ ხანებში, ყველა თუ არა, ზოგი მათგანი განიცდიდა თერგდალეულთა (პირველი და მეორე დასის) ლიდერების გავლენას.

მესამე დასის პროგრამის დამუშავებაში წამყვანი როლი შეასრულა ნოე ჟორდანიამ. მისი შეხედულებები გამოთქმულია ჟურნალ „მოამბეში" 1894 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში — „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება". იქ ის ძირითადი აზრია გატარებული, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს ქართველი ერის ყველა სოციალური ფენა, ყველას მისცა თავისი ფუნქცია. ამ ერთიანობის დარღვევა თვით ერის არსებობას დააყენებსო საფრთხის ქვეშ. ახალგაზრდა ნოე ჟორდანია ახ-

ლოს იდგა წოდებათა შერიგებისა და თანამშრომლობის ილიასეულ იდეასთან. ნოე ჟორდანიამ პროგრამის თავის ვარიანტში ჩაწერა: 1) ეკონომიკური კეთილდღეობა დედაბოძია ადამიანის ცხოვრებისა; 2) მთელი ერისა და ყოველი პიროვნების თავისუფლება მთავარი პირობაა პროგრესული განვითარების, რაც მოწინავე დასის მიზანია; 3) კაპიტალიზმის განვითარება, მართალია, იწვევს სიმდიდრისა და სიღარიბის პოლარიზაციას, რაც აიძულებს მუშათა კლასს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იზრუნოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის დაპირისპირებას, კლასობრივ ბრძოლას. ე. ი. ნოე ჟორდანია არსებითად უარს ამბობდა ბურჟუაზიული წყობილების დამხობის მარქსისტულ იდეაზე. მიაჩნდა, რომ კაპიტალიზმის პირობებშიც შეიძლებოდა ერისა და პიროვნების გათავისუფლება, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება. მომდევნო ორი-სამი წლის განმავლობაში ნოე ჟორდანიამ კარგად შეისწავლა დასავლურევროპული სოციალიზმის (რეფორმიზმის) მოდელი და მისი დებულებები პროგრამაში დააფიქსირა. ამგვარად, მესამედასელთა ერთი ნაწილი მკვეთრად დაუპირისპირდა რუსულ სოციალ-დემოკრატიას (ლენინის მოდელს). ქართული სოციალ-დემოკრატია იდეურ-ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა XX საუკუნის დამდეგამდე. მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ბევრი მესამედასელი წინ აყენებდა ეროვნულ საკითხს, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ მთავარ ძალად მიაჩნდა მშრომელი ხალხი. ისინი საერთო-დემოკრატიულ პოზიციაზე იდგნენ და საკუთარ მიზნად მიაჩნდათ მართვა-გამგეობის დემოკრატიული სისტემის შექმნა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერები (პლეხანოვი, ლენინი, მარტოვი) საქართველოს სოციალ-დემოკრატიას საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიული პარტიის განუყოფელ ნაწილად აღიქვამდნენ. ამგვარ ცენტრალისტთა მიზანდასახულობას ხელს უწყობდნენ რუსული ორიენტაციის ქართველი სოციალ-დემოკრატები (ვლადიმერ (ლადო) კეცხოველი, იოსებ ჯუღაშვილი, ფილიპე მახარაძე, აბელ ენუქიძე). ჟურნალ „კვალის“ და გაზეთ „ბრძოლის“ თანამშრომელთა უმრავლესობის აზრით, საქართველოში კაპიტალიზმი უკვე ფაქტი იყო. ჩამოყალიბდა ახალი კლასები. მწვავდება ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა. ფილიპე მახარაძეს შეუძლებლად მიაჩნდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კომპრომისი, საერთო-ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანება. იგი მოუწოდებდა ქართველ საზოგადოებას დამდგარიყო მარქსიზმის პოზიციაზე. შეეგნოთ, რომ კაპიტალიზმი თვითონ ამზადებდა „თავის დასაკლავ დანას“. მომავალმა ბოლშევიკებმა მთელი ისტორია აღიქვეს, გააცნობიერეს როგორც კლასთა ბრძოლის ისტორია. სოციალისტური რევოლუცია მოს-

პობს კლასობრივ უთანასწორობას — ყველას არწმუნებდნენ, რომ ასეთი პერსპექტივა საქართველოსაც გააჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმის რუსული მოდელის მიმდევარმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა კატეგორიულად უარყვეს ნიკო ნიკოლაძის თვალსაზრისი, რომელიც ძალმომრეობას ბოროტებად აცხადებდა და სამართლიანობის დამყარებაში გადამწყვეტ როლს ჰუმანიზმისა და ლოგიკის პრინციპებს ანიჭებდა. ისინი იმის დასაბუთებას ცდილობდნენ, რომ „ალესილი მახვილი, ძალა, ამბოხება და სისხლის ღვრა მიუძღოდა ყოველთვის სამართლიანობის დამყარებას". ექსტრემისტი სოციალ-დემოკრატები ჩაუდგნენ სათავეში საქართველოს მუშათა მოძრაობას, რათა მისთვის პოლიტიკური ხასიათი და რევოლუციური მიზანდასახულება მიეცათ.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გაფართოვდა სოციალ-დემოკრატიისა და მუშათა კლასის კონტაქტები. 1900 წლის მაისობაში მუშებთან ერთად სოციალ-დემოკრატებიც მონაწილეობდნენ. გაისმოდა ლოზუნგები ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხობის აუცილებლობის შესახებ. 1901 წელს საქართველოში მოქმედი წრეები გაერთიანდნენ, ჩამოყალიბდა თბილისის, ბათუმის, სამეგრელო-იმერეთისა და გურიის ორგანიზაციები. 1903 წლის ივლის-აგვისტოში შედგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გამაერთიანებელი ყრილობა. საქართველოდან მასში მონაწილეობდნენ ნოე ჟორდანია, დიომიდე თოფურიძე, არშაკ ზურაბოვი. ქართველი დელეგატები მარტოვის პოზიციაზე დადგნენ, გამოვიდნენ ლენინურ-ისკრული ხაზის წინააღმდეგ. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გათიშვა „ბოლშევიკურ" და „მენშევიკურ" ფრაქციებად საქართველოში არსებულ ორგანიზაციებსაც შეეხო. დამფუძნებელი ყრილობის შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ დაკარგა ორგანიზაციული დამოუკიდებლობა და მოექცა ცენტრის დიქტატის ქვეშ. ყურადღება გამახვილდა ინტერნაციონალიზმზე, რუსეთის იმპერიის მუშათა მოძრაობის ერთიანობაზე. ქართველ სოციალ-დემოკრატებში თავი იჩინა ეროვნულმა ნიჰილიზმმა, ეროვნული საკითხის უგულებელყოფამ. სოციალ-დემოკრატია თეორიულად მხარს უჭერდა ერთა თვითგამორკვევას, მაგრამ მისი რეალიზაციისათვის პრაქტიკულ საქმიანობას არ ეწეოდა. განმათავისუფლებელი მოძრაობის ეროვნული და სოციალური ასპექტების გარშემო მწვავე დებატები გაჩაღდა ეროვნული და სოციალური მიმართულების პარტიებს შორის.

სოციალისტ-ფედერალისტური მიმართულების ეროვნული პარტიის ჩამოყალიბება

XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების არენაზე გამოჩნდნენ ნეონაროდნიკული და ეროვნული მიმართულე-

ბის ჯგუფები — ისინი დაირაზმნენ გაზეთ „ივერიისა“ და ჟურნალ „მოამბის“ გარშემო. ამ პერიოდის „ივერია“ კვლავ საერთო-დემოკრატიულ პოზიციაზე იდგა. ილია ჭავჭავაძემ რედაქციაში მიიწვია პატიმრობიდან გათავისუფლებული ყოფილი ხალხოსანი გიორგი ლასხიშვილი. იგი მყისვე ჩაება საქართველოს სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებულ კამათში. ყოფილ ხალხოსანთა ერთი ნაწილი (ალექსანდრე ნანეიშვილი, ვასილ წერეთელი და სხვ.) საქართველოში კაპიტალიზმის კვალს თითქმის ვერ ხედავდა, უბედურებად მიაჩნდა მისი განვითარება და არაფრის მქონე პროლეტარიატის მომრავლება. მათი აზრით, მრეწველობის განვითარებასა და ტექნიკურ პროგრესს სათავეში უნდა ჩასდგომოდნენ არა კაპიტალისტები, არამედ საწარმოო კოოპერატივებში გაერთიანებული მშრომელი ადამიანები, უნდა შექმნილიყო სასოფლო-სამეურნეო არტელებიც. გიორგი ლასხიშვილი სხვაგვარად მსჯელობდა, მისი აზრით, რამდენიმე ათეული კოოპერატივი კაპიტალიზმის განვითარების პროცესს ვერ შეაჩერებდა. კაპიტალიზმი ბოლომდე მიიყვანდა ფეოდალურ წოდებრივ ურთიერთობათა რღვევას, საქართველოშიც გაუკაფავდა გზას ევროპულ ცივილიზაციას, მოქალაქეობრივ თავისუფლებას.

გიორგი ლასხიშვილი კაპიტალიზმს პროგრესულ მოვლენად აცხადებდა, მაგრამ იცავდა ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს და ყურადღებას ამახვილებდა რუსული და უცხოური კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებაზე. მან ეს საკითხი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა. გიორგი ლასხიშვილსა და მის თანამოაზრეებს ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნდათ საქართველოს დაპირისპირებული პოლიტიკური დასების გაერთიანება, შინა და გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა.

ქართველ პატრიოტ მოღვაწეთა მეორე ფრთა შემოიკრიბა ჟურნალ „მოამბის“ გარშემო. მის საქმიანობას ტონს აძლევდნენ გიორგი მაიაშვილი და იაკობ ფანცხავა. მათთან კონტაქტში იყო „ძველი გვარდიის“ წარმომადგენელი ნიკო ნიკოლაძე. ეს ჯგუფი უფრო თავგამოდებით ასაბუთებდა კაპიტალიზმის პროგრესულ მისიას. მათი აზრით, როგორც ყველგან, ისე საქართველოშიც, ერი და ქვეყანა სიღარიბის, უმეცრებისა და მონობისაგან კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას უნდა გამოეყვანა. მოამბისტები კარგად ხედავდნენ, რომ უცხოური კაპიტალი თანდათან ეუფლებოდა საქართველოს მიწა-წყალს, მთა-მადნეულს, სხვა სიმდიდრეს. გიორგი მაიაშვილს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა ეროვნული ბურჟუაზიისათვის მორალური და პოლიტიკური დახმარების გაწევა, ამის გარეშე საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს ქართველი ხალხის კეთილდღეობის სამსახურში ვერ ჩავაყე-

ნებთო. იაკობ ფანცხავა აღნიშნავდა, რომ საწარმოო საქმიანობის ასპარეზზე გამოვიდა ფულიანი საქმოსანიც და მუშა ხალხიც — პირველ ხანებში მუშა ხალხს ამ ფორმაციის სოციალური წყლულები შეაწუხებს, ძაგრამ საერთოდ კაპიტალიზმი ერს სიცოცხლის უნარს შემატებს და ქვეყანაში დოვლათს დაატრიალებსო.

„ივერიელებსა" და „მოამბისტებს" შორის იდეურ-პოლიტიკური ნათესაობა არსებობდა: ეროვნულ საკითხში ერთგვაროვან პოზიციაზე იდგნენ, ეს კი ორივე მხარეს საერთო ნიადაგზე მოღვაწეობისკენ უბიძგებდა. მათ შეძლეს ნებართვის მიღება და 1899 წელს დააფუძნეს ყოველდღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" და მის გარშემო შემოიკრიბნენ გიორგი ლასხიშვილი, შაქრო ბილანიშვილი, ქაიხოსრო ქავთარაძე. 1901 წელს გაზეთის წამყვანი თანამშრომელი გახდა არჩილ ჯორჯაძე, აგრეთვე სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ რცხილაძე და ილია აღლაძე. „ცნობის ფურცლის" ჯგუფმა თავი გამოაცხადა თერგდალეულთა იდეურ მემკვიდრედ, მიზნად დაისახა ქართველი ხალხის უფლებების დაცვა, ეროვნული თვითგამორკვევა.

„ცნობის ფურცლის" რედაქცია მკაცრი ცენზურის ქვეშ იმყოფებოდა. ეროვნული საკითხის გარკვევას ვერ ახერხებდა. ეროვნული რადიკალიზმით გამსჭვალული სტატიები იკრძალებოდა, საცენზურო კომიტეტის არქივში რჩებოდა „დატყვევებული". მათ შორისაა არჩილ ჯორჯაძის „ეროვნული დემოკრატიზმი". ავტორი ერთმანეთისაგან მიჯნავდა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ დემოკრატიას. პირველი, მთავარ ყურადღებას აქცევს პოლიტიკურ უფლებათა თანასწორობას, მეორე კი სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას. არჩილ ჯორჯაძე იქვე აღნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპაში საკითხი სხვა ასპექტშიც დაისვაო — „რა რიგად შეიძლება განხორციელება დემოკრატიზმისა იქ, სადაც ერი თავის პატრონი არ არის, სადაც ეროვნული პიროვნება დაჩაგრულია". მრავალეროვნულ იმპერიებში, წერს ავტორი, დემოკრატიულ მოძრაობას სხვა სახე ეძლევა. ირლანდიელების, ჩეხებისა და პოლონელებისათვის ბურჟუაზიული და სოციალური დემოკრატიზმი გამოუყენებელია. ამიტომ არის, რომ მათ ქვეყნებში დემოკრატიულ მოძრაობას ეროვნული ხასიათი ეძლევა; „ჯერ თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მერე შინაური ცხოვრების მოწესრიგება და დემოკრატია". ცხადია, არჩილ ჯორჯაძესა და მის თანამოაზრეებს საქართველოს და ქართველი ხალხისათვის პირველი რიგის ამოცანად მიაჩნდათ ეროვნული თავისუფლება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

როდესაც ეს აკრძალული სტატია იწერებოდა, საქართველოში უკვე არსებობდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფი. იგი პროტეს-

ტით შეხვდა, პეტერბურგის კარნახით თბილისში, 1901 წელს ჩატარებულ, რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ „საზეიმო-საიუბილეო“ სხდომას. სწორედ ამ ჯგუფმა გაბედა იმის თქმა, რომ ქართველი ერისათვის ეს სამგლოვიარო თარიღია. ეროვნულ-დემოკრატები კარგა ხანს „ცნობის ფურცლის“ ჯგუფთან იყვნენ გაერთიანებული.

ცენზურის მკაცრი კონტროლის ქვეშ მყოფ „ცნობის ფურცელში“ შეუძლებელი გახდა ეროვნული პროგრამის ამეტყველება, ამიტომ ჯგუფის ლიდერებმა 1902 წელს პარიზში გამოსცეს თავისუფალი გაზეთი „საქართველო“ და მასში დაბეჭდეს თავის სამოქმედო პროგრამა: „ჩვენი მიზანი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არაა. პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არ ვართ. ჩვენი სურვილია საქართველოს პირობების შესაფერისი კონსტიტუციის მოპოვება. თანახმა ვართ დავრჩეთ რუსეთის სახელმწიფოს ჩარჩოებში, მაგრამ გვინდა შინაურ საქმეებში გვქონდეს სრული დამოუკიდებლობა. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსი მოვიპოვოთ“. პროგრამის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი აღიჭურვებოდა ფართო საკანონმდებლო უფლებამოსილებით. მის მიერ შემუშავებული კონსტიტუცია დაედებოდა საფუძვლად თვით პარლამენტის მუშაობას, საქართველოს მთავრობის, ადმინისტრაციული აპარატის, მილიციის, სასამართლოს, სკოლისა და სხვა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობას. აღნიშნული ეროვნული პროგრამა მსჯელობა-განხილვის საგანი გახდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებათა წარმომადგენლების კონგრესზე, რომელიც 1904 წლის დამდეგს გაიმართა პარიზში. პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას მხარი დაუჭირეს ეროვნულ-დემოკრატებმა, ანარქისტებმა, ესერებმა. ორიოდე დელეგატმა სეპარატისტული პოზიცია დაიკავა — სრული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის იდეას დაუჭირა მხარი, მაგრამ უმრავლესობამ დაუშვებლად მიიჩნია ჭარბი პრეტენზიებით რუსეთის მთავრობისა და დემოკრატიული საზოგადოების გაღიზიანება. ამიტომ კონფერენციის რეზოლუციაში ჩაიწერა, რომ „განთავისუფლებული საქართველოს საუკეთესო წესწყობილება უნდა იყოს ავტონომიური, საქართველო სხვა ერებთან ფედერაციულად შეკავშირებული“.

ამგვარად, „ცნობის ფურცლის“ და „საქართველოს“ რედაქციებმა, პარიზის კონფერენციის ინიციატორებმა შეძლეს პოლიტიკური ავტონომიის მომხრეთა შეკავშირება. მათ მეორე მიზანსაც მიაღწიეს — დაამთავრეს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანიზაციული გაფორმება.

რევოლუციური მოძრაობა 1901-1904 წლებში

1901 წელს თბილისელმა მუშებმა გაცილებით ფართოდ აღნიშნეს ძმრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — 1 მაისი. დემონსტრაციაში 2 ათასმა მუშამ მიიღო მონაწილეობა. ე. წ. „სალდათის ბაზართან" წითელი დროშა აღიმართა. გაისმა ლოზუნგები — „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!". დემონსტრაცია ალექსანდრეს ბაღის მიმართულებით წავიდა. პოლიციელებმა და კაზაკებმა ხმლები იშიშვლეს. მუშებმა მათ წინასწარ მომზადებული ჯოხები დაახვედრეს. 14 მუშა დაიჭირა, 30 დემონსტრანტი დააპატიმრეს. თბილისის მუშათა საპირველმაისო დემონსტრაციას ფართო რეზონანსი ჰქონდა — აღინიშნა, რომ თბილისის პროლეტარიატმა მიიპყრო მთელი რუსეთის დემოკრატიული საზოგადოების ყურადღება. ერთ-ერთი პროკლამაცია მთავრდებოდა სიტყვებით — „გაუმარჯოს საპირველმაისო დემონსტრაციის გმირებს", „ძირს ტირანია!" — ისტორიული მნიშვნელობის ფაქტად აღიარა თბილისელთა საპირველმაისო დემონსტრაცია გაზეთმა „ისკრამ".

ლენინური „ისკრის" კვალს გაჰყვა ქართველ სოციალ-დემოკრატთა ორგანო — გაზეთი „ბრძოლა". რედაქცია იცავდა და ავითარებდა მომავალ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას. წერდა, რომ სოციალ-დემოკრატიისა და მუშათა კლასის მიზანია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა; მან გზა უნდა გაუწმინდოს პროლეტარიატის დიქტატურას, სოციალიზმის გამარჯვებას. გაზეთი „ბრძოლა" გმობდა ლიბერალურ ბურჟუაზიას, მასთან ბლოკის მოსურნე ზომიერ (მემარჯვენე) სოციალ-დემოკრატიას, რომელიც წინააღმდეგი იყო სამოქალაქო ომისა და რეფორმების საშუალებით ვარაუდობდა დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებას.

მეფის მთავრობის მოხელეები და კაპიტალისტები ფაბრიკა-ქარხნებში არ აჩერებდნენ სოციალისტური აგიტაციით მოწამლულ მუშებს. ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდნენ არა მარტო დათხოვნილი, არამედ წარმოებაში დარჩენილი მუშებიც. მაგალითად, 1902 წელს, მთავრობის განკარგულების თანახმად, როტშილდის ქარხნიდან (ბათუმი) დაითხოვეს 38 მუშა. სხვა მუშები გაიფიცნენ და დათხოვნილთა სამუშაოზე აღდგენა მოითხოვეს. ბათუმში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორი, მაგრამ მან გაფიცულები ვერ დაიმორჩილა; პროტესტანტებს გარს შემოერტყა ჯარი; დააპატიმრეს 348 მუშა და ყაზარმაში შერეკეს. იმავე წლის 9 აპრილს გაიმართა ბათუმის თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხნის 6 ათასი მუშის გაფიცვა-დემონსტრაცია. ხალხი გაემართა ციხისაკენ, მოითხოვა დაპატიმრებულთა გათავისუფლება. ჯარსა და მუშებს შორის ხელჩართული ბრძოლა გაჩაღ-

და. ბოლოს დამსჯელმა ექსპედიციამ ცეცხლი გახსნა: 15 მუშა მოკლეს, 5 — დაიჭრა, 500 კაცი პატიმრობაში აიყვანეს, რომლებიც რამდენიმე დღის შემდეგ მშობლიურ სოფლებში გაასახლეს; ასევე მოექცნენ თბილისელ ურჩ მუშებსაც.

თბილის-ბათუმიდან გასახლებული მუშების ერთი ნაწილი გორის მაზრაში მოხვდა და იქ ბრძოლის პროლეტარული ფორმები ჩაიტანა. მათ ბოიკოტი გამოუცხადეს თავად ერისთავს, რომელმაც გადახნა გლეხთა სარგებლობაში არსებული 400 ჰექტარი საძოვარი. მაზრის უფროსმა გლეხთა წარმომადგენლები დააპატიმრა. აღშფოთებული 1500 კარალეთელი გლეხი თბილისს ჩავიდა, მთავარმმართებლისაგან სამართლიანობის აღდგენა მოითხოვა. მან გლეხები „დააიმედა", პოლიციამ კი გამოსვლის მეთაურები დააპატიმრა; საპროტესტო მოძრაობა მთელ მაზრას მოედო, უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრდნენ დირბის, ურბნისის, რუისის, ორთუბნის, არადეთის და სხვ. სოფლების გლეხები. მათ მოსათვინიერებლად პოლიციის რაზმები გაიგზავნა; ბევრი მოჯანყე გლეხი დააპატიმრეს.

1902 წლის მაისში აგრარულ-რევოლუციური მოძრაობის ალი გურიას მოედო. პირველად ნიგოითელმა გლეხებმა შეუტიეს თავად მაჭუტაძეს, რომელიც იჯარით გაცემულ სახნავ-სათეს მიწაში მოსავლის ნახევარს მოითხოვდა. ნიგოითელთა „ბუნტს" აჰყვნენ სუფსის, ბასილეთის, ძიმითის, ჯუმათის, აკეთის და სხვა სოფლების გლეხები; თითქმის ყველგან გამოუცხადეს ბოიკოტი მემამულეებს და მთავრობის დაწესებულებებს. შეშინებული თავადაზნაურობა ოზურგეთში შეიკრიბა და ქუთაისის გუბერნატორს თხოვნა გაუგზავნა ურჩ სოფლებში დამსჯელი რაზმების გაგზავნის შესახებ. 1902 წლის აგვისტოს დამდეგს გურიაში ჯარით შეიჭრა ვიცე-გუბერნატორი კალაჩევი. რამდენიმე გლეხი დაიჭრა; 300 კაცი დააპატიმრეს; უხეში ძალის გამოყენებით გლეხებს ძველი და ახალი გადასახადები აართვეს.

გურიის გლეხთა მოძრაობამ გამოძახილი პოვა სამეგრელოში. „საზოგადოებრივი წესრიგის" აღსადგენად ურჩ სოფლებში მთავრობამ დამსჯელი რაზმები ჩააყენა. იმერეთში აჯანყების დროშა პირველად იანეთელმა გლეხებმა აღმართეს. მათ მიჰბაძეს ეწერის, ღანირის, კულაშის, გორმაღალას და სხვ. სოფლების მცხოვრებლებმა. ამბოხებულ სოფლებში პოლიციის რაზმები გაიგზავნა. დააპატიმრეს გლეხთა თავკაცები, მაგრამ ვერავინ შეაშინეს. გლეხებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მემამულეებს, მთავრობის მოხელეებს. უარი თქვეს სამამულო ღალაზე, სახელმწიფო გადასახადებზე. აგრარულ-რევოლუციური მოძრაობის მიღმა არც აჭარა დარჩენილა. ზუნდაგის, საღორეთისა და აგარის გლეხებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ბათუმის ოლქის მოხელეებს, განაიარაღეს მათი თანმხლები რაზ-

მები, აჭარაში ქუთაისის გუბერნატორი შეიჭრა ჯარით და წესრიგის აღდგენა დროებით შეძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1902 წელს აგრარული მოძრაობის ალი მოედო კახეთის სოფლებს: გლეხებმა უარი თქვეს სანადელო და საიჯარო ღალა-ბეგარაზე. ბოიკოტი გამოუცხადეს მემამულეებს, მათი ოჯახებიდან გამოიყვანეს შინამოსამსახურეები, დაქირავებული მიწის მუშები. თელავისა და სიღნაღის მაზრის უფროსებმა მოძრაობის ხელმძღვანელები დააპატიმრეს. ამავე პერიოდში გლეხთა საპროტესტო მოძრაობამ საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო თიანეთისა და დუშეთის მაზრებში. გლეხებმა აქაც უარი თქვეს ღალა-ბეგარაზე. რამდენიმე სოფლის გლეხთა წარმომადგენლების კრებამ დაადგინა, ბოიკოტი გამოეცხადებინათ მემამულეებისათვის, აღარ დამორჩილდნენ მთავრობის მოხელეებს.

1903-1904 წლებში სოციალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმული სოფლებისა და კომლების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. რამდენიმე რაიონში ჩამოყალიბდა გლეხობისა და სოფლის მუშების კომიტეტები, რომლებმაც საპროტესტო გამოსვლებს მისცეს უფრო გააზრებული და ორგანიზებული ხასიათი. მთავრობა კი მეტი სიმკაცრით აგრძელებდა რეპრესიებს. ასობით სოფელში დამსჯელი რაზმები ჩააყენეს. 1903 წელს, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში პოლიციამ დასავლეთ საქართველოში დააპატიმრა და ციმბირს გაასახლა 300-მდე მეამბოხე გლეხი. აგრარულ-რევოლუციურმა მოძრაობამ თითქმის კულმინაციას მიაღწია 1904 წელს. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა მთავრობის ჯარისა და გლეხთა რაზმების ხელჩართული ბრძოლა. კახელ გლეხთა რაზმებმა იარაღშემართულებმა ჩამოიარეს მრავალი სოფელი, მემამულეებს მოსთხოვეს მიწაზე ხელის აღება და მისი დიდი ნაწილის გლეხობისათვის გადაცემა. გლეხურმა მოსახლეობამ სრული უნდობლობა გამოუცხადა მთავრობის ადმინისტრაციულ ორგანოებს, შექმნა თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც წყვეტდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საქმეს. ერთი სიტყვით, საქართველოში შეიქმნა საყოველთაო რევოლუციური სიტუაცია. დიდი სოციალურ-პოლიტიკური ომისათვის მომზადებული აღმოჩნდა როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობა, მუშაც და გლეხიც, ინტელიგენციაც და ბურჟუაზიაც. რუსული ხელისუფლება იზოლაციაში მოექცა. მოსახლეობის 90% ცარიზმის დამხობაზე, ეროვნულ და სოციალურ თავისუფლებაზე, დემოკრატიული მართვა-გამგეობის შექმნაზე ოცნებობდა. საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობა თავისი გაქანებით 1902-1904 წლებში წინ უსწრებდა იმპერიის რუსულ გუბერნიებს და 1905 წელსაც რევოლუციის ავანგარდში აღმოჩნდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი VIII

1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში

რუსი ბოლშევიკები ამტკიცებდნენ — „1861 წელმა წარმოშვა 1905 წელი". დღეს უკვე ამ ფრაზას შესწორება სჭირდება: ფაქტია, რომ რუსეთის იმპერიაში უკვე XIX საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე მომწიფდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თითქმის ყველა წანამძღვარი: თვით ეპოქამ მოითხოვა ბატონყმობის გაუქმება, დემოკრატიულ თავისუფლებათა დამკვიდრება. სხვადასხვა ფორმით ამისათვის იბრძოდა გლეხობა, ფორმირების პროცესში მყოფი ბურჟუაზია, ინტელიგენცია. მაგრამ რუსეთის ცარიზმმა, კონსერვატიული ძალების დახმარებით, შეძლო რევოლუციური სიტუაციის განმუხტვა, ბურჟუაზიული რეფორმები ზემოდან გაატარა და რევოლუცია თავიდან აიცილა. ამდენად, 1861-მა წელმა და ბატონყმობის გაუქმებამ კი არ წარმოშვა რევოლუცია, არამედ მხოლოდ 40 წლით გადასწია მისი თარიღი.

ცარიზმის მიერ გატარებულმა რეფორმებმა უხვად დატოვა ბატონყმობის ნაშთები იმპერიის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაშიც და პოლიტიკურ წყობაშიც. მიწათმფლობელობისა და აგრარული ურთიერთობის „ახალი" ფორმები კვლავ ზღუდავდა გლეხის პიროვნებას და მეურნეობას. გლეხობა 40 წელი ებრძოდა ბატონყმობის ნაშთებს, მოითხოვდა პიროვნულ თავისუფლებას და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. აბსოლუტური მონარქიის შეცვლა წარმომადგენლობით-დემოკრატიული ხელისუფლებით პასუხობდა ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის ინტერესებსაც. დემოკრატიული მართვა-გამგეობის პირობებში გაცილებით სწრაფად განვითარდებოდა კაპიტალიზმი, გაიზრდებოდა არა მარტო კაპიტალის მოგება, არამედ მუშათა ხელფასიც, ბოლო მოეღებოდა ისეთ ვითარებას, როცა პროლეტარი იტანჯებოდა არა იმდენად კაპიტალიზმისაგან, არამედ სწორედ მისი არასაკმაო განვითარების გამო. თვითმპყრობელობას კიდევ უფრო მტრულად უპირისპირდებოდა ინტელიგენცია. სიტყვის ოსტატებსა და მოაზროვნე ადამიანებს ისევე სჭირდებოდათ დემოკრატიული თავისუფლება, განსაკუთრებით სიტყვის თავისუფლება, როგორც ჰაერი და წყალი; ამიტომ ჩადგნენ ისინი თავისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

ერთი სიტყვით, რუსეთის მოსახლეობის დაახლოებით 90%-ის ინტერესებს პასუხობდა ცარიზმის დამხობა, დემოკრატიული მართვა-გამგეობის სისტემის შექმნა, პიროვნული თავისუფლების დამკვიდრება. ეს ერთად ადამიანების წინაშე საერთო-დემოკრატიულ მიზანთან ერთად, იდგა ვიწროკლასობრივი ინტერესი, რაც აძლიერებდა ბურჟუაზიის, მუშათა კლასისა და გლეხობის გაერთიანებას, მტკიცე რევოლუციური ბანაკის შექმნას.

რევოლუციური ბრძოლის ფორმები 1905 წლის პირველ ნახევარში

1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში, მეფის ბრძანებით დაარბიეს და დახვრიტეს მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია. გარდაიცვალა 1200 და დაიჭრა 5000 კაცი. სისხლიან კვირას პროტესტით შეხვდა პროგრესული რუსეთი, აღშფოთება გამოხატა იმპერიის განაპირა ქვეყნების მოსახლეობამაც.

ქართველი ხალხისათვის საპროტესტო დემონსტრაცია, როგორც უკვე აღინიშნა, არ იყო უცხო ხილი. ამჯერად საქართველოს რუსეთის მშრომელთათვის სოლიდარობის გამომხატველი დემონსტრაციების ტალღამ გადაუარა: 18 იანვარს ქუჩაში გამოვიდნენ თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშები. ორი-სამი დღის შემდეგ თბილისის პროლეტარიატის დემონსტრაციამ საყოველთაო ხასიათი მიიღო და პოლიტიკური შინაარსი შეიძინა. საპროტესტო გაფიცვა-დემონსტრაციები გაიმართა ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, ჭიათურასა და სხვა დაბა-ქალაქებში. კავკასიის ადმინისტრაციამ მზადყოფნაში მოიყვანა პოლიცია, კაზაკთა რაზმები, ჯარის ნაწილები. „დამნაშავენი" დააპატიმრეს, ნაწილი ციმბირის გზას გაუყენეს. თბილისსა და ბათუმში სისხლიც დაიღვარა. დემონსტრაციების დარბევის მომენტში რამდენიმე ათეული კაცი დაიღუპა და დაიჭრა.

თებერვალ-მარტში ახალი ძალით გაჩაღდა ქართველი გლეხობის აგრარულ-რევოლუციური მოძრაობა. მთავრობის მოხელეებისა და მემამულეებისათვის ბოიკოტის გამოცხადება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გლეხები თავისად აცხადებდნენ ხაზინისა და მემამულეების მიწებს, სოფლებიდან აძევებდნენ მთავრობის მოხელეებს. სოფელ ჯიხაიშის გლეხებმა ქალაქურ-მუშური ხასიათის დემონსტრაცია გამართეს: გაისმოდა ლოზუნგები — „ძირს თვითმპყრობელობა", „გაუმარჯოს თავისუფლებას და დემოკრატიულ რესპუბლიკას". ჯიხაიშელი დემონსტრანტები შეიჭრნენ სოფლის კანცელარიაში, გამოიტანეს იმპერატორ ნიკოლოზ II-ის პორტრეტი და ნაკუწებად აქციეს. ქუთაისის მაზრის ადმინისტრაციამ ჯიხაიშში შეიარაღებული რაზმი გაგზავნა. ხელჩართული ბრძოლის დროს 2 გლეხი დაიღუპა, 7 დაიჭრა.

საქართველოს ბევრ რაიონსა და გაცილებით მეტ სოფელში, თავისუფლებისათვის მებრძოლმა მოსახლეობამ შექმნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომელნიც ასრულებდნენ ადმინისტრაციულ და სამოსამართლო ფუნქციებს. ასეთი სოფლების გლეხობა ისე ერთსულოვნად მოქმედებდა, რომ პოლიციელთა და კაზაკთა რაზმები ვერ ახერხებდნენ თვითმმართველობაზე გადასულ სოფლებში შესვლას, მომიტინგეების გარეკვას, „საზოგადოებრივი წესრიგის" აღდგენას.

გლეხთა გამოსვლები ადრინდელზე გაცილებით მასობრივი და ორგანიზებული გახდა აჭარაში. ზოგიერთ სოფლებში აღა-ბეგების მამულები დაარბიეს, მათი მიწები დაინაწილეს. რამდენიმე სოფელში ჩამოყალიბებული რაზმი დაბა ქედისაკენ დაიძრა; 2 ათასი აჭარელი საპოლიციო უბნის რეზიდენციასთან მივიდა და უბნის უფროსს, სერგეევს მოსთხოვა ადგილობრივ სახელმწიფო გადასახადთა გაუქმება, ტყითა და საძოვრით უფასოდ სარგებლობის უფლება. როცა მოხელემ განაცხადა, ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედისო, გლეხებმა გაუქმებულად ჩათვალეს ქედის საპოლიციო უბანი, განაიარაღეს მოხელეები, გარეთ გამოყარეს კანცელარიის ნივთები, საჯაროდ დაწვეს ნიკოლოზ II-ის სურათი. ქედაში წესრიგის დასამყარებლად ბათუმის ოლქის უფროსი, პოლკოვნიკი ჩერნოვი ჩავიდა ჯარის თანხლებით. გლეხებმა თავი აარიდეს უთანასწორო ბრძოლას და დაიშალნენ. „გამარჯვებულმა" ჩერნოვმა რეპრესიებს მაინც მიმართა — აჯანყების 60 ხელმძღვანელი და აქტიური მონაწილე დააპატიმრა.

გურულ გლეხთა რევოლუციური შემართების ამბავი საქართველოს საზღვრებს გასცდა: გაზეთი „ვპერიოდი" რუსეთის მშრომელებს აუწყებდა, ოზურგეთის მაზრაში მოქმედებს ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტი, მის ხელშია მართვა-გამგეობის სადავეები, მისი ნებართვის გარეშე ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიც კი არ წარმოებს. მაზრაში მეფის მთავრობის ადმინისტრაცია და სასამართლო პარალიზებულია. ყველა საქმეებს რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოები განაგებენო.

18 აპრილს გურიასა და აჭარაში სამხედრო წესები გამოცხადდა. ხელისუფლების მიერ შედგენილი პირსისხლიანი გეგმა დაგმო ინტელიგენციამ. არჩეულმა დელეგაციამ, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა, მთავრობას გურიიდან ჯარის გამოწვევა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოგვარება მოსთხოვა. საყოველთაო პროტესტმა რუსული ხელისუფლება შეაფიქრიანა. მთავარმმართებელმა იაკობ დიმიტრის ძე მალამამ სადამსჯელო ოპერაცია გადადო და გურულ გლეხთა მოსათვინიერებლად კრიმ გირეი გაგზავნა. მან რამდენადმე განმუხტა დაძაბული სიტუაცია.

გურულებს აქტიურობით არც მეგრელი გლეხები ჩამოუვარდებოდნენ. ისინიც მოითხოვდნენ ღალა-ბეგარის გაუქმებას, მიწის ფონდის სამართლიან გადანაწილებას, თვითმმართველობას და დამფუძნებელი კრების მოწვევასაც კი. ზუგდიდისა და სენაკის მაზრის ადმინისტრაციამ „ანარქიასთან" საბრძოლველად მფრინავი რაზმები ჩამოაყალიბა. ბოქაული შენგელია თავისი რაზმით თავს დაესხა სოფელ კახათის სამიათასიან კრებას და 16 კაცი დააპატიმრა. გლეხები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და ხელჩართულ ბრძოლაში 12 კაცი დაკარგეს, მაგრამ შეძლეს თანასოფლელთა გათავისუფლება. მალე ამის შემდეგ, გლეხებმა დაიწყეს შეიარაღება, ჩამოაყალიბეს წითელი რაზმები, სოფლებიდან აძევებდნენ მთავრობის მოხელეებს, დამსჯელ ეგზეკუციებს.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გლეხთა მიერ წამოყენებული მოთხოვნები უმეტესად ერთმანეთს ემთხვეოდა. საყოველთაო მიზანი გახდა: 1. დროებითვალდებულების ინსტიტუტის და ბატონყმობის სხვა ნაშთების მოსპობა; 2. სახელმწიფო ხაზინისა და მსხვილ მემამულეთა მიწების უმიწაწყლო მშრომელებზე გადანაწილება; 3. უსამართლო ბეგარა-გადასახადების გაუქმება, საშემოსავლო გადასახადის შემოღება და მისგან უწვრილეს მეურნეთა გათავისუფლება; 4. წოდებრივი პრივილეგიების მოსპობა, კანონის წინაშე ყველა მოქალაქის გათანაბრება; 5. პიროვნების ხელშეუხებლობის, სიტყვის, ბეჭდვის, შეკრების, გაფიცვების თავისუფლების დაკანონება; 6. სამაზრო და სარაიონო თვითმმართველობის დაწესებულებათა ჩამოყალიბება; 7. 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ქართულ ენაზე საყოველთაო და უფასო სწავლების შემოღება. 8. დამფუძნებელი კრების მოწვევა, ხალხის წინაშე პასუხისმგებელი დემოკრატიული ხელისუფლების დამკვიდრება. საქართველოს გლეხობის ამგვარი მოთხოვნები შეესაბამებოდა მოწინავე ინტელიგენციის პოზიციას, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა-მინიმუმს. მათში აირეკლა აგრეთვე ეროვნული მიმართულების ორგანიზაციების მიზანდასახულობა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის III ყრილობამ (1905 წლის აპრილი) თავის რეზოლუციაში დააფიქსირა ის ფაქტი, რომ კავკასიის მშრომელი ხალხი რუსეთის I რევოლუციის ავანგარდში იდგა, ამ რეგიონში კი განსაკუთრებით მაღალი ორგანიზებით და რევოლუციური შემართებით საქართველოს მშრომელი მოსახლეობა გამოირჩეოდა. მისი წარმატების მაუწყებელი იყო ის, რომ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჩამოყალიბდა თვითმმართველობის ორგანოები. ხალხის 90% აღარ ცნობდა მთავრობის ადმინისტრაციას, თვითონ წყვეტდა თითქმის ყველა საკითხს. რეზოლუციაში ისიც აღინიშნა, რომ რევოლუციურმა თვიმმართველობებმა მიწის

ფონდი საერთო-სახალხო საკუთრებად გამოაცხადა, დაიწყო მისი სამართლიანი გადანაწილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრესული ინტელიგენციის როლი ამაღლდა. ქალაქელი მუშა და სოფლელი გლეხი დაბეჩავებულ-დამცირებული ადამიანიდან გადაიქცა თავისუფლად მოაზროვნე და მიზანმიმართულ მოქალაქედ, რომელიც განმსჭვალული იყო თავისი დიდი შესაძლებლობების რწმენით. ხალხმა, დროებით მაინც, თავისუფლად ამოისუნთქა. მას ვერ აწუხებდნენ მთავრობის მოხელეები და პოლიციელები, მაგრამ რეგიონული მასშტაბით მოპოვებული თავისუფლება არ შეიძლება გარანტირებულად ჩათვლილიყო, ვიდრე არსებობდა იმპერია, აბსოლუტური მონარქია და მისი ბიუროკრატიული აპარატი. მთავარი ამოცანა გახდა ხალხის საყოველთაო მოძზადება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

რევოლუციის გაღრმავება-გაფართოება.
17 ოქტომბრის კომპრომისული მანიფესტი.
საერთო დემოკრატია და კონკრეტული ეროვნული საკითხი

1905 წლის პირველ ნახევარში მიმდინარე მოვლენებმა ცხადყო, რომ საქართველოში რევოლუციის მთავარი ძალა გლეხობა იყო. მასზე ამყარებდნენ იმედს სოციალ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები. ბოლშევიკები კვლავ ლაპარაკობდნენ პროლეტარიატის ჰეგემონიაზე. მენშევიკების აზრით კი ბურჟუაზიული რევოლუციის ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენდა ბურჟუაზია და მისი მომენტალური მოკავშირე უნდა ყოფილიყო პროლეტარიატი.

გაზეთ „ცნობის ფურცელის“ რედაქცია ქართველი მშრომელი ხალხის (მიწის მუშა გლეხობისა და სამრეწველო პროლეტარიატის) ბუნებრივ მოკავშირედ და ხელმძღვანელად ინტელიგენციას თვლიდა. ინტელიგენციის ღირსების საქმედ მიაჩნდა ერისა და ქვეყნის სამსახური. სოციალისტ-ფედერალისტებს განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ ხალხის ინტერესებზე, რევოლუციის მიზნებსა და ბრძოლის ფორმებზე. ზოგიერთ საკითხში მათ სოციალ-დემოკრატი მენშევიკებიც ეთანხმებოდნენ.

სოციალისტ-ფედერალისტებსა და მენშევიკებს შეიარაღებული აჯანყება სულაც არ მიაჩნდათ აუცილებელად და რევოლუციის გამარჯვების წინა პირობად. ისინი ბრძოლის მშვიდობიან ფორმებს (საყოველთაო დაუმორჩილებლობა, დემონსტრაცია, გაფიცვა) ანიჭებდნენ უპირატესობას. სხვაგვარ პოზიციაზე იდგნენ ბოლშევიკები. იოსებ ჯუღაშვილი წერდა: „მხოლოდ მაშინ, როცა იარაღასხმული ხალხი პროლეტარიატს წაიძღვარებს და საყოველთაო აჯანყების დროშას ააფრიალებს, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაემხოს ხიშტებზე გამაგრებული მეფის მთავრობა“.

მეფის მთავრობა და მისი ადმინისტრაციის მოხელეები სულაც არ აბირებდნენ თავის ნებაზე მიეშვათ ხალხი და გულხელდაკრეფილნი იცქირებათ საყოველთაო აჯანყების მომზადებისთვის. იმპერატორის სატრაპები რეპრესიებს მიმართავდნენ, მაგრამ არც მშვიდობიან მოლაპარაკებაზე ამბობდნენ უარს. კავკასიაში მეფისნაცვლად დანიშნული ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანებით საქართველოს თითქმის ყველა მაზრაში ჩამოყალიბდა დროებითი კომისია. მათი მთავარი ფუნქცია იყო მთავრობის ადმინისტრაციისა და მემამულეებისათვის მიყენებული ზარალის აღნუსხვა და განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურად მონაწილე გლეხთა სიების შედგენა. იმავდროულად გორისა და დუშეთის მაზრებში სამხედრო წესები გამოცხადდა. დამსჯელი რაზმები საომრად შემართულიყვნენ. მჭადიჯვარში მომხდარი შეტაკებისას დაიღუპა 30 და დაიჭრა 40 გლეხი. სოფელ გრემში დამსჯელმა რაზმმა მოკლა 5 და დაჭრა 9 კაცი.

მთავრობიდან მომდინარე სისხლიანი ტერორის საპასუხოდ, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ კიდევ უფრო მასობრივი და რადიკალური ხასიათი მიიღო. 1905 წლის იელის-აგვისტოში რამდენიმე ათეული წითელი რაზმი ჩამოყალიბდა. 21 აგვისტოს დაბა ჩოხატაურში გაიმართა გლეხთა შეიარაღებული დემონსტრაცია. ანალოგიური დემონსტრაცია დაბა ლანჩხუთში ჩატარდა 27 აგვისტოს. ქუჩაში გამოვიდა შეიარაღებულ ოცეულებად დაწყობილი 2 ათასი კაცი. რევოლუციის სენი ოზურგეთის მაზრაში მდგარ მთავრობის ჯარის ნაწილსაც გადაედო. მაზრის უფროსი ზემდგომ ინსტანციას აუწყებდა, რომ 500 დეზერტირი შეიარაღებულ ხალხს ტყვიის სროლას ასწავლის, ხოლო ზოგიერთი ოფიცერი წითელი რაზმის უფროსია და სხვა რაზმების მეთაურებთან ერთად ოზურგეთზე თავდასხმისათვის ემზადებაო.

1905 წლის 6 აგვისტოს გამოქვეყნდა იმპერატორის ბრძანება ხალხის წარმომადგენელთა ორგანოს შექმნის, სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ. ბოლშევიკებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მას. სოციალისტ-ფედერალისტებმა და მენშევიკებმა ნიკოლოზ II-ის ბრძანება სახელმწიფო რეფორმის დასაწყისად მიიჩნიეს. სოციალისტ-ფედერალისტური გაზეთი „ცნობის ფურცელი" არ დააკმაყოფილა კანონმა. დაგმო მაღალი საარჩევნო ცენზი, რაც უზრუნველყოფდა „ხალხის წარმომადგენელთა კრებაში" თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის გაბატონებას. რედაქციამ ისიც აღნიშნა, რომ მთავრობა მოსახლეობის ზედაფენასაც კი არ ენდობა, სათათბიროს უფლებამოსილება მინიმუმამდე დაჰყავსო.

ქართველმა საზოგადოებამ თავისი კრიტიკული აზრის საჯაროდ გამოთქმა გადაწყვიტა და 29 აგვისტოს თბილისის თვითმმართველობის დარბაზ-

ში შეიკრიბა. კრებას 2 ათასამდე მუშაც ესწრებოდა. ქალაქის პოლიცია შეშფოთდა, მუნიციპალური სასახლე ალყაში მოაქცია, დაიწყო ბრძოლა დარბევა. სხდომათა დარბაზი და მიმდებარე ქუჩა-მოედანი სისხლით შეიღება. დაიღუპა 100 კაცი. დაიჭრა 300-მდე. 29 აგვისტოს თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია საქართველოსა და სხვა ქვეყნებში. სოციალ-დემოკრატების პროკლამაციამ შეაჩვენა ჯალათები, მშრომელ მასას შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდა. სახალხო რევოლუცია ზენიტს მიუახლოვდა.

ოქტომბრის დამდეგს რაჭის მაზრის უფროსი ქუთაისის გუბერნატორს აუწყებდა, აქაურმა წითელრაზმელებმა უკვე განაიარაღეს ადგილობრივი პოლიცია, დამეხმარე და ერთი ბატალიონი მომაშველეთო. კიდევ უფრო დაძაბული სიტუაცია შეიქმნა გურიაში. 16 ოქტომბერს წითელრაზმელებმა შეძახილით — „იარაღი დაყარე და წადი“ — ჩოხატაურის საპოლიციო საგუშაგოს შეუტიეს. რამდენიმე პოლიციელი დაიღუპა და დაიჭრა. წითელრაზმელებმა დაატყვევეს საპოლიციო უბნის უფროსი. ოზურგეთიდან ჯარის ნაწილი ჩოხატაურის მიმართულებით დაიძრა. ნასაკირალთან ჩასაფრებულმა წითელრაზმელებმა ცეცხლი გახსნეს, მოკლეს 10 და დაჭრეს 14 თავდამსხმელი. მაზრის უფროსმა თავს გაქცევით უშველა. უკეთეს დღეში არც შორაპნისა და რაჭის მაზრის უფროსები იყვნენ. მათ აღარავინ ემორჩილებოდა. საპოლიციო საგუშაგოები ფაქტობრივად გაუქმდა, თითქმის ყველა სოფელი რევოლუციური თვითმმართველობისა და წითელი რაზმების კონტროლქვეშ აღმოჩნდა.

შექმნილი სიტუაციის, კონკრეტული ფაქტების ანალიზი და მთლიანობაში გააზრება საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ XX საუკუნის დამდეგს საქართველოში ერთმანეთს შეერწყა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაკადები. იმ მოვლენების დამსწრე და მონაწილე გრიგოლ ლორთქიფანიძე მოგვიანებით წერდა, რომ 1905 წელს დაწინაურდნენ გლეხები და მუშები — სწორედ მათ შექმნეს „ერთობის მმართველობა, მომავალი დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველოს თავისებური რეპეტიცია გაიარეს“. ქართველი ხალხის ეს დამსახურება აღიარა კაცობრიობის მოწინავე ნაწილმა. რუსეთის იმპერიის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში ყოფნა თითქოს გაუმართლებელი იყო ქართველი ხალხის მცირერიცხოვნობის გათვალისწინებით, ასევე, ეკონომიკური წონითა და საზოგადოებრივი განვითარების დონით, მაგრამ ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში, გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრით, თავი იჩინა ქართველი ხალხის უძველესმა კულტურამ და ხანგრძლივმა სახელმწიფოებრივმა სკოლამ. „სწორედ ამ

დანაცრებულმა ნაპერწკალმა იფეთქა... ქართველმა ხალხმა შინაგანად (საქართველოს მასშტაბით) დაასრულა რევოლუცია. მან სრულიად გარიყა რუსული ხელისუფლება და ფაქტობრივად საკუთარი მმართველობა შექმნა... გამარჯვებული და გამაგრებული უცდიდა ის რევოლუციის სხვა რაზმების წინსვლას. სამწუხაროდ, საიმპერიო რევოლუციის ვერც ერთმა სხვა რაზმმა საკმარისად ვერ აუბა მხარი... და პირველი რევოლუცია დამარცხდა". მაგრამ ამ მარცხამდე ქართველმა ხალხმა კიდევ დიდხანს ზიდა მძიმე ჯვარი.

ხალხის საყოველთაო პროტესტითა და რევოლუციური შემართებით თავზარდაცემულმა ნიკოლოზ II-მ 1905 წლის 17 ოქტომბერს გამოაქვეყნა მანიფესტი, ხალხს აღუთქვა კონსტიტუცია, სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლება. ამით სცადა ხალხის დამშვიდება და მემარცხენე პარტიებისათვის საყრდენი სოციალური ძალის წართმევა.

ლიბერალები და ზომიერი დემოკრატები ხარობდნენ. 17 ოქტომბრის მანიფესტს სოციალისტ-ფედერალისტებიც დადებითად გამოეხმაურნენ. „ძირითადი სახელმწიფოებრივი რეფორმა" თითქმის უკვე გატარებულად მიიჩნიეს. მაგრამ მალე მათი მსჯელობა-ვარაუდები ეჭვნარევი გახდა. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დაპირებული სათათბირო ყველაზე მთავარ პრობლემებს ვერ გადაჭრიდა, ძირითადი სახელმწიფოებრივი რეფორმები დამფუძნებელ კრებას უნდა გაეტარებინა. მასვე უნდა გადაეჭრა ეროვნული საკითხი.

ეროვნული თვითგამორკვევის უფლებას საქართველოს მოსახლეობის ყველა კლასი მოითხოვდა და ყველა პოლიტიკური პარტია აღიარებდა. მაგრამ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პრაქტიკულ ასპექტებთან დაკავშირებით თვალსაზრისთა სხვადასხვაობა გამოიკვეთა. სოციალ-დემოკრატების აზრით, პირველი რიგის საერთო-დემოკრატიული ამოცანა ცარიზმის დამხობა და დემოკრატიული მმართველობის შექმნა იყო. საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა მშრომელთა ინტერნაციონალურ ერთობას ხელს შეუშლის, დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას შეაფერხებს და ამიტომ ქართველმა ერმა ავტონომია არ უნდა მოითხოვოსო. ბოლშევიკები ეროვნული საკითხის გადაწყვეტას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვარაუდობდნენ.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, აგრეთვე მისი მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია, სხვაგვარად მსჯელობდნენ და საქმიანობდნენ. გიორგი ლასხიშვილი აღნიშნავდა: ვინც ეროვნული საკითხის სოციალისტურ რევოლუციამდე გადადებას მოითხოვს, მას არ ესმის შინაარსი განმათავისუფლებელი მოძრაობისა; დღეს მთავარი ადგილი ეთმობა

პოლიტიკას. ძირითადია სახელმწიფოებრივი წყობილების რეორგანიზაციის პრობლემა. დამფუძნებელი კრება, წერდა იგი, მოწვეული უნდა იქნეს ახალი ძირითადი კანონების შესამუშავებლად, „უეჭველია, ამ ძირითად კანონშივე უნდა აღინიშნოს ეროვნებათა უფლება, ასე თუ ისე უნდა გადაწყდეს ეროვნული საკითხი. რუსეთის იმპერიის დამფუძნებელმა კრებამ არ უნდა გაიმეოროს ავსტრიის შეცდომა, საკუთარი გარკვევით და ნათლად უნდა მოაწესრიგოს ერების ურთიერთობა. უამისოთ... ნორმალურ კალაპოტში ვერ ჩადგება რუსეთის ხალხთა ცხოვრება". გიორგი ლასხიშვილი და მთლიანად სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია დარწმუნებული იყვნენ, რომ ეროვნული საკითხის, ავტონომიის პრობლემის წინ წამოწევა კი არ შეაფერხებდა, არამედ გააძლიერებდა განმათავისუფლებელ მოძრაობას". რუსეთის იმპერიის დაჩაგრული ერები, ლასხიშვილის განცხადებით, იმიტომ მონაწილეობდნენ ასე ენერგიულად განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომ დარწმუნებულნი არიან, „შიდა რუსეთის საკითხებთან ერთად გადაწყდება განაპირა ქვეყნებისა და არარუს ეროვნებათა სვე-ბედი".

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი გახდა ქართველი სამღვდელოების ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. 1905 წლის თებერვალში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ გვერდი აუარა სინოდს და თხოვნა („პეტიცია") რუსეთის მინისტრთა კომიტეტს გაუგზავნა. იქ ლაპარაკი იყო დამოუკიდებელი საქართველოს ეკლესიის, მისი მეთაურის — კათალიკოსის ღირსებებზე, ქართველი სამღვდელოების ზნეობრივ ძალასა და გავლენაზე, მწყემსმთავართა და მრევლის სიყვარულზე, ერთობაზე. ხაზგასმით ის იყო აღნიშნული, რომ რუსეთთან საქართველოს მიერთების შემდეგ ქართული ეკლესია არსებითად გაუქმდა. ეროვნული სამღვდელოება გადაგვარების გზაზე დადგა. იმერეთის სამღვდელოება მოითხოვდა: 1. აღდგეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, დაკანონდეს კათალიკოსის არჩევა სამღვდელოებისა ქართველი ხალხის წარმომადგენლებისგან; 2. ჩატარდეს სასულიერო სკოლის ძირეული რეფორმა; 3. მიეცეს სამღვდელოებას სიტყვის, ბეჭდვის და ყრილობის ჩატარების თავისუფლება. პეტიციას ხელს აწერდა 387 კაცი. ორიოდე კვირის შემდეგ იმპერიის ცენტრში ანალოგიური მოთხოვნა გაგზავნა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებამ.

1905 წლიდან ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ არაერთხელ მოითხოვა ყრილობის ჩატარების ნებართვა, მაგრამ ამაოდ. ამ ეპარქიის ეპისკოპოსები და მღვდლები უნებართვოდ შეიკრიბნენ თბილისში. ეგზარქოსმა ურჩთა დასჯა ბრძანა. პოლიციამ სასულიერო სემინარიის სხდომათა დარბაზიდან

ყრილობის დელეგატები ცემა-ტყეპით ქუჩაში გამოდევნა. ორიოდე კვირის შემდეგ, 1905 წლის 10 ივნისს პოლიციის მიერ დარბეული ყრილობის თავმჯდომარე ეგზარქოსთან გამოცხადდა და სამღვდელოების მიერ შედგენილი პეტიცია გადასცა. ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოება მოითხოვდა: 1) ივერიის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნებას; 2) საეკლესიო თანამდებობათა დაკავებაში არჩევითობის პრინციპის დამკვიდრებას; 3) ივერიის ეკლესიისათვის ყველა იმ მამულების დაბრუნებას, რომლებიც XIX საუკუნეში რუსეთის სახელმწიფო ხაზინამ დაისაკუთრა. მოთხოვნას ხელს აწერდა 472 სასულიერო პირი.

ქართველი სამღვდელოების სამივე თხოვნა რუსეთის სინოდში მოხვდა, საიდანაც დასკვნისათვის საქართველოს ეგზარქოსს, ნიკოლოზს გადმოეგზავნა. 1905 წლის 11 ოქტომბერს მასვე გადაეცა ქართველი თავადაზნაურობის, თბილისისა და ქუთაისის ქალაქისთავების, აგრეთვე საეგზარქოსოს ოთხივე ეპისკოპოსის შუამდგომლობები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.

ეგზარქოსმა ნიკოლოზმა, მართალია, არ გაიზიარა ქართველთა არგუმენტაცია, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში მათ თხოვნაზე უარის თქმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია: რაკი საშუალება არ გვაქვს ქართველი სასულიერო და საერო მოღვაწეები დავარწმუნოთ რუსულ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირის სარგებლიანობაში, იძულებული ვართ მათი თხოვნა დავაკმაყოფილოთ, ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია დავუბრუნოთო — ბრძანა. სინოდს არ მოეწონა ეგზარქოსის მიერ დაკავებული პოზიცია. მინისტრთა კომიტეტსაც დაუშვებლად მიაჩნდა ხელიდან გაეშვა რუსიფიკაციის ერთერთი საუკეთესო ინსტიტუტი — ეკლესია. რუსეთის ხელისუფლებამ მაინც შექმნა საკითხის გასარკვევად სპეციალური კომისია, მაგრამ მისცა ფარული მითითება საქმის გაჭიანურების შესახებ.

გავიდა თვეები. ავტოკეფალიის მსურველთა მოთმინების ფიალა აივსო. 1906 წლის 3 თებერვალს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა აღშფოთებული ტონით განუცხადა ეგზარქოსს: კომისიის უმოქმედობა ქართველებს გვაიძულებს, სინდისის, რწმენისა და საეკლესიო მმართველობის თავისუფლება მოვიპოვოთ ბრძოლით, რუსულ ეკლესიასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის გზითო. ლეონიდს მხარი აუბა პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა. მან დიდმპყრობელურ შოვინიზმში დასდო ბრალი რუსეთის მთავრობასა და სინოდს — თქვენ უსამართლოდ გააუქმეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ქართველი ხალხი კი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს. უნდა შეიგნოთ, რომ საქართველოს საკათალიკოსოს აღდგენა სულაც არ გააძლიერებს ქართველთა სეპარატისტულ მისწრაფებას, პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიქით, ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიური უფლების დაბრუნება ქვეყანაში მშვიდობის დამყარებას შეუწყობსო ხელს. ალექსანდრე ცავარელი იმედოვნებდა, რომ რუსეთის საეკლესიო კრება მხარს დაუჭერდა საკითხის სამართლიან გადაწყვეტას; რაკი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების დროს არ დალოდებია მსოფლიო საეკლესიო კრების სანქციას და იგი რუსეთის იმპერატორის ბრძანებით დაკანონდა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაც იმპერატორის ნებით უნდა მოხდესო.

ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ ეპისკოპოსები — ლეონიდი, კირიონი, პეტრე, დავითი, აგრეთვე მღვდლები და არქიმანდრიტები — იოსებ ჩიჯავაძე, ამბროსი ხელაია, ამბროსი ფხაკაძე, თოთიბაძე, თალაკვაძე, ცინცაძე და სხვ. ავტოკეფალისტთა საქმიანობაზე დაკვირვებამ რუსეთის ეკლესიის მესვეურნი და პოლიციის მოხელეები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მათ საქმე ჰქონდათ არა იმდენად საეკლესიო, არამედ ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობასთან, რომლის ძირითადი მიზანი იყო ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი ქართული ავტონომიური სახელმწიფოს აღდგენა. რუსი მოხელენი არაფერს ამბობდნენ იმაზე, რომ შინამმართველობაში სრულიად დამოუკიდებელ ავტონომიურ საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესია შეესაბამებოდა.

როდესაც რუსეთის პირველი რევოლუცია ზენიტს მიუახლოვდა, ჩატარდა საერობო და მუნიციპალურ მოღვაწეთა კრება, რომლის დადგენილებაში, იმპერიის განაპირა ქვეყნების (და ერების) წარმომადგენელთა მოთხოვნით შევიდა მუხლები: 1) როცა დამყარდება სამოქალაქო თავისუფლება და შეიქმნება წესიერი სახალხო წარმომადგენლობითი დაწესებულება საკონსტიტუციო უფლებით, იმპერიის ერებს უნდა მიეცეს ადგილობრივ ავტონომიათა ორგანიზების უფლება; 2) ავტონომიური ოლქების დაარსება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ახალი კანონის გამოცემით ფორმდება; 3) ადგილობრივ ავტონომიათა საკანონმდებლო კრება აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით; 4) ყოველი ავტონომიური ოლქის შინაგანი წყობილების ხასიათს განსაზღვრავს ადგილობრივი საკანონმდებლო კრება, მაგრამ დაცული იქნება საერთო სარუსეთო ძირითადი კანონი და დებულება ავტონომიის უფლებამოსილების შესახებ.

ქართველმა ავტონომისტებმა მოიწონეს ეს დადგენილება, იგი დეცენტრალიზაციისა და სახელმწიფოს ფედერალური მოწყობისაკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნიეს. ერობისა და ქალაქთა წარმომადგენლების მეორე კრებას, რომელიც 1905 წლის ოქტომბერში ჩატარდა, ქართველი ერის წარმომადგენელი არ დასწრებია. ამიტომ შეკრებილთა მისამართით დეპეშები გაგზავნეს ქუთაისის, ბათუმის და თბილისის საქალაქო თვითმმარ-

თველობებმა — ჩვენ რუსეთისაგან გამოყოფას არ ვაპირებთ, მაგრამ ქართველ ხალხს სურს ფართო თვითმმართველობა, პოლიტიკური ავტონომია, რომელიც საკანონმდებლო უფლებით იქნება აღჭურვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნის რეფორმა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფუნქციას შეადგენდა. ამიტომ იყო, რომ ქართველი საზოგადოება დიდი იმედით შეხვდა 17 ოქტომბრის მანიფესტს. სოციალისტ-ფედერალისტებს მანიფესტი მეფის წყალობად არ მიუჩნევიათ და აცხადებდნენ, რომ იგი მოპოვებულია ბრძოლით, ძირითადი რეფორმა რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ბრძოლით მიმდინარეობსო. ფედერალისტური გაზეთი „ცნობის ფურცელი" სარედაქციო სტატიაში იუწყებოდა — რუსეთის ახლანდელი მთავრობა, მისი ბიუროკრატია, ვერ შეძლებს ცხოვრებაში გაატაროს მანიფესტის პრინციპები, მოქალაქეობრივი და ეროვნული თავისუფლების დამკვიდრებისათვის კი საჭიროა ახალი ორგანო — „სახელი მისი დამფუძნებელი კრებაა, რომელიც მოწვეული უნდა იქნეს საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი კენჭისყრის საფუძველზე, „რუსეთის კონსტიტუციის შესამუშავებლად".

მეფის მთავრობა დაპირებათა შესრულებას არ აპირებდა. როგორც სოციალური, ისე ეროვნული პრობლემები გადაუჭრელი რჩებოდა. ამიტომ მხარდაჭერა ჰქონდა ბოლშევიკთა სააჯანყებო მოწოდებებს. 1905 წლის განმავლობაში ცენტრიდან არავინ დახმარებია საქართველოს მშრომელებს, ხოლო როცა ლენინის გეგმის თანახმად აჯანყებები დაიწყო მოსკოვში, პეტერბურგსა და ევროპული რუსეთის სხვა ქალაქებში, თბილისში ჩამოყალიბდა ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც საყოველთაო აჯანყების ხელმძღვანელის ფუნქცია შეასრულა. პერიფერიული აჯანყების ცენტრები ჩამოყალიბდა ხაშურში, ბორჯომში, ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში, სამტრედიასა და სხვა დაბა-ქალაქებში.

1905 წლის 13 დეკემბერს თბილისის მუშათა საყოველთაო გაფიცვა აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყების ცენტრის კონტროლქვეშ აღმოჩნდა რკინიგზის სამმართველო და ტელეგრაფი. წითელმა რაზმებმა დაიკავეს თბილისის უბნები — დიდუბე და ნაძალადევი, ჩამოაყალიბეს მინიატიურული „რესპუბლიკები". თბილისელთა დასახმარებლად დაიძრნენ გლეხთა წითელი რაზმები. მეფისნაცვლის ბრძანებით, 14 დეკემბერს ქალაქ თბილისსა და თბილისის მაზრაში, ასევე ამიერკავკასიის რკინიგზაზე, სამხედრო წესები გამოცხადდა. 17 დეკემბერს მთავრობის ჯარი ნაძალადევში შეიჭრა. „რესპუბლიკას" 400-500 წითელრაზმელი იცავდა. უთანასწორო ბრძოლაში მუშები დამარცხდნენ. 23 დეკემბერს დამსჯელი ესპედიცია თავს დაესხა დიდუბეს. მუშები უშიშრად შეებნენ ჯალათებს, მომხდურთ

ერთხანს უკანაც კი დაახევინეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მთავრობის რაზმმა არტილერიით დაანგრია წითელრაზმელთა ბარიკადები, მუშებმა ორგანიზებული წინააღმდეგობა შეწყვიტეს. აჯანყებული მუშები დამარცხდნენ სხვა ქალაქებშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხთა მოძრაობამ ამჯერადაც მასობრივი, ორგანიზებული ხასიათი მიიღო: თითქმის მთელი გორის მაზრა აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. დუშეთის მაზრის წითელრაზმელებმა გადაკეტეს სამხედრო გზა. მთავრობის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მარცხი განიცადა სიღნაღის, თელავის და ახალციხის მაზრებში. კარგად ორგანიზებული აჯანყებები მოხდა დასავლეთ საქართველოში. რევოლუციურმა გლეხობამ არა მარტო განამტკიცა ადრე დაკავებული პოზიციები, არამედ კიდევ უფრო გააფართოვა. ყველა მაზრაში ხელისუფლება რევოლუციური კომიტეტების ხელში გადავიდა და დამყარდა რევოლუციური წესრიგი. შეიარაღებული გლეხები სათანადოდ უსწორდებოდნენ აქტიურ კონტრრევოლუციონერებსა და რეაქციის მოციქულებს. წითელი რაზმების კონტროლქვეშ აღმოჩნდა ამიერკავკასიის რკინიგზა სამტრედიიდან წიფამდე.

ზემო იმერეთის წითელრაზმელებმა ხარაგაულის მიდამოებში განაიარაღეს პოლკის რამდენიმე ასეული. ყვირილის ხაზინიდან გატაცებული 210 ათასი მანეთი რევოლუციის საქმეს მოახმარეს. გააქტიურდნენ რაჭის წითელრაზმელები, ონში შეიჭრნენ, დაეუფლნენ სამაზრო სამმართველოს, ხაზინას, დაიკავეს ფოსტა-ტელეგრაფის შენობა. ცეცხლს მისცეს ოფიციალური საბუთების გროვა. ქალაქის მოედანზე გაისმოდა შეძახილები — „იწვის ძველი რუსეთის კანონები, ძირს თვითმპყრობელობა!“. გამარჯვებული რაჭველები „ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდნენ 1906 წლის პირველ იანვარს. იმავე ხანს სამაზრო ხელისუფლება დაამხეს ლეჩხუმ-სვანეთის წითელრაზმელებმა.

ამგვარად, 1905 წლის მიწურულს რევოლუციურმა ძალებმა გაანადგურეს სამაზრო სამმართველოები. უახლოესი მომავლის გეგმაში შედიოდა რუსული საგუბერნიო ხელისუფლების დამხობა თბილისსა და ქუთაისში. მაგრამ მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების ჩახშობის შემდეგ, მეფის მთავრობამ დამატებითი შეიარაღებული ძალები გადმოისროლა სამხრეთ კავკასიაში. საგანგებო წესები გამოცხადდა თბილისის, გორის, დუშეთის მაზრებში, რკინიგზაზე. მალე სამხედრო მდგომარეობა გავრცელდა დასავლეთ საქართველოზე. დამსჯელ ექსპედიციებს დაევალა დაუნდობლად გაენადგურებინათ რევოლუციის ყველა კერა, წითელი რაზმებისაგან გამოეგლიჯათ სამაზრო ცენტრები, რკინიგზის სადგურები, ფოსტა-ტელეგრაფი.

1905 წლის 23 დეკემბერს თბილისიდან ჯავშნიანი მატარებლით რამდე-

ნიმე პოლკი დაიძრა. 31 დეკემბერს მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ხაშური. წითელრაზმელებმა წიფის გვირაბი ჩახერგეს. რევოლუციონერთა და კონტრრევოლუციონერთა შორის დიდი ბრძოლა მოხდა სურამის უღელტეხილზე, სადგურ წიფასთან. რუსთა ჯარს გაუჭირდა და მათ დასახმარებლად თბილისიდან რეზერვი გაიგზავნა. დამსჯელმა ექსპედიციამ „მტრისაგან" გაწმინდა რკინიგზის ყველა სადგური ქუთაისამდე. მეფისნაცვალმა ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვმა დასავლეთ საქართველოში მოქმედი დამსჯელი ექსპედიციის უფროსად დანიშნა მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი. გამხეცებულმა გენერალმა თავისი ჯარი რამდენიმე ნაწილად გაყო. დამსჯელი რაზმები შეუსია დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონს. ცეცხლის ალში გაახვია ქალაქები, სოფლები. ძირიანად დაანგრიეს აქტიურ რევოლუციონერთა სახლ-კარი. ოფიცრები მოსახლეობისაგან მოითხოვდნენ ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ჩაბარებას. პოლკოვნიკმა კრილოვმა გურულებს 4 ათასი შაშხანის ჩაბარება მოსთხოვა. მყისვე გაისმა პასუხი — ამდენი იარაღი რომ გვქონოდა, ბევრი თქვენგანი ცოცხალი არ დარჩებოდაო. ასეთი „თავხედი" და ურჩი გლეხები დააპატიმრეს.

კონტრრევოლუციის შეტევის მიუხედავად, ხალხის დიდი ნაწილი დაუმორჩილებლობას აგრძელებდა. თავგამოდებით იცავდა ადრე დაკავებულ ზღუდეებს, არ თმობდა იარაღით მოპოვებულ თვითმმართველობას. წითელი რაზმები კვლავ იბრძოდნენ მთავრობის ჯარისა და პოლიციის წინააღმდეგ. 1906 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რევოლუციის ტალღამ კახეთში 1905 წლის მოვლენებსაც კი გადააჭარბა. მეფის მთავრობის კავკასიურმა ადმინისტრაციამ თელავის, სიღნაღის და თიანეთის მაზრებში საგანგებო წესები გამოაცხადა, „საზოგადოებრივი წესრიგი" ცეცხლითა და მახვილით აღადგინა, ბევრი დააპატიმრა. ნაწილმა რეპრესიებს გაქცევით დააღწია თავი, ტყეში გაიხიზნა. პარტიზანული ბრძოლა გაუმართეს მეფის მოხელეებს და პოლიციელებს. ანგარიშს უსწორებდნენ ჯალათებს, ჯაშუშებს; ცდილობდნენ ადმინისტრაციის რეპრესიებისაგან მოსახლეობის დაცვას.

საერთო დემოკრატიის გათიშვა და მარცხი. დამარცხებული რევოლუციის სამომავლო მნიშვნელობა

უკვე აღინიშნა, რომ რევოლუციის მიზანი ცარიზმის დამხობა, ბატონყმობის ყველა ნაშთის აღმოფხვრა და დემოკრატიული მართვა-გამგეობის სისტემის შექმნა იყო. რევოლუციის ასეთი შედეგი პასუხობდა პროლეტარიატის, გლეხობის, ინტელიგენციის, ბურჟუაზიის უდიდესი ნაწილისა და მემარცხენე პარტიების ინტერესებს, მაგრამ საერთო-დემოკრატიულ მოძრა-

ობაში დისონანსი შეჰქონდათ ბოლშევიკებს. ისინი, მართალია თეორიულად აღიარებდნენ მემარცხენეთა ბლოკის ტაქტიკას, მომენტალური შეთანხმების საჭიროებას მენშევიკებთან, ესერებთან, სოციალისტ-ფედერალისტებთან, არ გამორიცხავდნენ კომპრომისს, მაგრამ პრაქტიკული საქმიანობით პროლეტარიატის საერთო დემოკრატიისაგან გამოთიშვასა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დასუსტების საქმეს ემსახურებოდნენ.

ვლადიმერ ლენინმა, პროლეტარიატის სოციალ-პოლიტიკური შესაძლებლობები რეალურად არსებულზე მეტად შეაფასა — მუშათა კლასი ბურჟუაზიული რევოლუციის ხელმძღვანელ ძალად გამოაცხადა, აღჭურვა „ორიგინალური თეორიით" და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ურთულესი მისია დააკისრა. ბოლშევიკები და მათი მიმდევარი მუშა-ხელმძღვანელები არ მალავდნენ, რომ არ შეჩერდებოდნენ რევოლუციის პირველ ეტაპზე; ცარიზმის დამხობისთანავე დაიწყებდნენ ბრძოლას კაპიტალისტური ექსპლოატაციის მოსასპობად, სოციალისტური წყობილების დამყარებისათვის. რუსეთის მრავალეროვნული იმპერიის ბურჟუაზია დააფრთხო ლენინის მიერ შეთხზულმა პერმანენტული რევოლუციის თეორიამ. ამ კლასის დიდმა ნაწილმა რეალობად აღიქვა ბოლშევიკური გადატრიალების საფრთხე, ჩამოსცილდა საერთო-დემოკრატიულ რევოლუციას და კონსერვატორთა ბანაკში გადავიდა. რევოლუციას გაემიჯნა ლიბერალური ინტელიგენციაც.

საერთო დემოკრატიის გათიშვამ რუსეთის ცარიზმს, კონტრრევოლუციის ძალებს მოქმედება გაუადვილა. მათ, მართალია, გააძლიერეს რეპრესიები, მაგრამ არც დემაგოგიაზე აუღიათ ხელი. მეფეს უარი არ უთქვამს 17 ოქტომბრის მანიფესტზე, სახელმწიფოებრივი წყობილების ლიბერალიზაციის პოლიტიკაზე. მიმდინარეობდა პრაქტიკული საქმიანობა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ჩასატარებლად, თუმცა იგრძნობოდა, რომ ე. წ. სახალხო წარმომადგენლობის უფლება-კომპეტენცია მეტისმეტად მცირე იქნებოდა.

1906 წლის 20 თებერვალს ნიკოლოზ II-მ თითქოსდა ბრძანა სახელმწიფო სათათბიროსთვის საკანონმდებლო უფლებამოსილების მინიჭება, მაგრამ ძირითადი კანონების შედგენა-გადასინჯვის უფლებას მეფე იტოვებდა. სათათბიროს პრეტენზიებისაგან მეფის დაცვის მექანიზმის ფუნქცია ენიჭებოდა ერთსაუკუნოვან სახელმწიფო საბჭოს, რომელსაც თავისებური „ზედა პალატის" როლი უნდა შეესრულებინა. მას უფლება ეძლეოდა უარეყო სათათბიროსგან მომზადებული კანონპროექტი. მთავრობის კონტროლი მთლიანად მეფის, იმპერატორის ხელში რჩებოდა, მინისტრთა კომიტეტი მხოლოდ იმპერატორის წინაშე იქნებოდა ანგარიშვალდებული.

ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ რუსეთის უზენაესი ხელისუფლება ამიერკავკასიელ ხალხებს ამ უფლება-კომპეტენციას შეზღუდულ სახელმწიფო სათათბიროშიც კი არ აძლევდა წარმომადგენელთა გაგზავნის შესაძლებლობას. ამით გამოწვეული უკმაყოფილება იმდენად დიდი იყო, რომ მეფემ საკითხის შესასწავლად გამოყო სპეციალური კომისია დ. სოლსკის თავმჯდომარეობით, მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა კი შეადგინა კავკასიელი ერების წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო კომისიის მუშაობაში. ამისათვის პეტერბურგს ჩავიდნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გ. ჟურული, ნ. ვეიდენბაუმი და სხვ.

ილია ჭავჭავაძე, მართალია, დიდ იმედს არ ამყარებდა სახელმწიფო სათათბიროზე, მაგრამ მიაჩნდა, რომ შექმნილ სიტუაციაში სხვა უკეთესი ლეგალური და ოფიციალური საშუალება თვითმპყრობელობის ანტიხალხური პოლიტიკის მხილებისათვის არ არსებობდა. ამიტომ იკისრა კავკასიელთა დელეგაციის მეთაურობა, კატეგორიულად მოითხოვა სათათბიროში კავკასიელთა წარმომადგენლების დაშვება, დეპუტატთა არჩევნების ჩატარება; თუ ასე არ მოხდა, იცოდეთ, რომ ჩვენი ხალხი ახალ შეურაცხყოფას, დისკრიმინაციას ვერ მოითმენს და მთავრობას ზღვა სისხლის დაღვრა დასჭირდება აღშფოთებული მოსახლეობის დასამორჩილებლადო.

რუსეთის იმპერატორი და მთავრობა დათმობაზე წავიდნენ. კავკასიისთვის კანონი და საარჩევნო წესები ცალკეულად შემუშავდა; შეიქმნა მემამულეთა, გლეხთა და ქალაქელთა კურიები. გადაწყდა ორსაფეხურიანი არჩევნების ჩატარება — თავდაპირველად საარჩევნო უფლების მქონე ხალხი ირჩევდა რწმუნებულებს და ამომრჩევლებს, ისინი კი დეპუტატებს. საქართველოში უნდა აერჩიათ 190 რწმუნებული-ამომრჩეველი (გლეხებს — 51, მემამულეებს 37, ქალაქელებს — 102), რწმუნებულებს კი 8 დეპუტატი.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ბიოკოტი გამოუცხადა სათათბიროსაც და არჩევნებსაც. მენშევიკურმა ორგანიზაციამ (რომელიც დასავლეთევროპული ყაიდის სოციალ-დემოკრატიულ პარტიად ყალიბდებოდა) სხვაგვარი პოზიცია დაიკავა. იგი ვარაუდობდა სათათბიროს ტრიბუნის გამოყენებას დემოკრატიის გაფართოება-გაძლიერებისა და დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის. დაახლოებით ასეთივე ტაქტიკის გატარებას აპირებდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია. 1906 წლის დამდეგს საქართველოში საფუძველი ჩაეყარა კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიას, რომლის ლიდერებსაც შესაძლებლად მიაჩნდათ მშვიდობიანი საპარლამენტო ბრძოლით რუსეთის თვითმპყრობელური წყობის დემოკრატიულ ყაიდაზე გარდაქმნა, რასაც საქართველოში უნდა მოჰყოლოდა ავტონომი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ II

თეკლა ბატონიშვილი

ალექსანდრე ბატონიშვილი

იულონ ბატონიშვილი

ფარნაოზ ბატონიშვილი

სოლომონ დოდაშვილი

რუსეთის კოლონიალური ხელისუფლების თვალსაჩინო წარმომადგენლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალი
ალექსი ერმოლოვი

გრაფი
მიხეილ ვორონცოვი

დიდი მთავარი
მიხეილ რომანოვი

რომანოვების სასახლე ლიკანში

ძველი თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ძველი თბილისი. სიონის უბანი. მხატვარი ლუიჯი პრემაცი

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები XIX საუკუნის II ნახევარში

იაკობ გოგებაშვილი

ილია ჭავჭავაძე

აკაკი წერეთელი

გიორგი ერისთავი

დიმიტრი ყიფიანი



ნიკო ნიკოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



მთაწმინდა



გოლოვინის პროსპექტი. „სობორო“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის ხედი აკლაბრიდან

ვორონცოვის მოედანი

საქართველოს მეგობრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მარი ბროსე

არტურ ლაისტი

ალექსანდრე დიუმა

ოლივერ უორდროპი

მარჯორი უორდროპი

მიხაი ზიჩი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფხაზეთის მთავარ შერვაშიძის ოჯახის წარმომადგენლები

თაკადის ასული მერი შერვაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამეგრელოს სამთავრო ოჯახი

დავით დადიანი

ეკატერინე ჭავჭავაძე

აშილ და სალომე
მიურატები

დადიანების სასახლე ზუგდიდში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის ქარვასლა

გ. იარალოვის ქარხანა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით სარაჯიშვილი

მიტროფანე ლაღიძე

ქართული პროდუქციის რეკლამები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოე ჟორდანია

ნოე რამიშვილი

საქართველოს ხელისუფლების ერთი ჯგუფი.
ცენტრში — ნოე ჟორდანია



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება—ეროვნული პირდაპირი, თანასწორი, საიდუმლოთი, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ—ოთხის პირველიდან ხსენებულ 1919 წ. მარტის 12-ს, ქალაქსა და ოლქორიან წრეებე აღიარებს, რომ ის საკანონმდებლო ხელისუფლების ეროვნული სიმაღლის მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაციონალური 3 ს და 10 წ. თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელების საექსპედიციო კორპუსი თბილისში

დიდი ბრიტანეთის დესანტი ბათუმში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო სარაჯიშვილი

ზაქარია ფალიაშვილი

გრიგოლ რობაქიძე

თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლები.
ცენტრში — ივანე ჯავახიშვილი

საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობა.
ცენტრში — ნოე ჟორდანია და გიორგი მაზნიაშვილი



მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერები თბილისში

ური სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნა, ადგილობრივი პარლამენტის ჩამოყალიბება. ეს ჩანასახოვანი პარტია ბლოკში შევიდა სოციალისტ-ფედერალისტებთან და მასთან ერთად წამოაყენა დეპუტატობის კანდიდატები. მაგრამ ქართული კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია უდღეური აღმოჩნდა. უფრო დღეგრძელი გამოდგა რუსეთის კადეტთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა არჩევნებში.

1906 წლის მარტში გაჩაღდა წინასაარჩევნო ბრძოლა. ქართული პარტიები რუსეთის კადეტთა ადგილობრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ ლესავდნენ მახვილს. „ივერიის" რედაქცია მოუწოდებდა სოციალისტ-ფედერალისტებს და ეროვნულ-დემოკრატებს მხარი დაეჭირათ სოციალ-დემოკრატიისათვის, ამით უზრუნველეყოთ კადეტების გაშავება. მაგრამ სოციალ-დემოკრატები არ უსმენდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა მოწოდებას ერთიანი მოქმედების შესახებ, უარყოფდნენ საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის იდეას და რუსეთის იმპერიის ყველა მშრომელის სოციალური დაცვის მისიას კისრულობდნენ.

1906 წლის მაისში შეიქმნა ეროვნული მიმართულების სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების მომენტალური საარჩევნო ბლოკი. მან მოუწოდა საქართველოს მოსახლეობას, საარჩევნო ცენზის მქონე მოქალაქეებს თვითმპყრობელობასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მხარი დაეჭირათ დემოკრატიისათვის, უზრუნველეყოთ ხალხის გამარჯვება და მრავალეროვნული რუსეთის დაღუპვისაგან გადარჩენა. მათი მოთხოვნები იყო: 1) გაუქმება იმ განსაკუთრებული კანონებისა, რომლითაც ბიუროკრატიამ შეზღუდა 17 ოქტომბრის მანიფესტით ნაბოძები თავისუფლება; 2) პოლიტიკური დამნაშავეების სრული ამნისტია: 3) სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმება; 4) მოწვევა დამფუძნებელი კრებისა, რომელიც უზრუნველყოფს ნამდვილი კონსტიტუციის შემუშავებას და იმპერიის დაჩაგრულ ერებს მიანიჭებს ფართოპოლიტიკურ ავტონომიას. სოციალისტ-დემოკრატები ვიწრო-კლასობრივი პროგრამით გამოვიდნენ, მუშებს და გლეხებს მოუწოდეს ხმა მიეცათ მათი კანდიდატებისათვის — გაეშავებინათ განცხრომის შვილნი – კადეტები, სოციალ-ფედერალისტები, ნაციონალისტები.

ქართველი ხალხის დიდი ნაწილი (გლეხები და მუშები) სოციალ-დემოკრატებს გაჰყვა. მათ საარჩევნო უბნების უმრავლესობაში გაიმარჯვეს. სოციალისტ-ფედერალისტებმა წარმატებას მიაღწიეს შორაპნის, ზუგდიდის, რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში. კიდევ უფრო გამწვავდა საარჩევნო ბრძოლა ბოლო, გადამწყვეტ ეტაპზე. სოციალ-დემოკრატებმა ისევ შეახსენეს ამომრჩეველს, რომ სახელმწიფო სათათბირო ის ძლიერი იარაღი იყო,

რომლის მეშვეობით რევოლუცია თავის ლოგიკურ დასასრულამდე უნდა მივიდეს — ხალხის, დემოკრატიის გამარჯვებამდე. ამის საშიშროებას გრძნობს მეფის მთავრობა და ცდილობს სათათბირო გადაქცეოს უბრალო სალაყბოდ. ასეთ პირობებში კიდევ უფრო აუცილებელია ისეთი დეპუტატების არჩევა, რომელნიც გამოიჩენენ ოპოზიციურ მხნეობას. ხალხსა და სათათბიროს შორის დაამყარებენ მტკიცე კავშირს, რაც „შექმნის აუცილებელ პირობებს დემოკრატიული წყობილების გასამარჯვებლად". მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას შეუძლია იყოს ხალხის ინტერესების ჭეშმარიტი დამცველი. ამიტომ აირჩიეთ მის მიერ წამოყენებული კანდიდატებიო. სოციალ-დემოკრატებმა არჩევნების გადამწყვეტ ეტაპზე შეძლეს კიდეც ამომრჩეველთა ხმების უდიდესი უმრავლესობის მოპოვება და სახელმწიფო სათათბიროში გაიყვანეს პარტიის ხუთი წარმომადგენელი — ნოე ჟორდანია, ივანე გომართელი, არჩილ ჯაფარიძე, ირაკლი წერეთელი, ისიდორე რამიშვილი. სოციალისტ-ფედერალისტებმა სათათბიროში წარგზავნეს იოსებ ბარათაშვილი, კადეტებმა — ალექსანდრე ხახანაშვილი, კონსერვატორებმა — მემამულე პეტრე შერვაშიძე.

არჩევნების დამთავრების შემდეგ სოციალისტურ-ფედერალისტური გაზეთის „შრომის" რედაქცია წერდა: „სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს, ... არჩევნებმა დაამტკიცა, რომ უდიდესი ნაწილი პოლიტიკურად გათვითცნობიერებული ხალხისა საქართველოში ჩვენს მეტოქეს სოციალ-დემოკრატიას ენდობა და არა ჩვენ". სოციალისტ-ფედერალისტები სინანულით აღნიშნავდნენ, რომ ხალხი ჯერ ვერ ერკვეოდა პოლიტიკურ პარტიათა პროგრამების ავ-კარგში: მუშამ და გლეხმა ვერ გაიაზრეს, რომ სოციალისტ-ფედერალისტები ემსახურებოდნენ არა მარტო ხალხის ეკონომიკური ექსპლოატაციისაგან გათავისუფლებას, არამედ იმავდროულად იბრძვიან ცენტრალიზმის წინააღმდეგ, საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს აღდგენისათვისო. „ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესებს სწორედ ჩვენი იდეალი შეეფერება და არა სოციალ-დემოკრატიისა. თუ ხალხმა ჭეშმარიტება გაარკვია, ჩვენს მხარეს გადმოვა".

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს პირველი სხდომა 1906 წლის 27 მაისს ჩატარდა. სოციალისტ-ფედერალისტთა ერთადერთი დეპუტატი ფრაქცია „შრომაში" ჩაწერა. სოციალ-დემოკრატებმა იმპერიული მასშტაბის ცალკე ფრაქცია შექმნეს, რომელშიც წამყვან როლს ქართველი სოციალ-დემოკრატები ასრულებდნენ. 12 ივნისის სხდომაზე ისიდორე რამიშვილმა მეფის მთავრობა ამხილა კოლონიურ პოლიტიკაში, ხალხის ინტერესთა იგნორირებასა და ერების დაპირისპირება-შუღლის გაღვივებაში. სათათბიროს დეპუტატებს აუწყა, რომ დამსჯელი ექსპედიციები აწიოკებდნენ

მოსახლეობას, მთავრობა კი ამას უსირცხვილოდ ხალხს აბრალებდა. ისიდორე რამიშვილმა მოითხოვა მეფისგან შექმნილი მთავრობის გადადგომა და სათათბიროს წინაშე პასუხისმგებელ მინისტრთა კაბინეტის შექმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის კიდევ უფრო მკაცრი კრიტიკით გამოვიდა სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენელი დეპუტატი იოსებ ბარათაშვილი. მან აღნიშნა, რომ მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი და კავკასიის პოლიციის შეფი შირინკინი, ასევე მათი ხელქვეითი მოხელეები საბოტაჟს უწევდნენ 17 ოქტომბრის მანიფესტის შესრულებას. ისიც აუწყა სათათბიროს დეპუტატებს, რომ თბილისის საქალაქო თვითმმართველობის სხდომათა დარბაზში 200 კაცი ამოხოცეს; ალიხანოვ-ავარსკიმ დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქები და სოფლები ცეცხლის ალსა და ნანგრევებში გაახვია. ქართველმა დეპუტატმა სათათბიროს ტრიბუნიდან მოითხოვა დამფუძნებელი კრების მოწვევა, სახელმწიფო წყობილების შეცვლა, მისი გახალხურება.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსა და მინისტრთა კომიტეტს შორის თავიდანვე აღმოცენდა უნდობლობა და ანტაგონიზმი. სათათბიროს დეპუტატთა დიდი ნაწილი მოითხოვდა უღირსი მთავრობის გადადგომას, მაგრამ ამაოდ. განსაკუთრებით გამწვავდა წინააღმდეგობა რუსეთის „პარლამენტსა" და მთავრობას შორის აგრარული საკითხის გადაწყვეტის ვარიანტებთან დაკავშირებით. საბოლოოდ ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ნიკოლოზ II-მ 1906 წლის 8 ივლისს პირველი სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა. სათათბიროს (რომელმაც მხოლოდ 72 დღე იარსება) ბრალად დასდეს სწორი გზიდან გადახვევა, არსებული კანონებისა და ხელმწიფის მოხელეთა კრიტიკა. იმპერატორი ბრძანებდა, რომ „უკანონო ქმედებისა და ურჩობის გამო" შლიდა სათათბიროს და უახლოეს მომავალში მოიწვევდა ახალი შემადგენლობის სათათბიროს.

დათხოვნილი სათათბიროს წევრები ვიბორგში (ფინეთი) შეიკრიბნენ და იქ გამოაქვეყნეს მიმართვა „ხალხისადმი ხალხის წარმომადგენლებისაგან". ვიბორგის მანიფესტში ნათქვამი იყო, რომ სათათბირო ცდილობდა ხალხის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას, გლეხობისათვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემას და სწორედ ამისათვის დაისაჯა. მეფე დაჰპირდა ხალხს, რომ 8 თვის შემდეგ მოიწვევდა ახალ სათათბიროს. გამოდის, რომ მანამდე ხალხმა უნდა ითმინოს მთავრობისა და მის მოხელეთა უკანონობა და ძალადობაო. „მოქალაქენო! მტკიცედ დადექით ხალხის წარმომადგენლების გაქელილი უფლებისა და სახელმწიფო სათათბიროს დასაცავად. არც ერთი დღე არ უნდა დარჩეს რუსეთი სახალხო წარმომადგენლობის გარეშე. თქვენ გაქვთ საშუალება მიაღწიოთ ამას... სახალხო წარმომად-

გენლობის გარეშე არც ერთი კაპიკი არ მისცეთ ხაზინას, არც ერთი ჯარისკაცი — არმიას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიბორგის მანიფესტს ხელი მოაწერა 181-მა კაცმა (ყოფილმა დეპუტატმა) მათ შორის იყვნენ ქართველი დეპუტატები: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ივანე გომართელი, სარჩილ ჯაფარიძე, ირაკლი წერეთელი, იოსებ ბარათაშვილი. პოლიციამ თითქმის ყველა პროტესტანტი დააპატიმრა. სასამართლო პროცესზე იოსებ ბარათაშვილმა განაცხადა, რომ ვიბორგის მანიფესტზე ხელის მოწერა დანაშაული არ იყო. „მე მივდიოარ აქედან როგორც ბრალდებული, მაგრამ დადგება დრო, როცა ხალხი გახდება ბრალმდებელი და გაასამართლებს დღევანდელ მოძალადეებს“ — განაცხადა მან.

1906 წლის 7 აპრილს ილია ჭავჭავაძე რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. მას უფლება ჰქონდა და ხშირად ესწრებოდა სახელმწიფო სათათბიროს სხდომასაც. აქტიურად მონაწილეობდა ავტონომისტ ფედერალისტთა ფრაქციის საქმიანობაში. იმავე ფრაქციასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს ზურაბ ავალიშვილს, ვასილ გელოვანს და სხვებს. ერობის ცნობილი მკვლევრის, გიორგი თუმანიშვილის აზრით, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს შექმნა და ოპოზიციური საქმიანობა ჭკუას ვერ ასწავლიდა მთავრობის კავკასიურ ბიუროკრატიას. ამიტომ იგი წინადადებას იძლეოდა მეფისნაცვალთან შექმნილიყო წარმომადგენლობითი ორგანო — კავკასიის საოლქო საკრებულო, რომელიც უნდა აღჭურვილიყო საინიციატივო, საკონტროლო და კანონპროექტების განხილვა-შეფასების უფლებით. ე. ი. ეს ორგანო შეასრულებდა სახელმწიფო სათათბიროს ფილიალის ფუნქციას. ეს წინადადება დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

მეორე სათათბიროს დაკომპლექტება-მოწვევისათვის საარჩევნო კანონი თითქოს არ შეცვლილა, მაგრამ სენატის „განმარტებამ“ ამომრჩეველთა რიცხვი საგრძნობლად შეამცირა: შეიზღუდა სიტყვის თავისუფლება, აგიტაცია-პროპაგანდის წარმოების უფლება. უზენაესი ბრძანების თანახმად წინასაარჩევნო მზადება 1906 წლის მიწურულს დაიწყო. პოლონეთი და საქართველო ბრძანებაში ნახსენები არ ყოფილა. ეს აადვილებდა საარჩევნო პროცესის კონტროლს, ხელს უშლიდა სათათბიროში ნაციონალისტების და მემარცხენეების წარგზავნას. სოციალისტ-ფედერალისტები კვლავ მემარცხენე ბლოკის ტაქტიკის ერთგული რჩებოდნენ. ავტორი წერილების სერიისა — „მომავალი არჩევნები და ჩვენი ტაქტიკა“ (გაზეთი „მეგობარი“, №11), მართალია, პარტიული ინტერესებისათვის დამოუკიდებელ საქმიანობასა და წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდას

უფრო სასარგებლოდ მიიჩნევდა, მაგრამ, მისი აზრით, ვიწროპარტიულ ინტერესებზე უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „განმათავისუფლებელ მოძრაობის ინტერესებს, რომელმაც კონკრეტული პირობების შესაბამისად შეიძლება მოითხოვოს ერთგვარი ხასიათის პარტიათა ბლოკი“. ვინმე „იმერელი“ ამომრჩეველი საჭიროდ თვლიდა ქართულ დემოკრატიულ და კონსტიტუციურ-დემოკრატიულ გაერთიანებებთან ბლოკის შექმნას. სოციალისტ-ფედერალისტებმა ბლოკში სოციალ-დემოკრატებიც მიიწვიეს, მაგრამ მათ (მენშევიკებმა) ცალკე ყოფნა ამჯობინეს საკუთარი პარტიის „სახელისა და დიდებისათვის“, სოციალ-დემოკრატიის „ძლევამოსილების“ დასამტკიცებლად.

სოციალ-დემოკრატიამ მიზანს მიაღწია — ყველა საარჩევნო ოლქში გაიმარჯვა. ცენტრიდან დაშვებული კვოტა მარტო მან შეავსო და სათათბიროში გაიყვანა 8 დეპუტატი (ი. წერეთელი, ბიკენტი ლომთათიძე, გერასიმე მახარაძე, არშაკ ზურაბოვი, სევერიან ჯუღელი, არჩილ ჯაფარიძე, ნიკოლოზ კაციაშვილი, კონსტანტინე კანდელაკი). ქართველი დეპუტატების ინიციატივით მეორე სათათბიროში ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომელშიც შევიდა 36 მენშევიკი და 18 ბოლშევიკი. ფრაქციის საქმიანობაში წამყვან როლს ასრულებდა თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი.

სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ 1907 წლის 2 აპრილს სათათბიროს წინაშე დასვა კავკასიაში რეფორმების გატარების საკითხი: მოითხოვა ამ მხარეში საერობო დაწესებულებების შექმნა; მეფისნაცვლის საბჭოში ხალხის წარმომადგენლების შეყვანა, სამაზრო მმართველობის გარდაქმნა; მართლმსაჯულების სფეროში ადგილობრივი კადრების დაშვება, სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლის შემოღება, რუსეთის გუბერნიებიდან კავკასიაში რუსი კოლონისტების გადმოსახლების შეწყვეტა, დროებითვალდებულებისა და ხიზნობის ინსტიტუტთა გაუქმება, უმიწაწყლო გლეხებისათვის მიწის ნაკვეთების უფასოდ დარიგება. სოციალ-დემოკრატები განსაკუთრებული თავგამოდებით მოითხოვდნენ აგრარული რეფორმის სამართლიანობის საფუძველზე გატარებას. ირაკლი წერეთელმა მთავრობა დაადანაშაულა, რომ ზოგიერთი მემამულე 100 ათას ჰექტარ მიწას ფლობდა, ხოლო ბევრ გლეხს ნახევარი ჰექტარიც კი არ გააჩნდა. უნდა დაინგრეს არსებული სახელმწიფო, არ გვინდა მეფე და მისი ბიუროკრატიული აპარატი, ეპოქის მოთხოვნილებაა დემოკრატიულ და მაღალკულტურულ საფუძველზე დამყარებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების შექმნა. ამ მიზანს უნდა შეეწიროსო მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა და ბატონყმობის სხვა ნაშთები.

დროებითვალდებულების ინსტიტუტის ლიკვიდაციის კანონპროექტი, რომელიც სოციალ-დემოკრატიამ შეიტანა სახელმწიფო სათათბიროში, ამ პარტიის სოციალ-პოლიტიკური პათოსი სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნული მიმართულების სხვა ჯგუფებმა, მართალია მოიწონეს, მაგრამ ქართველი საზოგადოების უმრავლესობა უკმაყოფილებას იმის გამო გამოთქვამდა, რომ სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს ეროვნული საკითხი არც კი უხსენებიათ, საქართველოს პოლიტიკური ავტონომია არ მოუთხოვიათ.

და მაინც, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის და სხვა მემარცხენეების აშკარა, შემტევმა ანტისამთავრობო პოზიციამ მოთმინებიდან გამოიყვანა მეფე და მისი მინისტრები. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს კატეგორიულად მოსთხოვეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დაშლა. საპასუხო მოქმედებამ დაიგვიანა. ნიკოლოზ II-მ საბაბი იპოვა და 1907 წლის 3 ივნისს ბრძანება გასცა სახელმწიფო სათათბიროს დაშლა-გარეკვის შესახებ. ეს ფაქტი შეფასდა სახელმწიფო გადატრიალების ტოლფას მოვლენად, გამოცხადდა პირველი რევოლუციის დამარცხების თარიღად. მთავრობის მოხელეები და სხვა კონტრრევოლუციური ძალები ზეიმობდნენ, დამსჯელი ოპერაციები ზენიტში აიყვანეს.

პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მარცხით დამთავრდა. ამის ძირითადი მიზეზი პროგრესული ძალების გათიშულობა იყო. ბოლშევიკური პარტიის სოციალისტურმა თეორიამ და ექსტრემისტულმა საქმიანობამ დააფრთხო ბურჟუაზია, ლიბერალური ინტელიგენცია. ანტიცარისტულ ძალთა კონსენსუსი სახელმწიფო სათათბიროშიც არ მოხერხდა. მთავრობამ შეძლო საერთო დემოკრატიის გათიშვა, რევოლუციის ჩახშობა, სახელმწიფოში „წესრიგის" აღდგენა. მაგრამ რევოლუციას უკვალოდ არ ჩაუვლია, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დიდი გამოცდილება შეიძინა. მისმა მონაწილეებმა ბევრი რამ ისწავლეს და წარმატებით გამოიყენეს მეორე რევოლუციის პერიოდში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი IX

საქართველო 1907-1913 წლებში

რეპრესიები დამარცხებული რევოლუციის ავანგარდული ძალების წინააღმდეგ

მეორე სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ შექმნა სპეციალური დამსჯელი აპარატი, რომელიც განსაკუთრებული სიმკაცრით მოქმედებდა იმპერიის განაპირა რეგიონებში არარუს ეროვნებათა წინააღმდეგ. დამსჯელი რაზმები და სამხედრო-საველე სასამართლოები „საზოგადოებრივი წესრიგის" დამყარების ფუნქციას ასრულებდნენ საქართველოს ყველა მაზრაში. რევოლუციის ხელმძღვანელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, სხვები საპყრობილეში ჩასვეს, 3704 კაცი ადმინისტრაციული წესით ციმბირს გადაასახლეს.

მეფის მთავრობის მოხელეები სოციალურ სფეროზეც ავრცელებდნენ „დაჰყავ და იბატონეს" დიდმპყრობელურ დოქტრინას; მოუწოდებდნენ ქართველ თავადაზნაურობას აქტიური მონაწილეობა მიეღო ურჩი გლეხების დასჯაში. ურჩევდნენ ბურჟუაზიას ლოკაუტი გამოეცხადებინა რევოლუციურად შემართული მუშებისათვის. ზედაფენის ერთი ნაწილი მართლაც შურისძიების გზაზე დადგა, გააძლიერა ქვედაფენების ჩაგვრა-შევიწროება. მთავრობის ბიუროკრატიამ რევოლუციის ორ-სამ წელიწადში გაძლიერებულ მუშა-მოსამსახურეთა პროფესიულ კავშირებს შეუტია. თუ 1907 წელს თბილისის 28 პროფესიულ გაერთიანებაში 13 ათასი მუშა ირიცხებოდა, ერთი წლის შემდეგ, პროფკავშირებისა და მათ წევრთა რიცხვი განახევრდა. პროლეტარიატი უბრძოლველად როდი თმობდა პოზიციებს, აწყობდა საპროტესტო გაფიცვებს, მოითხოვდა რევოლუციის დროს მოპოვებული შეღავათების დაბრუნებას, რეპრესიების შეწყვეტას.

სოციალურმა ანტაგონიზმმა ახალი სახე მიიღო სოფლებში; გლეხთა წითელ რაზმებს მემამულეებმა შავი რაზმები დაუპირისპირეს. მათ შორის შეტაკებები 1907 წლის მეორე ნახევარში და მომდევნო წელსაც ხდებოდა.

1907 წლის შემდეგ იდეოლოგიური ბრძოლის სფეროში სიტუაცია შეიცვალა. მარქსიზმი მძაფრი კრიტიკის ქვეშ მოექცა. ამ მოძღვრების უკი-

დურესობათა და ბოლშევიკური ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გაჩაღეს არა მარტო ეროვნულმა პარტიებმა, არამედ სოციალ-დემოკრატიის ზომიერმა რეფორმისტულმა მიმართულებამაც. ეს უკანასკნელი თავის ამოცანად აცხადებდა სოციალისტური თეორიის სრულყოფას, გმობდა სისხლიან აჯანყებას და ასაბუთებდა მშვიდობიანი რევოლუციის უპირატესობას.

მარქსიზმ-ლენინიზმისა და ყალბი „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის" წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ საქართველოს ეროვნული მიმართულების პარტიები. არჩილ ჯორჯაძემ დაუსაბუთებლად და მიუღებლად გამოაცხადა საზოგადოების განვითარების მარქსისტული დოქტრინა. ის არ ეთანხმებოდა ისტორიული მატერიალიზმის დებულებას იმის შესახებ, რომ საზოგადოების განვითარების ობიექტური პროცესი ექვემდებარება აუცილებლობის კანონს — პირველყოფილ გვაროვნულ საზოგადოებას ცვლის მონობა და ფეოდალიზმი. ფეოდალიზმს აუცილებლად მოსდევს კაპიტალიზმი, ხოლო კაპიტალიზმს სოციალიზმი. ფეტიშიზმი, აუცილებლობის ეს თეორია, არჩილ ჯორჯაძის აზრით, ზღუდავდა ადამიანის (პიროვნების) მიზანმიმართულ მოქმედებას, მის თავისუფლებას. ადამიანის კეთილშობილური მიზნების რეალიზაცია, ეროვნული, სოციალური და სხვა პრობლემის თავისუფალი გადაწყვეტა, არჩილ ჯორჯაძის განცხადებით, შეუძლებელი გახდებოდა ისტორიული მატერიალიზმის დოგმატურ დებულებათა გადასინჯვის, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური, ადამიანისაგან დამოუკიდებელი პროცესის მარქსისტული თეორიის უარყოფის გარეშე. არჩილ ჯორჯაძეს (და ბევრ სხვასაც) ეჭვი ეპარებოდა სოციალ-დემოკრატიის კეთილშობილურ ზრახვებში. მისი აზრით, მარქსისტი ბოლშევიკები ისეთ წყობას აცხადებდნენ აუცილებლობად, რომელიც მშრომელ ხალხს და ერებს თავისუფლებას კი არ მოუტანდა, არამედ სხვა სახის, კიდევ უფრო მკაცრი მონობისა და ექსპლოატაციის ქვეშ მოაქცევდა.

მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალიზმი რომ უტოპია იყო, ამას ცხადყოფდა იმ დროს შექმნილი რეალობაც: რევოლუციის ჩახშობის შემდეგ რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმი ახალი ძალით ამოქმედდა. რუსმა კოლონიზატორებმა გააძლიერეს შეტევა იმპერიის განაპირა ქვეყნებზე. სპეციალურად შექმნილმა საგადასახლებო (საემიგრაციო) სამმართველომ ამიერკავკასიაში „აღმოაჩინა" 1,5 მლნ ჰექტარი „თავისუფალი მიწა", რომელზეც 1912 წლამდე შეიქმნა 100-მდე ახალი რუსული დასახლება. გაზეთ „იმერეთის" კორესპონდენტი 1913 წელს წერდა, რომ უცხოელები სამ რეგიონს — თბილისის, ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრებს

ეტანებიანო. „უკანა მხარის სოფლებს ავდარი დაუდგათ. მათ ზვავივით მოაწყდა რასკოლნიკთა ტალღა. თბილის-სიღნაღის გზატკეცილის მარჯვენა მხარე, სოფ. მალხაზოვკიდან დაწყებული მაღარომდე, რუსეთის გუბერნიას მოაგონებს კაცს“.

რუსეთის ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას იმ დროს ვლადიმერ ლენინიც ამხელდა. „გადასახლების ფონდი — წერდა იგი — იქმნება ადგილობრივ მკვიდრთა უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევის გზით, ხოლო რუსეთიდან გადასახლება ხდება განაპირა მხარეთა რუსიფიკაციის... ნაციონალისტური პრინციპისათვის“.

აგრარული საკითხი — აზრთა ბრძოლა
კანონპროექტის შინაარსთან დაკავშირებით

პირველმა რევოლუციამ, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა გლეხობა იყო, ცარიზმს და მისი ბიუროკრატიული აპარატის მოხელეებს ჭკუა-გონება რამდენადმე აუმაღლა. მართალია, რევოლუციურად შემართული დაბალი ფენა დათრგუნეს, მაგრამ რევოლუციის აჩრდილი თან სდევდათ და მისი გამეორების შიშით შეპყრობილნი, შედარებით მეტ ყურადღებას აქცევდნენ საადგილმამულო ურთიერთობის მოგვარებას, ცდილობდნენ ბატონყმობის ნაშთების უმტკივნეულოდ ლიკვიდაციას.

აგრარული რეფორმის ახალი ვარიანტის მომზადებას სათავეში ჩაუდგა მეფის მთავრობის პირველი მინისტრი სტოლიპინი. მისი ხელმძღვანელობით შედგენილი საიმპერიო პროექტი, მართალია, იმპერატორმა დაამტკიცა, მაგრამ იგი არ შეხებია სამხრეთ კავკასიას. ამ მხარის ადმინისტრაციამ გაბედა თვითმოქმედება, გამოიჩინა საკანონმდებლო ინიციატივა და სცადა ადგილობრივ გლეხთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მათი მოთვინიერება. ჯერ კიდევ 1905 წლის ნოემბერში მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა იმპერატორს წარუდგინა კანონპროექტი დროებითვალდებულების ინსტიტუტის მოსპობის და ხიზანი გლეხების მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანის შესახებ. იმ დროს, რევოლუციის აღმავლობის პირობებში, მეფისნაცვალს მიზანშეწონილად მიაჩნდა დროებითვალდებულ გლეხებს და ხიზნებს მიწაზე საკუთრების უფლება მიეღოთ უფასოდ. მემამულეებისათვის საზღაური უნდა მიეცა სახელმწიფო ხაზინას, რადგან გლეხთა ხარჯზე მემამულეებისათვის მიწის ფასის მიცემა უსამართლობად აღიქმებოდა და ამგვარი რეფორმა ხელს არ შეუწყობდა რევოლუციური მასის დაწყნარებას. ცენტრში ეს კანონპროექტი დაიწუნეს. შეუძლებლად ცნეს აგრარული რეფორმის გატარება ხაზინის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, ვორონცოვ-დაშკოვი კარგა ხანს თავის აზრზე რჩებოდა. მხოლოდ რე-

ვოლუციის ჩახშობის შემდეგ, მეფისნაცვალს ნაწილობრივ მოეხსნა მიწის სინდრომი და პეტერბურგიდან მიღებულ მითითებათა შესაბამისად დაიწყო კანონპროექტის გადამუშავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისნაცვლის კანცელარიამ გადაამუშავა ვორონცოვ-დაშკოვის პირველი პროექტი. უარყვეს დამოკიდებულ გლეხთა მესაკუთრეთა ფენაში ხაზინის ხარჯზე გადაყვანის სამართლიანი პრინციპი. მიზომილი ნაკვეთები გლეხებს თავიანთი ხარჯით უნდა გამოესყიდათ. მეფისნაცვლის სახელით შედგენილი მეორე კანონპროექტს გაეცნო ქართველი თავადაზნაურობა და 1910 წელს მასზე ვრცელი შენიშვნები წარადგინა. ოპონენტები აცხადებდნენ: თავადაზნაურობა მიწებს უფასოდ ვერ დათმობს, ხოლო გლეხებს არ გააჩნიათ თანხა მიზომილი ნაკვეთების გამოსყიდვისათვის. ამიტომ აგრარული რეფორმის გატარების ყველა ხარჯი სახელმწიფო ხაზინამ უნდა იკისროსო. არადა, სხვანაირად არ მოხერხდებოდა დროებითვალდებულების ინსტიტუტის ლიკვიდაცია, უშუალო მწარმოებელი მასის მიწის მესაკუთრედ გადაქცევა. მთავრობამ კარგად იცის, სოციალისტების პროპაგანდა მიწების ძალდატანებითი ჩამორთმევის, კონფისკაციის შესახებ, იმიტომ სარგებლობს თითქმის საყოველთაო მხარდაჭერით, რომ გლეხობას არ გააჩნია სახსრები მიზომილი ნაკვეთების გამოსყიდვის და სხვა მიწების ყიდვისათვის. ძირითადად მთავრობის მოვალეობაა საადგილმამულო ურთიერთობის დარეგულირება, დაძაბული სიტუაციის განმუხტვა, საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა და ამისათვის მან ფინანსური სახსრების გაღება არ უნდა დაიზაროსო.

მეფისნაცვალმა ქართველი თავადაზნაურობის მხოლოდ ორიოდე შენიშვნა და წინადადება გაითვალისწინა და დასრულებული კანონპროექტი სახელმწიფო სათათბიროს გადასცა 1911 წლის სექტემბერში. თუ 1905-1906 წლებში ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვი გლეხობისაგან მიწის გამოსასყიდი ფასის მოთხოვნას უსამართლობად და საშიშროებად მიიჩნევდა სახელმწიფოსათვის, ახალ პროექტში იგი ცდილობდა მიწის გამოსასყიდი ფასის გლეხებისაგან გადახდის კანონიერება და აუცილებლობა დაემტკიცებინა. მისი აზრით, სამხრეთ კავკასიის ვალდებული გლეხების უსასყიდლოდ გადაყვანა მესაკუთრეთა კატეგორიაში და მემამულეების ხაზინის ხარჯზე დაკმაყოფილება, შექმნიდა საშიშ პრეცედენტს, წყალს დაასხამდა სოციალ-დემოკრატების წისქვილზე. გაუადვილებდა მათ მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაციის რევოლუციური პროგრამის რეალიზაციას.

1912 წლის 9 ივნისს ვორონცოვ-დაშკოვის კანონპროექტი მოიწონა სახელმწიფო სამინისტრომ, მალე ამის შემდეგ — სახელმწიფო საბჭომ, 1912 წლის 20 დეკემბერს კი დაამტკიცა იმპერატორმა. კანონი შეიცავდა 60-

იანი წლების აგრარული რეფორმის დროს პირადად გათავისუფლებული გლეხებისათვის მიზომილი ნაკვეთების („ნადელების“) გამოსყიდვის ფასებს, რომელიც 32 მუხლისაგან შედგებოდა. ცვლილება თითქმის მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ მიწის გასხვისება და გამოსყიდვა საკალდებულო გახდა ორივე მხარისათვის. გლეხობა, მართალია თავისუფლდებოდა მემამულეებისათვის მისაცემი ღალა-კულუხისაგან (მიწის რენტა), მაგრამ ხდებოდა სახელმწიფოს მოვალე; გამოსასყიდი სესხისა და მისი პროცენტის დასაფარად გლეხს ყოველწლიურად სახელმწიფო ხაზინაში უნდა შეეტანა გამოსასყიდ გადასახადთა ნაწილი, რაც ძველ ვალდებულებებზე ნაკლებ მძიმედ როდი აწვებოდა მისი ოჯახის ბიუჯეტს.

1912 წლის 20 დეკემბრის კანონი ხიზნებს არ შეხებია. ხიზანთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ კანონპროექტები სახელმწიფო სათათბიროში წარადგინეს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ და კავკასიის ადმინისტრაციამ. პირველი მათგანი მემამულეთა მიწებით მოსარგებლე ხიზნებს მესაკუთრე გლეხებად აცხადებდა გამოსასყიდი ფასის გადახდის გარეშე, ხოლო მეორე, ამ მიწების ხიზნების მიერ მთავრობისაგან გახსნილი კრედიტის გამოყენებით გამოსყიდვას აკანონებდა. პირველმა კანონპროექტმა ქართველი თავადაზნაურობის პროტესტი გამოიწვია, მეორემ კი ხიზნების დიდი უკმაყოფილება.

მემამულეები აცხადებდნენ, რომ ხიზნური ადათ-წესები არ ზღუდავდა მათ საკუთრებას მიწაზე, ახლა კი ამ უფლებას გვართმევენო. ახალი პროექტი თუ კანონად იქცა, ხელიდან გამოგვაცლის მიწის უდიდეს ნაწილს, ბევრ ჩვენგანს უადგილმამულო პროლეტარად გადააქცევსო. ხიზნობის არსისა და ხიზანთა მიწათმოწყობის საკითხმა ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სოციალური და ეროვნული მიმდინარეობის მოღვაწენი. სოციალ-დემოკრატები ქართველ და გარედან მოსულ ხიზნებს ერთ ტაფაში აქცევდნენ, მემამულეებისა და მათ ხიზანთა ურთიერთობას სოციალური საკითხის ნაწილად აცხადებდნენ და თავს იქებდნენ სახელმწიფო სათათბიროში რადიკალური კანონპროექტის წარდგენით. არჩილ ჯორჯაძემ და მისმა თანამოაზრეებმა, იმის გამო, რომ ხიზანთა სამ მეოთხედს ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსული ოსები შეადგენდნენ, ხიზანთა საკითხი ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ეროვნული პრობლემების ნაწილად აღიქვეს და ქართული მიწა-წყლის ქართველთა საკუთრებაში დატოვება მოითხოვეს. მათი აზრით რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ საქართველოს მიწის ფონდზე ქართველთა უფლება შეიზღუდა და მის ხარჯზე სხვა ერთა წარმომადგენლების, მათ შორის ოსების მიწათმფლობე-

ლობა გაფართოვდა, რამაც გააძლიერა ერთაშორის შუღლი და მტრობა. გამოთქმული შენიშვნების ნაწილი კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ გაითვალისწინა და ვორონცოვ-დაშკოვმა სახელმწიფო სათათბიროში ხიზნობის ინსტიტუტის ლიკვიდაციის კანონპროექტის ახალი ვარიანტი გაგზავნა. მაგრამ მსოფლიო ომის დაწყებამ მის განხილვა-დამტკიცებას ხელი შეუშალა.

სახელმწიფო გლეხების უფლებრივ-ეკონომიკური მდგომარეობა სხვა დამოკიდებულ გლეხებთან შედარებით რამდენადმე უკეთესი იყო, მაგრამ ამ კატეგორიის უშუალო მწარმოებელი მასაც იბრძოდა თავის სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების დასაკუთრებისათვის, რაშიც ეროვნული ინტელიგენციის მხარდაჭერას პოულობდა. ქართველ პატრიოტთა გულისწყრომას იწვევდა ის ფაქტი, რომ რუსეთის სახელმწიფო ხაზინამ ხელში ჩაიგდო საქართველოს მიწის ფონდის ნახევარზე მეტი და მასზე მცხოვრები გლეხები თავის ეკონომიკურ დამოკიდებულებაში მოაქცია. ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფო გლეხობის მესაკუთრედ გადაქცევას, რადგან ამის შედეგი იქნებოდა არა მარტო უშუალო მწარმოებლის უფლებრივ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ ქართულ მიწაზე მეტროპოლიის მთავრობის უფლებამოსილების შეზღუდვაც.

ქართველი ხალხის უკმაყოფილება, ინტელიგენციის ოპოზიციური განწყობა, იმპერიის ხელისუფლებას და მის კავკასიურ ადმინისტრაციას აიძულებდა სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობისათვისაც ეზრუნა, ან ამის ილუზია მაინც შეექმნა. სათანადო კანონპროექტები შედგა პირველი რევოლუციის დროს, 1908 წელს და 1912 წელსაც. მაგრამ სახელმწიფო სათათბიროსა და რუსეთის ბიუროკრატიის დიდი ნაწილი წინ აღუდგა ამ პროექტების დამტკიცებას. მათ „დაასაბუთეს", რომ მიზანშეწონილი იყო სახელმწიფო გლეხისათვის გამოყოფილ მიწაზე სახელმწიფო ხაზინას შეენარჩუნებინა უზენაესი მესაკუთრის უფლება, რათა კვლავ ჰქონოდა გლეხთა მასის დაკაბალების საშუალება, მიწის რენტის თანდათან მზარდი ოდენობით აღების შესაძლებლობა.

ამგვარად, რუსეთის ხელისუფლებამ უარი თქვა, კოლონიური საქართველოს გლეხობა უფლებრივად გაეთანაბრებინა მეტროპოლიის უშუალო მწარმოებელი მასისათვის. ჩვენს ქვეყანაში 1917 წლამდე არსებობდა ნახევრად ბატონყმური ინსტიტუტები. მეფის მთავრობა არ აპირებდა არსებითად შეეზღუდა სახელმწიფო ხაზინისა და მსხვილი მემამულეების თითქმის მონოპოლიური საკუთრება მიწაზეო. ერთი სიტყვით, მეტროპოლიის ხელისუფლებამ ბოლომდე არ მიიყვანა აგრარული რეფორმა, არ დაამყარა მემამულეებსა და გლეხთა შორის სოციალური ზავი, რადგან კარგად იცო-

და, რომ სოციალური წინააღმდეგობანი ხელს შეუშლიდა ანტირუსული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალთა კოორდინაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ხელისუფლების ანტიხალხურ პოლიტიკას მკაცრად აკრიტიკებდა ქართველი ინტელიგენცია. მეფისნაცვლის პოზიციას ქართველი თავადაზნაურობაც იწუნებდა. ეროვნული მიმართულების პარტიებს, მაღალ წოდებას და ბურჟუაზიას იდეალად ისეთი საქართველო მიაჩნდათ, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობა არ იქნებოდა. თავადაზნაურობამ თითქოს კიდეც მონახა საამისო საშუალება, სამოქმედო პროგრამა. 1907 წელს ქართლ-კახეთის (თბილისის გუბერნიის) თავადაზნაურობამ, მისმა წოდებრივმა თვითმმართველობამ ჩამოაყალიბა საადგილმამულო (აგრარული) კომისია, რომელსაც დააკისრა საშუამავლო ფუნქცია მემამულეებსა და გლეხებს შორის. კომისიაში შედიოდნენ მ. მაჩაბელი, კ. აფხაზი, ე. იოსელიანი, ალ. ყიფშიძე და სხვა. მათ შეადგინეს მოსახლეობისადმი მიმართვის ტექსტი; არწმუნებდნენ გლეხებს, რომ „მამულის (მიწის) შეძენა აუცილებელია და შესაძლებელი მხოლოდ ყიდვით“.

საადგილმამულო კომისიის საქმიანობამ დადებითი შედეგი გამოიღო. მისი შუამავლობითა და დახმარებით ქართლ-კახეთის 11 ათასამდე გლეხმა 1907-1913 წლებში შეისყიდა 47 ათასი ჰექტარი მიწა, რაშიც გაიღო 2,2 მილიონი მანეთი. კომისიის მუშაობას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა რუსეთის სახელმწიფო საგლეხო ბანკის კავკასიური განყოფილება, რომელიც დიდი რაოდენობით იძენდა თავადაზნაურთაგან გაყიდულ მამულებს და ძირითადად რუს კოლონისტებზე ყიდდა. სახელმწიფო ბანკის ამგვარი აგრესიული ფინანსური პოლიტიკისათვის წინააღმდეგობის გაწევა არ იყო ადვილი საქმე.

„ამოძრავებული“ ქართული მიწა-წყლის მიმართულება ძალიან აფიქრებდა ქართველ პატრიოტებს. არჩილ ჯორჯაძე გულისწყრომით წერდა, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს ეს საკითხი არ ადარდებდა. სოციალ-დემოკრატებისათვის, როგორც ჩანს, სულერთია ვინ დაეპატრონება საქართველოს მიწა-წყალს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათაც უნდა შეიგნონ, რომ დიდ შეცდომას უშვებენო. „მიუხედავად ჩვენი მემამულის და გლეხის წინააღმდეგობისა, ქართველი ხალხის საერთო კეთილდღეობა მოითხოვს, რომ მამული ქართველს უნდა დარჩეს, გლეხია იგი თუ თავადი“. არჩილ ჯორჯაძემ მხარი დაუჭირა ეროვნული ბანკის დაარსების იდეას. ასეთი საკრედიტო დაწესებულება, მისი აზრით, მოახერხებდა მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესის იმგვარად დარეგულირებას, რომ გაუადვილებდა ქართველებს გამარჯვებასა და მშობლიური მიწის ნაკვეთების შესყიდვას. თუ ქართველი ბურჟუაზია ვერ შეძლებდა თავად-აზნაურთაგან ბანკებში დაგი-

რავებული მსხვილი მამულების შეძენას, ეროვნული ბანკი შეისყიდდა/ამ მიწებს, წვრილ ნაკვეთებად დაყოფდა და გრძელვადიანი კრედიტებით/ამ-ალებით ქართველ გლეხებზე გაყიდდა.

ამგვარად, ქართველმა გლეხობამ საგრძნობლად გააფართოვა საკუთარი მიწის ფონდი, მაგრამ ამ კლასის უმრავლესობამ თავი ვერ დააღწია უმიწობა-მცირემიწიანობას. საადგილმამულო საკითხი არსებითად გადაუჭრელი რჩებოდა და სხვა მოუგვარებელ პრობლემებთან ერთად საფუძველს უმზადებდა ახალ რევოლუციას.

ეკონომიკურ-სოციალური ვითარება.
კაპიტალიზმის განვითარების დონე

XX საუკუნის პირველი თოთხმეტი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის მახასიათებელი თავისებურება ის იყო, რომ ამ სფეროში წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის განსხვავებული ფორმები ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული. კაპიტალისტური ურთიერთობა ითავსებდა დროებითვალდებულების ინსტიტუტს, ხიზნობას, კაბალურ იჯარას. ერის უმრავლესობა, მოწინავე საზოგადოებრიობა ხმას იმაღლებდა ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ. რუსული მართვა-გამგეობის სისტემა კი ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ბაზაზე იყო აღმოცენებული და ამ პერიოდშიც საკმაო დოზით ინარჩუნებდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის არქაულ ფორმებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ სპეციალიზაციას სპეციფიკა გააჩნდა, მაგრამ ეს პროცესი თავისი ეკონომიკური ბუნებით დიდად როდი განსხვავდებოდა მრეწველობის შესაბამისი მოვლენისაგან. არასასაქონლო (შინამოხმარებითი) მიწათმოქმედებისა და წვრილი ხელოსნების შემორჩენის მიუხედავად, კაპიტალისტური (სასაქონლო) მეურნეობა და მრეწველობა განმსაზღვრელ როლს ასრულებდა. საქართველო შრომის საზოგადოებრივი და დარგობრივი განაწილების საერთო — რუსულ და მსოფლიო სისტემაში იყო ჩართული, რის გამო მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა, ჭარბი წარმოების კრიზისები გავლენას ახდენდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე, მისი ცალკეული დარგების ხასიათსა და მასშტაბზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკის დარგობრივ სპეციალიზაციაზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა რუსეთის ხელისუფლების კოლონიურ-ეკონომიკური პოლიტიკა. მეტროპოლია საქართველოს სამრეწველო განვითარებას განგებ აფერხებდა. ცდილობდა იგი ტიპურ კოლონიად — რუსეთის სამრეწველო პროდუქციის გამსაღებელ ბაზრად და ნედლეულის ბაზად გადაექცია. მეტროპოლია დაინტერესებული იყო სა-

ქართველოს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების განვითარებით, რომლებიც რუსეთის კლიმატურ პირობებს ვერ უძლებდა და ხელს უშლიდა მევენახეობა-მეღვინეობის, მებამბეობის, მეაბრეშუმეობის, მეჩაიეობის და ზოგი სხვა დარგის განვითარებას. ამ მიზნით დაარსდა სოფლის მეურნეობის საზოგადოება, საფილოქსერო კომიტეტი, მეაბრეშუმეობის სადგური და სულ ბოლოს, ჩამოყალიბდა საერობო აგრონომიული ორგანიზაცია. მეტროპოლიის კოლონიური პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ საქართველო მრეწველობის განვითარებით საგრძნობლად ჩამორჩა რუსეთს, სოფლის მეურნეობის განვითარებით კი რუსეთის შედარებით დაწინაურებული გუბერნიების დონეზე დადგა.

XX საუკუნის დამდეგს გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა. საკმაოდ ფართოდ გავრცელდა ქარხნული გუთნები. გამოჩნდა სამკელი, ძნასაკონი, სალეწი, სანიავებელი, სათიბი და სხვა მანქანები. რამდენიმე მამულში ელექტროენერგიას იყენებდნენ, ორიოდე მეურნეობას კი უკვე გააჩნდა რუსეთის იმპერიისათვის მეტად იშვიათი ტრაქტორი. ეს ახალი ტექნიკა ხელმისაწვდომი იყო მსხვილი მემამულეებისა და სოფლის ბურჟუაზიისათვის. წვრილგლეხურ მეურნეობებში ჯერ ისევ მამაპაპური იარაღებით საქმიანობდნენ.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მევენახეობა, სოკოვანი დაავადებების და ფილოქსერას გავრცელების გამო, დიდად დაზარალდა. დასავლეთ საქართველოში ძველი ვენახები თითქმის მთლიანად განადგურდა. მაგრამ მევენახეებმა გაუძლეს ამ ჭირს. მათ ადვილად შეითვისეს ვაზის ამერიკულ საძირეზე (ველური მწარე ვაზის ლერწი) დამყნობის ხელოვნება და საკმაოდ სწრაფად განაახლეს ვენახები. 1913 წელს დასავლეთ საქართველოში ე. წ. ნამყენი ვენახების ფართობი 13 ათას ჰექტარს აჭარბებდა.

წინ წავიდა მეცხოველეობა. ამაღლდა მეფრინველეობის ხვედრითი წონა. ქართული პროდუქცია (ფრინველი და კვერცხი) დიდი მოწონებით სარგებლობდა ლონდონში, პარიზში, ბერლინში.

განსაკუთრებით დაწინაურდა მეაბრეშუმეობა.

1909-1913 წლების სტატისტიკა გვაუწყებს, რომ კოლონიური საქართველოს სოფლის მეურნეობა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა.

სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციის გაღრმავების პირობებში საგრძნობლად გაფართოვდა საქონელმიმოქცევა — საქართველოს სხვადასხვა რეგიონს, ქალაქსა და სოფელს შორის, რაც ძირითადად ვაჭარ-მევახშეთა მეშვეობით ხორციელდებოდა. ამ პერიოდში უფრო აქტიურად საქმიანობდა საკაჭრო-გამსაღებელი, მომხმარებელი და საკრედიტო კოოპერატივების ქსელი.

საქართველოში კოოპერაციული მოძრაობა XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, მაგრამ მან შედარებით ფართო მასშტაბი პირველი რევოლუციის შემდეგ მიიღო. 1914 წლისთვის კოოპერატივების რიცხვი 400-მდე გაიზარდა, სოფლიდან სდევნიდნენ ჩარჩ-ვაჭრების ნაწილს და ნერგავდნენ ვაჭრობა-კრედიტის ევროპულ ფორმებს.

ჩარჩ-ვაჭრები დიდ ზარალს აყენებდნენ თავადაზნაურობას. ამიტომ მემამულეებიც ცდილობდნენ თავიანთ საწარმოო ძალთა შეკრებას, აარსებდნენ აქციონერულ საზოგადოებებს. 1895 წელს დაარსდა მევენახე-მეღვინეთა საზოგადოება „კახეთი". პირველ წელს საზოგადოებაში გაერთიანდა 31 მემამულე, 1903 წელს მის წევრთა რიცხვმა 167-ს მიაღწია.

XX საუკუნის დამდეგიდან თავადაზნაურობას სამეურნეო საქმიანობაში შედარებით მეტ დახმარებას უწევდა წოდებრივი თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად ჩაერთო სამეურნეო და კულტურულ საქმიანობაში. 1901 წელს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოს საკუთრებად გამოცხადდა მათ მიერვე დაფუძნებული საადგილმამულო ბანკის სუფთა შემოსავლის (მოგების) 50%. წოდებრივი დაწესებულების საკუთრებაში გადავიდა აგრეთვე ბანკის სახსრებით შეძენილი ქარვასლა და თბოელექტროსადგური. 1908 წელს წოდებრივმა თვითმმართველობამ დააარსა „საქართველოს სოფლის მეურნეობის საზოგადოება". საზოგადოებამ კი შექმნა საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთები, მანქანა-იარაღების გამქირავებელი პუნქტები. თავად-აზნაურთა წოდებრივმა თვითმმართველობამ მოახერხა და მთავრობისაგან მიიღო კახეთის რკინიგზის მშენებლობის კონცესია და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვა. 1910 წელს მთავრობამ დაამტკიცა კახეთის რკინიგზის აქციონერული საზოგადოება, რომლის სახელით გამოიცა აქციები და ობლიგაციები. მის რეალიზაციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პეტერბურგელმა ბანკირებმა. კაპიტალით უზრუნველყოფილმა ამ აქციონერულმა საზოგადოებამ საკმაოდ სწრაფი ტემპი აიღო: კახეთის რკინიგზის ხაზი გაიყვანა 1911-1914 წლებში, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა შეაფერხა რკინიგზის ნორმალური მუშაობა.

ამ პერიოდში საკმაოდ გაფართოვდა თავადაზნაურობის, კერძოდ რაციონალიზატორ-მემამულეთა ინდივიდუალური მეურნეობები: სოფელ სალხინოში, სალომე დადიანი-მიურატის ვენახებს 400 ჰექტარი ფართობი ეკავა. რომის პლანტაციას — 100 ჰექტარი. 1914 წელს სალომეს ვაჟმა ლუსიენ მიურატმა ლონდონში ჩამოაყალიბა აქციონერული საზოგადოება, რომელმაც სენაკის მაზრაში შეისყიდა 20300 ჰექტარი მიწა და საფუძველი ჩაუყარა საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთ უმსხვილეს მეურნეობას. რა-

ციონალური მეურნენი იყვნენ აგრეთვე ძმები სულხანიშვილები (სოფელი ტირძნისი); ძმები სუმბათაშვილები (ბორჩალოს მაზრა), გ. მუხრანბატონი (სოფელი მჭადიჯვარი), ი. რატიშვილი, ნ. ერისთავი, ა. მაჩაბელი, ა. ლეონიძე, დ. ჩოლოყაშვილი, მ. ორბელიანი, ნ. ციციშვილი, მ. ნაკაშიძე და სხვ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დიდი კაპიტალი დააბანდა რომანოვთა საგვარეულომ. ალექსანდრე მიხეილის ძე რომანოვს თავის მამულში (ბორჯომის ხეობა) დასაქმებული ჰყავდა 500-600 მუშა-მოსამსახურე. ასევე, მიწები შეისყიდა და მეურნეობები მოაწყო სოხუმის ოლქშიც („დიოსკურია", „სინოპი", „კოლხიდა"), სადაც დიდი ადგილი ეკავა ხილ-ციტრუსოვანთა ბაღებს და თამბაქოს პლანტაციებს. რუსეთის საუფლისწულო უწყების მეურნეობებმა ფართო მასშტაბი მიიღო კახეთში (წინანდალი, მუკუზანი, ნაფარეული), აგრეთვე სოფელ მუხრანში. XX საუკუნის დამდეგს რომანოვთა საგვარეულომ აჭარაში (ჩაქვი) შექმნა ჩაის მეურნეობა, გააშენა პირველი პლანტაცია.

XX საუკუნის დამდეგიდან გაფართოვდა ვაჭარ-მრეწველთა მიერ კაპიტალის დაბანდება სოფლის მეურნეობაში. ქვემო ქართლში მანთაშევმა იყიდა 5200 ჰექტარი მიწა, არამიანცმა — 8700 ჰექტარი, რომელზეც მათ გამართეს ტექნიკურად კარგად აღჭურვილი მეურნეობები. ამ დროს კიდევ უფრო გაფართოვდა ანანოვის მეურნეობა ვარციხეში. სოხუმის ოლქში მსხვილი მეურნეობები შექმნეს იგუმანოვმა, სმეცკოიმ, ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრაში გამრავლდა მეძროხეობის ფერმები და შვეიცარიული ყველის დამამზადებელი ქარხნები.

კაპიტალიზმი დიდ ცვლილებებს იწვევდა გლეხურ მეურნეობაში. ამ პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა გლეხთა დაშლა განსხვავებულ სოციალურ ფენებად. ჩამოყალიბდა სოფლის ბურჟუაზია, სოფლის პროლეტარიატი. ბლომად იყვნენ მდიდარი კომლები, რომლებიც ფლობდნენ 50-100, 200-500 ჰექტარ მიწას. ეწეოდნენ მემინდვრეობას, მევენახეობა-მეღვინეობას, მეთამბაქოეობას, მეცხოველეობას. მზარდი რაოდენობით იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. დიდი იყო მდიდარ გლეხთა კონტინგენტი მეცხვარე გლეხებში.

ამ პერიოდის დასავლეთ საქართველო პარცელური გლეხური მეურნეობის ქვეყანა იყო. აქაური სოფლის ბურჟუაზია ეკონომიკური პოტენციალით თითქოს ვერ შეედრებოდა აღმოსავლელ თანამემამულეს, მაგრამ აქაური მდიდრები უფრო აქტიურად იყვნენ ჩაბმული სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობაში. ბევრი მათგანი ეწერებოდა გილდიებში, იღებდა ვაჭრის სტატუსს, ოსტატურად უთავსებდა ერთმანეთს სოფლის მეურნეობას, სამ-

რეწველო საქმიანობასა და ვაჭრობას, ყველა სფეროში საკმაო რაოდენობით იყენებდა დაქირავებულ მუშახელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხობის 40-45% გაღარიბდა, ბევრი გაპროლეტარდა. ერთი ნაწილი თავის სოფლის ახლოს ეძებდა დამქირავებელს, საარსებო წყაროს. ბევრი კი საშოვარზე გადიოდა ამიერკავკასიისა და რუსეთის ქალაქებში. სამრეწველო მუშათა კონტინგენტი ძირითადად სოფლის პროლეტარიატიდან ივსებოდა.

XX საუკუნის პირველი 14 წლის განმავლობაში საქართველოს მრეწველობა აღმავლობის ტენდენციას ამჟღავნებდა. მაგრამ რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა კვლავ აფერხებდა მსხვილი მრეწველობის, მანქანათმშენებლობის განვითარებას. დაწინაურდა მსუბუქი და კვების მრეწველობა, რომელიც ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებას ეწეოდა. გაფართოვდა სამთამადნო მრეწველობის მსოფლიო მნიშვნელობის დარგის — მანგანუმის წარმოება, მისი მოპოვება-ექსპორტი. საკმაოდ მაღალ დონეზე ავიდა სპილენძის წარმოება. საქართველოშიც იჩინა თავი მრეწველობის კონცენტრაციის ტენდენციამ. გაიზარდა სააქციო საზოგადოებების, მონოპოლისტური გაერთიანებების მნიშვნელობა. მართალია, ადგილობრივი ბურჟუაზიაც ქმნიდა სააქციო საზოგადოებებს, ტრესტისა და სინდიკატის მსგავს გაერთიანებებს, მაგრამ საქართველოს მრეწველობის უფრო მაღალ სტადიაზე გადასვლაში მეტ როლს რუსული და უცხოური კაპიტალი ასრულებდა.

სპირტისა და კონიაკის წარმოებაში თითქმის მონოპოლიურად გაბატონდა დავით სარაჯიშვილის ფირმა. 1911 წელს დავით სარაჯიშვილის ქარხანა-სარდაფში დასაძველებლად ინახებოდა 2 მილიონი ბოთლი კონიაკი. მან გაიმარჯვა ფრანგულ ფირმებთან კონკურენციაში, მაღალხარისხოვანი პროდუქციით თითქმის დაიპყრო რუსეთის ბაზარი. რუსეთისა და უცხოეთის გამოფენებზე სარაჯიშვილის ფირმის კონიაკმა და სხვა სპირტიანმა სასმელებმა მიიღო 8 ოქროს, 3 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი.

საქართველოს სამთამადნო მრეწველობაში ხვედრითი წონითა და მნიშვნელობით პირველი იყო მანგანუმის მოპოვება, გაუხვება და ექსპორტი. ამ სამრეწველო რაიონში აშენდა მადნის გამწმენდ-გამამდიდრებელი 30 ქარხანა. მაღაროებიდან მადნის გამოტანა ხდებოდა სალიანდაგო გზით. რკინიგზის სადგურებში გადაზიდვა კი საჰაერო-საბაგირო გზით, ვაგონებში ჩატვირთვა ბრემსბერგით.

ჭიათურის სამრეწველო რაიონში ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული ბურჟუაზიის საკმაოდ ძლიერი ჯგუფი, რომელსაც XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მძაფრი საკონკურენციო ბრძოლა უხდებოდა ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ფირმებთან. ქართველი ბურჟუაზიის გამაერთიანებელ-

დამრაზმველის ფუნქცია იკისრა მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითმა ორგანიზაციამ (ყრილობა და მის მიერ არჩეული საბჭო), რომელსაც სათავეში ედგნენ ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები — გ. მაიაშვილი, კ. აბაშიძე, ნ. ღოღობერიძე, პ. წულუკიძე და სხვ. მათი დამსახურებაა, რომ ქართველმა მრეწველებმა ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა მანგანუმის მადნის ამოღებაში, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ორმა გერმანულმა ფირმამ მანგანუმის მადნის საბადოთა ერთი მესამედი დაისაკუთრა. თუმცა გერმანულმა და სხვა უცხოურმა ფირმებმა ობიექტურად დადებითი როლი შეასრულეს. მათ ხელი შეუწყეს წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებას, დააჩქარეს ჭიათურის რაიონის ინდუსტრიალიზაცია.

საგრძნობლად გაიზარდა ტყიბულის ქვანახშირის საბადოთა მწარმოებლობა. ეს, ძირითადად, ადგილობრივ ქართველ მრეწველთა სააქციო საზოგადოება „ნახშირის" დამსახურება იყო. საზოგადოებამ მაღაროებში დააგო ლიანდაგები, მოაწყო ესტაკადა და ბრემსბერგი, რომელიც ქვანახშირს აწოდებდა დამხარისხებელ ქარხანას. ფირმის მიერ დაქირავებულმა სპეციალისტებმა გამართეს ელექტროსადგური, რომლის სიმძლავრით მუშაობდა მანქანა-დანადგართა დიდი ნაწილი.

XX საუკუნის დამდეგს ფრანგულმა ფირმამ საგრძნობლად აამაღლა სპილენძის მოპოვება-გამოდნობის ტექნოლოგია. ალავერდის, შამბლულისა და ახტალის მაღაროებში გაიმართა შიგა რკინიგზის ხაზები. აშენდა ელსადგური, დაიდგა ახალი აგრეგატები. შესაბამისად გადიდდა წითელი სპილენძის გამოდნობა. დაახლოებით ასეთივე მასშტაბისა და მწარმოებლურობისა იყო ბათუმის ოლქში (ართვინი, ჭინკათხევი) სპილენძის საბადოები და ქარხნები, რომელნიც 1921 წელს თურქეთის საზღვრებში მოექცა.

ამგვარად, 1901-1914 წლებში საქართველოს სამრეწველო-განვითარების დონე საკმაოდ ამაღლდა.

სასაქონლო მიწათმოქმედებისა და კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე განაპირობებდა სავაჭრო ბრუნვის ზრდას, საკრედიტო სისტემის გაფართოებას. 1900 წელს საქართველოში მოქმედებდა 4 ათასზე მეტი სავაჭრო ფირმა, დასავლეთევროპული ტიპის მაღაზია და აზიური დუქანი. მომდევნო 14 წლის განმავლობაში სავაჭრო დაწესებულებების რიცხვი, ვაჭრობაში დასაქმებული მოსახლეობა თითქმის არ გაზრდილა, მაგრამ საგრძნობლად გაფართოვდა სავაჭრო დაწესებულებათა ბრუნვა. ამ პერიოდის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ სავაჭრო კაპიტალმა დაკარგა დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობა, გადაიქცა საწარმოო კაპიტალის აგენტად, ასრულებდა საქონელმიმოქცევის დამჩქარებლის ფუნქციას.

თბილისი იყო არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრი. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საერთაშორისო-სატრანზიტო ვაჭრობაშიც. საქართველოს კომერციული ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან ამ პერიოდშიც ძირითადად ბათუმისა და ფოთის მეშვეობით მიმდინარეობდა.

1901-1914 წლებში საგრძნობლად გაიზარდა საკრედიტო დაწესებულებათა რიცხვი, გაფართოვდა მათი ბრუნვა. თბილისის საადგილმამულო ბანკმა განყოფილებები გახსნა ბათუმში, ბაქოში, განჯასა და ერევანში. ამ ქალაქებში გაიხსნა აგრეთვე თბილისის კომერციული ბანკის განყოფილებები. საქართველოს დაბა-ქალაქებში დაარსდა ახალი საკრედიტო საზოგადოებები. რუსეთის სახელმწიფო ბანკმა, რუსეთ-აზიისა და აზოვ-დონის ბანკებმა განყოფილებები გახსნა საქართველოში, საგრძნობლად ამაღლდა ბანკების როლი. ზოგი მათგანი აღარ კმაყოფილდებოდა ანაბრების მიღებითა და კრედიტების გაცემით, ხელს ჰკიდებდა სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობასაც, ან ხდებოდა შესაბამის დაწესებულებათა აქციონერი.

კაპიტალიზმის ერთიანი სისტემის შექმნის შედეგი იყო ურბანიზაციის პროცესის დაჩქარება, ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა. 1897 წლიდან 1917 წლამდე თბილისის მოსახლეობა 160 ათასიდან 400 ათასამდე გაიზარდა. ასეთივე ტემპით იზრდებოდა ბათუმი. შედარებით ნაკლებად ფოთი, სოხუმი, ქუთაისი, გორი, თელავი და სხვა ქალაქები.

დაჩქარდა კაპიტალისტური საზოგადოების კლასთა კონსოლიდაციის პროცესიც. ბურჟუაზიის რიცხვი კვლავ იზრდებოდა თავადაზნაურობის და გლეხობის ეკონომიკურად აღზევებული პიროვნებებიდან. პროლეტარიატის რიგებში კი გადადიოდნენ გაღატაკებული გლეხები და ხელოსნები. ჩამოყალიბდა მუშათა კლასი, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში დასაქმებული, მუდმივად ან სეზონურად დაქირავებულთა ფენები. 1913 წელს საქართველოში ითვლებოდა დაახლოებით 150 ათასი დაქირავებული მუშა (თვითმოქმედი მოსახლეობის 15%). საკმაოდ დიდი იყო ხვედრითი წილი ქალაქისა და სოფლის ნახევრად პროლეტარიატისა, რომელიც კაპიტალიზმის სარეზერვო არმიას, მუშათა კლასის შევსების წყაროს წარმოადგენდა.

საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის პრობლემა. პოლიტიკური პარტიების პოზიცია.

რუსული ხელისუფლების მიერ პირველი რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, ეროვნული საკითხი ერთხანს პრაქტიკულიდან თეორიულ ასპექტში გადავიდა. გამძაფრდა კამათი მომავალი ქართული სახელმწიფოს სტატუ-

სის გარშემო. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სრულიად რუსეთის სახელმწიფოს უნიტარული და ფედერალური მოწყობის მომხრენი, ქართველ ავტონომისტები და მათი იდეური მოწინააღმდეგენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1907 წელს ქართველ მოღვაწეთა ერთმა ჯგუფმა სცადა ცარიზმის აგრესიულ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო სამართლის გამოყენება. ქართველი ხალხის წარმომადგენლობამ ჰაგის საერთაშორისო კონფერენციას გაუგზავნა მიმართვა („პეტიცია"), რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილის, მიხეილ წერეთლისა და გიორგი გვაზავას მიერ იყო შედგენილი და მრავალრიცხოვან პატრიოტთა ხელმოწერით დადასტურებული. ამ დოკუმენტში მხილებულია რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკა, რაც თავდაპირველად გეორგიევსკის ტრაქტატის ცალმხრივად დარღვევით და საქართველოს სამეფოს გაუქმებით გამოიხატა, ხოლო შემდეგ კოლონიური და რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებით გაგრძელდა. პეტიციონერები სთხოვდნენ საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც მიზნად ისახავდა დიდი სახელმწიფოების აგრესიული გეგმების დაგმობასა და შეკვეცას, დახმარება გაეწიათ ქართველი ერისათვის 1783 წლის ტრაქტატის უფლებრივ ნორმათა საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. სამწუხაროდ, კონფერენციის დელეგატთა პოზიცია ქართველი ერისათვის სოლიდარობის გამოხატვას არ გასცილებია.

საერთაშორისო არენაზე წარუმატებლობას მალე შინაგანი ეროვნული ტრაგედია დაემატა. 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან ქართველი ხალხის მტრებმა მოკლეს საქართველოს უგვირგვინო მეფე, უდიდესი ქართველი პატრიოტი ილია ჭავჭავაძე. ზესამწუხარო ინფორმაცია ელვის სისწრაფით გავრცელდა, ხალხის გულისწყრომა და მრისხანე პროტესტი გამოიწვია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნახევარსაუკუნოვანი ლიდერი 9 სექტემბერს დაკრძალეს მთაწმინდაზე. ამაღელვებელი გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართეს გარდაცვლილს აკაკი წერეთელმა, ვაჟა ფშაველამ, ნიკო ცხვედაძემ, სამგლოვიარო ცერემონიალი ქართველთა ეროვნული ერთიანობის დემონსტრაციად გადაიქცა. ხალხმა არა მარტო დაიტირა დიდი მოძღვარი, არამედ გამოხატა დიდი სიძულვილი საზარელი ტერორისტული აქტის ორგანიზატორთა მიმართ.

ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლებს იარაღი არ დაუყრიათ, კიდევ მეტი ენერგიით აგრძელებდნენ ქართველი ერის იდეურ გამთლიანებას, პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგობათა აღმოფხვრას, „საერთო მოქმედების ნიადაგზე" მათ გაერთიანებას. არჩილ ჯორჯაძეს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა მოკამათე დასებს გაერკვიათ რა აშორებდა მათ ერთმანეთისაგან

და რომელი პრობლემის გადაწყვეტის დროს უნდა ეცლოთ ხელიხელჩაკიდებულთ. იგი ურჩევდა ნაციონალისტებს, ეფიქრათ სოციალურ-ეთნიერთობა-წინააღმდეგობათა დარეგულირებაზეც. მოუწოდებდა სოციალ-დემოკრატებს მთლიანობაში გაეაზრებინათ ქართველი ერის მდგომარეობაცა და ცალკეული სოციალური ფენების ინტერესებიც; გაეცნობიერებინათ ძირითადი და არსებითი — შეეგნოთ, რომ ქართველი ხალხისათვის ყველაზე რთული და საშიში სოციალური დაპირისპირება კი არ იყო (ეს თითქმის ყველა ერისათვის საერთო მოვლენაა), არამედ ის, რომ „ჩვენი ერი და ქვეყანა განსაცდელშია, ერს თანდათან გადაგვარება მოელის და ამიტომ უპირველეს ყოვლისა ერი უნდა დავიცვათ". ყოველი გონიერი ქართველი იმაზე უნდა ფიქრობდეს, როგორ შეიკრას ერი განუყოფელ მთლიანობად, როგორ ვიმოქმედოთ „ჩვენი ვინაობის დასაცავად", ერის უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფადაო.

სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგაც ყველა ქართველს ერთიანობისაკენ მოუწოდებდა. არჩილ ჯორჯაძე უფრო თავგამოდებით იბრძოდა ხუთი ძირითადი ამოცანის შესასრულებლად, ეს ამოცანები იყო: 1) ქართული ენის დაცვა; 2) საქართველოს მიწის ფონდის და მეურნეობის ქართველთა ხელში შენარჩუნება; 3) ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება; 4) მუნიციპალიტეტებში ქართველთა წარმომადგენლობის გაზრდა; 5) საზოგადოებრივი და კულტურული საქმიანობის გაფართოება. რეაქციის წლებში და მომდევნო ხანაშიც, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ეს პრობლემატიკა იყო თავისებური პროგრამა-მინიმუმი, რომლის პრაქტიკულ რეალიზაციას ნიადაგი უნდა მოემზადებინა პროგრამა-მაქსიმუმის შესრულებისათვის — ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები იმეორებდნენ ილიას პროგრამულ დებულებას, ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ ენა ერის გამძლეობის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მიწა-წყლის დაცვას, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. აღნიშნულ პარტიებს მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნდათ ამ ერთიანი ტერიტორიის ეკონომიკური განვითარება. ამ ასპექტში განიხილავდნენ, კერძოდ, კაპიტალისტურ მრეწველობას, ვაჭრობას, საკრედიტო ურთიერთობას, რომელთა აღმავლობა განაპირობებდა ერის ახალ საფუძველზე კიდევ უფრო მჭიდრო კონსოლიდაციას. ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ უტოპისტ სოციალისტებს და ნეონაროდნიკებს, რომელნიც იმ მოტივით, რომ კაპიტალიზმი წარმოშობს ანტაგონისტურ კლასებს და ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას, გმობდნენ ამ ფორმაციას, უბედურე-

ბად მიაჩნდათ მისი განვითარება. არჩილ ჯორჯაძე სხვაგვარად იაზრებდა მოვლენებს, სხვაგვარ კავშირ-ურთიერთობას ხედავდა მათ შორის. „ჩვენი აზრით — წერდა იგი — კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში ნაციონალური მიმართულება უნდა მიიღოს. ქართველი კაპიტალისტი ქართველ მუშას კი არ უნდა დავუპირისპიროთ, არამედ იმ უცხო ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს აღებ-მიცემობის მონოპოლია". არჩილ ჯორჯაძე იმასაც აღნიშნავდა, რომ კლასობრივი დაპირისპირება, უსისხლო მშვიდობიანი ბრძოლა არათუ ხელს უშლის ეროვნულ მთლიანობას, არამედ იგი ქვეყნისა და ერის წინსვლის ფაქტორიაო. მისი აზრით, გონიერ საზოგადოებას, მომავალ ეროვნულ სახელმწიფოს კლასთა ურთიერთობის დარეგულირება-დაბალანსების ფუნქციაც ეკისრებოდა.

საქართველოს პოლიტიკური ავტონომიისათვის მებრძოლნი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნას და მათი უფლება-კომპეტენციის გაფართოებას. ისინი ამ დროსაც პროტესტს გამოთქვამდნენ რუსეთის მთავრობის მისამართით, რომელმაც 1864 წლის „ზემსკაია რეფორმა" არ გაავრცელა საქართველოზე და ნახევარი საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ საერობო თვითმმართველობისათვის (რუსული „ზემსკოე უპრავლენიე"). ამ მიზნით, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მიერ 1905 წელს შედგენილი რადიკალური კანონპროექტის განხილვა-დამტკიცების საქმე რუსეთის ხელისუფლებამ განგებ გააჭიანურა, რევოლუციის ჩახშობის შემდეგ კი თავისთვის მისაღებ ჩარჩოებში მოაქცია.

1909 წლის ოქტომბერში განახლდა ე. წ. საერობო თათბირების მუშაობა. თბილისის და ქუთაისის გუბერნიების წარმომადგენლებმა კვლავ წარადგინეს მთავრობაში სათანადო კანონპროექტები. ქუთაისელთა პროექტი ითვალისწინებდა სამსაფეხურიანი ერობის (თვითმმართველობის) შექმნას; საგუბერნიო, სამაზრო და საუბნო საერობო დაწესებულებებს უნდა მინიჭებოდა როგორც სამეურნეო, ისე ადმინისტრაციული უფლებები. ადგილობრივი პოლიცია მათ დაქვემდებარებაში უნდა მოქცეულიყო. მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ არც ამჯერად დააკმაყოფილა ქართველი საზოგადოების მოთხოვნა. ამგვარად, რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს სოფლის მოსახლეობას საერთო-დემოკრატიული თვითმმართველობა არ აღირსა.

ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას კი შეზღუდული თვითმმართველობა, როგორც უკვე ითქვა, რუსულმა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში მიანიჭა. პირველი რევოლუციის დროს ქართველმა საზოგადოებამ გააქტიურა ბრძოლა საქალაქო თვითმმართველობების

(მუნიციპალიტეტების) უფლება-კომპეტენციის გაფართოებისათვის, რაც მომდევნო პერიოდში გრძელდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ საქართველოში ეროვნული ბურჟუაზია საკმაოდ ძლიერი იყო. ქართველი ბურჟუაზია გაბატონდა ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, სოხუმის და ოზურგეთის საქალაქო თვითმმართველობებში. ქართლ-კახეთის მუნიციპალიტეტებში კი უპირატესობა სომეხ ბურჟუაზიას ჰქონდა მოპოვებული. თბილისში ე. წ. „სოლოლაკელი კრეზები" ბატონობდნენ, ქართველი ხმოსნები იჩაგრებოდნენ.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში ნიკო ნიკოლაძემ, გვერდი რომ აევლო რუსული კანონისათვის, რომლის მიხედვით მაღალი საარჩევნო ცენზი იყო დაწესებული, წამოაყენა წინადადება-პროექტი თბილისის საქალაქო სათათბიროს დაკომპლექტებისა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე. ამით აღმოიფხვრებოდა უსამართლობა და თბილისის სათათბიროში შევიდოდნენ ყველა ეროვნების წარმომადგენლები მთელ მოსახლეობაში (და არა ცენზიანებში) მათი რაოდენობის შესაბამისად. მოგვიანებით ნიკოლაძისეული პროექტის რეალიზაციას მოითხოვდნენ სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები.

1911 წელს თბილისის ქართველმა ცენზიანმა მოქალაქეებმა ამომრჩეველთა ცალკე ჯგუფი ჩამოაყალიბეს, ეროვნული სამართლიანობის აღდგენა დაისახეს მიზნად. სოციალ-დემოკრატიამ ამ ჯგუფის საქმიანობა ნაციონალიზმად მონათლა და ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან გააკრიტიკა, რაც არჩილ ჯორჯაძემ არ მოიწონა. მან აღნიშნა, რომ ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი ფართო დემოკრატიის პოზიციაზე დგას. ამ ჯგუფის ეროვნული ელფერი ბუნებრივია და არავის უქმნის საშიშროებას; არაბუნებრივი და საშიში სომეხი ბურჟუაზიის ბატონობაა, რაც სხვა ეროვნებათა უკმაყოფილებას იწვევს, ეროვნულ შუღლს აღვივებსო. „ამ შუღლის შემცირებისათვისაა საჭირო პროპორციული ეროვნული წარმომადგენლობა. ქართველ ამომრჩეველთა ორგანიზებული გამოსვლა საფუძველს მოუშზადებს ამ სამართლიანი პრინციპის გამარჯვებას".

არჩილ ჯორჯაძემ ნიკოლაძისეული პროექტი თეორიულად განავრცო და გააფართოვა — მოითხოვა საერთოდ, ქართველი ერის იურიდიულ პირად აღიარება. ამის გარეშე, მისი აზრით, ყველა სფეროში გაძნელდებოდა ქართველი ერის ინტერესების დაცვა. „ერთა ურთიერთობის უფლებრივ ნიადაგზე დაყენება-დარეგულირება — წერდა იგი — ჩვენი დროის მოწინავე დემოკრატიის მიერ წამოყენებული ლოზუნგებია". მისი საყოველთაო აღიარების შემდეგ, არჩილ ჯორჯაძის აზრით, კულტურულ-სამეურნეო თვით-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მმართველობის გვერდით „ტერიტორიული თვითმმართველობაც“ (ავტონომია) გაშლიდა ფრთებს და განვითარდებოდა.

ეს თვალსაზრისი სავსებით გაიზიარა „ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის“ ხელმძღვანელობამ. მან წამოაყენა ხმოსნობის 25 კანდიდატი და კიდეც მიაღწია თბილისის საქალაქო სათათბიროში მათ შეყვანას. ამდენად, თბილისის მუნიციპალიტეტში საგრძნობლად გაფართოვდა და გაძლიერდა ქართველთა წარმომადგენლობა. საქართველოს დედაქალაქში შეიქმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალურ-პოლიტიკური ბაზა.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალურ-პოლიტიკური კერები კიდევ უფრო ძლიერი იყო ფოთში, ბათუმში, ქუთაისში. პრაქტიკული საქმიანობის დიდი მასშტაბით XX საუკუნის პირველი 12 წლის განმავლობაში გამოირჩეოდა ფოთის მუნიციპალიტეტი, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე მეთაურობდა. ამ ქალაქისთავის დამსახურებაა ის, რომ ფოთის თვითმმართველობას უფლება მისცეს გამოეშვა საობლიგაციო სესხები. ამ გზით მობილიზებული ფულადი თანხების გამოყენებით გაიმართა ფოთის შესანიშნავი ნავსადგური, საგრძნობლად გაუმჯობესდა კომუნალური მეურნეობა. საერთოდ, საქართველოს მუნიციპალიტეტები ქართველი საზოგადოების თვითმოქმედების მნიშვნელოვან კერებად, ქართველ პოლიტიკოსთა მოსამზადებელ სკოლებად გადაიქცა. მუნიციპალურ მოღვაწეთა საგრძნობი ნაწილი 1918 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში.

მუნიციპალიტეტებში ქართველი ინტელიგენცია მთლიანად, რა თქმა უნდა, ვერ დასაქმდებოდა. იგრძნობოდა საერობო დაწესებულებების — სოფლის მოსახლეობის თვითმმართველობის არარსებობის უარყოფითი შედეგი. ამის კომპენსაცია იყო ის, რომ ერობის ფუნქციას ნაწილობრივ მაინც ასრულებდა ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივ-წარმომადგენლობითი თვითმმართველობა, რომელიც XX საუკუნის დამდეგიდან აქტიურად ჩაება კულტურულ-საგამანათლებლო საქმიანობაში. იგი აფინანსებდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და მის მიერ გახსნილ სკოლებს, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჰყავდა მრავალი სტიპენდიანტი საშუალო და უმაღლეს სკოლებში (რუსეთის უნივერსიტეტებში). დახმარებას უწევდა აგრეთვე ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, ქართულ თეატრს. ჭიათურის რაიონში ერობის ფუნქციას ასრულებდა მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია, რომელმაც XX საუკუნის პირველი 14 წლის განმავლობაში გახსნა ერთი, 6-კლასიანი სასწავლებელი და 8 დაწყებითი სკოლა, აგრეთვე წიგნთსაცავ-სამკითხველო; მარგანეცის მრეწველთა საბჭო თანდათან მზარდი რაო-

დენობით გამოჰყოფდა სტიპენდიებს უნივერსიტეტების სტუდენტებისა და საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის. იგი თავის თანხას ახმარდა ბავშვების გაყვანას, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას.

ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და კულტურული დაწინაურების საქმეს ემსახურებოდნენ საზოგადოებრივ-საქველმოქმედო ორგანიზაციები, რომელთა რიცხვი ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მომწიფდა მათი საქმიანობის კოორდინაციის იდეა, რამაც ხორცი შეისხა მოგვიანებით (1916 წ.), როცა ჩატარდა ეროვნულ-კულტურულ საზოგადოებათა კავშირის პირველი (დამფუძნებელი) ყრილობა. ამ საზოგადოებათა საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იყო სახალხო უნივერსიტეტების დაარსება. 1907-1914 წლებში სახალხო უნივერსიტეტები ამოქმედდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, სოხუმში, ჭიათურაში, ფოთში.

რუსეთის პირველი რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, ცარისტულმა ხელისუფლებამ (როგორც უკვე აღინიშნა) კიდევ უფრო გააძლიერა განაპირა ქვეყნების ჩაგვრისა და სხვა ეთნოსთა რუსიფიკაციის პოლიტიკა. ამან, ბუნებრივია, საპასუხო რეაქცია გამოიწვია. დიდმპყრობელურ შოვინიზმს მკვეთრად დაუპირისპირდა ადგილობრივი ნაციონალიზმი. სოციალ-დემოკრატიის აზრით, წარმოიშვა იმის საფრთხე, რომ ორივე სახის ნაციონალიზმი უარყოფით გავლენას მოახდენდა პროლეტარიატის განწყობასა და მსოფლმხედველობაზე. ამიტომ სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთამ საჭიროდ მიიჩნია ეროვნული საკითხისადმი მეტი ყურადღების დათმობა, ეროვნული პროგრამის დახვეწა. ბოლშევიკების პროგრამაში, მართალია დაფიქსირდა „ერთა თვითგამორკვევის უფლება“, მის სახელმწიფოებრივ გამოყოფამდეც კი, მაგრამ ეს ფორმულა თავისი შინაარსით ინტერნაციონალიზმის პრინციპის ბოლშევიკურ გაგებას უპირისპირდებოდა და პრაქტიკული რეალიზაციის მხრივ ფიქცია იყო. ამაზე მეტყველებს აგრეთვე ბოლშევიკთა სხვა დოკუმენტები, სადაც გამოყოფის უფლება არა მარტო ეჭვქვეშაა დაყენებული, არამედ მთლიანად უარყოფილია. ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ერთადერთ პირობად ლენინს მიაჩნდა ყველა ერის მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირება, საერთაშორისო და ეროვნული კაპიტალის, ყველა გაბატონებული კლასების წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლა. ბოლშევიკები თეორიულად ამართლებდნენ ყველა ერის შიგნით სამოქალაქო ომს. კაცობრიობას მიიჩნევდნენ არა ერების კრებულად, არამედ კლასობრივად გათიშულ და დაპირისპირებულ ნაწილებად. მათ შემეცნებაში ერთა თვითგამორკვევის უფლება უშინაარსო დოგმად, არარაობად იყო გადაქცეული.

სოციალ-დემოკრატიის მეორე მენშევიკური ფრთა, რომელიც საქართველოში ფაქტობრივად დიდ უმრავლესობას წარმოადგენდა, ეროვნული

საკითხის გადაწყვეტაში, ამ დროს, ეყრდნობოდა ავსტრიელი სოციალისტების მიერ შემუშავებულ თეორიას. მათ ერი მიაჩნდათ ადამიანთა კულტურულ ერთობად, ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა ერის ძირითად ნიშნებად არ იგულისხმებოდა. ამგვარი წანამძღვრის თანახმად, ეროვნული საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო დაჩაგრული ერებისათვის კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მინიჭებით. ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) აზრით, კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ზედგამოჭრილი იყო სამხრეთ კავკასიისათვის, სადაც ეროვნული და ეთნიკური ერთეულები შერეულად ცხოვრობდნენ. ერთმანეთში იყვნენ ათქვეფილი და ამიტომ მათი ტერიტორიული გამიჯვნა დაუძლეველ წინააღმდეგობას წააწყდებოდა.

ეროვნული საკითხის დაყენება-გადაჭრის ილიასეულ თვალთახედვას იზიარებდა და ილია ჭავჭავაძის ტრადიციას აგრძელებდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია და მისი მემარჯვენე ფრთა, რომელმაც 1907-1914 წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად გაფორმების გზაზე. ამ პარტიების ლიდერები მკაცრად აკრიტიკებდნენ ფილიპე მახარაძის, ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთლის და სხვა მენშევიკ-ბოლშევიკთა არაპრინციპულ, ვიწროპარტიულ და ნიჰილისტურ პოზიციას. მაგრამ იმასაც აღნიშნავდნენ, რომ სოციალ-დემოკრატიის რიგებში განხეთქილებამ იჩინა თავი. მისი ერთი მცირე ჯგუფი, დარჩიაშვილის მეთაურობით ეროვნულ ნიადაგზე დგებოდა, მხარს უჭერდა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას. გაზეთი „ჩვენი კვალი“ (1910 წ.) კიდევ უფრო დასცილდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციას. რედაქციამ მხარი დაუჭირა კავკასიის ფედერაციას და მის შემადგენლობაში საქართველოს მოწყობას ტერიტორიულ-ავტონომიური ერთეულის სახით. არჩილ ჯორჯაძე იმედოვნებდა, რომ სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქცია ბოლოს და ბოლოს აღიარებდა საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს შექმნის საჭიროებას. მაგრამ ბოლშევიკთა „მორჯულება“ არ მოხერხდა, მენშევიკური ფრაქციის ეროვნულ ნიადაგზე გადასვლა დასრულდა 1917-1918 წლებში.

ჰაგის საერთაშორისო კონფერენციაზე განცდილი წარუმატებლობის შემდეგ, ეროვნული მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მეტი იმედი დაამყარეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროზე, შეეცადნენ იქ გაეხსნათ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ფრონტი. 1907 წლის 3 ივნისის გადატრიალების შემდეგ შექმნილი კანონი რუსეთის ამ „ნახევრად პარლამენტში“ უპირატესობას თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას აძლევდა. მიუხედავად ამისა, საქარ-

თველოს მემარცხენე პარტიებს იარაღი არ დაუყრიათ. 1908 წლის არჩევნების შემდეგ მესამე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტაციის სტატუსი მოიპოვეს ეგენი გეგეჭკორმა და კარლო ჩხეიძემ. ისინი სათათბიროს ტრიბუნიდან ბევრს ლაპარაკობდნენ პიროვნების თავისუფლებაზე, სოციალური საკითხის მოგვარების საჭიროებაზე, საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის შესახებ კი ხმა არ ამოუღიათ. ეროვნული პარტიების აზრით, პიროვნების თავისუფლების დაკანონება საჭირო იყო, მაგრამ ქართველი დეპუტატების ძირითადი ამოცანა უნდა ყოფილიყო ეროვნული საკითხის დაყენება, ქართველთა ეროვნული უფლებამოსილების გაფართოება. თუ მე ოდესმე დამეკისრა დეპუტატის მოვალეობა, წერდა არჩილ ჯორჯაძე, ჩემი მუშაობა პარლამენტში არ დაემსგავსება კარლო ჩხეიძისა და მისი ამხანაგების მუშაობას; შესაფერ მომენტში ჩვენ წამოვაყენებდით საქართველოს ავტონომიის საკითხს და უფლებრივ საფუძველს დავუდებდით ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელების საქმეს".

საქართველოს პოლიტიკური პარტიები 1912 წლის ოქტომბერ-ნოემბერში აქტიურად მონაწილეობდნენ წინასაარჩევნო ბრძოლაში მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში გასასვლელად. დეპუტატად არჩეული იქნა სამი სოციალ-დემოკრატი და ერთი სოციალისტ-ფედერალისტი. 1912 წლის 5 დეკემბერს სახელმწიფო სათათბიროში მთავრობის დეკლარაცია წაიკითხა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევმა, რომელსაც სამხრეთ კავკასია და მისი პრობლემები არც უხსენებია. ამის გამო ის გააკრიტიკეს კარლო ჩხეიძემ და ვარლამ გელოვანმა. მალე ამის შემდეგ, სოციალისტ-ფედერალისტთა დეპუტატმა ვარლამ გელოვანმა ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და 13 დეკემბერს სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქვა მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის მამხილებელი სიტყვა და საქართველოს პოლიტიკური ავტონომია მოითხოვა: „ქართველი ერი რუს ხალხთან ერთად იბრძვის პიროვნების ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური უფლებების დაკანონებისათვის, მაგრამ მას საკუთარი, თავისებური მოთხოვნაც აქვს. ცარიზმის ადმინისტრაციული აპარატის ასწლიანი პოლიტიკა ცხადყოფს, რომ ქართველ ხალხს ბიუროკრატიის იმედი არ უნდა ჰქონდეს... ბატონებო, თქვენ მხურვალე ტაშით შეხვდით პრემიერს, როცა მან სიყვარულით მოიხსენია ბალკანეთის სლავიანები... ცხადია, ჩემსასაც მიხვდებით: საქართველო ბალკანეთის სლავიანთა მსგავსად დამცირებული და შეურაცხყოფილია... დარწმუნებული ვარ, რაც არ მოისურვა, არ მოიმოქმედა ცარიზმის ბიუროკრატიამ, იმას რუსი ხალხი და მისი წარმომადგენლები იკისრებენ, საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის სტატუსს მიანიჭებენ". ასე შეასრულა ვ. გელოვანმა ეროვნული პარტიების დავალე-

ბა, ქართველი ხალხის ნება. მაგრამ რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმის პოზიციაზე მდგარმა სათათბიროს უმრავლესობამ რუსეთის იმპერიის ფედერაციულ საწყისებზე გარდაქმნის, საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს აღდგენისათვის არაფერი გააკეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ადიოდა. პირველი მსოფლიო ომის წინა დღეებში ეროვნულ-დემოკრატებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „ქართველებო, ყველა კლასისა შეერთდით! მამულიშვილნო, გაერთიანდით არა სპეციალურად პარტიული, გლეხური, თავადაზნაურული, საეკლესიო და სხვა ინტერესებისათვის, არამედ სპეციალურად საერთო ქართული ეროვნული ამოცანების განხორციელებისათვის!“ იმავე ხანს ჟენევაში ჩამოყალიბდა ორგანიზებული ჯგუფი — „თავისუფალი საქართველო“, რომელმაც დაიწყო იმავე სახელწოდების ჟურნალის გამოცემა. მასში ქვეყნდებოდა სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატთა პროგრამული სტატიები: „თავისუფალი საქართველოს“ მესამე ნომერში (1914 წ.) დაიბეჭდა ვრცელი სტატია — „რატომ ესაჭიროება ქართველ ხალხს საკუთარი სახელმწიფო“. მასში ნათქვამია: „ერისათვის სახელმწიფო თავდაცვის ერთადერთი იარაღია. წარსული ისტორია ცხადყოფს, რომ ქართველებს აქვს სახელმწიფოს შექმნის, მისი მართვა-გამგეობის უნარი. მრავალრიცხოვანი მტრების შემოსევებს გავუძელით, სახელმწიფოებრიობა XIX ს-მდე მოვიტანეთ. ქართველები არ შერიგებიან დამოუკიდებლობის დაკარგვას, იმთავითვე დაიწყეს ბრძოლა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის წარმატებით დამთავრების, ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ ქართველი ხალხი თანაბრად განსახლდება თავის ისტორიულ ტერიტორიაზე და წარმატებასაც მიაღწევს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში“.

„თავისუფალი საქართველოს“ ფურცლებზე ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი ავტონომიის შესახებ. ცხადია, ცენზურაგაუვლელ თავისუფალ პრესაში ქართველი პატრიოტები შეუზღუდავად გამოთქვამდნენ თავის აზრსა და მისწრაფებას, მათ იდეალად მიაჩნდათ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, სუვერენული ეროვნული სახელმწიფოს აშენება. ამასთან, ჟურნალის რედაქციის შეხედულება სახელმწიფოს არსზე არსებითად განსხვავდება მარქსისტულ-ლენინურისაგან. მარქსისტების აზრით, სახელმწიფო გაბატონებული კლასის იარაღია. ეროვნული პარტიების შეხედულებით კი სახელმწიფო ზეკლასობრივი მოვლენაა, ერის არსებობისა და განვითარების ქვაკუთხედია. ისინი არსებითად უარყოფდნენ სახელმწიფოს კლასობრივ ბუნებას. ქართველ ხალხს სახელმწიფოსა და ერის მთლიანობა-განუყოფლობის თეორიას სთავაზობდნენ, მისი რეალიზაციისათვის იბრძოდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი X.

საქართველო პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის მეორე რევოლუციის პერიოდში

ორი სამხედრო ბლოკის ომი და საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების პოზიცია. ეროვნული მოძრაობის რადიკალიზაცია

დიდი სახელმწიფოების დაპირისპირება გავლენის სფეროების განაწილებასა და კოლონიების გადანაწილებასთან დაკავშირებით, XX საუკუნის პირველ ათწლეულში კიდევ უფრო გამწვავდა. მტკიცედ ჩამოყალიბდა ორი სამხედრო ბლოკი. 1914 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე გლობალური წინააღმდეგობანი გადაიზარდა მსოფლიო ომში. საომარი ოპერაციების ძირითადი მონაწილენი იყვნენ ერთი მხრივ ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია, მეორე მხრივ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი. რუსეთის ხელისუფლებამ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. საქართველოდან არმიაში დაახლოებით 200 ათასი კაცი გაიწვიეს. ქართველი ჯარისკაცები რუსეთის იმპერიულ ზრახვებს ეწირებოდნენ გერმანიის, ავსტრიისა და თურქეთის ფრონტებზე.

ყველაზე დიდი, სისხლისმღვრელი ოპერაციები გაიმართა 1914 წლის აგვისტო-ოქტომბერში. ვერც ერთმა ბლოკმა გადამწყვეტ წარმატებას ვერ მიაღწია. ორივე მხარე ცდილობდა გაეზარდა საკუთარი სამხედრო პოტენციალი. არ იშურებდნენ დაპირებებს, ტერიტორიებსა და სხვა სიკეთეს ჰპირდებოდნენ პოტენციურ მოკავშირეებს მოწინააღმდეგე სამხედრო ბლოკის სახელმწიფოთა ხარჯზე. განსაკუთრებით მწვავე დიპლომატიური ბრძოლა გაჩაღდა ოსმალეთის გადაბირებისათვის. გერმანიამ ყველაფერი გააკეთა ამ ბრწყინვალე გეოპოლიტიკური მდებარეობის ქვეყნის თავის მოკავშირედ გადაქცევისათვის და მიზანსაც მიაღწია. 1914 წლის ოქტომბერში ოსმალეთის 500-ათასიანმა არმიამ საომარი ოპერაციები გააჩაღა რუსეთის წინააღმდეგ. საქართველო ფრონტისპირა ქვეყნად გადაიქცა.

რუსეთის 170-ათასიანი არმია ოსმალეთის აღმოსავლეთ ნაწილში შეიჭრა და 7 ნოემბერს პოზიციები დაიკავა ქალაქ ერზერუმის მისადგომებთან,

მაგრამ ვერ გაუძლო თურქეთის გაცილებით მრავალრიცხოვანი ჯარის კონტრშეტევას და უკან დაიხია. 3 დეკემბერს ოსმალთა სარდლობამ ალექსანდროპოლი შეტევა წამოიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის მძიმე ტვირთი, მის მიერ გამოწვეული უბედურება, ხალხის ზურგზე გადადიოდა და, ბუნებრივია, იგი ხოცვა-ჟლეტის მომხრე ვერ იქნებოდა. პოლიტიკურ პარტიებს კი ერთმანეთისაგან განსხვავებული მიზნები გააჩნდათ და მათი დამოკიდებულება ომისა და სამხედრო ბლოკებისადმი არ შეიძლება ერთგვაროვანი ყოფილიყო. რუსეთის ბოლშევიკურმა პარტიამ და მის კვალზე ქართველმა ბოლშევიკებმა ომი და მისი გამჩაღებლები დაგმეს. ისინი არწმუნებდნენ მშრომელ მასას, რომ ორივე მხარეს დაპყრობითი, იმპერიალისტური მიზანი ჰქონდა. ბოლშევიკებმა მოუწოდეს მსოფლიო პროლეტარიატს და ჯარისკაცის ფარაჯაგადაცმულ გლეხებს, იარაღი საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ შეებრუნებინათ, იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად გადაექციათ. ომისადმი დამოკიდებულების საკითხში ბოლშევიკებისაგან არსებითად განსხვავებული პოზიცია დაიკავეს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა: დასავლეთევროპელი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც თავს სახელმწიფოს ჩვეულებრივ მოქალაქეებად, საერთო დემოკრატიის ნაწილად მიიჩნევდნენ, საკუთარი მთავრობის გვერდით დადგნენ, ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს და ყველაფერს აკეთებდნენ ამ დიდ ომში მშობლიური ქვეყნისა და მისი მოკავშირეების გასამარჯვებლად. რუსი და ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) უმრავლესობაც სამშობლოს დაცვის პოზიციაზე დადგა. ქართველი სოციალ-დემოკრატების მხოლოდ მცირე ნაწილს ეუხერხულებოდა „იმპერიალისტური" ომისათვის აშკარა მხარდაჭერა და ნეიტრალიტეტის დაცვას ამჯობინებდა.

მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ „პორაჟენცული" პოზიცია დაიკავა, მაგრამ მისი ასეთი განწყობილების მოტივი და მიზანი არსებითად განსხვავდებოდა ბოლშევიკურისაგან. თუ ბოლშევიკები ომს რევოლუციის კატალიზატორად მიიჩნევდნენ და ომში რუსეთის ცარიზმის დამარცხებას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების წინა პირობად თვლიდნენ, სოციალისტ-ფედერალისტები იმედოვნებდნენ, რომ დიდ სახელმწიფოთა ჭიდილი წყალს დაასხამდა დაპყრობილ-დაჩაგრული ერების წისქვილზე, რუსეთის დამარცხება გააიოლებდა იმპერიის განაპირა ერების გათავისუფლებას, მათი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ასევე მსჯელობდნენ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერებიც.

ეროვნული მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ძალებმა

ომის წლებში ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ტაქტიკა წამოსწიეს წინ. მათი წინადადების თანახმად, უცხოეთში შექმნილ „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ჟენევიდან ბერლინში გადავიდა და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდა დაიწყო ქართველ ტყვეთა შორის. კომიტეტმა ისიც მოახერხა, რომ ტყვეთა კონტინგენტის ერთი ნაწილისაგან ჩამოაყალიბა ქართული ლეგიონი, რომელშიც თავდაპირველად 1500 კაცი ირიცხებოდა, მოგვიანებით კი, გაცილებით მეტი. „დამკომის“ მიერ შედგენილი გეგმის შესაბამისად, ტრაპიზონში გადაყვანილ ამ ლეგიონს მონაწილეობა უნდა მიეღო ქართველთა საყოველთაო ანტირუსულ აჯანყებაში. დამოუკიდებლობის კომიტეტი თვით საქართველოშიც ამოქმედდა. მისი ინიციატივით ქუთაისში ჩატარდა ეროვნულ ძალთა წარმომადგენლების თათბირი, რომლის მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დაუყოვნებლივი ანტირუსული აჯანყების იდეას.

ანტირუსული აჯანყების მომხრენი — მიხეილ წერეთელი და გიორგი მაჩაბელი, რომლებიც ამ დროს დასავლეთ ევროპაში იმყოფებოდნენ, შეხვდნენ გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს. მათ ჰკითხეს გრაფ პურტალესს, დაეხმარებოდნენ თუ არა გერმანია და მისი მოკავშირეები ქართველ ერს სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. საპასუხოდ, გერმანიის მთავრობის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა განაცხადა. რომ გერმანიის პოლიტიკა განისაზღვრება და წარიმართება ქართველთა მიერ დაკავებული პოზიციის შესაბამისად: თუ ქართველები რუსეთის წინააღმდეგ იარაღს აღმართავენ, გერმანია დაიცავს საქართველოს ინტერესებს, მხარს დაუჭერს საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენასო. მიხაკო წერეთელმა ივარაუდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ქართველთა 50-ათასიანი ლაშქარი ამხედრდებოდა. გერმანიის წარმომადგენლებმა ივალდებულეს ამ ლაშქრის შეიარაღება, დაარწმუნეს ქართული მხარე, რომ მაღალხარისხოვანი საომარი საჭურველის ნაწილი უკვე გადატანილი იყო ტრაპზონში და თუ შეთანხმება ოფიციალურად გაფორმდებოდა, იარაღი რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველთა ლაშქარს გადაეცემოდა.

1914 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“, რომელშიც შევიდნენ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის მებრძოლი ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები. კომიტეტის ძირითადი ამოცანა გახდა ქართველთა საყოველთაო ანტირუსული აჯანყების მომზადება. 1914 წლის მიწურულს, შობა-ახალწლის არდადეგების დროს საქართველოში ჩამოვიდნენ რუსეთის უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტები. მათ ჩამოა-

ყალიბეს „გათავისუფლების კომიტეტის“ სტუდენტური ფილიალი, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა ეროვნული აჯანყების იდეის პროპაგანდას. გადამწყვეტი მომენტის დადგომის გამო, სტუდენტებმა გადაწყვიტეს სამშობლოში დარჩენა და ანტირუსულ ომში მონაწილეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლების კომიტეტის შექმნამ და ანტირუსული აჯანყებისათვის მზადებამ, რაც ცნობილი გახდა რუსული დაზვერვისათვის, საფუძველი მისცა დიდმპყრობელ შოვინისტებს აღვირახსნილი კამპანია გაეჩაღებინათ ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ბრალი დაედოთ მისთვის აგრესიულ სეპარატიზმში. აცხადებდნენ, რომ თურქთა ჯარების მოახლოებისთანავე აჭარლები ააფრიალებდნენ ანტირუსული აჯანყების დროშას, ხოლო ქრისტიანი ქართველების აჯანყება გერმანელთა დესანტის გადმოსხდომისთანავე დაიწყებაო. ქართულმა პრესამ ეს ხმები, რა თქმა უნდა, ცილისწამებად გამოაცხადა. ქართულ კულტურულ დაწესებულებათა და პრესის მუშაკთა თათბირმა მკაცრი პროტესტი გამოთქვა ამ პროვოკაციული ჭორის გამო და მისი ოფიციალური უარყოფა მოითხოვა.

ახლა კი შეიძლება იმის თქმა, რომ ქართველი პატრიოტები მართლაც ემზადებოდნენ ანტირუსული აჯანყების, განმათავისუფლებელი ომისათვის. საამისო ხელსაყრელი პირობებიც იქმნებოდა. 1914 წლის ნოემბერში მცირე აზია-კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმიამ მარცხი განიცადა. თურქეთის ჯარები საკმაოდ ღრმად შემოიჭრნენ ბათუმ-ყარსის ოლქების ტერიტორიებზე და კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას დიდი სიძნელეები შეუქმნეს. სწორედ ამ დროს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები ბერლინიდან სტამბულში ჩავიდნენ და თურქეთის მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენლებთან გააფორმეს ხელშეკრულება, რომელშიც ჩაიწერა: თურქეთის მთავრობა ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, ხელს შეუწყობს რუსეთის ჯარისაგან გაწმენდილ მიწაზე საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას. იქვე აღნიშნული იყო, რომ თურქეთი ხელს შეუწყობდა ქართველთა შეიარაღებული რაზმების შექმნას ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან, აგრეთვე ქრისტიანი და მუსლიმანი მოხალისეებისაგან. ხელშეკრულებაში ისიც ჩაიწერა, რომ ქართული ჯარი ანტირუსულ სამხედრო ოპერაციებს თურქეთის არმიის გენერალურ შტაბთან შეთანხმებით განახორციელებდა. ერთი მუხლით თურქეთის ჯარს უფლება ეძლეოდა გამოეყენებინა საქართველოს ტერიტორია სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ იგი საქართველოდან უნდა გაეყვანათ.

კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ კი, თურქთა წარმატების მომენტში, საქართველოს მოსახლეობას მოუწოდა თავისი ხელით დაენგრია

შენობები, გაენადგურებინა ბაღ-ვენახები და ყანები, რათა გამარჯვებულ მტერს მხოლოდ შიშველი მიწა დახვედროდა. თითო-ოროლა ქართველმა მხარი აუბა რუს მოხელეებს, უფრო მეტმა კი გაბედა მათი მოსოლების დაგმობა. რეზო გაბაშვილმა პატრიოტებს შეახსენა, რომ უკვე გაფორმებულია ხელშეკრულებები გერმანიასა და მის მოკავშირეებთან, რომელნიც ქართველ ხალხს, თუ იგი რუსეთის ხელისუფლებას დაუმორჩილებლობას გამოუცხადებს, რეალურ დახმარებას გაუწევენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებაში.

პირველი მსოფლიო ომის წლებში კიდევ უფრო ცხადი გახდა საქართველოს ტრაგიკული მდგომარეობა, ქართველი ერის გაორებული განწყობილება და მოქმედება. იმ დროს, როცა ბევრი ქართველი გენერალი და ოფიცერი, ათიათასობით ჯარისკაცი რუსების გვერდიგვერდ იბრძოდა დასავლეთისა თუ მცირე აზიის ფრონტებზე, ეროვნული მიმართულების პარტიებსა და განთავისუფლების კომიტეტში ორგანიზებული ინტელიგენცია, თანამგრძნობი საზოგადოება ანტირუსულ აჯანყებას აშზადებდა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა-განმტკიცების გეგმას ამუშავებდა. ამ გაორების აღმოფხვრა, ქართველი ხალხის იდეურ-პოლიტიკური გამთლიანება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. სეპარატიზმის და აჯანყების იდეის საფუძველზე ამ პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელი ჩანდა. სინამდვილის (რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში ყოფნა) და სასურველის (ქართული სახელმწიფოს აღდგენა) ერთიანობა მხოლოდ კომპრომისის მეშვეობით, ავტონომიის იდეის საფუძველზე შეიძლებოდა, ბევრ ქართველ მოღვაწეს მიაჩნდა, რომ გლობალური ომის სიძნელეთა ვითარებაში, მეფის ხელისუფლება ანგარიშს გაუწევდა ქართველ ხალხს (რომლის 200 ათასი წარმომადგენელი რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდა და გარეშე მტრების წინააღმდეგ იბრძოდა), უფრო დამთმობი გახდებოდა; თუ ქართველები კატეგორიულად მოითხოვდნენ ეროვნულ თვითმმართველობას, იმპერატორი საქართველოს იმპერიაში შემავალ ავტონომიურ სახელმწიფოს სტატუსს უბოძებდა.

ანტირუსული აჯანყების მოწინააღმდეგეთა ასეთი მსჯელობის საფუძველი თანდათან გამყარდა: მცირე აზია-კავკასიის ფრონტზე ოსმალთა არმიის წარმატება ეპიზოდური აღმოჩნდა. რუსეთის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, დაამარცხეს თურქები და მათი ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი დაიკავეს. ასეთ პირობებში ანტირუსული ომის დაწყება სარისკო გახდა, იდეამ მიმზიდველობა დაკარგა. გერმანია-თურქეთზე ორიენტაციის მომხრეთა რაოდენობა შემცირდა. ეროვნულმა პარტიებმა უარყვეს (დროებით მაინც) სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გეგმა. საქართველოს

ავტონომიური სახელმწიფოს შექმნის პრობლემა კი რუსეთში მოსალოდნელ დემოკრატიულ რევოლუციას, შინაპოლიტიკურ ცვლილებებს დაუკავშირეს, სათანადო მუშაობაც გააჩაღეს, რათა ხელსაყრელ მომენტს მომზადებული შეხვედროდნენ.

ეკონომიკის დაცემა.
ხალხის ცხოვრების დონის დაქვეითება
და სოციალური მოძრაობის ახალი აღმავლობა

რუსეთის იმპერია ომისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ეს ცხადი გახდა ფრონტზეც და ზურგშიც. ომის საჭიროებისათვის დახარჯული მილიარდები მოაკლდა სახალხო მეურნეობას და მისი ისედაც დაბალი დონე კიდევ უფრო დაქვეითდა. ომით გამოწვეულმა სიძნელეებმა დაძაბა მდგომარეობა საქართველოშიც. საწვავისა და ნედლეულის უკმარისობის გამო ფაბრიკა-ქარხნები სანახევრო დატვირთვით მუშაობდნენ. ბევრმა საწარმომ საერთოდ შეწყვიტა არსებობა. საზღვაო გზები გადაიკეტა. შეწყდა მარგანეცის ექსპორტი და, რა თქმა უნდა შეჩერდა მადნის ამოღებაც. ჩაკვდა ფოთის ნავსადგურის კომერციული ცხოვრება. ბათუმი ფრონტისპირა ქალაქი გახდა, რაც უარყოფითად აისახა მის ეკონომიკაზე. მრეწველობასა და ვაჭრობაში დასაქმებული მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი უმუშევარი დარჩა.

ომმა უარყოფითი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობაზეც. სოფლის მოსახლეობის ყველაზე ჯანსაღი ნაწილი ჯარში გაიწვიეს, ამის გამო ყველა დარგში იგრძნობოდა მუშახელის უკმარისობა. საგრძნობლად შემცირდა მარცვლეულის ნათესთა ფართობი და მოსავლიანობა. წარმოების შეკვეცის ტენდენცია შეიმჩნეოდა მევენახეობა-მეღვინეობაში, მეთამბაქოეობასა და მეაბრეშუმეობაში. კიდევ უფრო დაეცა მეცხოველეობა, რომელსაც აჩანაგებდა არა მარტო საკვები ბაზის სიმცირე, არამედ სამხედრო რეკვიზიციებიც. შინაური პირუტყვის რაოდენობა 1914-1916 წლებში 29%-ით შემცირდა.

ომის წლებში გაუჭირდა ფუნქციონირება რკინიგზას, შეფერხდა ტვირთების გადაზიდვა. მოიშალა სამეურნეო-საკავშირო კავშირები იმპერიის სხვადასხვა რეგიონს შორის. პურის ფქვილის შემოზიდვა რუსეთიდან სამხრეთ კავკასიაში თითქმის მთლიანად შეწყდა. განსაკუთრებით გაუჭირდა ქალაქის მოსახლეობას. შიმშილის პირზე აღმოჩნდა მშრომელი მასის დიდი ნაწილი. პროდუქციის გამოშვების შემცირების გამო საყოველთაო მოვლენა გახდა სიძვირე და ინფლაცია. მანეთის კურსი სამი წლის განმავლობაში 4-5-ჯერ დაეცა. ეს მაშინ, როცა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი

თითქმის არ გაზრდილა. გაჭირვებამ ხალხის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მთავრობამ იგრძნო სოციალური აფეთქების საშიშროება, „ძველი კუჭის რევოლუციის“ მოახლოება და შესაბამისი ღონისძიებები გაატარა დაძაბული სიტუაციის განსამუხტავად. ამავე პრობლემაზე მუშაობა დაევალა ადგილობრივ საზოგადოებრივ თვითმმართველობასაც.

რუსეთში ჩამოყალიბდა ერობებისა და ქალაქთა კავშირები. რაკი სამხრეთ კავკასიაში ერობა არ არსებობდა, თბილისის მუნიციპალიტეტის ინიციატივით ჩამოყალიბდა ქალაქთა კავშირი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად თავის ხელთ აიღო ქალაქის მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგების ფუნქცია. 1915 წლის მაისში ჩატარდა ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც დაადგინა: 1) აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ქალაქთა კავშირისათვის გრძელვადიანი კრედიტის გამოყოფის შესახებ; 2) მუნიციპალური საკაჭრო ქსელი მოეწყოს კომერციულ საფუძველზე, რადგან საქონლის გაყიდვა თვითღირებულების მიხედვით საფრთხეს შეუქმნის თავისუფალ ვაჭრობას; 3) სიძვირესთან ბრძოლაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ კოოპერატივებმა, ამიტომ აუცილებელია გაეწიოს მათ ფინანსური დახმარება.

აღნიშნულ და სხვა გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა, მაგრამ სამეურნეო ნგრევისა და სიძვირის ზრდის ტენდენცია ვერ აღმოიფხვრა. თბილისის პოლიცმეისტერი ზდანევსკი 1915 წლის დეკემბერში ზემდგომ ინსტანციას აუწყებდა: ცხოვრება ქალაქში შეუწყვეტლივ ძვირდება. ვაჭართა მტაცებლურმა სიხარბემ და მომხმარებელთა ტანჯვა-წამებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენა ისეთ დიდ გაჭირვებას განიცდის, რომ იძულებულია ყველაფერი დათმოს და მხოლოდ „პური არსებობისა“ შეიძინოს.

სურსათ-სანოვაგის სიმცირისა და ყოველთვიურად მზარდი სიძვირის გამო სამხრეთ კავკასიის ქალაქებში გახშირდა ე. წ. სასურსათო „ბუნტები“. თბილისს დამშეულ მოქალაქეთა მღელვარების ტალღამ 1916 წლის ივლისის დამდეგს გადაუარა. სხვადასხვა უბანში დაარბიეს ბაზრები, საწყობები, სასურსათო მაღაზიები, დუქნები. საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად ამოქმედდა ქალაქის პოლიცია. გაიმართა პოლიციელთა და დამშეულ მოქალაქეთა ხელჩართული ჩხუბი. დააპატიმრეს 333 კაცი — „ძარცვა-რბევაში“ მონაწილე მეეზოვეები, ქალები, ბავშვები. თბილისში მომხდარ სასურსათო ბუნტს გამოძახილი ჰქონდა ბათუმში, ქუთაისში, გორში და სხვა ქალაქებში. მშვიდად არც სოფლის ღარიბი მოსახლეობა იყო. სასურსათო „ბუნტი“, რა თქმა უნდა, სოციალური ბრძოლის ცივილიზებული ფორმა არ არის, მაგრამ ლენინსა და ბოლშევიკებს შესაძლებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაჩნდათ ასეთი სტიქიური გამოსვლებიც გამოეყენებინათ რევოლუციური სიტუაციის შესაქმნელად, სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად.

მუშათა ტრადიციული საგაფიცვო მოძრაობა ომის წლებშიც გრძელდებოდა და კიდევ მეტ სიმწვავეს იძენდა. 1915 წლის აგვისტოში ტყიბულელი მეშახტეები გაიფიცნენ. აქციონერული საზოგადოება „ნახშირას" მოსთხოვეს 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესება, ხელფასის 30-40%-ით გაზრდა, მუშებისათვის იაფი სასადილოს გახსნა, მუშათა კომისიის თანხმობის გარეშე მეშახტეთა დათხოვნა-შემცირების აკრძალვა. „ნახშირა" იძულებული გახდა სამუშაო დღე 8 საათით განესაზღვრა და ხელფასიც რამდენადმე გაედიდებინა. 1916 წელს საქართველოს მუშათა კლასმა მოაწყო 68 გაფიცვა, რომლებშიც 21500 კაცი მონაწილეობდა.

მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობას თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია ამართლებდა. სოციალისტ-ფედერალისტებსა და ეროვნულ-დემოკრატებს მშვიდობიანი სოციალური ბრძოლის ეს ფორმა მიაჩნდათ შრომისა და კაპიტალის ურთიერთობათა დარეგულირების, სოციალური სამართლიანობის მიღწევის ძირითად საშუალებად. სხვაგვარად ჰქონდათ გააზრებული მუშათა გაფიცვების მნიშვნელობა სოციალ-დემოკრატებს. ბოლშევიკების აზრით, გაფიცვებსა და დემონსტრაციებს უნდა მოემზადებინა პირობები შეიარაღებული აჯანყებისათვის, რომლის გარეშე რევოლუციის გამარჯვება შეუძლებლად მიაჩნდათ. მენშევიკები კი პირველი რევოლუციის გამოცდილების ანალიზმა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შეიარაღებული აჯანყება და ბრძოლა შეცდომა იყო (პლეხანოვი). ქართველი სოციალ-დემოკრატების აზრითაც, დემოკრატიულ რევოლუციას გამარჯვებამდე მიიყვანდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელსაც მხარს დაუჭერდა ყველა მზარდი, განვითარებული კლასი და სოციალური ფენა, მათ შორის ინტელიგენცია. ისინი დიდ იმედებს ამყარებდნენ აგრეთვე ბურჟუაზიულ ოპოზიციაზე, რომელიც საერთო დემოკრატიის ნაწილად მიაჩნდათ.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია და პოლიტიკური ვითარება საქართველოში

ომის წლებში სამხედრო შეკვეთების წყალობით მიღებულმა დიდმა შემოსავალმა საგრძნობლად გაზარდა რუსეთის ბურჟუაზიის ეკონომიკური ძალა და შესაბამისად, პოლიტიკური გავლენაც. ამ კლასის ბასტიონად გადაიქცა ერობა და საქალაქო თვითმმართველობა. ერობათა და ქალაქთა კუშირი ახერხებდა ადგილობრივ თვითმმართველობათა გარსშემოკრებილ ბურჟუაზიულ მოღვაწეთა საქმიანობის საიმპერიო მასშტაბის კოორდინაციას და ოპოზიციური მოძრაობის გაფართოებას.

1915 წელს დასავლეთის ფრონტზე განცდილი მარცხის შემდეგ რუსეთის მეფე და მისი მთავრობა იძულებული გახდნენ შერიგებოდნენ ერობათა და ქალაქთა კავშირის არსებობას, მეტი ფუნქციები გადაეცათ მისთვის. მაგრამ ორი ძალის ნდობაზე დამყარებული თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მათ შორის მთელ რიგ საკითხებზე უთანხმოება გამოიკვეთა. ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ ცარისტულ ხელისუფლებას აუცილებელი რეფორმების გატარების სურვილი და უნარი არ ჰქონდა, არც ომის გამარჯვებამდე მიყვანა შეეძლო. საერობო და მუნიციპალური ოპოზიცია გააქტიურდა, შედარებით უფრო რადიკალური გახდა. ბურჟუაზიულმა პარტიებმა სახელმწიფო სათათბიროში ჩამოაყალიბეს „პროგრესული ბლოკი", რომელმაც მიზნად დაისახა ე. წ. „ნდობის" მინისტრთა კომიტეტის შექმნა. ბურჟუაზია დიდ პრეტენზიებს თითქოს არ აცხადებდა. იმპერატორისაგან მოითხოვდა მხოლოდ ძალაუფლების მისთვის გაზიარებას. ოპოზიციას საკმარისად მიაჩნდა მინისტრთა საბჭოში რამდენიმე ადგილის მიღება, პოლონეთისა და ფინეთის პოლიტიკური ავტონომიების აღიარება, პროფესიული კავშირებისა და მუშური პრესის ლეგალიზაცია, რის შემდეგაც, მისი აზრით, რამდენადმე აღმოიფხვრებოდა ერებსა და კლასებს შორის არსებული წინააღმდეგობა, იმპერიაში დამყარდებოდა შინაგანი მშვიდობიანობა. „პროგრესული ბლოკის" წევრებმა მოითხოვეს აგრეთვე ფაქტობრივად უკვე ჩამოყალიბებულ ერობათა და ქალაქთა კავშირის არსებობის დაკანონება.

პროგრესული ბლოკის მხარდაჭერამ ერობათა და ქალაქთა კავშირს ძალა და გამბედაობა შემატა. 1916 წლის 14 სექტემბერს ამ ორივე კავშირის გაერთიანებულმა ყრილობამ მოითხოვა სახელმწიფოს მართვა-გაგმეობაში ბურჟუაზიის წარმომადგენელთა დაშვება, სახელმწიფო სათათბიროს (პარლამენტის) წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის ჩამოყალიბება.

ნიკოლოზ II არჩევანის წინაშე დადგა: ან გაეგრძელებინა ომი და მოახლოებულ რევოლუციასაც გამკლავებოდა, ან სეპარატული ზავი დაედო გერმანიასთან, ამით დაწყნარებინა ომით დაღლილი ხალხი და ჯარისკაცთა მასა. 1916 წლის ბოლოს მეფემ ნაბიჯი გადადგა სეპარატული ზავისაკენ, რამაც ანტანტის და რუსეთის ბურჟუაზიის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მალე ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა ბრძანებას სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის შეჩერების შესახებ. ამის საპასუხოდ „პროგრესულმა ბლოკმა", რომელსაც ინგლის-საფრანგეთის ხელისუფალთა მხარდაჭერა ამხნევებდა, მიზნად დაისახა სასახლის გადატრიალების გზით მეფის შეცვლა (ნიკოლოზ II-ის გადაყენება, ტახტზე მიხეილ II-ის აყვანა) და ახალი მთავრობის შექმნა. მაგრამ ვერც ნიკოლოზ II-მ მოასწრო თავისი გეგმის შესრულება და ვერც პროგრესულმა ბლოკმა. ვიდრე ზედაფენების ურთიერთსაწინააღმდეგო

შეთქმულებები რეალობად იქცეოდა, ქვედაფენების რევოლუციური მოძრაობა აზვირთდა. მთავარი და გადამწყვეტი მოვლენები ამჯერად პეტროგრადში განვითარდა. 1917 წლის 25 თებერვალს დედაქალაქის მშრომელთა და პროგრესულად განწყობილი სხვა ფენების პოლიტიკურმა გაფიცვა-დემონსტრაციამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. 27 თებერვალს რევოლუციის მხარეს გადავიდა პეტროგრადის გარნიზონის 66 ათასი ჯარისკაცი. 28 თებერვალს სახალხო რევოლუციას გვერდით ამოუდგა 170 ათასი ჯარისკაცი. ამ ამბებით თავზარდაცემული ნიკოლოზ II ტახტიდან ნებაყოფლობით გადადგა. დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

პირველი რიგის ამოცანად გადაიქცა დემოკრატიული ხელისუფლების შექმნა. პირველ დღეებში მოვლენათა განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა მომენტალურად ჩამოყალიბებული მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. თითქმის მთლიანად მათ ხელში იყო ძალაც და უფლებაც. სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს), რომელნიც ესერებთან ერთად, უმრავლესობას შეადგენდნენ საბჭოებში, ეს ფაქტი ისტორიულ კანონზომიერებათა დარღვევად მიაჩნდათ. ისინი აცხადებდნენ, რომ რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულია და ხელისუფლებას მუშათა საბჭოები კი არა, ბურჟუაზია უნდა დაეპატრონოსო. ამის გარეშე, მათი აზრით, რევოლუციის მონაპოვარი გაქრებოდა. 1917 წლის 1-ლ მარტს პეტროგრადის საბჭომ (რომლის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე იყო) დაადგინა, რომ სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის ნება-სურვილზე მიენდო მთავრობის ჩამოყალიბება და სამაგიეროდ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისაგან მოეთხოვა: 1) სრული ამნისტიის გამოცხადება, ყველა პოლიტიკური პატიმრის გათავისუფლება; 2) სიტყვის, კავშირების შექმნისა და გაფიცვების თავისუფლების დაკანონება; 3) ყველა წოდებრივ, ნაციონალურ და რელიგიურ შეზღუდვათა გაუქმება; 4) პოლიციის შეცვლა სახალხო მილიციით; 5) ადგილობრივი თვითმმართველობების სრული დემოკრატიზაცია.

ჩამოყალიბდა რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა, მაგრამ მან სიტუაციის სრული კონტროლი ვერ შეძლო. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმაც შეინარჩუნეს ძალაუფლება. რამდენიმე ხნით თითქოს დაკანონდა ორხელისუფლებიანობა. ზედაფენები მხოლოდ მთავრობას აღიარებდნენ, ქვედაფენები ძირითადად საბჭოებს უჭერდნენ მხარს.

ცარიზმის დამხობას, დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას სიხარულით შეხვდა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. პირველი დღეებიდანვე პოლიტიკური საქმიანობისათვის ტონის მიმცემი გახდა თბილისის მუშათა საბჭო. მაგრამ მან მალე ხელისუფლება მოსახლეობის სხვა ფენებსაც გაუზიარა. ჩამოყალიბდა თბილისის დროე-

ბითი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდა ხუთ-ხუთი წარმომადგენელი მუშათა საბჭოს, ჯარისკაცთა საბჭოსა და საქალაქო სათათბიროსაგან. ამგვარი აღმასრულებელი კომიტეტები ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიის ყველა გუბერნიაში, თუმცა ისინი რუსეთის დროებით მთავრობას ოფიციალურად არ უცნია.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისათვის ჩამოაყალიბა „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი" (ოზაკომი), რომელშიც შეიყვანეს კადეტთა პარტიის წევრები (სათათბიროს დეპუტატები) ვ. ხარლამოვი და მ. ბაბაჯანოვი, მუსავატური პარტიის წევრი მ. ჯაფაროვი, სოციალისტ-ფედერალისტი კ. აბაშიძე და სოციალ-დემოკრატი ა. ჩხენკელი. ვიდრე ისინი თავის ფუნქციების შესრულებას შეუდგებოდნენ, ჩატარდა ამიერკავკასიის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც აირჩია მხარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. მაგრამ ყრილობამ მას ურჩია არ დაპპირისპირებოდა დროებით მთავრობას, ხელი შეეწყო ოზაკომის საქმიანობისათვის. მართალია, სამხრეთ კავკასიის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებად საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტები აღიარეს, მაგრამ ოზაკომმა მათი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის საგუბერნიო კომისრები დანიშნა.

მხარე გაიწმინდა მეფის მთავრობის ხელისუფალთაგან: მეფისნაცვალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი პეტროგრადში გაიწვიეს. თბილისისა და ქუთაისის გუბერნატორები გადადგნენ, მაზრის უფროსები გადააყენეს, ზოგი მათგანი დააპატიმრეს კიდეც. ახალი ხელისუფლების ორგანოებმა დაიწყეს ფუნქციონირება, მაგრამ რევოლუციურ ორგანოებად კვლავ თვლიდნენ თავს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, რომელნიც თითქმის ყველა რეგიონში ოზაკომის და საგუბერნიო კომიტეტების აპარატის პარალელურად საქმიანობდნენ.

რევოლუციის პირველ კვირებსა და თვეებში წინააღმდეგობა კლასებს შორის საგრძნობლად შესუსტდა. ბურჟუაზიული და მუშურ-გლეხური დაწესებულებები შეთანხმებულად მოქმედებდნენ. თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია ცდილობდა არ დაეშვათ საერთო დემოკრატიის გათიშვა, რადგან ეს წყალს დაასხამდა რეაქციონერებისა და ბოლშევიკების წისქვილზე. სოლიდარობა ჩანდა თბილისის საქალაქო სათათბიროსა და თბილისის მუშათა საბჭოს საქმიანობაში. ეროვნულ პარტიებს და სოციალისტ-ფედერალისტებს თბილისის მუნიციპალიტეტი მიაჩნდათ ქალაქის მმართველ ძალად და მუშათა საბჭოს მის დამხმარე ფუნქციას აკისრებდნენ. ასეთივე სიტუაცია იყო საქართველოს სხვა თვითმმართველ ქალაქებში. მუშათა საბჭოები

თავის ძირითად ფუნქციად მიიჩნევდნენ რევოლუციური ზემოქმედება მოეხდინათ ოზაკომსა და აღმასრულებელ კომიტეტებზე და ამით უზრუნველყოთ დემოკრატიის სრული გამარჯვება, ქვედაფენების ინტერესების დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხობა პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე ნაკლებად ჩანდა. მაგრამ აგრარული მოძრაობა ახალი ძალით და თანაც იმედიანად გაჩაღდა. ძირითადი მოთხოვნა გახდა ბატონყმობის ნაშთების მოსპობა, მსხვილი მამულების კონფისკაცია, მიწების სამართლიანი გადანაწილება და საკუთრებაში დამტკიცება. ოზაკომი და აღმასრულებელი კომიტეტები ანგარიშს უწევდნენ გლეხობის მოთხოვნებსა და ინტერესებს, ადგენდნენ სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარების პროგრამა-გეგმებს.

საგუბერნიო (აგრეთვე სამაზრო) კომისრებსა და ადგილობრივ არჩევით ორგანოებს შორის რევოლუციის დემოკრატიულ ხასიათზე აზრთა სხვადასხვაობა თითქმის არ არსებობდა. მაგრამ დავა-კამათი მიმდინარეობდა უფლება-კომპეტენციის გამიჯვნასთან დაკავშირებით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მეტ დამოუკიდებლობას, თვითმოქმედების თავისუფლებას მოითხოვდნენ. საგუბერნიო და სამაზრო კომისრები კი ადგილებზე ანარქიული სიტუაციის შექმნას დემოკრატიულ ძალთა თვითნებობით ხსნიდნენ და თავიანთი ერთპიროვნული ხელისუფლების კიდევ უფრო გაძლიერება-გაფართოების საკითხს აყენებდნენ. ერთი სიტყვით, საერთო დემოკრატიაში შიდაუთანხმოება არსებობდა. შეძლებული კლასებისა და დაბალი მასის ინტერესები არცთუ იშვიათად ერთმანეთს უპირისპირდებოდა. ინტერესთა სხვადასხვაობა აშკარად იჩენდა თავს კომისიების დანიშვნის, თვითმმართველობის განმკარგულებელი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევის დროს. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ყოფილი მოხელეები, ვაჭარ-მრეწველები, მდიდარი გლეხები და მოსახლეობის დაბალი ფენების წარმომადგენლები. ბურჟუაზიული ფენების მომრავლება მმართველობის ორგანოებში, მართალია, არ ეწინააღმდეგებოდა თებერვლის რევოლუციის სოციალ-პოლიტიკურ ხასიათს, მაგრამ ბოლშევიკური პროპაგანდით გაბრუებული მშრომელი მასის ერთ ნაწილს საქალაქო და სასოფლო თვითმმართველობაში ყოფილი მოხელის, მამასახლისის, მედუქნის, პოლიციელის გასვლა ანაქრონიზმად მიაჩნდა, მოითხოვდა ამ ორგანოებში მუშების, გლეხებისა და მათი ინტერესების გამომხატველი ინტელიგენტების არჩევას.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „თანამედროვე აზრის" რედაქცია წერდა: „კარგად უნდა დავიმახსოვროთ დღევანდელი დიდი რევოლუციის ნიშანდობლივი ხასიათი. ის სწარმოებს პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის საერთო ხელმძღვანელობით. მაშასადამე ამ ძალების გათიშვა გზას გაუხსნის რეაქციას და კონტრრევოლუციას". იმავე გაზეთის აზრით, ხელი-

სუფლებას რევოლუციის შემოქმედი ძალები უნდა დაუფლებოდნენ; ადგილობრივ თვითმმართველობაში ორივე ჯგუფის თანაბარი წარმომადგენლობა უნდა ყოფილიყო არჩეული. ქართული სოციალ-დემოკრატიისა და ეროვნული მიმართულების პარტიების ნაყოფიერი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ ბოლშევიკები საქართველოს მუშათა საბჭოებსა და გლეხთა კომიტეტებში უმცირესობას წარმოადგენდნენ. ბოლშევიკთა ექსტრემისტულ საქმიანობას ფრთები ჰქონდა შეკვეცილი. ბურჟუაზიულიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის თეორიას, მის შესაბამის აგიტაცია-პროპაგანდას საქართველოში თითქმის არავინ ეთანხმებოდა.

1917 წლის აპრილში გამოქვეყნდა ოზაკომის მიმართვა და მოწოდება მოსახლეობისადმი. ამ დოკუმენტის ავტორები ხალხს აუწყებდნენ, რომ სასამართლო რეფორმის გასატარებლად შეიქმნა სპეციალური საბჭო, გზებისა და ტრანსპორტის წესრიგში მოსაყვანად იმუშავებს განსაკუთრებული კომისია, ხოლო საადგილმამულო საკითხის გადაჭრა დაევალა საგანგებო კომიტეტს: ოზაკომი ხალხს ურჩევდა, შეეწყვიტა თვითნებური და ძალადობრივი მოქმედება, ხელი არ ეხლო „სხვისი საკუთრებისათვის", დალოდებოდა დამფუძნებელი კრების მოწვევას, ახალი კანონების დამტკიცებას, გათვალისწინებული რეფორმის გატარებასა და შედეგებს.

დაპირებებს საგრძნობლად ჩამორჩებოდა რეალობა, რაც მასის უკმაყოფილებას იწვევდა და წყალს ბოლშევიკების წისქვილზე ასხამდა. ვლადიმერ ლენინი აცხადებდა, რომ ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ინტერესები დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, დემოკრატიული რევოლუციის „ჰეგემონს" — მუშათა კლასს შეუძლია დამყარება პროლეტარიატის დიქტატურისა, რომლის სახელმწიფოებრივი ფორმა საბჭოების რესპუბლიკა იქნებაო. ბოლშევიკების პარტიაში დემაგოგიური და ექსტრემისტული სტილი გაბატონდა. ძირითადი მიზანი გახდა არა პროლეტარიატის ხელისუფლების, არამედ ბოლშევიკურ პარტიის (უფრო სწორად, ერთი მუჭა ლიდერების) დიქტატურის დამყარება. ბოლშევიკების პარტია კარგად იყენებდა მშრომელი მასის გაჭირვებას, უკმაყოფილებას, მუშებისა და გლეხების ხელით აპირებდა ნარის გლეჯას, ხელისუფლების დაუფლებას, ერთპარტიული დიქტატურის დამყარებას.

ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ინტერპარტიული საბჭოს საქმიანობა

პირველი რევოლუციის მიმდინარეობისას ფართოდ გაშლილი მოძრაობა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, არც რეაქციის წლებში შეწყვეტილა. „ავტოკეფალისტთა საზოგადოების" საქმიანობა უფ-

რო გააქტიურდა და რადიკალური გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოდან გაიწვიეს ლიბერალი ეგზარქოსი ნიკოლოზი და მის ადგილზე ჩასვეს პირწავარდნილი შოვინისტი და რუსიფიკატორი ნიკონი. მან რამდენჯერმე მიიღო გამაფრთხილებელი წერილი; ურჩევდნენ რუსეთში გაბრუნებულიყო, უარი ეთქვა მისთვის საძულველი ხალხის მწყემსმთავრობაზე – თუ ეგზარქოსის თანამდებობას არ დატოვებ, შედეგისათვის პასუხს არ ვაგებთო. ნიკონმა არ მიიღო რჩევა, პირიქით, გააძლიერა რეპრესიები. მისი წინადადების თანახმად სინოდმა რუსეთში გაიწვია (გადაასახლა) ავტოკეფალისტთა ლიდერი ეპისკოპოსი კირიონი და იგი უბრალო ბერად განამწესა კურიაჟის მონასტერში. ამით აღშფოთებულმა ქართველმა სამღვდელოებამ რუსეთის სინოდისაგან მოითხოვა: 1) საქართველოდან რუსი ეგზარქოსის (ნიკონის) გაწვევა და გადასახლებული კირიონის სამშობლოში დაბრუნება; 2) საქართველოს ეკლესია-მონასტრებში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის დაკანონება; 3) სასულიერო სასწავლებლების დირექტორებად ქართველების დანიშვნა. თუ სინოდი ამ სამართლიან მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს, საჩივარი მსოფლიო საეკლესიო კრებას გაეგზავნებაო.

სინოდმა დუმილი ამჯობინა... მხარეთა ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. 1908 წლის 29 მაისს ეგზარქოსი ნიკონი თავისსავე ბინაში მოკლეს. პოლიცია თითქმის დარწმუნებული იყო, რომ მკვლელობა ავტოკეფალისტთა მიერ იყო ორგანიზებული, მაგრამ კონკრეტული დამნაშავე ვერ გამოავლინა.

მცირე ხნის შემდეგ, ქართველმა მღვდელმთავრებმა თხოვნა-საჩივრები გაგზავნეს უცხოელი პატრიარქებისა და მსოფლიო საეკლესიო კრების მისამართით. ამ დოკუმენტებში მხილებული იყო რუსეთის ხელისუფლების მოძალადე პოლიტიკა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის უსამართლოდ გაუქმების ფაქტი, რუსი ეგზარქოსისა და ეპისკოპოსების რუსიფიკატორული, ანტიქართული საქმიანობა. საჩივრებში ისიც იყო აღნიშნული, რომ ქართველი ხალხი თითქმის საუკუნეა იბრძვის ამ უმსგავსოებათა წინააღმდეგ, რუსეთის მთავრობა კი არაფერს ცვლის, არ ფიქრობს ქართველთა კანონიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას; ამიტომ, გთხოვთ ჩაერიოთ კონფლიქტში და საკითხი გადაწყვიტოთ ქრისტიანული კანონიკური სამართლის საფუძველზეო. მაგრამ მსოფლიო საეკლესიო კრება და პატრიარქები რუსეთის „საშინაო საქმეებში" ჩარევას მოერიდნენ. გარედან დახმარებაზე იმედის დამყარება ფუჭი ოცნება აღმოჩნდა. მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა საკითხის დადებითად გადაჭრის პირობები.

საქართველოს სამღვდელოებამ კარგად გამოიყენა ცარიზმის დამხობის მომენტი. 1917 წლის 12 მარტს მღვდელმთავრებმა სვეტიცხოვლის ტაძარში

შეკრებილი მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე საზეიმოდ გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა, ავტოკეფალიის აღდგენა. მომხდარი ფაქტის წინაშე დამდგარი რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული გახდა დაედასტურებინა ქართველი სამღვდელოების ეს დადგენილება, მაგრამ სინოდის რჩევით რუსეთისა და საქართველოს მრევლს აუწყა, რომ ქართული ავტოკეფალიური ეკლესიის კანონიკური უფლებები მხოლოდ ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებზე ვრცელდება, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები რუსებისა და სხვა ეროვნებათა ეკლესიები თავ-თავისი მრევლით სინოდის მფარველობა-გამგებლობაში დარჩებიანო.

რუსეთის დროებითი მთავრობისა და სინოდის ამგვარმა მანევრმა ქართველი სამღვდელოება და საერონი აღაშფოთა. საქართველოს ავტოკეფალიურმა ეკლესიამ ამის შემდეგ მშვიდობიანი ბრძოლა განაგრძო თავისი უფლება-კომპეტენციის გაფართოებისათვის. 1917 წლის 8-17 სექტემბერს გაიმართა სრულიად საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის კრება, რომელსაც საერო მოღვაწენიც ესწრებოდნენ. კრებამ შეიმუშავა საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩია ეპისკოპოსი კირიონი.

ქართველი ერი სიხარულით შეხვდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და კიდევ უფრო მხნედ შეიმართა სრული ეროვნული თავისუფლების, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის საბრძოლველად. რუსეთის მთავრობა კი არ ჩქარობდა საერთო სახელმწიფო მასშტაბით ეროვნული საკითხის გადაწყვეტას. იგი ფაქტობრივად კვლავ იცავდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ხანმოთუულ დოქტრინას. ამიტომ, დემოკრატიულ თავისუფლებათა დამკვიდრების შემდეგ ყოფილი იმპერიის განაპირა ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ზენიტს მიუახლოვდა, კიდევ უფრო გამრავლდა ეროვნულ-კულტურული დაწესებულებები, ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები. თითქმის ყველგან ჩამოყალიბდა ეროვნული საბჭოები, რომლებმაც მიზნად დაისახეს პარლამენტის სტატუსის მოპოვება და მის წინაშე პასუხისმგებელი ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბება.

გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიები. ომისა და რევოლუციის პერიოდში ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ შედარებით მეტი ყურადღება მიაქცია ეროვნულ საკითხს, მაგრამ მისი ვერც ერთი ფრაქცია ვერ გასცილდა ერთა თვითგამორკვევის უფლების თეორიულ აღიარებას. მათ მიერ პროპაგანდირებული საოლქო ავტონომია და ეროვნულ-კულტურული თვითმმართველობა უფლებამოსილებით დიდად რიდი აჭარბებდა ცარიზმისდროინდელ ადგილობრივ (საერობო და საქალაქო) თვითმმართველობას.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების პოზიცია. ამ ერთხანს თითქმის მთლიანად უარყვეს პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროს აღებული დასავლური ორიენტაცია, საზღვარგარეთულ ძალებზე დაყრდნობის ტაქტიკა და საქართველოს უკეთესი მომავალი, ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის პრობლემა რუსეთის განახლების პროცესს დაუკავშირეს. გააძლიერეს ავტონომია-ფედერაციის იდეათა პროპაგანდა და აქტიურად მონაწილეობდნენ საერთო-რუსულ თათბირებში. ცდილობდნენ გონივრულ დათმობებზე წაეყვანათ დროებითი მთავრობა, უზრუნველეყოთ რეორგანიზაცია რუსეთის ფედერაციულ საწყისებზე, მის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს შექმნა. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერები – გრიგოლ რცხილაძე, თედო ღლონტი და სხვანი, დამაჯერებლად ასაბუთებდნენ, რომ თვით დიდი რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვდა განაპირა ქვეყნებისათვის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსის მინიჭებას, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას. არწმუნებდნენ ყველას, რომ ქართველი ხალხი სავსებით მომზადებული იყო ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის და ავტონომიური საქართველო ფედერაციული რუსეთის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დამოუკიდებელ პარტიად ყალიბდება. 1917 წლის ივნისში გაიმართა დამფუძნებელი ყრილობა. პატრიოტთა ამ ფორუმმა ჯერ კიდევ არ მიიჩნია მიზანშეწონილად აშკარა სეპარატისტულ პოზიციაზე დადგომა, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყება. დელეგატთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს ფარგლებში საქართველოს ფართოპოლიტიკურ ავტონომიას, რომლის კომპეტენციაში იქნებოდა ქვეყნის შინაგანი მმართველობის ყველა სფერო. დამფუძნებელ ყრილობაზე დებატების საგანი გახდა პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ამირეჯიბის განცხადება იმის შესახებ, რომ ახლად ჩამოყალიბებული ეროვნულ-დემოკრატთა გაერთიანება იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტია. ყრილობის უმრავლესობის აზრით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი. იგი ეროვნულ-ხალხური, ზეკლასობრივი, მთელი ქართველი ერის ინტერესების დამცველი პარტია უნდა ყოფილიყო. ეს უმრავლესობა კატეგორიულად უარყოფდა კლასობრივი ბრძოლის თეორიას, შესაძლებლად მიაჩნდა სოციალურ ურთიერთობათა დარეგულირების გზით კლასობრივი ანტაგონიზმის

მინიმუმამდე შესუსტება და ერის ყველა სოციალურ ძალთა გაერთიანება ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნილ სიტუაციაში საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტია (გარდა ბოლშევიკურისა) მხარს უჭერდა დაპირისპირებულ კლასთა კომპრომისს, პარტიების ეროვნულ ნიადაგზე დადგომას. ამგვარი აზროვნების შედეგი იყო „ინტერპარტიული საბჭოს" ჩამოყალიბება. ამ გაერთიანების შექმნისათვის პირველი სხდომა ჩატარდა 1917 წლის აპრილის დამდეგს. სოციალისტ-ფედერალისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ მიზნად გამოაცხადეს ერთიანი ეროვნული პროგრამის შემუშავება. კიდევ უფრო ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი პარტიები 18 აპრილს გამართულ თათბირზე. სოციალ-დემოკრატებმა ამჯერადაც სცადეს ცენტრალიზმის პრინციპის დაცვა, ავტონომიის უარყოფა, მაგრამ სამიოდე თვის შემდეგ სოციალ-დემოკრატიაც პოლიტიკური ავტონომიის მომხრეთა რიგებში ჩადგა.

1917 წლის სექტემბერში უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებულმა ინტერპარტიულმა საბჭომ დელეგაცია გაგზავნა პეტროგრადში და საერთო-სარუსეთო დემოკრატიულ თათბირზე ქართველი ხალხის სახელით გამოსვლა აკაკი ჩხენკელს დაავალა. ამ უკანასკნელმა თათბირის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ ეროვნულ საკითხზე ქართველ ხალხს, მის პოლიტიკურ პარტიებს უკვე აქვთ საერთო აზრი. ისინი მოითხოვენ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ, პოლიტიკურ ავტონომიას, რაშიც 1801 წელს დარღვეულ ისტორიულ უფლებას და სამართლიანობის პრინციპს ემყარებიანო.

ფედერაციისა და ავტონომიის პრინციპების შესაბამისად, ჩაგრული ერების თვითგამორკვევის უფლებაზე თათბირის მონაწილე რუს დელეგატებსაც არ უთქვამთ უარი, მაგრამ ფაქტია, რომ იმ მომენტში ეროვნული საკითხის გადასაჭრელად არაფერი გაკეთებულა. რუსეთის დროებითმა მთავრობამ კი განაპირა ქვეყნებისათვის ავტონომიური სტატუსის მინიჭება გამოაცხადა პრეროგატივად დამფუძნებელი კრებისა, რომელიც უნდა მოწვეულიყო 1918 წლის იანვარში.

საქართველო ამიერკავკასიის მომენტალური სახელმწიფოს შემადგენლობაში (1917 წლის ნოემბერი – 1918 წლის მაისი)

1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკურმა პარტიამ ფართო აგიტაცია-პროპაგანდა გააჩაღა სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის მოწვევისათვის, რადგან მხოლოდ მშრომელი რუსეთის ამ წარმომადგენლობით კრებას შეეძლო, მისი აზრით, გამოეცხადებინა და დაეკანონები-

ნა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის გარეკვა, მთელი ძალაუფლების მუშათა საბჭოების ხელში გადასვლა. პარტიის მოწოდებას ქართველ ბოლშევიკებიც გამოეხმაურენ, მაგრამ არსებით წარმატებას ვერ მიაღწიეს. თბილისის საბჭოს ესერულ-მენშევიკურმა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა საბჭოების მეორე ყრილობის მოწვევას და ბოლშევიკების ექსტრემისტულ გეგმას.

მზარდი სასურსათო კრიზისი და ხალხის ცხოვრების დონის დაქვეითება ბოლშევიკების წისქვილზე ასხამდა წყალს. მუშებმა დაიწყეს ბურჟუაზიის დატერორება, წარმოებისა და განაწილების სფეროში აქტიური ჩარევა. მუშური კონტროლის ორგანოების შექმნა, მაგრამ ლენინს ესეც არ მიაჩნდა საკმარისად. მისი აზრით, აუცილებელი იყო ბანკების, სინდიკატების და სხვა მონოპოლისტურ გაერთიანებათა ნაციონალიზაცია, მსხვილ მემამულეთა ექსპროპრიაცია და მიწის გლეხთა რევოლუციური კომიტეტების განკარგულებაში გადაცემა. ბოლშევიკების ლიდერი არწმუნებდა მშრომელ მასას, რომ მისი ინტერესები მოითხოვდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას.

1917 წლის ოქტომბრის ბოლოს რუსეთის სოციალურ ძალთა და პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგობა სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ბოლშევიკთა მოწოდებებს აჰყვა პეტროგრადისა და რუსეთის ზოგი სხვა ქალაქის პროლეტარიატი, მუშათა გვარდია და არმიის ერთი ნაწილი. მრავალპარტიული დემოკრატიისაგან გამოთიშულმა ბოლშევიკებმა გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტი, დაამხეს დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და დაეუფლნენ ხელისუფლებას. ლენინის მიერ შექმნილმა სახალხო კომისართა საბჭომ ორიოდე თვეში ძალაუფლება რუსეთის დიდ ნაწილზე გაავრცელა.

ბოლშევიკური გადატრიალების ფაქტი თბილისში უკვე 26 ოქტომბერს გახდა ცნობილი. საქართველოს მშრომელი მოსახლეობის მცირე ნაწილი თანაგრძნობით შეხვდა „რევოლუციის გაღრმავებას“, რუსეთში საბჭოების ხელისუფლების დამყარებას. ქართველმა ბოლშევიკებმა პასიური სოლიდარობა არ იკმარეს, მშრომელ მასას რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსათვის შეიარაღებული მხარდაჭერა მოსთხოვეს.

ბოლშევიკურ გადატრიალებაზე სხვაგვარი რეაგირება მოახდინა საქართველოს მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა და პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ. ოქტომბრის მიწურულს გაიმართა თბილისის მუშათა საბჭოს სხდომა. მან დაგმო ბოლშევიკური აკანტიურა, რომელიც მისი აზრით, საფრთხის ქვეშ აყენებდა საერთო-სარუსეთო დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვარს. ქართველ სოციალ-დემოკრატებს აშინებდა როგორც

რევოლუციის ბოლშევიკური გაღრმავება, ისე კონტრრევოლუციურ ძალთა გამარჯვება. შექმნილ სიტუაციაში ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ სოციალიზმის მეტისმეტად ნაადრევი ექსპერიმენტი და ტოტალური ბოლშევიკური რეჟიმის დამყარება მიიჩნია მთავარ საფრთხედ, რის გამოც მიზანშეწონილად გამოაცხადა ანარქიის მორევში ჩაძირული რუსეთისაგან გამოყოფა, დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვართა საქართველოსა და ამიერკავკასიაში შენარჩუნება-განმტკიცება.

ბოლშევიკური გადატრიალებისა და საბჭოთა რუსეთისადმი მტრული პოზიცია დაიკავეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნულმა პარტიებმა. მიიჩნიეს, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი ეროვნული სახელმწიფოების აღდგენისათვის. რაკი სამხრეთ კავკასია იმ დროს ერთ დიდ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა და თანაც აქაური ერების ინტერესები ერთმანეთს მნიშვნელოვნად ემთხვეოდა, შესაძლებელი ხდებოდა ამიერკავკასიის მასშტაბით ანტისაბჭოური და ანტირუსული აქტის ერთდროული განხორციელება. ერთ-ერთ თათბირზე ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „რუსეთში ანარქიას ბოლო არ უჩანს, მასთან კავშირი ფაქტიურად გაწყვეტილი გვაქვს იმის გამო, რომ ცენტრში ბურჟუაზიული და სოციალისტური პარტიების კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება არ ხერხდება, მიზანშეწონილია ამიერკავკასიაში ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანოები შევქმნათ“.

ამ წინადადებას, მართალია, მხარი დაუჭირეს ეროვნული მიმართულების პარტიებმა, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ფორმაზე მსჯელობის დროს. სოციალ-დემოკრატია უპირატესობას ანიჭებდა უნიტარულ სახელმწიფოს, ზედმეტად თვლიდა ცალკეული ერების მმართველობის ორგანოების შექმნას, სოციალისტ-ფედერალისტები კი მოითხოვდნენ სამხრეთ კავკასიის სამი ძირითადი ერის ავტონომიური სახელმწიფოების ჩამოყალიბებას და ამიერკავკასიის ფედერაციაში მათ გაერთიანებას. ეროვნულ-დემოკრატები მიზანშეწონილად აცხადებდნენ კონფედერაციული კავშირის შექმნას. იმედოვნებდნენ, რომ მალე გახდებოდა შესაძლებელი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

1917 წლის 15 ნოემბერს სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური პარტიების ბლოკის მოთხოვნით, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი) გადადგა. ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის კომისარიატი – დროებითი მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ევგენი გეგეჭკორი. სამინისტროებს სათავეში ჩაუდგნენ შ. ალექსი-მესხიშვილი, დ. დონსკოი, ნ. ნერუჩევი, აკ. ჩხენკელი, ს. ხაჩიკიანი, ხანხოისკი.

ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ხელისუფლების შექმნამ დააჩქარა საქართველოს პოლიტიკურ ძალთა ეროვნულ-ნიადაგზე გაერთიანების პროცესი. 1917 წლის 19-23 ნოემბერს მიმდინარე ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, რომელმაც თავის მხრივ აირჩია მის წინაშე პასუხისმგებელი აღმასრულებელი კომიტეტი. შეიძლება ითქვას, რომ შეიქმნა საქართველოს პოტენციური პარლამენტი და მთავრობა, საფუძველი ჩაეყარა ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენას.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ დაგმო ამიერკავკასიის კოალიციური მთავრობა და რუსეთისაგან გამოყოფის მცდელობა, მაგრამ პრაქტიკულად ბევრს ვერაფერს მიაღწია. მისდა სამწუხაროდ, მშრომელი მასის დიდი უმრავლესობა „ბურჟუაზიულ და შემთანხმებლურ პარტიებს" გაჰყვა. რუსმა ჯარისკაცებმაც კი ვერ გაამართლეს ბოლშევიკთა იმედი. თბილისის გარნიზონმა ვერ შეძლო არსენალის შენარჩუნება, იქ დაცულ სამხედრო ტექნიკასა და იარაღს სოციალ-დემოკრატიისაგან შექმნილი მოხალისეთა გვარდია დაეპატრონა, რამაც საგრძნობლად შეარყია ბოლშევიკთა სამხედრო უპირატესობა.

1918 წლის 5 იანვარს მოსკოვში ჩატარდა რუსეთის დამფუძნებელი კრების პირველი (და უკანასკნელი) სხდომა. დამფუძნებელი კრების არჩევნების პროცესი არსებითად ბოლშევიკურ გადატრიალებამდე დამთავრდა, მისი უმრავლესობა შექმნეს ბურჟუაზიულმა და არაბოლშევიკურმა სოციალისტურმა პარტიებმა, რომლებიც არ დაემორჩილნენ უხეშ ზეწოლას და უარი თქვეს დაედასტურებინათ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული დეკრეტები. ლენინის ბრძანებით ურჩი დამფუძნებელი კრება მყისვე გარეკეს, რამაც დასავლეთისა და რუსეთის დემოკრატიული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. პროტესტის ამ ტალღას საქართველოს პოლიტიკური პარტიები და ხალხის ძირითადი ნაწილიც შეუერთდა.

ეროვნულ-დემოკრატების აზრით, ამ მეტისმეტად რთულ სიტუაციაში საქართველოს უკეთესი სამომავლო ინტერესები მოითხოვდა რუსეთის დამფუძნებელი კრების ნანგრევებზე საქართველოს დამფუძნებელი კრების აღმოცენებას — უნდა გაეგრძელოთო ის პოლიტიკა, რასაც საფუძველი ჩაეყარა ეროვნული ყრილობის ჩატარებით და ეროვნული საბჭოს არჩევით. საჭიროა შევქმნათ ქართველი ხალხის უფრო ფართო წარმომადგენლობითი და თანაც ლეგიტიმური ორგანო, აუცილებელია მოვიწვიოთო საქართველოს დამფუძნებელი კრება. მაგრამ ამ მომენტში სოციალ-დემოკრატიული პარტია არ დაეთანხმა ეროვნულ-დემოკრატთა „ვიწრონაციონალისტურ" (მისი აზრით) პოზიციას, მხარი არ დაუჭირა საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევას. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა აზერბაიჯანელ

მუსავატელებთან და სომეხ დაშნაკებთან ერთად, ქართულ ეროვნულ ძალთა მნიშვნელოვანი ნაწილის თანხმობით, მიაღწიეს ამიერკავკასიის პარლამენტის (სეიმის) არჩევას. მასში ქართული სოციალ-დემოკრატია წარმოდგენილი იყო 32 დეპუტატით, მუსავატი – 30, დაშნაკები – 27 დეპუტატით. ესერები, სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები ამიერკავკასიის ამ მომენტალურ ფორუმში გაცილებით მცირე წევრებით იყვნენ წარმოდგენილი.

სეიმის პირველი სხდომა 1918 წლის 15 თებერვალს გაიმართა. განიხილეს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დეკლარირების საკითხი. უმრავლესობამ მოითხოვა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის დაკანონება. ესერები გაემიჯნენ ამ რადიკალურ პოზიციას. ქართველი სოციალ-დემოკრატები კვლავ ყოყმანობდნენ, სარისკოდ მიაჩნდათ დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნება. სეიმის იმავე სხდომაზე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პროგრამით გამოვიდა ნოე ჟორდანია. მისი აზრით, პარლამენტის ამოცანა იყო ამიერკავკასიის გადაქცევა სამართლებრივ სახელმწიფოდ, დემოკრატიულ რესპუბლიკად, რომელიც მოაწესრიგებდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, გაატარებდა მომწიფებულ რეფორმებს, შექმნიდა მტკიცე სახელმწიფო აპარატს, ერთიან არმიას, ნორმალური ცხოვრება-საქმიანობის საშუალებას მისცემდა მოსახლეობის ყველა კლასს და ფენას, ხელს შეუწყობდა სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თითქმის მთლიანად იწუნებდა სოციალ-დემოკრატიის სოციალურ პროგრამას, მაგრამ მხარს უჭერდა ამ პარტიის ჰეგემონობას კავკასიური მასშტაბით, რადგან იმედოვნებდა, რომ მმართველი პარტიის პოლიტიკური საქმიანობა მოამზადებდა პირობებს ამიერკავკასიის ერთა გამიჯვნისა და ქართული სუვერენული სახელმწიფოს შექმნისათვის. ქართველ სოციალ-დემოკრატთა პირველობა ყველა პარტიამ აღიარა და სეიმის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის ჩამოყალიბების სანქცია მას მისცა. აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით შექმნილ კოალიციურ მთავრობაში მინისტრთა პოსტების უმრავლესობა თანმიმდევრობით სოციალ-დემოკრატებმა, მუსავატელებმა და დაშნაკებმა დაისაკუთრეს.

ამიერკავკასიის ხელისუფლებას რთულ შინაპოლიტიკურ და საერთაშორისო პირობებში მოუხდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა: ბოლშევიკებისაგან პროვოცირებული გლეხთა აჯანყებები, მუშათა კლასის საგრძნობი ნაწილის უკმაყოფილება, რუს ჯარისკაცთა ბოლშევიკური განწყობა, მცირე აზიის ფრონტის დაშლა, თურქთა ჯარების შემოტევა და სხვა რთუ-

ლი მოვლენები კრიზისულ მდგომარეობაში აყენებდა სოციალისტური და ბურჟუაზიული პარტიების ბლოკის ხელისუფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო (სეპარატული) მოლაპარაკებაში, რომელსაც აწარმოებდნენ, ერთი მხრივ ანტანტისაგან ჩამოცილებული საბჭოური რუსეთი და მეორე მხრივ კი გერმანია და მისი მოკავშირენი, ამიერკავკასიის წარმომადგენლობას მონაწილეობა არ მიუღია. მიუხედავად ამისა, გაფორმებული ზავის პირობების თანახმად, რუსეთმა თურქეთს გადასცა ბათუმისა და ყარსის ოლქები. ამიერკავკასიის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა და ბრალი დასდო საბჭოთა რუსეთს სხვის საშინაო საქმეებში უცერემონიო ჩარევის, ამიერკავკასიის ტერიტორიების გასხვისების გამო, არ ცნო ბრესტის აქტი და ოსმალეთს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი შესთავაზა. თუმცა მალე დარწმუნდა, რომ თურქეთის მთავრობასთან სამართლიან ხელშეკრულებაზე ლაპარაკი წყლის ნაყვას ჰგავდა.

ოსმალეთის არმიებმა რუსთა ჯარისგან მიტოვებული ფრონტის ხაზი გადმოლახეს. ახალჩამოყალიბებულმა ქართულ-სომხური მოხალისეებით დაკომპლექტებულმა გვარდიებმა მტერი ვერ შეაკავეს. თურქებმა მოკლე ხანში დაიკავეს ბრესტის საზავო შეთანხმებაში დაფიქსირებული ტერიტორია. მოახდინეს აგრეთვე ოზურგეთისა და ახალციხის მაზრების ოკუპაცია. საქართველო-სომხეთის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი აღდგა მომხდურთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ კოალიციური მთავრობის მაორგანიზებელი როლი თითქმის არ ჩანდა. ოსმალეთმა ანექსირებულ ტერიტორიაზე ტერორისა და ძალადობის პირობებში ჩაატარა რეფერენდუმი, გამოაცხადა, რომ ხალხი მხარს უჭერდა და ამდენად, ბათუმ-ყარსის ოლქების ანექსიის კანონიერი უფლება ჰქონდა.

სამხედრო მარცხმა ამიერკავკასიის მთავრობა დათმობის გზაზე დააყენა: ცნო ბრესტის ზავის პირობები და ოსმალეთს მშვიდობიანი მოლაპარაკების გაგრძელების წინადადება შესთავაზა. თურქეთის მთავრობა დათანხმდა, მაგრამ მოლაპარაკების დაწყების წინა პირობად ამიერკავკასიის სუვერენულ სახელმწიფოდ გაფორმება მიიჩნია. მტრის ამგვარმა წინადადებამ დააჩქარა ამიერკავკასიის ხელისუფლებისაგან ანტირუსული აქტის მიღება. 1918 წლის 22 აპრილს სეიმმა გამოაქვეყნა დამოუკიდებლობის დეკლარაცია და ამიერკავკასია ფედერაციულ რესპუბლიკად გამოაცხადა. ცვლილებები მოხდა მთავრობის შემადგენლობაში; მთავრობის თავმჯდომარემ, აკაკი ჩხენკელმა შეითავსა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა ნოე რამიშვილი, ფინანსთა – ა. ხატისოვი, იუსტიციის – ფ. ხოისკი, სამხედრო – გრ. გიორგაძე, მიწათმოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი და სხვ.

1918 წლის 11 მაისს სამშვიდობო მოლაპარაკება განახლდა. ამიერკავკასიის დელეგაცია დარწმუნებული იყო, რომ დიალოგს საფუძველად დაუდებოდა ბრესტის ზავის პირობები. თურქეთი დასჯერდებოდა ბათუმ-ყარსის ოლქების ანექსიას, მაგრამ მან გაცილებით მეტი ტერიტორიები მოითხოვა: თურქეთს უნდა გადასცემოდა ახალციხე-ახალქალაქის მაზრები და ერევნის გუბერნიის ორი მესამედი. საქართველოსა და სომხეთის ლიდერები, ბუნებრივია, ასეთ გადაჭარბებულ პრეტენზიებს ვერ მიიღებდნენ. ისინი ცდილობდნენ გერმანიის მთავრობის (და მისი დელეგაციის) დახმარებით შეეკვეცათ ოსმალ ოკუპანტთა მადა. აზერბაიჯანის პოლიტიკურ პარტიებს კი მიზანშეწონილად მიაჩნდათ მათ ქვეყანაზე ოსმალეთის პროტექტორატის დამყარება. სწორედ მათ გაუჩინეს დიდი ბზარი ამიერკავკასიის ფედერაციის ერთიანობას.

საზავო მოლაპარაკება დიდი დაძაბულობით გრძელდებოდა. საქართველოში და მთლიანად ამიერკავკასიაში შინაპოლიტიკური სიტუაცია თანდათან რთულდებოდა. ქართველი პოლიტიკოსები მეტ-ნაკლებ სიამოვნებას ამჟღავნებდნენ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის იურიდიულად გაფორმების გამო. მათ უკმაყოფილებას კი ის იწვევდა, რომ ჯერ კიდევ არ იყო შედგენილი კონსტიტუცია, არ იყო განსაზღვრული ფედერაციის სამი ძირითადი სუბიექტის პოლიტიკური სტატუსი, რეალურად არ არსებობდა ქართული ეროვნული (ავტონომიური) სახელმწიფო. ამ პრობლემაზე ყველა პარტია თავისებურად ფიქრობდა. თანდათან ძლიერდებოდა სეპარატისტული განწყობა. იზრდებოდა საქართველოს ცალკე გამოყოფის, მისი სუვერენული სახელმწიფოდ გამოცხადების მომხრეთა რიცხვი.

აღნიშნულ პრობლემაზე დებატები გაიმართა საქართველოს ეროვნულ საბჭოში. სოციალისტ-ფედერალისტებმა პირველ სხდომაზე ჯერ ისევ მხარი დაუჭირეს ფედერაციულ კავშირს, მაგრამ მათი აზრით, ფედერაციაში შემავალი ყველა ერთეული უნდა ყოფილიყო სუვერენული, საერთო-ფედერალურ ორგანოებს უნდა მისცემოდათ მხოლოდ საგარეო პოლიტიკისა და სამხედრო საქმის კონტროლის უფლება. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა კონსტანტინე აფხაზმა კი განაცხადა: ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანება ნაძალადევია. იგი არ შეესაბამება აქაური ხალხების ერთმანეთისაგან ფრიად განსხვავებულ ცხოვრების წესს. ჩემი ნატვრაა ომმა და რევოლუციამ ქართველ ერს სრული დამოუკიდებლობა მოუტანოს და უნიტარული სახელმწიფოს შექმნის საშუალება მისცესო. გრიგოლ ვეშაპელმა გააკრიტიკა ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები, ისინი ერეკლე II-ის მიმდევრები არიან, რუსულ ორიენტაციას ვერ ელევიანო. ამ კრიტიკაში მას მხარი აუბეს მიხეილ მაჩაბელმა და

სხვებმა. აღნიშნეს, რომ სოციალ-დემოკრატები ყველა ხალხზე ზრუნავენ, დადგა დრო მათ ქართველ ერზეც იზრუნონ, ყველა ჩვენგანის მოვალეობა არისო „გამოვაცხადოთ საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავდროულად დაისვა საგარეო ორიენტაციის საკითხიც. ალექსანდრე ასათიანი წერდა: „თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრება მაშინ არის ერისათვის სასურველი, როდესაც ის უზრუნველყოფს მშვიდობიან განვითარებას. პიროვნების უფლებათა დაცვას, როდესაც ქვეყანას განაგებს კანონი და არა ძალმომრეობა... ქართველ ერს აქვს ამის რაღაც ელემენტები; მაგრამ მარტო საკუთარი ძალით ვერ შეექმნით ისეთ სახელმწიფოს, რომელიც უზრუნველყოფს ერის ბუნებრივ, ნორმალურ განვითარებას. ფაქტია, რომ პოლონელებმა, ფინელებმა, ლიტველებმა გერმანიის დახმარებით გადალახეს პირველი დაბრკოლებანი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზაზე. ჩვენც გერმანიას უნდა ვთხოვოთ გამოგვიწოდოს დახმარების ხელი, იმ გერმანიას, რომელსაც რაიმე პოლიტიკური მიზანი საქართველოს მიმართ არ ამოძრავებს, მაგრამ სურვილი აქვს ისარგებლოს ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრით, ეკვივალენტური გაცვლის მეშვეობით მიიღოს მარგანეცი, სპილენძი, ბამბა და სხვ. ჩვენ უნდა შეგვწევდეს უცხო ძალის მოწვევის გამბედაობა, როდესაც საკუთარი საშუალებით არ შეგვიძლია საქართველოს ეროვნული არსებობის უზრუნველყოფა“. გაზეთ „საქართველოს“ რედაქციამ ისიც აღნიშნა, რომ ქართველი ერისათვის უმჯობესია შეურიგდეს სუვერენულ უფლებათა შეზღუდვას, თუ ამით აიცილებს ტერიტორიების დაკარგვას. „არც ერთი ევროპული სახელმწიფოს პროტექტორატი, – ვკითხულობთ გაზეთში, – საქართველოსთვის ისე საშიში არ არის, როგორც მისი ცოცხალი სხეულის გახლეჩა-განაწილება“.

ზემოთ მოტანილი და სხვა მოღვაწეთა თვალსაზრისები ცხადყოფს, რომ როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიების წევრი თითქმის ყველა პოლიტიკოსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოსმალეთთან ომის გაგრძელება ქვეყანას დაღუპავდა. შექმნილ სიტუაციაში მხოლოდ ბოლშევიკები იხედებოდნენ ჩრდილოეთისაკენ და საქართველოს ხსნას რუსეთთან შეერთებაში ხედავდნენ. სხვა პარტიები, თითქმის ყველა პოლიტიკოსი, მეტ-ნაკლებ იმედს ამყარებდა გერმანიაზე. რაკი არ მოხერხდა ამიერკავკასიის სამი ძირითადი ერის შეკავშირება, უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა, რადგან შექმნილ პირობებში დამოუკიდებელი საქართველო გერმანიის დახმარებით უკეთ მოახერხებდა განსაცდელისგან თავის დაღწევას.

ასეთივე პოზიციაზე დადგა სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი, ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი, რომელიც სა-

ზავო მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიის დელეგაციას ხელმძღვანელობდა. 1918 წლის 15 მაისს იგი ბათუმიდან ნოე ჟორდანიას საიდუმლოდ წერდა: „ამიერკავკასიის მთავრობის სახელით თურქეთთან საზავო მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. მაქვს რა გერმანიის დელეგაციის მხარდაჭერის იმედი, მე ვიწყებ დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოს სახელით. „საქართველოს დამოუკიდებლობა“ — აი პირველი ნაბიჯი, როცა აქაური მოლაპარაკება შეწყდება... თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ. თქვენ უნდა ითამაშოთ რადიკალური ბურჟუაზიის როლი, სხვა არავინ არის თქვენსავით გავლენიანი. ნუ გადავაქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით გამსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას“.

1918 წლის მაისის მეორე ნახევარი პოლიტიკური დაძაბულობით გამოირჩეოდა. დებატები მიმდინარეობდა როგორც ამიერკავკასიის სეიმში, ისე საქართველოს ეროვნულ საბჭოში. სეიმის ფრაქციებმა ვერ შეძლეს საერთო ენის გამონახვა. ჩიხში მომწყვდეულმა ამიერკავკასიის ამ პარლამენტმა 26 მაისს, დილის 11 საათზე დაამტკიცა თავისი უკანასკნელი დეკრეტი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და სეიმის თვითლიკვიდაციის შესახებ. იმავე დღეს, 17 საათზე საქართველოს ეროვნული საბჭოს დავალებით ნოე ჟორდანიამ მთავრობის სასახლეში შეკრებილ ქართველ საზოგადოებას და უცხოელ სტუმრებს გააცნო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XI.

ბურჟუაზიული საქართველოს კულტურა

ახალი ყოფა და ახალი კულტურა

XIX საუკუნე ფეოდალიზმის კრიზისის და კაპიტალისტური ეკონომიკურ-საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარება-დამკვიდრების პერიოდია. ამ პროცესის შესაბამისად ხდებოდა ცვლილებები ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, სოფლის მეურნეობის, საოჯახო წარმოებისა და ხელოსნობის ფორმებში, კულტურაში.

მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას კარგა ხანს შემორჩა საოჯახო ყოფისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ადრინდელი ფორმები; პიროვნების, უფროსის პატივისცემა, ურთიერთდახმარება, სტუმართმოყვარეობა, მშობლიური ენისა და მიწა-წყლის სიყვარული, რაინდული თავდადება. ეს ძველი ტრადიციები XIX საუკუნეში ახალი ელფერით იმოსებოდა.

ძველი ქართული კულტურა ემყარებოდა ქრისტიანობას. ფეოდალიზმის ხანის ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა ყალიბდებოდა თავადისა და აზნაურის მამულში, გლეხის ოჯახში, ამქართა სახელოსნოებში, მონასტრის სენაკში და, რაც მთავარია, მეფის სასახლეში. შუა საუკუნეების ქართულმა კულტურამ მსოფლიო ცივილიზაციას შემატა ისეთი მონუმენტური და ჰუმანისტური ძეგლები, როგორიცაა „ქართლის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“.

XIX საუკუნეში მიმდინარეობდა ახალი ქართული კულტურის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ნაკლებმონუმენტური იყო, მაგრამ უფრო რეალისტური, ჰუმანური და დემოკრატიული, ასახავდა უფრო მღელვარე, მოძრავი საზოგადოების სულისკვეთებას და მეტ-ნაკლებად სწვდებოდა საზოგადოების ყველა ფენას.

ახალ კულტურაში აისახებოდა ადამიანის სულიერი განცდები, საზოგადოების განწყობილება. კულტურულ ურთიერთობათა ცენტრში აღმოჩნდა პიროვნების აღზრდა, მისი განვითარება, ოჯახის, საზოგადოების და გარემომცველი ბუნების გარდაქმნის იდეები და პროგრამები.

ახალი ქართული კულტურის პროგრესული, იდეურ-კლასობრივი შინაარსი ობიექტურად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო, მაგრამ ამ ეპოქის არაერთი მოღვაწის იდეალი არ ეტეოდა ზედა ფენების ინტერესთა სფეროში. ასეთი პიროვნებანი უანგაროდ იბრძოდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობის დარეგულირების, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებისათვის.

მოსახლეობის მატერიალური ყოფა. სამეურნეო კულტურა

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე 1800 წელს ცხოვრობდა 675 000 კაცი, 1865 წელს – 1 327 000, ხოლო 1897 წელს – 1 928 000. ერთ საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა გასამმაგდა. მოსახლეობის გამრავლება ძირითადად ბუნებრივი მატების შედეგი იყო, მაგრამ ამ პროცესზე გავლენას ახდენდა მიგრაცია და კოლონიზაცია. თუ 1800 წელს არაქართველი, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 11%-ს შეადგენდა, 1897 წლამდე არაქართველთა ხვედრითი წილი 32%-მდე გაიზარდა, მომდევნო ოცწლეულში კიდევ უფრო მეტად. მიგრაცია-კოლონიზაციის შედეგად აღმოცენდა მრავალი სოფელი, რომელთა მოსახლეობა თითქმის მთლიანად სხვა ეთნოსთა წარმომადგენლებისაგან შედგებოდა (სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი, აფსუა, ბერძენი და სხვ.) და ყოფა-ცხოვრების სტილით დიდად განსხვავდებოდა აბორიგენი (ქართველი) მოსახლეობისაგან. ეროვნულად კიდევ უფრო აჭრელდა ქალაქები, სადაც ვაჭრობა-მრეწველობას, მნიშვნელოვნად არაქართველები ეწეოდნენ.

სოფლის მეურნეობის ძველი, ტრადიციული დარგები იყო მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა. მეურნეობის დონე და კულტურა XVIII საუკუნის ბოლომდე საკმაოდ მაღალი იყო. მიღებული პროდუქცია არა მარტო მწარმოებელთ აკმაყოფილებდა, არამედ უცხოეთშიც გადიოდა გასაყიდად. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მიწათმოქმედების წარმოების დონე თანდათან მაღლდებოდა, მაგრამ გამძლეობას იჩენდა მწარმოებლური შრომის კოოპერირების ტრადიციული ფორმა – მოდგამი: გუთნეულში ერთიანდებოდა რამდენიმე კომლი. შეძლებული მეურნეები ამ გაერთიანებაში შედიოდნენ თავისი გუთნითა და ხარ-კამეჩით. ღარიბნი კი მონაწილეობდნენ როგორც მეხრეები და დამხმარე მუშები.

როგორც უკვე ითქვა, XIX საუკუნის ბოლომდე ქარხნული გუთნები თანდათან მზარდი რაოდენობით შემოდიოდა და გუთნეულის სამოქმედო არეალი მცირდებოდა. სიახლე ისიც იყო, რომ მემინდვრეობაში დაიწყეს სათესი, სამკელი, სანიავებელი მანქანების გამოყენება. ყველაზე ბოლოს გამოჩნდა ტრაქტორი. ახალი ტექნიკა მხოლოდ ზედაფენებისთვის იყო ხელმისაწვდომი.

ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე თანდათან აამაღლა მევენახეობის დონე და კულტურა, შექმნა ვაზის უნიკალური ჯიშები, გაუმჯობესა ღვინის დაყენების წესი. ძველიდან მომდინარე ტრადიცია XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა, მაგრამ სიახლეც გაჩნდა: მას შემდეგ, რაც ვაზის ავადმყოფობამ ძველი ვენახები გაანადგურა, ქართველი მემამულე და გლეხი ადვილად დაეუფლა ვაზის ამერიკულ საძირეზე (მწარე ლერწზე) დამყნობის ხელოვნებას და მევენახეობის კულტურა კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანა.

ქართველ კაცს არც მეხილეობა დაუტოვებია ყურადღების მიღმა. ახალ დროში თანდათან გამრავლდა ვაშლის, მსხლის, ატმის და სხვა კურკოვანი კულტურების ბაღები. უცხოელმა, რუსმა და ქართველმა აგრონომებმა საქართველოში შემოიტანეს და გაახარეს ციტრუსებიც. ახალი ბიზნესის პიონერებმა გააშენეს მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის ბაღები. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს მიწაზე დაინერგა ჩაის კულტურა, აჭარასა და გურიაში გაშენდა ჩაის პირველი პლანტაციები. სიახლემ თავი იჩინა მებოსტნეობაშიც. პირველ ხანებში მის ერთ-ერთ დარგად მოიხსენიებოდა მეკარტოფილეობა, რომელიც შემდეგ ბოსტანში აღარ დაეტია, ფართოდ გავრცელდა და წამყვანი კულტურა გახდა საქართველოს მთიანეთში.

მეცხოველეობა საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მიწათმოქმედების დამხმარე დარგი იყო, მთიანეთში კი მოსახლეობის კეთილდღეობის ძირითადი საფუძველი. ამ დარგის მომთაბარული ხასიათი გამძლე აღმოჩნდა. მთიელმა მეცხვარეებმა ყიზლარის საზამთრო საძოვრებისაკენ გაკვალეს გზა, თურქეთშიც შეაღწიეს. მომთაბარე მეცხვარეთა ცხოვრება-საქმიანობა მკაცრი და კონკურენტული გახდა. კვდებოდა დაზარალებულ მწყემსთა დახმარების, „დავარდნილთა წამოყენების" პატრიარქალური ჩვეულება. მეცხვარეთა ურთიერთდახმარებას თანდათან ცვლიდა კონკურენცია. სუსტები და ღარიბები იჩაგრებოდნენ, გამდიდრებული მთიელები კი 5-20-ათასიან ცხვრის ფარებს დაატარებდნენ იალაღებსა და ყიშლაღებზე.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში წარმატების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო ირიგაცია, მიწისა და ნათესის მორწყვის მაღალ დონეზე დაყენება. სარწყავი არხების გაყვანა და პერიოდული შეკეთება მთელი ხალხის ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. სარწყავი წყლის განაწილება, რიგის დაცვა „მერუეთა" ფუნქციას შეადგენდა. ადრე მათ თემი ირჩევდა. XIX საუკუნეში შემოვიდა დანიშვნის წესი. ხალხმა XIX საუკუნეშიც გაიყვანა ახალი სარწყავი არხები, მაგრამ გვალვიან წლებში მწვავედ იგრძნობოდა სარწყავი წყლის ნაკლებობა. დაიძაბა წყლით მოსარგებლეთა

ურთიერთობა. მსხვილი მემამულენი არცთუ იშვიათად ეპატრონებოდნენ სარწყავ არხებს, თემს მთლიანად ართმევდნენ სარწყავი წყლით სარგებლობის საშუალებას. თუ ვახტანგის კანონები წყლით უფასოდ სარგებლობას ამკვიდრებდა, რუსულმა ხელისუფლებამ გასაქანი მისცა მსხვილ მიწათმფლობელებს, რომელნიც სარწყავ რუებით სარგებლობის საზღაურად გლეხებს ფულს ან სურსათ-სანოვაგეს ახდევინებდნენ. გახშირდა წყლის რიგის გაყიდვის და მერუისათვის ქრთამის მიცემის შემთხვევები. წყლით სარგებლობის გამო ატეხილი დავა ზოგჯერ სოფლების შეიარაღებულ შეტაკებაშიც გადაზრდილა.

წინაკაპიტალისტური საქართველოს სოფლის მოსახლეობა მიწათმოქმედებით არ კმაყოფილდებოდა, საოჯახო რეწვას მისდევდა. მევენახე, მესაქონლე, მებამბე, მეაბრეშუმე გლეხთა ოჯახები ღვინოს, ყველ-კარაქს, ქსოვილებს და ტანსაცმელსაც ამზადებდნენ. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე თითქმის ყველა სოფელს ჰყავდა ფეიქრები, შალისა და აბრეშუმის მქსოველი მანდილოსნები. დაბალი მასა „შინაურ შალით" იმოსებოდა. ძველი დროიდანვე განვითარებული ქართული ხელოსნობის დარგების დონე XIX საუკუნის პირველ ნახევარში კიდევ უფრო ამაღლდა. გაჩნდა ხელოსნობის ახალი დარგები, ზოგი მათგანი კოლონისტებმაც შემოიტანეს. გაიზარდა როგორც სოფლის, ისე (უფრო მეტად) ქალაქის ხელოსანთა რიცხვი; იყვნენ ბინადარი და მოარული ხელოსნები. ქალაქში დიდხანს შემორჩა ოსტატ-შეგირდობა, ხელოსან-ოსტატად კურთხევის ტრადიცია. ხელოსანთა ამქრული გაერთიანებები XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ინარჩუნებდნენ სიმტკიცეს, ძველიდან მომდინარე ტრადიციებს.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ოჯახური სარეწების და ხელოსნობის ტრადიციულ დარგებს გაუჭირდათ კონკურენციის გაწევა იმპორტული და ადგილობრივი ფაბრიკა-ქარხნების პროდუქცია-საქონლისათვის. თანდათან დაეცა მათი მნიშვნელობა, გაძლიერდა ხელოსანთა ქონებრივ-სოციალური დიფერენციაცია. მსხვილი სახელოსნოების ბაზაზე კაპიტალისტური საწარმოები გაჩნდა. გაღატაკებული ხელოსნები დაქირავებულ მუშებად გადაიქცნენ.

თანდათან უფრო გამოიკვეთა განსხვავება-დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს შორის. პირველმა, წარმოების მასშტაბით, ტექნიკური დონით წინ გაუსწრო სოფელს. ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ნიადაგზე აღმოცენებული წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის თანდათან ძლიერდებოდა.

კიდევ უფრო აშკარა გახდა განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის განაშენიანების ტიპის მიხედვით. კაპიტალისტური ხანის ქართული ქალა-

ქის ატრიბუტებად გადაიქცა ცენტრალური მოედანი, ადმინისტრაციული შენობები, საავჭრო ბაზრები და შედარებით მსხვილი საწარმოები, ფაბრიკა-ქარხნები. დედაქალაქ თბილისში გამოიკვეთა ცალკე უბნები ბურჟუაზიის, თავადაზნაურობისა და მუშებისა. ქალაქური ცხოვრების ახალი წესი ვეღარ ეტეოდა ქართულ ისტორიულ ტრადიციებში.

ქართული სოფელი გაცილებით უკეთ ინარჩუნებდა ტრადიციას. მთიანეთში (სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, მთა-რაჭა) საცხოვრებელი სახლები წარმოადგენდა ორ-სამსართულიან კოშკურ ნაგებობებს, რომელშიც ვერტიკალურად იყო განლაგებული სამეურნეო განყოფილება, პირუტყვის სადგომი და ადამიანთა საცხოვრებელი ნაწილები. საცხოვრებელი დარბაზის ცენტრში დედაბოძი და კერა მდებარეობდა. კერის კულტი გამძლე აღმოჩნდა. მისი შერყვნა დანაშაულად ითვლებოდა. მთასა და ბარშიც კერის დაქცევა დიდი უბედურება იყო და საწყევარ გამოთქმად იხმარებოდა.

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში საცხოვრებელი ნაგებობების ტიპური სახე იყო ქართული დარბაზი (ერთობის სახლი), რომელიც ჰორიზონტალურ დაგეგმარებაში საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენდა. ამ კომპლექსში შედიოდა ადამიანის საცხოვრისი, ბეღელი, მარანი, სათონე, საბძელი და ბოსელი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის ზედა, გამდიდრებული ფენა იშენებდა ორსართულიან დიდ სახლებს, რომლებიც მკვეთრად გამოირჩეოდა ღარიბთა მიწურ, ისლით დახურული ქოხების ფონზე. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან თანდათან უარყვეს, დავიწყებას მისცეს მიწურბანიანი დარბაზის მშენებლობა. მათ ადგილს იკავებდა ქანობიან-სართულებიანი სახლები. დასავლეთ საქართველოში კი ტრადიციულ ფაცხას ოდა სახლი ცვლიდა.

კაპიტალისტურმა ეპოქამ დიდი ცვლილება გამოიწვია მიმოსვლისა და გადაზიდვის საშუალებებში. ტრადიციულის გვერდით ჩნდებოდა ტრანსპორტის ახალი სახეები. XIX საუკუნეში თანაარსებობდა სხვადასხვაგვარი მარხილი. ქართული ურემი, ორუღლიანიც იყო ცალუღლიანიც, საბაროც და სამთოც, სამგზავროც და სატვირთოც. თანდათან მომრავლდა რუსულ-ევროპული ოთხთვლიანი ფურგონი, ორთვლიანი ტაჩკა, მდიდრული ეტლი. XIX საუკუნის ბოლოს თბილისში გაიმართა ცხენის რკინიგზა (კონკა), რომელიც XX საუკუნის დამდეგს ელექტროტრამვაიმ შეცვალა.

ახალ დროში ტანსაცმელი მრავალსახიანი ხდებოდა. ქართველი ხალხის დიდი ნაწილი XIX საუკუნეშიც ტრადიციულ, ქართულ ტანსაცმელს ატარებდა. ქალთა ეროვნული კოსტიუმის ძირითადი ელემენტები იყო ქართული კაბა, ლეჩაქი, ჩიხტიკოპი, წინდები, ქოშები; ხოლო მამაკაცისა – ჩოხა-ახალუხი, ნაბადი, ნაბდის ქუდი, ფაფანაკი. ქალის ტანსაცმლის

განუყოფელი თანმხლები იყო მრავალგვარი სამკაული, მამაკაცის ტანსაცმლის ატრიბუტი კი – ხანჯალი. XIX საუკუნის ბოლოს ფართოდ იყო გავრცელებული იმერული ჩოხა და ხევსურული ნაბადი, ქართული კაბა და ბოხოხა ქუდი. საქართველოს ქალაქებში გამოჩნდა მოქალაქე ვაჭარ-მრეწველთა თავისებური კოსტიუმი, აგრეთვე მუშური ჩაცმულობა. XX საუკუნის დამდეგიდან ფართოდ გავრცელდა ევროპული კოსტიუმი. დადგა ისეთი დრო, როცა ტრადიციულ ტანსაცმელს, ეროვნულ კოსტიუმს მხოლოდ ხალხურ დღესასწაულებსა და მხატვრული თვითშემოქმედების კონცერტებზე იყენებდნენ.

გამძლე აღმოჩნდა თვითმყოფადი, ქართული კულინარიული ხელოვნება, მრავალფეროვანი სამზარეულო. ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდა ბარისა და მთის, ქართლ-კახეთისა და დასავლეთ საქართველოს კერძები. შინაური და სასტუმრო სუფრის განუყოფელი ნაწილი იყო ღვინო. მტკიცე ტრადიციად რჩებოდა სტუმართმოყვარეობა. იხვეწებოდა თამადობის ინსტიტუტი. ვრცელდებოდა რუსულ-ევროპული კერძები, ჭამასმის ევროპული წესებიც.

ცვლილებები განიცადა ქართულმა ოჯახმა, საოჯახო ურთიერთობებმა. ზოგიერთ რეგიონში, უფრო მეტად მთაში, არსებობას განაგრძობდა დიდი ოჯახი (საოჯახო თემი), რომელიც რამდენიმე ძმის შთამომავლობას აერთიანებდა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დიდი ოჯახი იშვიათობა გახდა. ქართველი მოსახლეობა შედგებოდა მცირე ოჯახებისაგან (ცოლ-ქმარი და რამდენიმე შვილი). რამდენადმე შეიცვალა ოჯახის ხასიათი, მისი წევრების ფუნქცია. მამაკაცს ხშირად უხდებოდა სამუშაოდ სხვაგან წასვლა. საშოვარზე გასვლა ზოგიერთი რეგიონის მამაკაცი მოსახლეობის „ჩვეულებად" გადაიქცა. ასეთ პირობებში ამაღლდა, გამრავალფეროვანდა ქალის ფუნქცია ოჯახში. ფულის კულტის გაჩენის პირობებში მეტი ფასი დაედო ქალის მზითევს, გახშირდა მზითვიანი საპატარძლოს ძებნის შემთხვევები. ზედაფენებში თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა ხდებოდა ცოლქმრული ღალატი, ქვეითდებოდა საოჯახო ურთიერთობის ზნეობრივი დონე.

ხალხის სულიერი ყოფა

ქართველმა ერმა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნა გართობა-სანახაობათა არაერთი სახე, რომელთაგან ბევრი კაპიტალიზმის ეპოქაშიც არსებობდა, მაგრამ ახალი შინაარსითაც ივსებოდა. XIX საუკუნის 90-იან წლებამდე თბილისში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე. წ. ყვენობა, რომელიც ირანის შაჰების დაპყრობითი პოლიტიკისადმი

პროტესტის ნიშნად აღმოცენდა და მოძალადე ყეენის მტკვარში გადაგდებით მთავრდებოდა. რუსულმა ხელისუფლებამ კარგად შეამჩნია „ყეენობის“ პატრიოტული მიზანდასახულობა, უცხო ძალის ბატონობის დამხობის სურვილი და აკრძალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მაღალი საზოგადოება სასახლეებში მართავდა წარმოდგენებს, მდაბიო ხალხი ქალაქის მოედანზე და ზოგჯერ ტრიალ მინდორზე. „ყარაჩოხელები“ მოძრავ თეატრს აბანოებსა და ორთაჭალის ბაღებში აწყობდნენ. მოგვიანებით გავრცელდა ევროპული გართობა-სანახაობანი; იმართებოდა ბალ-მასკარადები, საცეკვაო საღამოები. იქმნება ალექსანდრე ჭავჭავაძის, მანანა ორბელიანისა და სხვათა სალონები. 90-იან წლებში ყალიბდება სახალხო თეატრები.

ხალხურ სიმღერასა და ცეკვაში ამ პერიოდშიც აისახებოდა ქართველი ადამიანის შრომა, ბრძოლა და სულისკვეთება, მისი ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი. მრავალსაუკუნოვანი ქართული სიმღერა და ცეკვა სრულყოფა-განახლებას განიცდიდა. ძველთან ერთად იქმნებოდა და სრულდებოდა ახალი სიმღერები, ცეკვები, რომლებსაც თავისუფლებისა და სამართლიანობის სულისკვეთება ასაზრდოებდა („სულიკო“, „ციცინათელა“, „ჯან სულო“, „ძაბრალე“, „სიმღერა ზვიად ლობჟანიძესა და გულითად გავაშელაშვილზე“, „ჩავუხტეთ ბარათაშვილსა“ და სხვ.). სალამურის, ჩონგურის, ჭიანურის, გუდასტვირის, ჩანგის და დოლის ხმას შეერწყა გიტარის, ფორტეპიანოსა და სხვა ინსტრუმენტთა ჰანგები.

XIX საუკუნეშიც ქართველი კაცის ყოფის განუყოფელი ნაწილი იყო ხალხური პოეზია. ქართული ფოლკლორი კიდევ უფრო გამდიდრდა; ტრადიციულ საგმირო, სატრფიალო, საყოფაცხოვრებო ხასიათის თემატიკას შეემატა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის ამსახველი ხალხური ლექსები, პოემები, ზღაპრები. მათ შორის გამოირჩეოდა მესტვირული პოემა „არსენას ლექსი“, რომლის გმირი არსენა „მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა“, ამ გზით ცდილობდა სოციალური სამართლიანობის დამყარებას. ასეთივე სულისკვეთებითაა გამსჭვალული XIX საუკუნის 40-50-იან წლებში შექმნილი სახალხო ლექსები — „ბუნტი გურიაში“, „უტუ მიქავა“ და სხვ. მრავალი ქართლ-კახური, იმერული, გურულ-აჭარული ხალხური თქმულება, ლეგენდა და ლექსი ამ ეპოქის ქართველ მწერალთა შთაგონებისა და შემოქმედების წყაროდ იქცა. ქართული ხალხური შემოქმედება, ჩვენი პროზაიკოსებისა და პოეტების მხატვრული შედევრები ედებოდა საფუძვლად ქართული ენის სრულყოფა-გამდიდრებას. ახალი ქართული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებას, ხალხური და ლიტერატურული ენის დაახლოებას და იდენტიფიკაციას.

განათლება და მეცნიერება

ცარიზმი და მისი რუსიფიკატორი მოხელეები, რომელნიც არ იცნობდნენ და არც სურდათ გასცნობოდნენ ქართულ კულტურას, ქართველ ხალხს უკულტურობის ბრალდებას უყენებდნენ და თავს „საქართველოში განათლების პირველი სხივების შემომტანად“ ასაღებდნენ. რუსეთთან საქართველოს მიერთებისთანავე გააუქმეს ქართული სკოლები და რუსული სასწავლებლების გახსნა დაიწყეს. 1804 წელს თბილისში დაარსდა კეთილშობილთა ორკლასიანი სასწავლებელი, 20-იან წლებში იგი ექვსკლასიანად გადაკეთდა, 1830 წელს — გიმნაზიად. მასში მიიღეს რუსული განათლება გრიგოლ ორბელიანმა, დიმიტრი ყიფიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა და სხვა მოღვაწეებმა. 1850 წელს რუსული გიმნაზია ქუთაისშიც გაიხსნა. ამის შემდეგ, მოკლე ხანში თბილისის კლასიკურ გიმნაზიას კომერციული გიმნაზიაც მიემატა. უფრო ადრე თბილისში დაარსდა ქალთა პირველი სკოლა-პანსიონი, რომელიც 1840 წელს ქალთა ინსტიტუტად გადაკეთდა.

ეკლესიის მსახურთა მოსამზადებლად რუსული ხელისუფლება სასულიერო სასწავლებლებსაც აარსებდა. 1815 წელს რუსული სასულიერო სემინარია გაიხსნა თბილისში. მომდევნო წლებში დააარსეს სამაზრო სასწავლებლები. თბილისის სემინარიაში მიიღეს განათლება სოლომონ დოდაშვილმა, დიმიტრი ბაქრაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, დანიელ ჭონქაძემ, ალექსანდრე ცაგარელმა და კულტურის სხვა მოღვაწეებმა.

ცარისტული ხელისუფლება ნაკლებად ზრუნავდა ხალხის განათლებაზე. დაბალი მასისათვის იაფფასიანი სკოლები იშვიათად იხსნებოდა. 40-იან წლებშიც კი სასოფლო სკოლები ძალიან ცოტა იყო. ასეთ პირობებში თანდათან გაფართოვდა კერძო ინიციატივა. ქალაქებში და ზოგიერთ დაბებში გაჩნდა კერძო სკოლები. 1860 წელს მთელ საქართველოში ითვლებოდა 145 დაწყებითი და საშუალო სასწავლებელი, რომლებშიც 7800 მოსწავლე ირიცხებოდა, ე. ი. ყოველი ათასი მცხოვრებიდან მხოლოდ 9-10 კაცი სწავლობდა. სკოლების სიმცირისა და ხელმიუწვდომლობის გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი ელემენტარულ განათლებას ოჯახში ან მონასტერში იღებდა. განათლების ამ კერებში მთავარი ადგილი ტრადიციულ ოსტატს, მღვდელსა და ბერს, ხშირად ოჯახის დიასახლისს ეჭირა. ოჯახებში არსებობდა ე. წ. ზეპირი სკოლები, სადაც „ვეფხისტყაოსანს“, „დავითიანს“, ზღაპრებსა და ლექსებს ასწავლიდნენ.

სწავლა-აღზრდის ძველი ტრადიციული ფორმები თითქოს გამძლეობას იჩენდა, მაგრამ იგრძნობოდა უფრო მაღალ პედაგოგიურ კულტურაზე გადასვლის საჭიროება. ცარისტული ხელისუფლება ვერ აკმაყოფილებდა ხალხის მისწრაფებას განათლებისაკენ. მაგრამ XIX საუკუნის შუა ხა-

ნებიდან იგი იძულებული ხდება ანგარიში გაუწიოს მოწინავე ქართველი მოღვაწეების მოთხოვნილებას, გაატაროს განათლების სისტემის თავისებური რეფორმა: 1864 წლის დებულების შესაბამისად დაწყებითი სკოლების დაარსების უფლება მიეცა საზოგადოებრივ გაერთიანებებს და კერძო პირებს, რა თქმა უნდა თვითდაფინანსების საფუძველზე. ამგვარ სასწავლებლებში მსურველთა მიღება ხდებოდა წოდებრივი გარჩევის გარეშე. 1873 წლის დებულებით საშუალო სასწავლებელთა პროგიმნაზიულ კლასებში ქართული ენა შემოიღეს არასავალდებულო საგნის სტატუსით, 1881 წელს კი რუსიფიკაციის პოლიტიკამ ზენიტს მიაღწია — ქართული ენა დაწყებითი სკოლებიდანაც კი განიდევნა.

სწავლა-განათლების სისტემა ბრძოლის არენად გადაიქცა. პატრიოტი მოღვაწენი და პედაგოგები – იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ილია წინამძღვრიშვილი, ანთიმოზ ჯუღელი, ლუარსაბ ბოცვაძე, ივანე როსტომაშვილი თავგამოდებით იბრძოდნენ სკოლის სრული რუსიფიკაციის წინააღმდეგ. ამ სფეროში დადებითი როლი შეასრულა ჯერ კიდევ 1879 წელს შექმნილმა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ". მხოლოდ მის მიერ გახსნილ დაწყებით სასწავლებლებში ხერხდებოდა ქართული ენის პოზიციების დაცვა.

მიუხედავად რუსული ხელისუფლების მანკიერი საგამანათლებლო პოლიტიკისა, სწავლა-განათლების სისტემა ფართოვდებოდა და დადებითი მოვლენებიც იჩენდა თავს. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გაიზარდა სხვადასხვა ტიპის დაწყებითი, ექვსწლიანი და საშუალო სკოლების რიცხვი. გამრავლდა გიმნაზიები, რეალური სასწავლებლები, სასულიერო სემინარიები, პროფტექნიკუმები. 1865 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 251 სკოლა 11851 მოსწავლით. 1902 წელს მოქმედებდა 420 დაწყებითი სკოლა და 12 საშუალო სასწავლებელი. 1913 წელს მათი რიცხვი, შესაბამისად, 773-მდე და 34-მდე გაიზარდა. შესაბამისად გადიდდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა კონტინგენტი. მართალია, ამ პერიოდშიც სასკოლო ასაკის ბავშვთა ორი მესამედი სასწავლებელთა გარეთ რჩებოდა, მაგრამ წერა-კითხვის მცოდნეთა და განათლებულ ადამიანთა რაოდენობით საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა რუსეთის იმპერიაში.

მომრავლდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. XIX საუკუნის 70-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველი ინტელიგენციის მიერ დაარსებული ე. წ. „ივანოვის" ბიბლიოთეკა-სამკითხველო თბილისში და ანტონ ლორთქიფანიძისა – ქუთაისში, რომლებიც არსებითად განათლებული ახალგაზრდების არაოფიციალურ კლუბებსაც წარმოადგენდნენ. ამ სფეროში დიდ როლს ასრულებდა მოსახლეობის აქტიურობა. ძირითა-

დად, ამის შედეგი იყო ის, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში და მომდევნო ხანს საქართველოს დაბა-სოფლები ბიბლიოთეკა-სამკითხველოებით იყო მოფენილი. ამ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებთან იხსნებოდა საკვირაო სკოლები, იქვე იმართებოდა საჯარო ლექციები.

ქართველი ხალხი, დემოკრატიული ინტელიგენცია, მთელი საუკუნე იბრძოდა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის. საამისოდ პირველი შუამდგომლობები უკვე XIX საუკუნის 30-50-იან წლებში აღიძრა. სათანადო თხოვნა-შუამდგომლობები განმეორდა 1871 წელს, საუკუნის მიწურულს, XX საუკუნის დამდეგს. თბილისის საქალაქო თვითმმართველობამ მომავალი უნივერსიტეტის საჭიროებისათვის 200 ჰექტარი მიწა შეიძინა. შენობის ასაგებად ფულადი ფონდიც შექმნა, მაგრამ რუსულმა ხელისუფლებამ სათანადო ნებართვა მაინც არ გასცა, ქართველ ხალხს უმაღლესი სასწავლებელი არ აღირსა.

სწავლა-განათლებას მოწყურებული ახალგაზრდები რუსეთის უნივერსიტეტებში იძენდნენ უმაღლეს განათლებას და ზოგი მათგანი იქვე ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კათედრაზე მარი ბროსეს, თეიმურაზ ბაგრატიონისა და დავით ჩუბინაშვილის ტრადიციებს აგრძელებდნენ დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ცაგარელი. 1881 წელს დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით თბილისში ჩატარდა არქეოლოგთა V ყრილობა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიის პრობლემებზე კვლევა-ძიების გაფართოებას. დიმიტრი ბაქრაძემ მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა საქართველოს არქეოლოგიის, პოლიტიკური ისტორიისა და კულტურის საკითხებზე. ალექსანდრე ცაგარელმა დიდი ღვაწლი დასდო ენათმეცნიერულ კვლევას. მანვე შეადგინა ქართული მწერლობის ძეგლთა აღწერილობა და გამოაქვეყნა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტების კრებული. რუსეთსა და საქართველოში მშობლიური ქვეყნის ისტორიის საკითხებზე ნაყოფიერად მუშაობდნენ ალექსანდრე ხახანაშვილი, მოსე ჯანაშვილი, ნიკო მარი, თედო ჟორდანია, ექვთიმე თაყაიშვილი. XX საუკუნის დამდეგს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც ევროპულ დონეზე აიყვანა ისტორიული კვლევა და შექმნა ფუნდამენტური ნაშრომები („ქართველი ერის ისტორია", „საქართველოს ეკონომიკური ისტორია", „ქართული სამართლის ისტორია", „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა" და სხვ.).

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისში მომრავლდა სამეცნიერო ხასიათის საზოგადოებები: დაარსდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების თბილისის განყო-

ფილება, ამიერკავკასიის ტექნიკური საზოგადოება, ამიერკავკასიის სამედიცინო საზოგადოება, კავკასიის იურიდიული საზოგადოება, კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოება, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ამ პერიოდში ფართოდ გაშალა კავკასიათმცოდნეობითი საქმიანობა თბილისის მუზეუმმა. დიდი ნაყოფიერებით გამოირჩეოდა ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივა-ხელმძღვანელობით 1907 წელს შექმნილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებულ ქართველოლოგიურ ცენტრთან (ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, აკაკი შანიძე).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებისათვის საქართველოში თითქმის არავითარი ბაზა არ არსებობდა და ამიტომ შესაბამის დარგთა ქართველი სწავლულები რუსეთსა და უკრაინაში მოღვაწეობდნენ. პეტერბურგის სამედიცინო-სამეცნიერო აკადემიის პროფესორმა ივანე თარხნიშვილმა გამოაქვეყნა მრავალი ნაშრომი, რომლებსაც საფუძვლად ედო ფიზიოლოგიური პროცესების ექსპერიმენტალური კლევა. ოდესის უნივერსიტეტის პროფესორის, ვასილ პეტრიაშვილის ნაშრომებში მთავარი ადგილი უკავია გამოკვლევებს აგროქიმიის დარგში. ამავე უნივერსიტეტის ქიმიის კათედრაზე ნაყოფიერად მოღვაწეობდა პეტრე მელიქიშვილი.

ლიტერატურა და პრესა. ქართული კულტურის ერთ-ერთ მთავარ ფუნდამენტს მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენდა. XVII-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ბუნებრივი გაგრძელება იყო XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული ახალი ქართული მწერლობა და ლიტერატურა. სულხან-საბა ორბელიანის და დავით გურამიშვილის ეროვნულ-ლიტერატურულ პრინციპებს აგრძელებდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, იოანე ბაგრატიონი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. ამავე პრინციპებს სრულყოფდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სხვა მწერლები და მოღვაწენი.

რუსული საოკუპაციო რეჟიმის არსებობისა და მისი კოლონიური პოლიტიკის პირობებში ქართულმა მწერლობამ და ლიტერატურამ აშკარად რომანტიზმის ელფერი მიიღო. ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, მართალია, პესიმიზმის საფუძველი ჭარბადაც კი ჰქონდათ, მაგრამ ისინი სულით არასდროს დაცემულან, იმედიან სულისკვეთებას ინარჩუნებდნენ, უმღეროდნენ სიყვარულს, საქართველოს უკეთეს მომავალზე ფიქრობდნენ და პროგრესისათვის ბრძოლაში თავისებურად მონაწილეობდნენ.

ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846 წწ.) ჭაბუკობისას იარაღით შეებრძო-

ლა რუს დამპყრობლებს, მოგვიანებით რუსეთის იმპერატორის სამსახურში ჩადგა და 1812 წელს კახეთის ანტირუსული აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობდა, 1828 წელს ერევნის გუბერნიის მმართველი გახდა, მაგრამ ამქვეყნიური ტკბობას თან სდევდა სევდა, დიდი წუხილი, რომლის ძირითადი საფუძველი რუსეთისაგან დაპყრობილი საქართველოს მძიმე მდგომარეობა, ქართველი ხალხის ჩაგვრა იყო. ქართული რომანტიზმის მეორე დიდი წარმომადგენლის, გრიგოლ ორბელიანის (1804-1883 წწ.) ცხოვრება-საქმიანობა კიდევ უფრო წინააღმდეგობრივად წარიმართა: 25-27 წლის ასაკში ანტირუსულ მახვილს ლესავდა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეას ავრცელებდა; შემდეგ რუსთა მეფის სამსახურში ჩადგა, ერთხანს მეფისნაცვლის მოვალეობასაც კი ასრულებდა. მაგრამ მისი სულისა და გულის სიღრმეში დიდი პატრიოტი სულდგმულობდა, თავისუფალ საქართველოზე ოცნებობდა; არ მალავდა, რომ „სული მარადის თავისუფლებისათვის“ უკვნესოდა; იმასაც ამბობდა, რომ „ჟამი არს მტერი მამულის მივცეთ მახვილსა ლესულსა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845 წწ.) ქართული რომანტიზმის გვირგვინია. იგი არ უარყოფდა რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების ზოგიერთ ობიექტურად დადებით შედეგს, მაგრამ გმობდა ქართველი ხალხის ჩაგვრისა და გარუსების პოლიტიკას. მომავალი თაობებიც იმეორებდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებს: „ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება; და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს“.

XIX საუკუნის 40-50-იანი წლებიდან ქართულ მწერლობასა და ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ხდება ცხოვრების რეალისტურად ასახვა, ყალიბდება კრიტიკულ-რეალისტური მიმდინარეობა. მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი თემა ხდება ბატონყმური წყობის კრიზისი, თავადაზნაურობის ეკონომიკური როლის შემცირება, ვაჭარ-მევახშეთა აღზევება და კაპიტალიზმის განვითარება. რეალიზმის აღმოცენება დაკავშირებულია გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვის, ლავრენტი არდაზიანის, დანიელ ჭონქაძისა და სხვა მოღვაწეების სახელებთან.

გიორგი ერისთავი (1811-1864 წწ.) ერთხანს რუსული ბიუროკრატიული აპარატის მოხელე იყო, მაგრამ მალე გადადგა და ათიოდე წელიწადს ახალი ქართული კულტურის ერთ-ერთი მესაჭის მძიმე ტვირთი ატარა. 1850-1855 წლებში იგი კვლავ აღორძინებულ ქართულ თეატრს მეთაურობდა, ხელს აშველებდა ჟურნალ „ცისკარსაც“. ისტორიაში ის დარჩა, რო-

გორც დიდი კომედიოგრაფი. ნაწარმოებები — „შეშლილი“, „დავა“, „გაყრა“, „ძუნწი“, „ყვარყვარე ათაბაგი“ სატირული ჟანრისაა და მწერლის მიერ გაშარჟებულია ბატონყმობა, თავად-აზნაურთა პარაზიტული ყოფა, ბიუროკრატ მოხელეთა გახრწნილი ბუნება, გაქნილ-გაძუნწებული ვაჭარი, საზოგადოების ზნეობრივ-მორალურად გადაგვარებული ნაწილი. გიორგი ერისთავის ჟანრულმა მიმართულებამ და ხედვამ გავლენა იქონია ზურაბ ანტონოვის, ლავრენტი არდაზიანისა და სხვა მწერალთა შემოქმედებაზე.

რაფიელ ერისთავი (1824-1900 წწ.) ქართულ პოეზიაში დამკვიდრდა სოციალური შინაარსის, ანტიბატონყმური სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსებით („ბეჩავი“, „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, „მთხოვარა გლახაკი“ და სხვ.). რაფიელის გლეხურ დემოკრატიზმში თითქმის მხოლოდ პასიური პროტესტია გამოთქმული. რაფიელ ერისთავის პოეზიის პერსონაჟ გლეხს უსამართლობად მიაჩნია, რომ თავისი ნაშრომის დიდ ნაწილს მემამულეს ღალა-კულუხის სახით აძლევს, მაგრამ ამას იქით არ იხედება. თვითონ პოეტიც ზეციერკენ უთითებს გლეხს, მოთმინებას, ქედმოხრილობას, ბედისადმი მორჩილებას ურჩევს. კიდევ უფრო მშვიდი, შემრიგებლური პოზიცია უკავიათ ლავრენტი არდაზიანის რომანებისა და მოთხრობების გმირებს, როგორც ზედა, ისე ქვედა სოციალური ფენის წარმომადგენლებს. თვით მწერლის იდეალი განათლებულ მემამულეს, ნორმალურ ვაჭარს, ოდნავ მატერიალურად მომძლავრებულ საზოგადოებას არ სცილდება. მას მამაშვილურ ურთიერთობაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნის ძირითად საშუალებად მორალისა და განათლების დონის ამაღლება მიაჩნია.

გაცილებით კრიტიკული იყო დანიელ ჭონქაძის შემოქმედება (1830-1860 წწ.). „სურამის ციხეში“ ასახულია ბატონყმობის ანტიადამიანური ხასიათი, დასაბუთებულია მისი დამხობის აუცილებლობა. დანიელ ჭონქაძე მკვეთრად დაუპირისპირდა კონსერვატიული მსოფლმხედველობის თავადაზნაურობას (ალექსანდრე ორბელიანი, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი და სხვ.), რომელნიც ბატონყმობას მამაშვილური ურთიერთობის ბურუსში ხვევდნენ და მხოლოდ მისი დარეგულირების საჭიროებაზე ლაპარაკობდნენ. 1860 წელს გარდაცვლილი დანიელ ჭონქაძე საჯაროდ პრესაში მხოლოდ 1863 წელს დაიტირეს და ისიც არალეგალურად (აკაკი წერეთელი). დანიელ ჭონქაძის მოთხრობამ ჯერ კიდევ ვერ აამოქმედა პროგრესული საზოგადოება. ასეთი როლი ილია ჭავჭავაძის კრიტიკულ-პუბლიცისტურმა წერილმა შეასრულა.

ილია ჭავჭავაძე (1837-1907 წწ.) პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. სტუდენტობის წლებში მან შექმნა ქართული პოეზიის არაერთი შედევრი, რომლებიც სავსეა ჰუმანიზმით, სოციალური და ეროვნული თა-

ვისუფლების უდიდესი სურვილით, უსამართლობის დაგმობისა და სამართლიანობის დამყარების სულისკვეთებით. 1861 წელს ილია საქართველოში დაბრუნდა, იმავე წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი წერილი — „ორიოდე სიტყვა თ. რ. ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელშიც არა მარტო დაწუნებულია თარგმანის ენა და სტილი, არამედ მკაცრადაა გაკრიტიკებული იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეები, მათი დამცველი სენტიმენტალურ-რომანტიკული ლიტერატურული მიმდინარეობა. იმავე სტატიაში წამოყენებული იყო ქართული ენისა და ლიტერატურის „გახალხურების“, მწერლობაში რეალიზმის დამკვიდრების პროგრამა. ილიას მხარში ამოუდგნენ რუსეთის უნივერსიტეტში განათლებამიღებული აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სამსონ აბაშიძე და სხვა „თერგდალეულები“. ილიასეული პროგრამა კი დაიწუნეს ალექსანდრე ორბელიანმა, ექვთიმე წერეთელმა, ბარბარე ჯორჯაძემ და სხვა კონსერვატორებმა.

გაჩაღდა იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა, დებატები ძველ და ახალ თაობას შორის. იწყებოდა ახალი ხანა არა მარტო მწერლობაში, მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ საერთოდ აზროვნებისა და პოლიტიკური მოძრაობის ისტორიაში. ყალიბდებოდა თავისი შინაარსით რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება, რაც თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა. გაფართოვდა კონტაქტები ინტელიგენციასა და ხალხს შორის. მხატვრულ ლიტერატურაში აისახებოდა ხალხის ცხოვრება, მასის განწყობა.

ახალ მიმართულებას, უპირველეს ყოვლისა, თერგდალეულთა ლიდერი — ილია ჭავჭავაძე ამკვიდრებდა. ეს ნათლად ჩანს მის მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტურ სტატიებში. ბუნებით მშვენიერი, მაგრამ ძალადობით მოსული დამპყრობლისა და ადგილობრივი მჩაგვრელების მიერ თავისუფლებაწართმეული ერი უბედურების წიაღში მოქცეულა, დიდი უმრავლესობა „უწყინარი, უჩინარი, ქედდრეკილი და მშიერი“ გამხდარა („ბედნიერი ერი“). ილია მწვავედ განიცდის იმას, რომ გუთანს მოჭიდებული გლეხი, რომელსაც ზეცა წაართვეს, მიწა კი უმძიმესი შრომის ასპარეზად დაუტოვეს, პირუტყვთან იყო გათანაბრებული („გუთნის დედა“). გლეხზე კიდევ უფრო უჭირდა არაფრისმქონე პროლეტარს („მუშა“). ილია იმასაც დარდობს, რომ ქართველი დედა, რომელიც წინათ სამშობლოს მტრებთან მებრძოლ შვილებს უზრდიდა, ახლა ამას ვერ ახერხებს, თვითვე გამხდარა პატრიოტული სულისკვეთებით აღსაზრდელი. ილია გმობდა ზედაფენას, განსაკუთრებით მის კმაყოფილსა და უზრუნველ ნაწილს, რომელიც ამგვარ მდგომარეობასა და უსამართლობას კანონიერად თვლიდა.

ილია ჭავჭავაძე უმღეროდა ცხოვრების განახლებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს. მათი სულისკვეთების ასახვა, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის წარმოჩენა, წინ წამოწევა მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის მოვალეობად მიაჩნდა. ილიამ პოეზიის დანიშნულებად გამოაცხადა არა მარტო ტკბილ ხმაზე მღერა, არამედ „სიძულვილით სიყვარულის" ქადაგებაც („ჩემო კალამო"), რაც მთავარია, ერის ბედისა და უბედობის გაზიარება, მისი წინამძღოლობა. ილია მიესალმა პარიზის კომუნარებს, „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელ დიდ დროშას", იმასაც ნატრობდა, რომ ეროვნული ბორკილების მსხვრევის ხმა საქართველოშიც მოესმინა („მესმის მესმის"), ოცნებობდა გმირზე, რომელიც სამშობლოს ჩაგვრისაგან იხსნიდა, თავისუფლებას დაუბრუნებდა („ბაზალეთის ტბა").

ილია ჭავჭავაძე სიამაყით ჭვრეტდა საქართველოს წარსულს. ქართველი ერის გმირულ თავგადასავალს, ხოტბას ასხამდა ეროვნულ გმირებს. მაგრამ მისი მთავარი საზრუნავი დღევანდელობა და უკეთესი მომავალი იყო. ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის მებრძოლთა პროგრამად იქცა ილიას მოწოდება: „მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა, რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა. მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი... ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს. ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს".

ილია ჭავჭავაძე თერგდალეულთა აღიარებული ლიდერი იყო. მას მხარს უმშვენებდნენ დიდი ეროვნული მოღვაწენი. აკაკი წერეთლის (1840-1915 წწ.) პოეზია, დრამატურგია და პროზა ჰუმანიზმისა და თავისუფლების სულისკვეთებითაა გამსჭვალული. მისი ლირიკის მთავარი თემებია დამოუკიდებლობაწართმეული, მაგრამ თავისუფლებისათვის ბრძოლის და აღორძინების გზაზე გამოსული „ცაფირუზ-ხმელეთზურმუხტოვანი" სამშობლო (იხ. „სალამური", „განთიადი", „სულიკო", „ციცინათელა", „ხანჯალი", „თქვენი ჭირიმე" და სხვ.). აკაკი ერის თავისუფლებაზე, მშრომელი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაზე ფიქრობდა, მისი პოეზია (სიმღერა) „სიმართლეს" ემსახურებოდა, დაჩაგრულს თვალთაგან ცრემლს წმენდდა, მჩაგვრელს კი გულში ისარივით ესობოდა. აკაკის შემოქმედებაში მხატვრულადაა ასახული საქართველოს ისტორია, წარმოდგენილია ეროვნულ გმირთა პორტრეტები („თორნიკე ერისთავი", „ბაში-აჩუკი", „პატარა კახი" და სხვ.). აკაკის სწამდა (და ასეც იყო), რომ მისი ნაწარმოებები ქართველ მკითხველში ამაღლებდა ეროვნულ ცნობიერებას, პატრიოტულ სულისკვეთებას, ბადებდა თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის დაუოკებელ სურვილს. აკაკის ბევრი თანამედროვე პატრიოტი ალბათ იმეორებდა

პოეტის სიტყვებს — „ვინც მამულს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვიან მამულიშვილი“. ქართველი ახალგაზრდობის ზნეობრივ სრულყოფასა და პატრიოტულ აღზრდაში დიდ როლს ასრულებდა აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები და მოთხრობები. დღესაც სანიმუშოდ ითვლება იაკობ გოგებაშვილისეული „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსკოე სლოვო“.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში პირველ თერგდალეულთა ტრადიციებს აგრძელებდნენ ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი და სხვები. ტრადიციებთან ერთად მხატვრულ ლიტერატურაში ახალი თემები შემოიტანეს და ახალი განწყობილებებიც ასახეს.

ალექსანდრე ყაზბეგისათვის სიახლე იყო თემის რღვევა, მთიანეთის მოსახლეობის ქონებრივ-სოციალური დიფერენციაცია. საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობანი. იგი წერდა: „ხალხოსნური ერთობა შეირყა... მის მოადგილედ პირადი საჭიროება, პირადი სარგებლობა შეიქმნა მოთხოვნილებად. ძმას ძმასთან აღარ ჰქონდა საქმე და მეზობელს მეზობელთან“. ამ ნიადაგზე აღმოცენებული დაპირისპირების, ბოროტისა და კეთილის ბრძოლაა ასახული ალექსანდრე ყაზბეგის რომანებსა და მოთხრობებში („მამის მკვლელი“, „ელგუჯა“, „მოძღვარი“, „ხევისბერი გოჩა“ და სხვ.). ხალხოსნური იდეის თავისებურად გამზიარებელ ამ ნაწარმოებთა ავტორს არ მოსწონს ის, რომ თემს, ადამიანთა ურთიერთობას, საუკუნეთა სიგრძეზე დამკვიდრებული მაღალმორალური საფუძველი ერყევა და რეალურ ცხოვრებაში ამორალური ადამიანები ბატონდებიან. საზოგადოებრივის პირადულთან ჭიდილში იღუპებიან მაღალი მორალის დამცველი ადამიანები. დამპყრობელთა და აღზევებულ თანემემამულეთა ძალადობას ეწირებიან ეროვნული და სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლნი. მაგრამ მწერალს იმედი აქვს, რომ საბოლოოდ მაინც კეთილი გაიმარჯვებს. ალექსანდრე ყაზბეგის აზრით ამის თავდები იყო „ხალხის შეერთებული ძალა და მისი ამაღლებული სულიერი მდგომარეობა“.

ვაჟა-ფშაველას აზრით, მხატვრული და თანაც მართალი სიტყვა მაღალღირებულ ზნეობრივ ძალას წარმოადგენდა („ნუგეში მგოსნისა“, „სიტყვა ეული“). ვაჟას შემოქმედებაში მთელი სამყარო (გარემომცველი ბუნება და ადამიანი) წარმოდგენილია სიყვარულით გაცისკროვნებულ ერთიანობად, ყოველი უსულო სულიერად, უბრალო ბალახიც კი სიბრალულის და დაცვის ღირსად (იხ. „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „მთის წყარო“, „ქუჩი“, „მთანი მაღალნი“). მთელი ბუნება, ვაჟას თქმით, მბრძანებელიცაა და მორჩილიც, სიკეთისა და ავის მქნელიც. ვაჟას სამყარო საოცრად ჰარმონიულია და მთლიანი. პოეტის სურვილია, ასეთივე ჰარმონიული იყოს ადა-

მიანთა საზოგადოება. თემისა და პიროვნების ურთიერთობას, ადამიანის ზოგადი დანიშნულების არსს ეძიებენ ვაჟას პოემების გმირები, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“, „გველის მჭამელი“, უდიდეს ჰუმანიზმისა და ადამიანურობის იდეალებზე მოგვითხრობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერგდალეულთა თაობაში რამდენადმე განსხვავებულ მოღვაწეებად ჩამოყალიბდნენ ბელეტრისტი გიორგი წერეთელი და პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე.

1866 წელს გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევი „მგზავრის წიგნი“. მასში ასახულია ბატონყმობის გაუქმების წინა წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება. წარმოდგენილი სურათი იმდენად რეალური იყო, რომ მკითხველი ნაწარმოების გმირთა ვრცელ გალერეაში მისთვის ცნობილ პიროვნებებს პოულობდა, ბატონყმური საქართველოს სოციალური პორტრეტია დახატული გ. წერეთლის მეორე ბელეტრისტულ ნაწარმოებში — „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“. აქაც პუბლიცისტური პირდაპირობით იყო დაგმობილი ბატონყმური ურთიერთობა, იმდროინდელი აღზრდა-განათლების სისტემა, რომელიც ამახინჯებდა ახალ თაობას. 80-90-იან წლებში გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის მოთხრობები — „რუხი მგელი“ და „მამიდა ასმათი“, რომანები — „პირველი ნაბიჯი“ და „გულქანი“. ამ ნაწარმოებებში ავტორი წარმოგვიდგება ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ მემატიანედ, ფეოდალური და ბურჟუაზიული ჩაგვრის კრიტიკოსად, ქართველი ხალხის უკეთეს მომავალზე მეოცნებე მოღვაწედ. ქართველ სამოციანელთა ძირითადი ბირთვისაგან მის გამიჯვნას და პოლემიკას კრიტიკული რეალიზმის საკითხზე მოჰყვა ქართველ მოღვაწეთა პირობითად მეორე დასის წარმოქმნა. თერგდალეულთაგან გიორგი წერეთელი იყო პირველი, რომელმაც იმედი დაამყარა მარქსისტულ მოძღვრებაზე და მიესალმა „მესამე დასის“ დაბადებას, დაუთმო მას ჟურნალი „კვალი“.

უტოპიური სოციალიზმის ქართულ ნაირსახეობას, ხალხოსნურ მიმდინარეობას საფუძველი ჩაუყარა ანტონ ფურცელაძემ (იხ. მისი მოთხრობები — „სამის თავგადასავალი“, „ვაი მართალთა“, „მაცი ხვიტია“) ხალხოსნური რეალიზმის პრინციპების საფუძველზეა შექმნილი პოეტ იოსებ დავითაშვილის ლექსები, ზაქარია გულისაშვილისა და ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობები, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას რომანი — „მოლიპულ გზაზე“. ქართული ხალხოსნური რეალისტური ლიტერატურის ყველაზე ტიპური წარმომადგენლები არიან ნიკო ლომოური (1852-1915 წწ.) და სოფრომ მგალობლიშვილი (1851-1925 წწ.). ნიკო ლომოური რეალისტურად ასახავს

სინამდვილეს საკუთარ მცირე პროზაულ ნაწარმოებებში — „ბედი უბედურთა“, „ყოველის მხრიდან“, „ალი“, „ქაჯანა“. სოფრომ მგალობლიშვილი ნაკლებად ზრუნავდა ნაწარმოების ფორმასა და მხატვრულ დონეზე. ნატურალისტურად ხატავდა სოფლის ცხოვრებას, თავის მოთხრობების პერსონაჟებს („ღამის მეხრე ცეცო“, „ჯორ ზაქარა“). ასეთივე სტილი ჰქონდათ დუტუ მეგრელს, სილოვან ხუნდაძეს, შიო მღვიმელს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული შეუფერადებელი, რეალისტური და ხალხოსნური ლიტერატურის თავისებური სინთეზია ეგნატე ნინოშვილის (1859-1894 წწ.) შემოქმედება. ეგნატე ნინოშვილმა ღარიბი ინტელიგენტის მძიმე ტვირთი ატარა. იგი ხალხის ახლოს იდგა, „მესამედასელებთან“ მეგობრობდა და საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა. მის რომანებში — „ჯანყი გურიაში“, „პალიასტომის ტბა“, „სიმონა“, „ჩვენი დროის რაინდი“, „ქრისტინე“, „მოსე მწერალი“ ის აზრია გატარებული, რომ საზოგადოების მარტო მაღალი ფენები კი არ იყვნენ დაავადებულნი, არამედ მთელი საზოგადოება საჭიროებდა მკურნალობას, გადახალისებას, გარდაქმნას. მწერალს სამომავლო მიზნად მიაჩნდა სოციალური სამართლიანობის დამყარება. მწერლის მოთხრობები სიბრალულის გრძნობას იწვევს უსამართლოდ დაჩაგრულების მიმართ, სიძულვილს – მჩაგვრელებისადმი. იმავდროულად, ეგნატე ნინოშვილი თითქოს აღარ კმაყოფილდება „სიძულვილით სიყვარულის“ ქადაგებით, მის ნაწერებში იშიფრება უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის მოწოდება, რაც უფრო ნათლად გამოიკვეთა ირადიონ ევდოშვილის (1873-1916 წწ.) ნაწარმოებებში.

ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. ქართული ნაბეჭდი წიგნი უკვე XVII საუკუნეში გამოჩნდა და XVIII საუკუნეში გამრავლდა. 1799 წელს იოანე ბაგრატიონმა წამოაყენა ქართული გაზეთის გამოცემის იდეა. პირველი ქართული გაზეთი, რომელსაც ჯერ „საქართველოს გაზეთი“, ხოლო მოგვიანებით „ქართული გაზეთი“ ეწოდა, გამოდიოდა 1819-1821 წლებში. გაზეთი „ტფილისის უწყებანი“ იბეჭდებოდა 1828-1832 წლებში. მისი სულისჩამდგმელი იყო სოლომონ დოდაშვილი. მანვე ამ გაზეთის, დამატების სახით გამოსცა ჟურნალი — „სალიტერატორონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. დაბეჭდილ სტატიებში იგრძნობოდა ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება და რუსულმა ხელისუფლებამ შეთქმულთა საზოგადოების დარბევისთანავე დახურა (1832 წ.). 1838-1844 წლებში პლატონ იოსელიანი ახერხებდა „ქართული კალენდრის“ გამოცემას. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული პრესა იზღუდებოდა. დომინირებდა რუსული ჟურნალ-გაზეთები, რომლებშიც ქართველ პუბლიცისტთა სტატიებიც იბეჭდებოდა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში ქართველმა ინტელიგენციამ სცადა გამოეცა ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი „სინათლე“, მაგრამ ამაოდ. გიორგი ერისთავმა მოახერხა 1852-1853 წლებში გამოეცა ჟურნალ „ცისკრის“ რამდენიმე ნომერი. ქართველი მკითხველი მისი მეშვეობით გაეცნო ადრინდელ ქართულ თხზულებებს და უცხოური მწერლების ნიმუშებს. 1857 წელს „ცისკარი“ აღადგინა, განაახლა და გაახანგრძლივა (1875 წლამდე) ივანე კერესელიძემ. ჟურნალი და მისი თანამშრომლები კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ ქართული კულტურის აღორძინების საქმეს. პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა დავით გურამიშვილის, იოანე ბაგრატიონის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის მხატვრული ნაწარმოებები. „ცისკრის“ ფურცლებზე დაიწყო ქართული ენის რეფორმა, მისი დახვეწა და გახალხურება.

1863 წელს ილია ჭავჭავაძემ გამოსცა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, მისი თანამშრომლები, გამომცემელ-რედაქტორთან ერთად, იყვნენ კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი, დავით ყიფიანი და სხვ. „საქართველოს მოამბე“ იყო ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ორგანო, რომელმაც სისტემური სახით დაიწყო განმანათლებლური, ეროვნულ-რევოლუციური და უტოპიურ-სოციალისტური იდეების გავრცელება საქართველოში. ხელისუფლების ზეწოლის პირობებში და უსახსრობის გამო ჟურნალმა მხოლოდ ერთი წელი იარსება, გამოვიდა 12 ნომერი, მაგრამ მან დადებითი გავლენა მოახდინა ქართული დემოკრატიული პრესის, ლიტერატურისა და აზროვნების განვითარებაზე.

„საქართველოს მოამბის“ თავისებური მემკვიდრე იყო გაზეთი „დროება“, რომელიც რადიკალური დემოკრატიზმით გამოირჩეოდა. მან გაცილებით დიდხანს (1866-1885 წწ.) გაუძლო ცენზურის შემოტევას, სხვა დაბრკოლებებს. გაზეთის პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი, მომდევნო — სერგი მესხი და ივანე მაჩაბელი. „დროების“ გამოცემასა და ნომრების მოშზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ნიკო ნიკოლაძე, კონსტანტინრ ლორთქიფანიძე, პეტრე უმიკაშვილი, დიმიტრი მიქელაძე და სხვ. 1872-1873 წლებში „დროების“ დამატების სახით გამოდიოდა ჟურნალი „კრებული“. მიმართულებით „დროებასთან“ ახლოს დადგა „სასოფლო გაზეთი“. „დროების“ იდეებს ცენზურისაგან დაცულ პრესაში ავრცელებდა ნიკო ნიკოლაძის მიერ პარიზში 1873 წელს გამოცემული გაზეთი „დროშა“. ქართული რადიკალური პრესის სულისკვეთება გადაედო თბილისურ რუსულენოვან გაზეთებს: ეროვნულ-სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ გაბედულად ილაშქრებდნენ კ. ბებუთოვის „ტიფლისსკი ვესტნიკი“, ნ. ნიკოლაძის „ობზორი“ და გ. თუმანიშვილის „ნოვოე ობოზრენიე“.

ოდნავ მოგვიანებით „დროება-კრებულის“ მემკვიდრეობა იკისრეს პერიოდული პრესის სხვა ორგანოებმა, 1894 წელს გამოდიოდა ჟურნალი „მოამბე“, 1893-1904 წლებში „კვალი“, 1896-1906 წლებში „ცნობის ფურცელი“, რომლებიც მალე მესამედასელთა და სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანოებად გადაიქცნენ. „დროებასა“ და ამ ორგანოებს აერთიანებდა ეროვნული და სოციალური სამართლიანობის დამყარების იდეა, ანსხვავებდა პრაქტიკული საქმიანობა და მეთოდი. თითქმის ამავე ჭრილში თავსდება ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული „ივერია“ (1877-1906 წწ.).

ხალხოსნური (უტოპიური) სოციალიზმის იდეოლოგია არც პრესის უკვე დასახელებული ორგანოებისათვის იყო მთლად უცხო ხილი, მაგრამ რამდენადმე გალიბერალებულმა ქართველმა ხალხოსნებმა საკუთარი ორგანოებიც შექმნეს: XIX საუკუნის 80-იან წლებში ხალხოსნური იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ ჟურნალი „იმედი“ (რედაქტორი მ. გურგენიძე) და გაზ. „შრომა“ (რედაქტორი დ. დადიანი). მათთან თანამშრომლობდნენ რ. ხომლელი, დ. კეზელი, ს. ჭრელაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ანტონ ფურცელაძე, ე. ბოსლველი. ამავე დროიდან გამოსვლას იწყებს პირველი ქართული საბავშვო ჟურნალები. 1883-1885 წწ. გამოდიოდა ჟურნალი „ნობათი“ (რედაქტორი ღულაძე), 1890-1917 წწ. ჟურნალი „ჯეჯილი“ (რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა). ამ ჟურნალებმა, რომლებსაც თანადგომა-დახმარებას არ აკლებდნენ ცნობილი ქართველი მწერლები და პუბლიცისტები, განსაკუთრებული როლი შეასრულეს ახალგაზრდობის პატრიოტული და დემოკრატიული სულისკვეთებით აღზრდაში.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან თანდათან გამრავლდა პრესის დარგობრივი ორგანოებიც, 1888-1894 წწ. თბილისში გამოდიოდა ჟურნალი „მეურნე“ (რედაქტორი ვ. სულხანიშვილი), მისი გამოცემა ქუთაისში გააგრძელა (1895-1898 წწ.) ილია ჭყონიამ. იმავე ქუთაისში 1888 წელს ეკატერინე ლორთქიფანიძემ გამოსცა ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“. 1885-1890 წლებში გამოდიოდა გაზეთი „თეატრი“, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია და ალექსანდრე ნებიერიძე. სხვადასხვა დროს თბილისში გამოდიოდა აზერბაიჯანული და სომხური ჟურნალ-გაზეთებიც.

ქვეყნისა და ხალხის კულტურული დონის ამაღლებაზე მეტყველებდა წიგნის ბეჭდვის განვითარება, საგამომცემლო საქმიანობის რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა. 60-იან წლებში ყოველწლიურად 9 სახელწოდების წიგნი იბეჭდებოდა, 1893 წელს დაიბეჭდა 93 წიგნი, 1899 წელს 112 წიგნი, გაცილებით მეტი 10-15 წლის შემდეგ. დიდი ყურადღება ექცეოდა ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკურ ძეგლთა გამოცემას, უცხ-

ოელ ავტორთა ნაწარმოებების თარგმნას, იზრდებოდა საბუნებისმეტყველო ნაშრომების გამოცემის ტემპი. ცარიზმი და მისი ადმინისტრაციული ჯაჭვრატი, მკაცრი ცენზურა ყოველნაირად აფერხებდა კულტურის ამ სფეროს განვითარებას, მაგრამ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ახერხებდნენ წინააღმდეგობათა დაძლევას. ქართული ბეჭდვითი სიტყვა გზას იკაფავდა, თანდათან მეტ როლს ასრულებდა ხალხის კულტურული დონის ამაღლებაში.

ხელოვნება

XIX საუკუნის დასაწყისიდან ასი წლის განმავლობაში ადგილობრივი ქართული ტრადიციები თანდათან სუსტდებოდა ქალაქთმშენებლობასა და ხუროთმოძღვრებაში. თბილისში კარგა ხანს დომინირებდა ეროვნული ყაიდის საცხოვრებელი სახლები. ჭარბობდა მცირე ზომის ორსართულიანი აივნიანი და ბანიანი სახლები. ფერდობებზე განლაგებულ მდაბიო მოქალაქეთა დარბაზული ტიპის სახლები შეძლებულთა სახლებისგან უმეტესად იმით გამოირჩეოდა, რომ ისინი უფრო კარგად ნაშენ და ფართო ნაგებობებს წარმოადგენდნენ. ამ ფონზე კონტრასტულად გამოიყურებოდა უკვე XIX საუკუნის პირველ ნახევარში ევროპულ სტილზე აგებული ადმინისტრაციული დანიშნულების შენობები და უცხოეთიდან ჩამოსულ მოქალაქეთა სახლები.

თანდათან გაიზარდა თბილისის ახალი უბნები. გაშენდა გოლოვინისა და მიხაილოვის პროსპექტები. იმატა სამრეწველო-კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ შენობების რიცხვმა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბინათმშენებლობა მომგებიან საქმედ, თავისებურ ბიზნესად იქცა. მდიდარი მოქალაქენი რამდენიმესართულიან სახლებს აშენებდნენ და ბინებს მართავდნენ გაქირავების მიზნით. თბილისის ახალი უბნების მშენებლობაში დამკვიდრდა ევროპული ყაიდის რენესანსული, კლასიკური და ბაროკოული სტილი. რამდენადმე გადასხვაფერდა ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და ზოგი სხვა დაბა-ქალაქი. მაგრამ საქართველოს ქალაქები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზეც ინარჩუნებდნენ ორიგინალურ, ქართულ იერსახეს.

განახლებისა და აღმავლობის გზაზე დადგა თეატრალური ხელოვნება. XIX საუკუნის შუახანს თბილისში მოქმედებდა რუსული დრამისა და იტალიური საოპერო თეატრები. მანანა ორბელიანის სალონში დაიბადა ახალი ქართული თეატრის შექმნის იდეა, რომელსაც ხორცი შეასხა დრამატურგმა გიორგი ერისთავმა. პირველი სპექტაკლი გაიმართა 1850 წლის 2 იანვარს თბილისის გიმნაზიის შენობაში. მაყურებელმა დადებითად შეაფასა გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“ და მასში მონაწილე მსახი-

ობები. გიორგი ერისთავის თეატრი წარმატებით ფუნქციონირებდა 1854 წლამდე. რუსი მოხელენი მიხვდნენ, რომ ქართული თეატრი მოსახლეობის მაღალი ფენების გასართობ საშუალებასთან ერთად, ეროვნული ხელისკვეთებით ფუნქციასაც ითავსებდა და ამიტომ თეატრს მატერიალური დახმარება შეუწყვიტეს, ხოლო მისი ხელმძღვანელი აიძულეს თბილისი დაეტოვებინა. დროდადრო წარმოდგენები შემდეგ წლებშიც იმართებოდა, მაგრამ მუდმივმა თეატრმა დიდი ხნით შეწყვიტა არსებობა.

1879 წელს იწყება ახალი საფეხური ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. ქართული კულტურის მოღვაწეთა ჯგუფმა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით, კვლავ აღადგინა პროფესიული თეატრი. სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ განახლებული თეატრის პირველ წარმოდგენად გავიდა დავით გიორგის ძე ერისთავის მიერ ქართულ ყაიდაზე გადაკეთებული დრამა „სამშობლო". 1880 წელს დრამატული თეატრი დაარსდა ქუთაისში, 20 წლის შემდეგ ბათუმში. ქართული თეატრალური ხელოვნების სრულყოფას ემსახურებოდნენ ნიჭიერი დრამატურგები და სცენის ოსტატები – ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი და ვალერიან გუნია. ხდებოდა არა მხოლოდ ქართველი, არამედ რუსი და დასავლეთევროპელი დრამატურგების კლასიკური ნაწარმოებების ინსცენირება. ქართული თეატრი გადაიქცა ეროვნული იდეის პროპაგანდისტად, განმათავისუფლებელი მოძრაობის კერად.

პროფესიული თეატრის პარალელურად ძალას იკრებდა სახალხო თეატრი. სცენისმოყვარეთა ამხანაგობამ, რომლის თავმჯდომარე იყო ვასო თევდორაშვილი, წარმოდგენების გამართვა დაიწყო ავჭალის მოედანზე მდებარე საჩაიეში. სახალხო თეატრმა იოსებ იმედაშვილის რეჟისორობით 1893 წლის 23 სექტემბერს საზოგადოებას წარუდგინა ავქსენტი ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". მომდევნო წლებში იდგმებოდა ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა", აგრეთვე თარგმნილი პიესები — „პეპო", „რევიზორი", „ყაჩაღები", „ურიელ აკოსტა" და სხვ. 1908 წელს აშენდა სახალხო სახლი (ახლანდელი მარჯანიშვილის თეატრი), რომელშიც დაბინავდნენ ქართული, რუსული და სომხური სახალხო თეატრები. იმართებოდა აგრეთვე კონცერტები და ლიტერატურული საღამოები. სახალხო თეატრები შეიქმნა ქუთაისში, ბათუმში, თელავში, ხაშურში, ჭიათურაში, ხონში. მათ სპექტაკლებში დროდადრო მონაწილეობდნენ პროფესიული თეატრის სახელგანთქმული ოსტატებიც.

განვითარდა ხელოვნების ისეთი სახეები, როგორიცაა ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება. უმაღლეს სამხატვრო განათლებას ქართველი ხელოვანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთში იღებდნენ. პეტერბურგის სამხატვრო აკადემია დაამთავრა გრიგოლ მაისურაძემ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ეროვნულ ფესიულ მხატვრობას. იგი ძირითადად პორტრეტებს ქმნიდა. პორტრეტისტები იყვნენ აგრეთვე რომანოზ გველესიანი და ალექსანდრე ბერიძე. ახალი ქართული ფერწერის სრულყოფაში დიდი როლი შეასრულა გიგო გაბაშვილმა, რომელმაც 1897 წელს დაამთავრა მიუნხენის აკადემია. მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენები მოეწყო 1898, 1901, 1910 წლებში. იმ თაობის მხატვრები იყვნენ მოსე თოიძე, ალექსანდრე მრევლიშვილი. ახალ ქართულ მხატვრობაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა თვითნასწავლმა მხატვარმა ნიკო ფიროსმანაშვილმა. მან ორიგინალურად ასახა ქალაქისა და სოფლის ყოფა, ისტორიული სიუჟეტები, ცხოველთა სამყარო.

ქართული გრაფიკის განვითარება ძირითადად, წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების მომრავლებას დაუკავშირდა. ქართული წიგნის გაფორმება-სრულყოფაში დიდი წვლილი შეიტანა გრიგოლ ტატიშვილმა. ამ თვითნასწავლი მხატვარ-გრაფიკოსის მიერ იყო გაფორმებული იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, „ვეფხისტყაოსნის“ 1883 წლის გამოცემა, მრავალი სხვა წიგნის გარეკანი და სატიტულო ფურცლები, ჟურნალ-გაზეთების სათაურები. ანტონ გოგიაშვილის გრაფიკული ნამუშევრები ქვეყნდებოდა გაზეთ „კვალსა“ და „ცნობის ფურცელში“. ასევე, მან დაასურათა ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“.

ახალი ქართული ფერწერა და გრაფიკა ძველქართული მხატვრობისა და ხელოსნობის ტრადიციაზე ამოიზარდა. ახალი ქართული ქანდაკება კი არსებითად ცარიელ ადგილზე აღმოცენდა XIX საუკუნის ბოლოს. მისი ფუძემდებელი იყო იაკობ ნიკოლაძე. ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იგი გამოყენებითი ხელოვნებისა და ქანდაკების საფუძვლებს დაეუფლა მოსკოვსა და ოდესაში. 1897 წელს კავკასიის მხატვართა V გამოფენაზე საზოგადოებამ მოიწონა იაკობ ნიკოლაძის მიერ გამოძერწილი შოთა რუსთაველის ქანდაკება.

XIX საუკუნის დამდეგისათვის ძველი ქართული მუსიკა არსებობას განაგრძობდა საეკლესიო საგალობლებისა და ხალხური სიმღერების სახით. საეკლესიო მგალობლები ძველი დროიდანვე კარგი საერო მომღერლებიც იყვნენ. საზეიმო დღესა და მეჯლისზე ქართველები ჯერ საეკლესიო გალობით ტკბებოდნენ, შემდეგ საერო სიმღერით. ქალაქებში გავრცელდა აღმოსავლური ზურნა და თარი. თანდათან შემოვიდა რუსული და დასავლეთევროპული მუსიკა. მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, 50-60-იან წლებში პროფესიული მუსიკის განვითარების დონე მაღალი არ იყო.

იმ დროს თბილისში ორიოდე როიალი ხმიანობდა. ხალხური საკრავების სრულყოფასაც თითქმის არავინ ცდილობდა. თუმცა გამოჩნდნენ ეროვნული-ასტები, რომლებიც ზრუნავდნენ ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკის სრულყოფისათვის. აქტუალური ხდება მსჯელობა ქართული მუსიკის აღდგენა-განვითარების საკითხებზე. 1860 წელს თბილისში, მოგვიანებით ქუთაისშიც, დაარსდა ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენი კომიტეტი. საგალობელთა ჩაწერა-გამოცემის საქმეს თავდადებით ემსახურებოდნენ კ. მაჭავარიანი, ა. ბენაშვილი, ი. გოგებაშვილი, პ. კარბელაშვილი, თ. ქორიძე. 70-80-იან წლებში პირველად გამოიცა ქართული მუსიკის კრებულები. მომდევნო პერიოდში ქართული ხალხური სიმღერის შეკრება-გამოცემის საქმე მეცნიერულ საფუძველზე დაამკვიდრეს მელიტონ ბალანჩივაძემ, ზაქარია ჩხიკვაძემ, ია კარგარეთელმა, დიმიტრი არაყიშვილმა და ზაქარია ფალიაშვილმა.

ქართული სამუსიკო კულტურის ამაღლებაში დიდი წვლილი შეიტანა ხარლამპი საკანელმა. მან მუსიკის მოყვარულ ახალგაზრდობას თბილისში მოუყარა თავი, შეადგინა მომღერალთა გუნდი და 1874 წლის 24 აპრილს გამართა პირველი კონცერტი. მანვე დააარსა პირველი ქართული სამუსიკო სასწავლებელი (რომლის საფუძველზე მოგვიანებით შეიქმნა ქართული კონსერვატორია). 1888-1902 წლებში ეს სასწავლებელი დაამთავრა 89 კაცმა. ხარლამპი საკანელის საქმე საგუნდო სასიმღერო ხელოვნებაში გააგრძელეს მელიტონ ბალანჩივაძემ, სანდრო კავსაძემ, ძუკუ ლოლუამ. ამ საქმეს განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო ლადო აღნიაშვილმა. მან შეადგინა „ქართული საერო ხორო“ (1886 წ.), რომელსაც მიზნად დაუსახა ქართული ხალხური მუსიკის პროფესიულ დონეზე აყვანა. მოგვიანებით ამ გუნდის კონცერტებში მონაწილეობა მიუღიათ (უმღერიათ) ახალგაზრდა ზაქარია ფალიაშვილს, ია კარგარეთელს, ვანო სარაჯიშვილს. თავისი არსებობის მანძილზე გუნდმა მთელი საქართველო და ჩრდილო კავკასია მოიარა და მძლავრი ბიძგი მისცა „ქართული ხოროების“ ჩამოყალიბებას არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის ქალაქებშიც, სადაც ხალხური სიმღერის კონცერტებს მართავდნენ ქართველი სტუდენტები.

XIX საუკუნის 90-იან წლებში დაიბადა ახალი ქართული პროფესიული სამუსიკო ნაწარმოებები — სიმღერა-რომანსები, საგუნდო პიესები. 1891 წელს მელიტონ ბალანჩივაძემ დაწერა ორი რომანსი („ნანა შვილო“, „შენ გეტრფი მარად“). მანვე პირველად სცადა ქართული ოპერის შექმნა. 1896 წელს დაიწყო წერა ოპერისა „თამარ ცბიერი“, რომლის ნაწყვეტები მომდევნო წელს შესრულდა პეტერბურგის არისტოკრატულ საზოგადოებაში.

ერთი სიტყვით, ცარიზმისა და მისი ადმინისტრაციის დიდმპყრობელურ

-რუსიფიკაციური პოლიტიკის პირობებში ქართული კულტურა აღმავლობას განიცდიდა და ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, საქმიანობასა და აზროვნებაში მკვიდრდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული ურთიერთობა კავკასიისა და მსოფლიოს სხვა ხალხებთან

ქართული კულტურა ამ პერიოდშიც ძველი ტრადიციების აღორძინება-განახლების საფუძველზე ვითარდებოდა. ამასთანავე, მნიშვნელოვნად გაიზარდა გარე სამყაროსთან ურთიერთობისა და სხვა ხალხების კულტურულ მიღწევათა ათვისება-გამოყენების ტრადიცია.

XIX საუკუნეში ქართველ ერს კულტურული თუ სხვაგვარი ურთიერთობა უწინარეს ყოვლისა, კავკასიელ ხალხებთან უხდებოდა. საქართველო თვითონაც კავკასიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი იყო. საქართველოში კავკასიის თითქმის ყველა ხალხის წარმომადგენელი ცხოვრობდა. თბილისი იყო კავკასიის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი. საქართველოს დედაქალაქში საქმიანობდნენ არა მარტო ქართველი, არამედ სომეხი, აზერბაიჯანელი, აფხაზი (აფსუა), ოსი, ყაბარდოელი კულტურის მოღვაწენი. ბევრი არაქართველი კარგად ფლობდა ქართულ ენას, იცნობდა ქართულ კულტურას, მეგობრობდა ქართველ მოღვაწეებთან. კავკასიელები თანაბრად იჩაგრებოდნენ დიდმპყრობელი რუსი შოვინისტებისაგან და ყველას ინტერესი მოითხოვდა სოლიდარობასა და თავისუფლებისათვის გაერთიანებულ ბრძოლას.

ქართულ ტრადიციებზე აღზრდილმა ოსმა პოეტმა ი. იაღლუზიძემ ქართული ასოები გამოიყენა ოსური ანბანის შესადგენად, ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნა რამდენიმე ნაწარმოები. აფხაზი მოღვაწე მიხეილ შერვაშიძე ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართული პერიოდული პრესის რედაქტორ-გამომცემლებთან. ქართველი მოღვაწეები ყოველნაირად ეხმარებოდნენ აფხაზ და ოს ხალხებს მშობლიური კულტურის განვითარებაში. აფხაზური სწავლა-განათლების კერების შექმნისათვის ზრუნავდნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი. 1892 წელს კ. მაჭავარიანმა დიმიტრი გულიასთან ერთად შეადგინა და დაბეჭდა აფხაზური ანბანი. თ. ეშბასთან ერთად აფხაზური სასწავლო წიგნების გამოცემაში აქტიურად მონაწილეობდა ა. ჩოჩუა. 1861 წელს თბილისში დაიბეჭდა პირველი ყაბარდოელი ისტორიკოსის შ. ნოგმოვის ნაშრომი „ადიღე ხალხის ისტორია“.

თბილისში მიიღო განათლება და აქ ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას აზერბაიჯანელი ისტორიკოსი ა. ბაქიხანოვი. აქ ჩამოყალიბდა აზერბაიჯანული ლიტერატურისა და აზროვნების გამოჩენილი წარმომადგენელი მირზა ფათალი ახუნდოვი. XIX საუკუნის 40-იანი წლების დამდეგს მირზა

შაფი ვაზეფმა თბილისში დააარსა აზერბაიჯანული ლიტერატურულ-ფილოსოფიური წრე. თბილისის საზოგადოება კარგად იცნობდა აზერბაიჯანული თეატრისა და გაზეთის დამაარსებელს, ჰასან-ბეგ ზარდაბის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში არსებობდა სომხური სკოლები, გამოდიოდა სომხური გაზეთები. თბილისში დაიწერა სომხური რეალისტური პროზის ფუძემდებლის ხ. აბოვიანის ცნობილი თხზულება — „სომხეთის წყლულები". 1861 წელს თბილისის ინტელიგენციამ საზეიმო შეხვედრა მოუწყო ცარისტული ხელისუფლებისაგან დევნილ სომეხ გამანათლებელ დემოკრატს მ. ნალბანდიანს. თბილისი იყო სომეხ მეცნიერთა და მწერალთა სამოღვაწეო კერა. აქ ცხოვრობდა პოეტი არ. ალამდარიანი. ქართველ ხალხში დიდად პოპულარული იყო გამოჩენილი სომეხი დრამატურგი გ. სუნდუკიანი, რომლის „პეპო" ყოველთვის წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

კავკასიის ხალხთა პროგრესული მოღვაწეების თანამშრომლობა ხელს უწყობდა მათი კულტურების საერთო გამდიდრებას, ერთმანეთთან დაახლოებას, ერთობლივი განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას. მაგრამ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში დიდი დაბრკოლება ხვდებოდა კავკასიელ ხალხთა სოლიდარობა-თანამშრომლობის დამკვიდრებას. „დაჰყავ და იბატონეს" დიდმპყრობელური დოქტრინის გამოყენების შედეგიც იყო მწვავე პოლემიკა სომეხ და ქართველ მოღვაწეთა შორის. სომხური ბურჟუაზია მტრულად დაუპირისპირდა ქართველ თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას. მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა საქართველოს მუნიციპალიტეტებში. სოფლებში წინააღმდეგობას ამწვავებდა მიწის ფონდის განაწილება-გადანაწილების პრობლემა. რუსი მოხელეები ქართველი და სომეხი ბურჟუაზიის კლასობრივ ბრძოლას, რომელიც ეროვნული ელფერით იმოსებოდა, ეროვნული შუღლის გაღვივების, სომეხ-ქართველთა ბრძოლის გაძლიერებისათვის იყენებდნენ. ამ გზითაც ვარაუდობდნენ თავიანთი ბატონობის განმტკიცებას. მაგრამ ქართული და სომხური კულტურის დიდი მესვეურნი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ხ. აბოვიანი, მ. ნალბანდიანი და სხვანი, ყოველთვის ცდილობდნენ სომეხ-ქართველთა ურთიერთობის სამართლიან საფუძველზე დარეგულირებას და კავკასიელი ხალხების მეგობრობა-თანამშრომლობის განმტკიცებას.

ქართველი პროგრესული მოღვაწენი ერთ სიბრტყეზე როდი აყენებდნენ რუსეთის მთავრობას და რუს ხალხს: აკრიტიკებდნენ დიდმპყრობელურ-შოვინისტურ ხელისუფლებას, მაგრამ სოლიდარობას უცხადებდნენ რევოლუციონერ-დემოკრატებს, რუსული კულტურის მოწინავე მოღვაწეებს. ფაქტია, რომ რუსულ გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში აღიზარდა ქარ-

თველი ახალგაზრდობის არაერთი თაობა, რუსული კულტურის გაცნობა, მის მიღწევათა გამოყენება ამდიდრებდა ქართულ კულტურას. ქართველ მოღვაწეებსაც შეჰქონდათ წვლილი რუსული კულტურის განვითარებაში. სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკა“ სახელმძღვანელოს როლს ასრულებდა რუსულ სკოლებში.

რუსული წიგნი, რუსული ჟურნალ-გაზეთი ქართველი მკითხველის ცოდნა-განათლების ამაღლების მნიშვნელოვანი საფუძველი იყო. რუსული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები ქართულად ითარგმნებოდა. ქართულ პრესაში ქვეყნდებოდა რუს პუბლიცისტთა ნაწერები, რუსულ პრესაში კი ქართველ ავტორთა სტატიები. რუსეთიდან საქართველოში ჩამოდიოდნენ არა მარტო კარიერისტი, უსულგულო მოხელენი და დამსჯელი რაზმები, არამედ რუსი ხალხის საუკეთესო შვილებიც – მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები. XIX საუკუნეში ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. პეტერბურგსა და მოსკოვში გადასახლებული ბაგრატიონი უფლისწულები და მეცნიერები თვითონაც ითვისებდნენ რუსულ კულტურას და რუს საზოგადოებასაც აცნობდნენ საქართველოს ისტორიასა და ქართული კულტურის ძეგლებს. XIX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში ჩამოსული ალექსანდრე გრიბოედოვი, რუსი დეკაბრისტები, აგრეთვე 30-იან წლებში გადმოსახლებული პოლონელი პატრიოტები მჭიდრო კონტაქტებს ამყარებდნენ ქართველ ინტელიგენციასთან. აქ შექმნა გრიბოედოვმა თავისი მხატვრული ნაწარმოებები, ოდოევსკიმ თავისი ლექსები. აქ დაიწერა მიხეილ ლერმონტოვის შედევრები, რომელთა საგრძნობ ნაწილს ქართული ხალხური თქმულება-ლეგენდები დაედო საფუძვლად. 1829 წელს ქართველი ინტელიგენცია პატივისცემა-სიყვარულით მიესალმა ალექსანდრე პუშკინს, იმავე წელს ქართულ მიწას მწუხარებით მიაბარეს ალექსანდრე გრიბოედოვის ნეშთი. თბილისის რუსულ პრესაში დემოკრატიული იდეების პროპაგანდას ეწეოდა არაერთი რუსი მწერალი და პუბლიცისტი. ქართულ მელოდიებს იყენებდნენ თავის შემოქმედებაში პეტრე ჩაიკოვსკი, იპოლიტოვ-ივანოვი, რუბინშტეინი და სხვა რუსი კომპოზიტორები. საქართველოში დაიწერა ლევ ტოლსტოის, მაქსიმ გორკის პირველი თხზულებანი. საქართველო და მთლიანად კავკასია იქცა XIX საუკუნის რუსეთის არაერთი პოეტური ნიჭის გამოვლინებად. საქართველოში საკმაოდ ფართოდ გავრცელდა ბესარიონ ბელინსკის, ალექსანდრე გერცენის, ნიკოლოზ ჩერნიშევსკის და სხვათა რევოლუციურ-დემოკრატიული, აგრეთვე უტოპიურ-სოციალისტური იდეები.

ახალი პერიოდის რუსული კულტურა მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთევროპულ კულტურასთან. განათლებული ქართველი საზო-

გადოება რუსული ენისა და სკოლის მეშვეობით ითვისებდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული კულტურის, საზოგადოებრივი აზროვნებისა და მეცნიერების მიღწევებს. ისიც ფაქტია, რომ XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან თანდათან ფართო მასშტაბი მიიღო დასავლეთევროპელთა ნაწერების ქართულ ენაზე თარგმნამ. ქართველი მკითხველი უკვე მშობლიურ ენაზე ეცნობოდა უილიამ შექსპირის, ვიქტორ ჰიუგოს, ჯორჯ ბაირონის, იოჰან ვოლფგან გოეთეს, ონორე დე ბალზაკის, ემილ ზოლას არაერთ ნაწარმოებს. დიდი მოწონებით სარგებლობდა შექსპირის ტრაგედიების ივანე მაჩაბლისეული თარგმანები. დასავლეთევროპული კულტურისა და მეცნიერების მიღწევებს პროპაგანდას უწევდა ქართული პრესაც. ქართველი ხალხის ისტორიით, ყოფა-ცხოვრებითა და კულტურით დაინტერესდა დასავლეთევროპელ მწერალთა, მეცნიერთა და პუბლიცისტთა ნაწილი. საქართველოში იმოგზაურა და შემდეგ ჩვენი ქვეყნის შესახებ სქელტანიანი წიგნი გამოაქვეყნა ფრანგმა პროზაიკოსმა ალექსანდრ დიუმამ. მწერალმა არტურ ლაისტმა ევროპას გააცნო ქართველთა ყოფა-ცხოვრება, ქართული კულტურის ნიმუშები. ინგლისურ ენაზე ქართული კულტურის პროპაგანდას ეწეოდა მარჯორი უორდროპი, რომელსაც არტურ ლაისტთან ერთად მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესა და სხვა ქართველ მოღვაწეებთან.

ქართულ-რუსულ-ევროპულ კულტურულ ურთიერთობაში ქართველი ხალხი უფრო მიმღები იყო, ვიდრე მიმწოდებელი, მაგრამ არაერთმა ქართველმა მეცნიერმა და კულტურის სფეროში მოღვაწე ქართველმა სახელი გაითქვა რუსეთსა და ევროპაშიც (სოლომონ დოდაშვილი, დავით ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, პეტრე მელიქიშვილი). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეში ქართული კულტურა სხვა კულტურათა მიღწევებს ითვისებდა, მაგრამ თვითმყოფადობას, ორიგინალურობას ინარჩუნებდა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებით საკაცობრიო კულტურაში განუმეორებელ კვალს ტოვებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XII.

საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წლები)

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ნათქვამი იყო: 1917 წლის რევოლუცია ისე განვითარდა, რომ სამხრეთის ფრონტი დაიშალა. რუსეთის არმიამ დატოვა ამიერკავკასია. პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, მაგრამ შინაპოლიტიკური კრიზისისა და გარეშე სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა კავშირი დაირღვა; ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა. ასეთ პირობებში ქართველი ხალხის ინტერესი მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი მეშვეობით გარეშე ძალის მიერ დაპყრობის საფრთხე თავიდან აიცილოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი შექმნას.

ამის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო აცხადებს: „1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა; 2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა; 3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა; 4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს; 5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის პოლიტიკურ და სხვა უფლებებს; 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ეროვნებას; 7) დამფუძნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული საბჭოს წინაშე“.

მხოლოდ ბოლშევიკებმა დაგმეს დამოუკიდებლობის დეკლარაცია და

თავიდანვე შინაომი გამოუცხადეს საქართველოს რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ორგანოებს. სხვა პოლიტიკური პარტიები ეროვნულ ნაციონალზე დადგნენ, მეტ-ნაკლები აქტიურობით საქმიანობდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნა-სრულყოფის სფეროში.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ (პარლამენტმა) დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციური ნორმების და პრაქტიკის შესაბამისად, ხელში აიღო საკანონმდებლო ორგანოს ყველა ფუნქცია: დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნებისთანავე ჩამოყალიბდა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი მთავრობა. მის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე რამიშვილი (მანვე შეითავსა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა), სამხედრო მინისტრი გახდა გრიგოლ გიორგაძე, საგარეო საქმეთა — ევგენი გეგეჭკორი, იუსტიციის — შალვა ალექსი-მესხიშვილი, ფინანსთა — გიორგი ჟურული, მიწათმოქმედების — ნოე ხომერიკი, განათლების — გიორგი ლასხიშვილი, გზებისა და ტრანსპორტის მინისტრი — ივანე ლორთქიფანიძე.

პარლამენტსა და კოალიციურ მთავრობაში უმრავლესობა, მართალია, სოციალ-დემოკრატიას ეკუთვნოდა, მაგრამ სოციალისტ-ფედერალისტი (გიორგი ლასხიშვილი, შალვა მესხიშვილი), სოციალისტ-რევოლუციონერი (ივანე ლორთქიფანიძე) და ეროვნულ-დემოკრატი (გიორგი ჟურული) მინისტრები საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულების განსაზღვრაში.

საქართველოს პარლამენტისა და დროებითი მთავრობის საქმიანობა (1918 წლის მაისი — 1919 წლის თებერვალი)

საქართველოს დროებითი ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო გერმანიასთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება და მისი შუამავლობით ოსმალეთთან ზავის დადება. საზავო ხელშეკრულება მეტისმეტად მძიმე იყო (ოსმალთა სახელმწიფოს ბათუმის ოლქთან ერთად მიჰქონდა ახალციხე-ახალქალაქის მაზრები), მაგრამ თავიდან იქნა აცილებული აგრესიულად განწყობილი მეზობლის მიერ საქართველოს სხვა ტერიტორიების ოკუპაციის საფრთხე. გერმანია-საქართველოს თანამშრომლობის პირველი აქტი 1918 წლის 28 მაისს გაფორმდა. შეთანხმების თანახმად საქართველოში შემოვიდა ორი გერმანული ბატალიონი, ხოლო თბილისში დამკვიდრდა გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური მისია — გენერალ ფონ კრესის მეთაურობით. რამდენიმე დღის შემდეგ ბერლინში ჩავიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი და ქართველ დიპლომატთა დელეგაცია. მხარეებმა ხელი მოაწერეს სამეგობრო

ხელშეკრულებას. მასში აღინიშნა, რომ გერმანია აღიარებდა და იურიდიულად ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, კისრულობდა მასზე ხელრო დახმარებას, ამყარებდა საქართველოსთან ნორმალურ ეკონომიკურ და სხვაგვარ ურთიერთობებს.

ეს მოვლენები სწორად გაიაზრეს საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა, ქართველმა პატრიოტებმა. ოსმალეთისათვის ტერიტორიების დათმობა დროებით აქტად იქნა მიჩნეული, ხოლო გერმანიასთან ხელშეკრულების დადება, მისი ჯარის ნაწილის საქართველოში შემოსვლა, საზოგადოების უდიდეს ნაწილმა შექმნილ სიტუაციაში აუცილებელ და დადებით მოვლენად აღიქვა. გერმანიასთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებაში განსაკუთრებით აქტიურ როლს ასრულებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. მისი ღრმა რწმენით, გერმანიასთან მეგობრული კავშირი (თუნდაც სუვერენულ უფლებათა ნაწილის დათმობის ფასად) საქართველოს იხსნიდა როგორც ოსმალეთის პრეტენზიებისგან, ისე საბჭოური რუსეთისგან მომდინარე საფრთხისგან.

ამგვარ განწყობილებაში დისონანსი შეჰქონდათ მხოლოდ ქართველ კომუნისტებს, რომლებმაც ლენინზე ადრე ჩამოაყალიბეს ფორმულა: საქართველოს დამოუკიდებლობა არის ქვეყნის გაბატონებული კლასებისა და მმართველი წრეების კავშირი გერმანულ ხიშტებთან, რომლის მახვილი მიმართულია (თითქოს) საქართველოს მშრომელი მასის წინააღმდეგ. კომუნისტთა სამწუხაროდ, ეს აბსურდული ვერსია მუშების მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილმა გაიზიარა.

საქართველოს რესპუბლიკის საპარლამენტო პარტიები საგარეო ორიენტაციისა და თავდაცვის სფეროში თითქმის ანალოგიურ პოზიციაზე იდგნენ, მაგრამ საგრძნობლად განსხვავდებოდა მათი თვალსაზრისები საშინაო პოლიტიკის, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემებზე მსჯელობისა და კამათის დროს. ხელისუფლების პირველ ნაბიჯებს ამ სფეროში მკაცრად აკრიტიკებდნენ. მართალია, ეს იყო მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება, პრინციპული ბრძოლა, მაგრამ ზოგჯერ მჟღავნდებოდა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გადაზრდის ტენდენცია.

ეროვნულ-დემოკრატები ევგენი გეგეჭკორს და აკაკი ჩხენკელს ამიერკავკასიის ხელისუფლებაში მუშაობის დროს დაშვებული შეცდომებისათვისაც აკრიტიკებდნენ, ძველ ცოდვებსაც უხსენებდნენ. 1918 წლის 17 ივნისს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე გერონტი ქიქოძემ განაცხადა: მთავრობამ სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა ადრე ვერ შეძლო და ვერც ახლა ახერხებს. ამის ძირი-

თადი მიზეზი მთავრობის უმრავლესობის სოციალისტური გეზია. ისინი ამბობენ, რომ ქართველი ეროვნული ბურჟუაზია მეტისმეტად სუსტია. და ამიტომ გახდნენ იძულებული ხელთ აიღონ საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის მძიმე ტვირთი. ჩემი აზრით, ეს როლი მათთვის „სრულიად შეუფერებელია იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატია კლასობრივ ნიადაგზე დგას და არა სახელმწიფოებრივზე". ასეთი პოზიცია კი ქმნის კლასობრივი ბრძოლის გამწვავების, სამოქალაქო ომის დაწყების საფრთხესო. სოციალ-დემოკრატიისაგან განსხვავებით, დასძინა ბოლოს გერონტი ქიქოძემ, ჩვენი პარტია არაა რევოლუციური, იგი ევოლუციურ თვალსაზრისზე დგას. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ „სახელმწიფოს აშენების დროს საჭიროა სახელმწიფოებრივი ელემენტების გამოყენება პარტიული რწმენის გამოუყენებლად".

სოციალისტ-ფედერალისტები და ესერები კი პირიქით, მთავრობას სოციალიზმის პრინციპებიდან გადახვევასა და ბურჟუაზიული პოლიტიკის გატარებაში სდებდნენ ბრალს. ორმხრივმა კრიტიკამ საგონებელში ჩააგდო მთავრობის უმრავლესობა. ნოე რამიშვილი იძულებული გახდა პრემიერის პოსტიდან გადამდგარიყო. მემარცხენე სოციალისტებიც და მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატებიც იმედით განიმსჭვალნენ. ხელისუფლების ნაადრევ კრიზისს დაუკავშირეს თავიანთი პოლიტიკური პოზიციის გაძლიერება. კერძოდ, მემარჯვენეების ვარაუდით, რაკი სოციალისტურმა გეზმა არ გაამართლა, ვიწროკლასობრივ მიმართულებას შეცვლიდა საერთო-სახელმწიფოებრივი მიმართულება.

სოციალისტ-ფედერალისტებისა და ესერების აზრით, კრიზისის დაძლევას, გართულებული პრობლემების გადაწყვეტას შეძლებდა მუშათა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან შედგენილი ერთგვაროვანი სოციალისტური მთავრობა. ამ იდეას მხარი არ დაუჭირა სოციალ-დემოკრატიის ლიდერმა ნოე ჟორდანიამ, რომელმაც დაარწმუნა თბილისის მუშათა საბჭო, პრეტენზია არ განეცხადებინა ხელისუფლებაში შესვლაზე. ნოე ჟორდანიას ამგვარმა განწყობამ და ცენტრისტულმა პოზიციამ კი განაპირობა ის, რომ საქართველოს პარლამენტმა, გადამდგარი ნოე რამიშვილის ნაცვლად, მთავრობის თავმჯდომარედ აირჩია ნოე ჟორდანია

მთავრობის ახალი თავმჯდომარე ანგარიშს უწევდა ოპოზიციური პარტიების კრიტიკულ გამოსვლებს, ცდილობდა კომპრომისული პოლიტიკისა და ტაქტიკის შემუშავებას. ამ გზით აპირებდა იგი კლასებისა და პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგობათა შესუსტებას, ქართველი ერის, მთელი დემოკრატიული ძალების მთავრობის გარშემო კონსოლიდაციას.

სოციალ-დემოკრატია, მართალია, აღიარებდა, რომ ისტორიის ჩარხის

ტრიალმა მას ბურჟუაზიული სახელმწიფოს მშენებლობის მისია დააკისრა, მაგრამ იმავდროულად მშრომელ მასას არწმუნებდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოების განმტკიცებაზე არ ფიქრობდა, დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის სისტემის მუდმივ მოქმედებას არ აპირებდა. „რაკი სახელმწიფო ძალაუფლება ხელთ გვაქვს, — ამბობდა ნოე ჟორდანია, — შეიძლება მხედველობაში ვიქონიოთ სოციალისტური რევოლუცია როგორც მიზანი, ისტორიული პერსპექტივა და არა როგორც პირდაპირი პრაქტიკული ამოცანა. ამ პერსპექტივით განვსხვავდებით ჩვენ ყველა ბურჟუაზიული პარტიებისაგან, რომელნიც მონაწილეობენ სახელმწიფო დაწესებულებათა აშენების საქმეში, იმ მიზნით, რომ განამტკიცონ კაპიტალისტური საზოგადოება“.

ნოე ჟორდანიას ასეთმა განცხადებებმა ვერ აღმოფხვრა ეროვნულ-დემოკრატთა უნდობლობა სოციალ-დემოკრატიისადმი. ალ. ასათიანი გულისწყრომით წერდა: „... ეროვნულ საბჭოში აბსოლუტურ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ. პარლამენტი ასახავს არა ახლანდელ, არამედ გასული წლის საზოგადოებრივ ძალთა განლაგებას და განწყობილებას, როცა ქართველი ერი რევოლუციური ფსიქოზით იყო შეპყრობილიო. ერთი ნოეს ნაცვლად მეორის დანიშვნა მთავრობის ანტისახელმწიფოებრივ ზნესა და მოქმედებას ვერ შეცვლის... მხოლოდ უკიდურესი რევოლუციური პოლიტიკის ლიკვიდაციის შემდეგ იქნება შესაძლებელი საქართველოს ნამდვილი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა ხალხის უფლებისა და პიროვნების თავისუფლების საფუძველზე“.

სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური იდეებით გატაცებაზე კრიტიკულად გამოსვლების დროს ეროვნულ-დემოკრატები, რა თქმა უნდა აჭარბებდნენ. იმ დროის საქართველოს ამ ყველაზე გავლენიანი პარტიის პრაქტიკულ საქმიანობაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მას არც უფიქრია სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების აშენება. სოციალ-დემოკრატიული პარტია ცდილობდა კაპიტალიზმის პირობებში ჩაეყარა სოციალური სამართლიანობის საფუძველი. საქართველოს რესპუბლიკისათვის მიეცა საერთო-სახალხო, სამართლებრივი სახელმწიფოს ელფერი. „ჩვენ გვჭირდება — აცხადებდა ნოე ჟორდანია — ისეთი რესპუბლიკა, რომელმაც ხალხი არ უნდა დაუმორჩილოს სახელმწიფოებრივი საშუალებებით ბურჟუაზიას, მაგრამ ხელი არ უნდა შეუშალოს და ფართო ასპარეზი მისცეს საწარმოო ძალთა განვითარებას“. ისიც უნდა ითქვას, რომ მემარჯვენეების კრიტიკამ დადებითი გავლენა მოახდინა სოციალ-დემოკრატიის სამოქმედო პროგრამაზე. ნოე ჟორდანიას მთავრობამ არსებითად უარი თქვა ვიწროკლასობრივ და ვიწროპარტიულ პოლიტიკაზე. ცდილობდა შეე-

სუსტებინა სოციალური ანტაგონიზმი და კლასობრივი ბრძოლა. მიეღწია ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციისათვის, ყველა კლასი და პარტია ჩაება საერთო-სახალხო სახელმწიფოს მშენებლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი და დროებითი მთავრობა პირველ ხანებში განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდნენ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების საიმედო, კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტებას, ადმინისტრაციული აპარატის და მილიციის ჩამოყალიბებას. პარლამენტმა დაამტკიცა კანონი საგუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატების შესახებ, რომლის შესაბამისად დაინიშნა თბილისის და ქუთაისის საგუბერნიო კომისრები, სოხუმის ოლქის კომისარი, აგრეთვე 14 სამაზრო და 56 სარაიონო კომისარი. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ თავიდანვე გააკრიტიკა საადმინისტრაციო კანონი. დაიწუნა მის საფუძველზე შექმნილი ბიუროკრატიული აპარატი, დაგმო კომისართა ინსტიტუტი. ფრაქციამ ზედმეტად მიიჩნია საქართველოს გაყოფა ორ გუბერნიად, აღნიშნა, რომ ეს ძველი იმპერიული კანონის გამოძახილია, ჩვენი პატარა რესპუბლიკისათვის გუბერნატორთა მდგავსი სატრაპები შეუფერებელიაო. მოითხოვა გუბერნიების გაუქმება, დაასაბუთა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას, კერძოდ შინაგან საქმეთა მინისტრს არ გაუჭირდებოდა პირდაპირი კავშირის დამყარება სამაზრო ადმინისტრაციასთან.

სოციალ-დემოკრატიულმა უმრავლესობამ მიიღო ეს სამართლიანი შენიშვნა. ორიოდე თვეში გაუქმდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, მათი ადმინისტრაციული აპარატი. ზედმეტად იქნა მიჩნეული სამაზრო კომისართა ავტორიტარული ხელისუფლებაც. 1918 წლის აგვისტო-სექტემბერში გატარდა ცარიზმის დროს ოცნებად ქცეული საერობო რეფორმა. ყველა მაზრაში ჩამოყალიბდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები: ხალხმა საყოველთაო უფლების საფუძველზე აირჩია სამაზრო საკრებულოები. მართალია, ხმების უმრავლესობა თითქმის ყველგან სოციალ-დემოკრატიამ მიიღო, მაგრამ მეტ-ნაკლები რაოდენობის ხმოსნები საკრებულოებში გაიყვანეს სხვა პოლიტიკურმა პარტიებმაც. ყველა მაზრაში (და რაიონებშიც) ჩამოყალიბდა მრავალპარტიული საკრებულოები (განმკარგულებელი ორგანოები) და გამგეობები (აღმასრულებელი ორგანოები).

საქალაქო თვითმმართველობის სისტემა, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩამოყალიბდა, მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო მათი სრული დემოკრატიზაცია. დამოუკიდებელი საქართველოს ქალაქებში ბურჟუაზიამ დაკარგა ადგილობრივი მართვა-გამგეობის მონოპოლია. საქალაქო სათათბიროებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობებში კანონიერი ადგილი დაიკავა ყველა დემოკრატიულმა ფენამ, ადგილობრივი თვითმმართველობები, საერთოდ, პოლიტიკური პარტიების იდეური ბრძოლის არენად გადაიქცა. რევოლუციურ ანარქიას დემოკრატიული სტაბილურობა ცვლიდა.

იუსტიციის სამინისტრო საკმაოდ ნაყოფიერად საქმიანობდა სასამართლოსა და სამართლის წარმოების სრულყოფის სფეროში. გაუქმდა რევოლუციური ტრიბუნალები, სხვადასხვაგვარი საგამომძიებო კომისიები. 1918 წლის 24 სექტემბრის კანონის საფუძველზე განხორციელდა ძველი რეჟიმიდან მემკვიდრეობით მიღებული მომრიგებელი სასამართლოებისა და მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის ძირფესვიანი რეორგანიზაცია. ჩატარდა სასამართლოს საგამომძიებლო ნაწილის რეფორმაც. გატარდა კანონი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ. ასევე, დამტკიცდა „უზენაესი სასამართლოს, საკასაციო დაწესებულების – სენატის" დებულება. იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნა განსაკუთრებული საკოდიფიკაციო განყოფილება, რომელმაც 1919 წლის იანვარში გამოაქვეყნა ოფიციალური კანონებისა და მთავრობის განკარგულებათა კრებული.

საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მესვეურებს კარგად ჰქონდათ გააზრებული დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის შეიარაღებული ძალების, სხვადასხვა საჯარისო ნაწილების დიდი მნიშვნელობა. ჯერ კიდევ 1917 წლის მარტ-აპრილში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ჩამოაყალიბა სახალხო გვარდია (მოხალისეთა რაზმები), რომლის შეიარაღება-შენახვის თანხები ძირითადად კერძო შემოწირულობებით გროვდებოდა. 1918 წლის 2 ივლისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ, რომლის თანახმად სახალხო გვარდია გადაიქცა სახელმწიფო-სამხედრო ორგანიზაციად და მისი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტს დაეკისრა. საგრძნობლად შეიცვალა გვარდიის წყობა, სტრუქტურა. თუ ადრე იგი მხოლოდ ქვეითი მსროლელი ბატალიონებისაგან შედგებოდა, შემდეგ თანდათან ჩამოყალიბდა გვარდიის არტილერია, ცხენოსანთა დივიზიონი, მეტყვიამფრქვევეთა რაზმი, საინჟინრო ნაწილი. მოქმედი გვარდიის პარალელურად არსებობდა 17 სარეზერვო ბატალიონი.

ფინანსური ფონდის სიმცირის გამო, შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა და მეტი დაბრკოლებები ხვდებოდა რეგულარული არმიის ჩამოყალიბებას. მუდმივი ჯარის შემადგენლობაში თანდათან დაკომპლექტდა სამი ქვეითი ბრიგადა, სანაპირო ჯარი, თბილისის ე. წ. სადარაჯო ათასეული, ავტომობილისტთა, საავიაციო და რადიოტელეგრაფისტთა რაზმები.

საქართველოს შეიარაღებულ ძალთა უზენაეს ხელმძღვანელად გამოცხადდა რუსპუბლიკის პარლამენტი. სამხედრო უწყების უშუალო ხელმძღვანელად დაინიშნა სამხედრო მინისტრი. გადაწყდა, ომიანობის დროს მტრის წინააღმდეგ მებრძოლ არმიას სათავეში ჩასდგომოდა მთავრობის საგანგებო ბრძანებით დანიშნული სარდალი. მთავრობა ნიშნავდა აგრეთვე შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსს.

სახალხო გვარდია, რომელსაც სოციალ-დემოკრატია თავისი პროგრამა-წესდების შესაბამისად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციას ვიწროპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) ინტერესების შესაბამის შეიარაღებულ ძალად მიაჩნდა და ეჭვი ეპარებოდა საგარეო ფრონტზე მის ბრძოლისუნარიანობაში. იგი თავიდანვე მოითხოვდა ერთიანი არმიის, „რეგულარული, რკინის დისციპლინით შედულაბებული ჯარის" ჩამოყალიბებას, რაც მოგვიანებით გაიზიარა სამხედრო მინისტრად დანიშნულმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ. ეროვნულ-დემოკრატების და სოციალ-დემოკრატი სამხედრო მინისტრის ამგვარმა პოზიციამ დიდი გავლენა მოახდინა საერთოდ ხელისუფლებაზე. თვით ოფიციოზი „ერთობა" ალაპარაკდა რეგულარული, კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული არმიის შექმნის აუცილებლობაზე, იგი მიიჩნია დამოუკიდებელი საქართველოს უშიშროების ძირითად გარანტად.

საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, ბუნებრივია, დიდ ანგარიშს უწევდა ხალხის ნებას: გლეხობის, მუშათა კლასისა და სხვა სოციალური ფენების მოთხოვნებს. საკმაოდ ბევრს მუშაობდნენ სასურსათო პრობლემების მოგვარებაზე, ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ მოახლოებული მასობრივი შიმშილობა. მთავრობამ სურსათ-სანოვაგის მარაგის შექმნისა და სიძვირესთან ბრძოლის მიზნით ჩამოაყალიბა სასურსათო კომიტეტი, რომელიც აქტიურად ერეოდა საბაზრო ურთიერთობაში, ზღუდავდა ვაჭრობის თავისუფლებას. ცდილობდა მის დარეგულირებას და ცენტრალიზაციას. ასეთ პოლიტიკას იზიარებდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა და ესერთა ფრაქციები, მის წინააღმდეგ კი გამოდიოდნენ ეროვნულ-დემოკრატები. მთავრობამ სამართლიანად მიიჩნია ამ უკანასკნელთა ზოგიერთი შენიშვნა და მიიღო დადგენილება: 1) გამოცხადდეს საქართველოს საზღვრებში პურეულით თავისუფალი ვაჭრობა; 2) უცხოეთიდან ხორბლის შემოტანა გათავისუფლდეს ბაჟისაგან; 3) გაუქმდეს ყველა სასურსათო კომიტეტი; 4) დაევალოს შინაგან საქმეთა და სასურსათო საქმეთა მინისტრებს, იბრძოლონ სურსათის გადამალვისა და სპეკულაციის წინააღმდეგ.

საქართველოს ხელისუფლების წინაშე თავიდანვე დაისვა საადგილმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულო ურთიერთობათა დარეგულირებისა და აგრარული რეფორმის გატარების გამწვავებული საკითხი. ჯერ კიდევ 1917 წლის 16 დეკემბერს სამხ. ერკავკასიის კომისარიატმა, მართალია გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ, მაგრამ იგი ზოგად დებულებებს შეიცავდა, პრაქტიკაში არ გადაზრდილა და, ბუნებრივია, გლეხობა ვერ დააკმაყოფილა. საქართველო აგრარული მოძრაობის ალყაში იყო გახვეული, როდესაც ამიერკავკასიის სეიმი შეიკრიბა. მასში წარმოდგენილმა თითქმის ყველა პარტიამ (ფრაქციამ) საჭიროდ მიიჩნია სარეფორმო საქმიანობის დაჩქარება. 1918 წლის 7 მარტს სეიმმა (პარლამენტმა) მიიღო კანონი, რომლის საფუძველზე დაიწყო აგრარული რეფორმის პრაქტიკული რეალიზაცია. მართალია, კანონი განსაზღვრავდა მიწათმფლობელობის უმაღლეს ნორმას (სხვადასხვა ზონისა და ტიპის მეურნეობებისათვის 7, 15, 40 ჰექტრის მოცულობით), რომლის გარდამეტი ყველას უნდა ჩამორთმეოდა, მაგრამ არ აწესებდა უმიწო გლეხებისათვის გადასაცემი ნაკვეთების ოდენობას. საქმე გაჭიანურდა. ამან, როგორც მიწათმოქმედების მინისტრი ხომერიკი აღნიშნავდა, გლეხობის მოთმინების ფიალა აავსო და „გლეხებმა საკუთარი ძალით გადაწყვიტეს მიწის საკითხი, რევოლუციური გზით მიითვისეს ის, რაც კანონისაგან არ მიეცათ; თითქმის პირწმინდათ ჩამოართვეს მემამულეებს მიწები და თვითონ შეუდგენ დამუშავებას“.

საქართველოს მთავრობამ დააჩქარა აგრარული რეფორმის პრაქტიკული რეალიზაცია. ეროვნული სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა რუსეთის სახაზინო მიწის ფონდი და რომანოვთა საუფლისწულო მეურნეობები. გარდა ამისა, ჩატარდა მსხვილი კერძო მამულების კონფისკაცია, გლეხებზე გასანაწილებელ სახელმწიფო ფონდში შევიდა 621 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი და სხვა კულტურული სავარგულები. მუნიციპალიზაციის თეორიის შესაბამისად, მიწის ეს ფონდი გამგებლობაში გადასცეს ადგილობრივი თვითმმართველობის საადგილმამულო კომიტეტებს, რომელთაგან გლეხებს უვადო იჯარით უნდა აეღოთ თავისთვის საჭირო ნაკვეთები.

პარლამენტის ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ თავიდანვე დაიწუნა მთავრობის აგრარული პროგრამა, საადგილმამულო რეფორმის მიმართულება. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა ხელისუფლების უმრავლესობა, რომ უმნიშვნელოვანესი პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა არ შეესაბამებოდა გლეხობის ინტერესებს, ვერ უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობის ნორმალურ განვითარებას. გლეხის გონება და სურვილი — წერდა გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, „მესაკუთრეობისაკენაა მიდრეკილი. ეს ასეც უნდა იყოს. სხვა მხრივ ჩვენი ჩამორჩენილი მეურნეობის წინ წაწევა შეუძლებელი გახდება“.

ხელისუფლებამ მიიღო კრიტიკა და რეფორმაში კორექტივი შეიტანა. 1919 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა, ადრე გამოქვეყნებულ აგრარულ კანონს დაუმატა რამდენიმე მუხლი, რომელთა მიხედვით გლეხობის საკუთრებად გამოცხადდა ადრე მიზომილი და ახლად გადაცემული მიწის ნაკვეთები.

სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობის პოზიციის ამგვარმა შეცვლამ სოციალისტ-ფედერალისტთა და ესერთა ფრაქციების გულისწყრომა გამოიწვია. მმართველ პარტიას მათ ბრალად დასდეს კერძო საკუთრების ხელუხლებლად დატოვება და ამდენად, სოციალისტური პრინციპების ღალატი. ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციას კი ახლა ის არ მოსწონდა, რომ მთავრობა უსასყიდლოდ ართმევდა მემამულეებს მიწებს და თავისი აგრარული პოლიტიკით მსხვილ მეურნეობებს ანადგურებდა, რაც სახელმწიფოს დიდ ზარალს აყენებდა. საერთოდ კი, ხელისუფლება ანგარიშს უწევდა მემარცხენეთა კრიტიკასაც, მაგრამ მის აგრარულ-სამეურნეო პოლიტიკაზე მეტ გავლენას ახდენდა ბურჟუაზიული ოპოზიციის საქმიანობა. ორმხრივი ზეწოლის ქვეშ მოქცეული მთავრობის აგრარული პოლიტიკა უმეტეს შემთხვევაში კომპრომისულ ხასიათს ატარებდა.

საქართველოს მიწის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი (ტყეები, ალპური საძოვრები და სხვ.) სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. ჩამორთმეულ მსხვილ რაციონალურ მეურნეობათა ბაზაზე მთავრობამ შექმნა ეროვნული (სახელმწიფო) მეურნეობები და ეროვნულ მეურნეობებად გარდასახა, მაგალითად, საუფლისწულო მამულები (წინანდალი, მუკუზანი, ნაფარეული, მუხრანი, გიაურარხი, ჩაქვი, ვაჩევი), ფრიდონოვის მამულები (მანავსა და სკრაში), მანთაშევისა და არამიანცის მეურნეობები (ქვემო ქართლში), ანანოვის მეურნეობა (ვარციხეში), სმეცკოისა და აგუმანოვის მამულები (სოხუმის ოლქში). მთავრობამ მეტი გასაქანი მისცა კერძო საკუთრებას და ინდივიდუალურ მეურნეობას. ბევრი კაპიტალისტური მეურნეობა თითქმის ხელუხლებელი დარჩა. ამ მამულების მფლობელებს ჩამოართვეს ნორმაზე მეტ მიწაზე საკუთრების უფლება და დაუტოვეს საიჯარო სარგებლობაში. ამ კონკრეტულ შემთხვევებში ერთმანეთს შეერწყა კერძომესაკუთრული და საიჯარო მეურნეობანი.

1918-1920 წლებში თავისუფლად ვითარდებოდა წვრილი და საშუალო მოცულობის გლეხური მეურნეობები. საქართველოს მიწის ფონდის ნაწილი მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, რომლებიც ქმნიდნენ საერთო-საზოგადოებრივი მოხმარებისათვის საჭირო დაწესებულებებს.

ქართველი ხალხის დიდხანს ნანატრი სამართლიანი აგრარული რე-

ფორმის მთავარი შედეგი ის იყო, რომ მთლიანად აღმოიფხვრა ბატონყმობის ნაშთები, ბოლო მოეღო რუსეთის სახელმწიფო ხაზინისა და მსხვილი მემამულეების მონოპოლიურ საკუთრებას მიწაზე. წარმოების ეს ძირითადი საშუალება სამართლიანად გადანაწილდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე. ნორმალური პირობები შეიქმნა ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობას, მართალია ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ ქვეყანაში მეტ-ნაკლები რაოდენობით ცხოვრობდნენ აფხაზები (აფსუები), ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. შიგაეროვნულ ურთიერთობათა დარეგულირება ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად გადაიქცა.

ჯერ კიდევ 1918 წლის მარტში გართულდა სიტუაცია სოხუმის ოლქში: ადგილობრივმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და რუსეთთან შეერთება დაისახა მიზნად. აფხაზი (აფსუა) ეროვნების ზოგიერთმა ლიდერმა კი სეპარატისტული მისწრაფება გამოამჟღავნა. ბოლშევიკებმა შექმნეს „სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი", წითელი რაზმი, დაეუფლნენ სოხუმს და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მიულოცეს ხალხს. რევკომის ხელმძღვანელებმა სამხედრო დახმარება სთხოვეს საბჭოთა რუსეთს. აფხაზეთში შემოვიდა ყუბანელ კაზაკთა ორიათასიანი რაზმი.

ამასობაში ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა. საქართველოს მთავრობამ აფხაზეთში ჯარის საკმაოდ მსხვილი ერთეული გაგზავნა, მაგრამ სამხედრო მოქმედებისაგან თავი შეიკავა და ადგილობრივ პოლიტიკურ ძალებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება გამართა. 1918 წლის 7-8 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ აფხაზეთის სახალხო საბჭოს რწმუნებულებთან გააფორმა ასეთი ხელშეკრულება: 1) საქართველოს მთავრობასთან მოიწვევა აფხაზეთის წარმომადგენელი, აფხაზეთის საქმეთა მინისტრი; 2) აფხაზეთის შინაგანი მმართველობის ფუნქცია ეკისრება აფხაზეთის სახალხო საბჭოს; 3) რევოლუციური წესრიგის დამყარებისა და ხელისუფლების განმტკიცებისათვის აფხაზეთში გაიგზავნება საქართველოს სახალხო გვარდიის ნაწილი; 4) აფხაზეთში სოციალურ რეფორმებს გაატარებს ადგილობრივი სახალხო საბჭო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად და ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით; 5) აფხაზეთის სახალხო ყრილობა მოწვეული იქნება უახლოეს მომავალში და იგი განსაზღვრავს აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსს.

საქართველოს მთავრობა, როგორც ვხედავთ, აფხაზეთში შექმნილ ადგილობრივ მმართველობას ცნობდა, მზად იყო მიეცა ამ მხარეს ეროვნული მოსახლეობისათვის ფართო თვითმმართველობა, პოლიტიკური ავტონომიაც კი, მაგრამ აფხაზთა სახალხო საბჭოს ლიდერებმა მეტი მოითხოვეს. მათ მიზნად დაისახეს თავიანთი უფლებამოსილების მაქსიმალური გაფართოება, სრული დამოუკიდებლობის მოპოვება. კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარება არ მოხერხდა. გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა სახალხო გვარდია შეტევაზე გადაიყვანა და დაამარცხა სეპარატისტთა რაზმები. 1918 წლის 19 ივნისს ქართული ჯარი სოხუმში შევიდა, 22 ივნისს — გაგრაში. გვარდიამ წინსვლა გააგრძელა და 2 ივლისს აიღო ადლერი, 16 ივლისს — სოჭი, 26 ივლისს — ტუაფსე. ნოე ჟორდანიამ გააკეთა განცხადება, რომ ტერიტორიების შემომატება საქართველოს მთავრობის გეგმაში არ ზის, ტუაფსემდე ქვეყნის დაცვის, მისი მთლიანობის შენარჩუნების, ბოლშევიკური საფრთხის თავიდან აცილების საჭიროებამ მიგვიყვანაო.

საქართველოს მთავრობის გადაჭარბებული სიფრთხილე იყო იმის მიზეზი, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ეს დიდი გამარჯვება არ აისახა დოკუმენტურ მასალებში და ქართულ პრესაში. მხოლოდ 1918 წლის 4 ოქტომბერს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში" მცირე ინფორმაცია სათაურით — „შავი ზღვის პირის ჩვენი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი". ნიკო თავდგირიძის ამ კორესპოდენციით გაიგო ქართველმა ხალხმა გენერალ მაზნიაშვილის და ქართული ჯარის გმირობა, მათი საარაკო ლაშქრობა გაგრიდან ტუაფსემდე. ნიკო თავდგირიძე წერდა: „სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენმა ჯარმა გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით და ჩვენი მამაცი ოფიცრების — ჭკადუას, დონდუას, იაშვილის, გოგიტიძის, ანთაძის გაბედულობის მეოხებით, ჩვენს ხალხს აღუდგინა სამხედრო საქმეში ძველებური სწორუპოვრობის სახელი". ავტორს განსაკუთრებით შთამბეჭდავად მიუჩნევია ტუაფსედან 24 კილომეტრზე მოპოვებული გამარჯვება, სადაც ქართველთა რაზმმა ააფეთქა ჯავშნიანი მატარებელი და გაანადგურა მტრის 4-ათასიანი ჯარი. კორესპოდენტი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველომ და მისმა მთავრობამ სათანადოდ ვერ დააფასა ყუბანის ველზე გაჭრილი ქართული ლაშქრის გმირობა, პატივი არ მიაგო ჩვენს სასახელო რაინდებს, რომელთა ვაჟკაცობა და საზრიანობა არა მარტო საქართველოს ისტორიაში, მსოფლიო ისტორიაშიც ჩაიწერებაო.

გენერალ მაზნიაშვილისა და ქართველთა სახალხო ლაშქრის გმირობა მსოფლიო ისტორიაში არავის ჩაუწერია. მაგრამ ამ გამარჯვებამ კარგა ხანს განამტკიცა საქართველოს პოზიციები შავიზღვისპირეთში.

საქართველოს ხელისუფლებას იარაღით დამყარებული მშვიდობა და წესრიგი არ აკმაყოფილებდა. მთავრობამ 1918 წლის 3 სექტემბერს მოისმინა აფხაზეთის საქმეთა მინისტრის მოხსენება და გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის ინფორმაცია: „ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა ერთი ნაწილი, დაადგა რა აფხაზეთის მოსახლეობის ჭეშმარიტი ინტერესების ღალატის გზას, თითქმის ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს უცხო ძალის ჩარევით (თურქები, ალექსეევის თეთრი არმია) შეცვალოს ვითარება აფხაზეთში. ამ ბოლო დროს მათ მიზნად დაისახეს პოლიტიკური გადატრიალება. შეძლეს ადგილობრივი შეიარაღებული ძალების მობილიზაცია, თავის სრულ გავლენას დაუქვემდებარეს აფხაზეთის სახალხო საბჭო, რის შემდეგ მან დაკარგა ხალხის სასარგებლოდ საქმიანობის შესაძლებლობა. ამიტომ საქართველოს მთავრობამ დაადგინა: 1) დაინიშნოს აფხაზეთის სახალხო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევნები: 2) არჩევნების ჩასატარებლად შეიქმნას კომისია ვარლამ და გიორგი შერვაშიძეების, ვასილ გურჯუას და ექიმ ფაშალიშვილის შემადგენლობით. 3) არჩევნებამდე სოხუმის ოლქის დროებით უფროსად დაინიშნოს ბენიამინ ჩხიკვიშვილი, რომელსაც დაექვემდებარება ყველა ადგილობრივი სამთავრობო დაწესებულება“.

1919 წლის გაზაფხულს მოხერხდა არჩევნების ჩატარება. აფხაზთა საბჭოს ნაცვლად მოქმედება დაიწყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს ახალმა მრავალეროვანმა შემადგენლობამ. მალე მან შეიმუშავა „აფხაზეთის ავტონომიის აქტი“. იქ ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთი შედის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სახით. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა ეს აქტი (1919 წლის მარტს) და ამდენად, არსებითად დამთავრდა აფხაზეთის ავტონომიის ჩამოყალიბების პროცესი. მაგრამ ცენტრისა და პერიფერიის უფლებამოსილების გამიჯვნის პრობლემა საკმაოდ ძნელი გადასაწყვეტი აღმოჩნდა.

1918 წლის გაზაფხულზე მდინარე ლიახვის ზემო წელში აგრარული მოძრაობა დაიწყო, რომელსაც ბოლშევიკებმა პოლიტიკური მიმართულება მისცეს, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ წარმართეს. კონფლიქტის ზონაში რესპუბლიკის მთავრობამ ჯარი გაგზავნა. კონიაშვილისა და ჯუღელის რაზმებმა ცხარე ბრძოლის შემდეგ ცხინვალი აიღეს, მაგრამ სეპარატისტი ოსების ანტიქართული მოძრაობა კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა.

პროსაბჭოური და სეპარატისტული მოძრაობის მიმართ თავისი აზრი ოპოზიციურმა პარტიებმაც გამოთქვეს. გერონტი ქიქოძე წერდა: „ჩვენ არ ვიცით სად გადაწყდება ოსების საკითხი — პარლამენტში თუ ბრძოლის

ველზე. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ ეს საკითხი საქართველოს საშინაო საქმეა. ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი მთელს ჩვენ ისტორიულ ტერიტორიაზე ვრცელდება. ჯავის ხეობის ოსები ისევე შემდიან ამ ტერიტორიაში, როგორც სოხუმის ოლქის აფხაზები, ბორჩალოს მაზრის თათრები და ზაქათალის ოლქის ჭარელ-დახურელები. სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმეა, თუ რა უფლებები მიენიჭება ყველა ამ პატარა თემებს საზოგადო სამოქალაქო უფლების გარდა..., შეუძლებელია, მაგალითად ტერიტორიულ ავტონომიაზე ლაპარაკი". გ. ქიქოძე იქვე აღნიშნავდა, რომ საქართველოსაგან ჩამოცილების ტენდენციას ოსთა მხოლოდ მცირე ნაწილი ამჟღავნებდა. ამდენად, ამბობდა იგი „ჯაველი ბოლშევიკები შეგნებულად თუ შეუგნებლად რუსული იმპერიალიზმის საქმეს აკეთებენ. ამიტომ მათ მოქმედებას ის გამართლებაც კი არ აქვს, რასაც უანგარო პატრიოტიზმი იძლევა".

ამავე პერიოდში დიდი მნიშვნელობა შეიძინა სამუსლიმანო საქართველოს სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული მოწყობის პრობლემამ. მასზე მსჯელობდა ადგილობრივი მოსახლეობა, იკვეთებოდა სხვადასხვა მიმართულების ლიდერთა განსხვავებული პოზიცია. მოსახლეობის ზედა ფენას არ მოსწონდა აგრარული რეფორმის ფორმა და სოციალური შინაარსი, ვერ ეგუებოდა თავისი უფლების შეზღუდვას, გავლენის შემცირებას. ერთ-ერთმა ანტიქართულმა ჯგუფმა ოსმალური ორიენტაცია აიღო, სულთანს სთხოვა დახმარება და ოსმალეთის შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სტატუსით შეყვანა.

1919 წლის იანვარში ანტიქართულმა ძალებმა გამოაცხადეს ე. წ. სამხრეთ დასავლეთი კავკასიის სახელმწიფოს, იმავე „ყარსის რესპუბლიკის" შექმნა. მის დროებით მთავრობას სათავეში ჩაუდგა იბრაიმ ბეი. ჩამოყალიბდა 70-წევრიანი მეჯლისიც. ამ „სახელმწიფოში" დიდი გავლენით სარგებლობდა სერვერ ბეგ ათაბაგი (სამცხე-საათაბაგოს მთავრების შორეული ჩამომავალი). მისი გეგმის მიხედვით, ახალ რესპუბლიკაში უნდა შესულიყო ყარსის, არტაანისა და ბათუმის სანჯაყები, აგრეთვე ახალციხე-ახალქალაქის მაზრები. 1919 წლის იანვარში სერვერ ბეგმა ანტიქართული ავჯანყების ორგანიზება შეძლო, აიღო ახალციხე. ოსმალეთი და ინგლისი თითქოს მხარს უჭერდნენ ამ ანტიქართულ მთავრობას, ამიტომ მას იმედი გაუჩნდა, რომ პარიზის საზავო კონფერენცია „ყარსის რესპუბლიკას" აღიარებდა, ლეგიტიმურ საფუძველს შეუქმნიდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს ჯარმა დაამარცხა ავჯანყებულთა ლაშქარი, ინგლისმა პოზიცია შეიცვალა — ყარსის მეჯლისი დაითხოვა, მთავრობის წევრები კი კუნძულ მალტაზე გადაასახლა.

ბათუმის ოლქის მასშტაბით, ქართული ორიენტაციის ძალთა დამრაზმველის როლს, ჯერ კიდევ 1918 წლის მაისში ჩამოყალიბებული „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ ასრულებდა. მას მეთაურობდა მემედ აბაშიძე, გავლენიანი წევრები იყვნენ ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, ყადირ შერვაშიძე და სხვები. განმათავისუფლებელი კომიტეტი და მისი გაზეთი — „სამუსლიმანო საქართველო“ აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ მაჰმადიან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის ფაქტად იქცა, დასახელებული კომიტეტის თაოსნობით, 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში გამართული ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც დაადგინა ამ მხარის საქართველოსთან „სამარადისო შეერთება“, სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური ერთეულის შექმნა. 1921 წლის კონსტიტუციით სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია ენიჭებოდა. მისი უფლებაკომპეტენცია სპეციალურ დებულება-კანონს უნდა განესაზღვრა.

1918-1921 წლებში კიდევ უფრო გართულდა საინგილოს მდგომარეობა და მისი სტატუსის საკითხი. 1920 წლის 7 მაისს საზავო ხელშეკრულების ძალით რუსეთმა ზაქათალის ოლქი (საინგილო) საქართველოს კუთვნილ ტერიტორიად აღიარა, მაგრამ რაკი ეს მუხლი უკვე გასაბჭოებული აზერბაიჯანის მარიონეტულმა მთავრობამ გააპროტესტა, საბჭოთა რუსეთმა 7 მაისის ხელშეკრულებაში შეიტანა დამატებითი მუხლი, რომლის მიხედვით ზაქათალის კუთვნილების საკითხი საარბიტრაჟო კომისიას უნდა გადაწყვიტა. ასეთი კომისია არასდროს შექმნილა. ძალაში დარჩა რუსეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალთა მიერ 1920 წლის მაისში განხორციელებული ზაქათალის ოკუპაციის ფაქტი. ეს ტერიტორია აზერბაიჯანს შერჩა.

ბოლშევიკები ქართველ გლეხთა შორისაც ეწეოდნენ ძირგამომთხრელ აგიტაციას და საქმიანობას. მათ მოახერხეს საქართველოს ეროვნული მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებათა პროვოცირება. ანტისამთავრობო მოძრაობის გაფართოებას ცდილობდნენ აგრეთვე რუსთა ეროვნული საბჭოს ლიდერები და რუსი ოფიცრები, რომლებიც დიდი რაოდენობით რჩებოდნენ საქართველოში. 1918 წლის ივნის-ივლისში მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები დაიწყო არაგვის ხეობაში. ბოლშევიკებმა და მათმა აგენტებმა შეძლეს დუშეთის დაკავება. აჯანყებულთა დასახმარებლად ვლადიკავკაზიდან წამოვიდა საშა გეგეჭკორი რუსთა რაზმის თანხლებით. ამ მოვლენებთან დაკავშირებით დავით ვაჩნაძემ პარლამენტში შეიტანა შეკითხვა და ისიც აღნიშნა, რომ „რუსული სამხედრო შტაბები თავისი მრავალრიცხოვანი გენერლებითა და ოფიცრებით, საქართველოს თავისუფ-

ლების სამტრო ბანაკად გადაიქცა". დავით ვაჩნაძე მთავრობას ურჩევდა: 1) ახლავე მიეცეს წინადადება რუსული გენერალური შტაბის ოფიცრებს დაუყოვნებლივ დატოვონ საქართველო; 2) მთავრობამ განაცხადოს, რომ ვინც ნებით არ წავა, ძალით გაისტუმრებენ რუსეთში.

რუსი სამხედროებისაგან საქართველოს გაწმენდა დაგვიანდა. სამაგიეროდ, დუშეთის პრორუსული და ანტიქართული აჯანყების ლიკვიდაცია მალე მოხერხდა. 1918 წლის 15 ივლისს ნოე ჟორდანიამ დეპეშა გაუგზავნა გენერალ კონიაშვილს, ჯუღელსა და დგებუაძეს: „ვულოცავ სახალხო გვარდიას, ფედერალისტთა პარტიზანულ რაზმს და რეგულარული ჯარის ნაწილებს კავკასიონის ქედის გადალახვას და დემოკრატიის მტრებზე ბრწყინვალე გამარჯვებას. გადაეცით ჩვენს ერთგულ ყაზბეგელებს (მოხევეებს) და სხვა მთიელებს ჩვენი ძმური სალამი და მილოცვა".

1918 წლის 26 მაისის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკასთან მიმართებაში საზღვარგარეთის ქვეყნებად იქცნენ იმპერიის ნანგრევებზე შექმნილი საბჭოურ-კომუნისტური რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, პოლონეთი, ბალტიისპირა სახელმწიფოები და სხვა. სამხრეთ კავკასიაში თავი იჩინა წინააღმდეგობებმა, ატყდა დავა ტერიტორიების ახალი საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით.

1918 წლის ნოემბერში გაიმართა ამიერკავკასიელთა საერთაშორისო კონფერენცია. მხარეებმა პირველი რიგის ამოცანად გამოაცხადეს: ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების მიერ ურთიერთცნობა, ყველა სადავო საკითხების მშვიდობიანი მოლაპარაკება-შეთანხმებით გადაწყვეტა, სოლიდარული გამოსვლები მსოფლიო კონგრესებზე იმ მიზნით, რომ მიღწეული ყოფილიყო ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების საერთაშორისო აღიარება, დე იურე ცნობა. ამ დადგენილებას დადებითი შედეგები თითქმის არ მოჰყოლია. ამიერკავკასიის სამი სახელმწიფოს ურთიერთობა ერთხანს კიდევ უფრო დაიძაბა. 1918 წლის ნოემბრამდე გერმანია სამხრეთ კავკასიაში მასტაბილიზებელ როლს ასრულებდა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ, ამ რეგიონში მდგომარეობა გაუარესდა. გამარჯვებული ანტანტის არმიებმა ყველგან შეცვალეს გერმანიისა და მისი მოკავშირეების ჯარები. გერმანიის მარცხი ჩვენმა მეზობლებმა საქართველოს რესპუბლიკის მარცხადაც აღიქვეს, ივარაუდეს, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი საქართველოს ხარჯზე ხელის მოთბობის, მისი ტერიტორიების მითვისებისათვის. სწორედ ამ მომენტში დაიწყო სომხეთმა გამოუცხადებელი ომი საქართველოსთან. ამის შემდეგ დენიკინის რეჟიმმა (თეთრმა რუსეთმა) საქართველოს წინააღმდეგ მტრული მოქმედება გააძლიერა.

1918 წლის 30 ოქტომბერს ომში დამარცხებულმა თურქეთმა (გერმანიის მოკავშირემ) ხელი მოაწერა ინგლის-საფრანგეთთან მუდროსის ზავს (კაპიტულაციას) და დატოვა ამიერკავკასიის ტერიტორია. როგორც კი თურქთა საჯარისო ერთეული საქართველოს კუთვნილი ლორეს რაიონიდან გავიდა, ამ ტერიტორიაზე მყისვე შემოიჭრა არარატის რესპუბლიკის ჯარი. საქართველოს მთავრობამ, ბუნებრივია, საპასუხო ოპერაცია დაგეგმა საზღვრის აღსადგენად. ერთხანს ჩვენი მთავრობა თითქოს ნამუსს წმენდდა სომხეთის მმართველ წრეებს, სამხედრო კონფლიქტის გამწვავებაში უპასუხისმგებლო ავანტიურისტებს ადანაშაულებდა და ტერიტორიული დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზას ეძებდა.

სომხეთის მთავრობამ მშვიდობიანი წინადადება უპასუხოდ დატოვა. აგრესია გააგრძელა. 1918 წლის 17 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „დეპუტატებო! მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. იმ დროს, როცა მსოფლიო ომის ხანძარი ჩაქრა, სომხეთის მთავრობა თავს ესხმის საქართველოს რესპუბლიკას“. შექმნილი სიტუაცია, ჟორდანიას აზრით, მოითხოვდა, რომ მშვიდობიანი შეთანხმებით განსაზღვრულიყო ამიერკავკასიის ხალხთა საცხოვრისი, სამართლიანად გამიჯნულიყო მათი ტერიტორიები. მაგრამ არარატის რესპუბლიკა მშვიდობიან მოლაპარაკებაზე უარს ამბობს. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ მშვიდობა და სამართლიანობა იარაღით დავამყაროთო.

საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა მთავრობის პოზიციას, კონფლიქტის ზონაში ჯარის გაგზავნა მოითხოვა. საომარი ოპერაციები გაფართოვდა. ქართველთა ლაშქარმა შეაჩერა სომეხთა შემოტევა. 20 დეკემბერს კი კონტრშეტევაზე გადავიდა და აგრესიულად განწყობილი მეზობლისაგან დაკავებული ტერიტორიების დიდი ნაწილი გაათავისუფლა. სომხეთის მთავრობას ამ კრიტიკულ მომენტში დახმარების ხელი ინგლისმა შეაშველა. არბიტრის როლი დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიამ იკისრა და კიდევაც დააზავა მხარეები. შეთანხმების თანახმად შეიქმნა ნეიტრალური ზონა (ლორეს რაიონი), მოხდა საქართველოსა და სომხეთის ჯარების დაშორიშორება.

ქართველი საზოგადოება მიესალმა ეროვნული ჯარის წარმატებას, მაგრამ დაგმო გაფორმებული ხელშეკრულება. პარლამენტის სხდომაზე მთავრობის მკვეთრი კრიტიკით გამოვიდა მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი სპირიდონ კედია. მან აღნიშნა, რომ სომხეთთან ომის დროს მთავრობამ ვერ გამოიჩინა საკმარისი ორგანიზებულობა და შეცდომა დაუშვა საზავო მოლაპარაკების დროს. ფაქტობრივად ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა,

მაგრამ შეთანხმების პირობებით დამარცხებული დავრჩით; გაფორმებული საზავო ხელშეკრულება გვართმევს სუვერენულ უფლებას ტერიტორიის ერთ ნაწილზე და ამიტომ იგი მიუღებელია, პარლამენტმა არ უნდა მოახდინოს მისი რატიფიკაციაო.

ამ მომენტში ქართველ ისტორიკოსთა ლიდერმა, ივანე ჯავახიშვილმაც გამოთქვა თავის კომპეტენტური აზრი, დაწერა და გამოაქვეყნა ნაშრომი — „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული". იგი ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზის მეშვეობით უარყოფდა სომეხ ისტორიკოს-პოლიტიკოსთა პრეტენზიებს საქართველოს მიმართ. ივანე ჯავახიშვილი ასაბუთებდა, რომ საქართველოს უდავო ტერიტორია იყო მთელი ქვემო ქართლი, ჯავახეთი და საზავო ხელშეკრულებით ნეიტრალურ ზონად გამოცხადებული ლორეს რაიონიც. ჯავახიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ თურქებისა და სომხების მიერ სადავოდ მიჩნეული არტანი, ოლთისი, ტაო, თორთომი, ისპირი და მთელი ლაზისტანი საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო და ასეთად უნდა დარჩესო.

რესპუბლიკის მთავრობაც ალბათ კარგად ხედავდა, რომ სამმხრივი შეთანხმება ზიანს აყენებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. მაგრამ მან ვერ შეძლო წინ აღდგომოდა ძლევამოსილ ანტანტას და მის წამყვან წევრს — დიდ ბრიტანეთს. იმ დროს მთავრობის ზოგი სხვა გადაწყვეტილებაც იძულებითი იყო: 1918 წლის 24 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ინგლისის სამხედრო მისიას სწერდა: „თქვენი მომართვის პასუხად მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობა საჭიროდ არ თვლის უცხო ჯარების ყოფნას თავის ტერიტორიაზე, მას თვითონვე შეუძლია წესრიგისა და მშვიდობის დაცვა. მაგრამ რაკი მოკავშირეების საერთო გეგმა ითვალისწინებს თბილისში მათი ორი ბრიგადის დაბინავებას, საქართველოს მთავრობა უარს არ ამბობს აღნიშნული რაოდენობის ჯარის საქართველოს დედაქალაქში შემოყვანაზე". საქართველოს მთავრობამ ვერც ინგლისის ჯარის მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციას შეუშალა ხელი. ფაქტია, რომ ძლევამოსილმა დიდმა ბრიტანეთმა რამდენადმე შეზღუდა საქართველოს სუვერენული უფლებები. ზარალი მიაყენა მის ინტერესებს.

მსოფლიო ომში გამარჯვებული ანტანტის წევრი სახელმწიფოები მთელი ძალით ეხმარებოდნენ ჯერ კოლჩაკის თეთრ არმიას, და შემდეგ დენიკინის რეჟიმს წითელი მთავრობის დამხობისა და ბურჟუაზიული რუსეთის აღდგენისათვის ბრძოლაში. ანტანტის სახელმწიფოთა დახმარებით დენიკინმა შეადგინა და შეაიარაღა ე. წ. „მოხალისეთა არმია", რომელშიც 200 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი ირიცხებოდა. როცა საქართველოში

ინგლისის სამხედრო მისია შემოვიდა, მან მყისვე მჭიდრო კავშირი დაამყარა დენიკინის რეჟიმთან, რომელსაც თითქმის მთელი ჩრდილოეთ კავკასია ექვემდებარებოდა. ნოე ჟორდანია შიშობდა, რაკი ინგლისელებს საკუთარი ჯარი ეცოტავებათ, შეიძლება საქართველოში დენიკინის „მოხალისეები" შემოიყვანონო. ქართველმა პოლიტიკოსებმა ამ დიდი საფრთხის თავიდან აცილება დიპლომატიური მანევრებით მოახერხეს.

ჯერ კიდევ დიდი ბრიტანეთის ჯარების შემოსვლამდე, საქართველოს მთავრობამ წინადადება მისცა მოხალისეთა არმიის სარდალს და ყუბანის რადას მეთაურს, დაეწყოთ მოლაპარაკება საზღვრების დასადგენად.

1918 წლის 25 სექტემბერს გამართულ შეხვედრა-თათბირში მონაწილეობდნენ: დენიკინი, ალექსეევი, რომანოვსკი, ევგენი გეგეჭკორი, გიორგი მაზნიაშვილი. მოლაპარაკების დაწყების პირველ დღესვე მოპირდაპირე მხარემ სიტყვიერად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ბრალი დასდო მის მთავრობას რუსული ტერიტორიების მიტაცების მცდელობაში. რუსი გენერლები საქართველოს წარმომადგენლებს აქეთაც შემოედავენ, არა მარტო სოჭის მაზრა, არამედ გაგრის რაიონიც ჩვენიაო. საქართველოს წარმომადგენლებმა თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს, მაგრამ მხარეთა შეთანხმება შეუძლებელი გახდა. ოდნავ მოგვიანებით, არბიტრის როლი ინგლისის სამხედრო მისიამ იტვირთა. მან შესაძლებლად ცნო საქართველოს ჯარის ნაწილის სოჭის მაზრაში დროებით ყოფნა. საქართველოს მთავრობამ ინგლისელთა ასეთი პოზიცია უშიშროების საკმარის გარანტიად მიიჩნია და სოჭის გარნიზონის გაძლიერებაზე არც უფიქრია.

1918 წლის 16 დეკემბერს ევგენი გეგეჭკორი დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიას აცნობებდა, დენიკინი ჯარებს აგროვებს ტუაფსეში და საქართველოს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად ემზადებაო. იმედია, ინგლისის მთავრობა შეძლებს თავიდან აგვაცილოს ომი. ჩვენ მზად ვართ დავთმოთ სოჭის მაზრაც კი, თუ იქ არ შევლენ დენიკინის ჯარები და საშიშროებას არ შეგვიქმნიანო. ინგლისის სამხედრო მისიამ დენიკინი ვერ შეაკავა (ან არ მოისურვა მისი შეკავება). საქართველოს ჯარის ბატალიონმა როგორც კი დატოვა სოჭი, იქ მყისვე მოხალისეთა ჯარის ნაწილები შეცვივდნენ. საქართველოს მთავრობამ ამის შემდეგაც არაერთხელ მიმართა ინგლისელ გენერლებს დენიკინის მტრული მოქმედების აღკვეთის მოთხოვნით, მაგრამ ამაოდ. დენიკინი თავისას აგრძელებდა; სოჭის დაკავების შემდეგ საომარი მოქმედება გაგრის რაიონში გადმოიტანა. სხვა გამოსავალი აღარ დარჩა და საქართველოს ხელისუფლებამ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა — თავდაცვითი ომისათვის მზადება დაიწყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს დამფუძნებელი კრება და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. მრავალპარტიული დემოკრატია და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი

1918 წლის 26 მაისის დეკლარაცია ითვალისწინებდა უახლოეს ხანს დამფუძნებელი კრების მოწვევას, მაგრამ რთული შინაპოლიტიკური და საგარეო მდგომარეობის გამო, სათანადო მუშაობის ჩატარება გაჭიანურდა, რაც ოპოზიციური პარტიების უკმაყოფილებას იწვევდა. მათი აზრით, პარლამენტის არსებული შემადგენლობა უკვე აღარ ასახავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა განლაგებას. დამფუძნებელი კრების არჩევნებში უფრო რეალურად აისახებოდა ხალხის ნება, მისი სიმპათია-ანტიპათია ცალკეული პოლიტიკური პარტიების მიმართ.

1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება". იგი ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას. პროპორციულ-წარმომადგენლობითი წესით არჩევნების ჩატარება ევალებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, აგრეთვე სამაზრო, საქალაქო და სასოფლო საზოგადოებათა კომისიებს. მათში შევიდნენ ყველა იმ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები, რომლებმაც წარადგინეს დეპუტატობის კანდიდატთა სიები. რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო მარათონში მონაწილეობის მისაღებად ქართველი კომუნისტებიც მიიწვია, მაგრამ მათ ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს და ამისაკენ მოუწოდეს მშრომელ მასასაც. კომუნისტთა ტენდენციურმა, დეზინფორმაციულმა გამოსვლებმა, როგორც ჩანს, შეცდომაში შეიყვანა მუშათა კლასის და გლეხობის საგრძნობი ნაწილი. დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა ნახევარზე ოდნავ მეტმა.

1919 წლის დამდეგს წინასაარჩევნო ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. უფრო აქტიურად ამოქმედდნენ გამოცდილი პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე, წინასაარჩევნოდ შექმნილი ორგანიზაციები და ჯგუფები. გაზეთ „ერთობის" რედაქცია 1919 წლის 12 იანვარს მოწინავე სტატიაში წერდა, სოციალ-დემოკრატიას ბრძოლა სამ ფრონტზე მოუწევსო. მან სათანადო პასუხი უნდა გასცეს საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებსაც, აგრარული კანონის მოწინააღმდეგეებსაც. სოციალ-დემოკრატიამ ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ყველა ეროვნების ნაციონალისტებს, ეროვნული შეღლისა და მტრობის გაღვივების ყველა მოწადინეს, დაუპირისპიროსო მათ ერებს შორის მშვიდობა-თანხმობის დამყარების პოლიტიკა.

სოციალისტ-ფედერალისტებმა გამოაქვეყნეს მოწოდება — „საქართველოს მშრომელ ხალხს“, სადაც ამომრჩევლებს არწმუნებდნენ, რომ მათი პარტია უაღრესად აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში, ნამდვილი სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბებაში; იბრძოლებდნენ მუშებისა და გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ყველაფერს გააკეთებდნენ აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის გასაფართოებლად, აფხაზეთისა და სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით აღჭურვისათვის. მოწოდება მთავრდებოდა დევიზით — „ყოველი ერი თავისთვის და ყველა ერი საერთო მიზნისთვის“, რომელიც ასე იშიფრებოდა — საქართველოს მშრომელ მოსახლეობას, მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის როდი უნდა ებრძოლა, სხვა ერების მშრომელებთან ერთად გზა უნდა გაეკაფა სოციალიზმისაკენ. ეს მოწოდება — პროგრამა მნიშვნელოვანწილად უტოპიური იყო, მაგრამ იგი ასახავდა პარტიის წევრთა საგრძნობი ნაწილის შინაგან რწმენას, მსოფლმხედველობას. უფრო მეტს ალბათ ის სურვილიც ამოძრავებდა, რომ სოციალიზმის მიმზიდველი იდეა — სოციალური სამართლიანობის პრინციპი — სოციალ-დემოკრატთათვის წაერთმია და ამით გაეზარდა თავის მომხრე ამომრჩეველთა წრე.

ყოველ პოლიტიკურ პარტიას უფლება ჰქონდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარედგინა დეპუტატობის კანდიდატები. სოციალისტ-ფედერალისტებმა, მაგალითად, თავისი პარტიის №5 სიაში დააფიქსირეს: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, შალვა ნუცუბიძე, თედო ღლონტი, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, მაქსიმე ბერძნიშვილი და ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები. სოციალისტ-ფედერალისტური გაზეთი „სახალხო საქმე“ მოუწოდებდა ამომრჩევლებს (განსაკუთრებით გლეხებს) აღარ მინდობოდნენ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც მარტო ქალაქის მუშებზე ზრუნავდა, სოფლის გლეხობას კონსერვატორულ ძალად მიიჩნევდა და არც არაფერს ჰპირდებოდა. იცოდეთ, ხალხის დიდი ნაწილის (გლეხობის) ინტერესთა ჭეშმარიტი დამცველი სოციალისტ-ფედერალისტები არიან. ისინი დაეხმარებიან გლეხობას მიწების დამუშავებაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნაშიო, მოუწოდებდნენ — „მაშ ხმა მიეცი მათ მეხუთე ნომერს, ხმა მიეცი შენზე მზრუნველ პარტიას“.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც დიდ იმედს ამყარებდა ინტელიგენციაზე, აგრეთვე გლეხობაზე, რომელიც, მისი აზრით, მიწების გაერთიანებისა და კოოპერატივების შექმნაზე კი არ ოცნებობდა (როგორც ამას

„ამტკიცებდნენ“ სოციალისტ-ფედერალისტები და ესერები), არამედ მიწას კერძო საკუთრებაში მოითხოვდა და ინდივიდუალურ მეურნეობას ამყარებდა ძირითად იმედს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1919 წლის თებერვალში, პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე, ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „საქართველოში უკვე შექმნილია ხალხის ნორმალური ცხოვრებისა და შრომის პირობები. დღეს უკვე გვაქვს სოციალური და პოლიტიკური წყობა. მხოლოდ საჭიროა მივცეთ მას იურიდიული, კონსტიტუციური ფორმა, რასაც შეასრულებს უახლოეს ხანში არჩეული დამფუძნებელი კრება“. მთავრობის თავმჯდომარემ თავის წინასაარჩევნო გამოსვლაში ის ძირითადი აზრი გამოთქვა, რომ საქართველოს დროებითმა პარლამენტმა და დროებითმა მთავრობამ მხოლოდ მოსამზადებელი საქმიანობა ჩაატარა. ქართული ეროვნული, სამართლებრივი სახელმწიფოს მყარი, კონსტიტუციური შენობის აგება და პერსპექტიული სამოქმედო გეგმა-პროგრამის ჩამოყალიბება დამფუძნებელი კრების ფუნქციას შეადგენდა.

დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის თებერვალში ჩატარდა. მასში, სხვადასხვა მიზეზის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო ბათუმის ოლქის, ბორჩალოს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრების, ხევსურეთისა და სვანეთის მოსახლეობამ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანონიერად ცნო 550477 ხმა. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 403 ათასი ხმა და დამფუძნებელ კრებაში გაიყვანა 109 დეპუტატი: რაჟდენ არსენიძე, პავლე ბერიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, პეტრე გელეიშვილი, გიორგი ერაძე, დიომიდე თოფურიძე, კონსტანტინე კანდელაკი, ალექსანდრე ლომთათიძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, გერასიმე მახარაძე, ნოე რამიშვილი, პავლე საყვარელიძე, აკაკი ჩხენკელი, გიორგი ჯაფარიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, ვლადიმერ ჯუღელი, ნოე ხომერიკი და სხვა; ეროვნულ-დემოკრატიამ დამფუძნებელ კრებაში წარგზავნა — ალექსანდრე ასათიანი, გიორგი გვაზავა, ნიკო ნიკოლაძე, სპირიდონ კედია, იოსებ მაჭავარიანი, გერონტი ქიქოძე, ექვთიმე თაყაიშვილი და პეტრე სურგულაძე. სოციალისტ-ფედერალისტებიდან დამფუძნებელ კრებაში შევიდნენ: შალვა ალექსი-მესხიშვილი, იოსებ ბარათაშვილი, იოსებ გედევანიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, სვიმონ მდივანი, სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ რცხილაძე, შალვა ნუცუბიძე; სოციალისტ-რევოლუციონერებიდან (ესერები) კი — ივანე გობეჩია, იოსებ გობეჩია, გრიგოლ ნათაძე, ილია ნუცუბიძე, ლევან შენგელია. 1919 წლის აგვისტოში ჩატარდა დამატებითი არჩევნები, რომლის შედეგად დამფუძნებელ კრებას შეემატა სამი დაშნაკი, სოციალისტ-ფედერალისტი სოლომონ დადიანი და დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატთა ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი.

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა ჩატარდა 1919 წლის 1-ლ მარტს. იგი გახსნა უხუცესმა დეპუტატმა სილიბისტრო ჯიბლაძემ. დამფუძნებელი კრების პირველი სესიის მეორე სხდომაზე (14 მარტს) მთავრობის საქმიანობის ანგარიშით გამოვიდა ნოე ჟორდანია. მან აღნიშნა, რომ მთავრობამ ხალხის ნდობა გაამართლა, დიდი ისტორიული მისია შეასრულა, ომისა და რევოლუციის ქარცეცხლში უვნებლად გამოატარა საქართველო. მთავრობამ შეძლო საერთო დემოკრატიის განმტკიცება, ერთი მიზნისაკენ მისი წარმართვა. ნოე ჟორდანიამ კოალიციური მთავრობის დიდ დამსახურებად გამოაცხადა ისიც, რომ საქართველო შეჩერდა რევოლუციის ბურჟუაზიულ ეტაპზე, შექმნა დემოკრატიული სახელმწიფო, მისი ეფექტურად მოქმედი სტრუქტურები. მთავრობის თავმჯდომარემ თავისი მოხსენება ასე დაამთავრა: „რაც შეგვეძლო ვიმუშავეთ. ჩვენი სახელმწიფო გემი მშვიდობით მოვიყვანეთ უხიფათო სანაპირომდე. ჩაიბარეთ ეს გემი, მიიღეთ სახელმწიფოს სადავეები და გააკეთეთ ის, რაც ჩვენ ვერ გავაკეთეთ..., პარლამენტის მთავრობა მიდის და ადგილს უთმობს დამფუძნებელი კრების მთავრობას“.

იმავე სხდომაზე დაისვა დამფუძნებელი კრების წინაშე პასუხისმგებელი ახალი მთავრობის შედგენის საკითხი. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით რაჟდენ არსენიძემ განაცხადა: უკვე ნაცადი პრეცედენტის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ თავმჯდომარე, რომელიც შეარჩევს მთავრობის წევრებს. ასეთი წესით შედგენილი მინისტრთა კაბინეტი უფრო შეთანხმებულად იმოქმედებს, თუმცა დამფუძნებელ კრებას იმის უფლებაც აქვს, მთავრობის ყველა წევრი თვითონ აირჩიოს. ისიც შეუძლია სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტიც შექმნას, პრეზიდენტიც აირჩიოსო.

რაჟდენ არსენიძის ორჭოფულმა წინადადებამ კამათი გამოიწვია. გიორგი გვაზავამ მხარი დაუჭირა მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარის არჩევას და გაილაშქრა პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნის წინააღმდეგ. დაახლოებით ასეთივე აზრი გამოთქვა ივანე გობეჩიამ. მისი განცხადებით, საპრეზიდენტო მმართველობაზე გადასვლა არ იყო ასე იოლად გადასაწყვეტი ამოცანა, ამ საკითხზე ჯერ საკონსტიტუციო კომისიამ უნდა იმუშაოსო. კამათში მონაწილეობა მიიღეს შალვა ნუცუბიძემ, პავლე საყვარელიძემ, შალვა ალექსი-მესხიშვილმა და დამფუძნებელი კრების სხვა წევრებმა. ბოლოს მიიღეს ასეთი დადგენილება: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესადგენად დამფუძნებელი კრება ირჩევს ერთ კაცს, რომელიც ნიშნავს მინისტრებს. მთავრობის თავმჯდომარე იმავდროულად არის უმაღლესი წარმომადგენელი რუსპუბლიკისა“.

ამგვარად, დამფუძნებელმა კრებამ უარყო განსაკუთრებული უფლება-

მოსილებით აღჭურვილი პრეზიდენტის, სახელმწიფო მეთაურის არჩევის საჭიროება, მაგრამ მიზანშეწონილად მიიჩნია მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების საგრძნობლად გაფართოება, რესპუბლიკის საზღვრებს მიღმა სამყაროს წინაშე მისი სახელმწიფოს მეთაურის სახით წარდგენა.

სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე კვლავ ნოე ჟორდანიას კანდიდატურა დაასახელა. მას მხარი დაუჭირეს ეროვნულ-დემოკრატებმაც. სოციალისტ-ფედერალისტთა და ესერთა ფრაქციებმა ბოიკოტი გამოაცხადეს, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. მაგრამ ამან ვერ დააბრკოლა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით პრემიერად ნოე ჟორდანიას არჩევა. 1919 წლის 21 მარტს მან გამოაცხადა მინისტრთა კაბინეტის მეტისმეტად შეზღუდული შემადგენლობა: საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი ევგენი გეგეჭკორი; შინაგან საქმეთა, სამხედრო და განათლების მინისტრი — ნოე რამიშვილი; მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი — ნოე ხომერიკი; ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი.

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, კენჭისყრის წინ, მართალია, ნდობა გამოუცხადა ნოე ჟორდანიას, მაგრამ არ მოეწონა მისგან შედგენილი მთავრობა. გაზეთ „საქართველოს" რედაქცია ამასთან დაკავშირებით მკითხველს აუწყებდა, რომ წინა მთავრობაში ყოველ სამინისტროს ერთი საკუთარი მეთაური ჰყავდა. ახალ მთავრობაში კი ერთ პიროვნებას ორი და სამი სამინისტრო დაუქვემდებარეს. მთავრობის ამგვარი რეორგანიზაციის შედეგად მინისტრთა პორტფელები დაკარგეს სოციალისტ-ფედერალისტებმა, ესერებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა. მთავრობაში მთლიანად სოციალ-დემოკრატები გაბატონდნენო. ცხადია, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას უარყოფით მოვლენად მიაჩნდა წინა კოალიციური მთავრობის ნაცვლად ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობის ჩამოყალიბება, მინისტრთა კომიტეტის მიღმა სხვა პოლიტიკური პარტიების დატოვება.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რაკი დამფუძნებელ კრებაში აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა, უფლება ჰქონდა ერთპარტიული მთავრობა შეექმნა და ჩამოაყალიბა კიდეც, მაგრამ ამან გააძნელა პოლიტიკური პარტიების კონსენსუსი, ოპოზიციის კონსტრუქციული საქმიანობა. დამფუძნებელ კრებაში მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის იმაზე გაცილებით მწვავე პოლიტიკური ბრძოლა გაჩაღდა, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა დროებით პარლამენტში. განწყობილება-ურთიერთობათა ასეთი ცვლილება უკვე ცხადი გახდა ახალი კაბინეტის დეკლარაციის (სამომავლო პროგრამის) განხილვის დროს.

მთავრობის დეკლარაცია წაიკითხა ევგენი გეგეჭკორმა დამფუძნებელი

კრების 21 მარტის სხდომაზე: „ასრულდა საქართველოს ერის სურვილი, შედგა სუვერენული ორგანო-დამფუძნებელი კრება, რომელიც მოწოდებულია შეიმუშაოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და მტკიცე ნიადაგზე დაამკვიდროს დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო..., მართალია, ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლება ელობება, მაგრამ სრული იმედით შევყურებთ მომავალს". ევგენი გეგეჭკორმა შემდეგ აღნიშნა, რომ მთავრობა მიზნად ისახავს მართვა-გამგეობის სრულყოფას, გამარტივებას და გაიაფებას. ის შეეცდება რაც შეიძლება მალე განსაზღვროს აფხაზეთისა და სამუსლიმანო საქართველოს სტატუსი. გაუმჯობესოს სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობათა სტრუქტურა, დაამთავროს სასამართლო რეფორმის გატარება. დაჩქარდება აგრარული რეფორმის ბოლომდე მიყვანა, საადგილმამულო კანონის რეალიზაცია. მთავრობა ყველაფერს გააკეთებს სოფლის მეურნეობის აღმავალი განვითარებისათვის და საამისოდ აამოქმედებს როგორც კერძო ინიციატივას, ისე თავისუფალ კოპერატიულ გაერთიანებებს, რასაც შედეგად მოჰყვება მთელი ხალხის კეთილდღეობის ამაღლება.

მთავრობის დეკლარაცია ორმხრივი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა; სოციალისტ-ფედერალისტებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა იგი მემარცხენე პოზიციებიდან გააკრიტიკეს. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ კი მემარჯვენე (ბურჟუაზიული) პოზიცია დაიკავა.

ესერების ლიდერმა ლ. შენგელიამ მთავრობის დეკლარაცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პროგრამად მიიჩნია და მარცხნიდან გააკრიტიკა. მისი აზრით, არა მენშევიკები, არამედ მხოლოდ ჭეშმარიტი სოციალისტები შეძლებდნენ ხალხის მეთაურობას, ისინი მოიპოვებდნენ მშრომელი მასის ნდობას. შენგელიამ დამფუძნებელ კრებას აუწყა, რომ სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია იბრძოლებდა მთავრობისეული აგრარული რეფორმის წინააღმდეგ, დაიცავდა მიწის სოციალიზაციის პროგრამას, მოითხოვდა წარმოებაზე მუშათა კონტროლის დამყარებას, სამუშაო დღის შემცირებას. მხარს დაუჭერდა საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას.

დიამეტრულად საწინააღმდეგო მხრიდან გააკრიტიკა ახალი მთავრობის სამოქმედო პროგრამა (და საერთოდ სოციალისტური მიმართულების პარტიათა მსოფლმხედველობა) ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, რომლის სახელით სპირიდონ კედიამ განაცხადა: „დამფუძნებელი კრების წევრნო! არასდროს ასეთი სიმკაცრით არ გამოვლენილა წინააღმდეგობა სინამდვილესა და იდეოლოგიას შორის. ის გარემოება, რომ დამფუძნებელ კრებაში 120-ზე მეტი სოციალისტი ზის, ხოლო სინამდვილე (რეალობა) ძალას გვატანს სახელმწიფოს ასაგებად საღი ბურჟუაზიული საფუძვლე-

ბი და მეთოდი ვიხმაროთ, ცხადყოფს, რომ სურვილი და დიდი რწმენა უძლურია სოციალიზმის დასამყარებლად". საქართველოს მოსახლეობამ პირველად აირჩია დამფუძნებელი კრება, რომელმაც ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონები უნდა მიიღოსო. „ჩვენი ნამოქმედარი განსაზღვრავს სამომავლო მიმართულებას და ამიტომ ვერ ვიქნებით თვითნებური ჩვენი უფლების მოხმარებაში. საქართველოს მარადიულ მიმდინარეობაში ჩვენი აქ ყოფნა ერთი წუთია და ამ წუთმა არ უნდა შეიწიროს ქვეყნის უკვდავება". სპირიდონ კედიას სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მთავარ ცოდვად მიაჩნდა ის, რომ მას ჯერაც არ ჰქონდა გარკვეული, თუ რომელ გზას დასდგომოდა, სახელმძღვანელოდ მოსკოვის პრინციპი გაეხადა, თუ პარიზისა. სოციალისტებმაც უნდა შეიგნონ, რომ „ეკონომიკის გამობრუნება სოციალისტური წესითა და ექსპერიმენტით ყოვლად შეუძლებელია. რაც უფრო მალე დაადგება მთავრობა ნაცად და საიმედო ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი შემოქმედების გზას, მით უფრო მალე და ადვილად მოხერხდება ჩვენი ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება".

როგორც ვხედავთ, მემარცხენე კრიტიკოსები მთავრობას ბრალს სდებდნენ სოციალიზმის პრინციპებიდან გადახვევასა და ბურჟუაზიული პოლიტიკის გატარებაში. მემარჯვენეები კი პირიქით, მმართველ პარტიას ადანაშაულებდნენ სოციალისტური ექსპერიმენტებით გატაცებაში, ბურჟუაზიული კონცეფციების უგულებელყოფასა და ბურჟუაზიული მეწარმეობის შეზღუდვაში. რომელი იყო მართალი? საკუთარი პოზიციებიდან ორივე მხარე ჭეშმარიტებას ღაღადებდა. მაგრამ ისინი ყოველთვის ვერ იცავდნენ თანამიმდევრობას მსჯელობის დროსა და მოვლენების შეფასებაში. კრიტიკოსები თითქმის არაფერს ამბობდნენ იმ ფაქტზე, რომ მთავრობა ცდილობდა კომპრომისული ხაზის გატარებას, შერეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის ჩამოყალიბებას. მართალია, თავისუფალ გასაქანს აძლევდა კერძო ინიციატივას, კაპიტალიზმის განვითარებას, მაგრამ არც კოოპერაციული სოციალიზმის იდეას ღალატობდა და თავის მიზნად მოსახლეობის დაბალი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებას და კლასობრივი ანტაგონიზმის აღმოფხვრასაც ისახავდა.

1919 წლის 25 აპრილს დამტკიცდა დამფუძნებელი კრების რეგლამენტი, რომელმაც განსაზღვრა ამ უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურა, მისი მუშაობის წესი. ამ რეგლამენტის შესაბამისად ჩატარდა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და მუდმივი კომისიების არჩევნები. ყველაზე რთული ამოცანა დაეკისრა საკონსტიტუციო კომისიას, რომელიც ერთ წელზე მეტხანს მუშაობდა კონსტიტუციის პროექტის შედგენაზე.

მთავრობისაგან დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილი რესპუბლიკის

მოქალაქედ აღიარების კანონპროექტის განხილვა-დამტკიცების პროცედურა 1919 წლის მაისში მიმდინარეობდა. შემოსული ტექსტი მკაცრად გააკრიტიკა ესერების ფრაქციამ, აღნიშნა, რომ იგი სხვა ეროვნებათა ლეგიონის დროს ჩამოსულთა უფლებას კვეცავს, მათში არ იგრძნობა თანასწორობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებაო. სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა და ფრაქციებმა ესერული კრიტიკა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს. შალვა მესხიშვილმა აღნიშნა, რომ მოქალაქეობის კანონი დემოკრატიულიც არის და სამართლიანიც. ვისაც ნამდვილად ეკუთვნის საქართველოს მოქალაქეობა თითქმის ყველა იღებს. ამ სფეროში აბსოლუტურ თავისუფლებასა და აღიარებას დიდი სახელმწიფოებიც კი არ აცხადებენ. მათაც აქვთ დაწესებული შეზღუდვები და რაც უფრო მცირეა სახელმწიფო, მით უფრო ფრთხილად უნდა ეკიდებოდეს ქვეშევრდომობის კანონის შედგენას., რადგან იგი უცხოელებს (რომელნიც ჩვენს მოქალაქეებად ეწერებიან) მოვალეობის დაკისრებასთან ერთად დიდ უფლებებსაც აძლევსო. დამფუძნებელმა კრებამ უარყო ესერთა შენიშვნები და მოქალაქეობის კანონი არსებითად პირვანდელი რედაქციით დაამტკიცა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურაში, მნიშვნელობითა და ფუნქციებით პირველი იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო. ოპოზიცია ყველაზე მეტ ბრალდებას მის შეფს, ნოე რამიშვილს უყენებდა. დამფუძნებელი კრების პირველი სესიის 90-ე სხდომაზე განიხილეს მთავრობის დეკრეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს შტატებისა და დაფინანსების შესახებ. ეს კონკრეტული შემთხვევა ოპოზიციურმა ფრაქციებმა ნოე რამიშვილისა და მისი უწყების მძაფრი კრიტიკისათვის გამოიყენეს. ყველაზე მეტად აქტიურობდა სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია. ილია ნუცუბიძე აცხადებდა, რომ ხალხსა და სამინისტროს შორის ხიდია ჩატეხილი. ეს უწყება თავისი საქმიანობით კლავს მოქალაქეობის, უფლებრიობის და, რაც მთავარია, სახელმწიფოებრიობის იდეას. ვიდრე სამინისტრო არ დადგება უფლებრივ ნიადაგზე, სანამ ის არ შეიგნებს, რომ ხალხის მსახური უნდა იყოს და არა მბრძანებელი, მანამდე სამინისტრო ნდობას ვერ დაიმსახურებსო. სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით სამინისტრო გააკრიტიკა სოლომონ დადიანმა. მანაც ჩამოთვალა ნოე რამიშვილის უწყების მოხელეთა უკანონო და დანაშაულებრივი ქმედების ფაქტები. რამიშვილმა უარყო ბრალდებათა უმეტესობა. აღნიშნა, კანონზე დაყრდნობით ვებრძვით სახელმწიფოს მტრებს — ბოლშევიკებსა და ბანდიტურ ელემენტებს. შეიძლება სამინისტროს ზოგი მოხელე სცოდავს, არაა გამორიცხული უდანაშაულო მოქალაქის დაპატიმრება, დასჯა, მაგრამ ასეთი ქმედება სისტემად არ გვიქცევიაო.

ნოე რამიშვილმა ბოლოს ისიც თქვა, რომ ოპოზიციონერებს ვიწროპარტიული ინტერესები ასულდგმულებდათ. სოციალისტ-რევოლუციონერებმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მარცხი განიცადეს და ახლა ცდილობენ ეს წარუმატებლობა რაღაც სხვა ძალას გადააბრალონო. მე არ მეგონა, რომ ცილისწამების გზას სოციალისტ-ფედერალისტებიც დაადგებოდნენ. მაგრამ ამ ბოლო დროს საქართველოს ზოგიერთ რაიონში მათაც დაკარგეს გავლენა და ალბათ ამიტომ შევიდნენო ესერებთან ალიანსში. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრალი დასდო ოპოზიციას აშკარა ტენდენციურობასა და ჩასაფრებულ მტრობაში.

შინაგან საქმეთა მინისტრს წამოეშველა პავლე საყვარელიძე. მან აღნიშნა, შეიძლება მთლიანად მთავრობას და მის ცალკე უწყებას შეცდომები მოსდის, მაგრამ ამისგან ხანდაზმულ დემოკრატიულ სახელმწიფოთა მთავრობებიც არ არიან დაზღვეული. იქაც აქვს ადგილი ხელისუფლების გადამეტებას, პიროვნების უფლებათა დარღვევის შემთხვევებსო. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში არ არის კეთილსინდისიერი ოპოზიცია, მაგრამ იგი საფრთხეს არ უქმნის (თუ ვერ უქმნის) ჩვენს სახელმწიფოებრიობას და მთავრობაც არაფერს ერჩის მას. როცა საქართველოში მოდიან რუსეთის კომპარტიის წევრები (მათ შორის ქართველებიც) საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსასპობად, ბუნებრივია, წინააღმდეგობას ვუწევთ მათ. ეს მთავრობის მოვალეობაა და თუ ამ ფუნქციას ვერ შეასრულებს, უნდა გადადგესო.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შედგენაზე ჯერ კიდევ ეროვნულ საბჭოში მსჯელობდნენ. დამფუძნებელი კრების მოწვევისა და საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შემდეგ კანონშემოქმედებითმა მუშაობამ გაცილებით ინტენსიური ხასიათი მიიღო. 1919 წლის ბოლოს უკვე არსებობდა კონსტიტუციის პროექტის ძირითადი მონახაზი, რომელსაც თან ჰქონდა დართული ვრცელი განმარტებითი ბარათი. ეს დოკუმენტი ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო კომისიაში ცხარე კამათი მიმდინარეობდა სახელმწიფოებრივი წყობილების პრობლემებზე. ჩანს, რომ ეროვნულ-დემოკრატები ახლა უკვე მოითხოვდნენ პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნას. მათი აზრით, უპრეზიდენტოდ აღმასრულებელი ხელისუფლება მოკლებული იქნებოდა სიმტკიცესა და ავტორიტეტს. თუნდაც იმიტომ, რომ მთავრობის კრიზისის დროს სახელმწიფოს არ ეყოლებოდა უმაღლესი წარმომადგენელი, როგორც სტაბილურობის გარანტი.

დიდი კამათი გაიმართა პარლამენტის სტრუქტურის გარშემო. ოპოზიციის ერთი ნაწილი მოითხოვდა კონსტიტუციას დაეკანონებინა ორპალატიანი პარლამენტი. იმედოვნებდა, რომ ზედა პალატის მეშვეობით

მოხერხდებოდა სოციალ-დემოკრატიის ყოვლისშემძლეობის შეზღუდვა. ოპოზიციის სხვა წარმომადგენელთა აზრით, ორპალატიან პარლამენტს გამართლება ჰქონდა მხოლოდ ფედერაციულ სახელმწიფოებში, უნიტარულ საქართველოს რესპუბლიკაში კი იგი ვერ შეიქმნებოდა და კიდეც რომ შექმნილიყო, ვერაფერს შეცვლიდა. ორივე პალატას უმრავლესობა გააკონტროლებდა, ქვედა პალატის მიერ მიღებულ კანონს, ზედა პალატა თითქმის ავტომატურად დაამტკიცებდა.

1920 წლის მაისში საქართველოს კონსტიტუციის პროექტი სტამბურად დაიბეჭდა და დამფუძნებელი კრების წევრებს დაურიგდა. 6 თვეს გრძელდებოდა მისი განხილვა-ჩასწორება. ამ პროცესის დამამთავრებელი ეტაპის წინადღეს დამფუძნებელ კრებას ვრცელი ანგარიშით წარუდგა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე. თავისი მოხსენების ბოლო ნაწილში მან აღნიშნა: ამერიკულ (შეერთებული შტატების) დემოკრატიაში ხელისუფლების დაყოფა სამად (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) დაკანონებულია, მაგრამ მთელი სისრულით მისი დაცვა შეუძლებელი ხდება. საქართველოს დემოკრატიაც ისე ყალიბდებოდა, რომ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია აღნიშნული სამი ელემენტის ერთმანეთისაგან სრული გამიჯვნა და დამოუკიდებლობაო. პავლე საყვარელიძის აზრით, აშშ-ის მოსახლეობის, დემოკრატიის სუვერენული უფლება შეზღუდული იყო. ამ სახელმწიფოში მთელ ძალაუფლებას პარლამენტი ფლობდა, რაც თავისთავად ზღუდავდა ხალხის საკანონმდებლო ინიციატივას, არარად აქცევდა უშუალო დემოკრატიას, პრაქტიკაში არ ტოვებდა რეფერენდუმს. ამდენად, აშშ-ში ხალხი კანონმდებელია დეპუტატთა მეშვეობით. პავლე საყვარელიძის განცხადებით ხალხი კიდევ უფრო შეზღუდული იყო საფრანგეთში. იქ კონსტიტუციას ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში ასწორებს და ავსებს არა ხალხი, არამედ ნაციონალური კრება — პარლამენტიო.

როგორც ვხედავთ, განაგრძო კომისიის თავმჯდომარემ, ყველა დემოკრატიასა და კონსტიტუციას აქვს ნაკლი. ჩვენ წმინდა სახით ვერც ერთ დემოკრატიულ სისტემას ვერ გამოვიყენებთ. შესაძლებლობა არსებობს, საქართველოს კონსტიტუცია უფრო სრულყოფილი გავხადოთ. მუდმივი არაფერია, პროცესი გაგრძელდება. ჩვენ მიერ შედგენილი კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი მომავალ თაობას შეიძლება არ მოეწონოს, საკუთარი ბუნებრივი იქნება მათი ჩასწორება, შეცვლა. მაგრამ ის მუხლი, რომელიც აკანონებს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას, შეუცვლელი უნდა იყოსო.

კონსტიტუციის პროექტის ავ-კარგზე თავისი აზრი გამოთქვა რადიკა-

ლური ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ვასილ წერეთელმა. მან უარყო უშუალო დემოკრატია და რეფერენდუმის ინსტიტუტი. მხარი დაუჭირა წარმომადგენლობით დემოკრატიას... „წარმოიდგინეთ რომ დავძლიეთ ყველა დაბრკოლება და განვახორციელეთ პირდაპირი კანონმდებლობა, მაშინ თითოეულ კანონპროექტს მთელმა საქართველომ უნდა მისცეს ხმა! ამისთვის კი მთავრობასა და ხალხს აუარებელი ქონებრივი და ზნეობრივი ენერგიის დახარჯვა დასჭირდება. სახელმწიფომ რომელშიც გაბატონებული და დამონებული ნაწილები არ არის, კანონმდებლობა მხოლოდ წარმომადგენლობის მეშვეობით უნდა განახორციელოს". ვასილ წერეთელმა დემოკრატიის გარანტად გამოაცხადა თავისუფალი პარლამენტი და დეპუტატის ხელშეუხებლობა. დასაგმობი ის არის, რომ „პარტიულმა დიქტატურამ საკანონმდებლო წარმომადგენლობის წევრს წაართვა კანონმდებლობითი დამოუკიდებლობა. საკანონმდებლო დაწესებულების წევრი შებორკილია პარტიული მანდატით... თუ ეს წესი დარჩა, საკანონმდებლო დაწესებულება პარტიული ფანატიზმის მსხვერპლად გადაიქცევა".

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ სასიამოვნო ფაქტად მიიჩნია დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის პროექტის განხილვის პროცესი. მისი რუპორი — გაზეთი „საქართველოს" რედაქცია წერდა: „ერის უწმინდეს დარბაზში იხილავენ პროექტს მკვდრეთით აღდგენილი ერის მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილებისას. ნეტარნი ვართ. სოციალისტებმაც უნდა შეიგნონ, რომ ჩვენი ერი შექმნის კანონიერსა და უფლებრივ სახელმწიფოს, რომელსაც დასასრული არ ექნება". ეროვნულ-დემოკრატებმაც გამოთქვეს ორიოდე შენიშვნა, მაგრამ მთლიანად კონსტიტუციის პროექტს მაღალი შეფასება მისცეს: „ჩვენი კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლებიდან გამომდინარეობს, რომ სუვერენობა თვით ხალხს ეკუთვნის. ის ირჩევს პარლამენტს, მაგრამ მას მუდამ თავს დასტრიალებს. ამ კონსტიტუციით შექმნის ქართველი ერი მომავალ კულტურას და ისტორიას. ამავე კონსტიტუციით ჩვენი პარლამენტი და მთავრობა შესძლებენ სახელმწიფოს გამაგრებას და ჩვენც თამამად წარვსდგებით მომავალი თაობის წინაშე".

საბჭოურ-კომუნისტური რუსეთის აშკარა აგრესიის დაწყების შემდეგ, საკანონმდებლო მუშაობა კიდევ უფრო დაჩქარდა. დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუციის პროექტი დაამტკიცა და საქართველოს რესპუბლიკის ძირითად კანონად გამოაცხადა.

კონსტიტუციის მიხედვით საქართველო ფუძნდებოდა როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი სახელმწიფო, მარადიული რესპუბლიკა. კონსტიტუციის მერვე მუხლი გვაუწყებს: „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კონკრე-

ტული კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედააზრის წინააღმდეგია. კონსტიტუციის შესრულება, მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს".

1921 წლის კონსტიტუციაში დაფიქსირებულია დებულებები მოქალაქეობისა და მოქალაქეთა უფლებების, წოდებრივ განსხვავებათა მოსპობის, კანონის წინაშე ყველა პიროვნების თანასწორობის შესახებ. გამოცხადებულია, რომ მოქალაქეს აქვს სინდისის და რწმენის თავისუფლება, სიტყვის, შეკრების, კავშირების შექმნის, გაფიცვის თავისუფლება. კანონის დარღვევისა და დანაშაულებრივი ქმედების შემთხვევაში მოქალაქე პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე. მაგრამ „ამბოხებისა და ომის დროს პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელ რესპუბლიკაში, ან რომელსამე ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია №№ 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33-ე მუხლებში და შემოიღოს საგანგებო წესები".

კონსტიტუციის მეოთხე თავში განსაზღვრულია რესპუბლიკის პარლამენტის უფლებამოსილება, მისი საქმიანობის, კანონების მიღება-გამოქვეყნების წესები. მეხუთე თავში ლაპარაკია აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ, მთავრობის შედგენის წესსა და მის უფლება-მოვალეობაზე. კონსტიტუციის მეექვსე თავი ეძღვნება სასამართლოს, მეშვიდე — სახელმწიფო ფინანსებს, მერვე — სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს. მეცხრე — სახელმწიფოს თავდაცვას და შესაბამის სამინისტროს უფლება-მოვალეობას.

კონსტიტუციის მეათე თავში დაფიქსირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება-კომპეტენცია, მისი მოვალეობა ცენტრალური ხელისუფლებისა და ხალხის წინაშე. საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილება-განკარგულებათა შეჩერება, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდა კანონს. მეთერთმეტე თავი კონკრეტულად ეხება აფხაზეთსა და სამუსლიმანო საქართველოს. კონსტიტუცია ითვალისწინებდა აფხაზეთის, ბათუმის მხარისა და ზაქათალის ოლქისათვის ავტონომიის მინიჭებას. სხვა ნაციონალურ უმცირესობებს უფლება ეძლეოდათ შეექმნათ ეროვნული კავშირები თავიანთ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეთა უკეთ მოსაწყობად.

კონსტიტუციის მეცამეტე თავში ლაპარაკია რესპუბლიკის მოქალაქეთა სოციალ-ეკონომიკურ უფლებებზე და აქვე განსაზღვრულია ხელისუფლების ეკონომიკურ-სოციალური პოლიტიკის მიზანმიმართულება — „ზრუნვა

მოქალაქეთა ღირსეული ცხოვრება-საქმიანობისათვის". ძირითადი კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ავალებდა შრომის ბირჟების, საშუამავლო კანტორებისა და სხვა დაწესებულებათა დაარსებას, უმუშევართათვის დახმარების გაწევას. კონსტიტუცია აკანონებდა 8-საათიან სამუშაო დღეს, კვირაში ერთხელ დასვენებას, კრძალავდა 16 წლამდე მოზარდთა ფაბრიკა-ქარხნებში შრომას, კონსტიტუციის სათანადო მუხლები მოქალაქეთა პასუხისმგებლობაზეც ლაპარაკობს. სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მაღალ დონეზე დაყენება გამოცხადებულია მიწის მუსაკუთრის მოვალეობად სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების წინაშე.

1921 წლის კონსტიტუციის ანალიზს და მთლიანობაში გააზრებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება, მისი თითქმის ყველა ფრაქცია მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია იდგა იმდროინდელი დემოკრატიული მსოფლიოს სამართლებრივი მეცნიერების დონეზე. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ის გამოდგა საქართველოს თანამედროვე რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიის მნიშვნელოვან სამართლებრივ წყაროდ, 1995 წლის კონსტიტუციის საფუძვლად.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა.
სოციალური საკითხი.
კრიზისული სიტუაციის დაძლევის პროგრამა

პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული ეკონომიკის დაცემის პროცესი სოციალური და ეროვნული რევოლუციის პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავდა. ადრინდელი საავჭრო-საწარმოო კავშირების მოშლისა და ტექნიკურ საშუალებათა უკმარისობის გამო მკვეთრად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, სურსათ-სანოვაგისა და ნედლეულის დაშზადება. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მრეწველობა; ბევრი ფაბრიკა დაიკეტა, უფრო მეტმა სანახევროდ და კიდევ მეტად შეამცირა პროდუქციის გამოშვება. თუ ადრე არაფრისმქონე მასა სოფლიდან ქალაქისაკენ მიდიოდა, ახლა უადგილოდ დარჩენილი ბევრი მუშა მშობლიურ სოფელს უბრუნდებოდა.

საქართველოს რესპუბლიკის კოალიციური მთავრობა, რომელშიც წამყვან როლს სოციალ-დემოკრატია ასრულებდა, მართალია, არ აპირებდა კაპიტალისტური წარმოების შევიწროებას, კერძო ინიციატივის შეზღუდვას, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდა თავის ხელში აეღო კაპიტალისტების და მუშების, დამქირავებელთა და დაქირავებულთა ურთიერთობის დარეგულირების, კლასობრივი ანტაგონიზმის განმუხტვის ფუნქცია. მთავრობის და-

ვალებით თბილისის მუნიციპალიტეტმა შექმნა ე. წ. სალიკვიდაციო კომისია, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იკვლევდა წარმოების შეჩერება-შემცირებისა და მუშათა დათხოვნის მიზეზებს. სათანადო დებულება უკრძალავდა კაპიტალისტებს მუშა-მოსამსახურეთა შემცირებას სალიკვიდაციო კომისიის დასტურის გარეშე. ასეთივე კომისიები შეიქმნა საქართველოს სხვა, შედარებით დიდ ქალაქებში. ამ კომისიებში შედიოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, სავაჭრო პალატის, პროფესიული და კოოპერაციული კავშირების წარმომადგენლები, მაგრამ მათმა საქმიანობამ არსებითად ვერ შეამცირა უმუშევრობის ზრდის ტენდენცია.

1918 წლის ივლის-აგვისტოდან გაჩნდა მანგანუმის ამოღებისა და ექსპორტის განახლების შესაძლებლობა, მაგრამ ჭიათურელი ქართველი მრეწველები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობა დიდ შეღავათებს აძლევდა მფარველი სახელმწიფოს — გერმანიის ქვეშევრდომთა ფირმებს. მთავრობამ არბიტრის როლი იკისრა, სცადა გერმანელ და ქართველ მრეწველთა მორიგება. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა მანგანუმის მრეწველთა შერეული (ქართულ-გერმანული) აქციონერული საზოგადოება, რომელსაც მიეცა მანგანუმის ექსპორტის მონოპოლიური უფლება 30 წლის ვადით. მაგრამ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ, საზოგადოება დაიშალა.

1919 წელს მანგანუმის ქართველმა მრეწველებმა (146 კაცი) ჩამოაყალიბეს ახალი აქციონერული საზოგადოება, რომლის მეთაურად მოიწვიეს ნიკო ნიკოლაძე. ამ დროს საქართველოს ხელისუფლებას უკვე გამოცხადებული ჰქონდა მიწის წიაღისა და კერძოდ, მანგანუმის საბადოების ნაციონალიზაცია, მაგრამ არც კი უცდია თავის ხელში აეღო მადნის ამოღებისა და ექსპორტის საქმე. მთავრობა მხოლოდ იმას ცდილობდა, მრეწველთა მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში მოხვედრილიყო. ამ მიზნით მანგანუმის ექსპორტი სახელმწიფოს მონოპოლიად გამოაცხადა და ეს უფლება გადასცა სპეციალურად ამისათვის ჩამოყალიბებულ „ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოებას“ და მოითხოვა მისი მოგების 35%. 1920 წელს საექსპორტო საზოგადოებამ საზღვარგარეთ გაიტანა 10,7 მილიონი ფუთი მანგანუმი. როგორც ჩანს, ამ საზოგადოების საქმიანობა უცხო ქვეყნებში სიძნელეებს აწყდებოდა. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საზღვარგარეთ გაიგზავნა სპეციალური დელეგაცია ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით. მან შეისწავლა მანგანუმის ბაზარი, კონტრაქტები დადო მეტალურგიული ქარხნების მფლობელებთან, რამაც მანგანუმის საექსპორტო ოპერაციები საგრძნობლად გააფართოვა.

ტყიბულის ქვანახშირი ექსპორტის საგანი არ ყოფილა. მას ძირითა-

დად ამიერკავკასიის რკინიგზა მოიხმარდა. 1918-1919 წლებში ქვანახშირის ამოღება-გასაღებაში სერიოზული სიძნელეები გაჩნდა. მთავრობამ დადგინა ტყიბულის მაღაროების ნაციონალიზაცია, რაც დამფუძნებელმა კრებამ სპეციალური დეკრეტით დაადასტურა.

უჭირდა გადამამუშავებელ მრეწველობას. საგრძნობლად შემცირდა საფეიქრო, ტყავის, საპნის, კვების მრეწველობისა და სხვა დარგების მიერ პროდუქციის გამოშვება. მრეწველობის საერთო დაცემის გამო შემცირდა საქონელმიმოქცევა. თითქმის მთლიანად შეწყდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი. საგარეო ვაჭრობის ბალანსი პასიური გახდა, მთავრობამ, მართალია, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია თავის ხელში აიღო, მაგრამ ამ მუხლით სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული თანხა 20-30%-ითაც კი ვერ ფარავდა გასავალს. ბიუჯეტის საერთო დეფიციტი თანდათან იზრდებოდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პირველ 7 თვეში სახელმწიფო შემოსავალმა შეადგინა 96 მილიონი მანეთი, გასავალმა კი მიაღწია 342 მილიონ მანეთს. დეფიციტი — 246 მილიონი დაიფარა ბონების გამოშვებით.

ობიექტურ სიძნელეებს ემატებოდა სუბიექტური. ფინანსური კრიზისი თანდათან მწვავდებოდა. დამფუძნებელი კრების სპეციალურმა კომისიამ გამოარკვია, რომ სამინისტროების, სხვადასხვა უწყებისა და დაწესებულებათა მოხელეების საგრძნობი ნაწილი დაუდევრად, ზოგჯერ დანაშაულებრივად განკარგავდნენ სახელმწიფო სახსრებს. ამის აღკვეთის მიზნით ჩამოყალიბდა სახელმწიფო კონტროლის ინსტიტუტი. შემუშავდა სპეციალური დებულება, რომლის შესაბამისად ტარდებოდა რევიზიები. რამდენიმე თვის შემდეგ კონტროლის თავმჯდომარე ფილიპე გოგიჩაიშვილი დამფუძნებელ კრებას მოახსენებდა, რომ გამოაშკარავდა მოხელეთა დაუდევრობა, უპასუხისმგებლობა, ბოროტმოქმედებაც კი. გამოირკვა, რომ ზოგი ხარჯთამკრეფი ორგანო, მის თანამშრომელთა ერთი ნაწილი საკუთარი საჭიროებისათვის იყენებდა გადასახადების აკრებით აღებული თანხის საგრძნობ ნაწილს და ბიუჯეტში არ შეჰქონდა.

რესპუბლიკის ხელისუფლება, საზოგადოების საღი ნაწილი ცდილობდა ობიექტური დაბრკოლების აღმოფხვრას. ებრძოდა კორუფციას, დანაშაულებრივი ქმედების სხვა სახეებს, მიზნად ისახავდა საქართველოს დაყენებას ნორმალური და აღმავალი განვითარების გზაზე. მთავრობა ერთი რომელიმე მიმართულების ჩარჩოებში ჩაკეტვას არ აპირებდა; განსაკუთრებულ ყურადღებას არც კაპიტალიზმის განვითარებას აქცევდა და არც წარმოების სოციალისტური ფორმების დანერგვას. ხელისუფლების სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ამ გარდამავალ პერიოდში

გასაქანი უნდა მისცემოდა, თავისი ადგილი დასთმობოდა საკუთრებისა და წარმოების სხვადასხვა ფორმას; აუცილებელი იყო, ყოფილიყო წვრილი კერძო საკუთრება და ინდივიდუალური მეურნეობა, ბურჟუაზიული საკუთრება და მსხვილი კაპიტალისტური წარმოება, აგრეთვე მუნიციპალური, კოოპერაციული და სახელმწიფოებრივი საკუთრება, მეურნეობის შესაბამისი ფორმებით. სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობის აზრით, სახელმწიფოს, პოლიტიკური პარტიების, მთელი საზოგადოების მეტ-ნაკლები ზრუნვით, ერთიანი ძალისხმევით გახდებოდა შესაძლებელი ეკონომიკის აღმავლობა, სოციალური ანტაგონიზმის შესუსტება, ერის კონსოლიდაცია, ხალხის კეთილდღეობის ამაღლება.

მაგრამ საკუთრებისა და წარმოების ფორმების ასეთი თანწყობა არც მემარცხენე ოპოზიციას მოსწონდა და არც მემარჯვენეს. სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები მხოლოდ სოციალისტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, ახალი წყობილებისათვის საფუძვლის ჩაყრას მოითხოვდნენ. ეროვნულ-დემოკრატები და მათი მიმდევარი ძალები კრიზისის დაძლევის საშუალებად კაპიტალიზმის აღმავალი განვითარებისათვის ხელის შეწყობას მიიჩნევდნენ

ხელისუფლების სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობის პოზიციას ორმხრივი კრიტიკისაგან საკმაო წარმატებით იცავდა რაჟდენ არსენიძე. მემარცხენეთა საყურადღებოდ იგი ამბობდა: სოციალ-დემოკრატია მიზნად სოციალიზმის განხორციელებას ისახავს, მაგრამ დღესვე სოციალისტური ექსპერიმენტის დაწყება. ძალიან ნაადრევად მიაჩნია. ხალხს ეს კარგად ესმის და ამიტომ იყო, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ქართველთა და არაქართველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ჩვენს პარტიას მისცა ხმა. ხალხი იწონებს სოციალ-დემოკრატიის მიერ არჩეულ გზას, მხარს გვიჭერს დემოკრატიული (და არა სოციალისტური) სახელმწიფოს მშენებლობაში. საქართველო ასეთმა პოლიტიკამ გადაარჩინა. ჩვენ რომ დაგვეწყო შრომასა და კაპიტალს შორის გადამწყვეტი ბრძოლის პროპაგანდა და შესაბამისი ექსპერიმენტი, როგორც ეს მოსკოვმა მოიმოქმედა, ქვეყანასა და ხალხს დავღუპავდითო. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მისამართით კი თქვა, რომ მარტო ძველი ყაიდის კაპიტალიზმი ვერ გვიშველის, პარიზისა და ლონდონის ბრმად მიბაძვა ვერ გადაგვარჩენს. ჩვენ ავიღეთ ისეთი გეზი, რომელსაც გვკარნახობდა რევოლუციის ძირითად ძალთა განწყობილება და საქართველოში შექმნილი კონკრეტული პირობები. სიტუაციის სწორი ანალიზის უნარი ვისაც აქვს, ის მიხვდება, რომ ჩვენ დაგვღუპავს არა მოჭარბებული წარმოება, არამედ ეკონომიკური ჩამორჩენილობა. ბრალად გვდებენ, მოკლე დროში რომ ვერ ავაღორძინეთ

წარმოება. კრიტიკოსებს უნდა ესმოდეთ, რომ არათუ ომისა და რევოლუციის ხანაში, სრული მშვიდობიანობის დროსაც, რამდენიმე თვისა და წელშიც კი შეუძლებელია ეკონომიკის არსებითად გაჯანსაღება. ამ სფეროში მთავარი როლი მთავრობამ კი არა, წარმოების საშუალებათა მფლობელებმა უნდა შეასრულონ. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ კოოპერაციას, შეერთებულ მოღვაწეობას, მაგრამ თუ მეტი არა, ნაკლები როლი როდი ენიჭება კერძო ინიციატივას. ზოგიერთთა რჩევის თანახმად, ეს ინიციატივა რომ ჩაგვეკლა, ქვეყანას მოაკლდებოდა უდიდესი ძალა, რომელსაც გადამწყვეტი როლი ენიჭება ეკონომიკის აღმავალ განვითარებაშიო.

რაჟდენ არსენიძე სწორად მსჯელობდა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციამ და არასტაბილურმა მდგომარეობამ უცხოელი კაპიტალისტები დააფრთხო, ბევრმა მათგანმა საქართველო დატოვა. ვერც ადგილობრივი ბურჟუაზია ბედავდა რისკის გაწევას. ერიდებოდა კაპიტალის დაბანდებას წარმოების სფეროში. ამიტომ მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია უფრო აქტიური ჩარევა წარმოების, ვაჭრობისა და განაწილების სფეროში. 1920 წლის დამდეგს დამტკიცდა პროექტი, რომლის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბებულიყო „საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიკური საბჭო“. დებულების მიხედვით მის მოვალეობად ცხადდებოდა: 1) საქართველოს სახალხო მეურნეობის არსებული სტრუქტურისა და მდგომარეობის შესწავლა; 2) თანამედროვე პირობების შესაბამისი მეურნეობის ახალი ფორმების შექმნა და მათი განვითარების საშუალებათა გამონახვა; 3) სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა საქმიანობის კოორდინაცია; 4) რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ერთიანი გეგმის შემუშავება; 5) სახელმწიფო ფინანსების მოწესრიგება, ბიუჯეტის შედგენის ხელმძღვანელობა.

დებულების თანახმად, უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს საქმიანობისათვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწია თავმჯდომარეს და სექციების უფროსებს. სათათბირო საბჭოში უნდა შესულიყვნენ მინისტრები და სხვა დიდი მოხელეები. საბჭოს დადგენილება სავალდებულო იყო ეკონომიკის სფეროში მოქმედი ყველა დაწესებულებისათვის. უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს შექმნა თითქოს იმის მანიშნებელი იყო, რომ მთავრობამ ანგარიში გაუწია მარცხნიდან კრიტიკას. სოციალისტ-ფედერალისტებმა მართლაც მოიწონეს ეს ფაქტი. უმაღლესი ეკონომიკური საბჭო მათ აღიქვეს როგორც სოციალიზმის საფუძვლების მოსაშზადებელი ღონისძიება.

ხელისუფლების სოციალ-ეკონომიკურ პოლიტიკაში შეტანილი იმგვარივე კორექტივის გამოხატულება იყო მეორე ახალი უწყების — მომარაგების სამინისტროს შექმნა. ნოე ჟორდანიას განცხადებით, ამ სამინისტროს

ჩამოყალიბება ნაკარნახევი იყო ობიექტური პირობებით. მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თანამედროვე მსოფლიოში, ომისა და რევოლუციებით გამოწვეულ სიძნელეთა გამო ვაჭრობის დარეგულირების საქმეს ხელს ჰკიდებენ ისეთი სახელმწიფოებიც კი, რომელნიც ადრე ვაჭრობის თავისუფლების პოზიციაზე იდგნენ. საქართველოში ასეთი დარეგულირება კიდევ უფრო აუცილებელიაო. თავისთავად ცხადია, თუ ჩარჩ-ვაჭრებს და სპეკულანტებს დავუთმეთო სრულად ბურთი და მოედანი, მთელი ხალხი მათ საწყალ ფურად გადაიქცევა. ამიტომ საჭიროა სახელმწიფო ჩაერთოს ვაჭრობაში, დაიწყოს აღებ-მიცემობა და ამ გზით კონტროლქვეშ მოაქციოს სპეკულაციური კაპიტალიო. ყველასათვის გასაგები უნდა ყოფილიყო, ნოე ჟორდანიას განცხადებით ისიც, რომ მთავრობამ მომარაგების სამინისტრო არსებითად შეუერთა შრომის სამინისტროს. ახლა ყველაზე მეტად მუშა-მოსამსახურეებს უჭირთ და ამ ორმა სამინისტრომ შეერთებული ძალით უნდა იღვაწოსო ამ ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ნოე ჟორდანიას არგუმენტაცია, ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ არასაკმარისად მიიჩნია და მთავრობას უსაყვედურა, რომ გადააცილა თავისი უფლებამოსილების სფეროს და დამფუძნებელი კრების სანქციის გარეშე, არაპარლამენტური წესით შექმნა ახალი სამინისტრო. მთავრობის თავმჯდომარე გვარწმუნებს, რომ აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა ვაჭრობის სფეროში და სურსათ-სანოვაგით მოსახლეობის მომარაგებაში. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ თავისთავად სამინისტროს შექმნა ბევრს არაფერს ცვლისო. ალექსანდრე ასათიანმა შეახსენა პრემიერს — ვაჭრობის სამინისტროსაც დიდი უფლებები ჰქონდა, მილიარდიანი ქონება დააგროვა, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტს ფულადი თანხები და ხალხს კეთილდღეობა ვერ შემატაო.

თედო ღლონტის აზრით, სასურსათო პრობლემის ესოდენ გამწვავების მიზეზი ის იყო, რომ საქართველოში არ ტარდებოდა ერთიანი სასურსათო პოლიტიკა. „იმდენი დამოუკიდებელი სასურსათო პოლიტიკა არსებობს რამდენიც არის ქალაქი, რამდენიც არის ერობა“. მთავარი ნაკლი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკისა მაინც ის იყო, თედო ღლონტის განცხადებით, რომ იგი ვერ იყენებდა საქართველოს ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ვერ ახერხებდა სახელმწიფო შემოსავლის ზრდის სამსახურში ჩაეყენებინა სატრანზიტო რკინიგზები, ნავსადგურები და სხვა საშუალებები. მთავრობამ ვერც ის შეძლო, რომ ეკონომიკური აღმავლობისა და ფინანსების გაჯანსაღებისათვის დაერაზმა მუნიციპალიტეტები, ერობები, კოოპერატივები.

ნოე ჟორდანიამ მიიჩნია, რომ ოპოზიციონერთა ზოგი შენიშვნა უნდა

გაეთვალისწინებინა, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ მთავრობის პოლიტიკის შეფასება ობიექტური უნდა ყოფილიყო. ფაქტი არის, რომ ჟამრიგ ჟამ-მოებელ ქვეყნებში (რუსეთი, უკრაინა) პური გაცილებით ძვირია, ვიდრე საქართველოში. იმპერიის ნანგრევებზე შექმნილ სახელმწიფოთა შორის ცხოვრების დონე შედარებით მაღალია საქართველოში, ეს სასწაული კი არა, საღი პოლიტიკის შედეგიაო. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა იმ ვარაუდზეა აგებული, რომ დასავლეთ ევროპიდან დიდ დახმარებას ვერ მივიღებთ. უნდა დავეყრდნოთ საკუთარ საწარმოო ძალებს; ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მიწის რაციონალური დამუშავების, საერთო პრობლემის გადაჭრისათვისო. მუშათა კლასი და გლეხობა, ამბობდა ნოე ჟორდანია, კაპიტალიზმის მხრებზე დგას და კარგა ხანს ასე იქნება. ეს სოციალური ფენები არიან ბურჟუაზიის მემკვიდრე და ბოლოს და ბოლოს მუშები და გლეხები გაცილებით მეტ სიმდიდრეს შექმნიან. ასეთი გეზი აქვს აღებული საქართველოს დემოკრატიას და ეს გზა უნდა განამტკიცოსო დამფუძნებელმა კრებამ.

დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის წევრებმა კარგად იცოდნენ, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სარკე, მისი ნორმალური განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი სახელმწიფო ბიუჯეტი იყო. მაგრამ ფაქტია, რომ ახლად აღორძინებული ქართული სახელმწიფო ერთხანს კარგად გათვლილი და დროში განვრცობილი ბიუჯეტის გარეშე ფუნქციონირებდა. დამოუკიდებლობის დაახლოებით ერთი წლის თავზე, ფინანსთა სამინისტრომ შეადგინა სახელმწიფო ბიუჯეტის საკარაუდო მონახაზი, განსაზღვრა შემოსავალ-გასავლის ოდენობა 1919 წლის 1-ლი ივნისიდან 1920 წლის 1-ლ ივნისამდე. შემოსავალში ნავარაუდევი იყო თითქმის 2 მილიარდი მანეთი, გასავალში იმდენივე. ამ თანხის დაახლოებით 25% უნდა გამოყოფოდა სამხედრო სამინისტროს, 15% — ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, 20% გზათა სამინისტროს, 10% შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვ. ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება გაჭიანურდა. ამასობაში კი ინფლაციის გამო, გასავლის მუხლებით გათვალისწინებული თანხა სანახევროდაც კი ვეღარ ფარავდა რეალურ ხარჯებს. დამფუძნებელი კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ეს საკითხი. დასახა ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ვარაუდები და გეგმები ვერ ხორციელდებოდა. საბიუჯეტო შემოსავალი ყოველთვის ნაკლები იყო გასავალზე, სხვა გამოსავალი არ ჩანდა და მთავრობა ხშირად მოითხოვდა დამფუძნებელი კრებისაგან გაბონებული მანეთის არაგარანტირებულ დამატებით ემისიას.

ღონისძიებები ჩატარდა დარღვეული საბანკო-საკრედიტო სისტემის მო-

წესრიგებისათვის. საქართველოში, მართალია, დარჩა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი კერძო და საზოგადოებრივი ტიპის ბანკები, მაგრამ მათი ოპერაციები თითქმის გაიყინა. სახელმწიფო ბანკის განყოფილებები კი რუსეთს გაჰყვა. აქტუალური გახდა ქართული ეროვნული სახელმწიფო ბანკის შექმნის საკითხი. მის ამუშავებაში კომპეტენტურმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა.

სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ საერთოდ, აღიარებულია შერეული, სახელმწიფო-აქციონერული ბანკების უპირატესობა, მაგრამ საქართველოს თავისებური მდგომარეობა სხვა მიმართულებას გვკარნახობს. ჩვენი სახელმწიფო ახლა შენდება. ჩვენ თვალწინ იქმნება პირობები საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისათვის. ადგილობრივი კერძო კაპიტალი ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნილების საკუთარი დაკმაყოფილებას. ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია აქტიურად ჩაერიოს საბანკო-საკრედიტო ურთიერთობებში. ბანკის აქციონერული ფორმა სამომავლო საქმეა. პირველ ეტაპზე წმინდა სახელმწიფო ბანკის შექმნით უნდა დავკმაყოფილდეთო. მოხსენებითი ბარათის ავტორებმა იმავდროულად გააფრთხილეს მთავრობა, თუ ცენტრალურ სახელმწიფო ბანკს ფისკალური მიზნების სამსახურში ჩააყენებთ, საემისიო უფლებას კვლავ სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად გამოიყენებთ, ამით არა მარტო ბანკს გამოუთხრით ძირს, არამედ ხელს შეუშლით ფულის ნორმალურ ბრუნვას, დიდ ზარალს მიაყენებთ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების საქმესო.

წამოყენებულ წინადადებას და სათანადო პროექტს დამფუძნებელ კრებაში დაბრკოლება არ შეხვედრია. 1919 წლის 31 დეკემბერს მიიღეს კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ. იმავე დღეს დამტკიცდა სახელმწიფო ბანკის დებულება, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო ბანკის ძირითად კაპიტალად ბიუჯეტიდან 50 მილიონი მანეთის გამოყოფას. 1920 წლის პირველ კვარტალში საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბანკის ჩამოყალიბების პროცესი დამთავრდა და მან დაიწყო კიდეც საკრედიტო ოპერაციები, მაგრამ ამას უცბად არ მოჰყოლია არსებითი გარდატეხა რესპუბლიკის ეკონომიკურ-ფინანსურ სისტემაში.

1920 წლის 30 აგვისტოს სახელმწიფო ბანკის გამგეობამ ვრცელი მოხსენება წარუდგინა დამფუძნებელ კრებას და მთავრობას ქართული ბონების კურსის განსამტკიცებელ ღონისძიებათა შესახებ და მიიღო კიდეც მათი გატარების სანქცია. სამწუხაროდ, ვერც ბანკირებმა გამოასწორეს საქართველოს ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობა. 1914 წლიდან 1919 წლის სექტემბრამდე პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასები გაიზარდა 7546%-ით, ხელფასები კი მხოლოდ — 2182%-ით. მუშათა კლასისა და

საშუალო ფენების ცხოვრების დონე 3,5 ჯერ დაეცა. 1920 წლის მიწურულამდე ხალხის ეკონომიკური ყოფა კიდევ 2-3-ჯერ გაუარესდა. ეს ის პერიოდია, როცა ერთ-ერთ თათბირზე ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურის მხრივ კატასტროფისაკენ მივდივართ... დღეს კი თითოეული ჩვენთაგანი გრძნობს, თითოეული მწვავედ განიცდის, რომ ჩვენ არა მარტო მივდივართ კატასტროფისაკენ, არამედ უკვე მივედით იქამდე“.

ამ აღიარებას არ მოჰყოლია სოციალ-დემოკრატიული მთავრობის გადადგომა, რადგან ეკონომიკურ კატასტროფას მმართველი პარტია ძირითადად ობიექტური მიზეზებით ხსნიდა და პასუხისმგებლობას თითქმის მთლიანად იხსნიდა. ამან კი მემარჯვენე ოპოზიციის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია წერდა: „მთავრობის თავმჯდომარის მიერ ეკონომიკური კრიზისის აღიარებიდან ვასკვნით, რომ უნდა შეიცვალოს თვით საფუძველი თანამედროვე არანორმალური მდგომარეობისა..., სოციალ-დემოკრატია კი არ თვლის საჭიროდ ძირითად ცვლილებებს. არ სურს დათმოს თავისი ბატონობა. თუ სოციალ-დემოკრატია დღესაც ვერ ამჩნევს თავისი იდეოლოგიის გაკოტრებას უგნურობის გამო... ცხოვრება მაინც თავისას გაიტანს. ძალით ჩათრევას, ნებით ჩაყოლა სჯობდა“.

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ნოე ჟორდანიას მთავრობის გადადგომა მოითხოვა, მაგრამ ამას არ დაეთანხმნენ მემარცხენე ოპოზიციის ლიდერები. ისინი, როგორც ჩანს, ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილდნენ მთავრობის ბოლოდროინდელი ღონისძიებებით. რაც შეეხება დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიას, იგი საქართველოს მმართველ უმრავლესობას, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკასა და პრაქტიკულ საქმიანობას მკვეთრად დადებით შეფასებას აძლევდა.

ბელგიელი სოციალ-დემოკრატი ემილ ვანდერველდე, სტატიაში — „პირველი სოციალისტური მთავრობა“ წერდა: „საოცარი და წარმოუდგენელი რამ მოხდა, საქართველოს დედაქალაქ თბილისში შეიქმნა პირველი სოციალისტური მთავრობა და დაიწყო მშენებლობა ჭეშმარიტი დემოკრატიული წყობილებისა. 1918 წლის აგვარული, სოციალური რევოლუცია, რომელიც ქართველი სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით განხორციელდა, არის არა სოციალისტური, არამედ დემოკრატიული რევოლუცია და იგი სავსებით შეესაბამება ქვეყნის რეალობას. სოციალ-დემოკრატიის სიბრძნე, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მტკიცე საფუძველს ქმნის მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების, მთელი ერის ეკონომიკური წარმატებისათვის“.

ქართველი სოციალ-დემოკრატიის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის შედარებით სრული და მაღალი შეფასება დაგვიტოვა ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერმა რამზეი მაკდონალდმა. მისი აზრით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ის შეძლო, რაც დასავლეთ-ევროპელმა სოციალისტებმა ვერ მოახერხეს. მათ უკონფლიქტოდ გაატარეს აგრარული რეფორმა, სოციალური კანონმდებლობა, შრომა დაუდეს საფუძვლად რესპუბლიკის არსებობას. თავისუფლება მიეცა კერძო ინიციატივას, მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაც კი. ერის ყველა ნაწილის მახასიათებელია უდიდესი პასუხისმგებლობა. შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით. თუ ერების თავისუფლება ცარიელი სიტყვა არაა, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა კაცობრიობას თავისი მაღალი კულტურა და პოლიტიკური სიმწიფე.

ასეთი იყო უცხო თვალით დანახული საქართველოს პირველი რესპუბლიკა, მისი სოციალ-დემოკრატიული მთავრობის სოციალ-პოლიტიკური პორტრეტი. მართალია, ქართველი სოციალ-დემოკრატების ქებაში მათი უცხოელი თანამოაზრეები აჭარბებდნენ, ყველაფერს მათ მიაწერდნენ და ოპოზიციის დამსახურებას ივიწყებდნენ, მაგრამ საქართველოს პირველი რესპუბლიკის, მისი ხელისუფლების დასავლური შეფასება უფრო ახლოსაა რეალობასთან, ვიდრე ადგილობრივი ოპოზიციონერებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ადგილობრივ კრიტიკოსებს და არც დასავლელ მეხოტბეებს თითქმის არ შეუფასებიათ ეპოქის ქართული კულტურა და მეცნიერება. ქართველმა ხალხმა კი ყველაზე მეტი წარმატება ამ სფეროში მოიპოვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის სამწლიანი პერიოდი ეროვნული ენერგიის მოზღვავებით და დიდი კულტურული აღმავლობით ხასიათდება. წარმატებით მიმდინარეობდა იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის უარყოფითი შედეგების ლიკვიდაცია, ეროვნულ ნიადაგზე დადგა სკოლა, სწავლა-განათლების სისტემა. არსებითად შეიცვალა მისი როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მაჩვენებლები. თუ 1916 წელს საქართველოში არსებობდა ყველა ტიპის 864 სკოლა 80 ათასი მოსწავლით, 1920 წლისთვის სკოლების რიცხვი 1924-მდე, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 162 ათასამდე გაიზარდა. ცნობილ მეცნიერთა და პედაგოგთა ხელმძღვანელოებით შემუშავდა ახალი სასწავლო გეგმები. მიმდინარეობდა სახელმძღვანელოების შედგენა ქართულ ენაზე. ახალი კადრების მოსამზადებლად გაიხსნა რამდენიმე სამასწავლებლო სემინარია. დიდი ყურადღება ექცეოდა როგორც ჰუმანიტარული, ისე აგრონომიულ-ტექნიკური განათლების მაღალ დონე-

ზე დაყენებას. სწორედ ამ პერიოდში ასრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება. ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა ძალისხმევით გაიხსნა ქართული ეროვნული უნივერსიტეტი, რომელიც იმთავითვე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების კერად გადაიქცა. საფუძველი ჩაეყარა არა მარტო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შემდგომ განვითარებას, არამედ შეიქმნა მათემატიკოსთა, გეოგრაფთა, გეოლოგთა, ფიზიოლოგთა ძლიერი მეცნიერული სკოლები.

დამოუკიდებლობის წლებში მაღალ დონეზე იდგა მხატვრული ლიტერატურა. 1919 წელს ჩამოყალიბდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი, რომელიც არაერთი ეროვნულ-კულტურული წამოწყების ინიციატორი და მეთაური გახდა. ამ პერიოდში ქართულ პროზასა და პოეზიას ახალი ქმნილებებით ამდიდრებდნენ კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, გრიგოლ რობაქიძე, დუტუ მეგრელი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, სანდრო შანშიაშვილი და სხვ. ახალგაზრდა შემოქმედები.

ქართულ თეატრალურ ხელოვნებას სათავეში ჩაუდგა საზღვარგარეთიდან დაბრუნებული გიორგი ჯაბადარი, რომლის გვერდით შემოიკრიბენ მიხეილ ჭიაურელი, ე. გელოვანი, ც. ამირეჯიბი, ბ. გამრეკელი, კ. სუმბათაშვილი. ქართველმა საზოგადოებამ დიდ კულტურულ მოვლენად აღიქვა კონსერვატორიის გახსნა. მკვიდრ საფუძველზე დადგა უმაღლესი სამუსიკო განათლება. გაცხოველდა დრამატული თეატრის საქმიანობა, დაიბადა ქართული ოპერა. 1919 წელს დაიდგა დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“. მომდევნო წელს თბილისის საზოგადოებამ ნახა და მოისმინა ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, რომელიც საოპერო ხელოვნების დიდი აღმავლობის მაუწყებელ მოვლენად შეფასდა. იმავე წელს დაიდგა თამარ ვახვახიშვილის ბალეტი — „ვაკხის დღესასწაული“. საფუძველი ეყრებოდა ქართულ კინოს. რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ გადაიღო პირველი მხატვრული ფილმი „ქრისტინე“, ოდნავ მოგვიანებით შეიქმნა დოკუმენტური ფილმები — „დამფუძნებელი კრება“, „ევროპის სოციალისტური დელეგაცია საქართველოში“. ამოქმედდა კინოთეატრები — „ამირანი“, „მინიონი“, „აპოლო“, „კოლიზეი“.

აღმავლობა შესამჩნევი გახდა სახვით ხელოვნებაში, მხატვართა ძველ თაობას (გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, ნიკო ფიროსმანი და სხვ.) შეემატნენ ახალი თაობის ოსტატები: დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ალექსანდრე ციმაკურიძე, ქეთევან მაღალაშვილი, ელენე ახვლედიანი. 1919 წლის საერთაშორისო გამოფენაზე საყოველთაო აღიარება მოიპოვა ნიკო ფიროსმანის და ლადო გუდიაშვილის შემოქმედებამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საგარეო ორიენტაციის პრობლემა.
საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის
დე ფაქტო და დე იურე აღიარება.
ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია

1918 წლის მაისში შინაგანმა სიტუაციამ და საერთაშორისო ძალთა განლაგებამ საქართველოს თითქმის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება (ბოლშევიკური ორგანიზაციის გამოკლებით) გერმანულ ორიენტაციაზე დააყენა. იმ მომენტში რუსეთის ბატონობისაგან გათავისუფლებული საქართველო ოსმალეთის მიერ ოკუპაციის საფრთხისგან კაიზერულმა გერმანიამ გადაარჩინა. გერმანიამ იმთავითვე აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. ერთგვარი დახმარებაც გაუწია რესპუბლიკას შინასტაბილიზაციის დამყარებასა და საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ვიდრე მსოფლიო ომი გრძელდებოდა, გერმანიის ინტერესებში შედიოდა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული ეროვნული სახელმწიფოების თანაგრძნობის მოპოვება. ჩვენს ქვეყანაში გერმანიის მთავრობა თავშეკავებულად მოქმედებდა; პატივს სცემდა საქართველოს სუვერენულ უფლებებს. რესპუბლიკის მთავრობას, ოპოზიციურ პარტიებს არ აძლევდა უკმაყოფილების, ანტიგერმანული განწყობილების საფუძველს.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამ, ანტანტის მიერ გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებამ, არსებითად შეცვალა საერთაშორისო სიტუაცია. საქართველოსათვის ამ ფაქტს, ერთი მხრივ, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. დამარცხებული ოსმალეთი ტოვებდა ამიერკავკასიაში ოკუპირებულ ტერიტორიებს და საქართველო იბრუნებდა სუვერენულ უფლებებს სამუსლიმანო საქართველოზე. მეორე მხრივ, მფარველ-მოკავშირის, გერმანიის მარცხი უარყოფითად აისახა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე. როგორც უკვე აღინიშნა, მეზობელმა სახელმწიფოებმა (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და სხვ.) გერმანიის კაპიტულაცია აღიქვეს როგორც საქართველოს მარცხი და სცადეს მის ხარჯზე ხელის მოთბობა, ზოგიერთი ტერიტორიების მითვისება.

ქართველი პოლიტიკოსები ხედავდნენ, რომ მეზობელ სახელმწიფოთა ეს იმედები მთლად უსაფუძვლო არ იყო. ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ანტანტის მესვეურები, გამარჯვებულ სახელმწიფოთა მთავრობები თავიანთ ლოიალობაში, არ დაეშვათ საქართველოს პოზიციების დასუსტება, დაეცვათ თავისი ქვეყნის საზღვრები. საქართველოს ხელისუფლება და ოპოზიციური ძალები იმასაც კარგად ამჩნევდნენ, რომ ომში გამარჯვებულ მოკავშირეებს რუსეთის პოსტიმპერიულ სივრცეში თავიანთ საყრდენ ძა-

ლად მიაჩნდათ დენიკინის რეჟიმი და მოხალისეთა არმია, მისი მეშვეობით ვარაუდობდნენ საბჭოურ-კომუნისტური ხელისუფლების დამხობას. ამ გზით ვეებერთელა რუსეთში თავიანთი გავლენის აღდგენას. ასეთი სიტუაცია ქართველ პოლიტიკოსებს კარნახობდა მეტისმეტად ფრთხილი პოლიტიკა ეწარმოებინათ ორი რუსეთის მიმართ, დაეცვათ ნეიტრალიტეტი, ანტანტის ზეწოლის მიუხედავად არ ჩართულიყვნენ რუსეთის სამოქალაქო ომში დენიკინის მხარეს.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შეტაკება მოუხდათ დენიკინის ჯარის ნაწილებთან. ინგლის-საფრანგეთის ინტერესებში შედიოდა ანტიბოლშევიკურ ძალთა ანტაგონიზმის აღმოფხვრა და საბჭოურ-კომუნისტური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი გაერთიანება. ამიტომ იყო, რომ საქართველო-დენიკინის სამხედრო კონფლიქტში ინგლისი ჩაერია, არბიტრის როლი იკისრა, თუმცა ამაოდ. როგორც უკვე აღინიშნა, კონფლიქტი გაღრმავდა, დიდ ომში გადაზრდის საშიშროება წარმოიშვა.

1919 წლის 1-ლ ივნისს გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა, რომელზეც მთავრობის განცხადებით საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი გამოვიდა. მან დეპუტატებს აუწყა: დენიკინის ლაშქარი საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა. მშვიდობიანი მოლაპარაკება უშედეგოა. როგორც ჩანს, თეთრი რუსეთის მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საერთაშორისო დემოკრატია მხარს დაუჭერს საქართველოს რესპუბლიკას, მაგრამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ჩვენმა მუშათა კლასმა და გლეხობამ უნდა შეასრულოსო.

მთავრობის პოზიციას მხარი დაუჭირეს სოციალისტ-ფედერალისტთა და ესერთა ფრაქციებმა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა სპირიდონ კედიამაც სრული მხარდაჭერა აღუთქვა მთავრობას, მაგრამ დაიწუნა ევგენი გეგეჭკორის ვიწროკლასობრივი განწყობა, საშშობლოს დასაცავად მარტო მუშასა და გლეხს როდი უნდა მოვუწოდოთ, საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში ყველა მოქალაქე უნდა ჩავაყენოთო.

ფრაქციების გამოსვლის შემდეგ გამოქვეყნდა ჩასწორებული განცხადება-მოწოდება: „დამფუძნებელი კრება საქვეყნოდ აცხადებს, რომ ეს თავდასხმა გამოწვეულია ძველი რუსეთის მოტრფიალეთა იმპერიული ზრახვებით, წვრილი ერების დამონებისა და დემოკრატიის დათრგუნვის სურვილით. დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია მთელი ძალ-ღონით დაიცავს საქართველოს რესპუბლიკის

ხელშეუხებლობას. დამფუძნებელი კრება მოუწოდებს მთელ ერს, შემოიკრიბოს მთავრობის გარშემო, ზურგი გაუმაგროს ლაშქარს. დამფუძნებელი კრება იმედს გამოთქვამს, რომ ევროპის სახელმწიფოები ხმას აღიმაღლებენ ჩვენი ერისა და დემოკრატიის დასაცავად".

გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია. დაიწყო ჯარების გადაადგილება ყველა საშიში უბნისაკენ. აფხაზეთის საზღვრის ახლოს, მეხადირთან მომხდარ ბრძოლაში საქართველოს ჯარმა პირველი მნიშვნელოვანი დარტყმა აგემა მტერს. მაგრამ დიდი ომი დენიკინის რეჟიმის წინააღმდეგ საჭირო არ აღმოჩნდა. ინგლისის სამხედრო მისიამ შეძლო მოპირდაპირე მხარეების მოლაპარაკების მაგიდასთან დასმა.

ეს ის დროა, როცა დენიკინის არმიის ძლიერებამ კულმინაციას მიაღწია. წითელ რუსეთთან ბრძოლაში არაერთი გამარჯვებით გაამაყებულ თეთრ გენერლებს თავი მედიდურად ეჭირათ, საქართველოს დამოუკიდებლობას უკვე აღარ აღიარებდნენ. მისი მთავრობისაგან მორჩილებას მოითხოვდნენ, სამაგიეროდ, პოლიტიკურ ავტონომიას ჰპირდებოდნენ. მაგრამ ქართველმა პოლიტიკოსებმა არ გაიზიარეს „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" იმპერიული იდეა, რის გამო საშშვიდობო მოლაპარაკება შეფერხდა. მიუხედავად ამისა, ბოლოს და ბოლოს, ინგლისის სამხედრო მისიის კატეგორიული მოთხოვნით, ხელშეკრულება მაინც გაფორმდა. შეიქმნა დემილიტარიზებული ზონა, მოხერხდა დენიკინისა და საქართველოს ჯარის დაშორიშორება. დიდმა ბრიტანეთმა ერთხელ კიდევ სცადა წითელი რუსეთის საწინააღმდეგო კოალიციაში საქართველოს ჩართვა. მეორე მხრივ, საბჭოთა რუსეთის მთავრობა და ქართველი კომუნისტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოც ჩაეთრიათ.

საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტები, საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები სწორედ აფასებდნენ სიტუაციას. ნაციონალისტების ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე აცხადებს, რომ წითელ და თეთრ რუსეთს საქართველოს მიმართ ერთი მიზანი ამოძრავებს. ორივე მათგანი ცდილობს საკუთარი საყრდენი ძალის შექმნას, ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ მათი აჯანყების პროვოცირებას. მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა ღრმადაა გამჯდარი ხალხის გრძნობა-გონებაში და საქართველოს მტრები, ერთეული რენეგატების გარდა, ვერავის გადაიბირებენო.

საქართველოს ხელისუფლება მიზნად ისახავდა როგორც წითელი, ისე თეთრი რუსეთის ანტიქართული აგენტურის სრულ იზოლაციას. მაგრამ ოპოზიციას მიაჩნდა, რომ მთავრობა ორივე ფრონტზე ერთნაირი თავგა-

მოდებით როდი იბრძოდა. მაგალითად, შალვა მესხიშვილი აცხადებდა: „მე კარგად ვიცი, რომ ბოლშევიკების საწინააღმდეგო ზომები მიღებულია: მაგრამ ვეკითხები შინაგან საქმეთა მინისტრს, კეთდება თუ ბრბა-რამე დენიკინის აგენტთა იზოლაციისათვის? იმ დროს, როცა დენიკინმა ჩვენი საკონსულოები დახურა ოდესასა და კიევში, ყველგან შეავიწროვა ქართველები, დენიკინის პოლიტიკური მისია ხელუხლებელია საქართველოში. ამბობენ რომ ნოე რამიშვილი მკაცრი კაცია, მაგრამ მისი სიმკაცრე სულაც არ იგრძნობა დენიკინელთა მიმართ".

ამ შეკითხვასა და შენიშვნაზე ნოე რამიშვილმა შენიშვნითვე უპასუხა: დენიკინის პოლიტიკური მისია არსებობს და არ შეიძლება მისი დახურვა. ეს მარტო ჩვენს სიმპათია-ანტიპათიაზე როდია დამოკიდებული. ყველაფერზე გულახდილი ლაპარაკი არ შეიძლებაო. და მართლაც, ოპოზიციასაც უნდა სცოდნოდა, რომ დენიკინს ჰქონდა დიდი ბრიტანეთის სრული მხარდაჭერა და საქართველოს მთავრობას არ შეეძლო მისი რეჟიმისადმი უნდობლობა და მტრობა აშკარად გამოემჟღავნებინა.

იმის გამო, რომ წითელი და თეთრი იმპერიალიზმი, ლენინიცა და დენიკინიც სხვადასხვა ფორმით რუსეთის იმპერიის აღდგენისათვის იბრძოდნენ და საფრთხეს უქმნიდნენ მის ნანგრევებზე შექმნილ ეროვნულ სახელმწიფოებს, ბუნებრივია, საქართველოს რესპუბლიკას ორიენტაცია უნდა აეღო დემოკრატიულ და ცივილიზებულ დასავლეთზე, მიეღწია დიდი სახელმწიფოების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის და მისთვის ეთხოვა სამხედრო-პოლიტიკური დახმარება.

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებად ვერსალის საზავო კონფერენციაზე გამოცხადდნენ კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი და ზურაბ ავალიშვილი. 1919 წლის 14 მარტს საქართველოს დელეგაციამ კონფერენციის წამყვან დიდი სახელმწიფოების მეთაურებს წარუდგინა ვრცელი მემორანდუმი, რომელშიც ლაპარაკი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე, რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ 117-წლიან ბრძოლაზე, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საქართველოს რესპუბლიკის პირველი წარმატებების შესახებ. ამ სამართლებრივი დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს საზღვრებში უნდა შესულიყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალის ოლქები, ყარსის ოლქისა და ტრაპიზონის ვილაიეთის ნაწილი.

საქართველოს დიპლომატიური მისია მემორანდუმში იმასაც წერდა, რომ დიდი სახელმწიფოების მიერ საქართველოს იურიდიული ცნობა, მისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტიები საბოლოოდ განამტკიცებდა ადამიანის თავისუფლებისა და სამართლიანობის ამ ახალ კერას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომუნისტური რუსეთის საოკუპაციო დესანტის
ცხენოსანი არმიის სარდალი დიმიტრი ჟლობა

კოჯორთან დაღუპული ქართველი პატრიოტები

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სერგო ორჯონიკიძის დეპეშა ლენინს და სტალინს

რუსეთის XI არმია თბილისში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. მიქოიანი, ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე



ფილიპე მახარაძე

მიხა ცხაკაია

მამია ორახელაშვილი

სერგო ქავთარაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ათეისტების მიერ იავარქმნილი ბოდბის მონასტერი

ბოდბის დედათა
მონასტრის
იღუმენია ნინო
(ელენე ვაჩნაძე)

კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია)

ანტისაბჭოთა მოძრაობის ხელმძღვანელები და ლიდერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

კოხტა აფხაზი

გენერალი
ვარდენ წულუკიძე

ქ. ჩოლოყაშვილი და მისი შეფიცულები

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზემო აჭალის ჰიდროელექტროსადგური



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. გამსახურდია, ვ. კოტეტიშვილი, პ. ინგოროყვა, ალ. აბაშელი

სანდრო ახმეტელი და კოტე მარჯანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო მუსხელიშვილი

ანდრია რაზმაძე

არნოლდ ჩიქობავა

კორნელი კეკელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონი

მ. გორკი და ქართველი მწერლები. XX საუკუნის 30-იანი წლები

ექვთიმე თაყაიშვილი



დიმიტრი გულუა

ეგენი ხარაძე

ნატო ვაჩნაძე

მიხეილ ჭიაურელი

ვერიკო ანჯაფარიძე

აკაკი ხორავა

ელენე ახვლედიანი

სესილია თაყაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი



„მუშათა სასახლეები“ საქართველოს კურორტებზე

ლავრენტი ბერია

ЦК ВКП(б) - товарищу СТАЛИНУ.

За последний год органами НКВД Грузии арестовано свыше 12.000 чел.

До настоящего времени из числа арестованных осуждено:

Тройкой	-	5.236 чел.
Военной Коллегией Верхсуда СССР	-	910 "
Особым Совещанием при НКВД СССР	-	591 "
Спец.Коллегией Верхсуда ГрузССР	-	468 "
Военными Трибуналами	-	99 "
Народными Судами	-	70 "

а всего, из общего числа арестованных осуждено 7.374 чел

В итоге в тюрьмах НКВД ГрузССР в данное время содержатся свыше 5 тысяч подследственных, из числа которых в Тбилиси содержится более 2 тысяч заключенных.

Создается ряд ненормальностей в условиях содержания заключенных, а именно:

1. Загруженность камер, способствующая нарушению правил изоляции проходящих по одним и тем же делам арестованных;

2. Невозможность надлежащего контроля за поведением заключенных, что способствует разного рода провокационным тенденциям с их стороны (зафиксированы попытки сговориться об отказе от ранее данных правдивых показаний о к-р. деятельности; установлен ряд фактов, когда отсут-

ლ. ბერიას საიდუმლო წერილი ი. სტალინისადმი 1937 წლის რეპრესიების სტატისტიკით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„დედა-სამშობლო გვიხმობს!“
— ი. თოიძის ცნობილი პლაკატი

„დიდი სამეული“ — ჩერჩილი, რუზველტი და სტალინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარშალი
არჩილ გელოვანი

გენერალ-პოლკოვნიკი
კონსტანტინე ლესელიძე

გენერალ-პოლკოვნიკი
პორფილე ჩანჩიბაძე

გენერალ-ლეიტენანტი
ვლადიმერ ჯანჯღავა

გენერალ-ლეიტენანტი
ვლადიმერ ნანეიშვილი

გენერალ-ლეიტენანტი
ერმალო კობერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის გმირი
ჭიჭიკო ბენდელიანი

საბჭოთა კავშირის გმირი
შოთა გამცემლიძე

საბჭოთა კავშირის გმირი
მელიტონ ქანთარია

ტანკების აწყობა კიროვის სახელობის
ჩარხმშენებელი ქარხნის საამქროში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლონეთში გმირულად დაღუპული
წმ. მამა გრიგოლ ფერაძე

იტალიის
ეროვნული გმირი
ფორე მოსულიშვილი

სახალხო ზეიმი თბილისის ვაგზალზე

რომ საქართველოს რესპუბლიკა კარგად ორგანიზებული წევრი გახდებოდა იმ მოწესრიგებული საერთაშორისო სისტემისა, რომელსაც ამკვიდრებ-დნენ დასავლეთის სახელმწიფოები ატლანტის ოკეანიდან კავკასიონამდე.

ქართველ დიპლომატთა საქმიანობა კარგა ხანს უშედეგოდ მიმდინარეობდა. ყოფილი ანტანტის წევრები, გამარჯვებულ მოკავშირეთა მთავრობები თავს იკავებდნენ საქართველოს დე იურე ცნობისაგან. ამის მიზეზი არც ისე ძნელი გამოსაცნობია. ინგლის-საფრანგეთის და შეერთებული შტატების ძირითადი მიზანი 1919 წელს რუსეთის საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის დამხობა და ამ ქვეყანაში კაპიტალისტური წყობილების აღდგენა იყო, რაშიც ძირითად იმედს კოლჩაკისა და დენიკინის თეთრ არმიაზე ამყარებდნენ. ეს გენერლები კი „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" რეანიმაციისათვის იბრძოდნენ. ისინი არ ცნობდნენ რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. სწორედ ამის გამო გამარჯვებული დასავლეთელი მოკავშირეები თავს იკავებდნენ ამ ეროვნულ სახელმწიფოთა აღიარებისაგან, მათი საკითხის განხილვას „საერთო-რუსული პრობლემის" გადაწყვეტას უკავშირებდნენ.

საერთო-რუსული პრობლემა ასაზრდოებდა ინგლისის პოლიტიკას მისი ჯარის მიერ ოკუპირებულ ბათუმის ოლქშიც. ამ ტერიტორიის საქართველოს საზღვრებში დაბრუნების საკითხი კარგა ხანს აღელვებდა საქართველოს მთავრობასა და ოპოზიციურ პარტიებს. დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის წარმომადგენელმა სიმონ მდივანმა გულისწყრომით აღნიშნა, რომ ბათუმის ოლქში ოსმალეთის საოკუპაციო ჯარის ფაქტობრივი მემკვიდრე გახდა ინგლისის სამხედრო მისია, რომელიც თანამემკვიდრეობას მოხალისეთა არმიას (დენიკინს) აძლევდა. მაგრამ თუ მემკვიდრეობაზე ვიმსჯელებთ, უნდა ითქვას, რომ ეს ტერიტორიები მემკვიდრეობით ეკუთვნის და მისი კანონიერი მფლობელია ქართველი ხალხი და სხვა არავინ. ჩვენი მოვალეობაა აღვადგინოთ საქართველოს ისტორიული საზღვრები, ბათუმის ოლქი საქართველოს უნდა შემოუერთოთ. „მთავრობა, რომელიც სათანადო ზომებს არ მიიღებს ამ საკითხის გადასაჭრელად, ადგილზე ვერ დარჩება. დამფუძნებელი კრება, რომელიც დაკარგავს ბათუმს, ვერ ჩაითვლება საქართველოს დამფუძნებელ კრებად".

1920 წლის თებერვალში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომლის დღის წესრიგში იდგა ოსმალეთისა და ამიერკავკასიის ტერიტორიული გამიჯვნის საკითხიც. ამ ფორუმზე ბათუმის მომავალი სომხეთისათვის ზღვაზე გასასვლელის მიცემის საკითხს დაუკავშირეს. მალე ამის შემდეგ ქალაქი ბათუმი გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ (საერთაშორისო ნავსად-

გურად), რასაც საქართველოს მთავრობამ საპროტესტო ნოტით უპასუხა. დამფუძნებელმა კრებამ კი მიიღო დადგენილება ბათუმის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების შესახებ. 1920 წლის მარტიზ დამდეგს საქართველოს ჯარი ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე შევიდა. ამას ინგლისის სამხედრო მისიის მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა სცადა დაერწმუნებინა ინგლისელი სამხედროები, რომ საქართველოს ხელისუფლების პოზიცია სამართლიანი იყო. ოდნავ მოგვიანებით კი ქართველი გენერლები — ოდიშელიძე და ერისთავი არწმუნებდნენ ინგლისის ჯარის სარდლობას ბოლშევიკური საფრთხისაგან ბათუმის ერთობლივად დაცვის საჭიროებაში.

ეს ბოლო არგუმენტი ინგლისის სამხედრო მისიამ ანგარიშგასაწევად მიიჩნია. დიდი ბრიტანეთის მთავრობა, მას შემდეგ, რაც წითელმა ჯარმა საბოლოოდ დაამარცხა დენიკინის თეთრი არმია და ამიერკავკასიას მოადგა, უფრო დამთმობი გახდა საქართველოს ხელისუფლების მიმართ, შეურიგდა ქართული ჯარის ბათუმის ოლქში ყოფნას. მალე კი დასავლეთ ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკები დე ფაქტოდ აღიარეს; 1920 წლის 12 იანვარი საქართველოს ხელისუფლებამ და ხალხმა აღიქვა როგორც დიდი დიპლომატიურ-პოლიტიკური წარმატება.

საქართველოს რესპუბლიკის დე ფაქტო ცნობის შემდეგ გაადვილდა და თითქოს უფრო შედეგიანიც გახდა მისი ურთიერთობა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მეთაური კარლო ჩხეიძე, ამგვარად შეცვლილ სიტუაციაში, სამოკავშირეო საბჭოს თავმჯდომარეს უგზავნის ასეთ წინადადება-თხოვნას: 1) ბათუმის ოლქი, რომლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მუსლიმანი ქართველები შეადგენენ, მთლიანად საქართველოს შემადგენლობაში უნდა დარჩეს; 2) თუ საჭიროდ იქნება ცნობილი სომხეთისათვის შავ ზღვაზე გასასვლელი ზოლის მიცემა, ისეთი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს, რომელიც არ დაარღვევს ამ ტერიტორიის მიმართ საქართველოს სუვერენულ უფლებას; 3) საქართველოს რესპუბლიკა მოითხოვს აგრეთვე, მას გადაეცეს ყარსის ოლქის ორი ოკრუგი — ოლთისისა და არტაანის; 4) თუ მოკავშირეები საჭიროდ მიიჩნევენ ბათუმის მიდამოებში სამხედრო ბაზის შექმნას, ამაზე უნდა გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულება.

ინგლის-საფრანგეთის მთავრობებმა, არა მარტო ყურადღებით შეისწავლეს ეს მიმართვა, არამედ დღის წესრიგში დააყენეს საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის (რომელთაც რეალურად დაემუქრა საბჭოურ-კომუნისტური აგრესია) სამხედრო დახმარების გაწევის საკითხი. აზერბაიჯა-

ნის გასაბჭოების (1920 წლის აპრილი) შემდეგ დასავლეთის დახმარება კიდევ უფრო აუცილებელი გახდა საქართველოსათვის. 1920 წლის 3 მაისს კარლო ჩხეიძემ პარიზის კონფერენციის სხდომაზე განაცხადა: საქართველოს სამი მხრიდან ემუქრება საფრთხე; ჩრდილოეთიდან, სადაც საბჭოთა რუსეთის ჯარმა უკვე დაიკავა სოჭი, აღმოსავლეთიდან ჩვენს წინააღმდეგ დაიძრა მეთერთმეტე წითელი არმია და აზერბაიჯანის ლაშქარი. სამხრეთ-დასავლეთიდან კი შემოსევას აპირებენ თურქეთის ჯარები.

საქართველოს მთავრობა მარტო დასავლეთ ევროპაზე არ ამყარებდა იმედს, საკუთარი რესურსების მობილიზებასაც შეუდგა. თავდაცვისათვის შეეშზადა. ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების სხდომაზე უკვე 1920 წლის აპრილის მიწურულს განაცხადა: „მოქალაქენო! საბჭოთა რუსეთის მოსაზღვრეობა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის თანდათან მუქარად ხდება. ვაპირებდით სამხედრო დახმარება გაგვეწია აზერბაიჯანისათვის, მაგრამ ჩვენი მეზობელი ქვეყნის მოსახლეობამ ორიენტაცია აიღო საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის შექმნილ ალიანსზე, წინააღმდეგობა არ გაუწია საბჭოურ აგრესიას. კომუნისტურ-ფაშურმა ორიენტაციამ აზერბაიჯანი ჩამოგვაშორა, მარტო დავრჩით დიდი საშიშროების წინაშე, მაგრამ მარტოობა ყოველთვის როდი ნიშნავს უძლურებას. „ქართველი ხალხი არ გადაუხვევს თავისუფლებისა და დემოკრატიის გზას. არ დაუშვებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური ტირანიის გაბატონებას. ოპტიმიზმს ისიც გვმატებს, რომ ჩვენთან არის ევროპა. მთავრობა მზადაა ბრძოლისათვის „ჩვენთან არის ჯარი, გვარდია, მთელი დემოკრატია“.

საქართველოს ოპოზიციური პარტიები ამჯერად მთავრობას ამოუდგნენ მხარში. დამფუძნებელმა კრებამ გამოაქვეყნა მოწოდება, იმედი გამოთქვა, რომ მთელი საქართველოს ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მიმართულებისა, ქართველი ერი, მისი ჯარი და გვარდია გმირული ბრძოლით დაიცავდნენ საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

არასასურველი მოვლენებიც სწრაფად გაფართოვდა; მოსკოვის კარნახით აზერბაიჯანის მარიონეტულმა საბჭოურ-კომუნისტურმა მთავრობამ ომი გამოუცხადა საქართველოს. ბრძოლა გაჩაღდა. აზერბაიჯანს ამოფარებულ საბჭოთა რუსეთს მიზნად ჰქონდა დასახული თბილისის აღება, საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება, მაგრამ საერთაშორისო ვითარებამ და საქართველოს შეიარაღებული ძალების დიდმა წინააღმდეგობამ დროებით ჩაშალა კრემლის გეგმა. წითელმა არმიამ პოლონეთის ფრონტზეც დიდი მარცხი იწვნია. ლენინმა სარისკოდ მიიჩნია დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტზე ერთდროული ბრძოლა. საქართველოსთან დაწყებუ-

ლი ომი შეაჩერა. რუსი კომუნისტების ლიდერი დადებითად გამოეხმაურა საქართველოს მთავრობის ადრინდელ წინადადებას და დაიწყო მასთან საზავო, სამშვიდობო მოლაპარაკება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1920 წლის 7 მაისს საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გრიგოლ ურატაძემ და საბჭოთა რუსეთის რწმუნებულმა ლევ კარახანმა, ორი მთავრობის სახელით გააფორმეს საზავო-სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის ძირითადი მუხლები ასეთი იყო: 1) საბჭოთა რუსეთი, მის მიერ აღიარებული ერების თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე, უსიტყვოდ და უპირობოდ ცნობს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, ნებაყოფლობით ამბობს უარს ქართველი ხალხის მიმართ რუსეთის მიერ ადრე მოპოვებული სუვერენულ უფლებებზე; 2) საბჭოთა რუსეთი უარს ამბობს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაზე; 3) კავკასიონის უღელტეხილები 1922 წლის იანვრამდე ცხადდება ნეიტრალურ ტერიტორიად, მათ არ დაიკავებს არც ერთი მხარის ჯარი; 4) რუსეთი საქართველოს უდავო ტერიტორიად ცნობს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებს; 5) საქართველო ვალდებულებას კისრულობს, არ დაუშვას თავის ტერიტორიებიდან რუსეთის საწინააღმდეგო საომარი მოქმედება, განაიარაღოს რუსეთის სახელით მოქმედი ჯარის ნაწილები (დენიკინელები — ა. ბ.), საბჭოთა რუსეთს გადასცეს ამ ნაწილების პირადი შემადგენლობა და შეიარაღება. მიიღოს ზომები, რათა საქართველოს ტერიტორიიდან გაიყვანონ ჯარის ყველა შენაერთები, რომლებიც არ შედიან საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში (იგულისხმება ინგლისის ჯარის შენაერთები); 6) რუსეთი ვალდებულებას კისრულობს არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე ჯგუფები და ორგანიზაციები, რომელნიც პრეტენზიას აცხადებენ იყვნენ საქართველოს მთავრობა და იბრძვიან საქართველოში უკვე არსებული მთავრობის დამხობისათვის... 10) საქართველოს მთავრობა ვალდებულია პატიმრობიდან გაათავისუფლოს საბჭოთა რუსეთის და კომპარტიის სასარგებლო საქმიანობისათვის დასჯილი პირები; საიდუმლო დამატებაში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს მთავრობა აღიარებდა მის ტერიტორიაზე შექმნილი კომუნისტური ორგანიზაციის თავისუფალი (ლეგალური) არსებობის უფლებას.

ამ ხელშეკრულებაში გამოიკვეთა მხარეების პოზიცია, მათი მიზანდასახულობა. საქართველოს ხელისუფლება, მართალია, არ იყო დარწმუნებული, რომ საბჭოურ-კომუნისტური რუსეთი დაიცავდა ხელშეკრულების ყველა მუხლს, მაგრამ შექმნილ კონკრეტულ სიტუაციაში არ შეეძლო უარი ეთქვა აგრესიულად განწყობილ მეზობელთან თუნდაც დროებით და-

ზაუებაზე, მით უმეტეს, რომ ყოფილი მეტროპოლია ცნობდა ყოფილი კოლონიის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, რაც თავისთავად დიდად ამაღლებდა საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო პრესტიჟს.

ქართველმა კომუნისტებმა პოზიცია უცბად შეცვალეს: თუ ერთი თვის წინ უარს ამბობდნენ საქართველოს „მენშევიკურ მთავრობასთან" დაზავებაზე, თვე-ნახევრის შემდეგ, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ბოლშევიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამარჯვებად გამოაცხადეს. წერდნენ, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველო გამოჰგლიჯა ანტანტის იმპერიალისტურ ბრჭყალებს, საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა პირი იბრუნეს რუსეთისაკენ. სოციალისტ-ფედერალისტური „სახალხო საქმის" რედაქცია ბოლშევიკურ ვერსიას კატეგორიულად უარყოფდა, მკითხველს აუწყებდა, რომ საქართველო არავის ბრჭყალებში არ ყოფილა, იგი ყველა დამპყრობელს და მოძალადეს ებრძოდაო. „კომუნისტებს ერთი რამ ავიწყდებათ. ალბათ განზრახ. საქართველო რუსეთს გამოეთიშა როგორც მონა ბატონს, როგორც ჩაგრული მჩაგვრელს და საქართველოს ღირსება ის არის, რომ დღეს შეხვდა მას როგორც თანასწორი თანასწორს... ცხადზე უცხადესია, თუ რაოდენ უსაფუძვლოა კომუნისტების ქადილი გამარჯვებაზე. არა, ეს აშკარა მათი დამარცხებაა. დამარცხდა მათი ცენტრალიზმი, ტაქტიკა წვრილი ერების მიმართ. კომუნისტები მარცხს ვერ დამალავენ, იძულებული გახდებიან აღიარონ — „შენ გაიმარჯვე, გალილეველო" და გალილეველი კი საქართველოა".

ცოტა მოგვიანებით, ოპოზიციურმა პარტიებმა უფრო დეტალურად შეისწავლეს 7 მაისის ხელშეკრულების ტექსტი და ზოგი მუხლი სახიფათოდ მიიჩნიეს. ისინი უფრო ფრთხილად აკვირდებოდნენ მოვლენათა მიმდინარეობას და იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ „სამშვიდობო" ხელშეკრულება არ იძლეოდა უშიშროების გარანტიას. გრიგოლ ვეშაპელმა ისიც კი თქვა, რომ ბოლშევიკებისათვის ხელშეკრულებები ფარატინა ქაღალდებია, როცა საჭიროდ ჩათვლიან დახევენო. მმართველმა პარტიამ აღიარა, რომ საფრთხე მოხსნილი არ იყო, მაგრამ 7 მაისის ხელშეკრულების დიდ მნიშვნელობას იმაში ხედავდა, რომ იგი ხელს გაუხსნიდა დასავლეთის დიდ სახელმწიფოებს დე იურე ეცნოთ საქართველოს რესპუბლიკა და დახმარება გაეწიათ მისთვის.

მაგრამ დასავლეთიდან რეალური დახმარება არ ჩანდა. აღმოსავლელი აგრესორები კი თანდათან აფართოებდნენ მოქმედების სარბიელს. ქართველი საზოგადოება მღელვარებით ადევნებდა თვალს კომუნისტური რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის დაახლოება-შეკავშირების ტენდენციას.

გაზეთი „საქართველო“ მკითხველს აუწყებდა, რომ აღმოსავლეთის ხალხთა გათავისუფლების ლოზუნგით აღჭურვილი რუსი კომუნისტები და თურქი შოვინისტები, სინამდვილეში თავიანთი იმპერიების აღდგენისა და ხალხთა დამონებისათვის იბრძვიანო. „რუსეთის ბოლშევიკებსა და ოსმალეთის ქემალისტებს მოსვენებას არ აძლევს საქართველოსა და სომხეთის არსებობა წინა აზიის ბჭესთან... საერთო საფრთხე უკარნახებს საქართველოსა და სომხეთს სახელმწიფოებრივი ენერგიის უკიდურესი დაძაბვით შეინარჩუნონ ბრძოლით მოპოვებული ეროვნული თავისუფლება“.

1920 წლის ოქტომბერში ქემალისტურმა თურქეთმა ომი დაიწყო სომხეთთან. ნოემბრის დამდეგს მისმა ჯარმა აიღო ყარსი. ქემალ ფაშა აშკარად აცხადებდა პრეტენზიას სამუსლიმანო საქართველოს მიმართაც. მისი აგენტები ცდილობდნენ მაჰმადიანი ქართველების გადაბირებას. გაავრცელეს პროკლამაცია: მუსლიმანებო, ქრისტიანმა ქართველებმა მოგატყუეს, ავტონომია დღემდე არ მიგიღიათო. საქართველოს ორიენტაციის ქართველები წინ აღუდგნენ სეპარატისტთა დემაგოგიას; ჩაატარეს მეჯლისის სხდომა, რომლის მიერ მიღებულ და გავრცელებულ მოწოდებაში ნათქვამი იყო: მამულიშვილნო! თქვენ მიერ არჩეული და თქვენი უზენაესი სურვილების გამომხატველი მეჯლისი ღვთისა და ქვეყნის წინაშე ფიცით ამოწმებს, რომ ოსმალეთის აგენტები გატყუებენ. საქართველოს მთავრობა თავის სიტყვის გატეხას არ აპირებს. სამუსლიმანო საქართველო ავტონომიას აუცილებლად მიიღებს.

რუსეთ-თურქეთის ალიანსის მიერ შექმნილ რთულ სიტუაციაში, როცა საქართველოს ბედი თუ უბედობა უნდა გადაწყვეტილიყო, აუცილებლობად იქცა ერთპარტიული მთავრობის გადადგომა და შექმნა კოალიციური მთავრობისა, რომელიც თავის გარშემო დარაზმავდა მთელ ერს, ყველა პოლიტიკურ პარტიას და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მაგრამ სამწუხაროდ, მმართველი პარტია ამ შეგნებამდე ვერ ამაღლდა.

რუსეთ-პოლონეთის ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთის დიდ სახელმწიფოებს პესიმიზმი დაეუფლა. მათ ხელი აიღეს საბჭოურ-კომუნისტური რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაზე. გადაწყვიტეს თავიანთი დივიზიების გაყვანა რუსეთის გავლენის აღმოსავლური სფეროებიდან. დაიწყო ინგლისის საჯარისო ერთეულების ევაკუაცია საქართველოდანაც. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ბათუმის ოლქი ოფიციალურად გადასცა საქართველოს მთავრობას. ამ ტერიტორიაზე საქართველოს სუვერენული უფლებების აღდგენას ქართველი ხალხი სიხარულით შეხვდა. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს — ინგლისის ჯარის ბათუმის ოლქიდან გაყვანა იმის მაუწყებელიც იყო, რომ მან უარი თქვა ამ რეგიონში კომუნისტურ

რუსეთთან დაპირისპირებაზე, საქართველოს რესპუბლიკისათვის სამხედრო-პოლიტიკური დახმარების გაწევაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მთავრობამ დიდ ბრიტანეთს სთხოვა ბათუმის ოლქი-დაეტოვებინა თავის ჯარის მცირე ნაწილი მაინც, მზადყოფნა გამოთქვა გაეფორმებინა მასთან ხელშეკრულება სამხედრო ბაზის გამოყოფის შესახებ. მაგრამ ინგლისმა და მისმა მოკავშირეებმა ეს წინადადება უარყვეს. საქართველოს თითქმის მთლიანად მოუხსნეს რუსეთიდან მომდინარე აგრესიისაგან გადარჩენის გარანტია. დასავლეთის დიდი სახელმწიფოების ნება-განწყობილება, არსებითად არც მას შემდეგ შეცვლილა, რაც მოკავშირეებმა დე იურე ცნეს საქართველოს რესპუბლიკა (1921 წლის იანვარი). დამოუკიდებელი, დასავლეთ ევროპისაგან იურიდიულად აღიარებული, მაგრამ ფაქტობრივად განმარტოებული საქართველო საბჭოურ-კომუნისტური რუსეთის აგრესიის მსხვერპლი ხდებოდა.

7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბოლშევიკური ორგანიზაციები საქართველოში ჩამოყალიბდნენ კომპარტიის ფორმით, რომელიც, ფაქტობრივად საბჭოთა რუსეთის აგენტურად, მეხუთე კოლონად გადაიქცა. ქართველმა კომუნისტებმა დაიწყეს საქართველოს მთავრობის დამხობის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შეუნიღბავი პროპაგანდა, რაც საქართველოს დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციის აღშფოთებას იწვევდა. ეროვნულ-დემოკრატებს არც მენშევიკები ეხატებოდათ გულზე, მაგრამ ბოლშევიზმი ნამდვილ ბოროტებად მიაჩნდათ, რუსეთიდან მხოლოდ უბედერებას მოელოდნენ. თუმცა დასავლეთის დემოკრატიულ ძალთა მხრიდან დახმარების იმედი მთლიანად არ დაუკარგავთ, მაგრამ ორიენტაცია ძირითადად შინაგან ძალთა მობილიზაციაზე ჰქონდათ აღებული. გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია სიამოვნებით აუწყებდა მკითხველს, რომ შეიარაღებულ ძალთა კონცენტრაცია ყველაზე საშიშ უბნებზე შეუფერხებელი და სრულიაო. „ათიათასობით გამოვიდა ქართველობა და სუსხიან ზამთარში მაღალ ქედებზედ რაზმებად გაიშალა. დღეს ქართველი სხვა კაცია, იგი პატრიოტია. ამ პატრიოტიზმმა გადაარჩინა საქართველო ამ სამი წლის განმავლობაში მრავალ განსაცდელს... თუ კარგად მოვუართ ამ გაღვივებულ პატრიოტიზმს, საქართველო დღესაც გამარჯვებული გამოვა“.

მკაცრი გამოცდის დრო ახლოვდებოდა. რუსეთის კომპარტიის ფილიალის კავკასიის ბიუროს ლიდერები აცხადებდნენ, რომ სომხეთის გასაბჭოების შემდეგ მხოლოდ საქართველო ქმნიდა დისონანსს სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კავბიურო სულაც არ უწევდა ანგარიშს საქართველოს მშრომელი მოსახლეობის ანტიკომუნისტურ განწყობილებას და უკვე 1920 წლის მიწურულს მოითხოვდა საბჭოთა რუსეთისაგან საქარ-

თველოს ოკუპაციას, მის ძალდატანებით გასაბჭოებას. მაგრამ საბჭოურ-კომუნისტური რუსეთის ლიდერი ერთხანს თავს იკავებდა საქართველოს ოკუპაციისაგან, რადგან ფიქრობდა, რომ ამას შინ და გარეთაც ძოვეებდა მცირე ერების ანტიკომუნისტური განწყობის კიდევ უფრო გაღვივება. ლენინს საჭიროდ მიაჩნდა საქართველოში ანტიმენშევიკური აჯანყების ორგანიზება. ამის შემდეგ უნდა შეესრულებინა წითელ არმიას ქართველი ხალხის „სოციალური გათავისუფლების" მისია.

1921 წლის დამდეგს საქართველოს მოსახლეობა სრულიადაც არ აპირებდა საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებას. მუშები თავიდანვე პრივილეგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, გლეხობის უკმაყოფილება კი თითქმის მთლიანად მოხსნა აგრარულმა რეფორმამ. რევოლუციამ და მსხვილი მამულების კონფისკაციამ თავადაზნაურობის საგრძნობ ნაწილს, მართალია, ზარალი მიაყენა, მაგრამ პატრიოტთა ეს დასი არასდროს გამოსულა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და არასდროს უფიქრია საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის მხარეს გადასვლა. არც სოციალისტური მიმართულების პარტიებს მოსვლიათ აზრად სამშობლოს ღალატი და ექსტრემისტი ბოლშევიკების პლატფორმაზე დადგომა. ყოველივე ამის გამო ქართველმა კომუნისტებმა ვერ შეძლეს საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყების პროვოცირება.

საქართველოს მთავრობისა და არსებული საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგ გამოვიდა მხოლოდ ლორეს რაიონის სომეხი მოსახლეობის მცირე ნაწილი. 1921 წლის 11-12 თებერვალს „აჯანყდა" ორასიოდე კაცი. მალე ამ ორ ასეულს შეუერთდა სომხეთში მდგარი წითელი არმიის ათასეულები. საწყის ეტაპზე ეს კონფლიქტი შეფასდა, როგორც სომხეთ-საქართველოს ომი. როცა ანტიქართულ საომარ ოპერაციებში ჩაებნენ აზერბაიჯანიდან დაძრული მეთერთმეტე წითელი არმიის ჯარისკაცები, ქართული პრესა ალაპარაკდა აზერბაიჯან-საქართველოს ომის შესახებ. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გაიგო საქართველოს მოსახლეობამ და თითქმის მთელმა მსოფლიომ, რომ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოუცხადებელ ომს აწარმოებდა საბჭოურ-კომუნისტური რუსეთი, რომლის ჯარებმა საქართველოს სოჭიდან, მამისონისა და დარიალის უღელტეხილებიდანაც შემოუტიეს.

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ. 1921 წლის 16 თებერვალს შულავერში შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი ფილიპე მახარაძის, მამია ორახელაშვილის, ალექსი (საშა) გეგეჭკორის და სხვათა შემადგენლობით, რომელმაც ლენინს გაუგზავნა თხოვნა ქართველი ხალხისათვის სამხედრო-პოლიტიკური დახმარების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესახებ. მოსკოვმაც არ დააყოვნა და საყოველთაოდ გაახმიანა, რომ საქართველოში კომუნისტური ამბოხებაა, შულავერში რევოლუციური მთავრობა ჩამოყალიბდაო. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე ოდნავ მოგვიანებით ამხელდა ამ უნიჭო სცენარს და საზოგადოებას აუწყებდა, რომ ე. წ. „შულავერის მთავრობის" წევრებს სოფელი შულავერი არც კი უნახავთ. შინაანტისახელმწიფოებრივი ამბოხი მითია. საქართველოში შემოჭრილი, „რუსული არმიის წინააღმდეგ მიჯრით იდგა და იბრძოდა კედელი ქართველი ხალხისა და ამ კედლის უკან არავის უნახავს არამცთუ ამბოხება, არამედ სამოქალაქო ბზარიც კი".

საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, გენერალმა ი. ოდიშელიძემ ცალკეული ნაწილების მეთაურებად დანიშნა გენერლები მაზნიაშვილი, წერეთელი, ახმეტელი, გედევანიშვილი. ისინი მეტ-ნაკლები წარმატებით იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. მეთერთმეტე წითელმა არმიამ შეძლო სადახლოს რაიონის დაკავება, წითელ ხიდსაც დაეუფლა. ფრონტის მარცხენა ფრთაზე მტერმა შედარებით ადვილად გაარღვია ქართველთა თავდაცვის ხაზი, დაიკავა მთელი კახეთი და თბილისს მიუახლოვდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. რამაც ხელისუფლება და ხალხი ფრიად შეაშფოთა.

14 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თანამდებობიდან გადააყენა გენერალი ოდიშელიძე და ქართული ჯარის მთავარსარდლად დანიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე. მან თითქმის მთელი ყურადღება დედაქალაქის დაცვაზე გადაიტანა. როცა მე-11 წითელი არმია თბილისს მოუახლოვდა, ფრონტის მარჯვენა ფრთას კოჯრის მიდამოებში გენერალი ანდრონიკაშვილი იცავდა, მის განკარგულებაში იყო რეგულარული არმიის 4 პოლკი, გვარდიის 4 ათასეული და იუნკერთა სკოლის რაზმი. ცენტრალურ უბანზე განლაგებულ ჯარს მეთაურობდა გენერალი მაზნიაშვილი, რომელსაც სოღანლუღის და მის მიმდებარე პოზიციების დასაცავად გამოუყვეს 3 პოლკი, სასაზღვრო ათასეული, მეტყვიამფრქვევეთა ასეული და ორი საარტილერიო დივიზიონი. მარჯვენა ფრთაზე იდგა გენერალი ჯიჯიხია ქვეითი ჯარის სამი ათასეულითა და ცხენოსანთა ესკადრონით. ივანე ჯავახიშვილი იდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ, სადაც ფრიალებდა ეროვნული დროშა და ხვდებოდა ომში მოხალისედ მიმავალ ახალგაზრდებს. იგი ამბობდა — მე, როგორც უნივერსიტეტის ლექტორი, უნდა მოვუწოდებდე ახალგაზრდებს დაბრუნდნენ აუდიტორიაში, მაგრამ რაკი საშობლო გაჭირვებაშია, მე ვლოცავ მათ წასვლას საშობლოს დასაცავად.

თბილისის დამცველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს გაცილებით

მრავალრიცხოვან საბჭოთა რუსეთის ჯარს. 18-22 თებერვალს გამართულ ოპერაციებში მაზნიაშვილმა შეძლო მოწინააღმდეგის დიდად დასუსტება და უკუგდება. გენერალი ანდრონიკაშვილიც მარჯვედ მანევრირებდა. გმირულად იბრძოდნენ იუნკრები, გვარდიელები, ჯარისკაცები, რომლებიც ზოგჯერ ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ. გენერალმა ჯიჯიხიამ დაკისრებული ამოცანა ვერ შეასრულა, საშუალება მისცა რუსთა ჯარს ავჭალა-მცხეთის მიმართულებით გაჭრილიყო და თბილისის დამცველი ქართული ჯარისათვის ზურგიდან შეექმნა საფრთხე.

საერთოდ, ერთკვირიან საბრძოლო ოპერაციებში უპირატესობა საქართველოს შეიარაღებულ ძალთა მხარეს იყო. მათ გაანადგურეს და დაატყვევეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ათასი ჯარისკაცი. ქართველი მეომრების ფსიქოლოგიური განწყობა, პატრიოტული სულისკვეთება იმდენად ამაღლებული იყო, რომ მათ შეეძლოთ ომის წარმატებით გაგრძელება, მე-11 წითელი არმიის მთლიანად განადგურება. მაგრამ რუსთა მოქმედ ჯარს ყველა ფრონტზე ახალი დივიზიები ემატებოდა, თბილისის დამცველი ქართველი ჯარის რეზერვები კი იწურებოდა. თბილისის მისადგომებთან, კოჯორსა და ტაბახმელასთან წითელი არმიის ნაწილებთან შეტაკებაში დაიღუპა გვარდიელებთან ერთად იუნკრების დიდი ნაწილი. დაღუპულთა შორის იყო მოწყალების მედდა მარო მაყაშვილი, რომელიც დაკრძალეს დაღუპული მეომრების გვერდით დიდუბის ტაძრის ეზოში. მთავრობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მთავარსარდალმა კვინიტაძემ განაცხადა: თითქმის ალყაშემორტყმულ თბილისში, ბრძოლის გაგრძელებას ისა სჯობია, დედაქალაქიდან ჯარი უვნებლად გაიყვანოთ და უფრო ხელსაყრელ პოზიციებზე გავმაგრდეთო. სამხედრო სპეციალისტთა ერთმა ნაწილმა მიუღებლად ჩათვალა მთავარსარდლის წინადადება, თბილისისათვის ბრძოლის გაგრძელება მოითხოვა. ასეთივე განწყობილება შეიმჩნეოდა ოფიცრების, ჯარისკაცების და თბილისის საზოგადოებრიობის დიდ ნაწილში. მაგრამ ნოე ჟორდანიამ და მინისტრების უმრავლესობამ დედაქალაქში ბრძოლის გაგრძელება, როგორც ჩანს, ამაო მსხვერპლის გაღებად მიიჩნია. მთავარსარდლის ბრძანებით 24 თებერვალს ქართულმა ჯარმა თბილისი დატოვა. ამან უარყოფითად იმოქმედა გენერლების, ოფიცრების და რიგითი მეომრების სულისკვეთებაზე. მათში შეირყა გამარჯვების რწმენა.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელი არმია თბილისში შემოვიდა. საქართველოს რეგულარულმა არმიამ და სახალხო გვარდიამ ვერ შეძლეს მცხეთაში გამაგრება, უკან დახევა განაგრძეს. მეტ-ნაკლები მასშტაბის ბრძოლები მოხდა გორის მიდამოებში (სადაც მე-11 წითელი არმია და დარიალის გზით შემოსული ჯარები გაერთიანდნენ), სურამის

ქედზე, ზემო იმერეთის ვიწრო ხეობებში. ქართულ ჯარს არც ქუთაისი დაუტოვებია უბრძოლველად. უთანასწორო ომი გრძელდებოდა.

ასეთ პირობებში ლენინს გაუჩნდა იდეა, მისაღები კომპრომისი შეეთავაზებინა ნოე ჟორდანიასა და მისი თანამოაზრეებისათვის. ლენინის მითითების შესაბამისად, 12 მარტს საქართველოს კომპარტიის ცეკამ დაადგინა: თუ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული და სხვა პოლიტიკური პარტიები ბრძოლას შეწყვეტდნენ, ოფიციალურად აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, მათი წარმომადგენლები შეეყვანათ საქართველოს საბჭოური მთავრობის შემადგენლობაში. იმავე დღეს სერგო ქავთარაძემ ნოე ჟორდანიას შესთავაზა საქართველოში დარჩენა და კომუნისტებთან თანამშრომლობა. მაგრამ ლენინის იდეა და 2 მარტის დირექტივა ვერ განხორციელდა.

საზავო მოლაპარაკების დროს საქართველოს მთავრობის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ უარი თქვა კაპიტულაციაზე და განაცხადა, რომ ახალი (შერეული) მთავრობის შედგენის შესახებ მოლაპარაკებას არ დაიწყებს. სადაც და რა პირობებშიც უნდა დარჩეს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული მთავრობა, ის ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად თვლის თავს, სანამ ამის წინააღმდეგი არ იქნება ქართველი ხალხის თავისუფლად გამოთქმული ნებაო. გრიგოლ ლორთქიფანიძის ოდნავ მოგვიანებით გამოთქმული აზრით, საქართველოს ხელისუფლება უცხოეთში გახიზვნის შემდეგაც შეინარჩუნებდა ლეგიტიმურობას და საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით გააგრძელებდა ბრძოლას საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისათვის.

გრიგოლ ლორთქიფანიძემ ისიც აღნიშნა, რომ მარტოდ დარჩენილი პატარა საქართველო ამ უთანასწორო ომში დამარცხებისათვის იყო განწირული. მაგრამ ძლიერი მტრის წინაშე ლაჩრულად ქედის მოხრას, ღირსეული დამარცხება სჯობდა. „დამარცხებით დამთავრებული სახელოვანი ბრძოლა არათუ სჯობდა ნაძრახ ყმობას, არამედ სრულიად აუცილებელი იყო ქართველი ხალხის ეროვნული სიცოცხლისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის“.

გამარჯვებულ საბჭოთა რუსეთსა და დამარცხებულ საქართველოს მთავრობას შორის კომპრომისული შეთანხმება ერთ მნიშვნელოვან საკითხზე თითქოს მოხერხდა, რაც განაპირობა ამ დროს თურქეთის პოზიციამ. საქმე იმაშია, რომ თურქეთის მთავრობამ ხელსაყრელ მომენტად ჩათვალა რუსეთ-საქართველოს ომი და თავისი ჯარები ბათუმის ოლქში შემოიყვანა. საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, ეს ტერიტორია საქართველოს შემადგენელ ნაწილად აღიარა, მაგრამ ათი თვის შემდეგ ლენინმა დიდად როდი შერისხა თავისი პოლიტიკური მეგობარი ქემალ

ფაშა: 1921 წლის 16 მარტს საბჭოთა რუსეთმა თურქეთთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის ძალით თურქეთის ხელში გადადიოდა ბათუმის ოლქის დიდი ნაწილი — შავშეთი, იმერხევი, არდაგანი და სხვა ტერიტორიები, რუსეთს უნდა დარჩენოდა აჭარა ბათუმითურთ, მაგრამ თურქთა ჯარი უარს ამბობდა ბათუმისა და აჭარის დატოვებაზე. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება ამჯობინებდა აჭარა და ბათუმი გასაბჭოებული საქართველოს შემადგენლობაში დარჩენილიყო და ამის შესახებ საქართველოს რევკომთან დაიწყო მოლაპარაკება. სწრაფად გაფორმდა შემდეგი შინაარსის შეთანხმება: 1) შეწყდეს საომარი მოქმედება; 2) დემოკრატიული მთავრობა ახდენს საბჭოური ჯარების საწინააღმდეგო ფრონტის ლიკვიდაციას. ტოვებს საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც აქამდე მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევკომის განკარგულებაში მყოფ ჯარებს შევიდნენ ბათუმის ოლქში, დაიცვან იგი თურქთა შემოსევისაგან: 3) საჯავახოდან ბათუმამდე კვლავ რჩება საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაცია და რევკომის ჯარი ბათუმის ოლქში შედის, როგორც დემოკრატიული მთავრობისადმი მეგობრულად განწყობილი ძალა.

ეს შეთანხმება მთლიანად არ ემთხვეოდა რუსეთ-თურქეთის 16 მარტის ხელშეკრულებას და საბჭოთა ჯარის სარდალმა გენერალმა ჟლობამ უარი თქვა აჭარა-ბათუმში შესვლაზე. განმათავისუფლებელი როლი შეასრულა რუსეთისაგან დამარცხებულმა ქართულმა არმიამ და აჭარელთა რაზმმა, რომლებსაც მეთაურობდა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელიც მთავრობას ემიგრაციაში არ გაჰყოლია. ამ სამხედრო-პოლიტიკური დუეტის დამსახურებაა, რომ აჭარა და ბათუმი საქართველოს შემადგენლობაში დარჩა. მათი ძალა ვერ გადასწვდა ჭოროხისა და აჭარის წყლის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებს. საქართველოსთან ომში გამარჯვებულმა საბჭოურ-კომუნისტურმა რუსეთმა, ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი — კოლა-არტაანი, შავშეთი, იმერხევი და სხვა, დაახლოებით 12 ათასი კვკმ ტერიტორია თურქეთს აჩუქა. ცოტა მოგვიანებით, საქართველოს ჩამოაცილეს და მეზობელ მარიონეტულ რესპუბლიკებს გადასცეს ბორჩალოს მაზრის ნაწილი (3812 კვმ), ზაქათალის ოლქი (3564 კვკმ), საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი ჩასწორდა რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სასარგებლოდ. საბედისწერო 1921 წელს საქართველომ დაკარგა არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არამედ 20 ათასი კვკმ ტერიტორიაც.

ქართველი ხალხი ვერც თავისუფლების დაკარგვას შეურიგდა და ვერც თავისი ტერიტორიების გასხვისებას. თავიდანვე მიზნად დაისახა კომუნისტური რეჟიმის დამხობა, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XIII.

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და პოლიტიკური ძალების დამოკიდებულება საქართველოს ოკუპაციისადმი

1921 წლის 25 თებერვალს მე-11 წითელი არმიის ნაწილები თბილისში შემოვიდნენ. მათ თან შემოჰყვა ახლად ჩამოყალიბებული რევკომი (მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, ალექსი (საშა) გეგეჭკორი, ბესარიონ კვირკველია და სხვ. მოგვიანებით მათ შეუერთდა ფოლიპე მახარაძე). მალე ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა რკპ (ბ) ცკ-ს კავბიუროს თავმჯდომარე გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე. საქართველოს კანონიერი მთავრობა თბილისს გაეცალა და დასავლეთ საქართველოში — ქუთაისში გადავიდა. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა განაგრძეს უკან დახევა.

2 მარტს ვლადიმერ ლენინმა სერგო ორჯონიკიძეს და საქართველოს რევკომს მისცა დათმობაზე წასვლის, სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან კომპრომისის გამონახვის დირექტივა. მაგრამ საქართველოს მთავრობასთან მხოლოდ ერთ საკითხზე მოხდა პოზიციების შეჯერება: როდესაც საქართველოს მთავრობის თანხმობით თურქეთმა რუსეთ-საქართველოს ომის პირობებში ჯარი შემოიყვანა აჭარაში, რომ საქართველოს დახმარებოდა რუსეთთან უთანასწორო ომში, მათ აჭარის კვლავ ხელში ჩაგდება გადაწყვიტეს. შეიქმნა ბათუმის ოლქის კვლავ თურქეთის შემადგენლობაში მოქცევის საფრთხე. ამიტომ ნოე ჟორდანიას მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკება რევკომთან. 18 მარტს ქუთაისში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ საომარი მოქმედების შეწყვეტისა და თურქთა შემოსევისაგან ბათუმის დაცვის მიზნით რევკომის განკარგულებაში აჭარაში მყოფი ეროვნული ჯარების შესვლის შესახებ. რუსეთ-საქართველოს გაერთიანებულმა ჯარმა განდევნა თურქები აჭარიდან, თუმცა ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი — კოლა-არტაანი, შავშეთი, იმერხევი და სხვ. კვლავ თურქეთის ხელში დარჩა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 18 მარტს და-

ტოვა საქართველო და საფრანგეთში გაიხიზნა. მან თან გაიყოლა ეროვნული განძეულობა, რომლის მოვლა-პატრონობა მიანდო ცნობილ ეროვნულ-ისტორიკოს ექვთიმე თაყაიშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, საბჭოთა რუსეთმა ქართველი კომუნისტების დახმარებით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და ძალდატანებით დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. მართალია, ფორმალურად არავის გაუუქმებია არც საქართველოს დამოუკიდებლობის მანიფესტი, არც საქართველო — როგორც ერთიანი, მთლიანი სახელმწიფო ერთეული, მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა ჩაიკარგა მოსკოვიდან მიღებულ ცირკულარებსა და პარტიულ დადგენილებებში.

საქართველოში არსებული მრავალპარტიული დემოკრატიის ნაცვლად — კომუნისტური პარტიის შეუზღუდავი ხელისუფლება დამყარდა, თუმცა ლენინის მითითებების თანახმად მათ სცადეს არაკომუნისტურ პარტიებთან ურთიერთობის მოწესრიგებაც.

ქვეყანაში ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი პოლიტიკური ძალა იყო სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია.

ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაც გაითიშა („მემარჯვენე" და „მემარცხენე" ესერებად). მემარცხენე ესერებმა 1921 წლის აპრილში მიიღეს გადაწყვეტილება საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესახებ. ესერების პარტიის ძირითადი ნაწილი ოპოზიციურად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ორ ნაწილად გათიშული შეხვდა. პარტიის ლიდერებმა, რომლებიც თბილისში დარჩნენ, კომუნისტურ რეჟიმთან მოლაპარაკება ამჯობინეს. 28 მარტს პარტიის ორივე ნაწილის გაერთიანებულ კრებაზე მიღებული რეზოლუციით პარტიამ მხარი დაუჭირა საბჭოთა ხელისუფლებას.

მძიმე და აუტანელ სიტუაციაში აღმოჩნდნენ საქართველოში მტკიცე ეროვნულ პოზიციაზე მდგომი პარტიები, განსაკუთრებით, ეროვნულ-დემოკრატები. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის მიუღებელი იყო არალეგალური მუშაობა. მაგრამ ამ პარტიის ერთი ნაწილი არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა და საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდული ძალა გახდა. მათი ინიციატივით უკვე 1922 წლის გაზაფხულიდან საქართველოს მთიანეთში შეიქმნა შეიარაღებული რაზმები ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით. მათი მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და წართმეული ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა.

საბჭოთა ხელისუფლება მიუღებელი იყო ქართველი ინტელიგენციის,

სტუდენტების, მასწავლებლების, რიგითი მოქალაქეების დიდი უმრავლესობისათვის. ისინი მართავდნენ საპროტესტო მიტინგებს, აწყობდნენ გაფიცვებს, ავრცელებდნენ ანტისაბჭოთა შინაარსის მოწოდებებს. ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდიამ საპროტესტო წერილი გაუგზავნა ვლადიმერ ულიანოვ (ლენინს), რომელშიც კომუნისტური რუსეთი იმპერიულ ამბიციებში დაადანაშაულა და მოითხოვა შელახული სუვერენიტეტის აღდგენა. დამფუძნებელი კრების წევრმა, სოციალ-დემოკრატმა მუშამ ანდრო ჭიაბრიშვილმა საპატიმროდან რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრს, ლევ ტროცკის რამდენიმე წერილი გაუგზავნა, რომელშიც ხაზგასმით მიუთითებდა: „საბჭოთა საქართველოს ეს პერიოდი ოკუპაციაა კოლოსალური ეროვნული ჩაგვრით, რაც განპირობებულია ახალი ხელისუფლების არა სუბიექტური სურვილებით, არამედ მისი ობიექტური მდგომარეობით... ახალ ხელისუფლებას არ შეუძლია იყოს ეროვნული. მისი პირველყოფითი ცოდვაა ასეთი“...

შეურიგებელი პოზიცია დაიკავა რუსეთის ახალი ოკუპაციის მიმართ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, რომლის საჭეთმპყრობელმა, კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: „ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე...“ საქართველოს სულიერი მამა მოითხოვდა: „დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას საქართველოს ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარი... საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ მოაწყოს ისეთი ფორმები სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება“. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კომუნისტებმა ციხეში გამოკეტეს.

დაიწყო რუსული მმართველობის ახალი ფორმით შემობრუნება. ყალიბდებოდა საბჭოთა საქართველო.

საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურები

საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. იგი ინარჩუნებდა „დამოუკიდებლობის“ სტატუსს, რაც აღიარებული იყო საბჭოთა რუსეთთან 1921 წლის 21 მაისს დადებული ხელშეკრულებით, რომელიც დაადასტურა 1922 წლის მარტში მიღებულმა საქართველოს სსრ კონსტიტუციამ. ეს, საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობას აძლევდა, ოღონდ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კონტროლით.

საქართველოს რევკომი უმალვე შეუდგა პირველი დეკრეტების მიღებას, სახელმწიფო ორგანოების შექმნას. საბჭოური რეჟიმის პირველი თვეების ყველაზე მნიშვნელოვანი აქტი იყო საქართველოს რევკომის 1921 წლის 21 აპრილის დეკრეტი ხელისუფლების ორგანოების შესახებ. რევკომების სისტემა, რომელიც საქართველოში წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკური მმართველობის გარდამავალ ფორმას, ძალისმიერი მეთოდებით იკაფავდა გზას, მისი მოქმედების ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები ატარებდა ბრძანებების ხასიათს, რომელთა შესრულება სავალდებულო იყო როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის. ანტისაბჭოთა პარტიებმა რევკომების ხელისუფლება „საოკუპაციო რეჟიმად" გამოაცხადეს და მოითხოვეს — რევკომების ნაცვლად საბჭოების არჩევნების დაუყოვნებლივ ჩატარება, რაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მკაცრი სინამდვილის ატმოსფეროში არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული.

1921 წლის 26 თებერვლის რევკომის დეკრეტით გამოცხადდა დემოკრატიული საქართველოს არმიისა და გვარდიის დემობილიზაცია. 2 მარტს ლენინი სერგო ორჯონიკიძეს წერდა: „საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია". საქართველოს რაკი არმია აღარ ჰყავდა, იგი წითელ არმიას უნდა „დაეცვა".

ჩანს, საქართველოს „საკუთარი არმიის შექმნას" დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. 11 მარტს გამოიცა ბრძანება წითელი არმიის ჩამოყალიბების შესახებ და ახლად შექმნილი სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი შეუდგა ქართული სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბებას. 1921 წლის მარტში ბათუმში შეიქმნა პირველი ქართული მსროლელი ბრიგადა, რომელიც 1922 წლის აგვისტოში გარდაიქმნა ქართულ დივიზიად. როგორც დასტურდება, საქართველოს წითელი არმიის მშენებლობის პროცესი გაჭიანურდა. კომუნისტებმა წითელ არმიაში მიიწვიეს მეფის რუსეთის არმიისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სტრუქტურების წარმომადგენლები, მაგრამ ამ პოლიტიკამ არ გაამართლა, ფაქტობრივად, წითელი არმია საქართველოში ვერ შეიქმნა. დოკუმენტები ადასტურებენ, რომ წითელი არმიის მშენებლობა საქართველოში რეალურად, 1923 წლიდან დაიწყო.

1921 წლის 21 მაისს საბჭოთა საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული „მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულებით" მათ შორის მყარდებოდა სამხედრო და სამეურნეო კავშირი. ხელშეკრულებით ორივე მხარემ იკისრა ვალდებულება დაედოთ შეთანხმება სამხედრო ორგანიზა-

ციისა და სამხედრო სარდლობის გაერთიანების შესახებ, რაც საბოლოოდ ამზადებდა პირობებს ქართული წითელი არმიის საკავშირო-საერთოსო დანაყოფებში გაერთიანებისათვის. 1924 წლის თებერვალში თბილისში შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური სკოლა, იმავე წლის მაისში — მეორე ქართული დივიზია, ხოლო ივნისში — „კურსანტთა შეერთებული ქართული სკოლა უფროს სამხედრო მეთაურთა მოსამზადებლად“.

საქართველოს რევკომმა, 1921 წლის 21 აპრილის დეკრეტით დემოკრატიული საქართველოს გაუქმებული სამინისტროების ნაცვლად შექმნა სახალხო კომისარიატები: საგარეო საქმეთა, სამხედრო-საზღვაო საქმეთა, იუსტიციის, შრომის, სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლების, კავშირგაბმულობის, ფინანსთა, საგარეო ვაჭრობის, მიწათმოქმედების, სასურსათო, ჯანმრთელობის დაცვის. ამასთან, მუშურ-გლეხური ინსპექცია („მუშგლეხინი“), რომელსაც დაევალა ფაქტობრივად საკონტროლო ფუნქციები ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობაზე; საგანგებო-საგამომძიებო კომისია, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო; დამტკიცდა სახალხო კომისართა საბჭოს დროებითი შემადგენლობა ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით, რომელიც იმავდროულად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიც იყო. საქართველოს რევკომმა გააუქმა მენშევიკური სენატი და სხვა სასამართლო ორგანოები — ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და დაიწყო ახალი სასამართლო სისტემის შექმნა. 1921 წლის 15 ნოემბრიდან შემოღებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსი, დაარსდა პროკურატურა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სასამართლო რეფორმის თაობაზე, რომელიც მიზნად ისახავდა სასამართლო ორგანოებში მომუშავე პერსონალის შეცვლას კომუნისტებით და „პროლეტარული ელემენტებით“ და ა.შ.

რევკომების პოლიტიკური მმართველობა ერთი წლის თავზე საბჭოების არჩევნების გზით უნდა გადასულიყო ლეგიტიმურ საბჭოთა ხელისუფლებაზე. არჩევნები, რომელიც თავდაპირველად უნდა ჩატარებულიყო არა მთელ რესპუბლიკაში, არამედ თბილისსა და ბათუმში, როგორც სამრეწველო ცენტრებში, დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც იყო, რომ 1921 წლის 5 ივნისისათვის გათვალისწინებული არჩევნები თბილისში 3 დეკემბრისათვის გადაიდო. საქმე ის იყო, რომ მმართველ პარტიას არ შეიძლებოდა ჰქონოდა გარანტია, რომ ხალხი დაუჭერდა მხარს კომუნისტების არჩევას საბჭოების შემადგენლობაში. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყველა „მშრომელს“ — მუშა-მოსამსახურეთ, საგარნიზონო სამსახურის წითელარმიელებს.

თბილისის საბჭოს არჩევნები ჩატარდა 1922 წლის 3-8 დეკემბერს. თბილისის საბჭოში სულ აირჩიეს 351 დელეგატი, მათგან 325 კომუნისტი იყო, ხოლო 36 უპარტიო. ანტისაბჭოთა პარტიების ცდამ, ჩაეშალათ არჩევნები, ნაყოფი ვერ გამოიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენადმე განსხვავებულ ვითარებაში ჩატარდა 1922 წლის 8-10 დეკემბრის არჩევნები ბათუმში, სადაც რევკომის გვერდით არსებობდა ძველი ხელისუფლების ორგანო — მეჯლისი, რომლის დაშლა მაშინვე საჭიროდ არ მიიჩნიეს პოლიტიკური მოსაზრებით. 1921 წლის 21 მაისს აირჩიეს ახალი მეჯლისი, რომელიც გამოცხადდა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ აჭარის ტერიტორიაზე.

1922 წლის თებერვლის პირველ ნახევარში საქართველოში აირჩიეს საბჭოები. 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის წლისთავზე კი გაიხსნა საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდა 380 დეპუტატი, მათგან 272 კომუნისტი. ყრილობა გახსნა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ფილიპე მახარაძემ. ყრილობამ განიხილა საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობის საკითხები.

საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია (მას საფუძვლად დაედო საბჭოთა რუსეთის 1918 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები), რომელმაც ქართული ენა გამოაცხადა სახელმწიფო ენად. აღსანიშნავია, რომ არც ერთ სხვა საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციაში ასეთი პუნქტი არ არსებობდა.

მაგრამ კონსტიტუციის შემდგენლებმა მასში შეიტანეს მუხლი, რომელიც თავიდანვე საეჭვოდ ხდიდა საქართველოს სუვერენიტეტს: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აცხადებს მტკიცე მზადყოფნას შევიდეს ერთიან საერთაშორისო სოციალისტურ რესპუბლიკაში, როგორც კი მოიმზადდება პირობები მისი შექმნისათვის“. ყრილობაზე არჩეულმა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) სესიამ შექმნა რესპუბლიკის პირველი საბჭოთა მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო, რომელიც მხოლოდ ფორმალურად განასახიერებდა საქართველოს სუვერენიტეტის ატრიბუტიკას.

ეკონომიკის გარდაქმნა ნაციონალიზაციის საფუძველზე

საბჭოთა ხელისუფლებამ მძიმე ეკონომიკური მემკვიდრეობა მიიღო. 1921 წლისთვის საქართველოს მრეწველობა ძირითადად წვრილი საწარმოებით იყო წარმოდგენილი. შედარებით განვითარებული სამთო-მოპოვებითი

მრეწველობა მტაცებლური ექსპლოატაციის გამო გაპარტახებული იყო. ნედლეულის უქონლობისა და მექანიკური ძრავების სიძველისა და ავადმყოფობის გამო 392 საწარმოდან მუშაობდა 234, სანახევროდ მუშაობდა 102, უმოქმედოდ იდგა 56 საწარმო. დეგრადაციას განიცდიდა სოფლის მეურნეობა, მოშლილი იყო ტრანსპორტის მუშაობა, ფინანსები და ა.შ.

ეკონომიკის გარდაქმნის ღონისძიებათა სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა მრეწველობის სოციალისტურმა ნაციონალიზაციამ, რომელიც ცალკე დარგების მიხედვით 1921 წლის მანძილზე სხვადასხვა დროს განხორციელდა. 13 ივნისს გამოქვეყნდა რევკომის დეკრეტი მოპოვებითი და დამმუშავებელი მრეწველობის ყველა საწარმოს ნაციონალიზაციის შესახებ, მაგრამ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ე.წ. ნაციონალ-უკლონისტური შემადგენლობის ინიციატივით ნაციონალიზაცია არ შეხებია ჭიათურის მანგანუმის მრეწველობას. ნაციონალიზებული იქნა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ელექტროსადგურები და გატარდა ნავთსაცავი რეზერვუარების ნაციონალიზაცია.

სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაციის პროცესში დაშვებულ იქნა წვრილ და არარენტაბელურ საწარმოთა კერძო პირებისა და კოოპერატივებისათვის იჯარით გადაცემის პრაქტიკა. 1921 წლის ივნისიდან ერთი წლის განმავლობაში იჯარით იქნა გაცემული 26 საწარმო.

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენით სამუშაოთა დაწყება დაემთხვა საბჭოთა რუსეთის გადასვლას ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ამიტომაც ერთგვარი დათმობა კერძო კაპიტალის ფუნქციონირებისადმი გამომდინარეობდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკიდან, რომელიც მიიღო რკპ(ბ) X ყრილობამ (1921 წლის მარტი).

„ნეპის" გატარებისას დაშვებულ იქნა რიგი შეცდომები, კერძოდ, სასურსათო გადასახადის დაწესების დროს არ აღურიცხავთ დასაბეგრი ობიექტები; მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება ხდებოდა ნაწილობრივ ნატურით, რაც გამოწვეული იყო ქვეყნად არსებული სასურსათო კრიზისითა და ფულის მერყევი კურსით.

1924 წლიდან შეწყდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნატურით აკრეფა. იგი ფულად ფორმაზე გადავიდა.

ეკონომიკის გარდაქმნის გზაზე საქართველოს, ისევე როგორც მეზობელ რესპუბლიკებს, ესაჭიროებოდათ ეკონომიკური დახმარება საბჭოთა რუსეთისაგან, რომელმაც მართლაც გაიღო 700 ათასი მანეთის ოქრო თბილისის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესი) მშენებლობისათვის. ამასთან, ვლადიმერ ლენინის დირექტივით საჭირო იყო ამიერკავკასიის მასშტაბით „საოლქო სამეურნეო ორგანოს" შექმნა მრეწველობისა

და სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად. ამ მიზნით უკვე 1921 წელს მოხდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რკინიგზების და საგარეო ვაჭრობის გაერთიანება, რასაც დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ნაციონალ-უკლონისტები.

1921 წლის 18 აპრილიდან შემოიღეს 8-საათიანი სამუშაო დღე, დაწესდა 7 საათი ღამით მუშაობისათვის, განისაზღვრა დაქირავებულ შრომაში ჩაბმულ ქალთა და მოზარდთათვის სამუშაო დღე 4-6 საათით. 20 აპრილს კი მიღებულ იქნა დეკრეტი შრომის დაცვის ინსპექციის დაწესების შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე გადაიდგა ნაბიჯები უმოქმედო სამრეწველო საწარმოთა აღსადგენად. კერძოდ, ამუშავდა თბილისის სპილენძსაგლინავი ქარხანა. 1923 წლის მაისში აღდგა 48 წლის უმოქმედო ჩათახის (ფოლადაურის) თუჯსადნობი წარმოება. 1924 წელს კი ამუშავდა ქუთაისის მაუდის ფაბრიკა მოსკოვის ერთ-ერთი მაუდის ფაბრიკის მოწყობილობათა ბაზაზე, რომელიც 1923 წელს საქართველოს საჩუქრად გადაეცა.

ბევრ სამრეწველო და სხვა საწარმოთა აღდგენასთან ერთად 1921-1925 წლებში დაიწყო 20-მდე სამრეწველო ობიექტის მშენებლობა, მათ შორის აჭარისწყლის და აბაშის ჰიდროელექტროსადგურებისა. ამ მშენებლობათაგან 9 მწყობრში ჩადგა 1926 წლამდე. 1921-1922 წლებში თბილისში გაიხსნა ელექტრომექანიკური ქარხანა „ტემზა“, ამუშავდა №1 აბრეშუმსაქსოვი და სამკერვალო ფაბრიკები, პოლიგრაფტრესტის №1, 2, 3 სტამბები, საკარტონაჟო ფაბრიკა და სხვა.

მუშათა რიცხვი სამრეწველო საწარმოებში იცვლებოდა. დაქსაქსული მუშახელის თავმოყრა-კონცენტრაცია საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს არცთუ ისე ადვილი იყო. ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის სიძნელეები კიდევ უფრო გაღრმავდა. გეგმიანი მომარაგების წესით პროდუქციის უფასო გაცემის გამო, ისედაც მცირე მარაგი გამოილია. აუცილებელი სამრეწველო საქონლის უკმარისობის, ქალაქსა და სოფელს შორის არაეკვივალენტური საქონელგაცვლის გამო იზრდებოდა უკმაყოფილება გლეხებსა და მუშებს შორის.

სოფლის თავისუფალი მუშახელის ნაკადის მოზღვავება ქალაქებში განაპირობებდა უმუშევრობის ზრდას, რადგან იმ დროს მრეწველობას არ შეეძლო თავისუფალი მუშახელის არათუ სრულად, არამედ მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმებაც კი.

უმუშევრობის მასშტაბის ზრდამ და მოკლე დროში მისი დაძლევის შეუძლებლობამ, მწვავედ დააყენა შრომის ბაზრის რეგულირების, უმუშევრობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავების საკითხი. ამ ღონისძი-

ებათა ყველაზე მიზანშეწონილ ფორმად იქნა მიჩნეული საზოგადოებრივ სამუშაოთა და შრომის არტელების ორგანიზაცია, უმუშევართა საწარმოო მომზადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლად თავისუფალი მუშახელის ჭარბად არსებობის პარალელურად გარდაქმნის გზაზე შემდგარი მრეწველობა განიცდიდა კვალიფიციურ მუშათა კადრების სიმცირეს. საქართველოს პროფესიული კავშირების V ყრილობამ (1926 წლის 14-18 მარტი) ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სახალხო მეურნეობის აღორძინების კვალდაკვალ კვალიფიციურ მუშათა ნაკლებობა უფრო საგრძნობი იყო, და რომ შემდგომში, ეს ნაკლებობა უფრო გამწვავდებოდა, რადგან ერთი მხრივ, მრეწველობის აღდგენა სწრაფად მიმდინარეობდა და მეორე მხრივ, კვალიფიციურ მუშათა მარაგი, რომელსაც რევოლუციის პირველ წლებში ქარხნებს ჩამოშორებული და სოფლად გახიზნული მუშები შეადგენდნენ, უკვე ამოიწურა. ამრიგად, აღინიშნა, რომ საქართველოს სამრეწველო მუშათა კადრების თავმოყრა-კონსოლიდაციის პროცესი ძირითადად დასრულდა.

20-იანი წლების პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა საქართველოში მსხვილ სახელმწიფო საწარმოთა წარმოქმნის პროცესსა და მასთან დაკავშირებით მუშათა კონცენტრაციის დონის ამაღლებას.

საბჭოთა ხელისუფლება ქვეყნის სამრეწველო დაწინაურებისთვის მიმართავდა უცხოური ტექნიკის გამოყენებას, ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებაში უცხოური კაპიტალის მონაწილეობისადმი ხელშეწყობის პოლიტიკას, რომელიც გამოიხატებოდა უცხოური ფირმებისთვის ცალკეული წარმოების საკონცესიოდ გადაცემაში.

1921-1924 წლებში საქართველოს საკონცესიო კომისიაში შევიდა საბერძნეთის, საფრანგეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების ფირმათა წინადადებები, კერძოდ, მდინარე ხრამის ნაპირზე სპილენძის საბადოს დამუშავების, დუშეთის რაიონში გოგირდის საბადოების დაზვერვის და სხვ.. მაგრამ საბჭოთა მთავრობა დიდ სიფრთხილეს იჩენდა კონცესიების გაცემისას. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ მრავალრიცხოვანი საკონცესიო წინადადებათაგან მხოლოდ ჭიათურის მანგანუმის საბადოს საკონცესიოდ გადაცემის წინადადება იქნა მიღებული. ამ საქმეს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურო, რომელმაც 1923-1929 წლებში ჭიათურის კონცესიისა და მისი განვითარების საკითხები 16-ჯერ განიხილა და მიიღო შესაბამისი დადგენილებები. აშკარაა, რომ ქართველი ხალხის ეროვნული სიმდიდრის ბედი წყდებოდა არა თბილისში, არამედ მოსკოვში.

ჭიათურის საბადოს დაუფლებისთვის კონკურენციაში გამარჯვებული გამოვიდა ამერიკული საავჭრო-სამრეწველო ფირმა „ჰარიმანი და კომპ“,

რომელმაც წამოაყენა საბჭოთა მხარისათვის მისაღები ყველაზე მომგებიანი წინადადებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირეული ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში. საბჭოურ აგრარულ რეფორმას საქართველოში სათავე დაუდო რევკომის 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტმა მიწის „მშრომელი ხალხის საკუთრებად გამოცხადების შესახებ". დეკრეტით იკრძალებოდა მიწის გასხვისების ყოველგვარი ფორმა და ყიდვა-გაყიდვის სფეროდან საერთოდ ამოიღეს. განხორციელდა მემამულეთა, ეკლესია-მონასტრების, მსხვილ მესაკუთრეთა მიწების კონფისკაცია და მიწის სახელმწიფო ფონდში ჩარიცხვა. მიწა გადადიოდა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა განკარგულებაში. ადგილობრივი „მიწის კომიტეტები" აწარმოებდნენ მიწების განაწილებას გლეხებს შორის. ეს ხორციელდებოდა დაკვრითი წესით, რომლის წინააღმდეგ გამოვიდნენ ქართველი ნაციონალ-უკლონისტები, რომლებიც რეფორმის დარგში „ზომიერი პოლიტიკის" მომხრენი იყვნენ. ისინი წინ აღუდგნენ გლეხების მიერ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მემამულე-თავადაზნაურთა მიწების ურთიერთშორის განაწილების პრაქტიკას.

1922 წლის ოქტომბრიდან, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკლონისტური შემადგენლობა ხელმძღვანელობას ჩამოშორდა და გადადგა, დაიწყო აგრარული რეფორმის დაჩქარებით განხორციელება. გლეხები მასობრივად ერეკებოდნენ მემამულე-თავად-აზნაურებს საკუთარი მამულებიდან. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ცოცხალი გამწევი ძალა ნაწილდებოდა გლეხებს შორის. მარტო შორაპნის მაზრაში ერთი თვის განმავლობაში მემამულე-თავადაზნაურობას ჩამოერთვა 10000 ქცევა მიწა, 50 სახლი, 30 წისქვილი და სხვა, გორის მაზრაში — 747 დესეტინა მიწა, 83 სახლი და 21 წისქვილი. საქართველოში 1923 წლის გაზაფხულისათვის გლეხობას გადაეცა მემამულე-თავად-აზნაურებისაგან ჩამორთმეული ასი ათას დესეტინაზე მეტი მიწა.

აგრარული რეფორმის განხორციელებისას დაშვებული იქნა უხეში შეცდომები, რაც განპირობებული იყო მიწის ნორმების დადგენისა და გლეხობაზე განაწილების შემუშავებული არასწორი წესით. 1922 წლის 26 მაისის დებულების მიხედვით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებში, უმიწაწყლო გლეხობის მიწით დაკმაყოფილება შეუძლებელი აღმოჩნდა მიწის საერთო ფონდის სიმცირის გამო. ამ გარემოებას უფრო ამწვავებდა გლეხურ მეურნეობათა სწრაფი ზრდა. 1921-1925 წლებში გლეხურ მეურნეობათა რიცხვი გაიზარდა 413948-მდე, ანუ 87588 ერთეულით. ეს აიხსნებოდა გლეხურ მეურნეობათა დაქუცმაცებით, მსხვილ მეურნეობათა დაყოფით მიწის დამატებითი ფონდის მიღების მიზნით. მაგრამ 1924 წლის მაისში მიღე-

ბული მიწის კოდექსით ხელისუფლებამ ნაწილობრივ შეზღუდა გლეხურ მეურნეობათა შემდგომი დაქუცმაცების პროცესი. ამას დაემატა საარსებო მინიმუმის მიხედვით მიწის ნორმის დადგენა.

სახელმწიფო მიწის ფონდის სიმცირის გამო საქართველოში ღარიბმა გლეხობამ მთელ რიგ შემთხვევაში ვერ მიიღო ნორმით გათვალისწინებული მიწა.

აგრარული რეფორმა ნელი ტემპით ხორციელდებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ კი აჭარაში. ზოგ რაიონში რეფორმა 1925 წელსაც კი არ იყო დამთავრებული. რეფორმის შედეგად საქართველოს გლეხობამ მიიღო 150 ათასამდე დესეტინა მიწა ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე.

ამ პერიოდში სოფლის მეურნეობის სუსტმა აგრონომიამ განაპირობა მოსავლიანობის ზრდის დაბალი ტემპები. მაგრამ სამელიორაციო სამუშაოების გაშლამ (1921-1925 წლებში გაყვანილ იქნა 6 სარწყავი არხი, რომლითაც ირწყვებოდა 43500 დესეტინა მიწა) რამდენადმე შეუწყო ხელი ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი ფართობის ზრდას.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ტექნიკური კულტურების აღდგენა-განვითარება, ვიდრე მარცვლეული კულტურებისა. ეს მოვლენა აიხსნებოდა მრეწველობის განვითარების მოთხოვნილებითაც, რომელიც საჭიროებდა ნედლეულს. ამასთან, მარცვლეული კულტურები, მეცხოველეობის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალი დონის გამო შედარებით ნაკლებრენტაბელური იყო, ვიდრე ტექნიკური კულტურები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებაში 20-იანი წლების პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც სახალხო მამულებად იწოდებოდნენ. 1924 წლის ივლისიდან ჩამოყალიბდა სახალხო მამულების ტრესტი, რომელიც განაგებდა ყველა სახალხო მამულს.

დაიწყეს კომუნისტური საზოგადოების იდეალის — სასოფლო-სამეურნეო კომუნების ჩამოყალიბება: მაგალითად, სამთავისში, ზემო ქედში, სხვა ადგილებში. აქ საერთო იყო ყველაფერი: წარმოება, განაწილება, ყოფა. მაგრამ ამ ეტაპზე საბჭოთა ხელისუფლებამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა, რომ კომუნა გამხდარიყო სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ძირითადი ორგანიზაციული ფორმა.

საბჭოთა ეკონომიკა თანდათან ძალებს იკრებდა. 1925 წლის ბოლოსთვის მრეწველობაში წამყვანი გახდა სოციალისტური სექტორი. გადიდდა სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის პრო-

დუქციის მიმართ. მრეწველობის ხვედრითი წილი 1925-26 წლების ეროვნულ შემოსავალში გაიზარდა 26,2%-მდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელდა ღონისძიებები ტრანსპორტის დარგში, პირველ რიგში, მოხდა სარკინიგზო მეურნეობის აღდგენა და ნაწილობრივი განახლება, ლოკომოტივ-საკაგონო პარკის შევსება რუსეთიდან გამოგზავნილი მოძრავი შემადგენლობით, დაიწყო ახალი ხიდების აგება და ა.შ. მოქმედ ორთქმავალთა საშუალო რიცხვმა 1925/26 წ. შეადგინა 861, სამგზავრო ვაგონების რიცხვი 183 ერთეულით გადიდდა. 1922-23 წლებში გაიყვანეს ნატანები-ოზურგეთის რკინიგზის ხაზი. მაგრამ საქართველოს რკინიგზის უბნის ტვირთბრუნვამ 1925-26 წლებში ვერ მიაღწია ომამდელ დონეს, თუმცა მნიშვნელოვნად დაუახლოვდა მას. ითვლებოდა, რომ 1925-1926 წლებში ძირითადად დასრულდა სახალხო მეურნეობის აღდგენა, თუმცა უახლესი გამოკვლევები ადასტურებენ, რომ რიგი დარგი ომამდელ დონეს მხოლოდ 20-იანი წლების დასასრულს მიუახლოვდა.

ეროვნული საკითხი საქართველოში

20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში და ამიერკავკასიაში ეროვნული ურთიერთობა გამწვავდა. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, იყო როგორც უცხოური სპეცსამსახურების (რუსეთი, თურქეთი) მიზანმიმართული საქმიანობა, ისე ტერიტორიული პრეტენზიები, რომლებიც ერთმანეთის მიმართ გაუჩნდათ სამხრეთ კავკასიაში ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებს (ქართულ-სომხური დაპირისპირება და ომი ლორეს გამო, ქართულ-აზერბაიჯანული ტერიტორიული პრობლემები და ა.შ.). რუსეთის კომუნისტური აგენტურა აფხაზეთში, შიდა ქართლში ყოველნაირად ცდილობდა გამოეყენებინა დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ ადგილობრივი (ოსი, აფსუა) მოსახლეობის სოციალური პროტესტი და გაემწვავებინა პოლიტიკური ვითარება, რასაც ზოგჯერ წარმატებით ახერხებდა კიდეც.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თურქეთის ემისრების მოღვაწეობისა და მუსლიმანური რელიგიის ზეგავლენის გამო თვალსაჩინო იყო პროთურქული განწყობა.

20-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ყოვლისმომცველი მისწრაფებები უკიდურესად აკნინებდნენ ეროვნულ ინტერესებს და მთლიანად უმორჩილებდნენ პროლეტარიატის მსოფლიო ბატონობის ილუზორულ იდეებს.

ამ პროგრამული დებულებიდან გამომდინარე, ქართველ კომუნისტებს ისეთივე პოლიტიკა უნდა გაეტარებინათ, რაც ხორციელდებოდა რუსეთის

ფედერაციაში. რუსული შაბლონი მათ დიდი გულმოდგინებით გადმოიტანეს საქართველოს სინამდვილეში.

ამ პოლიტიკის მთავარი თავისებურება იყო დემოკრატიული საქართველოს ხელმძღვანელთა ეროვნული პოლიტიკის, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრაქტიკის მკაცრი კრიტიკა.

კომუნისტების ეროვნული პოლიტიკის მეორე აპრიორი თეზისი იყო ის, რომ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ეროვნული პრობლემები მოგვარდა კომუნისტების მიერ ხელისუფლების ხელში აღებისთანავე. უკვე 1922-1923 წლებში კომუნისტი ლიდერები აცხადებდნენ, რომ საქართველოში ეროვნული საკითხი გადაწყდა, რომ ამიერკავკასიის ერებს შორის დაპირისპირების ობიექტური საფუძველი აღარ არსებობს.

ეროვნული მშვიდობა, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიაში არ დამყარებულა, მთელი რიგი პრობლემა მოუგვარებელი იყო, აშკარა დაპირისპირებები შეიცვალა ფარულით.

ეროვნული საკითხის კომუნისტური გადაწყვეტის თავისებურებას კი ავტონომიური ერთეულების შექმნაც წარმოადგენდა.

ავტონომიების შექმნა ეროვნული საკითხის მოსაგვარებალად — ეს რუსეთის კომუნისტური რევოლუციის გამოცდილებაც იყო, ამიტომ, გასაგებია, რომ ქართველმა კომუნისტებმა საქართველოს ტერიტორიაზე შექმნეს შემდეგი ავტონომიური ერთეულები: აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, რაშიც აქტიური მონაწილეობა რსფსრ-ის სამხედრო შენაერთებმაც მიიღეს, დადგა საკითხი მისი სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ. აფხაზეთის რევკომის ხელმძღვანელობას (ნესტორ ლაკობა, ეფრემ ეშბა და სხვ.) მიაჩნდა, რომ დემოკრატიული საქართველოს „აგრესიული" პოლიტიკის შედეგების შესასუსტებლად, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დასარეგულირებლად სასურველი იქნებოდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1921 წლის 28 მაისს აფხაზეთის მშრომელთა პირველმა ყრილობამ განიხილა საკითხი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ და დაადასტურა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

მართალია, აფხაზეთის კომუნისტი ლიდერები მუდამ ხაზს უსვამდნენ, რომ აფხაზეთის ეს დამოუკიდებლობა იყო ფორმალური, „ფირნიში", რომლის მთავარი მიზანი იყო მენშევიკური საქართველოს პერიოდში ქართულ-აფხაზური შელახული ტრადიციული მეგობრული ურთიერთობების აღდგენა-განვითარება, მაგრამ ფაქტი ერთია — აფხაზეთს მთელ იმჟამინდელ

საბჭოთა სივრცეში მცირერიცხოვანი ეთნოსებიდან ერთადერთს მიენიჭა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის განსაკუთრებული უფლება, რაც არ მიანიჭეს რსფსრ-ის შემადგენლობაში მყოფ ისეთ მრავალრიცხოვან ხალხებსაც კი, როგორიც იყვნენ ბაშკირები, ვოლგის თათრები, ყირიმელი თათრები, იაკუტები, მთელი შუა აზია გაერთიანებული იყო თურქესტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, იქ კი ცხოვრობდნენ უზბეკები, ტაჯიკები, ყირგიზები — უმდიდრესი კულტურისა და ცივილიზაციის ერები.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ფაქტობრივად ღიად იქნა დატოვებული და გადაუწყვეტელი საქართველოსთან ურთიერთობის პრობლემა.

1921 წლის 1-ლ ნოემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ იმსჯელა საქართველო-აფხაზეთის ურთიერთდამოკიდებულებაზე და მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსა და აფხაზეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შესახებ.

16 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დაიდო სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური ხელშეკრულება (კავშირი), რის საფუძველზეც გაერთიანდა ამ ორი რესპუბლიკის ბევრი სახალხო კომისარიატი და უწყება.

აფხაზეთი ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, ფაქტობრივად, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს ფლობდა და არაფრით განსხვავდებოდა სხვა ავტონომიური გაერთიანებებისაგან, მით უფრო, რომ მისი საოლქო პარტიული ორგანიზაცია — როგორც რეგიონული ორგანიზაცია, მთლიანად ექვემდებარებოდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე აჭარის ავტონომიის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დადგა. ამას მოითხოვდა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში დადებული ხელშეკრულებაც. აჭარისათვის ავტონომიის მინიჭება იმჟამად გამართლებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ამ კუთხის თურქეთის ბატონობის ქვეშ ხანგძლივად ყოფნით, რამაც მოსახლეობის დიდი ნაწილის რელიგიური და საყოფაცხოვრებო თავისებურებები გამოიწვია. ფაქტობრივად მოხდა ისე, რომ ათეისტურმა სახელმწიფომ ამ კონკრეტული ავტონომიური გაერთიანების შექმნას საფუძვლად დაუდო მისთვის იდეოლოგიურად უცხო და მიუღებელი – რელიგიური ფაქტორი.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით, რომელმაც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოაცხადა აჭარის მეჯლისი. მეჯლისი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ რჩებოდა აჭარის ასსრ საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევამდე.

შიდა ქართლში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა იყო კომუნისტების ხარკი ოსების იმ ანტისამთავრობო გამოსვლებისათვის, რაც ისინი ეწეოდნენ დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგან ასეთი ავტონომიური წარმონაქმნის ფორმირებისთვის არც ისტორიული, არც სამართლებრივი და არც დემოგრაფიული საფუძვლები არ არსებობდა.

1922 წლის 20 აპრილს, წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელშიც ოსურ სოფლებთან ერთად გაერთიანდა 40 ქართული სოფელი და 1 ქალაქი (ცხინვალი), რომელშიც 20 ათასი ქართველი იყო და მხოლოდ 1100 ოსი.

ამიერკავკასიის კომუნისტებმა გადაწყვიტეს მენშევიკების მიერ განუხორციელებელი იდეის რეალიზაცია — ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ადრე დაპირისპირებული ერებისა და ეროვნებების გაერთიანება. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა 1921 წლის ივლისში იოსებ სტალინის ვიზიტმა საქართველოში. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში თბილისის პარტიული ორგანიზაციის წინაშე ის გამოვიდა სიტყვით — „კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში". სტალინმა თავის გამოსვლაში უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა ამიერკავკასიის სახელმწიფოების ეკონომიკური ერთიანობის მიღწევის საკითხსაც, რაც, მისი აზრით, მტკიცე გარანტი უნდა გამხდარიყო ამიერკავკასიაში ეროვნული დაპირისპირებისა და ეროვნული კონფლიქტების საბოლოოდ აღმოსაფხვრელად.

1921 წლის დამლევს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ზოგიერთი ხელმძღვანელი სამეურნეო ორგანოს გაერთიანების შემდეგ, გადაჭრით დაისვა საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ.

ოპოზიციონერი ქართველი კომუნისტები „ნაციონალ-უკლონისტებად" მოინათლნენ, რომლებიც საქმეს ისე სახავდნენ, თითქოს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის ძალდატანებით ხორციელდებოდა ლენინის სურვილის წინააღმდეგ.

მაგრამ სწორედ ლენინმა შეიმუშავა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების შესახებ წინადადებათა პროექტი 1921 წლის 28 ნოემბერს, რაც ერთხმად მიიღო კიდეც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ.

1922 წლის 12 მარტს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება. მის საფუძველზე შეიქმნა სამოკავშირეო ხელისუფლების ორგანოები. ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები" მაინც განაგრძობდნენ ბრძოლას ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ.

1922 წლის ზაფხულში დაიწყო მოძრაობა საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური გაერთიანებისათვის. შეიქმნა სპეციალური კომისია. წინასწარი პროექტი იოსებ სტალინმა შეიმუშავა. ეს იყო „ავტონომიზაციის" პროექტი, რომლის მიხედვით „დამოუკიდებელი" (ფორმალურად, სინამდვილეში პარტიული ურთიერთობის პრინციპით მთლიანად მოსკოვზე დამოკიდებული) საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთის ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიის უფლებით შედიოდნენ. ამის შესაძლებლობას იძლეოდა რუსეთის კონსტიტუციაც.

1922 წლის 15 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ვალერი კუიბიშევის კომისიის პროექტი და მიიღო დადგენილება: „ამხ. სტალინის თეზისების საფუძველზე შემოთავაზებული გაერთიანება დამოუკიდებელი რესპუბლიკებისა ავტონომიზაციის ფორმით ნაადრევად ჩაითვალოს. სამეურნეო ღონისძიებებისა და ზოგადი პოლიტიკის გაერთიანება საჭიროდ მიგვაჩნია, ოღონდ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით". ასეთმა გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობასა და კავბიუროს ლიდერ სერგო ორჯონიკიძეს შორის.

კომისიის პროექტი მზად იყო 1922 წლის 24 სექტემბერს. ის გაეგზავნა ლენინს, რომელიც ინფორმირებული იყო ქართველი კომუნისტების ერთი ნაწილის კრიტიკული დამოკიდებულების შესახებ (27 ოქტომბერს ლენინი შეხვდა ბუდუ მდივანს და ესაუბრა მას). ლენინმა სტალინის „ავტონომიზაციის" პროექტს დაუპირისპირა დამოუკიდებელი სახელმწიფოების „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში" მათი გაერთიანება. სტალინი ამ მოსაზრებას ადვილად დაეთანხმა და დაიწყო ამ იდეის პროპაგანდა. რკპ(ბ) 1922 წლის ოქტომბრის პლენუმმა, რომელსაც ლენინი არ ესწრებოდა, მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები" განაგრძობდნენ ბრძოლას, ლენინს უგზავნიდნენ ოფიციალურ წერილებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგ, მოითხოვდნენ საქართველოს უშუალოდ შესვლას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რამაც ლენინის გულისწყრომაც კი გამოიწვია, რაც 1922 წლის 21 ოქტომბრის თბილისში გამოგზავნილ მის დეპეშაში გამოიხატა.

თბილისში ლენინის დეპეშის მიღების მეორე დღეს, 22 ოქტომბერს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა გადადგა. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო კომუნისტური პარტიის ისტორიაში. ჩამოყალიბდა ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა (მიხეილ კახიანი,

ბესარიონ (ბესო) ლომინაძე და მათი მომხრეები). მდგომარეობა საქართველოს კომპარტიიაში კიდევ უფრო დაიძაბა. ოპოზიციონერებმა დაიწყეს აშკარა ბრძოლა საქართველოს კომპარტიის ახალი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

ამ რთულ ვითარებაში თბილისში ჩამოვიდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისია (ფელიქს ძერჟინსკი, დ. მანუილსკი და სხვ.), რომელმაც შეისწავლა საქართველოს კომპარტიაში შექმნილი ვითარება. კომისიის წევრები შეხვდნენ როგორც საქართველოს კომპარტიის ახალ ხელმძღვანელობას, ისე ოპოზიციონერებს. ფელიქს ძერჟინსკის კომისიამ მხარი აშკარად ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს და საქართველოს კომპარტიის ახალ ხელმძღვანელობას დაუჭირა.

1922 წლის 10 დეკემბერს ბაქოში შეიკრიბა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობა, რომელმაც მოიწონა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შემდგომი სახელმწიფოებრივი დაახლოების იდეა და შექმნა ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფო. ასევე, მიიღო „ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის“ კონსტიტუცია.

ეს იყო ძალადობის აქტი, კომუნისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით ნასულდგმულევი და საქართველოს ამ ფედერაციული გაერთიანებიდან თავისუფალი გამოსვლის უფლებას ართმევდა.

1922 წლის 30 დეკემბერს გაიხსნა საბჭოების I საკავშირო ყრილობა. სსრ კავშირის შექმნის შესახებ ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა იოსებ სტალინი. ყრილობაზე დამტკიცდა „დეკლარაცია“ და „ხელშეკრულების“ პროექტი, რამაც დააფუძნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — ახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანება.

მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის მიუხედავად, დაპირისპირება საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში არ შეწყვეტილა. ამის საფუძველი გახდა უკვე დაავადებული ლენინის მიერ დაწერილი წერილი „ეროვნებათა, ანუ „ავტონომიზაციის“ საკითხის გამო“, რაც მნიშვნელოვნად ეხმაურებოდა საქართველოს კომპარტიაში შექმნილ ვითარებას. ამ წერილში ლენინი მკაცრად აკრიტიკებდა იოსებ სტალინს, ფელიქს ძერჟინსკის და ორჯონიკიძეს, მოითხოვდა ეროვნული საკითხის მოგვარების დროს კიდევ უფრო მეტ სიფრთხილესა და დათმობას.

ლენინმა 1923 წლის 5 მარტს წერილი გაუგზავნა ლევ ტროცკის და სთხოვა ეთავა ქართველი ოპოზიციონერების დაცვა მომავალ პლენუმზე. მეორე წერილს ის გზავნის თბილისში ფილიპე მახარაძის, ბუდუ მდივნისა და სხვა ოპოზიციონერების სახელზე, რომელშიც მხარდაჭერას და სადავო

საკითხებში გარკვევას ჰპირდება. ამასთან, მის მიერ დაწერილ „პოლიტიკურ ანდერძში“ გაჩნდა მინაწერი სტალინის პარტიის გენერალური მდივნის პოსტიდან გადაყენების რეკომენდაციით.

ინსულტის შეტევამ შეუძლებელი გახადა ლენინის აქტიური მონაწილეობა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში მიმდინარე პროცესების გარკვევის საქმეში. დაპირისპირება კი საქართველოს კომპარტიაში 1924 წლამდე — აგვისტოს აჯანყებამდე და შემდეგ პერიოდშიც გრძელდებოდა. ზოგიერთმა ოპოზიციონერმა მოინანია და სტალინელების პოლიტიკურ დაჯგუფებას შეუერთდა, ნაწილი კი სტალინის მოწინააღმდეგე ძალებს მიემხრო და აქტიური მონაწილეობა მიიღო პარტიულ ბრძოლებში.

1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

საბჭოთა ხელისუფლების ძალდატანებით დამყარების პირველსავე წლებში საქართველოში დაიწყო ბრძოლა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. იგი გამოიხატებოდა საპროტესტო აქციებსა და მანიფესტაციებში. უკვე 1921 წლის შემოდგომაზე მოხდა აჯანყება სვანეთში, რომელიც რამდენიმე თვე გაგრძელდა. სვანეთში რევკომის ხელისუფლება დაამხეს, დაამარცხეს მათ წინააღმდეგ გაგზავნილი წითელი ჯარის ნაწილები, შეკრეს სვანეთში შესასვლელი გზები. ზამთრის დიდთოვლობამ იხსნა სვანები რეპრესიებისაგან. მაგრამ 1922 წლის გაზაფხულზე სადამსჯელო ოპერაცია გაგრძელდა. მიუხედავად სვანთა შეიარაღებული წინააღმდეგობისა, დახმარების გარეშე დარჩენილი აჯანყება ჩააქრეს, თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ სრულად გაითვალისწინა ამბოხებული სვანების სურვილები და წინადადებები.

სვანეთის აჯანყება ცნობილი გახდა ევროპაში და გენუის კონფერენციის (1922 წ. აპრილ-მაისი) ყურადღება მიიქცია.

გენუის კონფერენციას საქართველოდან გაეგზავნა კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას მემორანდუმი, რომელშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, აღწერილი იყო საქართველოში შექმნილი რთული მდგომარეობა რუსეთის მიერ მისი ოკუპაციის შემდეგ. საქართველოს ხელისუფლებამ მემორანდუმის თაობაზე და ანტისაბჭოთა ქმედების ბრალდებით კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია ორჯერ მისცა სამართალში.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას განაგრძობდა 1921 წელს საფრანგეთს თავშეფარებული ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პირველი ტალღა, რომელიც შეადგინეს დემოკრატიული საქართველოს ყოფილმა მთავრობის წევრებმა, პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა,

წევრებმა და ინტელიგენციის ნაწილმა. პოლიტიკური ემიგრაციის მიზანი იყო ბრძოლის გაგრძელება საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ევროპის ქვეყნების მესვეურთა მხარდაჭერის საფუძველზე.

საქართველოს ემიგრანტული მთავრობა მიმართავდა ერთა ლიგას მემორანდუმით, რომელშიც საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვის საფუძველზე ითხოვდა, ამ ორგანიზაციას ხმა აემაღლებინა წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ. მაგრამ ეს მემორანდუმი უპასუხოდ დარჩა. უფრო ვრცელი მემორანდუმი წარადგინა საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ ერთა ლიგის მომდევნო, 1922 წლის სექტემბრის ასამბლეაზე. ერთა ლიგის რეზოლუციებს, რომელთა შინაარსი ძირითადად მორალურ თანადგომაში მდგომარეობდა, შედეგი არ მოჰყოლია და ვერც მოჰყვებოდა, რადგან საბჭოთა ქვეყანას უკვე ანგარიშს უწევდნენ, უფრო მეტიც, მასთან კავშირსაც ამყარებდნენ.

ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ საფრანგეთში ჩასვლისთანავე წამოჭრა საქართველოში აჯანყების მოწყობის იდეა. ამისათვის საჭირო იყო თანხა, იარაღი, მეზობლებთან, კერძოდ, ოსმალეთთან საქმის გამორკვევა...

ნოე ჟორდანია სიფრთხილით ეკიდებოდა ბრძოლას ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. იგი აჯანყების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მაგრამ „თუ საქართველოში ხალხი, ორგანიზაციები დაადგენენ ავჯანყდეთ, — ამბობდა – ჩვენ იძულებული ვიქნებით დავეხმაროთ, რაც შეგვეძლება“ და დაასკვნიდა: „უნდა ვემზადოთ, მაგრამ საერთო გამოსვლა საერთაშორისო მდგომარეობას უნდა დავუკავშიროთო“.

ფრიად საინტერესო იყო ემიგრანტი მეცნიერ-ისტორიკოსის, ექვთიმე თაყაიშვილის პოზიცია. იგი რეალურად აფასებდა არსებულ სიტუაციას და ამბობდა: „აქ სულ სულისკვეთებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ამით რომ ვერ მოერევიან მტერს? ჩვენში საერთაშორისო მდგომარეობა არ იციან, ჭურში არიან. არც იარაღი აქვთ, არც სურსათი, არც წამალი და მაინც უნდა ავჯანყდეთ! შეიძლება ხალხი ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში. მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა ვურჩიოთ აჯანყება ახლანდელ პირობებში“.

1922 წლის სექტემბრის დამდეგს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოთავეობით, აჯანყება დაიწყო კახეთსა და ხევსურეთში. თბილისიდან დამსჯელი ჯარი კახეთში შევიდა და სოფლების აოხრება დაიწყო. ამასობაში დაიწყო ამ გამოსვლის აქტიურ მონაწილეთა რეპრესიები. ქაქუცა ჩოლოყაშვილი იძულებული გახდა თავისი რაზმით ხევსურეთში გადასულიყო.

კახეთ-ხევსურეთის აჯანყებამ გამოხმაურება პოვა საზღვარგარეთ. რეპ-

რესიები მწვავე ხასიათს იღებდა. საქართველოს რევკომმა ჯერ კიდევ 1921 წლის 25 თებერვლის დეკრეტით ამნისტიის შესახებ სცადა ანტისაბჭოთა პარტიების „შემორიგება“, მაგრამ სულ მალე მათ წინააღმდეგ ძალის გზას დაადგა. სოციალისტური პარტიებიდან სოციალ-დემოკრატები, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები საბჭოთა ხელისუფლების მიმართ აშკარად მტრულ პოზიციაზე იდგნენ, ზოგმა კი (მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა, რომლებიც 1923 წლის ნოემბერში კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანდნენ) ლოიალობა გამოუცხადა ხელისუფლებას. ადგილი ჰქონდა პარტიათა შორის დაპირისპირებასაც. უკვე 1921 წლის შუახანებში დაიწყო მოლაპარაკება მათ შორის ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნისთვის, რაც თითქმის ერთი წელი გაგრძელდა. 1922 წლის მაისში შეიარაღებული გამოსვლის მომზადების მიზნით შეიქმნა ანტისაბჭოთა პარტიების — სოციალ-დემოკრატების, ეროვნულ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების (1921 წელს იგი გაიყო მემარჯვენე და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიებად), სოციალისტ-რევოლუციონერების და დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების (სხვეელები) ბლოკი – „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (დამკომი), იგივე პარიტეტული კომიტეტი ანუ ინტერპარტიული კომიტეტი. მისი პირველი თავმჯდომარე იყო გოგიტა ფაღავა, შემდეგ ნიკოლოზ ქარცივაძე – 1923 წლის მარტამდე, დაპატიმრებამდე, შემდეგ კი კონსტანტინე ანდრონიკაშვილი.

1923 წლის დამდეგიდან საქართველოში დაიწყო ანტისაბჭოთა პარტიების ე.წ. თვითლიკვიდაციის კამპანია. ეს აქციები, ცხადია თავისთავად არ მომხდარა. ისინი მმართველი კომუნისტური პარტიის რეპრესიების გაძლიერების შედეგი იყო.

ყოველივე ამის მიუხედავად, ანტისაბჭოთა შეიარაღებული გამოსვლა იგეგმებოდა 1923 წლის 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს (რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ ორ წელს არცთუ ფართოდ, მაგრამ მაინც აღინიშნებოდა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ იგი აიკრძალა და მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს გახდა შესაძლებელი მისი აღდგენა). მაგრამ აჯანყება არ შედგა იმის გამო, რომ 1923 წლის მარტში დააპატიმრეს „სამხედრო ცენტრის“ შემადგენლობა მთლიანად და იმავე წლის 20 მაისს დახვრიტეს ქართული მხედრობის, სამხედრო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები – გენერლები: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, კოტე აფხაზი; პოლკოვნიკები: რ. მუსხელიშვილი გ. ხიმშიაშვილი, ალ. მაჭავარიანი, ე. გულისაშვილი, დ. ჩრდილელი; ოფიცრები: ფ. ყარალაშვილი, ს. ბაგრატიონ-მუხრანელი;

სახელმწიფო მოხელეები: ნ. ზანდუკელი, ი. კერესელიძე, ს. ჭიაბრიშვილი, ფ. ქუთათელაძე და ლ. კლიმიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დამკომისთვის" ნათელი იყო, რომ გარედან, პოლიტიკური ემიგრაციის დახმარების გარეშე აჯანყების წარმატება შეუძლებელი იქნებოდა. აჯანყების თავდაპირველ თარიღად დანიშნული იყო 1924 წლის თებერვალი, მაგრამ იგი გადაიდო სახსრების უქონლობისა და აჯანყებისათვის სამზადისის ზოგიერთი აქტიური მონაწილის დაპატიმრების გამო. აჯანყების კოორდინაციის მიზნით საქართველოში ჩამოვიდა ვ. ჯუღელი, რომელიც „ჩეკამ" (საგანგებო კომისია) მალე დააპატიმრა.

საქართველოს ყოფილი მთავრობის წევრები შედარებით სიფრთხილეს იჩენდნენ აჯანყების მოწყობის საკითხში. თუ ინტერპარტიულ კომიტეტში ერთსულოვნება იყო, პარტიებს შორის უთანხმოება სუფევდა.

1924 წლის ივლისის შუა რიცხვებში „დამკომის" გაფართოებულ კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ყველა პარტიის კომიტეტების წევრები და მთავარსარდალი ს. ჭავჭავაძე, სამხედრო კომისიამ ანგარიში ჩააბარა „დამკომს" — აღირიცხა რაზმელების ძალები, რის შემდეგაც მთავარსარდალმა ძალები და ტექნიკური მუშაობა საკმარისად მიიჩნია აჯანყების დაწყებისათვის. გადაწყდა აჯანყების დაწყების დრო — 17 აგვისტო.

აჯანყების გეგმის მიხედვით პირველად თბილისი უნდა გამოსულიყო. ამიტომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი თბილისიდან 20 კმ-ზე მდებარე სოფელ ნახშირგორასთან დაბანაკდა. იქ მოიყარეს თავი მ. ლაშქარაშვილის და გ. ნაცვლიშვილის რაზმებმა, დუშეთისა და დიღმის რაზმებმა, კაპიტან ვაჩნაძის ბორჩალოს და მანგლისის რაზმებმა. ამ დროისათვის ვაზიანში დაბანაკებული იყო რუსული არტილერია 120 ზარბაზნით. საჭირო იყო ამ ძალის ხელში ჩაგდება, რაც პოლკოვნიკ ი. ცაგურიას რაზმს უნდა მოეხდინა, რათა რუსებისათვის ჩამორთმეული ზარბაზნებით მისდგომოდნენ თბილისს ნავთლუღის მხრიდან. ი. ცაგურიას განკარგულებაში გადავიდნენ თელავის, სიღნაღისა და გურჯაანის რაზმები. აჯანყების დაწყება უნდა ეცნობებინათ ჩრდილოკავკასიელებისათვის. ს. ზალდასტანიშვილის მოწმობით, აჯანყების გეგმის შეცვლა და მისი დაწყება არახელსაყრელ პირობებში, ნიშნავდა ფაქტობრივად აჯანყების ჩაშლას, რადგან ვ. ჯუღელს „ჩეკამ" მოტყუებით ათქმევინა აჯანყების დაწყების დღე. ჯუღელს მოსთხოვეს ემოქმედა, რათა მიეღწია აჯანყების დაწყებაზე უარის თქმისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად მოექცეოდნენ იმათ, ვინც უკვე დატუსაღებული იყო. სხვა მონაწილეებსაც დახვრეტით ემუქრებოდნენ. ვ. ჯუღელს არაფერი დარჩენოდა თუ არა წერილი გამოეგზავნა „დამკომისათვის". „დამკომის" წევრებმა კარგად იცოდნენ, რომ წერილის ავტორი „ჩეკა" იყო, ამიტომ პა-

სუხში აღნიშნეს, „გამოსვლის საკითხი ახლო მომავალში არ დგას და არავითარ აჯანყებას არ ვაპირებთო“. მაგრამ „ჩეკა“ ამით არ დაკმაყოფილდა — დაიწყო თბილისის გამაგრება, გზების შეკვრა, თბილისიდან გასვლისა და შემოსვლის აკრძალვა, ქუჩებში საღამოს პატრულირების შემოღება, საეჭვო სამხედრო პირების დაპატიმრება. ბათუმში დააპატიმრეს გენერალი ფურცელაძე, გურიაში გენერალი კ. ყარალაშვილი. ამან დიდი გავლენა მოახდინა მთავარსარდლის განწყობილებაზე. მას გამარჯვების იმედი აღარ ჰქონდა. ს. ჭავჭავაძე „დამკომს“ ატყობინებდა, რომ „ამ პირობებში გამოსვლა შეუძლებელი ხდებოდა“, მაგრამ „დამკომის“ თავმჯდომარის მოადგილე იასონ ჯავახიშვილი გადაჭრით მოითხოვდა აჯანყებას, რომელიც, მისი თქმით, უკვე დაწყებული იყო და ამ პირობებში უკან დახევა და მისი შეჩერება უფრო მეტ მსხვერპლს გამოიწვევდა. მან მთავარსარდლის გადაყენება და მის ნაცვლად ქაქუცა ჩოლოყაშვილის დანიშვნა მოითხოვა, მაგრამ „დამკომმა“ ეს წინადადება არ მიიღო. აჯანყების დაწყების დღედ დათქვეს 29 აგვისტო, მაგრამ ნავარაუდევი ექვსასი კაცის ნაცვლად ქაქუცა ჩოლოყაშვილს მხოლოდ 60 კაცი მიუვიდა.

თბილისი ორი მხრიდან უნდა ყოფილიყო აღებული. ერთი მხრივ, მანგლისში შეიარაღებული ხალხით, ხოლო მეორე მხრივ, ვაზიანიდან წამოსული ძალით. მაგრამ ვაზიანში არაფერი გაკეთდა მიუხედავად იმისა, რომ ეს „ოპერაცია იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ის იგულისხმებოდა, როგორც აჯანყების ძველი გეგმით, ისე ახალი ვარიანტით“. აჯანყების ბედი გადაწყვიტა თბილისზე წარუმატებელმა შეტევამ, უფრო სწორად, შეტევის შეუძლებლობამ ხელისუფლების მიერ მისი გამაგრება-დაცვის გამო.

ამას გარდა, საბედისწერო შეცდომა იქნა დაშვებული, ერთი დღე-ღამით ადრე 28 აგვისტოს გამოსვლით ჭიათურაში, რამაც მთავრობას მისცა შესაძლებლობა უფრო ადრე გასწორებოდა აჯანყებულებს, ვიდრე აჯანყება დაიწყებოდა. ერთი დღით ადრე დააპატიმრეს კახეთში ყველა ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი. გამოსვლები მოხდა შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის მაზრებში, მაგრამ აჯანყება დამარცხდა.

1924 წლის 6 სექტემბერს თბილისში გამომავალმა გაზეთებმა „კომუნისტმა“, „რაბოჩაია პრავდამ“ და „ზარია ვოსტოკამ“ გამოაქვეყნეს დამოუკიდებლობის კომიტეტის განცხადება, რომელიც მან მიიღო 5 სექტემბერს. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი დღიდან თავისი დაარსებისა, მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და დარწმუნებული იყო, ამის განსახორციელებლად შეძლებდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებას და მოწყობას საქართველოში. ამისათვის დამოუკიდებლობის კომიტეტი იმ პარტიების

დახმარებით, რომლებიც მას მიემხრნენ, რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდა სათანადო მუშაობას და აიარაღებდა რაზმებს. მეორე მხრივ საზღვარგარეთის ბიუროს მეოხებით ცდილობდა შეექმნა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, განსაკუთრებით საფრანგეთსა და ინგლისში, სათანადო პირობები დახმარების მისაღებად, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, რის გამოც ჩვენ დავმარცხდით. მასობრივი ორგანიზებული გამოსვლა, რასაც ჩვენ ველოდით არ შედგა. ხალხის ფართო მასებმა მხარი არ დაგვიჭირეს და შეგვრჩა მხოლოდ ის აქტიური ძალები, რომელიც ერის ზედაფენებში იყო დაგროვილი და მეტწილად ტყეებში გახიზნული. ჩვენი გამოსვლები სინამდვილეში ჩვენდა უნებურად ავანტიურად გადაიქცა. ხელისუფლების მხრივ ამას მოჰყვა რეპრესიები. პასუხისმგებლობა ამის გამო ჩვენ გვეკისრება. დამოუკიდებლობის კომიტეტი აღიარებს, რომ ამ გამოსვლით მან შეცდომა დაუშვა. იგი აცხადებს, რომ დღეიდან შეიარაღებული ბრძოლის გაგრძელება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველგვარ პერსპექტივას მოკლებულია და ქართველი ერისათვის დამღუპველი იქნება. ამის გამო დამოუკიდებლობის კომიტეტი მიმართავს მასში შემავალ ყველა პარტიას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ შეიარაღებულ რაზმებს წინადადებით... დაშალონ სავსებით ყველა შეიარაღებული ძალები, იარაღი ჩააბარონ მთავრობის ორგანოებს და მთავრობის მორჩილებით შეეცადონ შეამცირონ ის უდიდესი უბედურება, რომელიც ქართველ ერს ჩვენმა გამოსვლამ მოუტანა. დღეიდან დამოუკიდებლობის კომიტეტს, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივად, დაშლილად ვაცხადებთ".

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების გამო, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია პასუხისმგებლობას არ გაურბოდა და თვლიდა, რომ მას უნდა სცოდნოდა, რომ „კავკასიის მასშტაბით არ მოხდებოდა გამოსვლა, არც უცხოეთიდან იქნებოდა დახმარება, ამიტომ ემიგრაციას უნდა ეთხოვა დამკომისათვის შეჩერებულიყო". ნოე ჟორდანია პოზიციას არ იცვლიდა, იგი აჯანყების წინააღმდეგი იყო.

და მაინც, აჯანყების შედეგს პოლიტიკური ემიგრაცია სხვაგვარადაც აფასებდა. მაგალითად, ირაკლი წერეთელი არ ეთანხმებოდა ნოე ჟორდანიას იმაში, რომ დამარცხების მიუხედავად, აჯანყებამ თითქოს საქართველოს საერთაშორისო გამარჯვება მოუტანა და აღნიშნავდა, რომ „როდესაც საქართველოში სისხლის მდინარე იღვრებოდა, ჩვენ ვცდილობდით, რომ რომელიმე სახელმწიფოს დიპლომატიური გამოქომაგება გვეპოვა", მაგრამ „ყოველი ასეთი მეცადინეობა უნაყოფო დარჩა, არც ერთმა სახელმწიფომ შესაძლოდ არ დაინახა, საბჭოთა მთავრობისათვის აგვისტოს

ამბების გამო მიემართა". ამას, სამწუხაროდ, თავისი „საფუძველი" ჰქონდა — ევროპის სახელმწიფოები საქართველოს საქმეებს რუსეთის შინაგან საქმედ მიიჩნევდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყების დამთავრებას მოჰყვა სასტიკი რეპრესიები. დახვრეტილთა შორის იყვნენ ყოფილი მთავრობის მინისტრი ნოე ხომერიკი, თბილისის ყოფილი ქალაქისთავი ბენო ჩხიკვიშვილი, ქართული ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი ვალიკო ჯუღელი, გენერლები: ყარალაშვილი, ფურცელაძე, გარდაფხაძე, ვაჩნაძე, „დამკომის" თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, მისი მოადგილე იას. ჯავახიშვილი. აჯანყების პირველსავე დღეს თბილისის სატუსაღოებიდან გამოიყვანეს და დახვრიტეს აჯანყებამდე რამდენიმე თვით ადრე დაპატიმრებული 24 პოლიტიკური პატიმარი. ამის გარდა, თბილისში აჯანყების დროს დახვრიტეს 36, სიღნაღის მაზრაში — 21, თელავის მაზრაში — 16, შორაპნის მაზრაში — 31. სამეგრელოში დახვრიტეს 451 კაცი, გორის მაზრის სოფელ რუისში ამოწყვიტეს ფანიაშვილების მთელი ოჯახი — 24 ადამიანი, ჭიათურაში ვაგონებში ჩაყარეს აჯანყების მონაწილე და არამონაწილე მოქალაქეები ვითომდა თბილისში გასაგზავნად და სადგურ ყვირილასთან ტყვიამფრქვევებით ჩაცხრილეს ვაგონებში გამომწყვდეული 95 კაცი.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე სერგო ორჯონიკიძემ დაასახელა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მსხვერპლთა რიცხვი — 980 კაცი. არ გვგონია დაფიქსირებული რაოდენობა შემცირებული იყოს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ანტისაბჭოთა გამოსვლების მონაწილეთა სასტიკი დასჯა შეესაბამებოდა ბოლშევიკების საერთო შინაპოლიტიკურ კურსს.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დამოკიდებულება 1924 წლის აჯანყებისადმი არაერთმნიშვნელოვანი იყო. ემიგრანტთა ნაწილი მხარს უჭერდა და ყოველნაირად აქეზებდა საქართველოში არსებულ ძალებს ებრძოლათ ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ, საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად. მაგრამ ემიგრანტთა მხარდაჭერა მორალურ და პროპაგანდისტულ ჩარჩოებს ვერ სცილდებოდა. ამასთან, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას არ ჰქონდა ბოლომდე გაცნობიერებული აჯანყების განხორციელების როგორც საგარეო, ისე საშინაო პირობები. რეალისტურად ვერ აფასებდა იგი იმ რეჟიმის შესაძლებლობებს, რომლის წინააღმდეგაც უნდა ებრძოლათ.

1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყების დამარცხების გამო ქართული პოლიტიკური ემიგრაცია პასუხისმგებლობას გრძნობდა.

ნოე ჟორდანიას, როგორც ყოფილი მთავრობის მეთაურს, პრინციპუ-

ლი პოზიცია ეკავა, როდესაც ამბობდა: „აჯანყების პასუხისმგებლობას უარყოფენ იმიტომ, რომ იგი დამარცხდა, მე კი თუმცა აჯანყების [illegible] აღმდეგი ვიყავი, მის პასუხისმგებლობას ვიზიარებ“. „აჯანყებამ, მართალია, ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ ჩვენი ხალხი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას განაგრძობს, — აღნიშნავდა ირაკლი წერეთელი — მაგრამ ქვეყნის (ე.ი. მსოფლიოს) განწყობილება ჩვენდამი საუბედუროდ მას არ შეუცვლია და ჩვენი საკითხის საერთაშორისო მდგომარეობა დღეს ისეთივეა, როგორც აჯანყებამდე იყო“, რომ „რუსეთთან შეიარაღებულ კონფლიქტში ევროპის დახმარების მოლოდინი უნიადაგო იყო“, რომ „ჩვენი გამარტოებული ძალებით ვერ ვძლევთ რუსეთის დესპოტიას, მისგან თავს ვერ ვიხსნით, თუ ის თვით რუსეთის შინაგანმა ძალებმა არ შეარყია“, რაც თანამედროვე ისტორიულმა რეალიებმა სავსებით დაადასტურა.

საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ აღნიშნული აჯანყება მცირერიცხოვანი ბანდის მიერ მოწყობილ შეთქმულებად, ავანტიურად გამოაცხადა. ბოლო წლებში ქართველ ისტორიკოსთა შორის სულ უფრო და უფრო ვრცელდება აზრი, რომ 1924 წლის აჯანყება პროვოცირებული იყო კომუნისტური ხელისუფლების მიერ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გასწორებოდნენ არაკომუნისტურ ოპოზიციას, დაენერგათ ქვეყანაში „შიშის სინდრომი“, დაეშინებინათ ინტელიგენცია და მოსახლეობის პატრიოტულად განწყობილი ნაწილი, უზრუნველეყოთ პირობები კომუნისტურ მიზანდასახულობათა განსახორციელებლად. ფაქტები ადასტურებს, რომ ყველა ეს ამოცანა მეტ-ნაკლები წარმატებით გადაიჭრა და ქვეყანაში დამკვიდრდა „პროლეტარული დიქტატურა“, ანუ ერთი პარტიის — კომუნისტური პარტიის შეუზღუდავი ხელისუფლება.

1924 წლის აჯანყების დამარცხებამ დიდი გავლენა მოახდინა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის განწყობილებაზე.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების მარცხის მიუხედავად ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილს არ შეუწყვეტია მცდელობა, რომ საქართველოს საკითხს კიდევ ერთხელ დააყენებდა ევროპის სახელმწიფოების ლიდერების წინაშე.

იმ წლების მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ პარიზში დაარსდა ქართველი პატრიოტული ახალგაზრდობის ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენერალი ლეო კერესელიძე.

„თეთრი გიორგის“ დაარსება მოასწავებდა ახალ ეტაპს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრებაში, რომლის ინიციატორი იყო ქართველ ემიგრანტთა ახალი თაობა. ეს იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი

ბრძოლის ერთი, აქტიური ეტაპის დასასრული, რომელშიც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში არსებულ მებრძოლ ძალებთან ერთად ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ, როგორც თავისი დიპლომატიური მოღვაწეობით, ასევე მორალური თანადგომის მხრივ და მარცხის ტკივილის გაზიარება-გათავისების სახით.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილეთა სასტიკმა რეპრესიებმა განაპირობეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის და „შეფიცულთა" ნაწილის მიერ საქართველოს დატოვება და ემიგრაციაში გახიზვნა 1924 წლის სექტემბრის დასაწყისში.

როგორც საქართველოდან გასულთ, ისე რეპრესირებულთ სწამდათ, რომ მართალი საქმისათვის, სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. 1924 წლის აჯანყებით დასრულდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი ეტაპი.

მრეწველობის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია

20-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს მრეწველობის აღორძინება უმთავრესად ძველი ტექნიკის ბაზაზე მოხდა, რაც დარგის შემდგომი განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენდა. ამასთან, იგი აფერხებდა სოფლის მეურნეობის გარდაქმნის დაწყებულ პროცესსაც. ქვეყანა იდგა მრეწველობის თვისებრივი განვითარების, კერძოდ, ახალი ტექნიკის ბაზაზე მძიმე ინდუსტრიის განვითარების აუცილებლობის წინაშე. ამიტომ საკ. კპ (ბ) XIV ყრილობამ (1925 წლის 18-31 დეკემბერი) აიღო კურსი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ. ინდუსტრიალიზაცია უკავშირდებოდა საგარეო ფაქტორსაც, რამდენადაც იგი საბჭოთა კავშირის ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობად განიხილებოდა. საქართველოსთვის ინდუსტრიალიზაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მით უფრო, რომ მას საამისო პოტენციური შესაძლებლობები ჰქონდა – ჰიდროენერგეტიკული რესურსები, სათბობი, წიაღისეული, ხეტყის მდიდარი მასივები, ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო კულტურები ქმნიდნენ პირობებს საქართველოში მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის. მაგრამ მას თავისებურებანიც ახასიათებდა, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ მსხვილი მრეწველობის მშენებლობა იწყებოდა ერთობ დაბალი დონიდან, მწირ ტექნიკურ და ენერგეტიკულ ბაზაზე, მცირე იყო კვალიფიციური მუშებისა და სპეციალისტების რაოდენობა, არასაკმარისად იყო გამოკვლეული ბუნებრივი სიმდიდრეები და ა. შ. საქართველოს კპ(ბ) IV ყრილობამ (1925 წლის 30 ნოემბერი – 5 დეკემბერი) დასახა მსხვილი მრეწველობის ახალი კერების შექმნის

და ამისათვის ტრანსპორტის რეკონსტრუქცია-განვითარების ამოცანები, ხოლო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის დეკემბრის პლენუმმა შეიმუშავა მრეწველობის განვითარების და იმავდროულად სოფლის მეურნეობის პროპორციული განვითარების ღონისძიებანი.

ინდუსტრიალიზაციის განხორციელება საქართველოში რთულ ვითარებაში იწყებოდა. ქართველ უკლონისტთა ნაწილი მიემხრო სხვადასხვა ოპოზიციურ ჯგუფებს, რომლებიც 1926 წელს ინდუსტრიალიზაციის კურსის წინააღმდეგ გამოვიდნენ. საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ზოგიერთი მოწინააღმდეგე მსხვილი მრეწველობის შექმნის წყაროების განხილვისას მიუთითებდა იმაზე, რომ „მსოფლიო ბაზრისა და ჩვენი წარმოების წესის დღევანდელ პირობებში საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს ვერ ექნება მიმზიდველი ძალა უცხოეთის კაპიტალისათვის, ვერ მიეცემა ამ სიმდიდრეს ისეთი საექსპორტო მნიშვნელობა, რაც თავის მხრივ შეიძლება საფუძვლად დაედოს ჩვენში მსხვილი მრეწველობის განვითარებას“.

ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპები საქართველოსთვის ზოგიერთ ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკს დროებით მოვლენად მიაჩნდა. მეტალურგიის, ქვანახშირის და ნავთობის მრეწველობის განვითარების ხაზის დასახვას უაზრობად თვლიდა, ხოლო ამ დარგების განვითარების გარეშე შეუძლებელი იყო ფართოინდუსტრიული განვითარება. მძიმე ინდუსტრიაზე იმედის დამყარება „წაგვიყვანდა განვითარების არა ბუნებრივი გზით და ბოლოს და ბოლოს მეტად მძიმე ეკონომიკურ შედეგს მოგვცემდა“. ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი მხარს უჭერდა მხოლოდ მსუბუქი მრეწველობის, აბრეშუმის, თამბაქოს, კონიაკ-სპირტის, სატყეო დარგების განვითარებას. მაგრამ მძიმე ინდუსტრიის განვითარების აღებული საკავშირო კურსის განხორციელების აუცილებლობა შეუვალი იყო. იგი საქართველოს სამომავლო ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს არ ეწინააღმდეგებოდა, პირიქით, ხელს უწყობდა.

ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას დიდი მოცულობის კაპიტალდაბანდებანი ესაჭიროებოდა, რაც სახელმწიფო მრეწველობაში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის და შრომის ნაყოფიერების ზრდის, მოსახლეობის სახსრების, ინდუსტრიალიზაციის სესხებისა და ანაბრების მობილიზაციის გზით უნდა განხორციელებულიყო.

შინადაგროვების გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მრეწველობის მართვის რეორგანიზაციას, რომელიც 1926 წელს გატარდა. ამის შედეგად გაფართოვდა საწარმოთა დირექტორების უფლებები ერთმმართველობის სახით, მკვეთრად შემცირდა შუალედური რგოლები საწარმოებსა და ტრესტებს შორის, რითაც შემცირდა არამწარმოებლური ხარჯები.

ქართველმა ახალგაზრდა მანქანათმშენებლებმა 1926 წლიდან დაიწყეს აბრეშუმის რთული ძაფსახვევი მანქანების მასობრივად გამოშვება, რის შედეგადაც შეწყდა ამ მანქანების შემოზიდვა იტალიიდან და დაიზოგა ათეულათასობით მანეთი ოქროთი. მძიმე ინდუსტრიის განვითარებას ხელს უწყობდა მსუბუქი მრეწველობა, რომლის პროდუქციის ნაწილი, მაგალითად, აბრეშუმის პარკის ადგილზე გადამუშავებისა და საფეიქრო წარმოების მოწყობის შედეგად მიღებული, ძვირად ღირებული ნახევარფაბრიკატი იგზავნებოდა მსოფლიო ბაზარზე, რაც ზრდიდა სავალუტო ფონდს ჭიათურის მანგანუმის ამერიკული კონცესიის გზით მიღებულ სავალუტო შემოსავალთან ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ კონცესია „ჰარიმანი და კომპანია" საკონცესიო ვალდებულებებს სრულად არ ასრულებდა. ამერიკული კონცესიის ეკონომიკური შედეგი გამოიხატა მანგანუმის მოპოვებისა და რეალიზაციის შეკვეცაში, მსოფლიო ბაზარზე ჭიათურის მანგანუმის ერთერთი წამყვანი პოზიციის დაკნინებაში, უკანონო ოპერაციების გზით სავალუტო შემოსავლების შეგნებულ შემცირებაში და ა.შ. მანგანუმის წარმოების ამერიკული კონცესია გაუქმდა 1928 წლის აგვისტოში კონცესიონერის მოთხოვნით, რომელიც შეზღუდული იყო საბჭოური კანონმდებლობით. კონცესიის გაუქმების შემდეგ, რაც საბჭოთა მხარისთვის იძულებითი ნაბიჯი იყო, მანგანუმის წარმოება აღორძინების გზას დაადგა. უკვე 1929 წლის 1-ლი თებერვლისათვის 35 მაღაროდან აღდგენილ იქნა 17 მაღარო და გამამდიდრებელი ფაბრიკები. ამ დროისათვის მანგანუმის წარმოებაში მუშაობდა 9300 მუშა-მოსამსახურე, გაიზარდა მადნის მოპოვება, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა მაღაროელ მუშათა შრომამ, შრომითმა მეტოქეობამ, სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც ქვეყანაში ფართოდ გაიშალა.

ექსპორტის საგანს შეადგენდა ასევე დიატომიტი, ბარიტი, ფლორიდინი (გუმბრინი), ლითოგრაფიული ქვა, მარმარილო, აგრეთვე აბრეშუმი, თამბაქო, ღვინო, ხეტყე, კაკალი და სხვ. მაგრამ ექსპორტით მიღებული სავალუტო შემოსავლები შედიოდა არა საქართველოს, არამედ საკავშირო ბიუჯეტში, საიდანაც საქართველოს რესპუბლიკა თანხებს საკავშირო განაწილების წესის მიხედვით იღებდა. მაგალითად, ზაჰესის მშენებლობაზე დახარჯული 15,7 მილიონი მანეთიდან 11 მილიონი მანეთი დახარჯულ იქნა საკავშირო ბიუჯეტიდან. რიონჰესის მშენებლობისათვის გათვალისწინებული 13 მილიონი მანეთიდან საკავშირო ბიუჯეტმა გამოყო 9,7 მილიონი მანეთი. ინდუსტრიალიზაციის დაწყებით პერიოდში საქართველოს ბიუჯეტი დეფიციტური იყო და იფარებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის, განსაკუთრებით, საკავშირო ბიუჯეტიდან.

შინადაგროვების ზრდაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს 1926-1929 წლებში გამოშვებულმა ინდუსტრიალიზაციის სესხებმა. მარტო პირველი და მეორე სესხის რეალიზაციის შედეგად მიიღეს 4 მილიონი მანეთი. უფრო მეტი სახსრები იქნა მიღებული მესამე სესხის ობლიგაციების გავრცელებით, რაც ხელს უწყობდა კაპიტალდაბანდების ზრდას. ამან, თავის მხრივ, განაპირობა ახალ სამრეწველო საწარმოთა ამუშავება. კერძოდ, 1926 წლის მეორე ნახევარში ამუშავდა ახალი და რეკონსტრუირებული აბრეშუმის ძაფსახვევი და ძაფსაგრეხი ფაბრიკები ოზურგეთში, ხონსა და თელავში. გაფართოვდა თბილისისა და სამტრედიის ამ პროფილის ფაბრიკები. მეაბრეშუმეობამ მიიღო მკვეთრად გამოხატული სამრეწველო ხასიათი. იმავე წლის დამლევს ამუშავდა ქუთაისის რეზინის და შულავერის ბამბის საპენტი ფაბრიკები.

ინდუსტრიალიზაციის წლებში დასრულდა ზაჰესის მშენებლობა, მისი პირველი რიგი საზეიმოდ გაიხსნა 1927 წლის 27 ივნისს, ხოლო მეორე დღეს — 28 ივნისს, ქუთაისის მახლობლად სოფელ ჭომას მიდამოებში, მდინარე რიონზე მომავალი გვირაბის სათავესთან, კლდის სამი ნაღმის აფეთქებით საძირკველი ჩაეყარა უფრო მძლავრი — რიონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. ამავე პერიოდში შენდებოდა აჭარისწყლის (აწჰესი), აბაშის (აბჰესი) და ალაზნის ჰესი. 1928 წელს ამუშავდა აწჰესი. 1926 წელს საქართველოში მუშაობდა 7 სასოფლო ელექტროსადგური. ადგილობრივი გლეხობის ძალებით აშენდა სოფელ ველისციხის, ხონის, შოვის, ონის, აბასთუმნის, ახალციხის, აწყურის ჰიდროელექტროსადგურები. მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია გამოიყენებოდა არა მარტო განათებისთვის, არამედ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (წისქვილი, ხეტყის ხერხვა და ა. შ.).

1926-1927 წლებში დამთავრდა თბილისის ლითონკონსტრუქციების და ლითოგრაფიული ქვის დამამზადებელი ქარხნების, მარელისის გრეხილაქეჯის ფაბრიკის, ბათუმის ხის დამმუშავებელი ქარხნის მშენებლობა. საფუძველი ჩაეყარა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, სადგურ კასპის მახლობლად ცემენტის ქარხნის მშენებლობას, ამუშავდა ფხვიერი ქვანახშირის საბრიკეტო ფაბრიკა, საკავშირო მნიშვნელობის ბორჯომის საკასრე ქარხანა, 1928 წელს გორის საკონსერვო ქარხანა (რომლის პროდუქცია საექსპორტო იყო), სოფელ ქისათიბში დიატომიტის საფქვავი, მცხეთის ხეტყის ქარხნები; 1929 წელს — ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა, ქუთაისის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, ნოსირის (სენაკის მაზრა) აგურ-კრამიტის და მოწამეთის კირის ქარხნები. გაფართოვდა ნავთობის საძიებო სამუშაოები კახეთსა და გურიაში. იტალია-ბელგიის საკონცესიო

კომპანიამ 1927-1928 წლებში შირაქში გაჭრა 540 მ სიღრმის ჭაბურღილი, მაგრამ ამით ამოიწურა მისი „მოღვაწეობა“. 1930 წელს ამუშავდა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი.

ლითონდამმუშავებელ ქარხნებს არ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ მოთხოვნილება მათ პროდუქციაზე. ამიტომ გადაწყდა დიდუბეში მსხვილი მექანიკური ქარხნის მშენებლობა. მანქანებზე დიდი მოთხოვნილების გამო თურქესტანმა საქართველოს დაუკვეთა აბრეშუმის 800 ძაფსახვევი მანქანა, 1927-1928 სამეურნეო წელს თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანამ მოკავშირე რესპუბლიკებს გაუგზავნა 600 ასეთი მანქანა, მათგან მარტო თურქესტანს – 432. აღსანიშნავია, რომ ასეთი მანქანები მზადდებოდა მხოლოდ თბილისში, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ შეწყდა საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო მანქანების იმპორტი.

ინდუსტრიალიზაციის წლებში, ჩაის მრეწველობის გაფართოების პირობებში, საქართველოში არსებულ 6 ფაბრიკას არ შეეძლო დიდი რაოდენობის ჩაის ფოთლის გადამუშავება, ამიტომ მანქანათმშენებლობა შეუდგა ჩაის ფაბრიკებისათვის როლერების გამოშვებას. ამ დარგში საბჭოთა კავშირმა დაიკავა მონოპოლიური მდგომარეობა.

განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა კვების მრეწველობა აფხაზეთში, გუდაუთასა და გალში ამუშავდა სპირტის სახდელი ქარხნები. 1921-1928 წლებში საქართველოში აშენდა 42 ახალი სამრეწველო საწარმო.

საქართველოს სამრეწველო განვითარებაში საკმაო ადგილი ეკავა შინამრეწველობას (ხელოსნურ წარმოებას), რომელსაც არსებობის ხანგრძლივი ისტორია და მყარი ტრადიცია გააჩნდა. ეს განპირობებული იყო ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით (სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხასიათი, სახნავ-სათესი მიწების სიმცირე, მიმოსვლის საშუალებათა უქონლობა მაღალმთიან ადგილებში და სხვ.). ხელისუფლება მოსახლეობის მოხმარების საგნებით დაკმაყოფილების მიზნით, დაბეგვრის შემსუბუქებით, ნედლეულის შეღავათიან ფასებში მიწოდებით, დუქნების ქირის დაკლებითა და სხვა ღონისძიებებით ხელს უწყობდა შინამრეწველობის განვითარებას.

ინდუსტრიალიზაციის წლებში მიმდინარეობდა, ერთი მხრივ, შინამრეწველობის სარეწების ნაწილის გაფართოების, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო მრეწველობასთან მისი შერწყმის პროცესი.

ამ პერიოდში გაუმჯობესდა ტრანსპორტის, პირველ რიგში — რკინიგზის მუშაობა. 1926-1929 წლებში საქართველომ მიიღო რუსეთიდან ახალი მძლავრი ორთქლმავლები, ვაგონები და სალიანდაგო მასალები. 1927 წლის 1-ლი მაისიდან ამუშავდა სენაკ-ზუგდიდის რკინიგზის უბანი, ხოლო 1928 წელს დაიწყო საბჭოთა კავშირში პირველი სამაგისტრალო რკინიგ-

ზის ურთულესი უბნის – სურამის უღელტეხილის 63 კილომეტრი სიგრძის რკინიგზის ელექტროფიცირება. ჩატარდა მუშაობა ფოთის და სოხუმის ნავსადგურების რეკონსტრუქციისთვის. ვითარდებოდა ავტოტრანსპორტიც: საავტომობილო გზების სიგრძე 1928 წლისთვის 6,4 ათას კილომეტრამდე გაიზარდა, სატელეფონო გაყვანილობის სიგრძემ 7 ათას კილომეტრს გადააჭარბა. დაიწყო რადიოფიკაციის პროცესი.

იყო სხვა სტატისტიკაც: საბჭოთა ეკონომიკის შესაძლებლობების ზრდა მუშის ყოველდღიურ შრომაზე იყო დამოკიდებული, შრომის ნაყოფიერება კი სისტემატურად იზრდებოდა. როგორც ბოლო პერიოდის გამოკვლევები ადასტურებენ, იმ წლებში მუშა გაცილებით მეტს გამოიმუშავებდა, ვიდრე მას ყოველთვიური ხელფასის სახით ეძლეოდა. მაგალითად, ტყავის მრეწველობაში, მუშა საშუალოდ გამოიმუშავებდა თვიურად 1075. 7 მანეთს, ხელფასი კი ჰქონდა 84.3 მანეთი, ანუ გამომუშავებული თანხის 8%. მართალია, ამ თანხაში უნდა გავითვალისწინოთ ზედნადები ხარჯები, მაგრამ აშკარაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეწეოდა მუშის ექსპლოატაციას, გამომუშავებული თანხის ძირითადი ნაწილი მიდიოდა კომუნისტური სახელმწიფოს ჯიბეში. შრომის ასეთი დაუფასებლობა მუშას არ აძლევდა საშუალებას ერთ ადგილზე გაჩერებულიყო. იმ წლებში ძალიან ბევრი გადადიოდა კერძო საწარმოო სტრუქტურებში, სადაც შრომის პირობები უკეთესი იყო.

როგორც ირკვევა, საქართველოში, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვებისა და პერმანენტული კონტროლის ვითარებაში, კერძო სექტორი თანდათან ფეხზე დგებოდა. სტატისტიკა მიუთითებს, რომ 1924-1925 წლებში კერძო სექტორის მონაწილეობა საბირჟო ოპერაციებში უდრიდა 18%-ს. ამავე პერიოდში კერძო ფირმებმა და პირებმა ბირჟაზე გაყიდეს 650 ათასი მანეთის საქონელი. უამრავი შემოწმება ადასტურებდა, რომ ასეთ საწარმოებში უკეთ იყო დაყენებული შრომის ორგანიზაცია, საშემსრულებლო დისციპლინა. აქედან გამომდინარე ხელფასიც მაღალი იყო. როგორც ირკვევა, კერძო საწარმოებში მუშის თვიური ხელფასი 15-30%-ით მაღალი იყო, ვიდრე სახელმწიფო სექტორში. ეს კომუნისტური ხელისუფლების წარმომადგენელთა შეშფოთებას იწვევდა. არ მტკიცდებოდა დოგმა — კაპიტალისტურ ეკონომიკასთან შედარებით სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობის შესახებ.

საქართველოში მრეწველობის განვითარების შედეგად საგრძნობლად შეიცვალა მისი თანაფარდობა სოფლის მეურნეობასთან, რომლის პროდუქციის ხვედრითი წილი შემცირდა, ხოლო მრეწველობისა გაიზარდა 31,7%-მდე, და რაც მთავარია, ეს ზრდა მიმდინარეობდა მსხვილი მრეწველობის ხარჯზე.

მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ინტერესები მოითხოვდა კონკრეტული ამოცანების შემუშავებას შედარებით ხანგრძლივი პერიოდისთვის შედგენილი სახელმწიფო გეგმის სახით. პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენა 1928 წელს მიმდინარეობდა მძაფრი ბრძოლის პირობებში. ზოგიერთი ანტისაბჭოურად განწყობილი სამეურნეო ხელმძღვანელი საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების „საკუთარ თეორიას" აყენებდა, რომლის შინაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ „საჭიროდ მიგვაჩნია უახლოესი ხუთი წლის მანძილზე განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ სასოფლო მეურნეობას" ან „ჩვენ უნდა ავიღოთ მრეწველობის განვითარების სხვა გეზი... მსუბუქი ინდუსტრიის განვითარებისაკენ". წინააღმდეგობის მიუხედავად, დაიწყო პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება ინდუსტრიული განვითარების, მრეწველობის ახალი დარგების მშენებლობისა და ამის შესაბამისად დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებების მიმართულებით. მაგრამ „გეგმიანი" ეკონომიკა მთლად ვერ ამართლებდა თავის თავს, რადგან იგი მკაცრ ჩარჩოებში აქცევდა მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ბუნებრივ განვითარებას, აიძულებდა მრეწველობაში დასაქმებულებს მთელი ძალების დაძაბვით ებრძოლათ დაშვებული სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად. მათი უნარისა და შესაძლებლობების შემოქმედებითი გამოყენება ერთობ შეზღუდული იყო და უპირატესად მორალურ და არა მატერიალურ სტიმულირებაზე იყო დამყარებული.

20-იანი წლების მეორე ნახევარში ასევე შეიცვალა სოფლის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა და გლეხობის სოციალური დიფერენციაცია.

1923 წლიდან საქართველოს სოფელში თავი იჩინა მუშახელის დაქირავების შემცირების ტენდენციამ, რაც დაკავშირებული იყო აგრარული რეფორმის „დაკვრითი წესით" გატარებასთან. ადგილი ჰქონდა მიწის ნაციონალიზაციის კანონის დარღვევებს. ზოგი „კულაკური" მეურნეობა სარგებლობდა მუდმივი, ზოგი კი დროებითი დაქირავებული მუშახელით. მიწის ნაციონალიზაციის მიუხედავად ხშირი იყო მიწის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები. მაგრამ მიუხედავად დარღვევა-ნაკლოვანებებისა, აგრარული რეფორმის შედეგად უმიწო და მცირემიწიანი გლეხობა რამდენადმე დაკმაყოფილდა მიწით. შეერყა საფუძველი შეძლებულ მეურნეობებს. 1923 წლიდან დაიწყო ე.წ. ჯგუფური მიწათმოწყობა, რაც ამზადებდა წანამძღვრებს კოლექტივიზაციისთვის.

უკვე სახალხო მეურნეობის აღდგენის ეტაპზე გაჩნდა გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების სხვადასხვა ფორმა – კოლმეურნეობა-არტელი, კომუნა, მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა. კოოპერატივებში

1927 წლის ოქტომბრისათვის გაერთიანებული იყო 1454 გლეხური მეურნეობა, მათ შორის არტელებში — 157, ამხანაგობებში კი 1195 მეურნეობა და ა. შ. იმ დროს არტელებში გაერთიანებისადმი მიდრეკილებას უფრო საშუალო გლეხობა იჩენდა, რაც აიხსნებოდა იმით, რომ არტელებს სახელმწიფოს „ძმრუნველობით" გააჩნდათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. მაგრამ ამ ეტაპზე საბჭოთა ხელისუფლება სოფლად მოვლენების ფორსირებას არ ახდენდა, ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ ნიკოლოზ ბუხარინის ეკონომიკური სტრატეგია გაამართლებდა, რაც კერძო და სახელმწიფო სექტორის „ჰარმონიულ" განვითარებას, საბაზრო ურთიერთობის ელემენტების შენარჩუნებას გულისხმობდა.

1928 წელს საბჭოთა კავშირში დაიწყო „სასაქონლო შიმშილი". განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა მოსახლეობის პურით მომარაგების საქმეში. იძულებული გახდნენ შემოეღოთ საბარათო სისტემა. შედარებით დაბალმა მოსავლიანობამ ბაზარზე პურის დეფიციტი გამოიწვია. პურის დიდი მარაგი ჰქონდათ კულაკებს, მაგრამ ისინი მტკიცე ფასებით პურით ვაჭრობაზე უარს აცხადებდნენ და ელოდნენ ბაზარზე ფასების აწევას. საბჭოთა ხელისუფლება ვეღარ ამარაგებდა ქალაქებს, შეიარაღებულ ძალებს იაფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით. ეს კი კომუნისტური პარტიის ინტერესებში არ შედიოდა. საბჭოთა ხელისუფლებას სოფელში ისეთი ეკონომიკური პარტნიორი ესაჭიროებოდა, რომელიც ულაპარაკოდ მისცემდა სახელმწიფოს იაფ პურს, სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს, მუშათა, წითელი არმიისა და უცხოელი პარტნიორების (იმჟამად პური საბჭოთა კავშირის საკალუტო რეზერვების შექმნის ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო) უზრუნველსაყოფად ამ მეტად მნიშვნელოვანი პროდუქტით. ამიტომაც გადაწყდა ქვეყნის მასობრივი კოლექტივიზაცია.

საკოლმეურნეო მოძრაობა საქართველოში გაფართოვდა 1928 წლის შემოდგომიდან, რასაც საფუძვლად დაედო საკ. კპ (ბ) XV ყრილობის მიერ მიღებული დირექტივები კოლექტივიზაციის განხორციელების შესახებ. ამ დროისათვის კოლმეურნეობათა რიცხვი გაიზარდა 239-მდე, მათ შორის მნიშვნელოვნად — არტელების რაოდენობა. იცვლებოდა გლეხობის სოციალური შემადგენლობა. საგრძნობლად გადიდდა საშუალო გლეხობის ხვედრითი წილი, ხოლო შეძლებული გლეხობისა — შემცირდა. საკოლმეურნეო მოძრაობაში, რომელიც მიმდინარეობდა სოფლად მძაფრი ბრძოლის ვითარებაში, უფრო ფართოდ მონაწილეობდნენ უმიწო, უქონელი ფენა გლეხობისა — მოჯამაგირეები, მწყემსები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ კოლმეურნეობაში შესვლა იხსნიდა მათ დაქირავების მძიმე ტვირთისაგან. 1928 წლის დამლევს კახეთის მოჯამაგირეებმა დააარსეს მევე-

ნახეობის კოლმეურნეობა. მოჯამაგირეთა თაოსნობით კოლმეურნეობები შეიქმნა სხვა ადგილებშიც, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა ამას, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა საქართველოში უმტკივნეულოდ ძიძდინარეობდა. ადგილი ჰქონდა დიდ სიძნელეებს, შეცდომებს. კერძოდ, კოლმეურნეობათა შექმნის ხელოვნურად დაჩქარებას, ე.წ. წვრილ კოლმეურნეობათა დაარსებას და ა.შ.

საკოლმეურნეო მშენებლობა გაძლიერდა 1929 წლის მეორე ნახევრიდან, როდესაც მზადდებოდა ნიადაგი მასობრივ კოლექტივიზაციაზე გადასვლისათვის. საქართველოს კპ (ბ) XV ყრილობამ (1929 წლის ივლისი) სპეციალურად იმსჯელა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, მიუთითა მისი წამყვანი დარგების დიდ ჩამორჩენილობაზე და ამიტომ დასახა სოფლისადმი სახელმწიფოს დახმარების გაძლიერების ღონისძიებანი – სოფლის მეურნეობის დაკრედიტების სტრუქტურის შეცვლა, მოკლევადიანი კრედიტის თანხების შემცირება და გრძელვადიანი კრედიტის ხვედრითი წილის გადიდება, საგრძნობლად იზრდებოდა კაპიტალდაბანდება საბჭოთა მეურნეობებში.

1929 წლიდან, საკოლმეურნეო მოძრაობის გაფართოებასთან დაკავშირებით, გადაჭრით დაისვა სოფლის მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღების საკითხი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ გაზარდა სოფლად სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეტანა. ლითონდამმუშავებელი საწარმოები ამზადებდნენ რკინის გუთნებს, სოფელმა მიიღო დიდი როდენობით რკინის ფოცხები, კულტივატორები და სხვადასხვა დანიშნულების ინვენტარი. 1929 წელს საქართველოში მოეწყო პირველი სამი მანქანა-ტრაქტორთა სადგური (აბაშის, აგარისა და ბორჩალოს მაზრაში), მაგრამ ისინი სრულად ვერ აკმაყოფილებდნენ არსებულ მოთხოვნებს, მეურნეობათა დიდი ნაწილი გლეხურ ინვენტარს ემყარებოდა.

სოფლის მეურნეობას კოლექტივიზაციის პროცესში მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ ე.წ. მუშა-შეფები, ქალაქების სამრეწველო საწარმოები. 1929 წლის თესვის კამპანიის დროს თბილისის საშეფო საზოგადოებამ 93 სოფელში გლეხობის დასახმარებლად გაგზავნა 200 კაცისაგან შემდგარი 28 ბრიგადა, რომლებმაც შეაკეთეს 5 ათასზე მეტი ერთეული მანქანა-იარაღი, შექმნეს მიწის საზიარო დამუშავების 9 ამხანაგობა და 17 არტელი ადგილობრივი გლეხობის უშუალო მონაწილეობით, ხოლო რესპუბლიკური საშეფო საზოგადოების ინიციატივით მარტო 1929 წელს ჩამოყალიბდა 149 არტელი და 4 კომუნა. საშეფო საზოგადოებამ თავისი სახსრებით შეიძინა ტრაქტორები და დიდი რაოდენობით „მცირე ტექნიკა“ სოფლისათვის.

1929 წლის ბოლოს მთლიანად საბჭოთა კავშირში სოფლად მუდმივ სა-

მუშაოდ გაიგზავნა 25 ათასი გამოცდილი და სოფლის მეურნეობის მცოდნე მუშა, პარტიული მუშაკი. ამ ღონისძიებას გამოეხმაურა საქართველოს შეირჩა 400-მდე მუშა და სპეციალისტი, რომელთაც უნდა ემუშავა საქართველოს კოლმეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში და საბჭოთა მეურნეობებში.

ამ პერიოდში დაჩქარდა სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადება. ამ საქმეს ემსახურებოდა 13 სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და გლეხი ახალგაზრდობის 14 სკოლა. სპეციალურ კურსებზე მზადდებოდნენ ტრაქტორისტები, მექანიზატორები, ზეინკლები, ელექტრიკოსები და სხვ. დაარსებული იყო აგრონომიული და ვეტერინარული სასწავლო პუნქტები, რომლებიც აშზადებდნენ საშუალო კვალიფიკაციის კადრებს.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ეს „დიდი გადატრიალება" სოფლად დაკავშირებული იყო ძალადობასთან, იძულებითი მეთოდების გამოყენებასთან. კოლექტივიზაციის გაფართოების პროცესში გამოაშკარავდა მთელი რიგი სიძნელეები და ნაკლოვანებები.

1929 წლის დამლევიდან კომუნისტური პარტია გადავიდა შეძლებული გლეხობის ანუ „კულაკობის" შეზღუდვიდან მათი, როგორც კლასის (სოციალური ფენის) ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. გაუქმდა კანონები იჯარისა და შრომის დაქირავების შესახებ, მოიხსნა განკულაკების აკრძალვა, დამახინჯებული სახით ხორციელდებოდა კულაკობის, როგორც სოციალური ფენის, ლიკვიდაციის ყოვლად გაუმართლებელი პოლიტიკა: ერთმანეთში ურევდნენ კულაკსა და საშუალო გლეხს, რის გამოც განკულაკების მსხვერპლი ხდებოდა ზოგჯერ საშუალო გლეხიც. კულაკები აწყობდნენ აშკარა გამოსვლებს, ხოცავდნენ საკოლმეურნეო მოძრაობის აქტივისტებს, ანადგურებდნენ კოლმეურნეთა ნათესებს, ურჩევდნენ გლეხებს დაეხოცათ მუშა-საქონელი, რათა იგი არ გამხდარიყო კოლმეურნეობათა საკუთრება და ა.შ.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სამეურნეო თავისებურებების, მასობრივი კოლექტივიზაციის მომზადების სხვადასხვა დონის გათვალისწინებით დაწესდა მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების ვადები, რომელიც ამ პროცესის განსხვავებულ ტემპებთან იყო დაკავშირებული. კოლექტივიზაციის ტემპების მიხედვით სამ ჯგუფად დაყოფილი გრაფიკის მიხედვით საქართველო (ამიერკავკასია) მოჰყვა მესამე ჯგუფში, სადაც კოლექტივიზაციის განხორციელების დამთავრება ყველაზე გვიან – 1933 წელს იყო ნავარაუდევი. ამიერკავკასიაში მთლიანი კოლექტივიზაციის დასაწყისი განეკუთვნება 1931 წელს, მაგრამ საქართველოს იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ დაარღვია საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930

წლის 5 იანვრის დადგენილებით გათვალისწინებული ვადა და საკუთარი ინიციატივით საკავშირო მთავრობის წინაშე „თავის გამოსაჩენად“ გადაწყვიტა კოლექტივიზაციის დამთავრება ვადაზე ადრე — 1932 წლისათვის. ამ მიზნით იგი დაადგა კოლექტივიზაციის ხელოვნურად დაჩქარების გზას. ამასთან ერთად საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის იანვრის პლენუმმა აგრეთვე შეცდომით მიიღო გადაწყვეტილება განკულაკების თაობაზე, რომელიც დასაშვებად იყო აღიარებული მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებისათვის. საქართველოში კი აღნიშნული გადაწყვეტილება გავრცელდა არა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებზეც. ამ არასწორი ორიენტაციის შედეგად ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა მიმართეს საკოლმეურნეო მოძრაობაში შიშველი ადმინისტრირების, „შეჯიბრებების“ პრაქტიკას, მარცვლეულის დამამზადებელი მოწინავე საკავშირო რაიონების კოლექტივიზაციის ტემპებისა და მეთოდების მექანიკურად გადმოტანას საქართველოში, დეკრეტებით მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად გამოცხადებას ისეთი რაიონებისა, სადაც კოლექტივიზაციის დონე უფრო დაბალი იყო და არ აღემატებოდა 10-11%-ს. კოლმეურნეობების შექმნისას მიმართავდნენ გლეხობის დაშინებას — ე.წ. „შავ სიებში“ შეტანას, საარჩევნო უფლების ჩამორთმევას, დაპატიმრების და გადასახლების მუქარას და ა.შ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესი სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებათა გამო საბჭოთა კავშირის მარცვლეულის მთავარი რაიონების კოლექტივიზაციისაგან განსხვავდებოდა. თუ იმ რაიონებშიც კი, მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა არ ემთხვეოდა კულაკობის ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლას და საჭირო გახდა ორწლიანი მოსამზადებელი მუშაობა, მით უფრო არ ემთხვეოდა ერთმანეთს ეს ორი მოვლენა საქართველოში. ამასთან, საკავშირო მარცვლეულის რაიონებში კულაკური მეურნეობანი სწრაფად, ძალდატანებითი ექსპროპრიაციის გზით იქნენ ლიკვიდირებული, საქართველოში კი თანდათანობით, ეკონომიკურ შეზღუდვათა გამოყენების გზით.

სოფლად გამწვავებული ბრძოლის ვითარებაში 1930 წლის 2 მარტს გამოქვეყნდა იოსებ სტალინის ნაშრომი „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, რომელშიც დაგმობილ იქნა შეცდომები და დამახინჯებანი, დეკრეტების მავნე პრაქტიკა სამეურნეო მშენებლობაში, რაშიც ბრალი მიუძღოდათ, პირველ რიგში, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს და ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკებს. იმავე წლის 3 აპრილს გამოქვეყნდა სტალინის ანალოგიური ხასიათის მეორე სტატია „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 13 აპრი-

ლის დადგენილება, რომელიც ხელმძღვანელობდა სტალინის სტატიებით, აღიარებდა იმავე წლის იანვრის პლენუმის მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომებს. ადგენდა, რომ 1930 წელს მთელი რიგი ოლქები და მაზრები, კერძოდ, თბილისის ოლქის, გარე კახეთის, მცხეთა-მუხრანის, თბილისის გარეუბნების, სამტრედიის, ხონის, ქუთაისის, ბაღდათის, ვანის და ზესტაფონის რაიონები გამოცხადებულიყო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად და რაც მთავარია, გულისხმობდა კოლექტივიზაციის დასრულებას 1931 წლის დამლევისთვის თუ არა, 1932 წლის გაზაფხულისათვის მაინც, მაგრამ ეს ვადაც, რაც შემდგომ გამოჩნდა, არარეალური იყო.

ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დაშვებული მთავარი შეცდომები დაკავშირებული იყო საშუალო გლეხობისადმი მცდარ მიდგომასთან, საკოლმეურნეო მშენებლობაში ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევასთან, ადგილობრივ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობასთან და ა.შ. ამ დარღვევებს მოჰყვა გლეხობის უკმაყოფილება, საპროტესტო მღელვარება, ზოგჯერ შეიარაღებული წინააღმდეგობაც კოლმეურნეობათა ჩამოყალიბების პროცესში.

1930 წლის მაისიდან რამდენადმე შეიცვალა კოლექტივიზაციის განხორციელების მეთოდები, რის შედეგადაც შესუსტდა და ზოგან შეწყდა გლეხობის მასობრივი განთესვა კოლმეურნეობებიდან. მაგალითად, კახეთში კოლმეურნეობებიდან გავიდა გლეხობის თითქმის ნახევარი, გორის რაიონში – მეოთხედი, ქუთაისის რაიონში – მეხუთედი, სულ საქართველოში, საშუალოდ, კოლმეურნეობიდან გავიდა მესამედი, მაგრამ კოლმეურნეობიდან გასულნი კვლავ უბრუნდებოდნენ მას. 1930 წლის განმავლობაში საქართველოში კულაკობა (ე.ი. სოფლის მეურნეობაში ჩაბმული ის ადამიანები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც კომუნისტური იდეოლოგიის მიხედვით, ეწეოდნენ სხვისი შრომის ექსპლუატაციას, ფლობდნენ სხვასთან შედარებით მეტ მატერიალურ დოვლათს, გამწევ საქონელს და ა.შ.), როგორც სოციალური ფენა, ძირითადად ლიკვიდირებულ იქნა. ამაში არ იგულისხმება მათი ფიზიკური განადგურება.

საქართველოს კოლმეურნეობებში განსაკუთრებით გაიზარდა განსაზოგადოებული მუშა-საქონლის რაოდენობა. ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ თუ 1930 წლამდე კოლმეურნეთა უმრავლესობას შეადგენდა უსაქონლო, უღარიბესი და ღარიბი გლეხობა, საშუალო გლეხობის შემობრუნებამ კოლმეურნეობებისკენ განაპირობა მუშა-საქონლის რაოდენობის გაზრდა, ხოლო საშუალო გლეხობის კოლმეურნეობებში გაერთიანების ზრდას ხელი შეუწყო სოფლის მომარაგებამ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით. შეიქმნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რომლებიც მომსახურებას

უწევდნენ კოლმეურნეობებს მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ამრიგად, საკოლმეურნეო მშენებლობა საქართველოში, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ნელი ტემპით მიმდინარეობდა. სწორედ რესპუბლიკის სამეურნეო, პოლიტიკური და გეოგრაფიული პირობების და აგრეთვე კოლექტივიზაციის პროცესის ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომების გამო დაგვიანდა დასახული კურსის განხორციელება და იგი 30-იანი წლების ამოცანად დარჩა. აგრარული რეფორმა, რომელიც აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის გატარდა მემამულეთა მიწების კონფისკაციის სახით, 30-იან წლებამდე გრძელდებოდა.

კოლექტივიზაციის არსი მდგომარეობდა სოფლად მიწისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განზოგადებაში, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა საუკუნეების მანძილზე არსებული კერძო საკუთრებისა და ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ხასიათს და არ გამომდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ისტორიული კანონზომიერებიდან. საკოლმეურნეო წყობილება იძულებით და ძალდატანებით ამკვიდრებდა სოფლად ე. წ. გათანაბრებას, რაც გლეხობის უნარისა და შესაძლებლობების რეალიზაციას ამუხრუჭებდა. კოლექტივიზაცია სრულიად მიუღებელი იყო საქართველოს მაღალმთიანი რაიონებისათვის რელიეფის, მცირემიწიანობის თუ სხვა პირობების გამო. ეს გარემოებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობას ხელს ვერ უწყობდა.

კოლექტივიზაცია იყო გადახვევა სოფლის მეურნეობის განვითარების, გლეხობის ცხოვრების ბუნებრივი ხაზიდან.

დემოგრაფიული სიტუაცია

დემოგრაფიულ სიტუაციაში მოსახლეობის ბუნებრივ ზრდასთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის გადაადგილება, შიდამიგრაციული პროცესები. საქართველოს ხელსაყრელი ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა ოდითგანვე ხელს უწყობდა მის ტერიტორიაზე მოსული ხალხის დასახლებას. იგი გავლენას ახდენდა როგორც ქალაქების, ასევე სოფლის მოსახლეობის რაოდენობრივ და თვისებრივ დინამიკაზე.

1921 წელს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა უდრიდა 2410,3 ათასს, მათ შორის ქალაქების მოსახლეობა შეადგენდა 475 ათასს, ანუ მთელი მოსახლეობის 20%-ს, ხოლო სოფლის მოსახლეობის რაოდენობა განისაზღვრებოდა 1935,3 ათასით. 1923 წელს ქალაქის მოსახლეობაზე მოდიოდა მთელი მოსახლეობის 21%, შესაბამისად, შემცირდა სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი. 1926 წელს მოსახლეობის სრუ-

ლიად საკავშირო აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა შეადგენდა 2666,5 ათასს, მათ შორის ქალაქის მოსახლეობა განისაზღვრებოდა 594,5 ათასით, ანუ მისი ხვედრითი წილი უდრიდა 22%, სოფლის მოსახლეობის რიცხვი უდრიდა 2072 ათასს. 1921-1926 წლებში ქალაქის მოსახლეობა იზრდებოდა. ზრდის ტემპი განსაკუთრებით დაჩქარდა ინდუსტრიალიზაციის პერიოდში. ეს გარემოება განაპირობა საქალაქო ცხოვრების დაწინაურებამ საერთოდ, განსაკუთრებით სამრეწველო მშენებლობის გაფართოებამ.

ქალაქების მოსახლეობის უპირატესი ზრდის ტენდენცია გრძელდებოდა 20-იანი წლების განმავლობაში, კერძოდ 1926-1930 წლებში საქართველოს მოსახლეობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი უდრიდა 18%-ს, ქალაქის მოსახლეობა ამავე პერიოდში გაიზარდა 19%-ით, ხოლო სოფლის მოსახლეობის მატების საშუალო მაჩვენებელი განისაზღვრებოდა 16%-ით. ამრიგად, ქალაქების მოსახლეობის ზრდის პროცენტი უფრო მაღალი იყო, ვიდრე საქართველოს მოსახლეობისა მთლიანად და კიდევ უფრო მაღალი, ვიდრე სოფლის მოსახლეობისა.

1926 წელს აფხაზეთის მოსახლეობა გაიზარდა 201016-მდე, მათ შორის ქალაქის მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა 32244-მდე, ხოლო სოფლის მოსახლეობა — 168772-მდე. 1926 წელს აფხაზეთის ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 16%-ს ანუ 1921 წელთან შედარებით გაიზარდა 2,2 პუნქტით, სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი კი შემცირდა 84%-მდე.

მოსახლეობის 1926 წლის საკავშირო აღწერის მონაცემებით აჭარის ასსრ-ის მოსახლეობა გაიზარდა 131957 კაცამდე, მათ შორის ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა უდრიდა 50378, ხოლო სოფლის მოსახლეობა – 81 579 სულს. ამრიგად, 1923-1926 წლებში აჭარის ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი შემცირებულა. ეს გარემოება მოცემულ პერიოდში აჭარაში სოფლის მეურნეობის აღორძინებით უნდა აიხსნას. აჭარას საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებული მიწათსარგებლობის წესი ახასიათებდა, რასაც განსაზღვრავდა მაჰმადიანური იდეოლოგიის ეკონომიკური პრინციპები. ამიტომ საბჭოურმა მიწის რეფორმამ დიდი ძვრები მოახდინა მიწათსარგებლობაში. სოფლად მუშახელის დასაქმების სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობა 1923 წელს უდრიდა 79599 სულს, მათ შორის ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა მხოლოდ 5,8%-ს, ხოლო სოფლის მოსახლეობა 74384-ს. 1926 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 87357-მდე, მათ შორის ქალაქის მო-

სახლეობა 5818-მდე, ხოლო სოფლის მოსახლეობა შეადგენდა – 81357-ს. ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი მცირედ, მაგრამ მაინც [illegible].

მოსახლეობის 1926 წლის საკავშირო აღწერა დაწვრილებით მონაცემებს იძლევა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის, სოციალური და ეროვნული შემადგენლობის, დასაქმების, განათლების შესახებ და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ეს აღწერა საყოველთაო იყო. მისი შედეგები სრულად გამოქვეყნდა და, ჩვენი აზრით, აღწერის შედეგები თავისუფალია კორექტირებისაგან, რომელსაც საბჭოური სტატისტიკა მიმართავდა სინამდვილესთან არაადეკვატური მისადაგების პრინციპით. მოსახლეობის აღწერის ჩატარების შემდეგ მისი შედეგების პუბლიკაციასთან დაკავშირებით საჭირო გამხდარა მსჯელობა ქართველი ეროვნების განსაზღვრის თაობაზე, რადგან აღწერა ჩატარდა ტომობრივი დაყოფის პრინციპით, სახელდობრ – ქართველები, აჭარლები, მეგრელები, ლაზები (ჭანები), სვანები. ისე, რომ ჯამი ქართველური ტომებისა არ გაუკეთებიათ. ფაქტობრივად ეს იყო გამეორება ყოფილ რუსეთის იმპერიაში 1897 წელს ჩატარებული აღწერის პრინციპისა, თუმცა ამ აღწერაში ცალკე ტომების მითითების შემდეგ გამოყვანილი იყო ჯამი სახელწოდებით „ქართველური ტომები", 1926 წლის აღწერის შედეგების დამმუშავებელმა კომიტეტმა კი დაუშვა ნონსენსი, როდესაც ქართველი ხალხი მიიჩნია სხვადასხვა ტომების ეთნოგრაფიულ კრებულად და არა ერთ ერად. აღწერის შედეგების ამგვარი პუბლიკაცია საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ მიიჩნია შეუწყნარებელ შეცდომად და საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიმართა კატეგორიული ხასიათის დასაბუთებული წერილით, რომელშიც მას აღწერის შედეგების გამოქვეყნების საკუთარი სქემა შესთავაზა და დაასაბუთა, რომ ქართველები, მათ შორის მეგრელები, სვანები, აჭარლები, არა მარტო რასობრივი თავისებურებით, არამედ ეროვნული თვითშეგნებით ერთ – ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ. რაც შეეხებოდა აჭარელის იდენტიფიკაციას გვარტომობის თვალსაზრისით, ცხადია, დიდი შეცდომა იყო, რადგან იგი მხოლოდ საცხოვრისის გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელია და არა ეთნიკური ჯგუფისა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის 1926 წლის საკავშირო აღწერის შედეგები გამოქვეყნდა ზემოხსენებული წერილით შემუშავებული სქემით და თავიდან აცილებულ იქნა გაუგებრობა, რაც ხელისუფლების მხრივ ამ მოვლენის რეაგირების გარეშე დატოვებას შეეძლო გამოეწვია. ჩვენ მიერ დამოწმებულმა წერილმა ის საქმე გააკეთა, რომ საბოლოოდ იქნა უკუგდებული და შემდგომში აღწერებისას აღკვეთილი ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებად დანაწილების მცდარი და დაუშვებელი პრაქტიკა და დადგინ-

და ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება ქართველი ეროვნების ოფიციალური განსაზღვრისადმი, რამაც ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 20-იანი წლების მეორე ნახევარში პარტიკულარული და სეპარატისტული ტენდენციების დაძლევისა და ქართველი ერის კონსოლიდაციის საქმეში.

ეროვნული შემადგენლობის სიჭრელით ხასიათდებოდა თბილისის მოსახლეობა. 1922 წლის საქალაქო აღწერა ასახელებს თერთმეტი ეროვნების მეტ-ნაკლებად კომპაქტური მოსახლეობის წარმომადგენლებს, რომელთა შორის წამყვანი ადგილი ეკავათ ქართველებს (43,6%) და აგრეთვე სომხებს (36,5%). რუსი ეროვნების ხვედრითი წილი შეადგენდა 16,5%-ს, ებრაელების წილად მოდიოდა 3,7%, სპარსელებისა 1,7%, თურქების – 1,4%, პოლონელები, გერმანელები, ბერძნები შეადგენდნენ თითო-თითო პროცენტს და ა.შ. ასე რომ, თბილისის მოსახლეობაში წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა ეროვნების მცხოვრები, რომელიც საქართველოს სხვა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებშიც ცხოვრობდა.

ქართველების მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდებოდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, რომელშიც ქართველები შეადგენდნენ 88,9%-ს. დასავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობა ქართველთა ხვედრითი წილის მიხედვით შემდეგი რიგით შეიძლება წარმოვიდგინოთ: ხონი, ლანჩხუთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ზესტაფონი, სამტრედია, ცაგერი, სენაკი, ტყიბული ჭიათურა, ფოთი, ქუთაისი.

აშკარად იკვეთება ტენდენცია, რომ 1922-1926 წლებში, სომხურ ენას დედაენად არ თვლიდა მთელი სომეხი მოსახლეობა, არამედ გაცილებით ნაკლები, რუსი ეროვნების მაგალითზე პირიქით ჩანს — რუსულ ენას მოსახლეობის გაცილებით მეტი ნაწილი თვლიდა დედაენად, ვიდრე თვით რუსი ეროვნების მოსახლეობა იყო რაოდენობრივად.

1926 წელს საქართველოს ქალაქებში და საქალაქო დასახლებებში მცირე როდენობით ცხოვრობდნენ ლიტველი, ჩეხი, სლოვაკი, ინგლისელი, შვედი, იტალიელი, გერმანელი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა; აგრეთვე უცხოეთის სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქენიც – ავსტრიელი, პოლონელი, ფრანგი, შვეიცარიელი, ამერიკელი, ნორვეგიელი, ჰოლანდიელი, რუმინელი, ჩინელი და სხვ. სულ, 1926 წელს საქართველოში აღრიცხული იყო 22287 უცხოელი, მათ შორის თბილისში 2 589 სული.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ საქართველოში დიდი გავლენა მოახდინა მოსახლეობის მოძრაობა-გადაადგილებაზე, ქალაქის მოსახლეობის სოციალურ და ეროვნულ სტრუქტურაზე.

თბილისის მოსახლეობაში ქართველთა რიცხვი 1930 წელს შეადგენდა

132904 სულს, ანუ მთელი მოსახლეობის 42,9%-ს. 1926 წელთან შედარებით იგი გაიზარდა 4,4 პუნქტით, ხოლო სომეხი მოსახლეობის რაოდენობა და ხვედრითი წილი 1926 წელთან შედარებით შემცირებული ჩანს. რუსი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობა 1930 წლის თბილისში უდრიდა 43304 სულს. 1926 წელთან შედარებით ამ ეროვნული ჯგუფის ხვედრითი წილი შემცირდა. თბილისის მოსახლეობაში შედარებით მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენდა თურქულ-სპარსული მოსახლეობა, მათი რიცხვი 1930 წელს უმნიშვნელოდ გაიზარდა, მაგრამ ხვედრითი წილი შემცირდა.

ქუთაისი უფრო ქართული ქალაქი იყო. 1922 წლისთვის ქართველთა ხვედრითი წილი ქალაქის მოსახლეობაში 83,5%-ს უდრიდა. 1926 წელს იგი მცირედ შემცირდა სხვა ეროვნების მოსახლეობის შეფარდებითი ზრდის შედეგად. 1926-1930 წლებში კვლავ ჩანს ქართველი მოსახლეობის აბსოლუტური და შეფარდებითი ზრდა. 1930 წელს ქუთაისში ცხოვრობდა 44 844 სული, ქართველთა ხვედრითი წილი ქუთაისის მოსახლეობაში გაიზარდა 84,1%-მდე. სომეხი ეროვნებისა კი კვლავ შემცირდა. იგივე ტენდენცია შეიმჩნევა რუსი ეროვნების მოსახლეობის აბსოლუტურ და შეფარდებით დინამიკაში. ამ პერიოდში შეინიშნებოდა თურქულ-სპარსული მოსახლეობის მცირეოდენი ზრდა.

მოსახლეობის რაოდენობრივი დინამიკის, მისი ეროვნული შემადგენლობის ცვლილებების ახსნისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ზრდის წყაროებს, კერძოდ, ბუნებრივ მატებასთან ერთად მოსახლეობის გადაადგილებას, შიდამიგრაციულ პროცესებს. საქართველო ხასიათდებოდა ურბანიზაციის მაღალი დონით, რაც განპირობებული იყო მცირემიწიანობით ერთი მხრივ, და საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობით მეორე მხრივ. ეს მოვლენა კარგად ჩანს თბილისის მაგალითზე — 1921 წელს თბილისში მოსულა 127502 კაცი, გასულა 106969. ჩანს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი „მოძრაობდა" და მოსულთა მხოლოდ ნაწილი (20533) დარჩენილა თბილისში, მათ შორის მექანიკური ზრდის გზით თბილისს შეემატა 4880 ქართველი, 10898 სომეხი, 3779 რუსი და სხვა ეროვნების — 1845 სული. მარტო თბილისში 1921-1923 წლების მანძილზე საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულთა პროცენტი შეადგენდა 68,9-ს, სომხეთიდან ჩამოსულთა — 16,4%-ს, რუსეთიდან — 4,2%, აზერბაიჯანიდან — 2,1%-ს, დანარჩენი რესპუბლიკებიდან — 1,4%-ს. მაგრამ უმუშევრობა მხოლოდ მოსული ელემენტების ხარჯზე როდი იზრდებოდა, არამედ მოსახლეობის ბუნებრივი მატების შედეგადაც, მაგრამ მას არცთუ მთავარი ადგილი ეკავა უმუშევრობის ზრდის განმაპირობებელ სხვა ფაქტორებს შორის.

უმუშევართა ძირითადი ნაწილი თბილისში იყო თავმოყრილი. მასზე მოდიოდა 1923 წელს უმუშევართა საერთო რაოდენობის 72%. თბილისის შემდეგ ამ ნიშნით ხასიათდებოდა ბათუმი, შემდეგ ჭიათურა, ქუთაისი და სოხუმი.

მიგრაციის საწყისი ადგილის მიხედვით პირველი ადგილი ეკავა საქართველოს რაიონებს, მეორე ადგილი — სომხეთიდან მოსულებს. მნიშვნელოვანი რაოდენობის მოსახლეობა მოდიოდა აზერბაიჯანიდან და სსრ კავშირის სხვა დანარჩენი რესპუბლიკებიდან, მცირე რაოდენობით მოდიოდა მოსახლეობა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

20-იანი წლები საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის ძირეული ცვლილებების, ერთგვაროვანი სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბების ხანა იყო. ახალი სოციალური სტრუქტურის ფორმირება კი მეტად რთულ პროცესს წარმოადგენდა.

მოსახლეობის 1926 წლის საკავშირო აღწერა იძლევა მონაცემებს საქართველოს მოსახლეობის განაწილების შესახებ დასაქმების მთავარი ჯგუფების (შრომის დარგების) მიხედვით. მუშათა რიცხვი რესპუბლიკის თვითმოქმედ მოსახლეობაში შეადგენდა 62397, მათგან მუშათა რაოდენობა სოფლის მეურნეობაში – 17289 კაცს, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში – 11542-ს, მშენებელ მუშათა რიცხვი შეადგენდა 1835-ს, რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა — 12365-ს, სხვა სახის ტრანსპორტზე დასაქმებული მუშები შეადგენდნენ 3243-ს. მოსამსახურეთა რაოდენობა შეადგენდა 71789-ს.

მუშა-მოსამსახურეთა გარდა აღრიცხულნი იყვნენ ე.წ. „პატრონები" (მესაკუთრენი) სოფლის მეურნეობაში, შინა და ხელოსნურ მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, ვაჭრობაში და ა.შ.

შემდგომ წლებში, ინდუსტრიული მშენებლობის გაფართოების, მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებისა და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის შედეგად იცვლებოდა შრომითი რესურსების გამოყენების მასშტაბი, სპეციალიზაცია და სტრუქტურა. მრეწველობაში მოსახლეობის დასაქმების მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებოდა ჭიათურა, თბილისი, ბათუმი და ა.შ.

ქალაქების მოსახლეობის ტრანსპორტზე დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით ქალაქების რიგი შეიძლება შემდეგნაირად დალაგდეს: ხაშური, რომელიც წარმოადგენდა მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძს, ამიტომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაბმული იყო სარკინიგზო მეურნეობაში. ასეთსავე მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძს წარმოადგენდა სამტრედია, რომლის მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი დასაქმებული იყო სარკინიგზო ტრანსპორტზე. დაახლოებით ამდენივე იყო ფოთის მოსახლეო-

ბა, რომელიც დასაქმებული იყო საქალაქო და, უპირატესად კი, საზღვაო ტრანსპორტზე. მომდევნო ადგილი ეკავა თბილისს, რომლის მოსახლეობის 16% დასაქმებული იყო ტრანსპორტზე. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უკვე საქალაქო ტრანსპორტზე დასაქმებულთა რაოდენობასთან, შემდეგ მოდიოდა: ზესტაფონი, ბორჯომი, ქუთაისი, გორი, სენაკი, თელავი და ა.შ.

ამრიგად, 20-იან წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს დემოგრაფიული სიტუაცია, კერძოდ, მოსახლეობამ განიცადა მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები, რომელიც გამოიხატა მის სოციალურ და ეროვნულ სტრუქტურაში.

ინდუსტრიალიზაციის პერიოდი საქართველოში ხასიათდებოდა რიგი თავისებურებებით, რომელიც გამოიხატებოდა მუშათა რაოდენობრივი ზრდის ტემპებსა და მის სოციალურ შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებში. ეს პროცესი უშუალოდ უკავშირდებოდა მუშათა რიგების შევსების წყაროებს, რომელთაგან ძირითადს წარმოადგენდა აგრარული ჭარბი მოსახლეობა, სოფლის უღარიბესი და ღარიბი გლეხობის ნაწილი, რომელიც მცირემიწიანობისა და ერთპიროვნული წვრილი მეურნეობის პირობებში ვერ პოულობდა ადგილზე გამოყენებას, ამიტომ სტიქიურად ილტვოდა ქალაქისაკენ სამუშაოდ. მაგრამ „საშოვარზე" გასულთა ნაწილის დასაქმებას ვერც ქალაქი ახერხებდა, რის გამოც იზრდებოდა უმუშევრობა ქალაქებში. ინდუსტრიალიზაციის წლებში უმუშევრობა კიდევ უფრო გაძლიერდა, რასაც ხელს უწყობდა მრეწველობის განვითარება, განსაკუთრებით სამშენებლო სამუშაოთა სეზონური ხასიათი, რამდენადაც სამუშაოს მაძიებელთა შორის მრავლად იყვნენ სეზონური და დროებითი სამუშაოს შემსრულებლები. ისინი ქალაქში ჩადიოდნენ სასოფლო მუშაობის დამთავრების შემდეგ და გაზაფხულის დადგომისას უკანვე ბრუნდებოდნენ. მუშახელის ნაწილი მუდმივად „მოძრაობდა" ქალაქსა და სოფელს შორის. ამას ნაწილობრივ განაპირობებდა გლეხთა დიფერენციაციის პროცესები, სოფლად მუშახელის დაქირავების მდგომარეობა, რომელიც ინდუსტრიალიზაციის პერიოდში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო.

ქართული სოფლის სინამდვილეში გლეხობის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ფენას შეადგენდა ღარიბი გლეხობა, რომელსაც თავისი მცირე მეურნეობის შემოსავალი არ ჰყოფნიდა და იძულებული ხდებოდა დამატებითი შემოსავალი ეძებნა ქალაქში. გლეხობის ამ ნაწილისთვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ხელშემწყობი საშუალება მხოლოდ სამრეწველო წარმოებიდან შემოსავალი იყო, ვინაიდან მათ სოფელთან არ ჰქონდათ კავშირი გაწყვეტილი და მათი ძირითადი შემოსავლის წყაროდ ითვლებოდა სოფლის მეურნეობა.

თავისუფალი მუშახელის დენამ სოფლიდან 1929-1930 წლებში ფართო ხასიათი მიიღო, რადგან მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის პერიოდში „კულაკურ“ მეურნეობებზე გადამწყვეტმა იერიშმა სოფლად დაქირავებულ მუშახელსაც ქალაქისკენ უბიძგა. 1930 წლიდან გლეხობის „სირბილი“ სოფლიდან ქალაქისაკენ თანდათან შემცირდა. საკოლმეურნეო მშენებლობამ ხელი შეუწყო სოფლის თავისუფალი მუშახელის ჩაბმას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

საქართველოს სინამდვილეში ინდუსტრიალიზაციის გარეშე ალბათ შეუძლებელი იყო აგრარული „ჭარბი“ მოსახლეობის საკითხის მოგვარება. რადგან სოციალური ურთიერთობები — ქალაქად და სოფლად, მუშათა საერთოდ და სოფლად თავისუფალი მუშახელისა, თვით სოფლის შიგნით სოციალური ჯგუფებისა — მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული.

ინდუსტრიალიზაციამ გადაჭრით დააყენა მუშათა ეროვნული კადრების შექმნის ამოცანა, რამდენადაც საქართველოს მრეწველობას არ შეეძლო დაყრდნობოდა მთლიანად საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან მუშახელის გადმოსროლის შესაძლებლობას. ნაწილობრივ ამანაც განაპირობა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშათა ადგილობრივი კადრების მომზადებისათვის მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელება, რომლის შედეგად გადიდდა ქართველ მუშათა რაოდენობა. ეროვნული კადრების მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდებოდა მოპოვებითი მრეწველობა, მშენებლობა და ტრანსპორტი. იმ საწარმოებში, სადაც ჭარბობდა სეზონური და დროებითი მუშახელი, განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული მუშათა დენადობა.

20-იანი წლების ბოლოს გაფართოვდა უმუშევრობის შეკვეცის ღონისძიებები, რომელნიც გამოიხატა საწარმოო შრომითი კოლექტივების რიცხვის ზრდაში. 1926-1928 წლებში მათი რაოდენობა გაიზარდა. უმუშევართა გადაშზადების ღონისძიებებმა ხელი შეუწყვეს მუშახელის მიწოდებასა და შრომაზე მოთხოვნილებას შორის გარღვევის შემცირებას შედარებით უფრო დეფიციტურ პროფესიებში.

უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოფლად სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოების გაშლას, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას, შრომატევადი ტექნიკური კულტურების დანერგვის გაფართოებას. აგრეთვე საგადასახლებო პოლიტიკას — მცირემიწიანი და მწირი რაიონებიდან მოსახლეობის ნაწილის გადასახლებას ვარგისიან ფართობებზე. საგადასახლებო ფართობები იქმნებოდა მელიორაციისა და ირიგაციის შედეგად, 1929-1930 წლებში საქართველოში გაიყვანეს ალაზნის და ტირიფონის სარწყავი სისტემები,

რომლებმაც სათეს ფართობს 54,7 ათასი ჰა შემატა. აღნიშნულ წლებში თავისუფალ ფართობებზე დასახლდა 7,2 ათასზე მეტი სოფლის მაცხოვრებელი. აგრარულ მოსახლეობას იზიდავდა შინამრეწველობის სარეწებიც, რომელთა განვითარებას ინდუსტრიალიზაციის პერიოდში სახელმწიფო აქტიურად უჭერდა მხარს საყოფაცხოვრებო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ინტერესებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XIV.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება 20-იანი წლების დასასრულს

შიდაპარტიული დაპირისპირებები კომუნისტურ პარტიაში

ლენინის ხანგრძლივმა ავადმყოფობამ და გარდაცვალებამ (1924 წლის 21 იანვარი) საკითხი მისი პოლიტიკური მემკვიდრის შესახებ კიდევ უფრო აქტუალური გახადა. „ტრიუმვირატის" (იოსებ სტალინი, გრიგოლ ზინოვიევი და ლევ კამენევი) და ლევ ტროცკის ფარული დაპირისპირება აშკარა და უფრო მწვავე გახდა. მოსკოვი ცვლილებებისთვის ემზადებოდა. ასეთ ვითარებაში 1924 წლის 28 იანვარს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურო (ესწრებოდნენ მალაქია ტოროშელიძე, ფილიპე მახარაძე, ლადო დუმბაძე, სილიბისტრო თოდრია, კოტე ცინცაძე, არაქელა ოქუაშვილი და სხვები) იხილავს მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის საიდუმლო წერილს. საკითხი ეხებოდა ლენინის შესაძლო პოლიტიკურ მემკვიდრეს — ვის უნდა ეხელმძღვანელა პარტიისა და ქვეყნისათვის „ტრიუმვირატს" თუ ლევ ტროცკის.

ბიუროს ამ საკითხზე ერთი აზრი არ ჰქონდა. ფილიპე მახარაძე ამტკიცებდა, რომ ლენინი უნდა შეეცვალათ მის უახლოეს მოწაფეებს და არა ტროცკის, პარტიაში უნდა შექმნილიყო ხელმძღვანელი კოლექტივი, რომელშიც შევიდოდა ლევ ტროცკი.

საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა უმრავლესობამ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ლენინი უნდა შეეცვალა ტროცკის. საქ.კპ(ბ) ცკ ბიურომ დაადგინა, რომ იწონებს მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებას ლევ ტროცკის კანდიდატურის შესახებ, რომ მომავალში მთელი მუშაობა უნდა წარმოებდეს ლევ ტროცკის ავტორიტეტის ასამაღლებლად, რასაც უნდა მისცემოდა კამპანიური ხასიათი. ამის შემდეგ უნდა წამოაყენონ მისი კანდიდატურა. აუცილებლად ჩაითვალა ტროცკის გამოსვლა თეორიული წერილით და ა.შ.

ლევ ტროცკი მართლაც ემზადებოდა ხელისუფლების ხელში ასაღებად და ამიტომაც ქართველი მომხრეების რჩევაც გაითვალისწინა — 1924

წლის ოქტომბერში გამოაქვეყნა ბროშურა „ოქტომბრის გაკვეთილები", რომელშიც სცადა თეორიულად შეეფასებინა ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილება. მან, სრულიად გასაგები მიზეზებით, ჩრდილი მიაყენა თავის მთავარ პოლიტიკურ ოპონენტებს, მათ შორის იოსებ სტალინსაც.

ლევ ტროცკის ამ გამოსვლამ დასაბამი მისცა ხანგძლივ პარტიულ ბრძოლას, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებიც.

ამასთან, ლენინის ინიციატივით განხორციელებულმა „ნეპის" რეალიზაციამ საბჭოთა კავშირში გამოაცოცხლა კერძო სექტორი, განსაკუთრებით აგრარული სფერო, აშკარა იყო საშუალო გლეხობის რაოდენობის ზრდა, კულაკების ეკონომიკური პოზიციების განმტკიცება. ქალაქებში თვალსაჩინო იყო „ნეპმანების" — ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დროს გამდიდრებული ფენის წარმომადგენლების ხვედრითი წილის ზრდაც.

1925 წლისთვის საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური სტაბილიზაციის კვალდაკვალ დადგა საკითხი მისი მომავალი განვითარების პერსპექტივების შესახებ. ასეთ პირობებში ბოლშევიკი ლიდერების ჯგუფი (გრიგოლ ზინოვიევი, ლევ კამენევი და სხვ.) ქმნის „ახალ ოპოზიციას", რომელიც „ნეპის" წინააღმდეგია, მიუთითებს სოფლის მეურნეობაში კულაკების ხვედრითი წილის ზრდას, საბჭოთა სისტემის გადაგვარების („თერმიდორი") შესაძლებლობას.

სტალინმა „ახალი ოპოზიციის" პოლიტიკურ მცდელობას თავისი — „ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების" იდეა დაუპირისპირა. მან დაწერა ნაშრომი — „ლენინიზმის საკითხები", რომელშიც თეორიულად გაიაზრა ლენინის უზარმაზარი თეორიული მემკვიდრეობა და ის საკუთარი კონცეფციის იდეურ საყრდენად გამოიყენა. მის გარშემო დაირაზმნენ რუსი და ქართველი ეროვნების ის პარტიული ლიდერები, რომლებიც აშკარად დაუპირისპირდნენ „ახალ ოპოზიციას „.

როცა მოხდა ლევ ტროცკისა და „ახალი ოპოზიციის" ლიდერების პოზიციების დაახლოება ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის წინააღმდეგ, ბუდუ მდივანმა, კოტე ცინცაძემ, ლადო დუმბაძემ, მიხეილ ოკუჯავამ და სხვებმა აშკარად დაიკავეს ანტისტალინური პოზიცია. ისინი მხარს უჭერდნენ ანტისტალინური ოპოზიციის პლატფორმებს. ამაზე გავლენა მოახდინა იმანაც, რომ ბლოკის მეთაურმა ლევ ტროცკიმ თავის პლატფორმაში წამოაყენა მოთხოვნა ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხის გადასინჯვის შესახებ.

ქართული კომუნისტური ოპოზიცია ანტისტალინურ ძალებს განსაკუთრებით მაშინ შეუერთდა, როცა მოხერხდა ტროცკის — ერთი მხრივ და

მეორე მხრივ — ზინოვიევისა და კამენევის პოლიტიკური პლატფორმების დაახლოება. ჩამოყალიბდა ადგილობრივი ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ კოტე ცინცაძე, ლადო დუმბაძე, მიხეილ ოკუჯავა და სხვ. ისინი თანდათან ორგანიზაციულადაც ჩამოყალიბდნენ, ჰყავდათ თანამოაზრენი რეგიონებში, ავრცელებდნენ ფრაქციულ ლიტერატურას, გამოდიოდნენ კრებებზე, ეწეოდნენ სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის დისკრედიტაციას მემარცხენე პოზიციებიდან, ცდილობდნენ ორგანიზაციებში თავისი მომხრეების რაოდენობის გაზრდას.

მაგრამ სტალინურ ფრაქციას, რომელსაც კომუნისტური პარტიის აპარატის ძირითადი ნაწილი უჭერდა მხარს როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, შესწევდა ძალა აელაგმა ოპოზიციონერთა ფრაქციული საქმიანობა. მათ მხარეზე იყო კომუნისტური სახელმწიფოს დამსჯელი ორგანიზაციები — სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უზარმაზარი აპარატი, დასმენისა და სახელის გატეხის დახვეწილი სისტემა, რკპ (ბ) X ყრილობის მკაცრი დადგენილება პარტიაში ყოველგვარი ფრაქციული მუშაობის დაუშვებლობისა და ფრაქციონერთა პარტიიდან დაუყოვნებლივ გარიცხვის აუცილებლობის შესახებ.

1926 წლის ივლისში სკპ (ბ) ცკ და ცსკ გაერთიანებულ პლენუმზე ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციას სერიოზული დარტყმა მიაყენეს. პლენუმზე და შემდეგაც ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის იდეური განადგურების საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულეს ქართველმა პარტიულმა ლიდერებმაც — სერგო ორჯონიკიძემ, ვანო და გიორგი სტურუებმა, მიხეილ კახიანმა, მამია ორახელაშვილმა, ლევან ღოღობერიძემ, ფილიპე მახარაძემ, სამსონ მამულიამ და სხვებმა.

1927 წლის მაისში ტროცკიმ, ზინოვიევმა, ევდოკიმოვმა და სმილგამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინეს 83 ოპოზიციონერის მიერ ხელმოწერილი პლატფორმა. მას ქართველი ოპოზიციონერი სერგო ქავთარაძეც აწერდა ხელს. ოპოზიციონერებმა გააძლიერეს მუშაობა, ახერხებდნენ საკუთარი ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელებას როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მასაში. აქტიურობდნენ ტროცკის ქართველი მომხრეებიც.

მკაცრი ადმინისტრირების პირობებში ოპოზიცია თავის პოზიციებს სულ უფრო და უფრო თმობდა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. პარტიის წევრების უმრავლესობა აშკარად ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს უჭერდა მხარს.

სტალინურმა ფრაქციამ მოახერხა 1928 წლის დასასრულისათვის მემარცხენე ტროცკისტულ-ზინოვიევური მიმდინარეობის იდეურად განად-

გურება. 1929 წლის იანვარში ლევ ტროცკი გააძევეს საბჭოთა კავშირიდან, ოპოზიციური ბლოკის აქტივისტები გარიცხეს პარტიიდან, გასათავისუფლეს საპასუხისმგებლო თანამდებობებიდან, გადაასახლეს პროვინციებში.

მემარცხენე რადიკალური ფრთის იდეური განადგურების შემდეგ სკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი პარტიაში მემარჯვენეთა წინააღმდეგ ბრძოლას.

სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის თებერვლის პლენუმზე იოსებ სტალინი უკვე აშკარად გამოვიდა ბუხარინის მემარჯვენე დაჯგუფების წინააღმდეგ. მემარცხენე ოპოზიცია სტალინურ ფრაქციას საყვედურობდა „ნეპის" გაჭიანურებას, სოფლად ერთპიროვნული გლეხური მეურნეობებისადმი ზედმეტ ყურადღებას, ოპოზიციონერები პარტიას აფრთხილებდნენ კულაკური საშიშროების შესახებაც, რაც ემუქრებოდა პროლეტარულ სახელმწიფოს კაპიტალისტური გადაგვარებით. მათი აზრით, გლეხური სტიქია ყოველდღიურად წარმოშობდა მესაკუთრეს, კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას, რაც ძირითადად გლეხურ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურისთვის სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენდა. მემარცხენე ოპოზიციის აზრით, „ნეპის" გაგრძელების პოლიტიკის იდეოლოგიის მეთაური იყო ნიკოლოზ ბუხარინი და მის იდეებს აყოლილი სტალინი და მისი ფრაქცია.

მთელი 20-იანი წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა ლენინური „ნეპის" პოლიტიკის საფუძველზე, ბუხარინის ეკონომიკური სქემებით, რასაც აქტიურად უჭერდნენ მხარს სტალინი, რიკოვი, ტომსკი და ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა. ისინი სოფლის მეურნეობაში ევოლუციური განვითარების პრინციპებს იცავდნენ.

მაგრამ 1928 წლის აგრარულმა კრიზისმა, როგორც ზემოთ აღინიშნა, რადიკალურად შეცვალა რკპ (ბ) ცეკას ხელმძღვანელობის შეხედულება. მთავრობა იძულებული გახდა ქალაქებში პურზე საბარათო სისტემა შემოეღო.

სასურსათო მდგომარეობა გამწვავდა საქართველოშიც. 1929 წელს შიმშილობა იყო, განსაკუთრებით აფხაზეთში, სამეგრელოში. საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა მდგომარეობის განსამუხტად ფოთში პურის დიდი პარტიები შემოეზიდა.

20-იანი წლების დასასრულს დასავლეთ ევროპაში გაძლიერდა რევანშისტული და ფაშისტური იდეოლოგია. ასეთ საერთაშორისო ვითარებაში სტალინურმა ფრაქციამ გადაწყვიტა სოფლის მეურნეობაში ევოლუციური პროცესები შეეცვალა აქტიური კომუნისტური ზეწოლის პოლიტიკით, რომლის მიზანი იქნებოდა სოფლად კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია, ისეთი აგრარული პოლიტიკის დამკვიდრება, რაც სახელმწიფოს

ხელში აგრარული პროდუქციის უზარმაზარ მასას მოუყრიდა თავს, რომ-ლის ერთადერთი განმკარგველი ტოტალიტარული სახელმწიფო იქნებო-და. ასეთი სისტემის დამკვიდრების მთავარ ფორმად სასოფლო-სამეურ-ნეო არტელი ჩაითვალა. მას კოლექტიური მეურნეობა ეწოდა. აგრარული პროდუქციის უზარმაზარი მასა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო ბაზარზე მანიპულირების საშუალებას მისცემდა, შეეძლო ერპიროვნულად გაეტანა პური, მის სანაცვლოდ შემოეტანა მანქანები და მოწყობილობები, ჩქარი ტემპით განეხორციელებინა ინდუსტრიალიზაცია, ხორცი შეესხა პირველი ხუთწლიანი გეგმისთვის (1928/1929 წწ. — 1932/1933 წწ.).

სწორედ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების, სოფელში სტა-ლინური რეკონსტრუქციის პოლიტიკის გარშემო პოლემიკაში ჩამოყალიბ-და პარტიაში მემარჯვენე გადახრა.

საქართველოში მემარჯვენეები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში კუ-ლაკი არ იყო, მის წინააღმდეგ ბრძოლა მათ ზედმეტად მიაჩნდათ. საქარ-თველოს კპVI ყრილობაზე (1929 წ) არაერთი მაგალითი მოიტანეს იმის დასადასტურებლად, თუ ზოგიერთი კომუნისტი ხელმძღვანელი როგორ ცდილობდა შეწყვეტილიყო მდიდარი გლეხების წინააღმდეგ ბრძოლა იმის შიშით, რომ ამის საფუძველზე არ გაწყვეტილიყო საშუალო გლეხთან კავ-შირი და არ მომხდარიყო პროლეტარული დიქტატურის სოციალური ბა-ზის დაკიწროება სოფლად.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ცენტრალური ინსტანცი-ების მითითებების თანახმად აკლენდნენ და პარტიიდან აძევებდნენ პი-რებს, ვინც შემჩნეული იყო მდიდარი გლეხობისადმი თანაგრძნობაში. 1930 წლისთვის როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე გადახრა კომუნისტურ პარტიაში იდეოლოგიურად განადგურდა. დაიწყო „სოციალიზმის შეტევა მთელ ფრონტზე“.

საქართველოში არსებული პოლიტიკური ძალები ცდილობდნენ ეროვ-ნულ-ტერიტორიული გამიჯვნის პროცესი გაეღრმავებინათ, ცდილობდნენ ახალი ავტონომიური ერთეულების შექმნას, უკვე არსებული ავტონო-მიური ერთეულების სტატუსის შეცვლას, იყო ცენტრთან — თბილის-თან ცალკეული რეგიონების ურთიერთობების გაუარესების ფაქტებიც. ამ მდგომარეობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ 20-იანი წლების შუა ხანებ-ში კომუნისტურ პარტიაში მიმდინარეობდა ბრძოლა ძალაუფლებისათვის და ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდნენ მემარცხენე, მემარჯვენე და ცენტრისტული დაჯგუფებები. საქართველოში არსებული დეცენტრალი-ზაციის მსურველი ძალები ცდილობდნენ ესარგებლათ მდგომარეობით და თავიანთი ჩანაფიქრი განეხორციელებინათ.

1925 წლის 12 სექტემბერს გაზეთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა ლავრენტი ბერიას წერილი „მეგრელი ავტონომისტების შესახებ“. ქართველი „ავტონომისტების“ ლიდერი ბრალს სდებდა მეგრელთა ერთ ჯგუფს ავტონომიზაციის იდეით გატაცებაში, ამ იდეის პროპაგანდასა და საკავშირო ორგანოებში მათ მიერ გაგზავნილ წერილებში გამოხატული არასახელმწიფოებრივი შეხედულებებისთვის.

ზუგდიდის პარტიული ორგანიზაცია მისი ლიდერის, ი. ჟვანიას სახელით, ოფიციალურად გაემიჯნა ამ ჯგუფის საქმიანობას და პრესაში განაცხადა, რომ მისი აზრით სამეგრელოს ავტონომიას მოითხოვენ „ერთი მუჭა ფანტაზიორები და რომელიც არაა დამყარებული მშრომელი ხალხის სურვილებზე“...

ქართულ პრესაში კომუნისტი ლიდერების მიერ ატეხილმა ამ ფუჭმა ალიაქოთმა აღაშფოთა ქართველი ინტელიგენცია, რომელმაც დაინახა საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ შორსგამიზნული იმპერიული ხრიკების საფრთხე. კონსტანტინე გამსახურდიას ინიციატივით ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, განსაკუთრებით სამეგრელოდან გამოსულები, შეიკრიბნენ რუსთაველის თეატრში საპროტესტო შეკრებაზე.

თვითონ სამეგრელოში მოსახლეობის ძირითად ნაწილს ეს პრობლემა საერთოდ არ აღელვებდა. მათთვის მთავარი იყო სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, რაც ჯერ კიდევ შორს იყო იდეალურისაგან.

ი. ჟვანიამ ძალიან მალე ახალი ძალით დაიწყო ბრძოლა. მან განიმტკიცა პოზიციები მაზრაში და დაიწყო თბილისსა და მოსკოვში სამეგრელოს ეთნოგრაფიული თავისებურებებით სპეკულაცია. იგი 1928 წლიდან აშკარად ტერიტორიული ავტონომიის უფლებებისათვის იბრძოდა. ამას ბიძგი მისცა 1928 წლის ზაფხულში საქართველოში მოსკოვიდან სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალური კომისიის ჩამოსვლამ, რომელსაც პშენიცინი ხელმძღვანელობდა. კომისიამ საქართველოს კუთხეები შემოიარა.

კომისიის მუშაობის შედეგები მოისმინა საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, სადაც მოკრძალებულად გაიჟღერა ფრაზამ „სამეგრელოში მეგრულ ენაზე ბროშურების გამოცემის შესახებ“.

უკვე პლენუმზე გამოიკვეთა პარტიული ხელმძღვანელების ორი მიმდინარეობა სამეგრელოში მეგრულ ენაზე წიგნებისა და ბროშურების გამოცემის შესახებ.

ამ ორ დაჯგუფებას შორის მუდმივი მწვავე პოლემიკა იყო. ამ პოლემიკამ ი. ჟვანიას მისცა ახალი ენერგია, გაეგრძელებინა ბრძოლა თავისი ანტისახელმწიფოებრივი საქმის განხორციელებისთვის. მისი ბრძოლის პროვოცირება გამოიწვია „დარაიონების პოლიტიკაზე“ გადასვლამაც,

როცა დადგა სენაკის შესაძლო ცენტრად გარდაქმნის საკითხი. 1929 წლის 31 მარტს სამაზრო კომიტეტის მე-2 პლენუმზე ისაკ ჟვანიამ ჩამოაყალიბა თავისი მოთხოვნები, რომ „მეგრელ გლეხს ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ", რომ „სვანეთ-სამეგრელოს ცენტრი" უნდა ყოფილიყო ზუგდიდში და ა.შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაერთგვარი დამოკიდებულება ჰქონდა ამ საკითხის მიმართ საქართველოსა და ამიერკავკასიის ფედერაციის ხელმძღვანელობას. ბესო ლომინაძე — ამიერკავკასიელი ბოლშევიკების აღიარებული ლიდერი — აშკარად უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ამ იდეის მიმართ. საქართველოს კომუნისტების ლიდერი ლევან ღოღობერიძე კი მერყეობას იჩენდა, ენის საკითხს ლიტერატურულ საკითხად თვლიდა, მაგრამ ენის საკითხი ამ შემთხვევაში ლიტერატურული კი არა, ეროვნული საკითხი იყო და ყოველი დათმობა, მერყეობა მხოლოდ დეცენტრალიზაციის პროცესებს აძლიერებდა. უფრო სწორი პოზიცია ჰქონდა მიხეილ კახიანს.

ისაკ ჟვანია თავისი მიზნის რეალიზაციას ცდილობდა მოსკოვშიც. მან მიხეილ კალინინს სთხოვა დახმარება და მასაც დაპირება მიუცია. „ჩვენ სამეგრელოს მივანიჭებთ ოლქს" — უთქვამს „საკავშირო მამასახლისს". სტალინთან სოჭში შეხვედრის დროსაც უთხოვია ჟვანიას მისთვის მეგრულ ენაზე ლიტერატურის გამოცემისა და სკოლის მოწყობის შესახებ თანხმობა.

1929 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მეგრულ ენაზე გაზეთისა და ბროშურების გამოსაცემად საჭირო თანხის გამოყოფის შესახებ. ზუგდიდში დაიწყეს მზადება ადგილობრივი გაზეთის „საბჭოთა სამეგრელოს" გამოსაცემად. პარალელურად, გალში დაიწყო მუშაობა „ყაზაყიში გაზეთის" მოსამზადებლად.

დაპირისპირებამ ზუგდიდში მწვავე ხასიათი მიიღო, ქართველი პატრიოტები ცდილობდნენ ისაკ ჟვანიას სეპარატისტული მიდრეკილებები მოეთოკათ და თბილისის დახმარებით მმართველობისაგან ჩამოეცილებინათ.

ჟვანიამ ისარგებლა იმით, რომ სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე საქართველოში მთლიანად შეიცვალა პარტიული ხელმძღვანელობა და 19 ნოემბერს ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლავრენტი ბერიას გაუგზავნა მიმართვა, სადაც ორი მოთხოვნაა — სამეგრელოს იმ რაიონებიდან, სადაც არ ესმით ქართული ენა — შეიქმნას სამეგრელოს ოლქი და დაწყებით სკოლებში ისწავლებოდეს მეგრული ენა. მიმართვაში ის ჩამოთვლის ამ რაიონებსაც: ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხობი, სენაკი, ნაწილობრივ მარტვილი, აბაშა და ფოთი.

ისაკ ჟვანიას საქმიანობა სულ უფრო და უფრო შემაშფოთებელ ხასიათს

იღებდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე სამეგრელოს სოფლებიდან მოდიოდა წერილები, რომლებიც ეგმირებდნენ მის საქმიანობას, თუმცა იყო მხარდამჭერთა წერილებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ ჟვანიას საქმიანობა უკვე აღარ მოიწონა და 1933 წლის 14 თებერვალს დაკავებული თანამდებობიდან გადააყენა.

საქართველოს მთავრობის მოღვაწეობა ეთნოგრაფიულად განსხვავებულ კუთხეებში 30-იან წლებში ძირითადად წარიმართა ქართული საბჭოთა სკოლის პოზიციების განსამტკიცებლად. მეგრული გაზეთების გამოცემა შეწყდა, სკოლებში ისწავლებოდა მხოლოდ ქართული ენა და ლიტერატურა, მასობრივად გავრცელდა ქართული წიგნი, ერთიანი ქართული კულტურული ფასეულობები.

20-იანი წლების შუა ხანებში სამეგრელოში მიმდინარე პროცესებმა შეაგულიანეს სომეხი სეპარატისტები მესხეთ-ჯავახეთში. აქაური კომუნისტი ლიდერები თბილისის წინაშე შეფარვით აყენებდნენ ავტონომიური უფლებების მინიჭების საკითხს. ავტონომიური ოლქის სტატუსის გადახედვას მოითხოვდნენ სამხრეთ ოსეთის პარტიული ხელმძღვანელებიც. ისინი საქართველოს კომპარტიის ლიდერებს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მათ არ შეასრულეს წინასწარი დაპირება და რესპუბლიკის ნაცვლად მათ „შეაპარეს“ ავტონომიური ოლქი.

სერიოზულად დაიძაბა ვითარება აჭარაში. მთელი 20-იანი წლების განმავლობაში ეს ქართული რეგიონი და ქართველი მოსახლეობა განცალკევებულად განიხილებოდა, ეთნოგრაფიული თავისებურებები — პოლიტიკური პრინციპის რანგში იყო აყვანილი. რამდენადაც მემედ აბაშიძე და მისი პოლიტიკური დაჯგუფება მენშევიკურ ხელისუფლებასთან იყო კავშირში, ბოლშევიკებმა ორიენტაცია აჭარაში თახსიმ ხიმშიაშვილსა და მის პოლიტიკურ დაჯგუფებაზე აიღეს. შედეგად პროისლამისტური ტენდენციები აღზევდა.

კომუნისტური ხელისუფლების განწყობილებას თავის სასარგებლოდ იყენებდა თახსიმ ხიმშიაშვილი, რომელიც 1923 წლიდან აჭარის ავტონომიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გახდა. მან საბჭოთა ხელისუფლების გულის მოსაგებად დააპატიმრა მემედ აბაშიძე და მისი ოჯახი. აჭარის ტერიტორიიდან 15 ყველაზე აქტიური ბეგი გაასახლეს. მათ შორის ბევრი იყო ქართული ორიენტაციის, სამაგიეროდ მან დაიახლოვა თურქოფილები.

მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა 1925 წელს, როცა თახსიმ ხიმშიაშვილმა 12 ოქტომბერს ქედაში მოიწვია აჭარისტანის საბჭოების ცაკის მესამე სესია, რომელიც ანტიქართული გამოსვლებით გამოირჩეოდა.

სხდომამ საქართველოსა და აჭარისტანს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ სპეციალური დადგენილებაც კი მიიღო, სადაც ნათქვამი იყო: „მესამე სესია მწუხარებით აღნიშნავს საქართველოს მთავრობის მიერ აჭარისტანის მიმართ თავიდანვე წარმოებულ ნაციონალურ-შოვინისტური და კოლონიური პოლიტიკის წარმოების გაგრძელებას“.

ქედის რეზოლუცია უარყოფითად შეაფასეს თბილისში. ბათუმში სასწრაფოდ ჩავიდნენ: სერგო ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა და სხვები. სასწრაფოდ შეატყობინეს საქმის ვითარების შესახებ მოსკოვში იოსებ სტალინს. მათი თანდასწრებით მოხერხდა საოლქო კომიტეტისა და სახკომსაბჭოს გაერთიანებული სხდომის მოწვევა, რომელმაც ქედის სესია ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ გამოსვლად შეაფასა. მოხერხდა ამ ავანტიურის შედეგების განეიტრალება, მაგრამ უკმაყოფილების ფესვები აჭარაში ღრმად იყო ჩაბუდებული.

დედა-სამშობლოსაგან ამ კუთხის 300-წლიანმა გაუცხოებამ თავისი შედეგები მოიტანა: შეიცვალა სარწმუნოება, წეს-ჩვეულებები, ადათები, სამართლის სისტემა დაეფუძნა შარიათს. რუსეთი, რომელმაც თურქეთს წართვა ეს მეტად მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული ობიექტი, ენერგიულად ცდილობდა ამ მხარეში პრორუსული განწყობილებები დაენერგა. თურქეთი ამ ტერიტორიებს უსამართლოდ, რუსების მიერ ძალით წართმეულ მხარედ თვლიდა და ცდილობდა იქ თავისი გავლენა არ დაეკარგა. ამ საქმეში მისი ერთგული მოკავშირე იყო მაჰმდიანური რელიგია და რწმენა-წარმოდგენები.

მიუხედავად ამისა, ქართველმა მამულიშვილებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს აჭარაში ეროვნული ცნობიერების გაძლიერებისა და განვითარების საქმეში, თუმცა სიძნელეც ბევრი იყო.

აჭარაში მებრძოლი ათეიზმის პოლიტიკა გასაგებ წინააღმდეგობას აწყდებოდა, განსაკუთრებით მთის რეგიონებში. გლეხობა ვერ ურიგდებოდა ტრადიციული წეს-ჩვეულებების აკრძალვას, ქალის სოციალურ-პოლიტიკური გააქტიურების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს. ეს ყველაფერი მათ პიროვნული ღირსების შელახვად, „მეორედ მოსვლად“ ესახებოდათ. მოსახლეობის ეს გულისწყრომა საქართველოს მტრებმა გამოიყენეს. ანტისამთავრობო მოძრაობა აჭარაში 1927 წელს დაიწყო. იქმნებოდა საიდუმლო ორგანიზაციები, თურქეთის ემისრები აქტიურად უწევდნენ კონსულტაციებს ათეისტური პროპაგანდით უკმაყოფილო გლეხებს, ჰპირდებოდნენ თურქეთიდან სამხედრო დახმარებას, მოხერხდა თურქეთიდან იარაღის დიდი პარტიის შემოტანა და სოფლებში გადამალვა. გამოიკვეთნენ მოძრაობის ლიდერებიც. ისინი მხოლოდ დროს ელოდნენ.

1929 წლის მარტის დასაწყისში რეგიონი აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ემზადებოდა. ბათუმელი ლიდერები სოფლებში მოგზაურობდნენ. ხულოს რაიონის სოფელ ჭვანში ჩავიდა აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე მ. გოგიბერიძე. 7 მარტს შედგა სასოფლო კრება, რომელზეც კომუნისტმა ხელმძღვანელებმა, აჭარელი ქალის საზოგადოებრივი აქტივიზაციის საბჭოთა პრინციპებიდან გამომდინარე, მოითხოვეს ადგილობრივი ქალი-აქტივისტების დეპუტატებად ბათუმში წასვლა. მასპინძელთა სურვილს, ქალებს ბათუმში მეუღლეებიც გაჰყოლოდნენ, მოჰყვა შემდეგი პასუხი: „კაცები ბათუმშიც ბევრია“... სტუმრების ამ უტაქტო ფრაზამ კრებაზე დამსწრე აჭარელი გლეხების აღშფოთება გამოიწვია, მათ დააპატიმრეს ბათუმელი სტუმრები და აჯანყდნენ.

9 მარტს აღდგნენ ღომიჯელები, რაშიც დიდი როლი შეასრულა ჭვანანაღვარევიდან იქ გადასროლილმა მეამბოხეთა რაზმმა. აჯანყებულებმა იერიშით აიღეს თემსაბჭოს შენობა, მოკლეს თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი, დააპატიმრეს ადგილობრივი კომუნისტები. აჯანყებულებმა წერილი გაუგზავნეს თურქეთში თავშეფარებულ ხიმშიაშვილებს: „აჭარა განთავისუფლებულია, კომუნისტები და საბჭოთა ხელისუფლება დამხობილია, ჩამოდით და გვიხელმძღვანელეთ“. ხულოს მაზრაში ყველა სოფელი ამბოხებულთა ხელში აღმოჩნდა.

ამბოხებულებმა საბჭოთა სასაზღვრო საგუშაგოებზე თავდასხმები დაიწყეს. ფაქტობრივად, აჯანყებულები საბჭოთა რეგულარულ ძალებს დაუპირისპირდნენ. აჯანყებულებმა აიღეს ერთ-ერთი, 25-ე საგუშაგო და კონტროლი დაამყარეს გოდერძის უღელტეხილზე.

ბათუმში ჩავიდა ლავრენტი ბერია. შექმნილი ვითარება სასწრაფოდ აცნობეს სტალინს. მან დაშიფრული დეპეშა გამოუგზავნა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხელმძღვანელობას, რომელშიც ნათქვამი იყო: „აშკარაა, თქვენ დაუშვით შეცდომა“ და მოითხოვა კონფლიქტის უსისხლოდ დასრულება.

ამბოხებულებმა მთავრობას წაუყენეს მოთხოვნები: უნდა აღდგენილიყო შარიათის სასამართლო, კვლავ გახსნილიყო მედრესები, გოგონებს არ უნდა ევლოთ საბჭოთა სკოლაში, შეწყვეტილიყო რელიგიური დევნა, ჩადრის ახდის კამპანია და სხვ.

1929 წლის 25 მარტს გადაწყდა ამბოხების ლიკვიდაცია. საბჭოთა ჯარები ქედსა და ხულოში შევიდნენ. ოპერაციას ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა. ამბოხებულები შედრკნენ. ამბოხების ლიდერები მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და მომხრეებს აჯანყების შეწყვეტა შესთავაზეს. უშიშროების სამსახურის მუშაკებმა სოფლებში ამოიღეს

2800 შაშხანა. რიგითი ამბოხებულები სახლებს დაუბრუნდნენ. აჯანყების ლიდერები, მცირე ჯგუფთან ერთად, თურქეთში გადავიდნენ. ზოგიერთ ამბოხებული მთავრობას ჩაჰბარდა, მათგან ზოგი დახვრიტეს და ზოგიც ციხეში გადაასახლეს.

აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ თბილისიდან ბათუმში ჩავიდა წარმომადგენლობითი დელეგაცია ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით. მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ისინი მიხვდნენ, რომ ადგილობრივი თავისებურებების იგნორირება სერიოზული პოლიტიკური კონფლიქტის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, ამიტომაც ანტირელიგიური კამპანია ცოტა შენელდა, მაგრამ ის მთელი ძალით გაიშალა 30-იან წლებში. საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში წინა საუკუნეებში გარეშე მტრის მიერ ძალით მოხვეული წეს-ჩვეულებებისა და საყოფაცხოვრებო თავისებურებების შეზღუდვა, ერთიანი სოციალურ-კულტურული გარემოს შექმნა, უდავოდ პასუხობდა ქართველი ერის ინტერესებს. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ამ პროცესის უსისხლოდ ჩატარება. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო მანქანა ძალის საშუალებით ახორციელებდა იმას, რაც ვერ გაკეთდა ბუნებრივი გზით ადრე საუკუნეებში.

30-იან წლებში წარმოებულმა ენერგიულმა სახელმწიფო პოლიტიკამ დეცენტრალიზაციის კვალი ძირითადად აღმოფხვრა.

ეროვნული საკითხი 20-იანი წლების დასასრულს

საქართველოს ისტორიული თავისებურება მისი მოსახლეობის მრავალეროვანი შემადგენლობაა. ეს თავისებურება რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წყალობით კიდევ უფრო თვალში საცემი გახდა: მეფის რუსეთი შორსგამიზნული პოლიტიკური გეგმებით საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში ასახლებდა მისთვის სანდო ეროვნულ ჯგუფებს: სომხებს, ბერძნებს, დუხაბორებს, გერმანელებს. მაჰმადიანი ქვეყნების აგრესიამ წინა საუკუნეებში საქართველოს დაუტოვა როგორც ქართველი მაჰმადიანები (სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში), ისე მაჰმადიანური სამყაროს წარმომადგენლები (ბორჩალოელები, თურქები და ა.შ.). მათ გარდა საქართველოში ცხოვრობდნენ აფხაზები (აფსუები), ოსები, რუსები, ქურთები და სხვები.

1926 წლის აღწერით საქართველოში 1778,2 ათასი (მოსახლეობის 67,2%) ქართველი, 307 ათასი (11,6%) სომეხი, 137,9 ათასი (5,2 %) თურქი-(აზერბაიჯანელი), 113,3 ათასი ოსი (4,3%), 56,8 ათასი (2,1%) აფხაზი, 96,1 ათასი (3,6%) რუსი, 54,1 ათასი (2,5%) ბერძენი და სხვა დანარჩენ ეროვნებათა წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. სულ საქართველოს მოსახლეობა კი შეადგენდა 2667 ათას კაცს.

განსაკუთრებით შერეული იყო მოსახლეობა სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში. 1926 წელს ახალციხის მაზრაში ცხოვრობდა: სომეხი — 15,5 ათასი, თურქი — 44,5 ათასი, ქურთი იეზიდი — 3 ათასი, ბერძენი — 4,6 ათასი, რუსი — 2,8, დანარჩენი ქართველი. ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდა: სომეხი — 57,8 ათასი, თურქი — 6,9 ათასი, რუსი — 5,1 ათასი, ქურთი იეზიდი — 0,9 ათასი, დანარჩენი ქართველი. ბორჩალოს მაზრაში ცხოვრობდა: სომეხი — 15 ათასი, თურქი — 51 ათასი, რუსი — 1,1 ათასი, გერმანელი — 4 ათასი, დანარჩენი იყო ქართველი.

არაქართველი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სასაზღვრო რეგიონებში ცხოვრობდა: სომხები — სამცხე-ჯავახეთში, ბორჩალოელები, გერმანელები და დუხაბორები — ქვემო ქართლში, ოსები — შიდა ქართლში. უმეტესობამ ქართული ენა არ იცოდა, მეტად დაბალი იყო წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვიც.

1926 წლის აღწერით საქართველოში წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობა 36,7%-ით განისაზღვრა. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო ამიერკავკასიაში. არაქართველ მოსახლეობაში ეს მაჩვენებელი უფრო დაბალი იყო, განსაკუთრებით მაჰმადიანებში. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანების უმრავლესობა წარმომავლობით ქართველი იყო, ისინი მკაცრად იცავდნენ მაჰმადიანურ რწმენა-წარმოდგენებს.

საქართველოში ავტონომიური ერთეულების შექმნა მიჩნეული იყო ეროვნული საკითხის საუკეთესო გადაწყვეტად, მაგრამ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით ვერ მოხერხდა იმ პრობლემების დაძლევა, რაც ეთნიკური განსხვავებებით იყო ნაკარნახევი და ეს ძალიან ხშირად იჩენდა ხოლმე თავს. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა კი მუდამ ცდილობდა შეენიღბა ის წინააღმდეგობები, რაც წარმოიქმნებოდა ცალკეული ეროვნული ჯგუფების წარმომადგენელთა შორის, გამოეყენებინა პარტიული ზემოქმედების, ადმინისტრირების ზომები და გარეგნულად მაინც შეექმნა ჰარმონიულობის შთაბეჭდილება.

მაგრამ ყოველდღიური ვითარება დაძაბულობის სხვადასხვა კერას აღლენდა — ეკონომიკურს, საყოფაცხოვრებოს. განსაკუთრებით ჭირდა მაჰმადიანურ რეგიონებში საბჭოთა პოლიტიკური და სამართლებრივი სტრუქტურების დამკვიდრება. აქ მეტად ძლიერი იყო რელიგიური ცნობიერება, მოლებისა და ხოჯების ზეგავლენა. 20-იან წლებში საქართველოში არსებული 412 მეჩეთიდან სამცხე-ჯავახეთში 117 მეჩეთი იყო. გავრცელებული იყო შარიათის წესები, მედრესები და ა.შ.

დაპირისპირებას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება სულ სხვადასხვა სფეროში აწყდებოდა: აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფ-

ლება გასაბჭოების პირველივე დღეებიდან ცდილობდა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა, თბილისისაგან დამოუკიდებელი ყოფილიყო, იგნორირებდა გაწია თბილისის მოთხოვნების, სურვილებისა და რეკომენდაციებისთვის.

1926 წლის აღწერით აფხაზეთში სულ 186004 კაცი ცხოვრობდა, მათგან აფხაზი იყო 56849, ქართველი — 73475. აფხაზეთში კომპაქტურად ცხოვრობდნენ სომხები და ბერძნები. ბევრი მათგანი პირველი მსოფლიო ომის ლტოლვილი იყო და საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაც კი არ ჰქონდათ მიღებული ისე ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე. პონტოელი ბერძენი ლტოლვილების მიღებაზე უარი განაცხადა საბერძნეთის მთავრობამ.

საქართველოს კომუნისტურ პარტიაში, მთელი 20-იანი წლების განმავლობაში ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ორი დაპირისპირებული მიმდინარეობა არსებობდა: „კომპრომისული" და „სამართლიანი". ეროვნულ უმცირესობებთან, განსაკუთრებით აფხაზებთან დამოკიდებულებაში „კომპრომისული" მიმართულება (გიორგი სტურუა, ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი და სხვ.) ითხოვდა დათმობებსა და პრივილეგიებს. მაგრამ, როგორც წესი, ეს დათმობები მუდამ ცალმხრივი იყო და ხშირ შემთხვევაში არ პასუხობდა ქართველი ერის ნაციონალურ ინტერესებს. „სამართლიანი" მიმართულების წარმომადგენლები (ამბერკი ურუშაძე, თენგიზ ჟღენტი, და სხვ.) კი მოითხოვდნენ სამართლიან დამოკიდებულებას საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებისადმი, წინააღმდეგი იყვნენ უპრინციპო კომპრომისებისა, რაც ხშირ შემთხვევაში აგულიანებდა ადგილობრივ სეპარატიზმს, აძლიერებდა დეცენტრალიზაციის ტენდენციებს. საქართველოს პარტიულ ყრილობებსა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე იყო მუდმივი კამათი ამ ორ დაჯგუფებას შორის. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა (მიხეილ კახიანი, სამსონ მამულია, ლევან ღოღობერიძე და სხვ.) ყოველთვის ვერ ახერხებდა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას და კომპრომისული მიმართულებისკენ იხრებოდნენ.

აფხაზეთის იმჟამინდელ ხელმძღვანელებს (ნესტორ ლაკობა, ეფრემ ეშბა) სერიოზულად აღელვებდათ აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობა, სადაც ქართველების ხვედრითი წილი უპირატესი იყო, განსაკუთრებით სამურზაყანოში, ქალაქებსა და დაბებში. ისინი ცდილობდნენ ამ თანაფარდობის შეცვლას, რისთვისაც საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე 20-იანი წლების მეორე ნახევარში არაერთხელ დააყენეს საკითხი მაკედონიელი აფხაზების სამშობლოში გადმოსახლების შესახებ. აფხაზეთის ლიდერების ეს სურვილი სურვილად დარჩა.

სამაგიეროდ, საკავშირო ცაკის გადაწყვეტილებით და საქართველოს მთავრობის ძალისხმევით, 1929 წელს საქართველოს — აფხაზეთის ხელ დაუბრუნეს რსფსრ-ის „პილენკოვოს მხარე" (268,15 კვმ. 3500 მოსახლეობით).

პრივილეგიები, დათმობაზე წასვლა, აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ერთ ნაწილში არაჯანსაღ ტენდენციას აჩენდა. ისინი ეროვნებას იცვლიდნენ, ეწერებოდნენ აფხაზებად. ამის შესახებ იყო არაერთი ინფორმაცია, მაგრამ თბილისი ამ ფაქტებს იმჟამად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

რთული იყო მდგომარეობა სამხრეთ საქართველოში. არა მარტო მრავალეროვანი, არამედ მრავალკონფესიური მხარე სერიოზულ სიძნელეებს წარმოშობდა.

ეროვნულ უმცირესობათა ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინების გარდა, მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ენის შეთვისებას. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფო ენად ქართულ ენას აღიარებდა, თუმცა არ ზღუდავდა არაქართული ენების გამოყენებას, ხელს უწყობდა ნაციონალური სკოლების მშენებლობას.

საქართველოს ხელისუფლების ამ მიმართულებით განხორციელებული პირველი მოკრძალებული ნაბიჯი იყო საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 28 მარტის დადგენილების რეალიზაცია, რომლის მიხედვით ახალციხის მაზრაში სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული ენა.

დადგენილებას, მისი პრაქტიკული რეალიზაციის შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ერთიან საქართველოსთან ამ კუთხის არაქართველი თუ მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობის ურთიერთკავშირების თვალსაზრისით. დადგენილებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ადგილებზე ქართული სკოლების ქსელის განვითარება, ადგილობრივი კადრების მომზადება ქართულ ენაზე, ქართული ლიტერატურისა და კულტურის პროპაგანდა და ა.შ.

ძალიან მალე აშკარა გახდა, რომ მუდმივი შიში — თბილისის მცდელობა შოვინისტურ პოლიტიკად არ აღქმულიყო მოსკოვის მიერ, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის ფარული თუ აშკარა საბოტაჟი შესაძლებლობას არ აძლევდათ ბოლომდე წარმატებით განხორციელებულიყო მიღებული დადგენილება. ამიტომ თბილისმა უკან დახევა ამჯობინა — 1927 წელს ახალციხის მაზრაში სახელმწიფო ენად თურქული ენაც გამოცხადდა, გადაისინჯა კადრების ეროვნული შემადგენლობა ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

საქართველოს ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა შიდა ქართლში მიმდინარე პროცესებს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შემდეგ, ამ ხელოვნური ადმინისტრაციული წარმონაქმნის ფუნ-

ქციონირების საკითხი მწვავედ დადგა. ადგილობრივი პარტიული ელიტა ერთმანეთთან პოლიტიკურ დაპირისპირებაში იყო ჩაბმული, იყო ლოთობის, ზნეობრივი გახრწნის შემთხვევები. ამის გამო საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო: „მიზანშეწონილად ჩაითვალოს საოლქო კომიტეტის მდივნად წამოყენებულ იქნას ენერგიული მუშაკი ცენტრიდან, სასურველია ქართველი". ასეთმა გადაწყვეტილებამ დააცხრო ვნებათაღელვა ოსი ეროვნების პარტიულ მოღვაწეთა შორის.

1926 წელს საქართველოში სულ 113289 ოსი ცხოვრობდა, მათგან მხოლოდ 63 ათასი კაცი ბინადრობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ბევრი ოსი ცხოვრობდა ქართლისა და კახეთის სხვადასხვა სოფელში, რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში, გორში და სხვა ქალაქებში.

თბილისი უდიდეს ყურადღებას უთმობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ეს მხარე, განსაკუთრებით ოსი მოსახლეობა, ძირითადად მესაქონლეობას მისდევდა, გლეხობის დიდი ნაწილი მცირემიწიანი იყო, წერა-კითხვის უცოდინარი, ბოგანო.

კომუნისტური რეჟიმის პირველ წლებში აქ მრეწველობის ადგილობრივი დარგების, განსაკუთრებით, სამშენებლო და ხეტყის დამზადების საწარმოების მშენებლობის განვითარებისათვის გადაიდგა ნაბიჯები. დიდ ლიახვზე 1926 წელს აშენდა ელექტროსადგური. მცირემიწიანი ოსი გლეხობა საბჭოთა მთავრობამ ტირიფონის ბარაქიან ველზე გადმოასახლა და შეუქმნა ცხოვრების ხელსაყრელი პირობები.

დიდი და სერიოზული მუშაობა განხორციელდა საქართველოში მცხოვრები ებრაელების, განსაკუთრებით ქართველი ებრაელების სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

1928 წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომისია პშენიცინის ხელმძღვანელობით. მისი მიზანი იყო საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტის შესწავლა. კომისიამ შეისწავლა ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონებში არსებული ვითარებაც და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის I პლენუმზე 1928 წლის 25 სექტემბერს მხოლოდ ერთი ფრაზით აღნიშნა — „მრეწველობის განვითარება ძირითადად საქართველოს რაიონებში და სუსტად — ავტონომიურ რესპუბლიკებში".

მაგრამ ცოტა მოგვიანებით, კომისიის წევრმა სეიდ კადიროვმა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე წარადგინა მოხსენებითი ბარათი, სადაც მკაცრად იყო შეფასებული საქართველოს კომპარტიის ეროვნული პოლიტიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეიდ კადიროვს დეტალურად აქვს შესწავლილი ვითარება აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, აჭარასა და სამეგრელოში.

კადიროვი ეხება აჭარის პრობლემებს და ხულოს გამოსვლებთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს: „საქმე ჩადრში კი არ იყო, არამედ იმაში, რომ აჭარლებს დაუხურეს მედრესები, ამასთან უკმაყოფილონი იყვნენ არა იმდენად იმით, რომ საღვთო რჯულის შესწავლა შეწყდა, არამედ იმით, რომ ხმარებიდან ამოიღეს არაბული ანბანი".

სამხრეთ ოსეთში სტუმრობის დროს მისთვის გაუმხელიათ, რომ სურთ ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთება.

სეიდ კადიროვი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს სამეგრელოს ავტონომიის პრობლემას და ცდილობს დაასაბუთოს მისი კანონიერება.

კადიროვის წერილში მოტანილი ფაქტები აშკარად მიუთითებენ, რომ კომუნისტური იდეოლოგიის ძირითადი პრინციპი — თითქოს საბჭოთა კომუნისტური ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე გაქრებოდა ეროვნებათაშორისი ურთიერთობის გართულების ყველა შესაძლო მიზეზი, უტოპია აღმოჩნდა. ეროვნებათაშორის ურთიერთობას ვერ აწესრიგებდა უამრავი პარტიული დადგენილება და ცირკულარი.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ კადიროვის წერილში ყველა ეროვნებაზე იყო საუბარი, ქართველების გარდა. საქართველო, რომელსაც კომუნისტურმა დიქტატურამ ძალდატანებით წაართვა დამოუკიდებლობა და რომელიც თავის ტერიტორიაზე თავის სუვერენულ უფლებებს სრულყოფილად ვერ ახორციელებდა, რომლის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა არაფრით გამორჩეულ მდგომარეობაში არ იყო და ისევე განიცდიდა პროლეტარიატის დიქტატურის მარწუხებს, როგორც საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, არავის ახსოვდა. არ ხორციელდებოდა თვით კომუნისტური კონსტიტუციის ფუძემდებლური მოთხოვნებიც კი — ვერ მოხერხდა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის საყოველთაო დამკვიდრება.

გადაჭარბებულმა ინტერნაციონალიზმმა, მოსკოვის დირექტივების მონურმა მორჩილებამ, მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოში ქართული ეროვნული საქმის კეთების ის გაუბედავი მცდელობაც კი, რაც 20-იანი წლების შუახანებში შეიმჩნეოდა.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით რეგიონებში რეალური ვითარების შესასწავლად გაიგზავნა პარტიული კომისიები, რომლებსაც ძირითადად ეროვნებათაშორისი ურთიერთობის არსებული ვითარება უნდა შეესწავლათ.

შემოწმებამ ცხადყო, რომ თუ საქართველოს კომუნისტური ხელისუფ-

ლების ხელშეწყობით 1925 წელს საქართველოში არაქართული სკოლებიდან იყო: სომხური — 120, თურქული — 79, რუსული — 59, ოსური — 27, ბერძნული — 34, ებრაული — 3, ასირიული — 2, გერმანული — 12, ქურთული 1, უკვე 1928 წლისათვის ეს მაჩვენებლები საგრძნობლად გაიზარდა: სომხური იყო 186, თურქული — 90, რუსული — 91, ოსური — 116, ბერძნული — 106, აფხაზური — 58, ებრაული — 5, გერმანული 1 და ა.შ.

ამ ფორმით საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა დაეკმაყოფილებინა საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის კულტურული მოთხოვნები, მაგრამ ვლდინდებოდა მეორე მხარეც — პედაგოგიური კადრების ნაკლებობა.

განსაკუთრებით საინტერესო ინფორმაცია ჩამოიტანეს კომისიის წევრებმა სამცხე-ჯავახეთიდან. 1929 წელს ახალციხის რაიონში 99 ათასი კაცი ცხოვრობდა. აქედან, 66,7% თურქი იყო (ასეა დოკუმენტში), ქართველი — 12,8%, სომეხი — 16%. კომისიის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ახალციხელი თურქების დიდი ნაწილი წარსულში ქართველები იყვნენ, გვარიც კი ქართული ჰქონდათ. მაგრამ რეალური ვითარების გაცნობის შემდეგ კომისია იმასაც აღნიშნავდა, რომ „თუ დღევანდელი თურქები ისტორიულად ქართველები იყვნენ, დღეს 300 წლის შემდეგ, ყველაფერი ქართული დაკარგული აქვთ: ენა, რელიგია, ყოფა, ტრადიციები და ა.შ. ეს ყველაფერი მათ უკვე თურქული აქვთ. დღევანდელი თურქები არა მარტო აღარ არიან ქართველები და ქართველებს არ წარმოადგენენ, არამედ არც უნდათ იყვნენ ქართველები“.

კომისიამ შეამჩნია გამწვავებული ნაციონალური ურთიერთობა, აგრესიაც კი ადგილობრივ სხვადასხვა კონფესიურ ჯგუფებს შორის: თურქებსა და ქართველ-სომხებს შორის, აღინიშნა კადრების დაწინაურებასა და შერჩევისას ქართველებისა და სომხების უპირატესობა მაჰმადიანების სასიანოდ. დაპირისპირება ეროვნულ-კონფესიურ ნიადაგზე შეიმჩნეოდა არა მარტო სასოფლო რეგიონებში, არამედ სამრეწველო საწარმოებშიც კი.

კომისიამ შეისწავლა საქართველოში მცხოვრები ბერძნების, გერმანელების, ქურთი-იეზიდების და სხვა ეთნიკური ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხებიც.

მიღებული შედეგებით შეშფოთებული საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა „ქართულ ნაციონალიზმზე“ ალაპარაკადა.

საქართველოს დამფრთხალი პარტიული ხელმძღვანელობა 20-იანი წლების დასასრულს ხაზგასმით ცდილობდა ეჩვენებინა თავისი ტოლერანტობა, ლოიალობა. ეს პოლიტიკა ზოგჯერ აშკარად გადაჭარბებულ ფორმებს იღებდა.

ამრიგად, 20-იანი წლების ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც გულმოდგინედ ატარებდა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება და რომელიც გამოიხატებოდა ლოიალობასა და დათმობებში, აშკარად ჩიხში შევიდა. საჭირო იყო ამ პოლიტიკის რადიკალური შეცვლა.

საქართველოს ტერიტორიული ცვლილებები 20-იან წლებში

საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების ძალდატანებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა, დაისვა მისი ტერიტორიის განსაზღვრის საკითხი. ეს უკავშირდებოდა რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, მისგან გამოყოფილი ამიერკავკასიის საზღვრების გამიჯვნას, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი — საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის სახელმწიფოების შექმნისას მემკვიდრეობით მიღებული ტერიტორიების საზღვრების დადგენის აუცილებლობას. მაგრამ საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საზღვრების საკითხი „ინტერნაციონალიზმის" საფუძველზე გადაწყვიტა და საქართველოს ტერიტორიის ნაწილი მეზობელ რესპუბლიკებს გადასცა.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს თურქეთმა ახალი ულტიმატუმების წამოყენებით დაიკავა არდაგან-ართვინი. ამ დროს არსებობდა იმის საშიშროებაც, რომ თურქეთს ბათუმის ოლქიც მიეტაცებინა, მაგრამ აქ საქმეში რუსეთი ჩაერია, რადგან ეს არ შედიოდა მის სტრატეგიულ ინტერესებში, რასაც იმხანად საქართველოს სისხლხორცეული ინტერესებიც ემთხვეოდა. შექმნილი ვითარება რამდენადმე განმუხტა 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებამ. ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთი აღიარებდა თურქეთის საზღვრებს თურქეთის ეროვნული პაქტის საფუძველზე. ამ პაქტით თურქეთი უთმობდა საქართველოს ბათუმის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას იმ პირობით, თუ ამ მხარის (სამუსლიმანო საქართველოს) ადგილობრივი მოსახლეობა ავტონომიის უფლებით ისარგებლებდა. ამ ხელშეკრულებით ქართული ტერიტორიები არდაგან-ოლთისი-ართვინი თითქმის ბათუმამდე თურქეთის ტერიტორიულ საზღვრებში მოექცა. აღნიშნული ხელშეკრულება გაიმეორა და დაადასტურა 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებამ სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებასა და თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარებისა და საზღვრების დადგენის საკითხზე. საინტერესოა, რომ თურქეთმა სასაზღვრო ხელშეკრულება ცალ-ცალკე გააფორმა თითოეულ საბჭოთა რესპუბლიკასთან. საქართველოს მხრიდან

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარმა შალვა ელიავამ და საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ალექსანდრე (ალიოშა) სვანიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარსის ხელშეკრულების ძალით „ოსმალეთი თანხმდებოდა დაეთმო საქართველოს სუვერენიტეტი ბათუმის პორტზე და ქალაქზე და ტერიტორიაზე, რომელიც ძევს ჩრდილოეთით საზღვრისა“...

მაგრამ თურქეთს გადაეცა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა, მაკრიალი) 936, 15 კვკმ-მდე; ართვინის ოლქი — 3384,82 კვკმ და არდაგანის ოლქი 5644,74 კვკმ ტერიტორია.

საქართველომ ასევე დაკარგა ზაქათალის ოლქი (საინგილო).

სამწუხაროდ, საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელიც 1921 წლის უმაღლესი ხელისუფლების ფუნქციებს ასრულებდა, არათუ შეეცადა დაებრუნებინა საქართველოსთვის იმხანად სადავოდ გამხდარი ზაქათალის ტერიტორია, არამედ მან საქართველოს და აზერბაიჯანის დელეგატთა კონფერენციაზე ფაქტობრივად დააკანონა მანამდე დაუკანონებელი საინგილოს მიერთება აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის მიერ.

ზაქათალის აზერბაიჯანისათვის გადაცემის ხელშეკრულებას, რომლის შინაარსი ასეთი იყო: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უარს ამბობს ყველა თავის პრეტენზიაზე ზაქათალის ოლქზე სახელმწიფოებრივი საზღვრების ფარგლებში, რაზედაც საქართველოს რევკომი გამოსცემს შესაბამის დეკლარაციას“, 1921 წლის 5 ივლისს ხელი მოაწერეს აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს რევკომის თავმჯდომარეებმა — ფილიპე მახარაძემ და ნარიმან ნარიმანოვმა, ხოლო იმავე წლის 15 ნოემბერს შეთანხმებას საქართველოს და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვრის შესახებ საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარემ — ბუდუ მდივანმა და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ, მუხტარ გაჯი-ზადემ. ამით იურიდიულად დადასტურდა ზაქათალის ოლქის მიკუთვნება აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის. მაგრამ ტერიტორიული დავა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის კვლავაც გრძელდებოდა.

მოწესრიგდა დავა ბორჩალოსა და ყაზახის მაზრებს შორის და მეორე სადავო მონაკვეთი დავითგარეჯიდან მდინარე მტკვარამდე წითელი ხიდის მიდამოებში გადაეცა საქართველოს.

ამრიგად, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკას ზაქათალის ოკრუგის (რომლის ტერიტორია 3993,89 კვკმ-ს ხოლო, მისი მოსახლეობა კი 92668 სულს შეადგენდა) გარდა, გადაეცა თბილისის მაზრის გარეჯის ველი, ქვემო ყარაიაზის სექტორი — 658,89 კვკმ და სიღნაღის მაზრის ელდარის

ველი — 546,69 კვკმ, რომელსაც ადრე წინამინდორი ერქვა და სამხრეთით, მდინარეების, ივრისა და ალაზნის შესართავთან თავდებოდა.

შემდგომ წლებში საინგილოს ბედში რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა, თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ქართული ენის შენარჩუნების ფაქტი. ქართველ ინგილო მოღვაწეთა შეუნელებელ ბრძოლას უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს ქართული ენა საინგილოს ზოგიერთ ისტორიულ რაიონში შეზღუდულად, მაგრამ მაინც შენარჩუნებულია.

რკპ(ბ) კავბიუროს 1921 წლის მაისის პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით სერგეი კიროვის თავმჯდომარეობით. სხდომები მიმდინარეობდა თბილისში 1921 წლის 25-27 ივლისს. კომისიის სხდომაზე განსაკუთრებული სიმწვავით დააყენა სომხეთის ტერიტორიის საკითხი მისმა წარმომადგენელმა ბეკზადიანმა. მან აღნიშნა, რომ მოსკოვის ხელშეკრულების დადების შემდეგ (იგულისხმება რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება) სომხეთმა დაკარგა თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი ეკონომიკურ რესურსებიანად.

ამ გარემოებათა გამო, მას საჭიროდ მიაჩნდა, მეზობელ აზერბაიჯანსა და საქართველოს რესპუბლიკებისათვის ჩამოეჭრათ ტერიტორია სომხეთის სასარგებლოდ. საქართველოსაგან სომხეთის ხელისუფალნი ითხოვდნენ ახალქალაქის მაზრის გადაცემას.

სომხეთის წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, საკუთარი ქვეყნის ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ ახალქალაქის მაზრის ტერიტორია ისტორიულად საქართველოს ნაწილი იყო და ისიც, თუ როდის, ან რით იყო გამოწვეული ამ მაზრაში სომეხთა კომპაქტური დასახლების გაჩენა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის იმდროინდელმა ხელისუფლებამ, მიუხედავად ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულებისა, სომხეთთან „გამიჯვნის" შეთავაზებული ვარიანტი მიუღებლად მიიჩნია, რადგან ჩათვალა, რომ სომხეთი პოლიტიკური მოსაზრებით აყენებდა ამ საკითხს და ამიტომ არ დაუშვა რაიმე ტერიტორიის ჩამოჭრა. ქართულ დელეგაციას მხარი დაუჭირა რუსეთის წარმომადგენელმა და ამიტომ ახალქალაქის მაზრა და ხრამის რაიონის მდგომარეობა უცვლელად დარჩა.

სომხეთის აღნიშნული პრეტენზიების კონტექსტში იხილებოდა ლორეს ნეიტრალური ზონის საკითხი რკპ(ბ) კავბიუროს 1921 წლის მაისის პლენუმზე. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების დამდგენმა კომისიამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მიანდო რკპ(ბ) კავბიუროს, რომელმაც 1921 წლის 7 ივლისს, იოსებ სტალინის მონაწილეობით განიხილა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს და სომხეთის საზღვრების საკითხი. კავბიურომ დაადგინა, რომ ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა შეერთებოდა სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკას.

ამრიგად, სომხეთს გადაეცა ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი — ლორეს ნეიტრალური ზონის ტერიტორია 236,41 კვკმ და ლოქ-ლილვარის ქედის ჩრდილოეთი ფერდობი, სადაც მოსახლეობა არ იყო. 1921 წლის 6 ნოემბერს საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ბუდუ მდივნისა და ალექსანდრე მიასნიკოვის ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით დადგინდა საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვარი, რომელიც დღესაც მოქმედებს.

საქართველოს ტერიტორიულ ცვლილებებს 1921 წლის შემდგომ პერიოდშიც ჰქონდა ადგილი, კერძოდ, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის დადგენილებით, რუსეთის ფედერაციას გადაეცა პილენკოვო (აფხაზეთის ნაწილი), რომლის ტერიტორია შეადგენდა 268,15 კვკმ-ს, ხოლო მოსახლეობა 3500 კაცს და დუშეთის მაზრის მელხესტი და ცეკარო — 166,78 კვკმ 1600 მცხოვრებით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველომ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის ცაკის 1923 წლის დადგენილებით აზერბაიჯანისაგან დაიბრუნა ე.წ. წინამინდორი — ყოფილი ზაქათალის მაზრის ალაზნისპირა ველი — 188,44 კვკმ ტერიტორია, ხოლო 1927 წლის დადგენილებით ყაზახის მაზრის ჩათმის ველი — 132,66 კვკმ სივრცე. 1929 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს გადაეცა გარეჯის სანახების მხოლოდ ნაწილი, ისტორიული ტერიტორიის ნაწილი — ბერთუბანი და სხვ. დღემდე აზერბაიჯანის შემადგენლობაში რჩება.

1929 წელს რუსეთის ფედერაციამ საქართველოს გადმოსცა პილენკოვო, დღევანდელი დაბა განთიადისა და ერმოლოვკის, დღევანდელი დაბა ლესელიძის ტერიტორია, რომლებზედაც, როგორც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე საერთოდ, დღეს საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება.

20-იანი წლების ბოლოს ცვლილებები შეიტანეს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1926 წლის დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი იყო 17 მაზრის, აგრეთვე ფოთის რაიონის, აფხაზეთის სსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, 26 ქალაქისა და 16 ქალაქის ტიპის დასახლების ტერიტორიით. 1929 წლის 11 ივლისს სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარ-

თა საბჭომ მიიღეს დადგენილება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოწყობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყდა — თბილისის, ქუთაისის, გორისა და კახეთის ოლქების ჩამოყალიბება, 52 რაიონის დაარსება საქართველოში, აჭარის ასსრ-ს გამოკლებით, ხოლო აჭარაში 4 რაიონის შექმნა. იქმნებოდა 128 ახალი სასოფლო საბჭო, მათ შორის 8 – აჭარაში. აფხაზეთს, როგორც იმ დროისათვის სამოკავშირეო რესპუბლიკას, აღნიშნული დარაიონება არ შეხებია, და მხოლოდ 1931 წლიდან, ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის შემდეგ ჩაერთო ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

შემდგომ წლებშიც დროდადრო ხდებოდა ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში, რაც დაკავშირებული იყო დაბების ქალაქებად გარდაქმნასთან და სხვა ფაქტორებთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XV

საქართველო 30-იან წლებში

პოლიტიკური ვითარება საქართველოში 30-იანი წლების დასაწყისში

XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრული და 30-იანი წლების დასაწყისი მსოფლიოში არნახული ეკონომიკური კრიზისის პერიოდია. დასავლეთ ევროპის წამყვანი დემოკრატიული ქვეყნები, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატები, ჯერ ეკონომიკური კრიზისის მდგომარეობაში, ხოლო შემდეგ ხანგრძლივ ეკონომიკურ დეპრესიაში აღმოჩნდნენ. ასეთ ვითარებაში ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში სულ უფრო აშკარა ხდებოდა პოლიტიკური შეხედულებების რადიკალიზაცია. ამ ქვეყანაში ყოველწლიურად ძლიერდებოდა რევანშისტული განწყობილება, რაც გერმანელი ერის შელახული ღირსების აღდგენას, ეროვნული ერთიანობის განმტკიცებას ისახავდა მიზნად. მოსახლეობის უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობითა და შექმნილი განწყობილებით სარგებლობდნენ გერმანელი ნაციონალ-სოციალისტები, რომლებიც სწრაფ ეკონომიკურ აღორძინებას, ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის დანგრევას, ახალი სასიცოცხლო სივრცეების მოპოვებას და მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებას აღუთქვამდნენ საკუთარ ხალხს.

ტერიტორიების გადანაწილებას, საკუთარი ჰეგემონიის განმტკიცებასა, შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ინტერესების სერიოზულ შესუსტებასა და მომავალში მათ სრულ გამოდევნას ისახავდა მიზნად მილიტარისტული იაპონიაც.

იტალიელი ფაშისტები ძველი რომის იმპერიის აღდგენის ფანტასტიკურ გეგმებზე ოცნებობდნენ და ხმელთაშუაზღვისპირეთის პატარა ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდნენ.

ასეთ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, 1930 წელს საბჭოთა კავშირში დასრულდა პარტიული დაპირისპირება კომუნისტური პარტიის ცალკეულ ფრაქციებს შორის, რომელშიც გამარჯვება იოსებ სტალინის დაჯგუფებამ მოიპოვა. საბჭოთა სახელმწიფოსაც თავისი იმპერიული გეგმები ჰქონდა: კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება მშვიდობიანი ან სამხედრო ჩა-

რევის დახმარებით კრემლის ლიდერების დაუფარავ სურვილს წარმოდგენდა.

ახალი პოლიტიკური სიტუაცია (სტალინის ერთპიროვნული ძალაუფლება) მოითხოვდა ახალ კადრებს, ენერგიულ პიროვნებებს, რომლებიც შეძლებდნენ სტალინის მიზანდასახულობის ოპტიმალურ რეალიზაციას. ამიერკავკასიისა და საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის როტაცია, უკვე 1930 წლიდან დაიწყო. პირველად გაათავისუფლეს ბესო ლომინაძე. მას დაჰბრალდა მემარცხენეობა, რომელიც „ბლოკში შევიდა მემარჯვენეებთან". ამას მოჰყვა 1931 წლის 31 ოქტომბრის საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კომპარტიების მუშაობის შესახებ". დადგენილება მიუთითებდა, რომ ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომებს გლეხობის საკითხში და ვერ იქნა უზრუნველყოფილი გლეხობის (ღარიბი, საშუალო) სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. დადგენილება სერიოზულად აკრიტიკებდა საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას: „პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობაში ადგილი აქვს ბრძოლას გავლენისათვის, მოხდა კადრების დაწინაურება პირადი ერთგულებით, აწინაურებენ სუსტ მუშაკებს, ბოლშევიკური დისციპლინის დამრღვევებს"...

დადგენილება კონკრეტულ ამოცანებს სახავდა საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისათვის. სწორედ ეს დადგენილება მოითხოვდა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა მუშაკებისგან საქართველოში ჩაისა და ციტრუსების, ტექნიკური კულტურების უპირატეს განვითარებას, საკურორტო ინფრასტრუქტურის შექმნას და ა.შ.

დადგენილების გამოქვეყნებიდან ძალიან მალე, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს მამია ორახელაშვილი. 1931 წლის 14 ნოემბერს გაიმართა საქ. კპ(ბ) ცკ პლენუმი. პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ლავრენტი ბერია. საკადრო ცვლილებები შეეხო საქართველოს პარტიული ორგანიზაციისა და სახელმწიფო სტრუქტურების დიდ უმეტესობას.

საქართველოს კომპარტიის III ყრილობაზე (1932 წელი) ლავრენტი ბერიამ დაუფარავად მიანიშნა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, რომ ვერ მოითმენს მათ მცდელობას შექმნან „ნაპრალები პარტიაში... დაჯგუფებები და ატამანები".

1932 წლის 17 ოქტომბერს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა პირველი მდივანი, მამია ორახელაშვილი გადააყენა თანამდებობიდან და მის ნაცვლად აირჩია ლავრენტი ბერია.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის აუცილებლობა ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე ობიექტურმა პროცესებმა დააყენეს: ევროპის რიგი სახელმწიფოს მესვეურთა პოლიტიკურ გეგმებში ახალი მსოფლიო ომისათვის მზადება შედიოდა. ჰიტლერისა და მუსოლინის, მილიტარისტული იაპონიის აგრესიული ზრახვები, მათი ბრძოლა „ახალი სივრცეებისათვის, მსოფლიოში ახალი წესრიგისათვის", დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მესვეურთა მხრიდან რევანშისტების საქმიანობისადმი წაყრუება, მათი მცდელობა ჰიტლერის დახმარებით გამოესწორებინათ „ოქტომბრის შეცდომა", საბჭოთა ხელმძღვანელებს უბიძგებდა უფრო სწრაფად განევითარებინათ მძიმე მრეწველობა, შეექმნათ სამხედრო წარმოების ახალი, მანამდე არარსებული დარგები. იოსებ სტალინი უკვე 1931 წლის ზაფხულში ეკონომიკურ თათბირზე საჯაროდ აცხადებდა: „ჩვენ 50-100 წლით ჩამოვრჩით მოწინავე ქვეყნებს. ჩვენ ეს მანძილი ათი წლის განმავლობაში უნდა გავირბინოთ, ან შევასრულებთ ამას, ან გაგვსრესენ". ინდუსტრიალიზაციის ტემპების დაჩქარებას მოითხოვდა კომუნისტური პარტიის შიგნით არსებული მემარცხენე ოპოზიციაც, რომელიც ამ მიზნით კულაკობის წინააღმდეგ მიმართულ ექსპროპრიაციული ზომების კიდევ უფრო გამკაცრების აუცილებლობას ვარაუდობდა. ამის საფუძველზე უნდა მომხდარიყო პირველადი სოციალისტური დაგროვება და აქედან მიღებული მატერიალური რესურსებით მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება. ამიტომაც პირველ ხუთწლიან გეგმაში (1928/1932 წწ.) 30-იანი წლების დასაწყისიდან, როგორც უკვე აღინიშნა, კიდევ უფრო გააძლიერეს მრეწველობის „ა" ჯგუფის — წარმოების დარგების განვითარება.

პირველი ხუთწლედის წლებში აშენდა ახალი თბოსადგურები, სამშენებლო მასალათა საწარმოები, მსუბუქი მრეწველობის რიგი ობიექტი და ა.შ. მიმდინარეობდა კასპის ცემენტის ქარხნის, თბილისის ახალი მექანიკური, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნების, ზაჰესი-II-ის მშენებლობა. 1933 წელს ექსპლოატაციაში შევიდა რიონჰესი, შენდებოდა ტყვარჩელის ქვანახშირის მაღარო, ქუთაისის ბარიტის საბადოს ბაზაზე ლითოფონის ქარხანა და სხვ. ყველაფერმა ამან საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, უმუშევართა შემცირება უზრუნველყო. 1930 წელს უმუშევრობა, როგორც სოციალური მოვლენა, საქართველოში ოფიციალურად აღარ იყო რეგისტრირებული.

საქართველოს ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოსვლა დაემთხვა ახალი ხუთწლიანი გეგმის (1933-1938 წწ.) შემუშავებას და რეალიზა-

ციას. ეს პერიოდი კიდევ უფრო დაძაბული იყო. ხუთწლედის ძირითად და გადამწყვეტ სამეურნეო ამოცანად დაისახა სახალხო მეურნეობის სოციალისტრუქცია, ახალი ტექნიკური ბაზის შექმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისთვის. ამ ხუთწლედში უნდა დასრულებულიყო კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაცია მეურნეობის ყველა სფეროში. სოფლად საბოლოოდ უნდა დამთავრებულიყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესი.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა საქართველოს ელექტრო-ენერგეტიკის შემდგომ განვითარებას, დაგეგმილი იყო ხრამჰესის, რიონჰესის მეორე რიგის აგება, თბოსადგურების აშენება ტყვარჩელსა და შირაქში.

ვარაუდობდნენ ფერომანგანუმის წარმოების 150 ათას ტონამდე გადიდებას. უდიდესი ამოცანები დადგა მანგანუმის მრეწველობის წინაშე — მას მთლიანად უნდა უზრუნველეყო საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება მანგანუმის მადანზე და შეექმნა ძლიერი რეზერვი ექსპორტისათვის. მანგანუმის წარმოება უნდა გადიდებულიყო 1,5 მილიონ ტონამდე წლიურად.

საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი — კვების მრეწველობის განვითარებისთვის განისაზღვრა ხილ-ბოსტნეულის საერთო მოსავლის 10%-ის გადამუშავება, საქართველოს კვების მრეწველობას წლიურად, პირობითი 200 მილიონი ქილა კონსერვი უნდა ეწარმოებინა.

უკვე მეორე ხუთწლედის პირველ წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებისთვის გამოიყო 330 მილიონი მანეთი, აქედან მრეწველობისთვის — 115.7 მილიონი მანეთი, სოფლის მეურნეობისთვის — 58 მილიონი მანეთი.

კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა სახალხო მეურნეობის გარდაქმნის ახალი პრინციპები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ წარმოების საშუალებათა ტოტალური გასახელმწიფოებრიობის პირობებში შრომის შედეგებით მშრომელების დაინტერესებას.

წინსვლის ბერკეტად სოციალისტური შეჯიბრება გამოცხადდა. 1929 წელს გამოქვეყნდა ლენინის 1917 წლის წერილი. „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება". მას გამოეხმაურნენ კომკავშირული ორგანიზაციები. ჩაითვალა, რომ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საზოგადოების კეთილშობილ არსს გამოხატავდა და მთლიანად ცვლიდა კაპიტალისტურ კონკურენციას მისი „მგლური კანონით", კონკურენტის განადგურების მცდელობით. სოციალისტური შეჯიბრება გულისხმობდა ურთიერთდახმარებას, გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივ წინსვლას ეკონომიკური სიძნელეების დასაძლევად. კომუნისტური პრესის, ადგილობრივი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მასობრივი პროპაგანდის წყალობით სოცია-

ლისტური შეჯიბრება საქართველოს ყველა სამრეწველო შრომით კოლექტივში დაინერგა და ეკონომიკური ეფექტიც მოიტანა.

30-იანი წლების შუა ხანებში საქართველო ინდუსტრიული მშენებლობების ნამდვილი სარბიელი იყო: თბილისში შენდებოდა ამიერკავკასიაში უდიდესი ფეხსაცმლის ფაბრიკა, საკავშირო მნიშვნელობის ავტოშემკეთებელი და ჩარხსაშენებელი საწარმოები, ქარხანა „ცენტროლიტი" და სხვა სამრეწველო ობიექტები. ახალი საწარმოები შენდებოდა ქუთაისში, ბათუმში, ცხინვალსა და სოხუმში. ისინი, ხშირ შემთხვევაში, უახლესი ტექნიკით იყვნენ აღჭურვილი, რაც კვალიფიცირებული კადრებით საწარმოების უზრუნველყოფას გულისხმობდა. უდიდესი ყურადღება მიექცა პროფესიულ-ტექნიკური განათლების ქსელის შექმნას. წამყვან საწარმოებთან არსდებოდა ტექნიკური სასწავლებლები, რომლებშიც ახალგაზრდები ტექნიკურ ცოდნას ეუფლებოდნენ.

30-იანი წლების შუახანებში საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის რაოდენობა — საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი საქართველოს მრეწველობის სხვადასხვა დარგისთვის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებდა.

1935 წლის 30 აგვისტოს დომბასელმა მეშახტემ ალექსანდრე სტახანოვმა შრომის ახალი რეკორდი დაამყარა — დღიურ საწარმოო ნორმას 14-ჯერ გადააჭარბა (როგორც დღეს ირკვევა – შრომითი აქტივობის ეს ფორმა პარტიული ორგანიზაციების ხელშეწყობით დაიბადა). ეს თაოსნობა, ახალი მასობრივი შრომითი ინიციატივის სტიმული გახდა, თუმცა ფორმალიზმი, ადმინისტრირება, ქანცგამწყვეტი შრომა ამ წამოწყებას თავიდანვე დაჰყვა.

საქართველოში პირველი სტახანოველები ჭიათურისა და ტყიბულის საწარმოებში გაჩნდნენ. მაღაროელები: სამხარაძე, ფოფხაძე, კაპანაძე, ტყიბულელი მეშახტე გიორგაძე, ტყვარჩელელი ხუნტუა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სტახანოველი ფაღავა და სხვები დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ.

სტახანოვური მოძრაობის ტოტალური გავრცელებით მოხერხდა მრეწველობის წამყვან დარგებში შრომის ნაყოფიერების გადიდება. საქართველოში ერთ წელიწადში შრომის ნაყოფიერება 22%-ით, ხოლო საკუთრივ მძიმე მრეწველობის საწარმოებში — 25,5%-ით გაიზარდა (ასე ამტკიცებდა ოფიციალური სტატისტიკა).

სტახანოვურ მოძრაობას თან ერთვოდა მუშათა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება — რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ადგილობრივი ორგანიზაციები იხილავდნენ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა

მრავალ საინტერესო წინადადებას და გამორჩეულ იდეებს საწარმოებში მუშაობისას იზიარებდნენ.

ეკონომიკის მართვის საბჭოთა ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული სისტემა იმჟამად აღმავლობას განიცდიდა და ჯერ კიდევ ახერხებდა მართვის არაეკონომიკური, სუბიექტური მეთოდებით შედარებით მაღალი შედეგების მიღწევას. მეორე ხუთწლედში საქართველოს მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 108,2 %-ით გაიზარდა. ამ პერიოდში საქართველოში შეიქმნა ფეროშენადნობთა წარმოება, ექსპლოატაციაში შევიდა ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობა, სვანეთში საწარმოო მნიშვნელობა მიეცა ოქროს მოპოვებას, დაიწყეს ნავთობის ამოღება მირზაანში და ა.შ.

ეკონომიკური წარმატებები მრეწველობაში სოფლის არნახული ექსპლოატაციის ხარჯზე მოხდა. ამას კომუნისტი ლიდერები არც მალავდნენ: თავისუფალი ფინანსური შესაძლებლობების არარსებობის პირობებში სოფლის, განსაკუთრებით კი მისი შეძლებული ნაწილის (მდიდარი და საშუალო შეძლების მქონე გლეხობის ფენა) ტოტალური გაძარცვის საფუძველზე მოხერხდა ის, რომ მრეწველობის განვითარების ტემპებით, ეკონომიკური მიღწევებით საბჭოთა კავშირი უკვე 1935 წელს მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე გავიდა — ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, ის იყო მეორე სახელმწიფო პროდუქციის წარმოების საერთო მაჩვენებლებით.

სამრეწველო წარმატებებმა შესაძლებლობა მისცა ქვეყანას უფრო მეტი რაოდენობით ეწარმოებინა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რის ბაზაზეც მოხდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მატერიალური ბაზის განმტკიცება. 30-იანი წლების დასაწყისში დაშვებული მძიმე შეცდომები საქართველოს სოფლის მეურნეობაში შედარებით გამოსწორდა. საბოლოოდ განისაზღვრა სამეურნეო და ორგანიზაციული პრინციპები, რომლის საფუძველზე უნდა განვითარებულიყო კოლექტიური მეურნეობა — დაწესდა კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი შრომის აღრიცხვის ახალი ფორმა — შრომადღე. მაგრამ მატერიალური სტიმულირება მაინც არ იყო გადამწყვეტი ფაქტორი. პარტიული კონტროლის გასაძლიერებლად მტს-ებთან და საბჭოთა მეურნეობებთან შეიქმნა პოლიტგანყოფილებები, რომლებიც აკონტროლებდნენ გლეხობის პოლიტიკურ გუნება-განწყობილებას.

1935 წელს დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე მოსკოვში, რომელსაც საქართველოს დელეგაციაც ესწრებოდა, მიიღეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება. მან იურიდიული საფუძველი შეუქმნა კოლმეურნეობების შემდგომ განვითარებას.

საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობა თავისებურებებით გამოირჩეოდა. 1932 წლისათვის კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო გლეხური

მეურნეობის მხოლოდ 36,1%, მათ სარგებლობაში იყო სათესი ფართობის მხოლოდ 29,6%.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკპ (ბ) 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების შემდეგ, საქართველოს სოფლის მეურნეობამ ორიენტაცია აიღო ტექნიკურ და სუბტროპიკულ კულტურებზე: საქართველო იყო ციტრუსების, ჩაის, ღვინის თითქმის მონოპოლიური მიმწოდებელი საბჭოთა ბაზარზე, იგი აწარმოებდა თამბაქოს, ტუნგოს, აბრუშუმის პარკის და სხვა ტექნიკური კულტურების მნიშვნელოვან ნაწილს, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობას გამორჩეულ მდგომარეობაში აყენებდა — ეს მონოპოლური მდგომარეობა საბჭოთა ბაზრის დაკარგვის შემთხვევაში უმძიმეს ვითარებაში ჩააგდებდა ტექნიკური კულტურების მწარმოებელ რეგიონებს (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს — ჩაისა და ციტრუსების მწარმოებელ ძირითად ცენტრს). ეს ასეც მოხდა XX საუკუნის დასასრულს.

საკოლმეურნეო მოძრაობის ინტენსიფიკაციამ, რაც სოფლის შედარებით შეძლებული ფენის („კულაკების") ჯერ შეზღუდვას და მერე მის კლასობრივ განადგურებას ითვალისწინებდა, საქართველოს სოფელში ძლიერ გაამწვავა კლასობრივი დაპირისპირება. კულაკების ექსპროპრიაციით სოფლის ღარიბი მოსახლეობაც იყო დაინტერესებული, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ „განკულაკების" პროცესებში.

იმისათვის, რომ სოფლად როგორმე შეესუსტებინა დაძაბული სოციალური ვითარება, საბჭოთა ხელისუფლებამ ლოიალურად განწყობილი გლეხობისთვის შეღავათი დააწესა: მათ შეეძლოთ საკარმიდამო მიწაზე მოყვანილი ჭარბი პროდუქტი საკოლმეურნეო ბაზარზე გაეტანათ. 1932 წლიდან დიდ ქალაქებში საკოლმეურნეო ბაზრები მოეწყო.

საკოლმეურნეო ბაზრიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვანი დანამატი იყო კოლმეურნის ბიუჯეტზე, რომელიც იძულებული იყო კოლმეურნეობაში თავისი იაფფასიანი შრომა საკარმიდამო მიწიდან მიღებული შემოსავლით შეევსო.

სიძნელეების მიუხედავად, საკოლმეურნეო სისტემა მაინც განმტკიცდა საქართველოში. გაჩნდნენ „მილიონერი" კოლმეურნეობები, რომლებსაც დიდი შემოსავლები ჰქონდათ. პირველ რიგში ესენი იყვნენ დასავლეთ საქართველოს მეციტრუსეობის და მეჩაიეობის კოლმეურნეობები.

დასავლეთ საქართველოს სოფლის ეკონომიკური აღორძინებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჭაობიანი ადგილების ამოშრობას, რაც სწორედ 30-იან წლებში დაიწყო და წარმატებით განხორციელდა. 1935 წლისათვის ამოშრობილი იყო: ფოთის რაიონში — 309 ჰექტარი, ხობის რაიონში — 5538 ჰექტარი, სენაკის რაიონში — 6621 ჰექტარი, აბაშის რა-

იონში — 1052 ჰექტარი, ლანჩხუთის რაიონში — 566, მახარაძის რაიონში — 520 ჰექტარი ფართობი. ამოშრობილ მასივებში შენდებოდა ციტრუსების ბაღები, ჩაის პლანტაციები.

ხეხილის ბაღები და ახალი ვენახები შენდებოდა აღმოსავლეთ საქართველოშიც. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობას, რაც 1924 წელს დაიწყო. 1930 წელს ექსპლოატაციაში შევიდა 5400 ჰექტარი ახალი სარწყავი მასივი, უკვე 1933 წელს ირწყვებოდა 23 654 ჰექტარი ახლად ათვისებული მიწა. თესავდნენ ბამბას, რგავდნენ ხეხილს, აშენებდნენ ვენახის ზვრებს.

სოფლის რადიკალურ ეკონომიკურ გარდაქმნას სოციალური ცვლილებაც მოჰყვა — სოფლებში გაიხსნა სკოლები, ამბულატორიები, სასოფლო რაიონების ადმინისტრაციულ ცენტრებში ფუნქციონირებდნენ სტაციონარული საავადმყოფოები, თუმცა ნაკლიც ბევრი იყო.

საბჭოთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი შრომითი თაოსნობები და პატრიოტული მოწოდებები სოფლადაც ვრცელდებოდა. ძალიან მალე, სტახანოვური მუშაობის ფორმები საქართველოს სოფელშიც გავრცელდა. კოლმეურნეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საჰექტარო მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

საკოლმეურნეო მოძრაობამ გაამართლა საბჭოთა ლიდერების მიზნები — სახელმწიფოს ხელში თავი მოიყარა იაფმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ. მისი თავისუფალი, უკონტროლო განკარგვის უფლება მხოლოდ სახელმწიფოს ჰქონდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებები 1939 წელს მოსკოვში გახსნილ სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე აისახა. სტალინური არქიტექტურის ეს კომპლექსი აერთიანებდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის პავილიონებს. საქართველოს პავილიონში ქვეყნის ხვავი და ბარაქა ჰქონდა წარმოდგენილი.

ეკონომიკის მოდერნიზაციის, სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად ომის წინა წლებში წინსვლა შეიმჩნეოდა საქართველოს სახალხო მეურნეობაში. ეს აისახა მის ბიუჯეტზე, შემოსავალზე. 1937 წელს საქართველოს ბიუჯეტის შემოსავალი უდრიდა 805 396 ათას მანეთს, გასავალი — 789 091 ათას მანეთს. 1938 წელს საქართველოს ბიუჯეტი გაიზარდა და შეადგინა 1 065 მილიონი მანეთი, ხოლო 1939 წელს ის უკვე უდრიდა 1 147 806 ათას მანეთს.

სიძნელეების, ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად, ომის წინა წლებში საქართველოს მოსახლეობამ მუხლჩაუხრელი შრომით მტკიცე საფუძველი შეუქმნა ქვეყნის როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო განვითარებას.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობა 30-იან წლებში

30-იანი წლების დასაწყისში ეროვნებათაშორის ურთიერთობას ჯერ კვლავ ეტყობოდა ის კრიზისული ნიშნები, რაც დამახასიათებელი იყო 20-იანი წლების დასასრულისთვის, როცა დაიწყო ლაპარაკი „ქართული შოვინიზმის" შესახებ. მაგრამ იოსებ სტალინის ერთპიროვნული ძალაუფლების დამკვიდრებამ ამ საქმეშიც სახასიათო კორექტივები შეიტანა. ყველაზე თვალნათლივ ეს აფხაზეთთან დაკავშირებით გამოვლინდა — 1931 წელს ის გაუგებრობა გამოსწორდა, რაც აფხაზეთის ე. წ. „სახელშეკრულებო სტატუსის" მინიჭებაში მდგომარეობდა, როდესაც ის ფაქტობრივად ავტონომიას წარმოადგენდა. 1931 წლის 4 თებერვალს აფხაზეთის საბჭოების I ყრილობაზე აფხაზეთის სტატუსი შეიცვალა — ის გახდა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში.

ამ გადაწყვეტილებით აშკარად თუ ფარულად უკმაყოფილო იყო აფხაზეთის ეთნოკრატია, მან წააქეზა აფხაზი (აფსუა) მოსახლეობის ერთი ჯგუფი, რითაც 1931 წლის 23 თებერვალს გუდაუთაში მღელვარება გამოიწვია. სოფელ აჩანდარაში გლეხებმა ანტისაბჭოთა გამოსვლები დაიწყეს.

ამბოხების შემდეგ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება უკვე აქტიურად ზრუნავდა აფხაზურ ენასა და სკოლაზე. მიღებულ სპეციალურ დადგენილებაში ხაზგასმით იყო მითითებული აფხაზურ სკოლებში პირველ საფეხურზე, აუცილებელი რუსულის ნაცვლად აფხაზური ენის სწავლების დანერგვა. გათვალისწინებული იყო მუშათა კადრების მომზადება აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებისაგან რეგიონის მზარდი სამრეწველო პოტენციალისთვის. ამ ეტაპზე დაძაბულობის ლიკვიდაცია უსისხლოდ მოხერხდა.

30-იანი წლების დასაწყისში ვითარება დაიძაბა საქართველოს სამხრეთ რეგიონში — სამცხე-ჯავახეთში. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესის ფორსირებამ, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პროცესმა, წრეგადასულმა რეპრესიებმა ამ კუთხეში თურქეთში გადასახლების ტენდენციები ააღორძინა.

30-იან წლებში სამშობლოში გადასახლების სურვილი გაუჩნდათ აფხაზეთში მცხოვრებ ბერძნებს — ეს ტენდენციაც მზარდი იყო.

საქართველოს ახალმა პარტიულმა ხელმძღვანელმა დამოკიდებულება შეცვალა საქართველოში მცხოვრები ნაციონალური უმცირესობების მიმართ. 20-იან წლებში წარმოებული ეროვნებათაშორისი პოლიტიკისგან განსხვავებით, როცა ცდილობდნენ საქართველოში მცხოვრები უამრავი ეთნიკური ჯგუფებისთვის „სასათბურო" პირობები შეექმნათ, ხშირ შემთხვე-

ვაში, მკვიდრი მოსახლეობის ეროვნული ინტერესების ხარჯზე, ახალმა ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა საქართველოს დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების ბაზაზე საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლებისთვის სოციალური ყოფის მოწესრიგება: ხელფასის გაზრდა, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მოგვარება, განათლების სისტემის განვითარება და განმტკიცება, მზარდი კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მსოფლიოში ნაციონალ-სოციალისტური იდეების კულტივირებისა და ფაშიზმის საფრთხის გამო საბჭოთა კავშირში ნელა, მაგრამ საგრძნობლად იცვლებოდა დამოკიდებულება ეროვნული ფასეულობებისადმი. პოკროვსკის საისტორიო სკოლის (რომელიც გმობდა ცარიზმის კოლონიურ-დაპყრობით პოლიტიკას, უჩვენებდა ხალხის მასების კლასობრივ ბრძოლას) მკაცრი კრიტიკის პირობებში, 20-იან წლებში შევიწროებული ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების შედარებითი რეაბილიტაცია დაიწყო, ხდებოდა ეროვნული ფასეულობების წინ წამოწევა, ეროვნული კულტურის მოღვაწეების დაფასება.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურმა დაწინაურებამ 30-იანი წლების შუახანებში ნაყოფიერი გავლენა მოახდინა საქართველოს შემადგენლობაში მყოფი აფხაზი (აფსუა) და ოსი ეროვნების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

30-იანი წლების შუახანებში თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია აფხაზეთის ეკონომიკამ. მხოლოდ მრეწველობამ, 1937 წელს აწარმოა 42 მილიონი მანეთის, 1938 წელს — 47,5 მილიონი, ხოლო 1939 წლისათვის 50 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ვითარდებოდა აგრარული სექტორი: აფხაზეთში 14 საბჭოთა და 266 კოლექტიური მეურნეობა იყო, ჩაი გაშენებული იყო 8100 ჰექტარზე, ციტრუსები — 4423 ჰექტარზე, ვენახი — 7360 ჰექტარზე. აფხაზეთში დარგული იყო 1150000 ევკალიპტი. თამბაქო გაშენებული იყო 11 430 ჰექტარზე. მხოლოდ მეთამბაქოება აფხაზეთის გლეხობას ყოველწლიურად 150 მილიონ მანეთს აძლევდა.

რადიკალურად შეიცვალა მოსახლეობის კულტურული დონე — ყოველწლიურად იხსნებოდა ახალი სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები. სოხუმში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ტექნიკუმები. აღიზარდა აფხაზი ეროვნების ინტელიგენცია. შეიქმნა პირობები აფხაზური ენის, დამწერლობის, ლიტერატურის განვითარებისთვის. აღსანიშნავია აფხაზეთის დიდი შვილის, დიმიტრი გულიას მოღვაწეობა აფხაზური ენისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში. ის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტო-

რიული ძმობის ტრადიციის განვითარებას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეპრესიებმა აფხაზეთის საერთო-კულტურული წინსვლა შეაფერხა.

1937 წელს აფხაზეთის ინტელიგენციის „ინიციატივით" და პარტიული ხელმძღვანელობის მხარდაჭერით განხორციელდა აფხაზური ანბანის ლათინურიდან ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის პროცესი. ეს გადაწყვეტილება მიიღო აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის X კონფერენციამ.

ომის წინა წლებში აფხაზეთში დიდი მუშაობა წარმოებდა დაჭაობებული მიწების ამოშრობისა და ათვისებისთვის. ახალ მიწებზე ახალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იქმნებოდა. გადაწყდა ამ ტერიტორიაზე ახალშენების მოწყობა. მოახალშენეებისთვის უკვე 1939 წლისთვის აშენდა 597 საცხოვრებელი სახლი, მაგრამ იმერეთიდან გადმოსახლებულთა ერთმა ნაწილმა ვერ გაუძლო ახალ ბუნებრივ პირობებს და უკან დაბრუნდა.

1933 წელს საბჭოთა კავშირში პირველად, ქალაქ ბათუმში ბუნებრივი საღებავების ქარხანა ამუშავდა, ექსპლოატაციაში შევიდა დიდი სამკერვალო ფაბრიკა, ტუნგოს ზეთსახდელი ქარხანა, ჩაისა და ხილის გადამმუშავებელი საწარმოები, ციტრუსების კომბინატი, საფერმეტაციო ქარხანა. ბათუმში იყო საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების 20-მდე საწარმო. 1921 წელს აჭარის ასსრ-ში მოქმედებდა 11 მსხვილი და საშუალო საწარმო, უკვე 1939 წელს მათი რაოდენობა შეადგენდა 328-ს. სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 135-ჯერ. მხოლოდ მსხვილი მრეწველობის პროდუქციის წარმოება 1928 -1940 წლებში 43,7-ჯერ და მეტად გაიზარდა.

სახე იცვალა შიდა ქართლის რეგიონმა — სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა. კუთხემ, სადაც რევოლუციამდე არც ერთი სამრეწველო საწარმო არ იყო, ხოლო ოსი მოსახლეობა — წერა-კითხვის ცოდნას იყო მოკლებული, შეძლო მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა. აშენდა ცხინვალის ხეტყის კომბინატი, ჭურისხევის ხეტყის გადამმუშავებელი ქარხანა და ა.შ.

დიდი ძვრები მოხდა სოფლის მეურნეობაში: თვალსაჩინოდ გაიზარდა ნათესი ფართობები: 19 ათასი ჰექტრიდან 38172 ჰექტრამდე. მნიშვნელოვნად გაიზარდა ოლქის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო დარგის — მესაქონლეობის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის საერთო სტრუქტურაში.

გაუმჯობესდა ოლქის კულტურული მომსახურება: 1919 წელს რეგიონში 8 სკოლა იყო, ძირითადად ქართულ სოფლებში, 1937 წელს კი ოლქში უკვე 327 სკოლა იყო. ცხინვალში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი, ტექნიკუმები, საშუალო სკოლები. შეიქმნა ოსური თეატრი, გამოდიოდა ოსური გაზეთები. ბევრ სოფელში იყო მოძრავი კინოაპარატები.

პრობლემების მიუხედავად, საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობა ქართველებთან ერთად შრომობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურული განვითარებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საზოგადოებამ სწრაფად ცვლად მსოფლიოსთან ერთად, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილება და სოციალური ტრანსფორმაცია განიცადა. ეს ცვლილებები მის ძირითად კანონში — კონსტიტუციაშიც უნდა ასახულიყო. 1935 წლის 7 თებერვალს შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც უნდა გაეთვალისწინებინა საბჭოთა კავშირში შექმნილი ახალი პოლიტიკური და სოციალური რეალიები და მის საფუძველზე შემუშავებინა კონსტიტუციის პროექტი. 1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოების სრულიად საკავშირო VIII ყრილობამ მიიღო სსრკ ახალი კონსტიტუცია. მასში აისახა მრავალი ფორმალური სიახლე, რასაც არ ცნობდა პირველი საბჭოთა კონსტიტუცია — ეს იყო ლენინური საბჭოების სისტემისა და დემოკრატიის რიგი პრინციპის შეხამების ცდა (ფარული კენჭისყრა, პირდაპირი არჩევნები, ორპალატიანი უზენაესი საბჭო, არჩევნებში ყოველგვარი კლასობრივი შეზღუდვის გაუქმება, მოკავშირე რესპუბლიკის კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება და ა.შ.)

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში დაიწყო ადგილობრივი კონსტიტუციების შემუშავება. საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელ დეპუტატთა საბჭოების საგანგებო, VIII ყრილობის დადგენილებას „ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ლიკვიდაციის შესახებ“.

ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ხელოვნური წარმონაქმნი საგრძნობლად ზღუდავდა ნაციონალური რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს და მუდამ კრიტიკის ობიექტი და დაპირისპირებების ასპარეზი იყო.

საქართველოს ახალი კონსტიტუცია მიიღეს 1937 წლის 13 თებერვალს სრულიად საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობაზე. იგი ბრმად იმეორებდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის ყველა ძირითად თეორიულ, თუ პრაქტიკულ დებულებას: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო: მთელი ძალაუფლება საქართველოს სსრ-ში ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით“ — ეწერა კონსტიტუციაში.

ამ კონსტიტუციაშიც ხაზგასმული იყო, რომ საქართველო „ნებაყოფ-

ლობით გაერთიანდა“ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რისთვისაც ცენტრალურ ხელისუფლებას გადასცა თავისი უფლებების ნაწილი. განსაზღვრული იყო საბჭოთა პოლიტიკური სისტემის საფუძვლების — საბჭოების უფლება და მოვალეობები, მოცემული იყო სახელმწიფო უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების შემადგენლობისა და მუშაობის წესი, განისაზღვრა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის უფლებრივი სტატუსი, მათი განვითარების ძირითადი სამართლებრივი პრინციპები.

საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ კვლავ დაადასტურა 1921 და 1927 წლების კონსტიტუციების ძირითადი პრინციპი — ქართული ენა კვლავ სახელმწიფო ენად გამოცხადდა.

კონსტიტუციაში მოქალაქის უფლებები და მოვალეობები განსაკუთრებული მნიშვნელობით დაფიქსირდა: პირველ ადგილზე იყო ის, რაც თვალსაჩინო და განმსაზღვრელი იყო საბჭოთა ქვეყნისთვის: „შრომის უფლება — გარანტირებული სამუშაოს მიღების უფლება მათი შრომის ანაზღაურებით მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად“. საბჭოთა მოქალაქეს ჰქონდა დასვენების, მოხუცებულობაში მატერიალური უზრუნველყოფის, განათლების უფლება. ქალი გათანასწორებული იყო მამაკაცთან, აღიარებული იყო კანონის წინაშე ყველას თანასწორობა ეროვნული, რასობრივი განსხვავების მიუხედავად. დაინერგა პირდაპირი და ფარული საარჩევნო სისტემა.

მაგრამ კომუნისტური პარტიის მონოპოლიური მმართველობის პირობებში არჩევნები მუდამ ირეალური იყო. კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის სტალინური პრინციპი არ გულისხმობდა ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) სისტემების გაყოფას. აღმასრულებელი ხელისუფლება წარმოდგენილი იყო საკანონმდებლო სისტემაში, კონტროლის მექანიზმი კი მთლიანად პარტიის მიერ იყო უზურპირებული. მართალია, არჩევნების დროს დეპუტატობის კანდიდატები მოწინავე მუშები და გლეხები, თვალსაჩინო და ღირსეული მეცნიერები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ პოლიტიკურ ამინდს სესიებზე მუდამ პარტიული ნომენკლატურა ქმნიდა, ის აყალიბებდა კანონპროექტებს და წარადგენდა დასამტკიცებლად.

ახალი საარჩევნო დებულების თანახმად, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა 1938 წლის 12 ივნისს. იმ დღეს თბილისში საზეიმოდ გაიხსნა ფუნიკულიორის დიდებული ნაგებობა.

არჩევნები მოსახლეობის არნახული „აქტივობის“ პირობებში ჩატარდა. ხალხი საარჩევნო უბნებში ცეკვა-სიმღერით, ხალხური ინსტრუმენ-

ტების თანხლებით, საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი გაემართა, მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,2 %-მა. საქართველოს უზენაეს საბჭოში 237 დეპუტატი იყო არჩეული. მათ შორის: კომუნისტი — 75,5%, უპარტიო — 24,5%, მუშა იყო — 33%, გლეხი — 23%, ხოლო 24,9%. ქალი დეპუტატი. ეროვნული შემადგენლობა ასეთი იყო: ქართველი — 191, რუსი — 7, სომეხი — 13, აზერბაიჯანელი — 7, ოსი — 7, აფხაზი — 5, იტალიელი — 1, ებრაელი — 3, ბერძენი — 2 დეპუტატი.

პირველი მოწვევის პირველ სესიაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ფილიპე მახარაძე აირჩიეს. ჩამოყალიბდა საქართველოს საბჭოთა მთავრობა, რომელსაც ვალერიან ბაქრაძე ხელმძღვანელობდა.

ჩატარდა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ის უზენაესი საბჭოების სესიები, შეიქმნა ადგილობრივი ხელისუფლება.

1938 წელს საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი ლავრენტი ბერია მოსკოვში გადაიყვანეს — შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. მან თავისი ადგილი დაუთმო საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივანს, კანდიდ ჩარკვიანს.

მასობრივი რეპრესიები საქართველოში 30-იანი წლების მეორე ნახევარში

კომუნისტური იდეოლოგია და პრაქტიკა რეპრესიებს არ გამორიცხავდა. კლასობრივი ბრძოლის თეორია თავიდანვე გულისხმობდა დამარცხებული, მაგრამ არა ბოლომდე განადგურებული კლასობრივი მტრის, პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ მიმართულ დამთრგუნავ მოქმედებას.

30-იანი წლების შუახანებში მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირში მომწიფდა ისეთი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობა, რამაც გამოიწვია ტერორის ახალი ტალღის აგორება, მასობრივი ფსიქოზი, რაც სისხლიან ანგარიშსწორებაში გადაიზარდა.

საზოგადოების მართვის დიქტატორული მეთოდების გამო დამყარდა გარკვეული ეკონომიკური სტაბილიზაცია, რაც სახალხო მეურნეობის დინამიკურ განვითარებაშიც აისახა. მაგრამ ამ სტაბილიზაციამ აშკარად აჩვენა სოციალიზმის საბჭოთა სისტემის თეორიულ პრინციპებსა და რეალურ ცხოვრებას შორის არსებული, ხშირ შემთხვევაში გადაულახავი წინააღმდეგობები. განსაკუთრებით ეკონომიკაში (შრომის ნაყოფიერების დაბალი მაჩვენებლები, საწარმოებიდან მუშათა პერმანენტული დენადობა, საწარმოო პროცესის არაეფექტიანობა, პროდუქციის თვითღირებულების სიდიდე და ა.შ.). მიმდინარეობდა ეკონომიკის მართვა ისეთი მეთოდებით, რაც მთლიანად გამორიცხავდა საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ

პრინციპებს: უგულებელყოფილი იყო ჯანსაღი კონკურენცია, თავისუფალი მეწარმეობა ჯერ შეზღუდული, შემდეგ — ლიკვიდირებული იქნა. მატერიალური სტიმულირება შეიცვალა მორალურით. მაგრამ, რადგან უზენაესი იყო კომუნისტური იდეალების რწმენა, რეალური ცხოვრების მიერ წარმოშობილი ობიექტური ნაკლოვანებები ჩაითვალა არა მოძღვრების (თეორიის) შეცდომად, არამედ პრაქტიკული ცხოვრების (განვითარების, ზრდის) ნაკლოვანებად, რისი გამოსწორებაც ძალის გამოყენებით სცადეს.

ძალიან მალე წარმოიშვა წინააღმდეგობა სოციალიზმის კანონებსა და პიროვნების სუბიექტურ ბუნებას შორის. რა თქმა უნდა, იყვნენ იდეის ფანატიკურად ერთგული ადამიანები, მაგრამ მოსახლეობის ძირითად მასას არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ ბევრ შემთხვევაში, პირადი ინტერესებიც ამოძრავებდა. წარმოიშვა წინააღმდეგობა ადამიანის ინდივიდუალურ ბუნებასა და საზოგადოებაში გაბატონებულ კოლექტიურ იდეოლოგიურ პრინციპებს შორის. დაიწყო საუბარი „პიროვნების გადაგვარებაზე". ამ წინააღმდეგობის დაძლევაც ძალით სცადეს.

ტრაგიკული მოვლენების მთავარი კატალიზატორი იყო II მსოფლიო ომის მოახლოება. 30-იანი წლების შუა ხანებში გერმანიაში საბოლოოდ განმტკიცდა ნაცისტური იდეოლოგია და პოლიტიკა. დასავლეთის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე ცდილობდა ფაშიზმისა და კომუნიზმის შეტაკებით საკუთარი ქვეყნებისთვის შესაძლო სამხედრო კონფლიქტი აეცილებინა. მათი წაყრუება და ჩუმი ხელშეწყობა გერმანიამ საკუთარი პრეტენზიების დასამკვიდრებლად ჩინებულად გამოიყენა.

საბჭოთა ხელისუფლება მიუღებელი იყო როგორც დემოკრატიული ქვეყნებისთვის, ისე ფაშისტური სახელმწიფოებისთვისაც. საბჭოთა კავშირი კი, თავისი ტერიტორიული სიდიდის მიუხედავად, ეკონომიკურად შედარებით სუსტი ქვეყანა იყო. კომუნისტური პარტიის ამოცანა — უმოკლეს დროში მიეღწიათ არა მარტო დიდი ეკონომიკური ნახტომისთვის, არამედ საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისთვისაც — გულისხმობდა ყოველგვარი ოპოზიციური ძალის ლიკვიდაციასა და მომავალ ომში შესაძლო „მეხუთე კოლონის" პრაქტიკულ განადგურებას. საბჭოთა საზოგადოების ყველა არსებული ნაკლი ტერორის საშუალებით უნდა დაძლეულიყო.

რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ადვილად ჩამოყალიბდა და მასობრივად გავრცელდა ცნება „ხალხის მტერი". ეს იყო მეტად ტევადი შინაარსის მქონე ტერმინი: ის გულისხმობდა პარტიულ ოპოზიციონერს, თანამდებობის ბოროტად გამომყენებელ პარტიულ თუ საბჭოთა ლიდერს, უპასუხისმგებლო სამურნეო მუშაკს, კორუმპირებულ მოხელეს, ეროვნული იდეების მატარებელ ინტელიგენტს.

1934 წლის 1-ლ დეკემბერს ლენინგრადში, სმოლნში, ტერორისტმა მოკლა სერგეი კიროვი — სტალინის უერთგულესი მხარდამჭერი და პირადი მეგობარი. ეს მკვლელობა საბჭოთა ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგების გასანადგურებლად. უკვე 1936 წელს მოსკოვში დაიწყო საჯარო პროცესები ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ.

იდეურად შემზადებული საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია აქტიურად ჩაება ამ საქმეში.

მოსკოვის პროცესების დაწყებისთანავე საქართველოს სამრეწველო საწარმოებსა და შრომით ორგანიზაციებში იმართებოდა მიტინგები, სადაც სასტიკად გმობდნენ ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ლიდერების ანტისაბჭოთა მოქმედებებს.

ლავრენტი ბერიას ინიციატივით საქართველოს კომუნისტური პარტიის ის ლიდერები და აქტივისტები, ვინც სხვადასხვა დროს მონაწილეობას იღებდნენ სტალინის საწინააღმდეგო ფრაქციებში („ნაციონალ-უკლონისტები" და სხვ.), იყვნენ ტროცკისტები, ემხრობოდნენ ბუხარინს, პარტიულ კრებებსა და დისპუტებზე პარტიის გენერალური ხაზის კრიტიკით გამოდიოდნენ — „შავ სიებში" ჩაირიცხნენ.

1937 წლის ივლისში შედგა ბუდუ მდივნის, მალაქია ტოროშელიძის, მიხეილ ოკუჯავას და სხვა „ჯაშუშურ-დივერსიულ-გამცემლური ორგანიზაციის" წევრთა ღია პროცესი.

ამას მოჰყვა 1937 წლის სექტემბერში აჭარის „კონტრრევოლუციურ-საარჯანყო ცენტრის" პროცესი. ბრალდებულებს: ლორთქიფანიძეს, რამიშვილს, მათიკაშვილს და სხვებს აბრალდებდნენ, რომ მათ სურდათ „აჭარის დედა-სამშობლოსგან ჩამოცილება, აჭარაში კაპიტალისტური წყობის აღდგენა". იყო სხვა, გახმაურებული სასამართლო პროცესებიც.

საბრალდებო დასკვნები და სტენოგრაფიული ანგარიშები, რომლებსაც ყველა კომუნისტური გაზეთი ბეჭდავდა, მიზნად ისახავდა საზოგადოებრივ აზრზე ტოტალურ ზემოქმედებას, ისტერიული ფსიქოზის განვითარებას. ამ ფსიქოზს ისიც აძლიერებდა, რომ სწორედ ამ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხდებოდა სერიოზული ავარიები, აფეთქებები, ხანძრები.

პასუხისმგებლობის შიშმა, რომელიც ავადმყოფურად განვითარდა, ადამიანები აიძულა — ავარიები, წარუმატებლობა, ნაკლი — „ხალხის მტრების" ხრიკებთან დაეკავშირებინა, იყო ერთმანეთის დასმენის, მცდარი ინფორმაციის გავრცელების მასობრივი შემთხვევები.

საქართველოში რეპრესირებულნი რამდენიმე კატეგორიად შეიძლება

დაიყოს: „უშუალოდ დამნაშავენი", ე.ი. „ხალხის მტრები", „მათი კუდები", „მათი ახლობლები" და „ზედმეტად გულმოდგინენი". უკანასკნელთა ერთ-ერთ-გორია იყო ის ხალხი, უფრო ხშირად ადგილობრივი პარტიული ორგა-ნიზაციის ხელმძღვანელები, რომლებმაც მთელი 1937 წლის რეპრესიების მექანიზმი მოამზადეს და განახორციელეს. მხოლოდ 1937 წლის ნოემბერ-დეკემბერში მიეწერათ მათ „საბჭოთა კანონიერების უხეში დარღვევები" და კოლექტივში ახლა სხვებმა, სწორედ მათ წინააღმდეგ მიმართეს რეპრესიის მახვილი.

მასობრივი რეპრესიების პერიოდში უკიდურესად დაიძაბა ადამიანური, მათ შორის ნათესაური ურთიერთობები. იყო ფაქტები, როცა მამამ უარყო ტროცკისტი შვილი, ცოლმა რეპრესირებული მეუღლე, ძმამ — ძმა და ა.შ.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რთული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, იყო კაცთმოყვარეობის ფაქტები: რეპრესირებული ოჯახები-სადმი ფარული დახმარება, განადგურებული ოჯახების უპატრონოდ დარ-ჩენილი ბავშვებისადმი ნათესაური მზრუნველობა და ა.შ.

პოლიტიკური პროცესის დროს ბრალდებულს ოფიციალურად არავინ იცავდა. უფრო ხშირად ის თვითონ იცავდა თავს, თუ წინასწარ არ იყო შინსახკომის თანამშრომლების მიერ დაპატიმრებული. მაგრამ არის ცალ-კეული ფაქტები თანამშრომელთა მხრიდან ბრალდებულის მხარდაჭერის, ბრალდების უარყოფის, გვერდში ამოდგომისა. ეს კი იმ პერიოდში ძალიან სახიფათო იყო და იშვიათად ხდებოდა.

სადამსჯელო ორგანოების თანამშრომლები, აღჭურვილნი უმაღლესი ძალაუფლებით, დაპატიმრებულ პარტიულ, საბჭოთა ხელმძღვანელებზე, ინტელიგენციის წარმომადგენლებზე საშინელ ფიზიკურ ზემოქმედებას ახ-დენდნენ და ისე იღებდნენ „აღიარებებს".

საქართველოში რეპრესიები განსაკუთრებით გაძლიერდა 1937 წლის ოქტომბერში, როცა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლე-ნუმმა მოისმინა ლავრენტი ბერიას მოხსენება რესპუბლიკაში მავნებლო-ბის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგების შესახებ. პლენუმზე საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებმა პარტიას უპატაკეს მასობრივი რეპრესიების კონკრეტუ-ლი შედეგები. პლენუმის შემდეგ, სტალინისთვის გაგზავნილ საიდუმლო წერილში ბერია აზუსტებს 1937 წლის ოქტომბრამდე დაპატიმრებულთა რაოდენობას. ამ პერიოდისთვის დაპატიმრებული იყო 12000 კაცზე მეტი. დაპატიმრებულებიდან 5236 უკვე მსჯავრდადებული იყო „სამეულის" მი-ერ. უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ გაასამართლა — 910 კაცი, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებულმა გან-

საკუთრებულმა საბჭომ — 591, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სპეციალურმა კოლეგიამ — 468, სამხედრო ტრიბუნალმა — 99, სახალხო სასამართლოებმა — 70. საქართველოს ციხეებში იმყოფებოდა 5 ათასი ადამიანი, მარტო თბილისში 2000. საქართველოს კომპარტიის რიგებიდან გაირიცხა 2500 კაცი. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 74 წევრიდან 41 „ხალხის მტერი" „აღმოჩნდა".

რეპრესიები ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციულ სისტემასაც შეეხო, რამაც კადრების სერიოზული ნაკლებობა გამოიწვია. 1937 წელს ნომენკლატურულ თანამდებობაზე დააწინაურეს 4000 კაცი, მათ შორის რაიკომების და ქალაქკომების მდივნები, სახალხო კომისრები, კომისრის მოადგილეები, მსხვილი რეპუბლიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აღმასკომების თავმჯდომარეები და ა.შ.

1937 წლის რეპრესიების დროს დაისაჯნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელები: მამია ორახელაშვილი, სერგო მამულია, ლევან ქართველიშვილი, გიორგი ყურულაშვილი, ლევან ღოღობერიძე, ბუდუ მდივანი, მალაქია ტოროშელიძე, მიხეილ ოკუჯავა და სხვები. მათ შორის იყვნენ როგორც სტალინის პოლიტიკური ოპონენტები, ისე წარსულში მისი ერთგული მომხრეებიც.

მასობრივი რეპრესიების დროს მნიშვნელოვნად დაზარალდა საქართველოს ინტელიგენცია. რეპრესირებულთა შორის იყვნენ დიდი ქართველი მწერლები მიხეილ ჯავახიშვილი და ტიციან ტაბიძე, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე პაოლო იაშვილმა; მამია ორახელაშვილთან ახლო ნათესაური ურთიერთობა არ აპატიეს დიდ ქართველ დირიჟორს, ევგენი მიქელაძეს; რეპრესიების ტალღამ გადაუარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, რუსთაველის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს, დახვრიტეს სახელგანთქმული რეჟისორი სანდრო ახმეტელი, ცნობილი მეცნიერი ვახტანგ კოტეტიშვილი და მრავალი სხვა.

პოლიტიკური წმენდა და რეპრესიები შეეხო წითელი არმიის ქართულ ნაწილებს: დააპატიმრეს დივიზიის მეთაურები თუხარელი და ქუთათელაძე, პოლკოვნიკი გედევანიშვილი და სხვები.

რეპრესიები განიცადეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ხელმძღვანელებმა, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: ვ. ლაკობამ, კ. ინალიფამ, დ. ჯერგენიამ, ს. ფილიამ, ი. ჯოჯიევმა, ვ. ხუბაევმა, გრ. სანაკოევმა და ბევრმა სხვამ.

მასობრივმა რეპრესიებმა საბჭოთა კავშირში შემაშფოთებელი მასშტაბი მიიღო. შრომით კოლექტივებსა და შემოქმედებით ორგანიზაციებში უამრავი საქმე იყო განსახილველი. ასეთ ვითარებაში 1938 წლის იანვარს მოს-

ოვში შეიკრიბა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელ-მაც მიიღო დადგენილება „საკ.კპ(ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებზე ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“. ამ დადგენილებამ ძირითადად შეაჩერა რეპრესიების ტალღა, თუმცა რეპრესიების ცალკეული შემთხვევები შემდეგ წლებშიც გვხვდება. საქ. კპ (ბ) თებერვლის პლენუმმა მოიწონა საკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილება და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა შეეწყვიტათ „ზედმეტი გულმოდგინება“ მასობრივი რეპრესიების ორგანიზაციის საქმეში. პლენუმზე აღინიშნა, რომ 1937 წელს საქართველოს კომპარტიის რიგებიდან გაირიცხა 4379 კაცი, მათგან 2642 დააპატიმრეს.

1938 წლის რეაბილიტაციას არ შეეძლო და მიზნად არც ჰქონდა მთლიანად უკანონოდ გამოეცხადებინა 1937 წლის რეპრესიები. კვლავ დადასტურდა, რომ „საბჭოთა სამართლის მსახვრალი ხელი“ ღირსეულად შეეხო „ხალხის მტრებს“, „ფაშიზმის აგენტებს“, „მავნებლებს“, მაგრამ საქმე ისე წარმოადგინეს, რომ სწორედ მათ გამოიწვიეს მასობრივი რეპრესიების პერიოდში რიგი პატიოსანი, უდანაშაულო ადამიანის განადგურება.

რეპრესიების პირობებში ათასობით ქართველი გადაასახლეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ: ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის სპეციალურ ბანაკებში (მაგადანში, კალიმაზე და სხვა ბანაკებში). მასობრივი რეპრესიების ერთ-ერთი ფარული მიზანი ხომ ისიც იყო, რომ ნედლეულით მდიდარ შორეული აღმოსავლეთის მიუვალ ტერიტორიებზე ასიათასობით იაფი მუშახელი შეეყვანათ და იქ საბჭოთა ეკონომიკის ძლიერი დასაყრდენი შეექმნათ.

მასობრივმა რეპრესიებმა მთლიანად გაანადგურა ანტისტალინური ოპოზიციის ყველა ძირითადი მიმართულება, ყველა შესაძლო პოლიტიკური ოპონენტი და განამტკიცა იოსებ სტალინის ერთპიროვნული დიქტატურა.

საქართველოს მეცნიერება და კულტურა 20-30-იან წლებში

მოსალოდნელი ომის საფრთხემ, ნაცისტური მსოფლმხედველობის გავრცელებამ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახადა პატრიოტული სულისკვეთებისა და ამდენად, ეროვნული კულტურის, ეროვნული ფასეულობების აღორძინება. ეს არ ნიშნავდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ყოვლისმომცველი იდეოლოგიური პრინციპების უარყოფას, მაგრამ 20-იანი წლებისთვის დამახასიათებელი ეროვნული ფასეულობის ნიველირებისა და ნიჰილიზმის ტენდენცია, საბჭოთა კულტურულ ფასეულობებში

ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის „სათანადო ზომით“ ჩართვა — სტალინის „ახალი კურსის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდა.

განათლება. გრძელდებოდა 20-იან წლებში დაწყებული დიდი მუშაობა მოსახლეობის კომუნისტური განათლებისთვის. განათლების მრავალსაფეხურიანი პროცესი მთლიანად საბჭოთა სახელმწიფოს ხელში იყო და მის ინტერესებს ემსახურებოდა. საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა მოსახლეობის 36,7%-ს უდრიდა (აზერბაიჯანში ეს იყო 8,4 %, სომხეთში — 25,2%). ქალაქის მაჩვენებელი 72,2%, სოფლის 34.4% იყო.

წერა-კითხვის გავრცელებისთვის ადგილებზე იქმნებოდა სპეციალური სკოლები, ქოხ-სამკითხველოები.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ რესპუბლიკაში სკოლების ქსელი შეიქმნა. თუ 1920 წელს საქართველოში 1293 ქართული, 88 სომხური, 30 თურქული, 48 რუსული, 42 ბერძნული, 10 გერმანული და სხვა ეროვნული სკოლები იყო (თავიანთი სკოლა არ ჰქონდათ აფხაზებს (აფსუებს) და ოსებს), 1925 წლისთვის მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა — 1428 ქართული, 120 სომხური, 79 თურქული, 59 რუსული და სხვა ნაციონალური სკოლა. 1927-1928 სასწავლო წლისთვის შეიქმნა აფხაზური და ოსური დაწყებითი სკოლების ქსელი. 1940 წლისთვის, საქართველოში სამი საფეხურის (ოთხწლედი, შვიდწლედი და ცხრაწლედი) 4511 სკოლა იყო, რომელშიც 767 ათასი ბავშვი სწავლობდა.

სასკოლო ქსელის განვითარებისთვის და ახალი ტიპის საბჭოთა სკოლის პოზიციების განსამტკიცებლად, უდიდესი ყურადღება ექცეოდა პედაგოგთა ახალი კადრების მოშზადების საქმეს. მასწავლებელთა კადრების დაჩქარებული მოშზადების მიზნით 30-იან წლებში სხვადასხვა ქალაქში — ქუთაისში (1930), ცხინვალში (1932), სოხუმში (1932), თბილისში (1935), ბათუმში (1935), გორში (1935), თელავში (1939), ზუგდიდში (1939) გაიხსნა სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში განხორციელდა ბავშვთა სკოლამდელი განათლებაც, რაც მანამ საერთოდ არ ყოფილა. 1927 წელს საქართველოში 93 საბავშვო ბაღი იყო, ხოლო 1940 წელს — 664.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 9 აგვისტოს დადგენილება ითვალისწინებდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებას. საბჭოთა სკოლა გახდა საბჭოთა იდეოლოგიის გავრცელების მთავარი ინსტრუმენტი. მეორე მსოფლიო ომის წინ საქართველომ უკვე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სახალხო განათლების სფეროში: 1939 წელს პირველ ადგილზე

გვიდა საბჭოთა კავშირში ერთ სულ მოსახლეზე განათლების დონის მაჩვენებლით — ყოველ 1000 კაცზე საქართველოში ითვლებოდა 113,4 ადამიანი საშუალო განათლებითა და 11,2 უმაღლესი განათლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო სკოლასთან ერთად ყურადღება მიექცა უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. ქვეყნის დაჩქარებული ინდუსტრიული განვითარება ტექნიკური კადრების მომზადებასაც ითვალისწინებდა. ამ მიზნით, 1928 წელს შეიქმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე). მისი პირველი რექტორი იყო პროფესორი ნიკო მუსხელიშვილი.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანების უკეთ სრულიზაციოდ და აგრონომიული კადრების მოსამზადებლად 1930 წელს თსუ-ის ბაზაზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ამას მოჰყვა რიგი დარგობრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბება: შეიქმნა ზოოვეტერინარული, ჩაის მრეწველობის, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტები და ა.შ. საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ 1930 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი გაიხსნა. ამავე წლებში ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საოპერო სტუდია, სამხატვრო აკადემია.

მეცნიერება

30-იანი წლების შუახანებში, ტოტალიტარული რეჟიმის მიუხედავად, საქართველოში წარმატებით ვითარდებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგი: ჩამოყალიბდა ქართული მათემატიკური სკოლა (ნიკო მუსხელიშვილი, ანდრია რაზმაძე, ვიქტორ კუპრაძე და სხვ.). პროფესორ ნიკო მუსხელიშვილის მიღწევებმა დრეკადობის თეორიაში მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

1932 წელს დაარსდა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, რომელსაც 60 წელზე მეტხანს სათავეში ედგა მისი დამაარსებელი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.

1933 წელს შეიქმნა გეოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1935 წელს — ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

განვითარდა ქიმიური მეცნიერება. პეტრე მელიქიშვილის მიერ დაწყებული საქმე მისმა მოწაფეებმა გააგრძელეს (ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე და სხვ.).

საქართველოში ტექნიკური კულტურების წარმოების ზრდამ მოითხოვა ბოტანიკის მეცნიერების მანამდე არნახული განვითარება. ამ საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს პროფესორებმა: ნიკო კეცხოველმა, ქეთევან ბახტაძემ და სხვ.

ქართული ფიზიოლოგიური სკოლის მამამთავრის, აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის სახელი ცნობილი იყო როგორც საბჭოთა კავშირში, ასე საზღვარგარეთ. მისი ნაშრომები ნერვ-კუნთის,ზურგის ტვინისა და თავის ტვინის, დიდი ტვინის ქერქის, ცხოველთა ფიზიოლოგიის დარგში, გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე. დიდ განვითარებას მიაღწიეს სამედიცინო დისციპლინებმა, მნიშვნელოვანი იყო ქართული მედიცინის კორიფეების (გრიგოლ მუხაძე, ნიკოლოზ კახიანი, კონსტანტინე ერისთავი, ეგნატე ფიფია, ავლიპ ზურაბიშვილი და სხვ) თეორიული და პრაქტიკული მიღწევები ქირურგიის, გულ-სისხლძარღვთა, ფსიქოპათოლოგიის, ფსიქიატრიის და მედიცინის სხვა დარგებში.

კომუნისტური რეჟიმის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყო ჰუმანიტარული, განსაკუთრებით საისტორიო და ფილოსოფიური მეცნიერებანი. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიური დოგმატიკა, მოვლენებისა და ისტორიული ფაქტების შეფასების კლასობრივი მიდგომის წესი, მეცნიერების ამ დარგის მუშაკებს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აყენებდა.

უფრო მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა ქართული საისტორიო მეცნიერება, რომელსაც დაევალა საქართველოს ისტორიის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიური პრინციპების მიხედვით გამართვა. 30-იანი წლების შუახანებში გაძლიერდა პოლიტიკური ზეწოლა დიდ ქართველ მეცნიერზე, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელზე ივანე ჯავახიშვილზე. იგი იძულებული გახადეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაეტოვებინა. მის მიერ შექმნილი ქართველ ისტორიკოსთა სკოლა (ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია და სხვ.) 30-იან წლებში უდიდეს მუშაობას ეწეოდა ახალი საისტორიო წყაროების აღმოჩენისა და პუბლიკაციისთვის, საყურადღებო მონოგრაფიული გამოკვლევების შესაქმნელად. 30-იანი წლების შუახანებში გაიშალა დიდი არქეოლოგიური სამუშაოები თრიალეთში (ბორის კუფტინი), მცხეთაში (ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ალექსანდრე კალანდაძე, ანდრია აფაქიძე, გრიგოლ ლომთათიძე) და საქართველოს სხვა კუთხეებში. არქეოლოგიური კვლევის განვითარებას საქართველოში, განსაკუთრებით ძველი ქვის ხანის ძეგლების მეცნიერულ შესწავლას, დიდი ამაგი დასდო გიორგი ნიორაძემ.

1936 წელს შეიქმნა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიმკი). ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი სიმონ ჯანაშია. ძველი ქართული ლიტერატურისა და ენის მეცნიერული შესწავლისთვის დამუშავდა ქართული და მონათესავე ენების სტრუქტურისა და ლექსიკის, ზოგადი ენათმეცნიერების, დიალექტო-

ლოგიის ძირითადი საკითხები. გამოიცა ძველი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, შეიქმნა გრამატიკის სახელმძღვანელოები, სხვადასხვა დანიშნულების (თარგმნითი, ტერმინოლოგიური, დიალექტოლოგიური და ა.შ.) ლექსიკონები, დადგინდა ქართული ენის ნორმები. უდიდესი აღიარება მოიპოვეს პროფესორების — აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიბოქავას, გიორგი ახვლედიანის, ვარლამ თოფურიას, სიმონ ყაუხჩიშვილის, ვუკოლ ბერიძის და სხვების სამეცნიერო გამოკვლევებმა და ნაყოფიერმა პედაგოგიურმა საქმიანობამ.

პროფესორებმა: კორნელი კეკელიძემ, შალვა ნუცუბიძემ, სერგი დანელიამ და სხვებმა სხვადასხვა პერიოდის ქართული ლიტერატურის, კულტურისა და აზროვნების განვითარების მრავალი კარდინალური საკითხი გააშუქეს.

დიდი ყურადღება დაეთმო ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შესწავლას, სისტემატურად ქვეყნდებოდა ხალხური ლექსები, სიმღერები და არაკები.

ყოველწლიურად იზრდებოდა ქართული სამეცნიერო პოტენციალი. სამეცნიერო კადრების უკეთ ორგანიზაციისათვის 1932 წელს შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილება, რაც 1935 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალად გადაკეთდა. 1941 წლის თებერვალში შეიკრიბა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი კრება, რომელმაც 16 თვალსაჩინო მეცნიერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩია. აკადემიის პირველი პრეზიდენტი იყო მსოფლიოში ცნობილი მათემატიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი, წევრები: სიმონ ჯანაშია, გიორგი ახვლედიანი, ივანე ბერიტაშვილი, გიორგი ხაჭაპურიძე, კირიაკ ზავრიევი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, ფილიპე ზაიცევი, კორნელი კეკელიძე, ნიკო კეცხოველი, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ალექსანდრე ჯანელიძე, ტარასი კვარაცხელია, გიორგი ჩუბინაშვილი.

ქართული ლიტერატურა და მწერლობა

1933 წლის 2 ოქტომბერს საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს საბჭოთა მწერლობის შემდგომი განვითარების შესახებ“. ქართველ მწერლებს გარკვევით მიუთითეს კომუნისტური რეჟიმის ძირითადი დავალება — მათ უნდა შეექმნათ „მაღალხარისხოვანი მხატვრული პროდუქცია, რომელშიც ასახული იქნება გიგანტური ძვრები, ჩვენი ქვეყნის უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის წარმოებული გმირული ბრძოლა“.

მედროვე კრიტიკოსები ქართველ მწერლებს გასაქანს არ აძლევდნენ: შალვა დადიანს უყიჟინებდნენ ფეოდალური ეპოქის იდეალიზაციას, კონსტანტინე გამსახურდიას — ევროპული ბურჟუაზიული კლასიკური იდეალიზმის გალვანიზაციის ცდებს, გრიგოლ რობაქიძეს — მოდერნიზმსა და აღმოსავლური ეგზოტიკის რომანიტიკულ აღრევას, იოსებ გრიშაშვილს — ძველი თბილისის ბოჰემის გადაჭარბებულ იდეალიზაციას და ა.შ. გრიგოლ რობაქიძემ ვერ გაუძლო შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვას, 1934 წელს ემიგრაციაში წავიდა და სამშობლოში აღარ დაბრუნდა.

ეპოქის ლიტერატურული იდეალი იყო ეგნატე ნინოშვილის სპირიდონ მცირიშვილი — რევოლუციურ-რომანტიკული ფიგურა. ყოველმხრივ ახალისებდნენ პროლეტარული რიგებიდან გამოსულ პოეტებსა და მწერლებს — სანდრო ეულს, იონა ვაკელს, გიორგი ქუჩიშვილს და სხვ.

1934 წელს საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობას ქართველ მწერალთა დელეგაციაც ესწრებოდა. ყრილობამ განსაზღვრა საბჭოთა მწერლობის ამოცანები და მათ კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მიზნების რეალიზაცია დაავალა. ფორმით ეროვნული, და შინაარსით ინტერნაციონალისტური კულტურის სტალინური დოგმა ყველა საბჭოთა ხელოვანის ძირითადი ამოსავალი გახდა.

მიუხედავად ზეწოლისა, 20-30-იანი წლების ქართული პოეზია და პროზა უდიდეს აღმავლობას განიცდიდა. ამ პერიოდში განვითარდა და დაიხვეწა ქართული რომანის ფორმა, მისი შინაარსი. შემოქმედებით მუშაობას აგრძელებდნენ დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, საყოველთაო აღიარება მოიპოვეს კინსტანტინე გამსახურდიამ, ნიკო ლორთქიფანიძემ, მიხეილ ჯავახიშვილმა, გრიგოლ რობაქიძემ, დემნა შენგელაიამ, შალვა დადიანმა და მრავალმა სხვამ. ამ წლებში შეიქმნა კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, „მთვარის მოტაცება“, ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“, „რაინდები“, „საქართველო იყიდება“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, „არსენა მარაბდელი“, „ქალის ტვირთი“, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, სერგო კლდიაშვილის „პროვინციის მთვარე“, აკაკი ბელიაშვილის „ახალგაზრდები“ და სხვა მრავალი.

ეპოქის სულისკვეთებას ასახავდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ და მსგავსი ჟანრის სხვა ავტორების ნაწარმოებები, სადაც შექებული იყო სოციალისტური სინამდვილე.

1934 წელს საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, კრემლთან შეთანხმებით, მიიღო დადგენილება შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილეს აღნიშვნის შესახებ. საკმაოდ ხანგრძლივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზადისი დაგვირგვინდა ბრწყინვალე დღესასწაულით, როგორც თბილისში, ისე მოსკოვში. გამოვიდა პოემის საიუბილეო, ძვირფასი გამოცემები ქართულ და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ენებზე, შესრულდა რუსული თარგმანი (მათ შორის ბორის პასტერნაკის, შალვა ნუცუბიძის), საქართველოს კინოსტუდიამ პოემის მოტივებზე შექმნა ფილმი „ქაჯეთი", ქართველმა მხატვრებმა (ლადო გუდიაშვილმა, თამარ აბაკელიამ, ირაკლი თოიძემ, სერგო ქობულაძემ და სხვ.) შექმნეს პოემის ორიგინალური და საინტერესო ილუსტრაციები. მოგვიანებით თბილისის ცენტრში აღიმართა შოთა რუსთაველის დიდებული ძეგლი (მოქანდაკე კონსტანტინე მერაბიშვილი).

30-იან წლებში ილია ჭავჭავაძის მიმართ არსებული ნიჰილისტური დამოკიდებულება შეიცვალა, რაშიც აშკარაა სტალინის როლი. სისტემატურად ქვეყნდებოდა მისი ნაწარმოებები, იქმნებოდა მონოგრაფიები მისი შემოქმედების სხვადასხვა ასპექტის გასაშუქებლად. 1937 წლის მაისში ჩატარდა ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

ქართული თეატრი

30-იანი წლების შუახანებში ჩინებული პირობები შეიქმნა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. 20-იანი წლების მიღწევები თეატრალური ხელოვნების დარგში კიდევ უფრო განმტკიცდა. კოტე მარჯანიშვილის ლეგენდარულმა დადგმებმა: „ცხვრის წყარო", „ურიელ აკოსტა", „ჰამლეტი", საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს. პოპულარული და ხალხის საყვარელი მსახიობები — თამარ ჭავჭავაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ხორავა, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, შალვა ღამბაშიძე, სესილია თაყაიშვილი, გიორგი შავგულიძე და სხვები ქმნიდნენ რომანტიკულ-ჰეროიკულ სახეებს, რაც გარკვეულად, ისტორიული ეპოქის მოთხოვნებს პასუხობდა.

თეატრალური ხელოვნება ახალ სიმაღლეზე აიყვანა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა. სიახლის გრძნობა, ჰეროიზმი, რომანტიკულ-ფილოსოფიური თეატრის ახმეტელისეული კანონები განსაზღვრავდნენ სახელგანთქმული რუსთაველის თეატრის იმჟამინდელ რეპერტუარს: ლავრენევის „რღვევა", შანშიაშვილის „ანზორი", განსაკუთრებით კი რობაქიძის „ლამარა" ჩინებულად ასახავდნენ ეპოქის მოთხოვნებსა და კულტურულ-ესთეტიკურ ღირებულებებს, თუმცა თვითონ სანდრო ახმეტელი მასობრივ რეპრესიებს შეეწირა.

თვალსაჩინო წარმატებებს აღწევდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის

თეატრი. საერთოდ, 30-იანი წლები საქართველოში თეატრალური ხელოვნების აღმავლობის წლებია. სხვადასხვა ქალაქში (ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, ჭიათურა, გორი) შეიქმნა პროფესიული თეატრალური კოლექტივები (1940 წელს საქართველოში 48 თეატრი იყო). ქართული თეატრის მაღალი დონე ცხადყო თბილისის რუსთაველის თეატრის გასტროლებმა მოსკოვში (1936 წ.). მოსკოვის პრესა აღფრთოვანებულ რეცენზიებს აქვეყნებდა, საუბრობდნენ ეროვნული ხელოვნების განვითარებისათვის საუკეთესო პირობებზე სტალინურ ეპოქაში.

ქართული კინოხელოვნება

1923 წელს რეჟისორმა ივანე პერესტიანმა გადაიღო ფილმი „წითელი ეშმაკუნები", რომელიც საბჭოთა კინოს შედევრად მოინათლა. მთელი კომუნისტური ეპოქის პერიოდში, რამდენადაც კინომრეწველობა მთლიანად სახელმწიფოს საკუთრება იყო, მისი პროდუქცია საბჭოთა იდეოლოგიის ინტერესებს ემსახურებოდა. ქართული კინოს განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულეს: კოტე მარჯანიშვილმა, მიხეილ ჭიაურელმა, ნიკოლოზ შენგელიამ, დავით რონდელმა, ლეო ესაკიამ, სიკო დოლიძემ და სხვებმა. უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა კინომ — როგორც კომუნისტური პროპაგანდის საუკეთესო საშუალებამ. საქართველოში 1940 წელს უამრავი კინოთეატრი და 351 კინოდანადგარი იყო.

პარტიული კონტროლისა და იდეოლოგიური წნეხის პირობებში ქართული კინო მაღალმხატვრულ ეროვნულ პროდუქციას ქმნიდა. ამ პერიოდში შეიქმნა ნიკოლოზ შენგელაიას შედევრი — „ელისო", მიხეილ ჭიაურელის „არსენა", სიკო დოლიძის „დარიკო".

ქართული პროფესიული მუსიკა

სამუსიკო განათლება მასობრივი გახდა, ინტენსიურად ვითარდებოდა ქართული მუსიკალური ხელოვნება. არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ რაიონულ ცენტრებში გაიხსნა სამუსიკო სასწავლებლები. შემოქმედებით მოღვაწეობას განაგრძობდნენ ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ია კარგარეთელი, მელიტონ ბალანჩივაძე, შალვა აზმაიფარაშვილი და სხვები. აღიარება და მოიპოვეს სახელგანთქმულმა მომღერლებმა: ვანო სარაჯიშვილმა, ნადეჟდა ხარაძემ, დავით ანდღულაძემ, სანდრო ინაშვილმა, პეტრე ამირანაშვილმა, ნადეჟდა ცომაიამ, მერი ნაკაშიძემ, ნიკო ქუმსიაშვილმა და სხვებმა. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ დირიჟორები ივანე ფალიაშვილი, ახალგაზრდა ევგენი მიქელაძე, ოდისეი დიმიტრიადი და სხვ.

სწორედ 30-იან წლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა ლენინგრადში

მოღვაწე ქართველმა ბალეტმეისტერმა ვახტანგ ჭაბუკიანმა, რომელმაც მსოფლიო საბალეტო ხელოვნებაში სათავე დაუდო მამაკაცის გამორჩეულ როლს, შესრულების რომანტიკულ მიმართულებას.

ვითარდებოდა სიმფონიური მუსიკა. 30-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა ქართულ ინსტრუმენტალურ მუსიკას. 1936 წელს ანდრია ბალანჩივაძემ დაწერა №1 საფორტეპიანო კონცერტი. განვითარდა კამერულ-ინსტრუმენტალური მუსიკა (შალვა თაქთაქიშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, რევაზ გაბიჩვაძე და სხვ.)

სახვითი ხელოვნება

XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების საფუძველს აყალიბებენ იაკობ ნიკოლაძე, მოსე თოიძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, გიგო გაბაშვილი, დავით კაკაბაძე, ირაკლი თოიძე, უჩა ჯაფარიძე, ქეთევან მაღალაშვილი, თამარ აბაკელია და სხვები. თუმცა, კომუნიზმის იდეოლოგიური მოთხოვნები ვერ აიცილეს და ეპოქის შესატყვისად ერთგვარი „ხარკი" გაიღეს საკუთარ შემოქმედებაში.

არქიტექტურა

თვალსაჩინო იყო ქართული არქიტექტურის მიღწევები. თუ 20-იან წლებში, ძირითადად, არაქართველი არქიტექტორების ნამუშევრების რეალიზაცია ხდებოდა, 30-იან წლებში ჩამოყალიბდა ქართველი არქიტექტორების ჩინებული სკოლა. რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ზრდამ სტიმული მისცა მაღალმხატვრული ღირებულების მქონე ნაგებობების მშენებლობას.

აშენდა მთავრობის სახლის ახალი კომპლექსის პირველი რიგი (არქიტექტორი ვ. კოკორინი), მარქსიზმს-ლენინიზმის თბილისის ფილიალის მონუმენტური ნაგებობა (არქიტექტორი ა. შჩუსევი), თბილისის „დინამოს" სტადიონი (არქიტექტორი ა. ქურდიანი), წიგნის სასახლე (არქიტექტორები ნ. ბარათაშვილი და გ. მიქაელიანი), თბილისის ფუნიკულიორი (არქიტექტორები ზ. და ნ. ქურდიანები). შეიცვალა ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის არქიტექტურული იერსახე.

30-იან წლებში საკურორტო პოლიტიკის, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების რეალიზაციამ გამაჯანსაღებელი კერების შესაქმნელად დიდი საშენებლო საქმიანობა მოითხოვა. საკავშირო მნიშვნელობის კურორტებზე: ბორჯომში, წყალტუბოში, შავი ზღვის სანაპიროზე — გაგრაში, ახალ ათონში, აჭარაში — ბათუმსა და ციხისძირში, გრანდიოზული მშენებლობები მიმდინარეობდა.

ფიზკულტურა და სპორტი

ვითარდებოდა ფიზკულტურა და სპორტი. მსოფლიო ომისშემდეგ მოსახლეობის ფიზკულტურული მომზადება აუცილებელი გახდა. ამისთვის სპეციალური საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაცია (დოსაააფი) არსებობდა, რომელსაც ყველა პირველად ორგანიზაციაში ფილიალები ჰქონდა.

30-იან წლებში განვითარდა ფიზკულტურის სექციები, განსაკუთრებით ქართულ ეროვნულ ტრადიციებთან დაკავშირებული სახეობები: ჭიდაობა, ცხენოსნობა, ჭადრაკი, ალპინიზმი (ამ საქმეში თვალსაჩინოა პირველი ქართველი ალპინისტის, გ. ნიკოლაძის ღვაწლი) და ა.შ.. გავრცელდა სპორტის ახალი სახეობები. იქმნებოდა სპორტული სკოლები (30-იანი წლების შუა ხანებში 67 ასეთი სკოლა იყო), განსაკუთრებით ბევრი სპორტული სექცია იყო რესპუბლიკის ფაბრიკებსა და ქარხნებში, უმაღლეს სასწავლებლებში. 1941 წელს რესპუბლიკაში ითვლებოდა 21465 ფიზკულტურული კოლექტივი, რომელშიც გაერთიანებული იყო 87 000 კაცი. აღიარებული და ცნობილი სპორტსმენები იყვნენ მოჭიდავე ა. მეკოკიშვილი, მძლეოსანი ნ. დუმბაძე, მოკრივე ლ. ღუდუშაური, ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე და მრავალი სხვ.

ეწყობოდა საკავშირო შეჯიბრებები, ამხანაგური შეხვედრები, ერთობლივი სპორტული ღონისძიებები.

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური გაძლიერების და მორალურ-პოლიტიკური ერთობის მიღწევის კვალდაკვალ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა კომუნისტურ პარტიასთან საბჭოთა ხალხების მჭიდრო ერთიანობის იდეის პროპაგანდამ. ამას ემსახურებოდა მხატვრული ოლიმპიადების მოწყობის გავრცელებული პრაქტიკა. ყველა რაიონსა და ქალაქში არსებობდა კულტურის სახლები და სასახლეები (1940 წელს მათი რაოდენობა იყო — 1414, ბიბლიოთეკების — 1598), უდიდესი სახსრები იხარჯებოდა მხატვრული თვითშემოქმედების წრეების შენახვაზე.

1937 წელს მოსკოვში მოეწყო ქართული ხელოვნების დეკადა. გაზეთმა „იზვესტიამ" ქართულ კულტურას აღფრთოვანებული წერილი მიუძღვნა. მოსკოველმა მაყურებელმა ნახა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა მიღწევები ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ოპერას „აბესალომ და ეთერი", დიდ თეატრში დაესწრნენ იოსებ სტალინი, ვიაჩესლავ მოლოტოვი და სხვა საბჭოთა ლიდერები.

ასე წინააღმდეგობრივად, იდეოლოგიის გავლენით, მაგრამ საინტერესოდ მიმდინარეობდა საქართველოს კულტურული ცხოვრება ომის წინა წლებში და მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის განვითარებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XVI.

საქართველო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ.)

პოლიტიკური ვითარება მსოფლიოში. საქართველოს მონაწილეობა 1939-1940 წლების საბჭოთა კავშირის სამხედრო აქციებში

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან დასავლეთ და აღმოსავლეთ სახელმწიფოთა აგრესიული გეგმების შემუშავება და ხორცშესხმა დაიწყო, თუმცა უფრო ადრე, 1931 წელს, სამხედრო დაპყრობების გზას დაადგა იაპონია, რომელიც შეიჭრა ჩრდილოეთ ჩინეთში. იაპონელებს სურდათ, აზიიდან პირველ ყოვლისა, ჩინეთიდან, განედევნათ ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი კოლონიზატორები და მათი ადგილი დაეკავებინათ. ასე გაჩნდა ომის კერა შორეულ აღმოსავლეთში.

1933 წელს გერმანიის ხელისუფლების სათავეში ნაციონალ-სოციალისტების პარტიის (ფაშისტები) მოსვლამ, გერმანია, პირველ მსოფლიო ომში დამარცხებისთვის რევანშისა და ახალი ომის გაჩაღების გზაზე დააყენა. იმის მტკიცებით, რომ გერმანიას არ ჰქონდა საკმარისი „სასიცოცხლო სივრცე", ჰიტლერი ევროპის დაპყრობისა და მსოფლიო ბატონობის გეგმებს ადგენდა. მთავარი ადგილი ევროპის დაპყრობის ჰიტლერულ გეგმებში საბჭოთა კავშირს ეკავა. „როდესაც ამჟამად ჩვენ ვლაპარაკობთ ევროპის ახალ მიწებზე — აცხადებდა ჰიტლერი — ჩვენ პირველ რიგში მხედველობაში გვყავს რუსეთი და მის დაქვემდებარებაში მყოფი განაპირა სახელმწიფოები". გერმანიის საგარეო პოლიტიკა მთლიანად შეესაბამებოდა გერმანული მონოპოლიების მისწრაფებას ახალი, აგრესიული ომის გასაჩაღებლად. ასე შეიქმნა ომის მეორე კერის საფუძველი ევროპის ცენტრში. 1936 წელს გერმანიამ და იტალიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, შეიქმნა ღერძი „ბერლინი-რომი". იმავე წლის ნოემბერში გერმანიამ და იაპონიამ გააფორმეს „ანტიკომინტერნული პაქტი" — შეთანხმება ორი ქვეყნის თანამშრომლობისა კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ. 1937 წელს ამ პაქტს იტალიაც შეუერთდა. თანდათან შეიქმნა ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლისისა და საფრანგეთის მეორე დაჯგუფება. აშშ ამ დროს ნეიტრალიტეტს იცავდა.

აგრესიული გეგმების განხორციელება დაიწყო იტალიამ, რომელიც 1935 წელს თავს დაესხა ეთიოპიას. 1936 წელს კი გერმანიამ და იტალიამ მოახდინეს ინტერვენცია ესპანეთში. იაპონია ორჯერ შეეცადა მოესინჯა საბჭოთა კავშირის საზღვრების სიმტკიცე. 1938 წლის 29 ივლისს დაიწყო იაპონიის საომარი მოქმედება საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის ზღვისპირეთში, ხასანის ტბასთან, იაპონელთა ამ სამხედრო აქციის პასუხად საბჭოთა ჯარის ნაწილებმა იაპონელები განდევნეს მათ მიერ დაპყრობილი სიმაღლეებიდან. 11 აგვისტოს საომარი მოქმედება შეწყდა. ამ ბრძოლის მონაწილე საჯარისო ნაწილებში საქართველოდან წარგზავნილებიც იყვნენ.

არ გასულა ერთი წელი და იაპონიის ჯარმა კვლავ სცადა, ამჯერად, მონღოლეთ-ჩინეთის საზღვრის გადალახვა და 1939 წლის 11 მაისს მდინარე ხალხინ-გოლთან მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე 15 კილომეტრის სიღრმეში შევიდა. იაპონელთა შეტევა ემუქრებოდა ძირითად კომუნიკაციას, დიდი ციმბირის სარკინიგზო მაგისტრალს, რომელიც ცენტრს, ურალსა და ციმბირს წყნარი ოკეანის სანაპიროსთან აერთებდა. საბჭოთა კავშირმა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულების თანახმად მის დასახმარებლად მდინარე ხალხინ-გოლთან დიდი საჯარისო შენაერთები გადაისროლა, რომლებმაც უკან დაახვევინეს იაპონელებს. ივლისის დასაწყისში იაპონელებმა კვლავ სცადეს შეტევა, მაგრამ დამარცხდნენ. 15 სექტემბერს საომარი მოქმედება შეწყდა და საბჭოთა კავშირს, მონღოლეთსა და იაპონიას შორის ხელი მოეწერა ზავს სამხედრო კონფლიქტის ლიკვიდაციის თაობაზე. იაპონიის ამ მარცხს სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იაპონიამ ვეღარ გაბედა საბჭოთა კავშირზე თავდასხმა 1941 წლის 22 ივნისს, გერმანიის თავდასხმის თანადროულად.

ამ ბრძოლების მონაწილეთა შორის, პირველს საქართველოში, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ვ. კოპცოვს მიენიჭა.

1939 წლის გაზაფხულ-ზაფხულში, როდესაც საბჭოთა კავშირი ომის უშუალო საფრთხის წინაშე იდგა, საბჭოთა კავშირის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო გერმანიასთან ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტის დადების თაობაზე. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს ხელი მოეწერა 1939 წლის 23 აგვისტოს. პაქტი ერთი მხრივ, უკარგავდა შესაძლებლობას იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შეექმნათ ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტი, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირს აძლევდა დროის მოგების შესაძლებ-

ლობას, რაც ასე აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად. მაგრამ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს ახლდა საიდუმლო მუხლები, რომლებიც შეიცავდნენ შეთანხმებას ჰიტლერსა და სტალინს შორის აღმოსავლეთ ევროპის და საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ტერიტორიების „გავლენის სფეროებად" განაწილების საკითხზე, რამაც ხელ-ფეხი გაუხსნა გერმანიის აგრესიას აღმოსავლეთისკენ, უბიძგა მეორე მსოფლიო ომის დაწყებას, ხოლო საბჭოთა კავშირმა საზღვრები დასავლეთით 200-250 კმ-ით გადასწია და თავის საზღვრებში მოაქცია დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის, ბესარაბიის, ჩრდილოეთ ბუკოვინის, ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის ტერიტორიები (ამ აქციის გამო ერთა ლიგამ საბჭოთა კავშირი გარიცხა თავისი შემადგენლობიდან). იოსებ სტალინი რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის მნიშვნელობას, გერმანიის წინაშე ვალდებულების ნაცვლად, მკაცრ ნეიტრალიტეტში ხედავდა.

საბჭოთა კავშირი იბრძოდა ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შესაქმნელად, მაგრამ ინგლისმა და საფრანგეთმა ამ ღონისძიებას მხარი არ დაუჭირეს.

1939 წლის 1-ლ სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. 3 სექტემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. ამრიგად, გაჩაღდა მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც, ფაქტობრივად, სახელმწიფოთა ორივე დაჯგუფება ჩაება. ეს ომი უპრეცედენტო იყო კაცობრიობის მიერ გადახდილი ომების ისტორიაში. ომმა მოიცვა ევროპის, აზიის, აფრიკის და ამერიკის კონტინენტებისა და ოკეანიის 1700-მილიონიანი მოსახლეობა. საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სტრატეგიული მდგომარეობა 1939 წელთან შედარებით, ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე ვითარება მაინც გამწვავებული იყო.

ფინეთი-კარელიის ყელის საზღვარზე, ლენინგრადიდან 32 კილომეტრის დაშორებით, ინგლისის, საფრანგეთის, შვედეთის და აშშ-ის სახსრების დახმარებით შეიქმნა ე.წ. მანერჰაიმის ხაზი, რომელიც სამმაგი სიმაგრეებით იყო გამაგრებული ხმელეთის 90 კმ სიღრმეში. 1939 წლის 30 ნოემბერს საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და მთავარი დარტყმა კარელიის ყელზე მიმართეს. 1940 წლის 11 თებერვალს ამ ფრონტის ჯარებმა შეუტიეს „მანერჰაიმის ხაზს" და გაჭირვებით, დიდი დანაკლისის ფასად გაარღვიეს იგი. ფინეთმა ზავი ითხოვა. 1940 წლის 12 მარტს დადებული ხელშეკრულებით, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარმა კარელიის ყელზე, ლადოგის ტბის ჩრდილო-დასავლეთით გადაიწია, 150 კილომეტ-

რით ლენინგრადიდან. საბჭოთა კავშირს გადაეცა ნაწილი კუნძულების ტერიტორიისა და ნახევარკუნძული ხანკო 30 წლის იჯარით.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობდნენ საქართველოდან წარგზავნილი რიგითი ჯარისკაცები და ოფიცრები. ამ ომში 7 მათგანს — საავიაციო ბრიგადის მეთაურს პოლკოვნიკ ვლ. ნანეიშვილს, პირველს ქართველ მფრინავთაგან, არტილერისტ ალ. სულაბერიძეს, მზვერავ ი. ხმალაძეს, კ. ოსტაევს, ს. სლიუსარევს, კ. სიმონიანს და ი. ხაპროვს 1940 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

1940 წლის მაისში გერმანელები შეიჭრნენ ბელგიაში, ჰოლანდიასა და ლუქსემბურგში, დაამუშავეს საფრანგეთის დაპყრობის გეგმა. საფრანგეთის პეტენის მთავრობამ ვერმახტის გაძლიერებული არმიის წინააღმდეგობას „ჩაყოლა“ ამჯობინა და 1940 წლის 22 ივნისს კომპიენში ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს.

ფინეთთან კონფლიქტის შემდეგ, საბჭოთა კავშირი აცნობიერებდა წითელი არმიის სისუსტეს, რომელზეც დიდი გავლენა მოახდინა 1937-1938 წლების რეპრესიებმა შეიარაღებულ ძალებში. რეპრესიები შეეხო საბჭოთა არმიის ხუთი მარშლიდან, სამს — მიხეილ ტუხაჩევსკის, ვასილი ბლიუხერს და ალექსანდრე ეგოროვს, სამხედრო ოლქების ჯარების სარდლების, საარმიო კორპუსების, დივიზიების, ბრიგადების, პოლკების მეთაურთა თითქმის ნახევარს, ოკრუგების სამხედრო საბჭოს წევრებს და პოლიტსამმართველოს უფროსების ნაწილს: სულ რეპრესიები შეეხო ოფიცერთა კადრების ერთ მეხუთედ ნაწილს. არმიის გადაიარაღებისა და ახალ ორგანიზაციაზე გადასვლის პერიოდში საბჭოთა შეიარაღებული ძალები ომში გამოწრთობილ მეთაურთა და პოლიტმუშაკთა გარეშე დარჩნენ.

სტალინი დიპლომატიურ შემრიგებლურ სვლებს მიმართავდა გერმანიის მიმართ, რათა თუ ომს თავიდან ვერ აიცილებდა, ცოტა ხნით მაინც გადაევადებინა იგი. იმავდროულად მიმდინარეობდა წითელი არმიის აღდგენის პროცესი.

გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე და საქართველო

1939 წლის ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტის მიუხედავად, ფაშისტური გერმანიის ჯარები 1941 წლის 22 ივნისს, დილის 4 საათზე ომის გამოუცხადებლად თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს.

ომის დაწყებისთანავე – 1941 წლის 30 ივნისს ქვეყნის მთელი პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობისთვის შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი იოსებ სტალინის თავმჯდომარეობით.

გერმანიამ, რომელსაც დიდი უპირატესობა ჰქონდა (განსაკუთრებით

ბრძოლის ტექნიკურ საშუალებათა მხრივ, მისი შეიარაღებული ძალების საჭიროებას ხმარდებოდა ოკუპირებული ევროპის სახელმწიფოების მთელი ეკონომიკური პოტენციალი), და რომელმაც, მოულოდნელობის ფაქტორი გამოიყენა, აგრეთვე ისარგებლა საბჭოთა კავშირის დასავლეთით მდებარე სამხედრო ოლქების არასაკმარისი მზადყოფნით და ომის პირველ საათებში უდიდესი ზარალი მიაყენა საზღვრისპირა რაიონებს.

გერმანია შეუდგა 1940 წელს შედგენილი ელვისებური ომის, „ბარბაროსას გეგმის" პრაქტიკულ განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირთან ომის ძლევამოსილად დამთავრებას 1941 წლის ზამთრის დადგომამდე.

ომის მდგომარეობაში აღმოჩნდა ყველა რესპუბლიკა, მათ შორის საქართველო. გერმანიის მიერ თავს მოხვეული ომი საბჭოთა კავშირის ხალხებმა აღიქვეს, როგორც „სამამულო ომი", რადგან ყოველი მათგანი განადგურების საფრთხის წინაშე იდგა. ომში მონაწილეობა აღიქმებოდა, როგორც ყოველი რესპუბლიკის ბრძოლა თავისი სამშობლოსთვის და ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს გადარჩენისთვის ფაშიზმისგან, რადგან ვერმახტის დაპყრობითი გეგმები ერთნაირად მოიცავდა საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკას და მათ ფაშისტურ უღელს უქადდა.

საბჭოთა კავშირის ჩაბმამ მეორე მსოფლიო ომში, ამ ომის ანტიფაშისტური ხასიათი განსაზღვრა. საბჭოთა კავშირი გახდა გადამწყვეტი ძალა დემოკრატიული ძალებისთვის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფაქტობრივად, საბჭოთა ქვეყანამ იკისრა მსოფლიოს ხალხების, საკაცობრიო ცივილიზაციის ფაშიზმისგან გადარჩენის მსოფლიო ისტორიული მისია.

ომის გამოცხადებიდან, მეორე დღესვე საქართველოში მობილიზაცია დაიწყო.

საქართველოდან ჯარის ნაწილებში 1941 წლის 27 ივნისისთვის გაიგზავნა 6183 უფროსი და საშუალო მეთაური, 7086 უმცროსი მეთაური, 68385 რიგითი ჯარისკაცი. შეიარაღებულ ძალებს გადაეცა 4319 ავტომანქანა, 334 ტრაქტორი, 18226 ცხენი და სხვ. თადარიგიდან გაიწვიეს 1206 ქალი, უმეტესად ექიმები, ფერშლები და მედიცინის დები.

არმიაში გაწვეულებთან ერთად, მრავალი არაწვევამდელი ითხოვდა ფრონტზე მოხალისედ გაგზავნას. ომის პირველ ათ დღეში საქართველოს მხოლოდ ოცდაათ სამხედრო კომისარიატში (რაც საერთო რაოდენობის ერთ მესამედს შეადგენდა) 6422 მოხალისის განცხადება შევიდა. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სამამულო ომის დაწყების დროისთვის, საქართველოდან წითელ არმიაში სამხედრო სამსახურს 126039 მეთაური და რიგითი ჯარისკაცი გადიოდა, რომელთა დიდი ნაწილი დასავლეთის საზღვრებისპირა სამხედრო ოლქებში იმყოფებოდა და ამიტომ, მათ საბჭოთა კავშირის სხვა

ხალხების წარმომადგენლებთან ერთად, ერთ-ერთს პირველებს მოუხდათ ფაშისტ დამპყრობთა პირველი დარტყმების მოგერიება. ამასთან, ომის პირველსავე დღეებში საქართველოდან წითელ არმიაში და სამხედრო-საზღვაო ფლოტში, კერძოდ — დასავლეთის, ბრიანსკის, სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთისა და ყირიმის ფრონტებზე, გაიგზავნა 74925 კაცი, მათ შორის 3027 ოფიცერი. მარტო სამხედრო საჰაერო ძალებმა საქართველოდან მიიღეს 17 ათასამდე თადარიგში მყოფი მებრძოლი; საჰაერო-თავდაცვის ნაწილებმა 7400 კაცი, სამხედრო სასწავლებლებში, სხვადასხვა სამეთაურო კურსებზე და სამხედრო აკადემიებში რესპუბლიკიდან მიავლინეს 19719 კაცი. სულ, 1941 წლის 23 ივნისიდან 1942 წლის 15 აპრილამდე, სხვადასხვა ფრონტებსა და სამხედრო ოლქებში საქართველოდან გაიგზავნა 354332 კაცი, ასობით კომკავშირელი სამობილიზაციო ღონისძიებათა გეგმის გარეშე, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები სამხედრო სასწავლებლებსა და საჰაერო-სადესანტო ნაწილებში. პარაშუტისტებთან და დივერსანტებთან საბრძოლველად, აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად, არაწვევამდელთაგან შეიქმნა ე.წ. „გამანადგურებელი ბატალიონები", თითოეული 200-250 კაცის შემადგენლობით.

საქართველოს ტერიტორიაზე ომის პირველი დღეებიდანვე დაიწყო საევაკუაციო ჰოსპიტლების მოწყობა სასკოლო შენობების, სასტუმროების, რიგი საზოგადოებრივი შენობების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების ბაზაზე. 1941 წლის ნოემბრისათვის საქართველოში იყო 62 საევაკუაციო ჰოსპიტალი 24760 საწოლით, მათგან თბილისში — 29, ქუთაისში — 5, წყალტუბოში — 2, ბორჯომში — 3, თელავში — 2, ასევე ბათუმში, ქობულეთში, აბასთუმანში, ცემში, ლიკანში და სხვა.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის განკარგულების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე მსროლელი და სამთო-მსროლელი დივიზია, ორი სათადარიგო შენაერთი შევსების მოსამზადებლად და ფრონტზე გასაგზავნად, 12 ალპინისტური რაზმი, 6 მშენებელ მუშაკთა კოლონა და მთელი რიგი სხვა სამხედრო ნაწილები ჩამოყალიბდა. 1942 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოში საჰაერო თავდაცვის სამსახურისთვის მობილიზებულ იქნა 19-დან 30 წლამდე ასაკის 4500 ქალი, ზურგის ნაწილებში მებრძოლი მამაკაცების შესაცვლელად — 602 ქალი, ხოლო 2700 ქალი გაიგზავნა საავტომობილო კურსებზე.

რესპუბლიკის მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობდა თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობაში, რომელიც 1941 წლის სექტემბერში დაიწყო. სხვადასხვა რაიონსა და ქალაქში შენდებოდა სიმაგრეები, სანგრები, გზები და ა.შ. 1941 წლის ოქტომბერ-დეკემბერში თავდაცვით ნაგებობათა მშე-

ნებლობებზე ყოველდღიურად მუშაობდა 43 ათასი კაცი და 4300 საზიდარი, მათ შორის, გაგრის რაიონში საველე ნაგებობათა აგებაზე რამდენიმე თვის განმავლობაში დღედაღამ მუშაობდა 3900 კაცი და 120-მდე ურემი. ფოთის ნავსადგურის ყურის გაწმენდა-გაღრმავებაზე ყოველდღე მუშაობდა 4200 კაცი და 200 საზიდარი, ჯავა-ონის გზის მშენებლობაზე 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში ყოველდღიურად დასაქმებული იყო 700 კაცი; საქართველოს სამხედრო გზის შეკეთებაზე 1941-1942 წლების ზამთრის პერიოდში მარტო დუშეთის და ყაზბეგის რაიონებიდან ყოველდღე მუშაობდა საშუალოდ 500 კაცი. გამაგრებულ იქნა დარიალის და ჯვრის უღელტეხილის მისადგომები. აიგო ასზე მეტი საცეცხლე წერტი, ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვეველების დასადგმელად გამოიყენეს 1500-ზე მეტი ქვის შენობა, შეიქმნა 300-ზე მეტი ტანკსაწინააღმდეგო ზღუდე, დაახლოებით 25 გრძივი კილომეტრის თხრილი და მრავალი სხვადასხვაგვარი ნაღმღობურა.

თავდაცვითი ზღუდე აიგო რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთით, საზღვარზე. იგი გათვალისწინებული იყო ადლერის მხრიდან რიონის ხეობაში უმოკლესი გასასვლელი გზებისა და საკვანძო ცენტრების — ქუთაისის და სამტრედიის, აგრეთვე შავი ზღვის ნავსადგურების დასაცავად. თავდაცვითი ზღუდის სიგრძე შეადგენდა 90-100 კილომეტრს, სიგანით კი 30 კილომეტრს, შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასაძლიერებლად დამატებით მოეწყო თავდაცვითი პოზიციები ფოთი-ქობულეთის ზღუდეზე. ამ პოზიციების სიგრძე დაახლოებით 110 კილომეტრი იყო, სიგანე, 35 კილომეტრამდე. აგრეთვე აიგო ენგურისა და ოჩამჩირის პოზიციები. კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებზე (ჯვრისა და მამისონის უღელტეხილების გარდა) აიგო 150 კილომეტრი სიგრძის და 20 კილომეტრამდე სიღრმის 11 უბანი, ხოლო მამისონის უღელტეხილის დასაცავად თავდაცვითი ზოლი, საერთო საჯარისო შენაერთებისთვის.

საზღვრისპირა ბრძოლებში და მომდევნო თავდაცვით ოპერაციებში ბალტიისპირეთში, ბელორუსიის, უკრაინისა და მოლდავეთის ტერიტორიებზე, ბრესტის ციხესიმაგრის, სმოლენსკის და კიევისათვის გააფთრებულ ბრძოლებში ქვეყნის მრავალი სხვადასხვა ეროვნების მეომართა მხარდამხარ გმირულად იბრძოდა ათასობით ქართველი მებრძოლი, საჯარისო შენაერთებისა და ნაწილების მეთაურები, მათ შორის გენერალ-მაიორი ბ. აბრამიძე, ოფიცრები: ვ. აფაქიძე, შ. გოგოლიშვილი, გ. კუხალეიშვილი, დივიზიის კომისარი ნ. კალაძე, შენაერთის პოლიტგანყოფილების უფროსი ვ. ციკოლია, ცხენოსანთა პოლკების მეთაურები ა. ინაური და ვ. გაგუა, საარტილერიო ნაწილების მეთაურები ა. გიორგობიანი, მ. ელიოსიძე, ქვეგანყოფილების მეთაურები ი. ადვაძე, ბ. ასათიანი, ა. ბობოხიძე, გ. გაბუნია, ჯარისკაცები და

სერჟანტები: პ. აფხაზავა, ნ. ბუაძე, გ. ბიჩინაშვილი და სხვა. უკრაინის თავდაცვისათვის ბრძოლებში გმირულად დაიღუპა მამაცი აფხაზი ოფიცერი ვ. ხარაზია, რომელსაც მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

დასავლეთ საზღვრებთან საჰაერო ბრძოლებში მონაწილეობდნენ ქართველი მფრინავები — საავიაციო ნაწილებისა და ქვეგანაყოფების მეთაურები ჭ. ბენდელიანი, გ. ჯაბადარი, ლ. თავაძე, ა. წურწუმია და სხვა. რომლებიც უზრუნველყოფდნენ სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების მოქმედებას და იცავდნენ სამხედრო ობიექტებს.

„ბარბაროსას გეგმის" თანახმად გერმანიის ჯარების მოქმედების მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად მიჩნეული იყო ლენინგრადის, მოსკოვის, ცენტრალური სამრეწველო რაიონებისა და დომბასის აუზის დაუფლება. ლენინგრადის აღების შემთხვევაში გერმანია მიზნად ისახავდა ბალტიისპირეთში მყოფი საბჭოთა ჯარების და ბალტიის ფლოტის განადგურებას. შეტევა ლენინგრადზე გერმანელებმა 1941 წლის 10 ივლისიდან დაიწყეს. თავდაცვითი ბრძოლები გრძელდებოდა სექტემბერში, ლენინგრადი ბლოკირებული იყო, მხოლოდ ე.წ. „სიცოცხლის გზით" — ლადოგის ტბით შეჰქონდათ ქალაქში საბრძოლო მასალები, მედიკამენტები და ერთობ შეზღუდული რაოდენობით სურსათ-სანოვაგე. „სიცოცხლის გზა" 1943 წლის 12-30 იანვარს გადაკეტეს. საბოლოოდ კი, ბლოკადა, რომელიც 900 დღე გრძელდებოდა, 1944 წლის 27 იანვარს მოიხსნა.

საქართველოდან წარგზავნილმა ასობით ჯარისკაცმა და ოფიცერმა ისახელა თავი ლენინგრადისთვის ბრძოლაში. მათ შორის იყვნენ საჰაერო არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი დ. შანშაშვილი, არტილერიის გენერალ-მაიორი გ. ჯინჭარაძე, ავიაციის გენერალ-მაიორი ლ. გოლიაძე, არმიის სამხედრო საბჭოს წევრი, გენერალ-მაიორი ვ. მჟავანაძე, ვიცე-ადმირალი გ. აბაშვილი, კონტრადმირალები გ. ლეჟავა და ს. რამიშვილი, ჯარისკაცები, მეზღვაურები, სერჟანტები და ზემდეგები. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 141-ე მსროლელი პოლკის სნაიპერმა ი. ქავთარაძემ, რომელმაც საკუთარი სხეულით დაფარა ხანგრძლივი საცეცხლე წერტის ამბრაზურა და მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევი ჩააჩუმა, რომელიც ხელს უშლიდა საბჭოთა შემტევ ძალებს იერიშის განვითარებაში.

ლენინგრადის ფრონტზე იბრძოდნენ მამა-შვილი ა. და თ. წილოსანები, თბილისელი მექანიკოსი და მისი ვაჟი, სტუდენტი მ. წილოსანი, ასევე მსროლელი ბატალიონის კომისარი მ. ნამგალაძე და მისი ვაჟი თვითმფრინავის მეთაური ნ. ნამგალაძე. ლენინგრადის ბლოკადის შემდეგ მამა ბრძოლაში დაიღუპა. ამ ფრონტზე მამაცურად იბრძოდნენ ქართველი მფრინავები: შ. ბედუკაძე, ა. გურგენიძე, დ. ჯაბიძე, გ. დორეული, მ. მაჩაბელი, ზ. ხიტა-

ლიშვილი, ნ. შიოშვილი და სხვა. თავიანთი ბომბდამშენის დაცვის დროს ჯაბიძემ და მისმა მებრძოლებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 3 თვითმფრინავი „მესერშმიდტი-109“, მაგრამ მეთაურის თვითმფრინავი მოწინააღმდეგემ ააფეთქა. მძიმედ დაჭრილმა ჯაბიძემ დამსხვრეული თვითმფრინავიდან მიწაზე დაშვება შეძლო. ამ მამაცობისთვის ის საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით დაჯილდოვდა. ლენინგრადისთვის ბრძოლაში მრავალი ქართველი მეომარი დაეცა, მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირები: მსროლელი ნაწილის მეთაური, მაიორი ს. კეთილაძე, ნაღმმტყორცნელთა პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი ვ. ლესელიძე და რიგითი მებრძოლები ი. აბუაშვილი, ი. ბურდული, კ. დალაქიშვილი, ი. კორინთელი, კ. შაბურიშვილი და სხვა.

მეორე მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანეს სამხედრო ოპერაციებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოსკოვის მისადგომებთან გამართულ თავდაცვით და კონტრშეტევის ოპერაციას, რომელიც 1941 წლის ოქტომბრიდან 1942 წლის 7 იანვრამდე გრძელდებოდა.

გერმანელ ფაშისტთა არმიის შეტევა მოსკოვზე, ოპერაცია „ტაიფუნის“ კოდური სახელწოდებით ხორციელდებოდა.

1941 წლის ივლისის საჰაერო რეიდებში 220-მდე გერმანული თვითმფრინავი დაიღუპა. ამ ბრძოლებში თავი ისახელა 983-ე საზენიტო-საარტილერიო პოლკმა, რომელსაც პოლკოვნიკი (შემდგომ გენერალ-მაიორი) მ. კიკნაძე მეთაურობდა.

მოსკოვს გერმანელები სხვადასხვა მხრიდან უტევდნენ. გენერალ გუდერიანის სატანკო ნაწილებს, რომლებიც ტულის ხელში ჩასაგდებად ისწრაფოდნენ, რამდენჯერმე წინ აღუდგნენ 50-ე არმიის არტილერისტები გენერალ კონსტანტინე ლესელიძის მეთაურობით, რომელსაც მთავრობამ ტულის ტანკსაწინააღმდეგო დაცვის პასუხისმგებლობა დააკისრა. გენერალმა დიდი როლი შეასრულა 50-ე არმიის 290-ე მსროლელი დივიზიის ალყიდან გამოყვანასა და ტულასთან მოსკოვისკენ მიმავალი გზის ჩაკეტვაში.

მოსკოვის მისადგომებთან იბრძოდნენ და საერთო საჯარისო ნაწილებს და ქვედანაყოფებს მეთაურობდნენ: მ. ყაზიშვილი, გ. კანაჩაძე, ე. კობერიძე, გ. მიქელაძე, ი. მითაიშვილი, პ. ჩხობაძე, რ. ალფაიძე, ბ. შიოშვილი, ნ. დალაქიშვილი. 75-ე საზღვაო ბრიგადა, რომელიც დაკომპლექტებული იყო შავი და კასპიის ზღვების სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეზღვაურებით, I რანგის კაპიტნის კ. სუხიაშვილის მეთაურობით, პოლკოვნიკ გ. ჩიტაიშვილის მფრინავები. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მოსკოვის, როგორც თავდაცვით, ასევე კონტრშეტევით ოპერაციებში პოლკოვნიკ (შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკ) პორფილე ჩანჩიბაძის 107-ე მოტომსროლელმა დივიზიამ, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა მოიერიშე მტერს, შემოვლითი მანევრით

გავიდა მტრის მსხვილი დაჯგუფების ფლანგზე და დიდი გაჭირვებით შეძლო ალყიდან 3500 მებრძოლის გამოყვანა და საბრძოლო ტექნიკის გამოტანა. საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისთვის დივიზია მე-2 მოტორიზებულ გვარდიულ დივიზიად გარდაიქმნა. მფრინავების ჯგუფმა ხიტალიშვილის მეთაურობით მოსპო მოწინააღმდეგის ტანკებისა და ავტომანქანების კოლონა. მოგვიანებით ზ. ხიტალიშვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. სმოლენსკის ოპერაციის დროს, ბრძოლებში მოსკოვთან თავი ისახელა 133-ე მსროლელმა დივიზიამ პოლკოვნიკ მ. ყაზიშვილის მეთაურობით, რომელსაც შემდგომ გერმანელი ოკუპანტებისაგან სმოლენსკის გათავისუფლების საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის, „სმოლენსკის" საპატიო სახელი მიენიჭა.

მოსკოვის საჰაერო დაცვაში მონაწილეობდნენ საავიაციო დივიზია პოლკოვნიკ ე. ტატანაშვილის, საზენიტო შენაერთი პოლკოვნიკ ა. ნაკაშიძის, საზენიტო-საავიაციო დივიზიონი ი. ჯორჯაძის მეთაურობით. მამაცური ბრძოლისათვის მოსკოვის მისადგომებთან საავიაციო ქვეგანაყოფების მეთაურებს ბ. ზუმბულიძეს, გ. ინასარიძეს, გ. კილასონიას, შ. ქირიას და კ. მებალიშვილს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მოსკოვთან ბრძოლებში მონაწილეობდა თბილისში შექმნილი ჯავშანმატარებელი კაპიტან ალ. ჯახუას მეთაურობით. საბრძოლო შემართებით გამოიჩინეს თავი ქართველმა მეომარმა ქალებმაც, მათ შორის თ. კოსტანაშვილმა, რომელიც მე-3 კომუნისტური დივიზიის რიგებში იბრძოდა.

მოსკოვის მიწაზე დაიღუპნენ პოლკების მეთაურები: პოლკოვნიკები შ. ყიფიანი და გ. ელიოსიძე, მაიორი ს. შერაზადაშვილი, ძმები ს. და ფ. კაკულიები, რომლებიც იბრძოდნენ სახელგანთქმულ 316-ე მსროლელ ი. პანფილოვის დივიზიაში და ბევრი სხვა.

1941 წლის დეკემბერში ძლიერი კონტრშეტევის შედეგად საბჭოთა ჯარებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს გერმანელთა ჯარებზე, რაც ნიშნავდა შემობრუნებას საომარ მდგომარეობაში საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. მოსკოვთან ჰიტლერელთა პირველმა მარცხმა ჩაშალა ელვისებური ომის გეგმა და უდიდესი გავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომის მთელ მსვლელობაზე.

სახალხო მეურნეობის გარდაქმნა საომარ ყაიდაზე. საქართველოში ევაკუირებული წარმოება-დაწესებულებანი და მოსახლეობა

საომარმა ვითარებამ მრეწველობის სტრუქტურის ძირეული შეცვლა მოითხოვა — კადრების მომზადება-გადამზადება, ადგილობრივი ნედლე-

ულის და მასალების გამოძებნა და სხვა რთული საკითხების გადაწყვეტა. ომის პირველსავე წელს საქართველოში გაიზარდა სასარგებლო წიაღეულის ბაზრობა სეულის მოპოვება და საჭირო ნედლეულის მიწოდება სამხედრო მრეწველობისათვის. მათ შორის უკვე 1941 წლის ბოლოსთვის რაჭის და ცანის სამთო-მეტალურგიულმა კომბინატებმა ორმაგად გაზარდეს თუთრი დარიშხანის მიწოდება თავდაცვითი მრეწველობისთვის. გაიზარდა მოლიბდენის, ვოლფრამის, სურმის მოპოვება. მოლიბდენი თავდაცვითი მრეწველობისთვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ნედლეულს წარმოადგენდა, რომელიც მოიპოვებოდა სოფელ კარობში (ონის რაიონი, სადაც შეიქმნა კომბინატი, რომელიც აწარმოებდა მოლიბდენის კონცენტრატს). გაფართოვდა გუმბრინის ამოღება.

ომის პირობებში ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მინერალს — ანდეზიტს, რამდენადაც იგი ქიმიურ და საბრძოლო მასალების წარმოებაში გამოიყენებოდა. მაგრამ ყაზბეგის და ბორჯომის რაიონებში არსებული საბადოები, იმის გამო, რომ დამზადებული ანდეზიტის გამოტანა გაძნელებული იყო, 1944 წლის ბოლომდე დააკონსერვეს. ახალციხის აქატის საწარმომ 1941 წლის განმავლობაში საავიაციო, საარტილერიო, სატანკო და ხელსაწყოთმშენებელ და სხვა სამხედრო ქარხნებს 40 ტონა აქატი მიაწოდა.

რთული მდგომარეობა შეიქმნა ომის დაწყების შემდეგ ჭიათურის მანგანუმის წარმოებაში, ამოღებული მადნის ექსპორტის შეწყვეტის გამო. ამიტომ, 1941 წლის ნოემბერში მაღაროების ნაწილი დააკონსერვეს. გერმანელების მიერ, ნიკოპოლის მანგანუმის საბადოს დაკავების შემდეგ, ურალისა და ყაზახეთის ახალი საბადოების მწყობრში ჩადგომამდე, ქვეყანაში ერთადერთ საბადოდ ჭიათურის მანგანუმის საბადო რჩებოდა. 1942 წელს ჭიათურის მანგანუმის 8 მაღაროდან მუშაობდა მხოლოდ 3. შემცირდა მუშახელი, რომლის ნაწილი ქვანახშირის მრეწველობაში გადავიდა. მადნის მოპოვება 1943 წლიდან განახლდა.

1942 წლიდან, როდესაც ამიერკავკასია ქვეყნის დანარჩენი ნაწილისგან ფაქტობრივად მოწყვეტილი აღმოჩნდა, ქვანახშირის მოპოვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტების ჯარების, შავი ზღვის ფლოტისა და ამიერკავკასიის რკინიგზისთვის სათბობის მიწოდების საქმეში. მაგრამ თუ ომის დასაწყისისთვის ქვანახშირის მოპოვება მასალების შემოტანის შეწყვეტის და სხვა სიძნელეების გამო შემცირდა, 1943 წლიდან მდგომარეობა გამოსწორდა. მეშახტეთა თავდადებული შრომის წყალობით ქვანახშირის მოპოვება გაიზარდა არა მარტო ტყიბულში, არამედ ტყვარჩელშიც, სადაც უშუალოდ მეშახტე-

თა ძალისხმევით აშენდა საკოქსე ღუმელი და სამრეწველო კოქსის გამომ-ვება დაიწყო. ტყიბულისა დ ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტები გაერთი-ანდა ერთ კომბინატში. ახალციხის მურა ნახშირის საბადოს კი მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

ცვლილებები მოხდა საქართველოს ნავთობის მოპოვებაში. 1942-1943 წლებში მისი მოპოვება გაიზარდა და ახალი ნავთობის საძიებო სამუშა-ოებიც მიმდინარეობდა. ბათუმისა და მირზაანის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები შეიარაღებულ ძალებს აწვდიდნენ თხევად საწვავს, საავიაციო ბენზინს.

ომის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ზესტაფო-ნის ფეროშენადნობი ქარხნის პროდუქციას, მაგრამ 1942 წლის ზაფხუ-ლისთვის ამ ქარხანაში რთული მდგომარეობა შეიქმნა: ძირითადი მასალე-ბის მიუღებლობამ საწარმო აიძულა, დეფიციტური მასალების შემცვლე-ლი ადგილობრივი მასალები მოეძებნა. ქარხანაში აითვისეს საჯავშნო ფოლადისთვის მეტად საჭირო ელექტროლიზური მანგანუმის წარმოების ახალი, გაუმჯობესებული მეთოდი აკადემიკოს რაფიელ აგლაძის ხელ-მძღვანელობით. ეს მიღწევა სტალინური პრემიით აღინიშნა. ომის წლებში გაფართოვდა ფეროსილიციუმის, სილიკომანგანუმის, ფერომოლიბდენისა და სხვა შენადნობების წარმოება მაღალხარისხოვანი ფოლადის საწარმო-ებლად. 1943 წლიდან ამ პროდუქციის გამოშვება გაიზარდა.

სამხედრო პროდუქციის წარმოების აუცილებლობამ მოითხოვა სა-ქართველოს სამრეწველო საწარმოთა დაჯგუფება და კოოპერირება, მათი პროფილისა და საწარმოო შესაძლებლობის მიხედვით. კერძოდ, პისტო-ლეტ-ტყვიამფრქვევების ППШ მარკის წარმოება დაევალა თბილისის ჩარ-ხსაშენებელ და მანქანათმშენებელ ქარხნებს, სატელეგრაფო აპარატურის ქარხანას, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას, საელმავლო და სა-ორთქლმავლო დეპოებს, ელექტროტექნიკურ ქარხანას და სხვა საწარმო-ებს. 1942 წლის დამლევს ჩარხსაშენებელმა ქარხანამ სამხედრო უწყებას გადასცა დიდი რაოდენობით ნაღმსატყორცნ „კატიუშას“ დანადგარის ძი-რითადი ნაწილები და რეაქტიული ჭურვების დეტალები.

თბილისის ავტოშემკეთებელმა ქარხანამ კაპიტალურად შეაკეთა ასო-ბით ტანკი და ტანკის მოტორი, ავტომანქანების და ტრაქტორების დე-ფიციტური სათადარიგო ნაწილები და დეტალები. თბილისის მექანიკური ქარხანა სამხედრო-საზღვაო ფლოტს აწვდიდა ცეცხლმტყორცნებს; თბი-ლისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა „ცენტროლიტი“ ომის წლებ-ში აშზადებდა ტანკებისა და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებს, ასე-ვე საბრძოლო მასალებს. მანქანათმშენებელ და შემკეთებელ ქარხნებში

მზადდებოდა ტანკების სათადარიგო ნაწილები, საარტილერიო ჭურვები, ნაღმები, რეაქტიული ნაღმტყორცნის „კატიუშას“ დეტალები და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები. თბილისის სპილენძ-საგლინავმა ქარხანამ სამხედრო მრეწველობას მიაწოდა 700 ტონაზე მეტი წითელი სპილენძი.

კარობის მოლიბდენის კომბინატმა 1944 წელს, 1942 წელთან შედარებით, გამოიმუშავა თითქმის 2-ჯერ მეტი მოლიბდენის კონცენტრატი. კასპის ცემენტის და ქუთაისის ლითოფონის ქარხნები და სხვა ქიმიური საწარმოები, ასევე, შემკეთებელი სახელოსნოები აშზადებდნენ ნაღმის ამფეთქებლებს, ასაფეთქებელ მასალებს.

თბილისის მშენებარე საავიაციო ქარხანამ, რომელმაც თავის ბაზაზე მიიღო ტაგანროგიდან ევაკუირებული დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა მუშა-მოსამსახურეებით, უკვე 1941 წლის ნოემბერში გამოუშვა რამდენიმე ავიაგამანადგურებელი. 1942 წლის დამდეგიდან კი გადავიდა ЯК-1-ის, ЛАГГ-3-ის მარკის თვითმფრინავების გამოშვებაზე. სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 12 ნოემბრის დადგენილებით, თბილისის საავიაციო ქარხანას დაევალა 1944 წლის მარტიდან დაეწყო ახალი თვითმფრინავის — ЯК-3-ის გამოშვება ადრე გამოშვებული ЛАГГ-3-ის ნაცვლად, რამაც თვითმფრინავთა რიცხვის რამდენადმე შემცირება გამოიწვია.

ფოთის, ბათუმის და სოხუმის გემთშემკეთებელი საწარმოები ხომალდებისა და გემების შეკეთებასთან ერთად, დიდძალ საბრძოლო მასალას აწარმოებდნენ.

საქართველო დიდი რაოდენობით აწარმოებდა ქიმიურ და საინჟინრო აღჭურვილობის საგნებს, აგრეთვე კავშირგაბმულობის საშუალებებს: სატელეფონო კოჭებს, მაღალი ძაბვის იზოლირებულ მავთულებს, რადიოგადამცემებს და ა.შ.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში ჩაერთო თბილისის ინსტრუმენტების ქარხანა, რომელსაც პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების მწარმოებელი ქარხნის ფუნქციები დაეკისრა.

საქართველოს მრეწველობის გარდაქმნა საომარ ყაიდაზე 1942 წლის მეორე ნახევარში დამთავრდა, მაგრამ ფრონტის მოახლოებამ 1942 წლის ზაფხულში, დამატებითი სიძნელეები შეუქმნა როგორც მძიმე ინდუსტრიის პროფილის სამრეწველო საწარმოებს, ასევე საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებსაც.

თბილისის მაუდ-კამვოლის, აბრეშუმ-საქსოვი და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატებმა ომის პირველ თვეებში დაზგები გადააკეთეს და არმიისთვის საჭირო საპარაშუტე ქსოვილის, საფარაჯე, ბამბის და შალის ქსოვილების

დაშხადების ტექნოლოგია აითვისეს. 1942 წელს ამ საწარმოებმა დაამზადეს 80 ათასი მეტრი სპეციალური ქსოვილი რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი ალპინისტური რაზმების მეომართა ტანსაცმლისთვის. სამკერვალო ფაბრიკებმა 1942 წლის განმავლობაში სამხედრო უწყებას გადასცეს 418 ათასზე მეტი ფარაჯა, 398 ათასი შარვალი და დაბამბული შარვალი, მილიონი წყვილი საარმიო ფეხსაცმელი, 3 მილიონი მანეთის ღირებულების ცხენის ამუნიცია, თეთრეული, ხელთათმანები, ჩანთები და სხვა.

დიდ სიძნელეებს განიცდიდა კვების მრეწველობა, განსაკუთრებით, კავკასიისთვის ბრძოლების პერიოდში, როდესაც თითქმის მთლიანად შეწყდა ფქვილისა და შაქრის შემოტანა და საქართველოს შიდარესურსებით დაკმაყოფილება მოუხდა. ამან გამოიწვია პურის მიწოდების ნორმის შემცირება. 1943 წლიდან, როდესაც ფრონტი საქართველოს საზღვრებს დასცილდა, სამხედრო ორგანიზაციებისა და ჯარისთვის კვების პროდუქტების მიწოდების ხვედრითი წილი შემცირდა. საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობა, პროდუქციის უდიდეს ნაწილს არმიასა და ფლოტს უგზავნიდა. საკონსერვო მრეწველობაც ვერ მარაგდებოდა მასალებით, ამიტომ მასალები და მოწყობილობები გამოიძებნა და ქალაქ ქუთაისში მინის ტარისა და კასრების წარმოება დაიწყო.

ომის წლებში არ შეწყვეტილა ზოგიერთი ჩაის ფაბრიკის მოდერნიზაცია და მშენებლობა. ჩაის ფაბრიკების რიცხვი გაიზარდა 40-მდე.

ქობულეთის ტუნგოს, ბათუმისა და ზუგდიდის კოფეინის, გაგრის, თელავის, ყვარლის, მარნეულის ეთერზეთოვანმა და ქიმიურ-ფარმაცევტულმა ქარხნებმა სამხედრო უწყებას დიდი რაოდენობით გადასცეს ქაფურის ზეთი, ტუნგოს ზეთი, სხვა მედიკამენტები და პრეპარატები.

უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოში არ შეწყვეტილა კაპიტალური მშენებლობა. 1945 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდების მთელი ასიგნებიდან მძიმე ინდუსტრიის ობიექტების მშენებლობაზე დაიხარჯა დაახლოებით 40%. 1944 წლის იანვარში თბილისის რაიონში მწყობრში ჩადგა ახალი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. იმავე წელს, ქუთაისში დაიწყო სამთო-საშახტო მოწყობილობათა ქარხნის — „სამთოელის“ და ბორჯომის რაიონის სოფელ ჩითახევის 18000 კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე მტკვარზე. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 16 აპრილის დადგენილებით დაიწყო ქვანახშირის ახალი შახტების მშენებლობა და არსებული შახტების რეკონსტრუქცია. 1945 წლის დამდეგს განახლდა ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

1941 წელს თბილისის მახლობლად, შუა საუკუნეებში უცხოელ დამ-

ჰერობთა შემოსევების შედეგად იავარქმნილი რუსთავის უკაცრიელ ფართობზე დაიწყო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა.

ომის წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 200-ზე მეტი მსხვილი, საშუალო და წვრილი საწარმო და დამოუკიდებელი საამქრო. გრძელდებოდა სატრანსპორტო მშენებლობა.

1942 წელს სამოქალაქო მომსახურებისთვის გაიხსნა ამიერკავკასიის რკინიგზის შავი ზღვის მაგისტრალი, რომელიც ექსპლოატაციაში სრული დატვირთვით გაუშვეს 1945 წელს. იმავე წელს დამთავრდა ბორჯომი-ვალეს (ახალციხის) სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. გაყვანის პროცესში იყო კაჭრეთ-მირზაანის რკინიგზის შტო. გაჰყავდათ მაიაკოვსკი (ბაღდათი) — საირმე — დიდმაღალას, ჩოხატაური — ბახმაროს გზატკეცილები; წარმოებდა საქართველოს სამხედრო გზის, შავიზღვისპირეთის გზატკეცილის, თბილისი-რუსთავი-წითელი ხიდის გზატკეცილებისა და სხვათა რეკონსტრუქცია და კაპიტალური შეკეთება.

ასეთი ფართომასშტაბიანი კაპიტალური მშენებლობის განხორციელება საქართველოში, ისევე როგორც სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებში უმძიმესი ომის პირობებში შესაძლებელი იყო მხოლოდ ცენტრალიზებული დაფინანსების, უმკაცრესი საფინანსო დისციპლინისა და კონტროლის პირობებში.

ობიექტური პირობებით გამოწვეული სიძნელეებისა და ნაკლოვანებების მიუხედავად, საქართველოს მრეწველობამ, მასში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა თავდადებული შრომის წყალობით მთლიანად გაართვა თავი საომარ ყაიდაზე გარდაქმნის ამოცანებს. მაგრამ სამრეწველო პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა ომის ბოლოს — 1945 წელს დაახლოებით ერთი მეხუთედით შემცირდა 1940 წელთან შედარებით, ძირითადად, ფართო მოხმარების საგნების წარმოების შეკვეცის გამო.

დაძაბული მუშაობა მოუხდა რესპუბლიკის ტრანსპორტის საწარმოებს ომის პირველსავე წელს და განსაკუთრებით კავკასიის დაცვის პერიოდში. 1942 წელს, ფრონტის ხაზის საქართველოს საზღვრებთან მოახლოების პირობებში, ამიერკავკასიის რკინიგზა წარმოადგენდა სამხრეთის მიმართულების მომარაგების ერთადერთ მსხვილ მაგისტრალს, რომელიც ახორციელებდა ევაკუირებული მოსახლეობის გადაადგილებას, სხვადასხვა ტვირთის მიღება-გადაგზავნას, მოქმედი არმიისთვის რეზერვების, იარაღის, საბრძოლო მასალის, სურსათის, ტანსაცმლის და სხვა მატერიალური საშუალებების მიწოდებას, ზურგში დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლების გადაყვანას, მწყობრიდან გამოსული საბრძოლო ტექნიკის გადატანას და ა.შ.

საქართველოს რკინიგზელები შრომითი თაოსნობების ინიციატორებად გამოდიოდნენ. 1943 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით ამიერკავკასიის რკინიგზის ქართველ მემანქანეებს გელაძეს, წიკლაურს, ჯიხრეიძეს და ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს გ. კიკნაძეს, პირველებს საქართველოში, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ.

კავკასიისთვის ბრძოლის პერიოდში შავი ზღვის ფლოტს თავისი ბაზები აღარ გააჩნდა. გერმანელების ოკუპაციას გადაურჩა საქართველოს ნავსადგურები — ფოთი, ბათუმი და სოხუმი, რომლებიც ემსახურებოდნენ შავი ზღვის ფლოტის და აზოვის ფლოტილიის გემებს. ამ ნავსადგურებიდან გადიოდნენ საჯარისო შენაერთები და ტვირთი ალყაში მოქცეული ოდესისა და სევასტოპოლის, ქერჩის გარნიზონებისათვის. ეს პროცესი მხოლოდ ამ ნავსადგურების მუშაკთა თავდადებული შრომით ხორციელდებოდა. მარტო კავკასიის დაცვის პერიოდში, საქართველოს ნავსადგურებიდან ზღვით გადაიყვანეს 213 ათასზე მეტი კაცი და გადაიტანეს 260 ათასამდე ტონა სამხედრო ტვირთი.

გაიზარდა მარცვლეულის სათესი ფართობი. ომამდე ხორბლის დიდი რაოდენობა უკრაინიდან და რუსეთიდან შემოდიოდა, ამიტომ გადიდდა მარცვლეულის საერთო ფართობი, სამაგიეროდ შემცირდა ვენახების ფართობი ომის ბოლოს თითქმის 10 ათასი ჰექტრით და შეადგინა 59208 ჰექტარი, ასევე ტექნიკური და ბოსტნეულ-ბაღჩეული და მრავალწლიანი ნარგავების (ციტრუსები, ხეხილი, ჩაი, ტუნგო) ფართობები და მოსავლიანობა. 1941-1942 წლების მკაცრმა ყინვებმა მოსპო 10 ათას ჰექტარზე გაშენებული ციტრუსების ნარგავი, აგრეთვე მრავალწლიანი კულტურები ხეხილის ბაღების გარდა. კერძოდ, ციტრუსების პლანტაციების ფართობი შემცირდა 4,9 ათასი ჰექტრით, ხოლო ხეხილის ბაღები — 3,6 ათასი ჰექტრით. 1945 წელს საქართველოში იყო 19,7 ათასი ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაციები და 88,0 ჰექტარი ხეხილის ბაღები. ამ დროისთვის ჩაის პლანტაციების ფართობი გადიდდა 1896 ჰექტრით და შეადგინა 51 532 ჰექტარი.

ომის ბოლოს შემცირდა კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის დაბალი მოსავლიანობით.

მიუხედავად საავტომობილო პარკის შემცირებისა (5 ათასი ავტომანქანა პირველსავე დღეებში გადაეცათ ჯარებს), საავტომობილო ტრანსპორტი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამხედრო უწყების დასახმარებლად. მათ გადაჰყავდათ გამანადგურებელი ბატალიონები საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად, გადაჰქონდათ ტვირთები, მომსახურებას უწევდნენ მოსახლეობას.

საქართველოს სამოქალაქო ავიაცია ომის წლებში ასრულებდა როგორც სახალხო-სამეურნეო ამოცანებს, ასევე დახმარებას უწევდა მოქმედ არმიასაც კავკასიისთვის ბრძოლის პერიოდში. მას გადაჰყავდა საჯარისო შენაერთების პირადი შემადგენლობა, აგრეთვე გადაჰქონდა საჭურველი და საბრძოლო მასალები კავკასიის უღელტეხილებსა და ფრონტის ძნელად მისადგომ უბნებზე.

ომის პირობებში რამდენადმე შეიცვალა კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობის ხასიათი. საომარ ყაიდაზე გარდაქმნამ ხელი შეუწყო ფრონტსა და ზურგს შორის სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის რეგულირებას, ამიერკავკასიის ფრონტის ცალკეული სამხედრო ნაწილების ეფექტიან მომსახურებას.

ომის წლებში შეიქმნა ათობით საველე საფოსტო სადგური, აშენდა კავშირგაბმულობის დამატებითი ხაზები, სატრანსლაციო კვანძები და სხვა.

რთული ამოცანები დაუსახა ომმა სოფლის მეურნეობას. ომში გაიწვიეს სოფლის შრომისუნარიანი მოსახლეობა, ფრონტს გადაეცა დიდი რაოდენობით ავტომანქანები, ტრაქტორები, ცოცხალი გამწევი ძალა. სამხედრო ყაიდაზე გადასვლის მთელი სიმძიმე დააწვათ მოხუცებს, ქალებსა და მოზარდებს, რომლებმაც ომის პირველი წლიდანვე წარმატებით გაართვეს თავი მოსავლის აღებას და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. ამაში სოფელს დიდ დახმარებას უწევდნენ ქალაქის მოსახლეობა, სტუდენტები და მოსწავლეები. 1942 წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობდა 100 ათასი მოსწავლე და სტუდენტი, აგრეთვე 7 ათასი მასწავლებელი, რომლებმაც გამოიმუშავეს 6 მილიონი შრომადღე.

ხელმძღვანელობის მბრძანებლური სისტემა, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა ომის დროს, უარყოფით გავლენას ახდენდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე. ერთი მხრივ, ცენტრალიზაცია დაეხმარა კოლმეურნეობებს ომიანობის პირობებს შეჰგუებოდნენ, მოეხდინათ სოფლის მატერიალური და შრომითი რესურსების სრული მობილიზაცია, სამაგიეროდ, კოლმეურნეობები მოკლებული იყვნენ დამოუკიდებლობას, გლეხობას აკლდა მატერიალური სტიმული, მაგრამ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ძალების უდიდესი დაძაბვით შეძლეს ქვეყნის მომარაგება სურსათის აუცილებელი მინიმუმით.

ომიანობის პირობებმა მკვეთრად გააუარესა მუშა-მოსამსახურეთა, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა, რადგან ვეღარ მარაგდებოდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლით. ამის გამო 1941 წლის ივლისიდან შემოიღეს მოსახლეობის ნორმირებული მომარაგება სურსათით და პირველადი საჭიროების საგნებით.

ფულის კურსის გაუფასურების გათვალისწინებით გაიზარდა მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი. 1943 წლიდან სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისთვის „დახმარების კუპონებიც“ ეწყობოდა.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების შემდეგ, ფაშისტური გერმანიის ჯარებთან საბჭოთა არმიის პირველი წარუმატებელი შეტაკების შემდეგ, უკან დახევის პირობებში, საჭირო გახდა ფრონტისპირა ზონიდან მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებების ევაკუაცია ზურგის რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში. 1941 წლის ივლისის თვიდან უკრაინიდან, ცენტრალური რუსეთის რაიონებიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველომ უამრავი ადამიანი მიიღო, რომელთა ნაწილი ადგილზე დაბინავდა, ხოლო ნაწილი ბაქოს გავლით შუა აზიის რესპუბლიკებში გაიგზავნა.

1941 წლის 4 დეკემბრიდან საქართველომ მიიღო 15 ათასი ევაკუირებული მახაჭყალიდან. ისინი რესპუბლიკის რაიონებში განაწილდნენ. 1942 წლის 24 თებერვალს თბილისში ევაკუირებული ყოფილა 11730 კაცი, რომლებიც განაწილდნენ თბილისის რაიონებში. იმავე წლის 7 ივნისს თბილისმა კალინინის ოლქიდან მოსახლეობის პირველი ეშელონი მიიღო — 2596 კაცი; 20 ივნისს მეორე ეშელონი — 1755 კაცი, ხოლო 14 ივლისს — 3133. ე.ი. მხოლოდ კალინინის ოლქიდან თბილისმა 7484 კაცი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ საერთო საევაკუაციო გეგმით საავიაციო მრეწველობის საწარმოთა ევაკუაცია საქართველოში არ იყო გათვალისწინებული, ის მაინც განხორციელდა იმ ბაზების არსებობის გამო, რომლებიც თბილისის და ქუთაისის მშენებარე საავიაციო ქარხნების სახით არსებობდა.

საქართველოში ევაკუირებულ საწარმოთა შორის ყველაზე მსხვილ საწარმოს წარმოადგენდა ტაგანროგის საავიაციო ქარხანა. უფრო ადრე, თბილისმა მიიღო სიმფეროპოლის ავიამშენებელი ქარხანა. აქვე გადმოიტანეს ომის დაწყებისას დაკონსერვებული ქუთაისის საავიაციო ქარხნის მოწყობილობაც. 1941 წელს, აქ, საექსპლოატაციოდ გადაიცა 15 საწარმო კორპუსი, გაიყვანეს რკინიგზის ხაზი, გზატკეცილი, აშენდა საქარხნო აეროდრომი. ქარხანასთან განთავსდა ტაგანროგის ევაკუირებული საავიაციო ტექნიკუმიც.

1941 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ქალაქ ფოთში იქნა ევაკუირებული სევასტოპოლის საარტილერიო-სარემონტო ქარხანა, იმავე წლის დეკემბერში კი სევასტოპოლის გემთმშენებელი ქარხანა, და ფოთში მისი ფილიალი შეიქმნა. 1942 წლის აგვისტოში ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში განლაგდა ტუაფსეს გემთმშენებელი ქარხანა.

1942 წელს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ მიიღო ნოვოროსიისკისა და ორჯონიკიძის ვაგონშემკეთებელი, როსტოვის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი და ტიხორეცკის მანქანათმშენებელი „კრასნი მოლოტის“ ქარხნები. იმავე წელს თბილისმა ელექტროდეპოს ბაზაზე მიიღო როსტოვის ელექტროტექნიკური ქარხანა. აღნიშნული საწარმოები უშვებდნენ თავდაცვით პროდუქციას — სხვადასხვა ყალიბის ნაღმებს და საარტილერიო ყუმბარებს. ამასთანავე, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა მუშაობდა უწინდელი პროფილით — ეწეოდა დაზიანებული ორთქლმავლებისა და ვაგონების შეკეთებას.

1943 წლის მარტში ორჯონიკიძის ვაგონშემკეთებელი ქარხნის რეევაკუირების შემდგომ მისი მოწყობილობის ნაწილი თბილისში დარჩა. ასევე საქართველოში ევაკუირებული ფეოდოსიის არაყ-ლიქიორის ქარხნის მოწყობილობა გადაეცა „სამტრესტს“.

1942 წლის ივლისში თბილისის მაუდის ფაბრიკამ „საბჭოთა საქართველომ“ მიიღო მოსკოვის ოლქის ფაბრიკა „ოქტომბერი“. საქართველოში ევაკუირებული იყო ავეჯის ფაბრიკები როსტოვიდან და ჩისტიაკოვიდან, რომელთა მოწყობილობა გადაეცა თბილისის საავიაციო ქარხანას, ხოლო ოდესის კონვერტების ფაბრიკის მოწყობილობა — სახელმწიფო გამომცემლობას.

ომის წლებში საქართველოში ევაკუირებულმა საწარმოებმა, განსაკუთრებით კი საავიაციო და გემთმშენებელმა ქარხნებმა ხელი შეუწყვეს საქართველოში თავდაცვითი მრეწველობის შექმნას, რომელიც მას ომამდე არ ჰქონდა. სამრეწველო საწარმოთა რეევაკუაცია, რომელიც ძირითადად მიმდინარეობდა 1944 წელს და 1945 წლის პირველ ნახევარში, ომის შემდეგაც გრძელდებოდა.

ამას გარდა, 1941 წლის დეკემბერში საქართველოში ევაკუირებული იქნა კრასნოდარის მხრიდან და სხვა ტერიტორიიდან 19 საბავშვო სახლი 800 აღსაზრდელით, რომელთა ნაწილი თბილისის ახლოს, დაბა კოჯორში განათავსეს. არსებულმა საბავშვო სახლებმა კი მიიღეს 584 უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი. რესპუბლიკის მოსახლეობის გულმოწყალების გამოხატულებას მოწმობს ის ფაქტი, რომ მათ იშვილეს 320 და პატრონაჟზე აიყვანეს 2340 ბავშვი.

ამრიგად, საქართველოში ევაკუირებული მოსახლეობის რაოდენობა ევაკუირებულ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეთა გარდა, 35 ათას კაცს აჭარბებდა. მოსახლეობის ამ ფენამ დროებით, მექანიკურად შეავსო საქართველოს მოსახლეობა, მაგრამ ფაშისტური ჯარების მიერ ოკუპირებული რაიონების გათავისუფლების შემდეგ ევაკუირებულნი დაუბრუნდენ

თავიანთ ძველ საცხოვრისს, მხოლოდ მათი მცირე რაოდენობა დარჩა და დამკვიდრდა საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო საწარმოების გარდა, საქართველოში ევაკუირებულ იქნა სასწავლო და კულტურის დაწესებულებანი. კერძოდ, როსტოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი 600 სტუდენტისა და 150 პროფესორ-მასწავლებლის შემადგენლობით. ინსტიტუტი დაბინავდა ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლის შენობაში. 1942 წლის მაისში თბილისმა ლენინგრადიდან მიიღო კალინინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი სტუდენტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით, ასევე საქართველოში იქნა ევაკუირებული ლენინგრადის ვლადიმერ ბონჩ-ბრუევიჩის სახელობის ინჟინერთა კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი. ლენინგრადიდან თბილისში იქნა ევაკუირებული აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტი, ოთხი სახელოსნო სასწავლებელი და ერთი ასეთივე ტიპის სასწავლებელი როსტოვიდან.

1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში თბილისში იქნა ევაკუირებული კიევისა და ხარკოვის საოპერო თეატრები, რომლებიც შეიკედლა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა, ხოლო იალტის კინოსტუდია თბილისის კინოსტუდიამ. ომის წლებში განაგრძეს თავიანთი მოღვაწეობა მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან თბილისში ევაკუირებულმა თეატრის, კინოს, მუსიკალური კულტურის და სახვითი ხელოვნების გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის განვითარებისათვის კულტურულ მონაპოვართა გამდიდრების თვალსაზრისით.

ქართული ეროვნული დივიზიების შექმნა.
საქართველოდან წარგზავნილები მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე

1921 წლის მარტიდან ჩამოყალიბებული ქართული წითელი არმიის ნაწილები, რომლებიც ტერიტორიულიდან კადრის ეროვნულ დივიზიებად გარდაიქმნენ, 1938 წელს დაშალეს და ჩვეულებრივ, საერთო-საკავშირო საჯარისო შენაერთებად აქციეს, რაც სრულიად არ იყო აუცილებლობით გამოწვეული. ეს იმით დასტურდება, რომ 1942 წლის თებერვლიდან ომის ერთ-ერთ უმძიმეს ეტაპზე კვლავ დაისვა ეროვნული საჯარისო შენაერთების შექმნის საკითხი.

224-ე მსროლელი დივიზია 1942 წლის 8-11 მაისს ყირიმში ფაშისტთა ჯარების მძლავრ სატანკო იერიშებს იგერიებდა. მაგრამ შენაერთის ნაწილები მტერმა თავდაცვით ზოლში ღრმად, სოლივით შეჭრის შედეგად დაქსაქსა, ზოგიერთ ნაწილს უკანდასახევი გზა მოუჭრეს. შეწყდა მომარაგე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანდიდ ჩარკვიანი

აკაკი მგელაძე

გიგი ჯავახიშვილი

ვასილ მჟავანაძე

გიორგი ძოწენიძე

თბილისის საავიაციო ქარხანა



რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1956 წლის 9 მარტი თბილისში

ნინო რამიშვილი

ილიკო სუხიშვილი

ვახტანგ ჭაბუკიანი

რევაზ ლალიძე და პეტრე გრუზინსკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედუარდ შევარდნაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი სოხუმი

ქალაქი ბათუმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქი ქუთაისი

ქალაქი რუსთავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქი გორი

ქალაქი თელავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნოდარ დუმბაძე

რობერტ სტურუა

ჭაბუა ამირეჯიბი



თემურ ჩხეიძე

ზურაბ სოტკილავა



ოთარ იოსელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნონა გაფრინდაშვილი

ვიქტორ სანეევი

მაია ჩიბურდანიძე

1981 წლის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა
თასის გამარჯვებული თბილისის „დინამო“

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები და ხელმძღვანელები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზვიად გამსახურდია



მერაბ კოსტავა

აკაკი ბაქრაძე

1989 წლის 9 აპრილი

XIX ს
შავი ზღვა

საქართველო XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში
ადმინისტრაციული ერთეულები
ტფილისის გუბერნია
ყუთაისის გუბერნია
ბაქოს ოლქი
ტერეკის ოლქი
ბრძოლის ადგილები
ბრძოლის ადგილები
სასულიერო სასლები
მბრძოლი ოლქების და ეპარქიის სასლები
ტფილისი
ბაქოს ოლქი
ტერეკის ოლქი
ბორჩალოს მაზრა
ელისავეტპოლის მაზრა
ერევნის მაზრა
ბაკურიანი
ბაკურიანის ოლქი
ბაკურიანი
ბაკურიანის ოლქი
ბაკურიანი
ბაკურიანის ოლქი

საქართველოს ტერიტორიული დანაკარგები
XXს. 20-50-ან წლებში
N
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ბიბლიოგრაფია
0
25
50
100
ბაკურიანი
ბაზა
ბორჯომი
ბაკურიანი
ბაზალეთი
ბოლისი
ბურნეთი
ბანდა
ბალი
ბაკო
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიანი

საქართველო გაეროს მიერ აღიარებულ საზღვრებში

N
ეროვნული ბიბლიოთეკა
რუსეთის ფედერაცია
ოსეთი
ინგუშეთი
ჩეჩნეთი
ყაბარდო-ბალყარეთი
ჩრდილოეთ ოსეტია
ყარაჩაი-ჩერქეზეთი
ადიღეა
ყრიმი
ყუბანი
ბელგოროდი
ვოლგოგრადი
ბაკურიანი
ბორჯომი
ახალციხე
ადლეთი
ოსტაფოვი
ტუაფსე
ანაპა
ნოვოროსიისკი
ტამანი
ანაკოფია
ფოთი
ზუგდიდი
ბათუმი
ბალაკლავა
ბალაკლავა
ბალაკლავა

ბა, შტაბთან და სარდლობასთან კავშირი. დივიზიის ნაწილებმა გამოიყენეს აზოვის ზღვის და აკტაშის ტბას შორის ვიწრო ზოლი და ტურეცკა ... ჩრდილოეთ ზღუდეს მიაღწიეს, მაგრამ იქ მათ მტერმა გრიგალისებური ცეცხლი გაუხსნა. დივიზია იძულებული გახდა ცალკე რაზმებად გაჭრილიყო ქერჩის სრუტისაკენ. 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის მებრძოლთა უმრავლესობა გმირულად დაიღუპა ქერჩის მიწაზე. ამაში ბრალი მიუძღოდა უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლის, მეხლისის მიერ მთავარსარდლობის გაცემული დავალების შეუსრულებლობას, სამხედრო მოქმედების არასწორ ტაქტიკას, რისთვისაც იგი დაისაჯა კიდეც.

სევასტოპოლის დაცვის დროს გამოჩენილი მამაცობისთვის საზღვაო ქვეით სნაიპერთა ინსტრუქტორს, ზემდეგ ნ.ადამიას, უმცროს პოლიტხელს მ.გახოკიძეს, საზღვაო ქვეითი ბატალიონის მეთაურს არ. გეგეშიძეს და საავიაციო ესკადრილიის მეთაურს, მაიორ ალ.წურწუმიას მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. დაღუპულ ალ.წურწუმიას სახელი მიენიჭა საავიაციო ესკადრილიას. დივიზია, სხვა შენაერთების მებრძოლებთან ერთად, აჯი-მუშკაის ქვის სამტეხლოების გვირაბებში გამაგრდა და იქ განაგრძობდა წინააღმდეგობას 1942 წლის 25 მაისამდე, შემდეგ კი გადარჩენილმა მეომრებმა მთებს მიაშურეს და პარტიზანულ ბრძოლაში ჩაებნენ.

ქალაქ გორში, 1942 წლის თებერვალში 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ფორმირება დაიწყო, ხოლო იმავე წლის 28 თებერვლიდან 1-ლ აგვისტომდე დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქ მახაჭყალასა და დაბა ბუინასკში ყალიბდებოდა 414-ე ქართული ეროვნული მსროლელი დივიზია; 1942 წლის 30 ივნისს დაიწყო 351-ე ქართული მსროლელი დივიზიის შექმნა ვლადიკავკაზის რაიონში. დივიზია მამისონის უღელტეხილს იცავდა.

1942 წლის 1-ლ აგვისტოს ქალაქ ალაგირში დაიწყო 276-ე დივიზიის ჩამოყალიბება, მაგრამ 15 აგვისტოდან დივიზიის ხელახალი ჩამოყალიბების პუნქტი საქართველოში, ქალაქ გორში გადმოიტანეს.

1942 წლის 29 აგვისტოს გამოიცა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანება 242-ე ქართული სამთო მსროლელი დივიზიის შექმნის შესახებ. უკვე 1-ლ სექტემბერს მისი ჩამოყალიბება ქალაქ ზუგდიდში დასრულდა. 4 სექტემბრიდან დივიზია ბრძოლაში ჩაება.

1942 წლის ოქტომბერში ამიერკავკასიის ფრონტის შემადგენლობაში ქართულ ეროვნულ შენაერთად ჩამოყალიბდა 349-ე მსროლელი დივიზია, ხოლო 1943 წლის ივლის-აგვისტოში, ქალაქ ქუთაისში შეიქმნა 296-ე ქართული ეროვნული დივიზია. 349-ე და 296-ე ქართული მსროლელი დივიზიები, ისევე, როგორც 406-ე ქართული მსროლელი დივიზია, ომის დროს

თურქეთ-საბჭოთა კავშირის (საქართველოს) სახელმწიფო საზღვარს იცავდნენ ადგილობრივ გამანადგურებელ ბატალიონებთან ერთად.

ბრძოლა კავკასიის დაცვისთვის, რომელიც მდინარე დონსა და კავკასიის ქედის მისადგომებს შორის მიმდინარეობდა, 1942 წლის იანვრიდან დაიწყო კავკასიის უღელტეხილებზე და 1943 წლის 9 ოქტომბრამდე გრძელდებოდა.

კავკასიის დაპყრობის ჰიტლერული გეგმა „ედელვაისი" ითვალისწინებდა გერმანული ჯარების შეტევის განვითარებას ერთი მხრივ, ნოვოროსიისკის და ტუაფსეს რაიონებიდან შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ბათუმის მიმართულებით და გასვლას საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრამდე. აქ, თურქეთს, რომელიც გერმანიას უჭერდა მხარს, სრულ მზადყოფნაში ჰყავდა 26 დივიზია. მეორე მხრივ, გერმანიის ჯარებს განზრახული ჰქონდათ შეტევის განვითარება გროზნოს და ბაქოს ნავთობის რაიონების მიმართულებით. „ედელვაისი" ითვალისწინებდა საქართველოს სამხედრო გზით თბილისზე თავდასხმას. გერმანიის ჯარების მიერ კავკასიის დაპყრობა ვერმახტის შორსმიმავალ მიზნებს უკავშირდებოდა. კავკასიის ფრონტზე მოქმედი გერმანიის არმიის 49-ე სამთო-მსროლელი კორპუსის სარდალი, გენერალი რუდოლფ კონრადი წერს: „ჰიტლერის აზრები ხშირად დასტრიალებდნენ კავკასიის ნავთობის რაიონებს... ჰიტლერის ჯიუტი ნებისყოფის გამო ეჭვგარეშე იყო, რომ მოსკოვთან წარუმატებლობა ოდნავადაც კი არ შეცვლიდა მის მიზანდასახულებას — ხელში ჩაეგდო ეს ოლქები. გამარტებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ბაქოსა და ბათუმის (ალბათ უნდა იყოს გროზნოს — მ.ნ.) ნავთობის საბადოები საბჭოთა კავშირისათვის წარმოადგენდა ომის წარმოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებს. ჰიტლერს სურდა ჩრდილოეთ აფრიკიდან გენ. ე. რომელის ძლევამოსილი საატანკო არმია და კავკასიონზე გადასვლის შემდეგ ფელდმარშალ ლისტის ფრონტის არმიები შეჭრილიყვნენ წინა აზიის ტერიტორიაზე, წაერთმია იგი დასავლეთის სახელმწიფოებისათვის და მისი ნავთობის რაიონების სიმდიდრე ხელში ჩაეგდო". ამრიგად, კავკასიონზე გადასვლა ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდა ჰიტლერის ჩაფიქრებული სამხედრო ოპერაციების გრძელ ჯაჭვში. არსებობდა ამ გეგმის გაგრძელებაც.

1942 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში, ნოვოროსიისკის აღების შემდეგ, ბრძოლაში ეგერთა და ალპური ნაწილებისგან შემდგარი, გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო, 49-ე სამთო-მსროლელი კორპუსის ნაწილები ჩაერთო გენერალ რუდოლფ კონრადის მეთაურობით. კორპუსი ორ სამთო-ქვეით დივიზიასთან ერთად წინ წაწევას ცდილობდა სოხუმის მიმართულებით, რათა ტუაფსეს მხრიდან შემტევ გერმანელთა მე-17 არმიისთვის მთიანი სა-

ნაპირო ვიწროებიდან გზა გაეხსნა ამიერკავკასიისკენ. კონრადი უმოკლეს გზად სოხუმისკენ თვლიდა სანჭაროსა და ქლუხორის უღელტეხილებს. 17 აგვისტოს ეს უკანასკნელი უკვე გერმანელების ხელში იყო, ხოლო 25 აგვისტოს მოწინააღმდეგე სანჭაროს უღელტეხილის ალისტარხის გადასასვლელსაც დაეუფლა. წინ იყო დაბალი გადასასვლელები ბზიფის სამხრეთით, დამრეცი მთისწინეთი, მოახლოებული შავი ზღვის ნაპირი. 5 სექტემბერს უღელტეხილის დამცველი საბჭოთა გარნიზონი მარუხის უღელტეხილზე დამარცხდა. გერმანელთა ჯარები სანჭაროს უღელტეხილით წინ გაიჭრნენ და სოხუმს 30 კილომეტრზე მიუახლოვდნენ. მტერმა სოხუმი, ბათუმი და სხვა დასახლებული პუნქტები დაბომბა. საქართველოს ტერიტორია ფრონტისპირა ზონად იქცა. მოწინააღმდეგის წინსვლა შეაჩერა 46-ე არმიამ, გენერალ ლესელიძის მეთაურობით.

კავკასიის დაცვაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღეს 392-ე, 414-ე და 276-ე მსროლელმა დივიზიებმა, 242-ე სამთო-მსროლელმა დივიზიამ. ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის სარდლის, 1942 წლის 8 სექტემბრით დათარიღებულ ბრძანებულებაში აღნიშნული იყო, რომ წარმატებით განხორციელებულ შეტევით ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა 392-ე მსროლელი დივიზია, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა გერმანელთა 23-ე სატანკო დივიზიას. მაგრამ 1942 წლის 6 ნოემბერს, 392-ე დივიზიამ ბაქსანის ხეობიდან დონზულ-ორუნბაშის უღელტეხილის მიმართულებით უკან დახევა დაიწყო. დივიზიას თან მიჰყავდა 400 დაჭრილი მებრძოლი. დივიზიამ უმძიმეს პირობებში გაიარა 45-კილომეტრიანი გზა, თან წამოიღო 28 ტონა მოლიბდენი და გადმორეკა დაახლოებით 28 ათასი სული საქონელი. საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისთვის შენაერთის 247 მებრძოლი დაჯილდოვდა, დივიზიის მეთაურს, გ.ყუფარაძეს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა, წითელი დროშის ორდენთან ერთად, ხოლო დივიზიის სამ მებრძოლს — გმირულად დაღუპულ პოლიტხელ ვ.კანკავას, პოლიტხელ ვ.ლურსმანაშვილსა და საარტილერიო დივიზიის მეთაურს, უფროს ლეიტენანტ ა.პირმისაშვილს 1942 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

414-ე ქართული მსროლელი დივიზია 1942 წლის 1-ლ აგვისტოს, მოქმედი არმიის შემადგენლობაში ბუინაკსკიდან გროზნოს გარე თავდაცვითი სარტყლის მიმართულებით დაიძრა და თერგის მარჯვენა ნაპირზე განლაგდა. დიდი ზარალის მიუხედავად, დივიზიამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია გერმანელთა სვლას გროზნოს ნავთობის სარეწებისაკენ; შემდეგ დივიზიამ 30-კილომეტრიანი გზა ბრძოლით განვლო უმძიმეს პირობებში და მონაწილეობა მიიღო მოზდოკის გათავისუფლებაში.

კავკასიის უღელტეხილების დასაცავად გაჩაღებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო 242-ე ქართულმა სამ-თო-მსროლელთა დივიზიამ (მეთაური — პოლკოვნიკი, შემდგომ, გენერალ-მაიორი გ.ყურაშვილი, სამხედრო კომისარი ვ.ონიანი). დივიზიის ნაწილები შევიდნენ ზემო სვანეთში და თავდაცვითი პოზიცია დაიკავეს კავკასიონის ქედის დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით 129 კილომეტრის სიგრძეზე. თავ-დაცვის ზონაში შედიოდა დონღუზ-ორუნბაშის, მესტიის, ბეჩოსა და ტვი-ბერის გადასასვლელები.

სამთო-მსროლელ დივიზიას დიდ დახმარებას უწევდა სვანეთში ჩამოყა-ლიბებული „განსაკუთრებული რაზმი“ 280 კაცის შემადგენლობით, რომე-ლიც ხუთი თვის მანძილზე მოქმედებდა მ.ჯაფარიძის მეთაურობით. რაზ-მი ასრულებდა სადაზვერვო დავალებებს, მეგზურობას უწევდა დივიზიის ნაწილებს. მობილიზებულ იქნა „ცოცხალი ტრანსპორტი“ — ჯორები და სახედრები, რომელთაც მთაში საჭურველი და სურსათ-სანოვაგე აჰქონდათ ჯარის ნაწილებისთვის. დივიზიას ასევე ეხმარებოდნენ კლდეზე ცოცვის ოსტატები და ალპინისტები.

ამიერკავკასიის ხალხების მობილიზაციის საქმეში, კავკასიისთვის ბრძოლის პერიოდში თბილისი ცენტრის როლს ასრულებდა. 1942 წლის 23 აგვისტოს თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის ხალხების წარმომად-გენელთა ანტიფაშისტური მიტინგი, ხოლო იმავე წლის 27 სექტემბერს — ამიერკავკასიის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგი, რომელთა მონაწილეებმა თავიანთი ხალხების სახელით ფიცი დადეს, ყოველდღიუ-რად გაეძლიერებინათ ფრონტისადმი დახმარება, თავდადებით ეშრომათ და ებრძოლათ მტერზე გასამარჯვებლად.

კავკასიის დაცვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თავდაცვის სა-ხელმწიფო კომიტეტის წევრმა ლავრენტი ბერიამ, რომელიც ამიერკავ-კასიის ფრონტზე ჩავიდა. როგორც კანდიდ ჩარკვიანი აღნიშნავდა, მან „გააერთიანა ამიერკავკასიის ჯარებისა და ადგილობრივი ორგანიზაციე-ბის ღონისძიებანი კავკასიის დასაცავად და რკინისებური ხელით დაამყარა ჯეროვანი წესრიგი როგორც ფრონტზე, ისე ზურგში“. ბერიამ თანამდე-ბობიდან გაანთავისუფლა 46-ე არმიის სარდალი ე.სერგაცკოვი, რომელიც გენერალ კონსტანტინე ლესელიძით შეცვალა. ფაქტობრივად, ლავრენტი ბერიას მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად გერმანელები შეჩერებულ იქნენ მდ. თერგზე და კავკასიის უღელტეხილებზე.

კავკასიისთვის ბრძოლა დაკავშირებული იყო სტალინგრადის ფრონ-ტის მდგომარეობასთან. სტალინგრადის ფრონტზე საბჭოთა ჯარების კონ-ტრშეტევის პირობებში უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი საჭიროდ

თვლიდა, ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის არმიებს გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლა გაეძლიერებინათ ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან, მიზნით, რომ გერმანელთა სარდლობას მებრძოლი ჯარების სტალინგრადისკენ გადასროლა არ შესძლებოდა. საქართველოს ეროვნულ დივიზიებთან ერთად კავკასიას იცავდნენ აზერბაიჯანის და სომხეთის ეროვნული შენაერთები და ნაწილები, ამიერკავკასიაში ჩამოყალიბებული 46-ე არმია, აგრეთვე 44-ე არმიის მთელი რიგი შენაერთები.

1943 წლის იანვრისთვის საბჭოთა ჯარები სტალინგრადთან ალყაში მოქცეული გერმანელთა ჯარების 330-ათასიანი დაჯგუფების განადგურებას განაგრძობდნენ, ამავე დროს ახორციელებდნენ შეტევას დონის როსტოვის მიმართულებით. უმაღლესმა მთავარსარდლობამ ამიერკავკასიის ფრონტს ამოცანად დაუსახა, გერმანელებისთვის როსტოვისკენ უკანდასახევი გზა გადაეკეტა. რუდოლფ კონრადის მოგონებებში კარგად ჩანს საბჭოთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის სტრატეგია კავკასიისთვის ბრძოლაში. სტალინი ამიერკავკასიის ფრონტის სარდალს, გ. ტიულენევს დეპეშას უგზავნის, სადაც განხილულია სტრატეგიის არსი — ამიერკავკასიის ფრონტის მოქმედ არმიებს უნდა დაეყოვნებინათ გერმანელთა განდევნა ჩრდილო კავკასიიდან, რათა გერმანიის ჯარები ისეთსავე „ტომარაში" მოექციათ, როგორშიც მოექცა ფელდმარშალ პაულიუსის დაჯგუფება, მით უმეტეს, რომ გერმანელთა კავკასიის დაჯგუფება გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო (700 000, ნაცვლად 300 000-ისა); გერმანიის საჯარისო ნაწილებმა უეცრად მიიღეს უკან დახევის ბრძანება, რაც იმას ნიშნავდა, რომ გერმანიის ჯარების სარდლობა ითვალისწინებდა გარშემორტყმის საფრთხეს. ამიტომ ჰიტლერელები სასწრაფოდ გაეცალნენ კავკასიას.

იმ საჯარისო შენაერთებს შორის, რომელთა თავგანწირული ბრძოლის მეოხებით თავიდან იქნა აცილებული გერმანელ ფაშისტთა შეჭრა ქალაქ ორჯონიკიძეში და საქართველოს სამხედრო გზაზე გასვლა, იყო 276-ე ქართული მსროლელი დივიზია, რომელიც გიზელის რაიონში, ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან ჩაება ბრძოლაში. ქალაქისკენ მიმავალ გზატკეცილთან მდებარე პატარა უსახელო სიმაღლის (რომელიც ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას კეტავდა), დამცველთაგან მხოლოდ ორი მამაცი მებრძოლი გადარჩა ცოცხალი. მათ მძიმედ დაჭრილი სერჟანტი გოგიჩაიშვილი მეთაურობდა, რომელიც უკრაინის მიწაზე დაიღუპა. მან საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება დაიმსახურა. დივიზიამ შეტევა განავითარა ელხოტოვოს, მაისკოეს, პიატიგორსკისა და კისლოვოდსკის მიმართულებით და ბრძოლით ათავისუფლებდა ჩრდილოეთ კავკასიის ქა-

ლაქებსა და სოფლებს. დივიზიამ განსაკუთრებით ისახელა თავი 1943 წლის სექტემბრის ბრძოლებში ქალაქ-ნავსადგურ თემრიუკისათვის, რისთვისაც მას თემრიუკის საპატიო სახელი მიეკუთვნა. 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიას ტამანის ნახევარკუნძულის გათავისუფლებისთვის, ტამანის საპატიო სახელი მიენიჭა.

414-ე ქართული მსროლელი დივიზია ერთ-ერთი პირველი შევიდა ანაპაში და გერმანელი ოკუპანტებისგან გაწმინდა, რისთვისაც მას ანაპის საპატიო სახელი მიენიჭა. დივიზია ჩრდილოეთ კავკასიის ჯარების შემადგენლობაში იბრძოდა ყირიმის ნახევარკუნძულზე. 1944 წლის 11 აპრილს, დივიზიამ სხვა სახეობის შენაერთებთან ერთად, მოწინააღმდეგის ქერჩის დაჯგუფება გაანადგურა და სევასტოპოლის იერიშში ჩაება. საპუნგორასათვის ბრძოლაში თავი ისახელეს 1367-ე და 1375-ე პოლკებმა, რომელთაც სევასტოპოლის საპატიო წოდება მიენიჭათ. დაჯილდოვდნენ პოლკების მეთაურები, დივიზიის მეთაური ვ.ძაბახიძე, პოლიტგანყოფილების უფროსი ვ.ჯანჯღავა.

ამრიგად, ქართულ ეროვნულ დივიზიებს წარმოადგენდნენ 406-ე, 224-ე, 388-ე, 386-ე, 351-ე, 392-ე, 394-ე, 414-ე, 276-ე, 242 სამთო, 296-ე და 297-ე მსროლელი დივიზიები, რომლებმაც კავკასიისთვის ბრძოლების მთელი სიმძიმე გადაიტანეს.

ყირიმის ნახევარკუნძულზე, სევასტოპოლის იერიშში მონაწილეობა მიიღეს მე-13 გვარდიული მსროლელი კორპუსის მეომრებმა, სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენის კავალრის, გენერალ-ლეიტენანტ პორფილე ჩანჩიბაძის მეთაურობით.

არაერთმა ქართველმა მფრინავმა მიიღო მონაწილეობა ყირიმის გათავისუფლებაში, მათ შორის იყო უმცროსი ლეიტენანტი ი.ჯინჭარაძე, რომელმაც თავი ისახელა პერეკოპის, დონბასის, ხარკოვის, ბელგოროდის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში. ჯინჭარაძეს სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ქერჩის სადესანტო ოპერაციასა და ყირიმის ზღვისპირა ქალაქების გათავისუფლებისთვის ბრძოლების აქტიური მონაწილე იყო მესამე რანგის კაპიტანი — იაროსლავ იოსელიანი, რომელიც მესტიისა და ლენტეხის რაიონების მოსახლეობის სახსრებით აგებულ წყალქვეშა ნავს „საბჭოთა სვანეთს“ მეთაურობდა. 1942 წლის მაისში ამ ნავმა შავ ზღვაში ჩაძირა მტრის 16 ხომალდი, მწყობრიდან გამოიყვანა ორი ტრანსპორტი. იმავე წლის 16 მაისს იაროსლავ იოსელიანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ომის პირველი დღეებიდანვე ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება ოთხი ძმა ლესელიძე. ჩრდილოეთში იბრძოდა საბჭოთა კავშირის გმირი,

პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ლესელიძე, კადრის ოფიცერი, არტილერისტი, ფინეთის ჯარებთან ბრძოლებისას მეთაურობდა ნაღმმტყორცნელთა ჯგუფს. მან მსროლელ ნაწილებთან ერთად გადალახა მდინარე ვიდლიცა და 1944 წლის 29 ივნისს მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში მამაცურად დაიღუპა. ფრონტზე მოხალისედ წავიდა ვალერიან ლესელიძე, რომელმაც 1941 წლის დამდეგს მონაწილეობა მიიღო ქერჩი-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაციაში, სადაც დაიჭრა. განკურნების შემდეგ უფროსი სერჟანტი და ნაღმმტყორცნელთა ჯგუფის მეთაური კვლავ იბრძოდა ყირიმში, სადაც 1942 წლის დამდეგს დაიღუპა.

1943 წლის მარტის დამლევს გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ლესელიძე მე-18 სადესანტო არმიის სარდალი გახდა. მე-18 არმია ნოვოროსიისკ-ტამანის შეტევით ოპერაციას ფლოტთან ერთად ახორციელებდა. 1943 წლის 10 სექტემბერს ნოვოროსიისკის ნავსადგურში დესანტი შეიჭრა, იმავე დროს, შეტევაზე გადავიდა „მცირე მიწაზე" დისლოცირებული ჯარის ნაწილი, ხოლო აღმოსავლეთიდან ქალაქს მე-18 არმიის ძირითადმა ძალებმა შეუტიეს. მალე მათ ფლოტის მეზღვაურებთან ერთად გადამწყვეტი პოზიციების დაუფლება შეძლეს. კავკასიისთვის ბრძოლების დროს რთული საბრძოლო ოპერაციების განხორციელებისთვის, უნარიანი მეთაურობისა და მამაცობისთვის, გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ლესელიძე დაჯილდოვდა სუვოროვისა და კუტუზოვის 1 ხარისხის ორდენებით, ხოლო 1943 წლის 9 ოქტომბერს მას გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიენიჭა. იგი 1944 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა. მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსის, შემდგომ სკკპ ცკ გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევის ინიციატივით, 1971 წლის 13 მაისს (სიკვდილის შემდეგ) კონსტანტინე ლესელიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ოთხი ძმიდან შინ მხოლოდ უფროსი ძმა, პოდპოლკოვნიკი დ. ლესელიძე დაბრუნდა.

ქართველი მეომრები სტალინგრადის ბრძოლებში მონაწილეობდნენ. გვარდიულ დივიზიას, შემდეგ კი გვარდიულ კორპუსს სარდლობდა გენერალ-მაიორი (შემდგომ გენერალ-პოლკოვნიკი) პორფილე ჩანჩიბაძე. საჰაერო არმიის სარდლის მოადგილე იყო გენერალ-მაიორი ვლადიმერ ნანეიშვილი. ბრძოლებში თავი გამოიჩინეს სხვადასხვა სახეობის ჯარების შენაერთებისა და ნაწილების მეთაურებმა: გ. გოცირიძემ, გ. ჯახუამ, ი. ჯორჯაძემ, ნ. კალაძემ, მ. დიასამიძემ, ნ. თავართქილაძემ, გ. კუხალაშვილმა, ხ. ხარაზიამ, შ. ჭანკოტაძემ, გ. ჩიტაიშვილმა, ლ. ერისთავმა და სხვებმა. განსაკუთრებით გამორჩეულ ნაწილებს და შენაერთებს, კერძოდ, გ. ჯახუას და ნ. თავართქილაძის მსროლელ დივიზიებს მიენიჭათ გვარდიულის წო-

დება. გმირულად იბრძოდა მსროლელი პოლკი პოლკოვნიკ მ.დიასამიძის მეთაურობით, რისთვისაც მ.დიასამიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ქვეყნის მრავალი ხალხის შვილები იცავდნენ სტალინგრადში არსებულ, სახელგანთქმულ „პავლოვის სახლს", მათ შორის ქართველები — მოსიაშვილი, სტეფანიშვილი და აფხაზი ცუგბა.

სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე იყო შემდგომში ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი დავით გვრიტიშვილი.

სტალინგრადის ბრძოლებში სიმამაცის და გამბედაობის მაგალითებს უჩვენებდნენ ქართველი მფრინავები: ნ.აბრამიშვილი, ჭიჭიკო ბენდელიანი, ბ. ზუმბულიძე, დ. თავაძე, გ. თვაური, ზ. ხიტალიშვილი და სხვ. მათ არც ქართველი მფრინავი, გვარდიელი ქალები თ. მელაშვილი, გ. ტურაბელიძე და ი. ოსაძე ჩამოუვარდებოდნენ.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში 1942 წლის 15 აპრილისთვის საქართველოს 500 ათასამდე წარგზავნილი იყო. მხოლოდ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შემადგენლობაში, კავკასიის დაცვის დროს, 200 ათასზე მეტი ქართველი იბრძოდა ქართული ეროვნული დივიზიების შემადგენლობასა და სხვა საჯარისო ნაწილებში.

მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ უდიდეს სატანკო ბრძოლაში ორიოლ-კურსკის რკალზე სხვადასხვა საჯარისო შენაერთს უნარიანად მეთაურობდნენ ქართველი გენერლები და ოფიცრები: კ. ჯახუა, მ. ყაზაიშვილი, ნ. კალაძე, ი. ლაითაძე, მ. მიქელაძე და სხვები. კურსკის რკალზე თავდაცვის ბრძოლებში განსაკუთრებული შეუპოვრობა და სიმტკიცე გამოიჩინა საბჭოთა კავშირის გმირის, შემდგომ გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ჯანჯღავას მე-15 მსროლელმა დივიზიამ. 81-ე დივიზიასთან ერთად, ქვეითი დივიზიისა და 250 ტანკის (100 თვითმფრინავის დახმარებით) მხოლოდ მეხუთე შეტევის შემდეგ შეძლეს ჰიტლერელებმა 6-8 კილომეტრზე სოლივით შეჭრილიყვნენ საბჭოთა თავდაცვის ვიწრო უბანზე. ვლადიმერ ჯანჯღავას შენაერთმა, ერთ-ერთმა პირველმა გადალახა მდინარე დნეპრი და სხვა დაბრკოლებები ბელორუსიის ტერიტორიაზე.

კურსკის რკალზე ჩადენილი გმირობისთვის, გვარდიის მაიორ ჭიჭიკო ბენდელიანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. გამანადგურებელი ჯგუფი მისი მეთაურობით, მუსრს ავლებდა ფაშისტებს პოლონეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ქალაქ კოველის დასავლეთით გამართულ ცხარე ბრძოლაში დაიღუპა. ამ ბრძოლებში მონაწილეობდა მე-7 გვარდიული საჰაერო-სადესანტო დივიზია გენერალ-მაიორ მ. მიქელაძის მეთაურობით.

ბელორუსიის გათავისუფლებისთვის წარმოებულ მძიმე ბრძოლებში თა-

ვი გამოიჩინა უმცროსმა სერჟანტმა შოთა გამცემლიძემ, რომელიც გადამწყვეტ მომენტში ხელყუმბარების შეკვრით შეიარაღებული, ქვეშ შეუვლიდა მეწინავე ტანკს და საკუთარი სიცოცხლის ფასად ჩაშალა მტრის შეძოტევა. საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა შ. ჟიჟილაშვილმა ბრიანსკის ფრონტზე თავისი სამშენებლო ბატალიონით, ცეცხლის ქვეშ მოქცეულმა, უმოკლეს დროში აღადგინა რკინიგზის ლიანდაგი და ხიდები, რისთვისაც 1943 წლის 15 ნოემბერს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ბევრი ქართველი მებრძოლი და მეთაური მონაწილეობდა ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის გათავისუფლებაში.

ქვეყნის სხვა რაიონებთან შედარებით, ყველაზე მეტი ქართველი უკრაინასა და მოლდავეთში იბრძოდა. უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებში, რომლებიც უშუალოდ კიევის გათავისუფლებაში მონაწილეობდნენ, 1944 წლის 1-ლი იანვრისთვის 1110 ქართველი მებრძოლი და მეთაური ირიცხებოდა. ამ ბრძოლების მონაწილეთა შორის, 42 საქართველოდან წარგზავნილ მეომარს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

კიევის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა საინჟინრო ბატალიონმა კაპიტან ირაკლი ციციშვილის მეთაურობით. ბატალიონს მდინარე დნეპრზე ხიდის აგება დაევალა. მტრის გააფთრებული იერიშებისა და გამალებული დაბომბვის პირობებში, ირაკლი ციციშვილის ხელმძღვანელობით, ოთხი დღე-ღამის განმავლობაში აიგო 550 მეტრი სიგრძის ხიდი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ჯარების შეტევითი ოპერაციების განვითარებისთვის. ამ საინჟინრო ბატალიონმა ასევე ოთხ დღე-ღამეში ააგო 720 მეტრი სიგრძის მეორე ხიდი მდინარე დნეპრზე. სარდლობის დავალებების წარმატებით შესრულებისთვის ირაკლი ციციშვილს, შემდგომში არქიტექტურის პროფესორს, 1943 წლის 29 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გათავისუფლებისათვის ბრძოლებში მონაწილეობდნენ 242-ე სამთო-მსროლელი, 276-ე და 351-ე ქართული ეროვნული დივიზიები, რომელთა პირადი შემადგენლობა მნიშვნელოვანწილად შეცვლილი იყო ახალ შევსებათა გამო. პოლონეთის მიწაზე განსაკუთრებით ისახელა თავი ქ. პოზნანის გათავისუფლებისას 117-ე წითელდროშოვანმა მსროლელმა დივიზიამ გენერალ-მაიორ ე.კობერიძის მეთაურობით, რისთვისაც მას „პოზნანის“ საპატიო სახელი მიენიჭა, ხოლო ე.კობერიძემ ორგზის დაიმსახურა პოლონეთის მთავრობის ჯილდო.

ვარშავისთვის ბრძოლებში გმირობით გამოიჩინა თავი გვარდიულმა საარტილერიო პოლკმა პოლკოვნიკ (შემდეგ არტილერიის გენერალ-მაიო-

რი) ირაკლი ჯორჯაძის მეთაურობით. ამ საჯარისო ნაწილმა თავი ისახელა აგრეთვე გერმანიის ტერიტორიაზე, ბერლინის ოპერაციაში.

ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის და უნგრეთის გათავისუფლებაში მონაწილეობდა ორგზის წითელი დროშის მფლობელი ცხენოსანთა მე-9 გვარდიული დივიზია პოლკოვნიკ გ. გაგუას მეთაურობით. 1945 წლის აპრილში ბრატისლავის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში ვ. გაგუა დაიღუპა და ქალაქ ბრატისლავის დიდების გორაზე დაკრძალეს.

ავსტრიის ტერიტორიაზე, ვენის გათავისუფლებისთვის მიმდინარე ბრძოლაში დაასრულა თავისი საბრძოლო გზა, 69-ე გვარდიულმა მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ კ.ჯახუას მეთაურობით, რომელიც იბრძოდა რუმინეთსა და უნგრეთში, ბალატონის ტბასთან და ბუდაპეშტის გათავისუფლებისთვის.

მრავალი ათასი ქართველი მეომარი მონაწილეობდა ბერლინის ისტორიულ შეტევით ოპერაციაში, რომელიც განახორციელეს ბელორუსიის პირველმა და მეორე, უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა. ამ ოპერაციის მონაწილეები იყვნენ 91-ე მსროლელი კორპუსის მეთაურის მოადგილე, გენერალ-მაიორი ი. რაზმაძე, მსროლელი დივიზიების მეთაურები, საბჭოთა კავშირის გმირები ვ. ჯანჯღავა და ე. კობერიძე, აგრეთვე 234-ე მოიერიშე საავიაციო დივიზიის მეთაური, ავიაციის გენერალ-მაიორი ე.ტატანაშვილი, 47-ე არმიის სპეციალური დანიშნულების ჯარების უფროსი, პოლკოვნიკი უ. თავაძე, 75-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის არტილერიის მეთაური პოლკოვნიკი ა.დალაქიშვილი, გვარდიული თვითმავალი საარტილერიო პოლკის მეთაური, გვარდიის მაიორი ა.ბარკალაია და სხვ.

ბერლინში, ჰიტლერელთა დიდი დაჯგუფების განადგურებასა და გერმანიის დედაქალაქის აღებაში მონაწილე გმირობით გამორჩეულ მეომართა შორის, რომელთაც ომის დამამთავრებელ ეტაპზე მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, იყვნენ: მსროლელი ასეულის მეთაური, კაპიტანი ი.დემეტრაშვილი და უფროსი ლეიტენანტი ე.ტულუში; საავიაციო ესკადრილიის მეთაურები კაპიტანი ო.ჩეჩელაშვილი და გვარდიის უფროსი ლეიტენანტი შ. შურღაია, სნაიპერი ზემდეგი ვ.კვაჭანტირაძე, ცალკე მესანგრეთა ესკადრილიის მეთაური კ. უკლება; საარტილერიო ბლოკის მეთაურის მოადგილე მაიორი კ.წულუკიძე და სხვ. 150-ე მსროლელი დივიზიის 756-ე პოლკის მზვერავმა, მელიტონ ქანთარიამ 1945 წლის 1-ლ მაისს თავის თანაპოლკელ, მზვერავ მ. ეგოროვთან ერთად აღმართა რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი 1945 წლის 9 მაისს, ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციით დამთავრდა. მეორე მსოფლიო ომი

გრძელდებოდა. იაპონიამ 1941 წლის 13 აპრილს დადო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან ნეიტრალიტეტის შესახებ, მაგრამ იგი მას, ფაქტობრივად, არ ასრულებდა. საბჭოთა კავშირის მთავრობამ, მოკავშირეთა წინაშე ნაკისრი ვალდებულებების გამო, ხელშეკრულების დენონსირება მოახდინა. გერმანიის დამარცხების მიუხედავად, იაპონიამ კატეგორიულად უარყო აშშ-ს, ინგლისისა და ჩინეთის წინადადება უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ და ომის გაგრძელება გადაწყვიტა. საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებიც სამოკავშირეო ვალდებულებას ასრულებდნენ, 1945 წლის 2 აგვისტოს, გერმანიაზე გამარჯვების სამი თვის თავზე იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაებნენ.

იაპონიის წინააღმდეგ მოქმედ საბჭოთა ჯარებში მრავლად იყვნენ ჯარისკაცები და ოფიცრები საქართველოდან, მათგან, დაახლოებით 7-8 ათასი ქართველი. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის ორდენებით და მედლებით დაჯილდოვდა 361 ქართველი მებრძოლი, მათ შორის 154 ოფიცერი და საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების 106 ჯარისკაცი და მეთაური.

ამ ბრძოლების მონაწილეთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის გმირი, პოლკოვნიკი მ. დიასამიძე, გენერალ-მაიორები ვ. ზარელუა, პ. შიოშვილი და ლ. გოლიაძე, კონტრ-ადმირალი ს. კაპანაძე, პოლკოვნიკი ა. ბაჯელიძე, 1 რანგის კაპიტანი გ. სტურუა; ცალკე სამთო-მსროლელი პოლკი, პოლკოვნიკ გ. კუჭავას მეთაურობით, 264-ე მსროლელი დივიზიის 1060-ე პოლკი, 265-ე მსროლელი დივიზიის პოლკი პოლკოვნიკ მ. ჩუბინიძის მეთაურობით, გვარდიული თვითმავალი საარტილერიო (სატანკო) პოლკის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი ა.ბუკია; კაპიტანი ა. აღლაძე, გვარდიის მაიორი მ. ბაშალეიშვილი, მეორე მსოფლიო ომში მოხალისედ წასული თ. ლობჟანიძე, გვარდიის სერჟანტი ე. ესებუა, მფრინავები, მე-10 საავიაციო არმიის მთავარი შტურმანი, მედიცინისა და ვეტერინარული სამსახურის მუშაკები, მედიცინის სამსახურის გვარდიის მაიორი, საველე-საევაკუაციო ჰოსპიტლის ქირურგი თინა დონჟაშვილი (მწერალი), პოლიტხელი გრ. ბრეგაძე, ს. წერეთელი, ი. ასათიანი (შემდეგ მეცნიერების დოქტორები) და სხვ.

საბჭოთა ჯარებმა 23 დღის განმავლობაში გაანადგურეს იაპონიის სახმელეთო ჯარების კვანტუნის არმიის მთავარი ძალები და გაათავისუფლეს ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინციები, ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ სახალინი და კურილის კუნძულები. 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ თავი დამარცხებულად ცნო და ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს. ამით ლიკვიდირებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი კერა.

გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა კავშირის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა პარტიზანულმა მოძრაობამ, რომელიც ფაშისტი ოკუპანტების მიერ ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე გაიშალა.

რუს, უკრაინელ, ბელორუს და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ იბრძოდნენ ქართველი პარტიზანებიც. უკრაინაში, სახელგანთქმული ს.კოვპაკის პარტიზანული დივიზიის პირველ პოლკს მეთაურობდა დავით ბაქრაძე, რომელსაც გამოჩენილი საბრძოლო მამაცობისა და უკრაინის პარტიზანულ მოძრაობაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

პარტიზანულ შენაერთში, საბჭოთა კავშირის გმირის, ა. ოდუხას მეთაურობით, 74 პარტიზანი საქართველოდან იყო.

უკრაინის მიწაზე საბჭოთა კავშირის გმირის, პოლკოვნიკ პროკოპიუკის პარტიზანულ ბრიგადაში თავი გამოიჩინა ქართველ პარტიზანთა 25-კაციანმა ჯგუფმა ტ. აგლაძის მეთაურობით.

უკრაინისთვის ბრძოლაში დაიღუპა პარტიზანული რაზმის მეთაური გ. ტალახაძე. მრავალეროვნულ პარტიზანულ შენაერთებში, ყირიმში, ასობით ქართველი პარტიზანი იბრძოდა. აწყობდნენ თავდასხმებს რკინიგზის სადგურებზე, აფეთქებდნენ ხიდებს და ა.შ. ამ ოპერაციებში ყველაზე აქტიურად მონაწილეობდა პარტიზანული რაზმი მაიორ პ. გვალიას მეთაურობით. იგი გმირულად დაიღუპა ამ ბრძოლაში. მეთაურის გმირული სიკვდილის აღსანიშნავად, მისი სახელი მიენიჭა მეორე პარტიზანულ რაზმს.

საკმაოდ ცნობილია ყირიმის პარტიზან-იატაკქვეშელ ზოია რუხაძის სახელი, რომელიც გერმანელმა ფაშისტებმა 1944 წლის მარტში მხეცურად აწამეს.

ბელორუსიაში მებრძოლ პარტიზანთა სიაში, რომელიც დაცულია საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მინსკის მუზეუმში, შეტანილია ქართველი გამომგონებელ-კონსტრუქტორის, თენგიზ შავგულიძის სახელი. იგი გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ არაერთ ბრძოლასა და დივერსიულ ოპერაციაში მონაწილეობდა, ამასთან, თენგიზ შავგულიძემ შექმნა სპეციალური მოწყობილობები — სოლები და ზესადებები ორთქლმავლების ლიანდაგიდან გადასაგდებად. ამ მოწყობილობას იყენებდნენ მინსკის შენაერთების პარტიზანული რაზმები მოწინააღმდეგის კომუნიკაციებზე დივერსიული აქტების ჩასატარებლად. თენგიზ შავგულიძემ, ამას გარდა, ორიგინალური კონსტრუქციის სამი ტიპის ხელყუმბარა შექმნა.

პარტიზანულ ბრიგადას, რომელსაც ი. შუბითიძე მეთაურობდა, 1943 წელს კოსტიუშკოს სახელობის რაზმი შეუერთდა, რომელიც ანტიფაშისტი

პოლონელი პატრიოტებისგან შედგებოდა. ეს რაზმი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ქვეგანაყოფი, შემდგომ საბჭოთა კავშირში შექმნილი პოლონეთის არმიის ბირთვი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიზანული ომი მტრის ზურგში, რომელიც ქვეყნის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე გაჩაღდა, დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორი იყო და დიდად დაეხმარა საბჭოთა არმიას ფაშიზმზე ისტორიულ გამარჯვებაში.

გერმანიის მიერ ევროპის ქვეყნების ოკუპაციასთან ერთად, ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობა დაიწყო, რომელსაც პირველ ეტაპზე არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. ევროპის ტერიტორიაზე, ანტიფაშისტურ მოძრაობაში, ადგილობრივ ეროვნულ ძალებთან მხარდამხარ იბრძოდა 40 ათასამდე ადამიანი საბჭოთა კავშირიდან. ესენი იყვნენ სამხედრო ტყვეთა ბანაკებიდან გამოქცეული მებრძოლები ან გერმანიაში იძულებით გაყვანილები სამუშაოდ.

1942 წლის მარტში, საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეულმა 41-მა ქართველმა სამხედრო ტყვემ ოფიცერ ვ. მანჯავიძის („ვასია გრუზინის") ხელმძღვანელობით პოლონეთში ერთ-ერთი პირველი პარტიზანული რაზმი შექმნა, რომელიც კოტოვსკის სახელობის ბრიგადის შემადგენლობაში შედიოდა და მოქმედებდა დუბლინსკის საოლქოდოში, ატარებდა დივერსიულ ოპერაციებს. 1945 წელს, პოლონეთის გათავისუფლებაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისთვის ვ. მანჯავიძე დაჯილდოვდა პოლონეთის უმაღლესი ჯილდოთი — ოქროს ჯვრით („პირტუტი მილიტარის"). ამ რეიდში, ს. კოვპაკის დივიზიის ერთ-ერთ პოლკს მეთაურობდა დავით ბაქრაძე.

ბელორუსიის შემდეგ, პოლონეთში მოქმედებდა პარტიზანული ბრიგადა ი.შუბითიძის მეთაურობით, რომელსაც საბჭოთა პარტიზანული რაზმები შეუერთდნენ. შუბითიძის დამსახურება აღინიშნა ორდენით — „გრიუნვალდის ჯვარი".

ომის ძნელმა გზამ ქართველი სამხედრო ტყვეები იუგოსლავიაში მიიყვანა, სადაც ანტიფაშისტური მოძრაობა 1941 წელს დაიწყო. ამ დროიდან, ქართველი ემიგრანტი, ი. ოდიშელიძე იყო ერთ-ერთი ანტიფაშისტური ჯგუფის შემქმნელი ბელგრადში, რომელიც შემდეგ „პატრიოტთა კავშირში" გაერთიანდა. ანტიფაშისტური მოძრაობა გაფართოვდა 1942 წელს, როდესაც იუგოსლავიაში გადაისროლეს სამხედრო ტყვეების, მათ შორის ქართველთა ჯგუფი, და რომლებიც ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ შეუერთდნენ პარტიზანებს. ხორვატიის ქალაქ ბოხაჩში 1942 წლის სექტემბერში, ტყვეთა ბანაკიდან გაიქცა 80 ქართველი, რომლებიც პარტიზანებს შეუ-

ერთდნენ და იუგოსლავიის განმათავისუფლებელი არმიის მე-5 კორპუსის განკარგულებაში გაიგზავნენ. ბანაკში დარჩენილი ა.ჭილაშვილი, ბ.ფეფუ-მიძე, ო.ომანიძე და ა.ივანიძე ფაშისტებმა დახვრიტეს.

1944 წლის განმავლობაში საბჭოთა თვითმფრინავებმა, არასრული მონაცემებით, შეასრულეს 2 ათასამდე გაფრენა, იუგოსლავიის სახალხო განმათავისუფლებელი ნაწილებისთვის სხვადასხვა სამხედრო მასალების მიწოდების, დაჭრილი იუგოსლავიელი მეომრების ევაკუაციის მიზნით. 57 მფრინავი დაჯილდოეს ორდენებით, ხოლო ა. შორნიკოვს და ალ. მანგაძეს მიენიჭათ იუგოსლავიის სახალხო გმირის წოდება.

ქართველი პარტიზანები იბრძოდნენ აგრეთვე მაკედონიის მე-2 ბრიგადის რუსული ბატალიონის შემადგენლობაში. 1942 წლის 5 სექტემბერს გერმანელთა ტყვეობაში ჩავარდნილი კონცელიძე ტყვეთა ბანაკიდან გაიქცა და ალბანეთის პარტიზანებთან 1943 წლის აგვისტოში მივიდა. იგი მონაწილეობდა ალბანეთის ნაციონალ-განმათავისუფლებელი არმიის მე-4 ბრიგადის ოპერაციებში.

ფართო გაქანება მიიღო წინააღმდეგობის მოძრაობამ საფრანგეთში. ქართველ პარტიზანთა პირველი ჯგუფები საფრანგეთში 1943 წელს შეიქმნა. საფრანგეთის ანტიფაშისტური მოძრაობის შენაერთებთან ერთად, ისინი მონაწილეობდნენ სისხლისმღვრელ ბრძოლებში ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამხრეთ საფრანგეთის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გათავისუფლებაში.

1944 წლის 22 აპრილს გერმანელთა ბანაკიდან საფრანგეთის ქალაქ პერიგეში, 75 სამხედრო ტყვის გაქცევა მოახერხეს გაბედულმა იატაკქვეშელებმა გვენეტაძემ, ხეთაგურმა, სიმონიამ, თოდაძემ, ძმებმა რამაზაშვილებმა და სხვ. მათგან ჩამოყალიბდა პარტიზანული რაზმი. განსაკუთრებით შეუპოვრად იბრძოდნენ რაზმის წევრები ქალაქ მონტინიაკის იერიშისა და სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის დიდმნიშვნელოვანი ნავსადგურისა და ციხესიმაგრის — ლა-როშელის აღების ოპერაციაში.

1944 წლის 4 აგვისტოს ქართველ სამხედრო ტყვეთა ჯგუფი ქალაქ კარმოს მახლობლად არსებული ბანაკიდან გაიქცა, ფრანგ პატრიოტებს შეუერთდა და მათთან ერთად მიაშურა ჟუკევილის ტყეს. იქ შეიქმნა პარტიზანთა რაზმი დინგაშვილის მეთაურობით, რომელიც ფრანგი პარტიზანების შენაერთში შევიდა.

6 აგვისტოს გერმანელებმა ალყა შემოარტყეს ჟუკევილის ტყეში მყოფ ქართველ პარტიზანთა რაზმს, მაგრამ პარტიზანებმა გაარღვიეს ალყა, თან წაიღეს მთელი საჭურველი, საბრძოლო მასალა და ახალ ადგილზე გადაინაცვლეს. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა რაზმის

მეთაურმა დინგაშვილმა, აგრეთვე ამ რაზმის მეტყვიამფრქვევეებმა ტაბაღუამ, ხატიაშვილმა, ხუჭუამ. ისინი განუწყვეტლივ უშენდნენ ჯვრიდან ცეცხლს იერიშზე გადმოსულ ფაშისტებს. დამსჯელებმა ხელთ იგდეს ძმიმედ დაჭრილი მეტყვიამფრქვევეები, ჩაყარეს სარდაფში, მიასხეს ბენზინი და ცოცხლად დაწვეს. მამაცი მეომრების ოთხეული სიკვდილის შემდეგ დააჯილდოეს საფრანგეთის რესპუბლიკის „სამხედრო ჯვრით და ვერცხლის ვარსკვლავით“.

ქართველი პარტიზანები მონაწილეობდნენ 1944 წლის აგვისტოს პარიზელთა ანტიფაშისტურ აჯანყებაში.

1944 წლის შემოდგომაზე ტარნის, ზემო გარონისა და სხვა დეპარტამენტებში მოქმედი შერეული ფრანგულ-ქართული პარტიზანული რაზმებისგან სამხრეთ საფრანგეთის პირველი პოლკი შეიქმნა, რომელსაც ო. იშხნელი მეთაურობდა, შტაბს კი ა. მახარაძე. პოლკში 2700-ზე მეტი პარტიზანი შედიოდა. 200-ზე მეტი ქართველი პარტიზანი გაერთიანდა ქალაქ ნიმში განლაგებულ სხვა საბჭოთა პოლკში.

ტარნის და მეზობელი რაიონების გათავისუფლებისთვის ბრძოლაში გამოცენილი მამაცობისთვის ნ. ლომთაძე საფრანგეთის სამხედრო ჯვრითა და ბრინჯაოს ვარსკვლავით დაჯილდოვდა.

ქალაქ ბრივთან ბრძოლაში ტრაგიკულად დაიღუპა დ.ვერულაშვილი, რომელიც ფაშისტებმა აწამეს. მისი ნეშტი თანაპოლკელებმა ქალაქ ტიურლის ახლოს, სოფელ სან-სალვადორში დაკრძალეს, სადაც საძმო საფლავზე განისვენებენ გერმანელთა მიერ დახვრეტილი შ.მებაღიშვილი, მ.კულუმბეგაშვილი, ი.მელიქიშვილი და სხვ.

საფრანგეთის გათავისუფლების შემდეგ ქართველი პარტიზანები ერთხანს იქვე დარჩნენ, ხოლო 1945 წლის იანვარ-სექტემბერში რეპატრირებული იქნენ სამშობლოში.

ქართველი სამხედრო ტყვეები პირველად 1943 წლის შემოდგომაზე აღმოჩნდნენ ჩრდილოეთ იტალიაში, როდესაც ისინი გერმანიის არმიის ზურგში მიმდინარე სამუშაოებისთვის გადმოისროლეს. მათი რიცხვი 1944 წლიდან გაიზარდა, გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე გერმანელთა დამარცხების შემდეგ, როცა ჰიტლერელებმა ტყვეთა რამდენიმე ბანაკის ევაკუაცია მოახდინეს. იტალიელი პარტიზანები პირველ ხანებში ქართველ ტყვეებს არ ენდობოდნენ. ამის მიუხედავად, ქართველებმა იტალიელ ანტიფაშისტებთან დაახლოება მაინც მოახერხეს. როგორც მაურო გალენი წერს: „ქართველთა უმრავლესობა ბრძოლების ზონაში სრული შეიარაღებით მოსვლის უმალვე გაერთიანდნენ პარტიზანებთან. 1944 წლის 19 ივლისს და 5 აგვისტოს მე-6 გვარდიელთა ბრიგადას „ნელო ოლივიერას“

შეუერთდა 85 ქართველი; 118-ე ბატალიონ „პეპინოს“ 8 სექტემბერს — 37 ქართველი. იმავე ბრიგადის ბატალიონ „რედის“ 9 სექტემბერს მეორეჯერ კიდევ 85 ქართველი. ასე რომ, 207 ქართველი მებრძოლი შეუერთდა იტალიელ პარტიზანებს“.

იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის გამოჩენილი მეთაურების, პიედრო სეკიას და ჩინო მოსკატელის წიგნში — „მონტეროზა მილანში ჩავიდა“, იტალიის პარტიზანთა რაზმებთან შეერთებული ქართველი მეომრების გმირობის მრავალი მაგალითია აღწერილი.

იტალიის სხვადასხვა პუნქტსა და რაიონში ხუთი ქართული პარტიზანული რაზმი მოქმედებდა, რომლებშიც ასობით პარტიზანი იყო გაერთიანებული, მათ მეთაურობდნენ: ნ. კუბლაშვილი, ვ. ურუშაძე, ი. სიგუა, ვ. ლეკვეიშვილი, ა. ფარცხალაძე, ვ. გაბისონია, ნ. ესართია, ნ. ჩხაიძე და სხვები.

გარიბალდის 42-ე ბრიგადის შემადგენლობაში იყო 50 პარტიზანი, მათგან — 25 ქართველი ვ. გაბისონიას მეთაურობით. მათი წვლილი გადამწყვეტი აღმოჩნდა ბალმეფალდთან ბრძოლის მსვლელობისას. გაბისონიას არაერთხელ უსახელებია თავი. სიგელში, რომლითაც იგი დაჯილდოვდა, ნათქვამია: „გარიბალდის ვარსკვლავი“ მამაცობისათვის გადაეცა ვალოდია გაბისონიას, საბჭოთა რაზმის მეთაურს, მამაცობისათვის ჩვენი და თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის“.

ქართველი პარტიზანები აქტიურად მონაწილეობდნენ ეგრეთ წოდებულ „სალიანდაგო ომში“. 1945 წლის იანვარში მათ იტალიელ პარტიზანებთან ერთად ააფეთქეს ბოლონია-მილანის სამხედრო გზაზე არსებული დიდი ხიდი.

1944 წლის 3 დეკემბერს, „ლაგო მაჯორეს“ ტბის რაიონში, გერმანელებმა ალყაში მოაქციეს გარიბალდელთა „სერვადეის“ ბრიგადის რაზმი. გარიბალდელები თავგანწირულად იბრძოდნენ, მაგრამ დიდი ზარალის ფასად. პარტიზანების მცირე ნაწილმა — 16-მა იტალიელმა და 7-მა ქართველმა მოახერხა გამაგრებულიყო მახლობლად მდგარ ქოხში, რომელსაც მტერმა ცეცხლი დაუშინა. მძიმედ დაჭრილთა შორის იყო ბატალიონის მეთაური — ედო დელგრატა. პარტიზანებს ვაზნები ელეოდათ. გერმანელებმა წინადადება მისცეს გაეცათ მეთაური, რის საფასურადაც დანარჩენებს სიცოცხლის შენარჩუნება აღუთქვეს. მაშინ დაჭრილმა ქართველმა პარტიზანმა, საბჭოთა არმიის ყოფილმა სერჟანტმა ფორე მოსულიშვილმა, რომელიც უმაგალითო მამაცობით გამოირჩეოდა, დაასწრო მეთაურს, გააღო ქოხის კარი, წელში გასწორდა და ომახიანად შეჰყვირა: „მეთაური მე ვარ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს თავისუფალ იტალიას“!

და შუბლში იკრა ტყვია. საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა მან მებრძოლი იტალიელი მეგობრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1970 წლის 28 თებერვალს იტალიის პრეზიდენტის დეკრეტით, ფორე მოსულიშვილს მიენიჭა „იტალიის სახალხო გმირის“ წოდება. 1971 წლის მარტში, მოსკოვში, იტალიის ელჩმა გმირის ოქროს მედალი — „მხედრული მამაცობისათვის“ ფორე მოსულიშვილის ძმებს გადასცა. ფორე მოსულიშვილი 1972 წელს სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო 1990 წლის მაისში საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა (სიკვდილის შემდეგ). იგი დაკრძალეს ადგილობრივ სასაფლაოზე, შემდეგ გადაასვენეს როვენაში.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გარიბალდელთა მე-2 დივიზიონის, 1944 წლის 11 აგვისტოს დაღუპულ 75 ქართველი პარტიზანის სიის საარქივო დოკუმენტის პუბლიკაცია, რომელსაც ხელს აწერს მისი მეთაური, რონალდო.

იტალიის პარტიზანული მოძრაობის ისტორიაში ცნობილია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის, გიორგი ვარაზაშვილის სახელი, რომელსაც იტალიელები „კაპიტან მონტის“ ეძახდნენ. იგი 1971 წლის იანვარში (სიკვდილის შემდეგ) დაჯილდოვდა ბრინჯაოს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ — იტალიის რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოთი. მის საფლავზე გაკეთებულია წარწერა: „გამვლელო, შეჩერდი! აქ განისვენებს პატრიოტი, რომელმაც დაღვარა სისხლი შენი გათავისუფლებისათვის. მან გაჩუქა შენ თავისუფალი იტალია. „კაპიტანი მონტი“ — ვარაზაშვილი“.

მეორე მსოფლიო ომის მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ბატალიონის აჯანყება გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ კუნძულ ტექსელზე. ეს ბატალიონი (გ. გაბლიანი მას 822-ე ბატალიონად მიიჩნევს) ქართველ ემიგრანტთა, კერძოდ, შალვა მაღლაკელიძის ძალისხმევით ჩამოყალიბდა 1943 წლის გაზაფხულზე პოლონეთის ქალაქ კრუშინოში. მის შემადგენლობაში იყო 800 ქართველი და 400 გერმანელი. ბატალიონი დაუკავშირდა პოლონელ ანტიფაშისტებს, ეწეოდა იატაკქვეშა მუშაობას. ამის გამო გერმანელებმა ბატალიონი ესპანეთის საზღვართან მდებარე პატარა ფრანგულ ქალაქში გადაიყვანეს, შემდეგ კი, კონტინენტიდან ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე, ქალაქ ზანდფოორტში გადაისროლეს. აქ ქართულმა ბატალიონმა კავშირი დაამყარა ჰოლანდიელ ანტიფაშისტებთან. ბატალიონის უფროსად კონსპირაციულად დაინიშნა მფრინავი კაპიტანი შ. ლოლაძე, მის მოადგილედ ნ. გონგლაძე, კომისრად ს. გუჯაბიძე. მათ არალეგალური მუშაობა გააჩაღეს. უშვებდნენ ხელნაწერ გაზეთ „ელვას“.

1945 წლის მარტის დამლევს ჰიტლერელებმა დააპირეს, ქართული ბატალიონის მებრძოლთა უმეტესობა ისევ კონტინენტზე, ჰოლანდიაში გადაეყვანათ და ფრონტზე, ინგლის-ამერიკის ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად გაეგზავნათ. იმ პირობებში, როცა საბჭოთა არმია გერმანიის დედაქალაქისკენ მიიწევდა, ბატალიონის არალეგარულმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, 6 აპრილს აჯანყება დაეწყო. დათქმულ დროს აჯანყებული ქართველი მებრძოლები თავს დაესხნენ გერმანულ გარნიზონს და ცივი იარაღით თითქმის მთლიანად ამოჟლიტეს. ხელთ იგდეს კუნძულის სიმაგრეები, ბატალიონის შტაბის შენობაზე აღმართეს საბჭოთა კავშირის და ჰოლანდიის ალმები. 9 აპრილამდე კუნძულზე მხოლოდ კანტი-კუნტად ხდებოდა შეტაკებები ცალკეულ გერმანელ ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა — აჯანყებულებს კონტინენტიდან ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს და სცადეს საზღვაო დესანტის გადასხმა.

9 აპრილს, ღამით, მოტორიანი ნავით ლონდონში გაიგზავნა აჯანყებულთა დელეგაცია — ა.მაჩაიძე, ს.ქარქაშაძე, გ.რეხვიაშვილი, დ.გავაშელი, რათა ინგლისის მთავრობისთვის გაეცნოთ კუნძულზე შექმნილი მდგომარეობა და დახმარება მიეღოთ, როგორც საბჭოთა კავშირის მოკავშირისგან. მაგრამ თხოვნა ამაო აღმოჩნდა, ინგლისის მთავრობამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ქართველ მეომართა წარმომადგენლების თხოვნას და ისინი ლტოლვილთა სატრანზიტო ბანაკში გაგზავნა. ამ დროს, აჯანყებულთა რაოდენობა თანდათან მცირდებოდა. მამაცურად დაეცნენ ბატალიონის მეთაური და კომისარი. მეთაური მოადგილემ შეცვალა. გადარჩენილებმა თავი ტყეს შეაფარეს, მაგრამ მათგანაც ბევრი დაიღუპა. ბრძოლები 21 მაისამდე გრძელდებოდა. ტექსელზე დაიღუპა 530 ქართველი მებრძოლი. საშშობლოში დაბრუნების წინ გადარჩენილმა ქართველებმა ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური დახმარებით მოძებნეს ბრძოლაში დაღუპულები და ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს, დროებითი ძეგლიც დაუდგეს. 1953 წლის 2 მაისს დაღუპულთა საფლავზე დიდებული ძეგლი აღიმართა. ჰოლანდიური გაზეთი 1945 წლის 16 აპრილს წერდა: — ტექსელის ბრძოლებში წარმოიშვა ჰოლანდიელი და ქართველი ამხანაგების მეგობრობა. ეს ერთობლივი ბრძოლა ჰოლანდიის ისტორიაში დარჩება ომის ერთ-ერთ ყველაზე გმირულ ეპიზოდად.

რამდენადაც გერმანელებთან ტყვედ ყოფნას, საბჭოთა სარდლობა საშშობლოს ღალატის კვალიფიკაციას აძლევდა, ტექსელის ქართველთათვის გერმანელთა წინააღმდეგ აჯანყება მოღალატის იარლიყისგან თავის დაღწევის მცდელობად მოჩანს. მაგრამ ეს მცდელობა ამაო იყო, რადგან

ცოცხლად გადარჩენილები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უნდობლობასა და დევნას განიცდიდნენ, მათ დიდი ხნის მანძილზე არ მიიჩნევდნენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ წითელი არმიის ქართველი მებრძოლი, გიორგი კაკუშაძე, 1944 წლის 10 იანვარს, ვაშინგტონში გაცემული მოწმობის ფოტოასლის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დაჯილდოვა ჯვრით — „განსაკუთრებული დამსახურებისათვის, განსაკუთრებული გმირობისათვის", რომელიც მან გამოიჩინა „შეიარაღებულ მოწინააღმდეგესთან საბრძოლო მოქმედებებში".

ჩვენი ისტორიის ბედუკულმართობის გამო, ქართველები მუდამ სხვის მიწაზე და სხვისთვის იბრძოდნენ, მაგრამ იმ დროს ყოველი მებრძოლი თვლიდა, რომ სამშობლოს, მის სახელს ემსახურებოდა. ქართული მხედრული სული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოავლინა აგრეთვე საფრანგეთის არმიის ოფიცერმა დიმიტრი ამილახვარმა. იგი საფრანგეთის უცხოური ლეგიონის შემადგენლობაში მონაწილეობდა ერიტრიის და სხვა სამხედრო კამპანიებში. კენიგის ბრიგადის დიმიტრი ამილახვრის სამხედრო ნაწილმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია გერმანიის არმიას გენერალ რომელის მეთაურობით ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში 1942 წლის მაის-ივნისში, 16-დღიან ბირ-ხაკეიმის ბრძოლაში, რისთვისაც იგი დაჯილდოვდა „განთავისუფლების ჯვრით". დიმიტრი ამილახვარი ლიბიაში, ელალამეინისათვის ბრძოლაში დაიღუპა 1942 წლის 24 ოქტომბერს. მან განსასვენებელი ლიბიის უდაბნოში პოვა, ფრანგი ჯარისკაცების გვერდით. მაგრამ ფრანგმა ხალხმა არ დაივიწყა ამილახვარი: მისი ნეშტი პარიზში გადაასვენეს და პარიზის სენ-სირის სამხედრო სკოლის (რომელიც ამილახვარმა დააამთავრა) 1950 წლის 143-ე გამოშვებას მისი სახელი მიაკუთვნა. სენ-სირის სკოლის შენობას კი ამშვენებს წარწერა: „დიმიტრი ამილახვარი იყო ღირსეული შვილი თავისი სამშობლოს, საქართველოსი და ერთგული საფრანგეთისა".

საქართველოს შვილები მეორე მსოფლიო ომში ჭეშმარიტად მხედრული შემართებით ებრძოდნენ ფაშიზმს იმის შეგნებით, რომ ფაშიზმს მოჰქონდა ნგრევა, დაუნდობლობა და სიძულვილი ადამიანებისთვის, იგი დიდ საფრთხეს უქმნიდა საკაცობრიო ცივილიზაციას.

ცნობილია, რომ საბჭოთა სამხედრო ტყვეებისთვის განსაკუთრებით მძიმე პირობები იყო შექმნილი ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში და „სიკვდილის ფაბრიკებში" (ოსვენციმი, მაიდენაკი, ბუხენვალდი, მაუთჰაუზენი, ზაქსენჰაუზენი, დახაუ და სხვ.), რის გამოც მათი უმრავლესობა ტრაგიკულად დაიღუპა.

1942 წლის 8 ნოემბერს დახაუში და 1944 წლის დეკემბერში მაუთჰაუზენში დახვრიტეს ქართველ სამხედრო ტყვეთა დიდი ჯგუფი. საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპულთა სიაში 1944 წლის 4 ივლისიდან 1945 წლის 7 მარტამდე 24 პატიმარი ქართველის გვარია მოხსენიებული.

1942 წლის გაზაფხულიდან ჰამელბურგის საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდა მე-14 საბჭოთა ჯავშანსატანკო დივიზიის მე-14 საარტილერიო ბატარეის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯუღაშვილი, რომელიც გერმანელებმა ლიუზნოს რაიონში, ვიტებსკიდან უკან დახევისას ჩაიგდეს ტყვედ. 1941 წლის 16 ივლისს იგი მათ შეცვლილი სახელით წარუდგა, მაგრამ რამდენიმე რუსმა ტყვემ გასცა და აცნობა ფაშისტებს, რომ სტალინის შვილი იყო. პირველად დაშინებასა და მუქარას მიმართეს, შემდეგ სთავაზობდნენ ვლასოვის მაგიერ „რუსული განმათავისუფლებელი არმიის" უმაღლეს მთავარსარდლობას ან ამიერკავკასიის გენერალ-გუბერნატორობას. გერმანელებმა საბჭოთა მთავარსარდლობას იაკობ ჯუღაშვილის გაცვლა შესთავაზეს გერმანელ გენერლებში, ფელდმარშალ პაულიუსშიც კი. უმაღლესი მთავარსარდლის იოსებ სტალინის პასუხი იყო: „ჯარისკაცს მარშალზე არ ვცვლი". ფაშისტები ცდილობდნენ გამოეყენებინათ იაკობ ჯუღაშვილი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ იგი ბოლომდე დარჩა სამხედრო ფიცის, სამშობლოს ერთგული. ბოლოს ეს „ძლიერ საშიში" და „მაღალღირებული" პატიმარი ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს, სადაც გაქცევის საბაბით, 1943 წლის 14 აპრილს მოკლეს და კრემატორიუმში დაწვეს. 1990 წელს იაკობ ჯუღაშვილი დაჯილდოვდა (სიკვდილის შემდეგ) სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.

1944 წლის დასაწყისში ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში „განსაკუთრებულად ძლიერი დაცვით" 30 ქართველი სამხედრო ტყვე მიიყვანეს, რომლებიც პირდაპირ კრემატორიუმში გაგზავნეს.

1944 წლის 4 სექტემბერს მაუთჰაუზენის კრემატორიუმში დაწვეს ქართველი მფრინავი შ.სარაული. შტუტგოფის საკონცენტრაციო ბანაკში (პოლონეთში) 1943 წლის დასაწყისიდან იმყოფებოდა ყინულმჭრელ „სიბირიაკოვის" კაპიტანი ანატოლი კაჭარავა თავისი ეკიპაჟით. 1945 წლის იანვარში ესესელებმა ბანაკის 25 ათასი პატიმარი დასავლეთით გარეკეს, მაგრამ საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ისინი და სხვა პატიმრები, რომელთა შორის იყვნენ ქართველებიც.

1942 წლის სექტემბერში ვარშავაში დააპატიმრეს ცნობილი მეცნიერი, თეოლოგი, პროფესორი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე ებრაელებისადმი მზრუნველობისა და დახმარებისთვის (მან პირადად გადაარჩინა დასაღუპავად განწირული მრავალშვილიანი ოჯახი), აგრეთვე პოლონეთის

იატაკქვეშელებთან აქტიური თანამშრომლობისთვის. იგი გაგზავნეს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში, უმკაცრეს ციხე ბირკენაუშში, სადაც დაიღუპა კიდეც იმავე წლის დეკემბერში. პოლონეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ გრიგოლ ფერაძე მოგვიანებით წმინდანად შერაცხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები გერმანიის არმიაში

მეორე მსოფლიო ომის წინ ევროპაში შექმნილმა მდგომარეობამ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ორად გაყოფა განაპირობა. ემიგრანტთა ერთმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა ფაშისტური გერმანიის აგრესიას. საქართველოს მენშევიკური მთავრობის 1940 წლის 6 იანვრის დეკლარაცია ფაშიზმის აღზევების პირობებში ქართველ ხალხს დიდი სიფხიზლისკენ მოუწოდებდა. ნოე ჟორდანია თავის ერთ-ერთ წერილში, ფაშიზმის კაცთმოძულე ბუნებას გმობდა და ქართველ ხალხს აფრთხილებდა, ფაშისტურ პროპაგანდას არ აჰყოლოდა.

ქართველი ემიგრანტი ს. გოგიბერიძე თვლიდა, რომ „ყოველივე ის, რაც ევროპაში ხდებოდა... მოასწავებდა მეორე მსოფლიო ომის მზადებას და აუცილებლობას. ნათელი იყო აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირი ადრე თუ გვიან უეჭველად ჩაერეოდა ამ ომში. ისიც ნათელი იყო, რომ ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის ყველა მტერი თუ მოყვარე შეეცდებოდა ჩვენი ერი თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა და ამრიგად, მისთვის პროვოკაციები მოეწყო“. საქართველოს ყოფილ მთავრობას და მის გარშემო „ეროვნულ ცენტრში“ გაერთიანებული ყოფილი პარტიების ემიგრაციაში მყოფ წარმომადგენლებს, საჭიროდ მიაჩნდათ, ქართველი ერისთვის მომავალი საფრთხის საშიშროება ეცნობებინათ და ასევე მათი პოზიცია ამ მომავალ „აუცილებელ მსოფლიო კონფლიქტში“. ომის საფრთხე ქართულ ემიგრაციას ძლიერ აწუხებდა და მისგან თავის დაღწევის გზები სხვადასხვაგვარად ესახებოდა, რადგან თვით ემიგრაცია სხვადასხვა შეხედულების მქონე დაჯგუფებებისგან შედგებოდა.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ხელმძღვანელ ნაწილს ფაშიზმის არსი გაცნობიერებული ჰქონდა და საქართველოსთვის დამღუპველ ძალად მიაჩნდა.

ემიგრაციის მეორე ნაწილს საქართველოს ინტერესებისთვის ბრძოლის პერსპექტივა და შედეგი რამდენადმე სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი. ემიგრანტთა ეს ნაწილი გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყებას სიხარულით შეხვდა, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, 1918 წლის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, ომში გერმანიის გამარჯვებას უკავშირებდა. ამიტომ, გერმანიის მხარდაჭერის მოსაპოვებლად ემიგრანტთა ნაწილი საჭიროდ მიიჩნევდა გერმანელებთან თანამშრომლო-

ბას. ამ მიზნით, 1942 წლიდან გერმანიაში შეიქმნა პოლიტიკური ორგანიზაციები. კერძოდ, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ანუ შულენბურგის ინიციატივით შეიქმნა „ქართული პოლიტიკური კომიტეტი" მიხეილ წერეთლის, ზურაბ ავალიშვილის, სპირიდონ კედიას და გიორგი მაღალაშვილის შემადგენლობით. კომიტეტი ცდილობდა ყველა ქართველის საერთო იდეით გაერთიანებასა და ქართველთა ინტერესების დაცვას გერმანიის ხელისუფლების წინაშე.

ყოფილი სამხედრო ტყვეები, ზოგი ნებაყოფლობით, ზოგი კი გერმანელების იძულებით, ქართველ ემიგრანტთა შუამდგომლობით გერმანელთა სამხედრო შენაერთებში შედიოდნენ, გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე საბრძოლველად.

ქართველი ემიგრაციის ნაწილი თანამშრომლობდა გერმანელ-ფაშისტებთან და ამის გამო ისინი სამშობლოს მოღალატეებად იყვნენ მონათლულნი. მაგრამ ქართული ემიგრაციის ნაწილი ამით საქართველოს მომავალზე ფიქრობდა: მათ იმედი ჰქონდათ გერმანიის გამარჯვებისა, განსაკუთრებით კავკასიის ფრონტზე. ისინი ამ იმედს გერმანიის არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ 1942 წლის თებერვალში შექმნილი კავკასიური ლეგიონების მოქმედებასაც უკავშირებდნენ, ხოლო გერმანიის არმიის საქართველოს ტერიტორიაზე მოსვლას, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ხელსაყრელ პირობად მიიჩნევდნენ. კერძოდ, თუ გერმანელები კავკასიის ფრონტზე გამარჯვების შემდეგ შემოიჭრებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, მაშინ ქართველებს უმალვე უნდა გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა და შეედგინათ ეროვნული მთავრობა. ამჯერად, გერმანელები აღმოჩნდებოდნენ ფაქტის წინაშე და თითქოს მის გაუქმებას არ შეეცდებოდნენ, ხოლო გერმანიის არმიაში არსებული ქართული შენაერთები შეიძლებოდა ეროვნული არმიის ბირთვი გამხდარიყო.

შალვა მაღლაკელიძის გადმოცემით, ქართველი ემიგრანტების ნაწილს საქართველოში შემოსვლის შემდეგნაირი გეგმა ჰქონდა: „მამისონის უღელტეხილიდან, — წერდა იგი, — უნდა გადმოვსულიყავით საქართველოში. პირველ რიგში მოვუხმობდით კათალიკოს კალისტრატეს და აკადემიის პრეზიდენტს ნ. მუსხელიშვილს, ჩვენ სამნი ე.ი. სამღვდელოება, მეცნიერთა წარმომადგენელი და სამხედრო გამოვიდოდით რადიოთი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას გამოვაცხადებდით"... მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ემიგრანტთა ნაწილი არ იზიარებდა გერმანელთა მიერ კავკასიის დაუფლებისა და მისი ახლებურად მოწყობის ჰიტლერულ-როზენბერგისეულ გეგმას, რომლის არსი, საქართველოს გერმანიის კონტროლის ქვეშ მოქცევას გულისხმობდა.

კავკასიური ლეგიონებისაგან, გიორგი გაბლიანის მოწმობით, შეიქმნა 12 ქართული, 10 სომხური და 8 აზერბაიჯანული ბატალიონი. თითოეულ ბატალიონში 1000-მდე კაცი შედიოდა. გარდა ამისა, გერმანელებმა შექმნეს თურქული „ტურკბატალიონები" ქართველების, აზერბაიჯანელების, სომხების, ჩერქეზების, ჩეჩნების, ინგუშების, ოსებისა და სხვა კავკასიელებისგან. ამ საჯარისო ნაწილების შექმნას სტრატეგიული ჩანაფიქრი ედო საფუძვლად, კერძოდ, ომში თურქეთის ჩართვა, რათა მისთვის ეჩვენებინათ, გერმანელებმა უკვე შექმნეს თურქული ჯარი. პარალელურად, გერმანელებმა შექმნეს თათართა ჯარი — ყაზანელი თათრებისა და შუა აზიის ხალხებისგან, „ნამდვილი „ოქროს ურდო", — წერს შ.მაღლაკელიძე, რომელსაც არ მოსწონებია ქრისტიანებისა და მაჰმადიანების ერთ საჯარისო შენაერთში გაერთიანება და გერმანელებისთვის ეროვნული ლეგიონების შექმნა ურჩევია.

ამრიგად, კავკასიური ლეგიონების შექმნას გერმანელთა სტრატეგიული მიზნები ედო საფუძვლად, ხოლო ქართველი ემიგრანტებისთვის გერმანიის არმიის ქართული ლეგიონების შექმნის მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტის მოგონება იმის დასტურად გამოდგება, რომ ემიგრანტთა ნაწილს, არ ჰქონდა გაცნობიერებული გერმანელთა „დახმარებით" საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური შესაძლებლობა. ისინი თავიანთი გეგმის რეალიზაციის გზების დასახვისას არ ითვალისწინებდნენ ფაშიზმის იდეოლოგიის არსს, მის აპოლოგეტთა სტრატეგიულ მიზნებსა და მისწრაფებებს, რომელიც ნაწილობრივ გადმოცემული იყო ჰიტლერის წიგნში „მაინ კამფ".

კავკასიური ლეგიონებისა და საველე ბატალიონების ჯარისკაცთა რიცხვი 48700-ს შეადგენდა, მათგან 14000 ქართველი იყო, 13600 — აზერბაიჯანელი, 11000 — სომეხი, 10100 ჩრდილოეთ კავკასიელი. საშენებლო და მომარაგების ნაწილებში 21895 კაცი ითვლებოდა, მათ შორის ქართველი 6800, სომეხი — 7000, აზერბაიჯანელი – 4751, ჩრდილოეთ კავკასიელი 3000. გარდა ამისა, კავკასიის წარმომადგენლები იყვნენ გერმანელთა სხვა ნაწილებშიც, მათი რიცხვი 32000 კაცს შეადგენდა ანუ კავკასიელების საერთო რიცხვი 102295-ს უტოლდებოდა.

1943 წლის ბოლოსთვის არსებობდა ქართველი ყოფილი ტყვეებისა და ემიგრანტებისაგან შემდგარი 7 ბატალიონი. პირველი ბატალიონი შალვა მაღლაკელიძის სახელობის იყო, მეორე ბატალიონი გიორგი სააკაძის სახელობისა, მესამე ბატალიონი — დავით აღმაშენებლის, მეოთხე — თამარ მეფის, მეხუთე — მეფე ერეკლეს, მეექვსე — შოთა რუსთაველის და მეშვიდე ბატალიონი ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებდა.

ოპერატიულ-დივერსიულ სამხედრო ნაწილებს „თამარ I-ს“, „თამარ II-ს“ და სამთო-სადაზვერვო ბატალიონს „ბერგმანს“ (ძირითადად ემიგრანტებისაგან შედგებოდა) მონაწილეობა უნდა მიეღოთ კავკასიის ფრონტზე, სადაც გერმანელებმა თითქმის ყველა ეროვნული სამხედრო შენაერთი გამოიყვანეს — 804-ე, 805-ე, 806-ე აზერბაიჯანული ნაწილები, რომლებიც ქალაქ ორჯონიკიძის მახლობლად იდგნენ. 809-ე და 810-ე სომხური ნაწილები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის ხეობებში განალაგეს; 795-ე ქართული ბატალიონი ბაქსანთან და ურუხთან, 796-ე ბატალიონი კი ყუბანში იდგა; ჩრდილოკავკასიური 842-ე, 843-ე, 835-ე და 836-ე ნაწილები იდგნენ პოზიციებზე ნალჩიკთან, ჩეკეტთან და ა.შ. მაგრამ ლეგიონერთა შორის, გერმანიის არმიაში ბრძოლის ერთიანი სურვილი არ იყო. ამის დასტურია, 1942 წლის შემოდგომაზე, პოლონეთის ქალაქ კრუშინოში შექმნილი პირველი ბატალიონის, ანუ „გეორგიენ ლეგიონის“ მეთაურის, შალვა მაღლაკელიძის მოგონებები, სადაც აღნიშნულია, რომ მდინარე ბაქსანის ნაპირზე მყოფი 392-ე ქართული დივიზიის (გენერალ გ. ყურაშვილის მეთაურობით) რიგებიდან, (1942 წლის ოქტომბერში 392-ე დივიზიას გენერალი ყუფარაძე მეთაურობდა — მ.ნ.). 1942 წლის ოქტომბერში საბჭოთა არმიის მხარეზე გადასულა 33 ქართველი ლეგიონერი (ამ ფაქტს აკონკრეტებს გიორგი გაბლიანი).

3 ოქტომბერს წითელი არმიის მხარეზე პირველად სამი ქართველი ლეგიონერი გადავიდა — უნტეროფიცრები წულაია და მურვანიძე, ლეიტენანტი ჯაფარიძე. მათ საბჭოთა სარდლობისთვის წარუდგენიათ ლეგიონის ჯარისკაცებისა და მეთაურების მიმართვა იმის თაობაზე, რომ ლეგიონის 750-კაციან შემადგენლობას არ სურს იომოს თავისი ძმების წინააღმდეგ, კავკასიას ძირითადად ხომ ეროვნული, პირველ ყოვლისა, ქართული დივიზიები იცავდნენ. ლეგიონი პირობითი ნიშნის მიცემისთანავე მზად იყო წითელი არმიის მხარეს გადასასვლელად შეიარაღებითა და აღალით. მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, რადგან ლეგიონერთა გადაწყვეტილება გასცეს, თუმცა ცალ-ცალკე და ჯგუფურად ისინი მაინც გადადიოდნენ საბჭოთა არმიის მხარეს. გიორგი გაბლიანი ამ ფაქტს უკავშირებდა ტაბიძისა და წიკლაურის მიერ სამხედრო ტყვეებისა და ემიგრანტთა შემადგენლობით შექმნილ ოპერატიულ-სამხედრო ორგანიზაცია „ბერგმანში“ არალეგალური კომუნისტური ორგანიზაციის შექმნას.

ამ ფაქტს ადასტურებს ასევე რუსულენოვანი გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანელები სასტიკად გაუსწორდნენ ქართველ ჯარისკაცებს, როგორც კი გაიგეს მოწინააღმდეგის მხარეზე მათი გადასვლის ამბავი. გერმანელებმა 795-ე ქართულ ბატალიონს ალყა

შემოარტყეს და განაიარაღეს, ხოლო გადასვლის ინიციატორი მურვანიძე დახვრიტეს. ამას ადასტურებს შალვა მაღლაკელიძეც, რომელიც ამბავსაც აღნიშნავს, რომ როდესაც მურვანიძე გაასამართლეს და ბუნკერიდან ამოიყვანეს, მაღლაკელიძე თავის მოკვლას სთხოვდა, მაგრამ მურვანიძემ ეს არ გააკეთა, ის გერმანელებმა დახვრიტეს. რაც შეეხება დანარჩენთა დასჯას, თავდაპირველად გერმანელებს გადაუწყვეტიათ დაეხვრიტათ საბჭოთა არმიის მხარეზე გადასვლის მსურველი ბატალიონის ყოველი მეორე ჯარისკაცი, მაგრამ გადაწყვეტილება შეუცვლიათ და ყოველი მეათე ჯარისკაცის დახვრეტა დაუდგენიათ, ბოლოს, გერმანელთა სარდლობის ბრძანებით ამ განზრახვაზე ხელი აუღიათ. მრავალი ქართველი ლეგიონერი დაიღუპა კავკასიის ფრონტზე, ბაქსანის, ურუხისა და სხვა უბნებზე. გადარჩენილი ლეგიონერები ვერმახტის ერთგული „ბერგმანის" ნაწილების შემადგენლობაში შეიყვანეს, ან მათ ჯგუფებს სხვა ფრონტებზე გასაგზავნად აკონწებდნენ. ქართული ლეგიონი დაანაწილეს. 822-ე ქართული ბატალიონის დისლოკაციის ადგილი გახდა ჰოლანდია. აქედან იგი კუნძულ ტექსელზე გადაიყვანეს, სადაც ავჯანყება მოაწყვეს 1945 წლის 6 აპრილს. 796-ე ბატალიონი გადაიყვანეს იტალიაში, 799-ე კი დანიაში, ზღვისპირა ხაზის დასაცავად. 795-ე ბატალიონი, რომელიც 4 ასეულისგან შედგებოდა, საფრანგეთში ჩარჩა, გერმანელთა განდევნის შემდეგ კი დაიფანტა.

საბჭოთა არმიის მხარეს გერმანიის არმიის ქართველ ლეგიონერთა გადასვლის ფაქტს, დროსა და ადგილს (1942 წლის 26 ნოემბერს, სემაშხოს მთის მარჯვენა ფლანგზე) აღნიშნავს გერმანული არმიის სარდალი კონრადი, მაგრამ ეს სხვა შემთხვევაა.

კავკასიის ფრონტზე ერთგვარად პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა: მდინარე ბაქსანის ერთ მხარეს იდგნენ ქართული ეროვნული დივიზიები საბჭოთა არმიის შემადგენლობაში, საქართველოს დასაცავად ფაშისტური ოკუპაციისგან, ხოლო მეორე მხარეს — ქართველი ლეგიონერები კავკასიის დამცველთა წინააღმდეგ გერმანული არმიის შემადგენლობაში, მათი წარმოდგენით, საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად. ამ შერკინების ბედის გადაწყვეტაში, ქართველი წითელარმიელებისთვის მთავარი იყო, არ დაეშვათ გერმანელთა შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. გერმანელებისადმი დამოკიდებულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა საერთო-სახალხო სიძულვილი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი ბარბაროსული აქტების გამო.

ყოფილ ლეგიონერთა ნაწილი და ისინი, ვინც გერმანიის სადამსჯელო ორგანოებში თანამშრომლობდნენ, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დარჩნენ და საბჭოური რეჟიმის პირობებში სამშობლოში დაბრუნება ვერ გაბედეს.

ვიქტორ რცხილაძე სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ „გერმანიის მხარეზე მებრძოლი უმეტესი ქართველი მეომრისათვის არ შეიძლება ფაშიზმის დანაშაულობათა გადაბრალება, პირიქით... ისინი ეროვნულ პატივისცემას იმსახურებდნენ... მაგრამ მათი იდეალიზება მაინც არ შეიძლება. საქმე ისაა, რომ გერმანიის მხარეზე მებრძოლი ქართველი მეომრები ობიექტურად მაინც დანაშაულებრივი, შეიძლება ითქვას, სატანური სახელმწიფოს სამსახურში იყვნენ ჩაყენებულნი“.

ანტისაბჭოთა ჯგუფები

30-იანი წლების მეორე ნახევრის მასობრივმა რეპრესიებმა განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდობის დამოკიდებულებაზე საბჭოური რეჟიმისადმი, გაამძაფრა მათში წინააღმდეგობის სული, მით უმეტეს, რომ ბევრმა საკუთარი ოჯახის თავზე იწვნია ეს ტრაგედია. ამგვარი განწყობა იმასთან ერთად, რომ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთება ისევ ცოცხლობდა, გამოვლინდა გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირისათვის თავსმოხვეული მძიმე ომის ვითარებაში. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოდან ჩაბმული 700 ათასამდე მეომრის გვერდით, რომელთაგან აბსოლუტურ უმრავლესობას სამხედრო ვალდებულნი შეადგენდნენ, თბილისსა და საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ომის პირველ წლებში წარმოიშვა არალეგალური ანტისაბჭოთა ჯგუფები. თბილისის ასეთ ჯგუფს „1942 წლის შეთქმულებად“ იხსენიებდნენ.

ალბათ მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ საქართველო, როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი, ვერ ასცდებოდა მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობას, იგი ძალაუნებურად აღმოჩნდა ომში ჩართული. ზოგიერთთა აზრით, საქართველოსთვის საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი თითქოს არ წარმოადგენდა სამამულო ომს. მაგრამ განსაკუთრებით კავკასიისათვის ბრძოლა ხომ საქართველოს ტერიტორიაზე ომის ხანძრის აღკვეთას ისახავდა მიზნად. ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს ომი აღქმული და გაცნობიერებული ჰქონდათ, როგორც ბრძოლა საკუთარი საშობლოს, მამულის დასაცავად ფაშისტური ოკუპანტებისაგან. ამ ხალხების რიგში იდგა ქართველი ხალხი.

არანაკლებ ტრაგიკული აღმოჩნდა მათი ბედი, ვისაც საშობლოს ბედიღბალზე ზრუნვა და კეთილშობილური მიზანი დანაშაულად, ღალატად ჩაუთვალეს და სასტიკად დასაჯეს. შესანიშნავი მწერლის, ლევან გოთუას თაოსნობით თბილისში შეიქმნა „საქართველოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტი“, რომელშიც გაერთიანდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი, ასპირანტი და კურსდამთავრებული.

უნივერსიტეტის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ ლეიტენანტის ან უფროსი ლეიტენანტის საჭედრო წოდება. ამიტომ, ომის დაწყების შემდეგ, როგორც თადარიგის ოფიცრები, ისინი გაიწვიეს არმიაში და გაამწესეს ავჭალაში მდგომ სამხედრო ნაწილში. იქ თავი მოიყარეს უნივერსიტეტელებმა, რამაც ხელი შეუწყო იმას, რომ ახალგაზრდებმა ერთად დაიწყეს ფიქრი, თუ რა ბედი ეწეოდა საქართველოს, გერმანელებს კავკასიონის ქედი რომ გადმოელახათ. მათ ეშინოდათ, ორი დიდი სახელმწიფოს სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებას საქართველო მთლად არ გადაეთელა. ამიტომ გზების ძიებას შეუდგნენ და მიზნად დაისახეს პროტესტი გამოეცხადებინათ ომის წინააღმდეგ, უარი ეთქვათ საბჭოთა ჯარში სამსახურზე და ეზრუნათ ანტისაბჭოთა მოძრაობის შესაქმნელად. მაგრამ მათ მიზანს ვერ მიაღწიეს.

არ არის ცნობილი „ავჭალის ორგანიზაციის" წევრთა ზუსტი შემადგენლობა და ანტისაბჭოთა მოძრაობის წამომწყების სახელი; ვარაუდობენ, რომ აზრი ამ მოძრაობის შექმნისა ეკუთვნოდა გ. იმერლიშვილს, იდეური ლიდერი კ.ხიმშიაშვილი იყო, რომელიც ერთხანს განჯაში, შემდეგ გორში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში მსახურობდა, მაგრამ ხშირად ჩნდებოდა უნივერსიტეტში და კავშირში იყო ანტისაბჭოთა ჯგუფის ძირითად ბირთვთან. თუმცა პოლიტიკური გაერთიანება-ორგანიზაცია არ ჩამოყალიბებულა, ისე გაუსწორა ანგარიში ტოტალიტარულმა რეჟიმმა ანტისაბჭოურად განწყობილთ თუ საკუთარი მამულის კეთილდღეობისათვის მებრძოლთ.

1941 წლის სექტემბერში შეიარაღებული აჯანყების მცდელობის ბრალდებით თბილისში დააპატიმრეს 33 კაცი, როგორც „არალეგალური სამხედრო-მეამბოხური ფაშისტური ორგანიზაციის" (ასეთი იარლიყი მიაკერეს) წევრები, რომელთაც შეიარაღებული აჯანყების განზრახვა არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ, რადგან მისი მოწყობა არსებული უმკაცრესი რეჟიმის პირობებში შეუძლებელი იყო. ეს იყო დრო, როდესაც გაფანტული ანტისაბჭოთა ჯგუფი საქმიანობის დაწყებას ვერც კი ასწრებდა, ისე ექცეოდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელში. „შეთქმულნი" საქართველოში გერმანელთა შემოსვლას იმედით შეჰყურებდნენ და შესაძლებლად თვლიდნენ გერმანელებთან მოლაპარაკების გამართვას საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით.

ასეთსავე მიზანს ემსახურებოდა მეორე გაერთიანება, რომლის შექმნა უშუალოდ იყო დაკავშირებული თბილისის არალეგალურ ჯგუფთან. „სამანი" — საქართველოს აყვავებისთვის მებრძოლი ნაციონალისტები, დაფუძნდა თუშეთში, სოფელ ზემო ალვანის მკვიდრთა — ადამ ბობღიაშვილისა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი) და ფანცალა

იმედიძის ინიციატივით. „სამანში“ — დეზერტირთა ჯგუფიც შედიოდა. სამანელებს არ მოსწონდათ სოციალისტური წყობა, ამიტომ ბოლშევიკების შემთხვევაში უნდოდათ მოეშალათ არსებული ეკონომიკური ხიხტეხა და აღედგინათ ცხოვრება-განვითარების ბუნებრივი გზა. ისინი არ აპირებდნენ ბრძოლას გერმანელებთან და საბჭოთა არმიის დამარცხების შემთხვევაში, გადაწყვეტილი ჰქონდათ მოლაპარაკება გაემართათ მათთან, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენლებს და თუ მათი მცდელობა მიზანს ვერ მიაღწევდა, სამშობლოსთვის სიცოცხლე გაეწირათ.

ანტისაბჭოთა მოძრაობის მონაწილეთა შორის 17-ს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიესაჯა. მათ შორის: გ.ახობაძეს (ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას, მისი მამა 1937 წელს, როგორც „ხალხის მტერი“, საფიჩხიის ტყეში დაუხვრეტიათ), გ. თარგამაძეს (უნივერსიტეტის ასპირანტი, მამამისი რეპრესირებული იყო 1924 წელს), გ. იმერლიშვილს, მ. საბაშვილს (მისი მამა და ბიძა დაუხვრეტიათ 1924 წელს), გ.ჭალაგანიძე (უნივერსიტეტის ასპირანტი), თ. შანშიაშვილს (მწერალი), გ. ძიგვაშვილს (მწერალი, რომლის ხელნაწერებიც გაანადგურეს), კ. ხიმშიაშვილს (იდეური ხელმძღვანელი), კ. ჯოგლიძეს (ორგანიზატორი), დანარჩენებს ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და „შეთქმულებთან“ თანამშრომლობის ბრალდებით სხვადასხვა ვადით გადასახლება მიუსაჯეს. 22 წელი გაატარა გადასახლებაში ლევან გოთუამ. გადასახლებულთა შორის იყო ერთადერთი ქალი, თინათინ გონიაშვილი. რეპრესიები შეეხო ფილოსოფოსებს მ. გოგიბერიძეს, ზ. მიქელაძეს, ფილოლოგებს ბ. ფოჩხუას და მ. აბულაძეს, ლიტერატორ კიტა ბუაჩიძეს, სასამართლო პროცესზე გაათავისუფლეს თინათინ თუშმალიშვილი, მ. არეშიძე და ლ. კვაჭაძე, რადგან წაყენებული ბრალდებები არ დაუმტკიცდათ.

საქართველოში ანტისაბჭოთა წინააღმდეგობა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, პოლიტიკურ მოძრაობად არ ჩამოყალიბებულა. ცალკე ჯგუფების სახით არსებული ორი გაერთიანება-ორგანიზაცია, რომელთაც არ ჰქონდათ კავშირი არც ჩრდილოეთ კავკასიის, არც სომხეთის და არც აზერბაიჯანის ანტისაბჭოთა მოძრაობასთან, არც ქართულ ემიგრაციასთან, არც გერმანიის არმიასა და დაზვერვასთან, ჩანასახშივე იქნა განადგურებული საბჭოთა სადამსჯელო ორგანოების მიერ.

მოსახლეობის კომპაქტური ჯგუფების დეპორტაცია საზღვრისპირა რაიონებიდან

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, საბჭოთა უშიშროების ორგანოებმა გერმანელი მოსახლეობა საქართველოდან გაასახლა.

სამწუხაროდ, საქართველოდან გასახლებულ გერმანელთა ზუსტი

რიცხვი არ გაგვაჩნია, მაგრამ ცნობები მათ საცხოვრისზე ჩასახლებულ კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა რაოდენობის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ამ აქციის მასშტაბის თაობაზე და გადასახლებულთა რაოდენობის მიახლოებითი განსაზღვრის შესაძლებლობას გვაძლევს.

გერმანელთა გასახლების შემდეგ, მათ საცხოვრისზე ლუქსემბურგის, თეთრიწყაროს, წალკისა და ყარაიაზის რაიონებში, 1941 წლის 23 აგვისტოს, საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა დასახლების შესახებ საქართველოს სამთავრობო დადგენილება მიიღეს.

სამთავრობო გეგმის მიხედვით, ლუქსემბურგის (ახლანდელი ბოლნისი) რაიონში უნდა ჩასახლებულიყო 200-200 კომლი ჭიათურის, ცაგერისა და ონის რაიონებიდან, 100-100 კომლი ქუთაისის, გეგეჭკორისა და ჩხარის რაიონებიდან, 50-50 კომლი ჩხოროწყუს, წალენჯიხის, მაიაკოვსკისა და ვანის რაიონებიდან; სოფელ ტრაუბერგის კოლმეურნეობაში — „როტე-ფანე", საჩხერის რაიონიდან უნდა ჩასახლებულიყო 150 კაცი; თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთის კოლმეურნეობაში — 300 კომლი ამბროლაურის რაიონიდან; საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის კოლმეურნეობაში 200 კომლი ორჯონიკიძის (ხარაგოულის) რაიონიდან, 50 კომლი გურჯაანის რაიონის სოფელ ჭერემიდან, 70 კომლი გურჯაანის მთიანი სოფლებიდან; წალკის რაიონის სოფელ როზენბერგის კოლმეურნეობაში 100 კომლი, 50-50 კომლი დუშეთისა და თიანეთის რაიონებიდან, ახალქალაქის რაიონიდან — 100 კომლი, ბოგდანოვკის (ახლანდელი ნინოწმინდა) რაიონიდან — 50 კომლი; ყარაიაზის რაიონის ტელმანისა და როზა ლუქსემბურგის სახელობის კოლმეურნეობებში გერმანელთა საცხოვრისზე უნდა დასახლებულიყო 110 კომლი და 70 კომლი თბილისიდან.

დასახელებული რაიონებიდან გასახლებულ გერმანელთა კოლმეურნეობები უნდა შეევსო საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსახლებულ 2350 კომლს ანუ არანაკლებ 10-11 ათას კაცს. სულ, თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან გადასახლებულ გერმანელთა რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 25 ათას კაცს.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდის დემოგრაფიულ პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1944 წლის ნოემბერში, თურქეთის სასაზღვრო ზონიდან, ისტორიული სამცხე-ჯავახეთიდან, მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციას.

დოკუმენტური მასალები შესაძლებლობას იძლევა ეჭვმიუტანელი სიზუსტით დავადგინოთ გასახლებულთა საერთო რიცხვი, მათი ეროვნული და კომლობრივი შემადგენლობა.

1944 წლის მაისში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა საშინისტროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ამხანაგ ჩარკვიანისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვალერიან ბაქრაძის წერილი გაეგზავნა — დოკუმენტი, რომელიც საზღვრისპირა ზონიდან მოსახლეობის ნაწილის გასახლების მიზანშეწონილების დასაბუთებას, გასახლების დეტალურ გეგმასა და გასახლების რაიონებში საქართველოს მცირემიწიანი კუთხეებიდან ქართველი მოსახლეობის ჩასახლების სავარაუდო მონაცემებს შეიცავდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ ინიციატივას რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ვერ გამოიჩენდა, თუ სათანადო დირექტივა არ ექნებოდა. ამ გეგმის მიხედვით, ახალციხის რაიონებიდან უნდა გაესახლებინათ 4200 კომლი — 23 ათასი სული; ადიგენის რაიონიდან — 5650 კომლი — 30 ათასი სული, ასპინძის რაიონიდან — 4220 კომლი — 21 ათასი სული და ახალქალაქის რაიონიდან 790 კომლი — 3500 სული, სულ კი 24860 კომლი, 77500 კაცი. თავდაპირველად, მათ გასახლებას აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ვარაუდობდნენ. მითითებულია ისიც, რომ სამცხე-ჯავახეთის ზემოხსენებული რაიონების მცხოვრებთა შორის, რეპრესირებულთა და ემიგრანტთა 200 ოჯახის გადასახლება-დასახლება ქართულ რაიონებში არასასურველი იყო, ამიტომ მათი, როგორც სპეცკონტინგენტის დეპორტაცია უნდა განხორციელებულიყო რესპუბლიკის გარეთ, ყაზახეთში.

ფრიად საგულისხმოდ გვეჩვენება ის გარემოებაც, რომ ამავე გეგმით გათვალისწინებული იყო 660 კომლის ჩასახლება მესხეთიდან ყვარლის რაიონის იმ სოფლებში, საიდანაც გაასახლებდნენ დაახლოებით ასეთივე რაოდენობის ლეკებს დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

დადგენილება საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან თურქების, ქურთებისა და ჰემშინების გასახლების შესახებ, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა 1944 წლის 31 ივლისს მიიღო, ხოლო იმავე წლის 20 სექტემბერს შესაბამისი ბრძანება გასცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისთვის.

საარქივო წყაროების მიხედვით, რომლებიც ზუსტ და სანდო მონაცემებს იძლევიან საზღვრისპირა რაიონებიდან გასახლებული სპეცკონტინგენტის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ, ისტორიული სამცხე-ჯავახეთიდან, კერძოდ, ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, ბოგდანოვკის რაიონებიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის — ხულოს, ქედის, ქობულეთისა და ბათუმის რაიონებიდან, ქალაქ ბათუმიდან ეროვნული ნიშნის მიხედვით, 1944 წლის 15 ნოემბრისათვის გაასახლეს 15568 კომლი ანუ 69869 კაცი, მათ შორის თურქების 13434

ოჯახი, ანუ 59780 კაცი, ქურთების 1 820 ოჯახი, ანუ 8627 კაცი და ჰემშინების 304 ოჯახი, ანუ 1462 კაცი.

ჰემშინები წარმოადგენდნენ სომეხ მუსლიმანთა ეთნიკურ ჯგუფს, რომელსაც ისტორიულად ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში უცხოვრია, შემდეგ დამკვიდრებულა და შემორჩენილა მდინარე ჭოროხის დასავლეთით მაღალმთიან ნაწილში, ამიტომ ისინი სრულიად ბუნებრივად იყვნენ შემორჩენილები მხოლოდ მთიან აჭარასა და ნაწილობრივ შავიზღვისპირეთში — ბათუმის, ქობულეთის რაიონებსა და ქალაქ ბათუმში.

1944 წლის ნოემბერში ყვარლის რაიონიდან გაასახლეს ლეკები. ეს აქციაც საზღვრისპირა რაიონებიდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლების თავდაპირველი გეგმით მოიაზრებოდა. ამ გეგმით გათვალისწინებული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან კოლმეურნეთა 660 კომლის ჩასახლება ყვარლის რაიონის იმ სოფლებში, საიდანაც გაასახლებდნენ ლეკებს, დაახლოებით ამდენივე რაოდენობისას — 3 ათასამდე კაცს. ლეკებიც საზღვრისპირა რაიონებიდან გასახლებულ სპეცკონტინგენტის შემადგენლობაში მოხვდნენ და ამიტომ ისინი არა დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკაში, არამედ შუა აზიის რესპუბლიკებში გაასახლეს.

საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციის — თავისთავად ამ მეტად არაჰუმანური აქციის შესახებ რაიმე მინიშნებას დოკუმენტური წყაროები არ შეიცავენ. თუმცა, ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იმის თაობაზე, რომ სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული მაჰმადიანების მესხეთისადმი ერთგულება მოჩვენებითი იყო, რომ მათი უფროსი თაობა, საკუთარი ქვეყნის საზიანოდ, ყოველთვის თურქეთისკენ იყურებოდა. ისიც საგულისხმოა, რომ თურქეთის სასაზღვრო რაიონებიდან სპეცკონტინგენტის გასახლების აქცია განხორციელდა ომის ვითარებაში, როდესაც თურქეთი, რომელსაც პოლიტიკური მიზნები ფრიად შენიღბული ჰქონდა, ფაშისტური გერმანიის მხარეზე გამოდიოდა. მას საბჭოთა საზღვართან დისლოცირებული ჰყავდა 26 დივიზია. ეს გარემოება აუცილებელს ხდიდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს საზღვრის დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელებას. საზღვრისპირა რაიონის მაჰმადიანი მოსახლეობის შესაძლო მოქმედებას და სახელმწიფო საზღვრის უშიშროებისადმი მათ დამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომი გულისხმობდა საბჭოთა კავშირის საომარ მოქმედებას იაპონიის წინააღმდეგ მანჯურიაში მდინარე ხალხინ-გოლთან, საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომს 1939-1940 წლებში და საბჭოთა კავშირის მონაწილეობას მოკავშირეთა ომში იაპონიის წინააღმდეგ. ამ

სამხედრო კამპანიებში მონაწილეობდნენ საქართველოს წარგზავნილებიც, მაგრამ მათი, როგორც რაოდენობის (ივარაუდება იაპონიის წინააღმდეგ ომში საქართველოდან 8-9 ათასამდე მეომრის მონაწილეობა), ასევე მათ შორის დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვის შესახებ ზუსტი ცნობები არ გაგვაჩნია.

90-იანი წლების დასაწყისიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს პოდოლსკის არქივში, დიდ სამამულო ომში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიები შედგა რესპუბლიკების მიხედვით, რომელიც სრულ ინფორმაციას შეიცავს თითოეული მებრძოლის შესახებ. სიების დამუშავების საფუძველზე დადგინდა დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთო რაოდენობა, ასევე, მათ შორის ქართველების და სხვა ეროვნების პერსონალია. აღმოჩნდა, რომ მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან გაწვეულთაგან დაღუპულების და უგზო-უკვლოდ დაკარგულების საერთო რაოდენობამ შეადგინა 163311 კაცი, ანუ გაწვეულთა საერთო რაოდენობის 23,3%, მათგან ქართველების რიცხვმა — 117031 კაცი, ანუ დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 66 %, ხოლო სხვა ეროვნების წარმომადგენელთა რაოდენობამ — 46293 კაცი.

მხედველობაში მისაღებია, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შორის ზოგიერთი ცოცხალი აღმოჩნდა. მათ შორის ევროპის ქვეყნებში გაყვანილ ტყვეთაგან ზოგიერთი სამშობლოში დაბრუნდა (მაგალითად, კუნძულ ტექსელზე აჯანყებული ქართული ბატალიონიდან გადარჩენილი 230 კაცი), ზოგმა სხვადასხვა ქვეყანაში ჩასახლება არჩია. მაგრამ, არსებობენ 1946-1947 წლებში, ომის დამთავრების შემდეგ, ომში მიღებული ჭრილობებისაგან დაღუპული მეომრები, რომლებიც, ჩვენ მიერ დამუშავებულ სიებში, ბუნებრივია, არ არიან დაფიქსირებულები.

უნდა მივუთითოთ იმ გარემოებაზეც, რომ შეიარაღებულ ძალებში გაწვეულთა დიდი უმრავლესობა იბრძოდა ფრონტზე, მაგრამ ნაწილი გამწესებული იყო თავდაცვით მრეწველობაში სამუშაოდ, საინტენდანტო სამსახურში, სადაც, ცხადია, მსხვერპლი ნაკლები იყო.

უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთს არმიაში გაწვეულთაგან შინ აბრუნებდნენ ავადმყოფობის გამო. მაგალითად, მარტო 1944 წლის 1-ლი მარტიდან, იმავე წლის 1-ლ დეკემბრამდე ავადმყოფობის მიზეზით საქართველოში 52879 კაცი დაბრუნდა.

შიდამიგრაციული პროცესები. 1943-1944 წლებში ყირიმიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან და საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან მაჰმადიანი მოსახლეობის კომპაქტური ჯგუფების დეპორტაციასთან იყო

დაკავშირებული, იმიერკავკასიის დაცარიელებული ტერიტორიის ერთ ნაწილში საქართველოს მაღალმთიანი (ძირითადად რაჭისა და სვანეთის) მცირემიწიანი სოფლებიდან, მოსახლეობის ნაწილის გადასახლება. კავკასიონის ქედის გადალმა საქართველოს მოსახლეობის ნაწილის დასახლებას ცვლილებები უნდა შეეტანა საზღვრის მოხაზულობაში, ამჯერად, საქართველოს ტერიტორიის გაფართოების თვალსაზრისით.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1943 წლის 6 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ რესპუბლიკის შემადგენლობაში თებერდის რაიონის შეყვანის შესახებ. თებერდის რაიონი შეიქმნა სტავროპოლის მხარის ყოფილი ყარაჩაის ავტონომიური ოლქის, უჩხუნელის და მიქოიანის რაიონებისაგან.

1944 წლის დამდეგიდან შეიცვალა თებერდის რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტატუსი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1944 წლის 8 იანვრის დადგენილებით, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების – „ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლიკვიდაციისა და მისი ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ“ შესაბამისად, დამტკიცდა ქლუხორის რაიონის შექმნა საქართველოს შემადგენლობაში. ამ დროიდან თებერდის რაიონს ქლუხორის რაიონი ეწოდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1944 წლის 7 მარტს გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში ჩართულ იქნა ყოფილი ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის შაროევის რაიონის დასავლეთი ნაწილი, გალაშკინსკის და პრიგოროდის რაიონების სამხრეთი ნაწილი და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის გიზელის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ეს ტერიტორია გადავიდა ყაზბეგის რაიონის ფარგლებში.

ამავე ბრძანებულებით ცვლილება შევიდა რსფსრ და საქართველოს სს რესპუბლიკის არსებულ სახელმწიფო საზღვრებში.

ამასთან, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 აპრილის ბრძანებულებით, საქართველოს ზემო-სვანეთის რაიონის შემადგენლობაში შევიდა ყაბარდოს ავტონომიური რესპუბლიკის იალბუზის და ნაგორნის რაიონის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, 1944 წლის 3 მაისს გადაწყდა შექმნილიყო იალბუზის სასოფლო საბჭო, ზემო-სვანეთის რაიონის შემადგენლობაში და იალბუზის სასოფლო საბჭოს მთელი ტერიტორია საქართველოს გადასცემოდა.

ქლუხორის რაიონში საქართველოს მაღალმთიანი, მცირემიწიანი ადგი-

ლებიდან კოლმეურნეთა გადასახლება 1944 წლის ზაფხულში დასრულდა.

საქართველოს ტერიტორიის ჩრდილოეთით გაფართოება 50-იანი წლების მეორე ნახევარში გაუქმდა. ამის მიზეზი იყო ხრუშჩოვის ხელისუფლების, სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა, რომელიც სტალინის მმართველობის წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა კარდინალური შეცვლა-დაგმობის პოლიტიკის გატარების შედეგად განხორციელდა.

კულტურა ომის წლებში

მეორე მსოფლიო ომმა დიდი გავლენა მოახდინა განათლების სისტემაზე. გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყებისთანავე, საქართველოში სასკოლო შენობათა ნაწილი გადაეცა სამხედრო უწყებას ევაკოჰოსპიტლების, ყაზარმებისა და ჯარის შტაბებისთვის. ამან გამოიწვია სასკოლო ქსელისა და შესაბამისად, მოსწავლეთა რიცხვის შემცირება, კერძოდ, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა რესპუბლიკაში ომის ბოლოს — 1945-1946 სასწავლო წლისათვის შემცირდა 397 ერთეულით, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 1381 ათასით 1940-1941 სასწავლო წელთან შედარებით (4114 სკოლა 766,8 ათასი მოსწავლე), უფრო მეტად შემცირდა დაწყებითი განათლების სკოლების რიცხვი.

მაღალი იყო სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის მაჩვენებელი, რის გამოც გადაწყდა საღამოს სკოლების ქსელის გაფართოება. თუ ომის დაწყებამდე საქართველოში ითვლებოდა 260 საღამოს სკოლა 26 ათასი მოსწავლით, 1944 წელს ამ სკოლების რიცხვი გაიზარდა 495-მდე, ხოლო მოსწავლეთა კონტინგენტი — 39 ათასამდე.

სახალხო განათლების სისტემას დიდი სიძნელეები შეუქმნა საბჭოთა კავშირის ფრონტისპირა ზონიდან და სხვა რაიონებიდან ევაკუირებული ბავშვების დიდი რაოდენობით მიღებამ და სწავლებაში ჩაბმამ. ამ მიზნით შეიქმნა ახალი საბავშვო სახლები. ამასთანავე, არსებულ საბავშვო დაწესებულებებში ადგილების რაოდენობა გაიზარდა.

1944 წელს გადაწყვეტილება მიიღეს საქართველოსა და სხვა ეროვნულ რესპუბლიკებში რუსული ენის სწავლების გაძლიერებისთვის, პირველ რიგში, არმიაში სამსახურის სირთულეებთან დაკავშირებით. საშუალო სკოლებში შემოიღეს სამხედრო საქმის და სასოფლო-სამეურნეო დარგების სწავლება სოფლის მეურნეობაში მუშახელის შექმნილი დეფიციტის შემსუბუქებისა და სოფლისადმი დახმარების მიზნით. ეს ერთგვარად, მძიმე ტვირთად აწვებოდა სასკოლო განათლებას.

საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, 1943-1944 სასწავლო წლის

დასაწყისიდან ქვეყნის 77 ქალაქში, მათ შორის საქართველოს ქალაქებში შემოიღეს ქალ-ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლების მეთოდი. 1944 წლის 1-ელ ივნისის დადგენილებით დაწესდა გამოცდები მეოთხე და მეშვიდე კლასებში, საშუალო სკოლის დამთავრება სიმწიფის ატესტატით, მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისა და სანიმუშო ყოფაქცევისთვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა დაჯილდოება ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

1944 წელს ქართული ეროვნული სკოლებისთვის სპეციალურად გადამუშავდა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო „დედაენა", რომელიც იმ დროიდან, დაწყებითი კლასების სავალდებულო სახელმძღვანელო გახდა. 1943 წლის 1-ლი აგვისტოდან მასწავლებლებს ხელფასის ოდენობა 1,5-ჯერ გაეზარდათ. ამასთან, შეიქმნა სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფონდები მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მოსწავლეები ჩაბმული იყვნენ მებრძოლებისთვის თბილი ტანსაცმლისა და საჩუქრების, საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილიის „საქართველოს კომკავშირელისთვის" სახსრების შეგროვების კამპანიებში.

1945 წელს ახალციხეში გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი, ასევე ქართული დრამატული თეატრი. ამავე წლიდან დაწესდა სწავლაში გამორჩეულ საშუალო სკოლის 25 კურსდამთავრებულის გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში.

ქართველი საზოგადოება დღენიადაგ ყურადღებას იჩენდა ქართული ისტორიული პროვინციის — საინგილოსადმი, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შედიოდა. ჯერ კიდევ 1940 წელს დაისვა საკითხი ქართული სკოლების აღდგენის თაობაზე საინგილოში, პირველ რიგში, კახის რაიონში, სადაც ქართველ ინგილოთა დიდი ნაწილი ცხოვრობდა. 1945-1946 სასწავლო წელს თბილისის უნივერსიტეტში სასწავლებლად გაიგზავნა 19 ინგილო, პედაგოგიურ ინსტიტუტში 9, სამედიცინო ინსტიტუტში 8, ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში 4, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 3 და 2 ინდუსტრიულ ინსტიტუტში.

უნდა აღინიშნოს, რომ ომის პერიოდში, განათლების სისტემაში სერიოზული შეცდომები დაუშვეს საქართველოში აფხაზური და ოსური სკოლების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. 1945-1946 სასწავლო წლიდან, საკავშირო დადგენილების საფუძველზე, აფხაზური და ოსური სკოლების დაწყებით კლასებში სწავლება გადავიდა ქართულ ენაზე. რეორგანიზაციასთან დაკავშირებით აფხაზური სკოლების მასწავლებლები სამუშაოდან გაათავისუფლეს და მათ შესაცვლელად აფხაზეთში 30 ქართველი მასწავლებელი გაიგ-

ზავნა. სწავლების ქართულ ენაზე გადასვლისას აფხაზური და ოსური ენები სასწავლო პროგრამაში დარჩა, როგორც სავალდებულო საგანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების (აფხაზურ და ოსურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის) მოტივაცია ეფუძნებოდა იმას, რომ აფხაზურ და ოსურ საშუალო სკოლებში მოსწავლეებს არ ჰქონდათ რა შესაბამისი სახელმძღვანელოები (აფხაზური და ოსური საშუალო სკოლები ფაქტობრივად არც არსებობდა, მხოლოდ დაწყებითი კლასები ფუნქციონირებდნენ), არ შეეძლოთ მიეღოთ საკმარისი ზოგადსაგამანათლებლო ცოდნა. ამის შედეგად, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან მხოლოდ ცალკეული პირები შედიოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მათ უმრავლესობას არ შეეძლო აეთვისებინა უმაღლესი სკოლის პროგრამა, რის გამოც ისინი სასწავლებელს უკვე პირველი კურსიდანვე ტოვებდნენ. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ომის წლებში, თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა მხოლოდ 12 აფხაზი, ხოლო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი 1945 წელს დაამთავრა აფხაზი ეროვნების მხოლოდ ერთმა სტუდენტმა.

ხსენებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: „ვხელმძღვანელობთ რა შექმნილი მდგომარეობით, აფხაზურ სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით საბჭოთა ინტელიგენციის კადრების მომზადების რადიკალური გაუმჯობესებისათვის მიღებულ იქნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წინადადება აფხაზური სკოლების I-IV კლასების სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის შესახებ“.

ფაქტობრივად, ეროვნული სკოლების დახურვა გაუმართლებელ და მცდარ ეროვნულ პოლიტიკას ეფუძნებოდა. მან ხელი შეუწყო ადგილობრივი ინტელიგენციის ერთი ნაწილის სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერებას, მიუხედავად იმისა, რომ დაშვებული შეცდომა სულ მალე, 50-იანი წლების დასაწყისში გასწორდა — აფხაზური და ოსური სკოლების დაწყებით კლასებში ეროვნულ ენებზე სწავლება აღდგა.

ქართული მეცნიერება ომის წლებში რთული ამოცანების წინაშე იდგა. მას უნდა გადაეწყვიტა როგორც ფუნდამენტური, ასევე ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები. მეცნიერების ცენტრი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ომის დაწყებისას, დაარსებიდან ოთხი თვის თავზე, ორგანიზაციულ-სტრუქტურული ჩამოყალიბების პროცესში მყოფი, უმალვე აღმოჩნდა სირთულეების წინაშე, რომელთა დაძლევას ხელი შეუწყო სამეცნიერო დაწესებულებათა პრობლემატიკის და კვლევის მეთოდების გარდაქმნამ.

1941 წლის ივლისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდი-

უმთან შეიქმნა თავდაცვითი მუშაობის ხელშემწყობი მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის თავმჯდომარეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ თავდაცვითი ხასიათის საკითხების გადაჭრის მიზნით, ბუნებრივ სიმდიდრეთა და სხვა აუცილებელ საშუალებათა ძიების საქმეში დიდი როლი შეასრულა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილმა რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემსწავლელმა საბჭომ აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის თავმჯდომარეობით. აღნიშნული საბჭო წარმართავდა სამხედრო უწყების დაკვეთების შესრულებას. ნაგებობათა ჰიდროტექნიკის თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უკვე 1942 წლის დასაწყისში დამუშავდა მაღალი ხარისხის ცემენტისგან საავიაციო ბომბების წარმოების ტექნოლოგია, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეტალის მწვავე დეფიციტის პირობებში. ომის წლებში ფრონტს გაეგზავნა ათიათასობით ცემენტის ავიაბომბები.

ქართველმა მეცნიერ-ქიმიკოსებმა დიდი მუშაობა გასწიეს თხევადი ამიაკის წარმოებაში დანერგვისთვის, თავდაცვითი მრეწველობისთვის საჭირო ფეთქებადი ნივთიერებების დამზადებისას.

ფართო მუშაობას ეწეოდა ქიმიურ-ფარმაცევტული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ადგილობრივი სამკურნალო მცენარეებისგან მედიკამენტებისა და პრეპარატების დასამზადებლად.

ომის წლებში აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის ნაშრომები უმნიშვნელოვანესი შედეგებით გამოირჩეოდა დრეკადობისა და ჰიდრომექანიკის დარგში; გრძელდებოდა 30-იანი წლების ბოლოს დაწყებული კვლევა ატომგულისა და ელემენტარული ნაწილაკების, კოსმოსური სხივების ფიზიკის დარგში. სტალინური პრემიით აღინიშნა ნიკო მუსხელიშვილისა და ივანე ბერიტაშვილის ნაშრომები. გეოფიზიკოსებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს გეოფიზიკური დახასიათების, გეოფიზიკური კვლევის მეთოდების დამუშავებაში.

1943-1944 წლებში ქართველმა გეოლოგებმა დაადგინეს სასარგებლო წიაღისეულის 100-ზე მეტი ახალი საბადო, მათგან 27 ფერადი ლითონის, 33 იშვიათ ლითონთა, 42 სამთამადნო ნედლეულის და ა.შ.

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებამ. ამან განაპირობა 1942 წლის მაისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა განყოფილების შექმნა, რომელიც 7 სამეცნიერო დაწესებულებას აერთიანებდა.

ფართო მასშტაბის სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოები მიმდინარეობდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში აკადემიკოს ივანე

ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით, კონტუზიისა და ნერვულ-კუნთოვანი სისტემის დაზიანების მკურნალობის მეთოდების შესამუშავებლად ფიზიოლოგიის ინსტიტუტში მუშაობდნენ ჭრილობის შეხორცების დამჩქარებელი სტიმულატორების შესწავლაზე, აშზადებდნენ სპეციალურ კონსერვანტებს, რომელთაც წარმატებით იყენებდნენ სამედიცინო პრაქტიკაში.

ომის წლებში აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით, ენის ინსტიტუტში შეიქმნა ლოგოპედთა ჯგუფი, რომელიც მუშაობდა სამედიცინო დაწესებულებებთან კავშირში კონტუზიამიღებულ მებრძოლთა მეტყველების ფუნქციის მკურნალობა-აღდგენის მეთოდების შესწავლაზე.

ჰუმანიტარული, კერძოდ, საისტორიო, საენათმეცნიერო და სხვა დარგების მეცნიერების განვითარებისთვის ომის წლებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო დაწესებულებათა სტრუქტურის გარდაქმნას. აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი გაიყო ორ დამოუკიდებელ, ისტორიისა და ენის ინსტიტუტებად; შეიქმნა საისტორიო პროფილის ახალი დაწესებულებანი — ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი (1943); ქართული ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“ და მუზეუმ-ნაკრძალი „ვარძია“.

ომის წლებში გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, მესამე წიგნი; 1943 წელს სიმონ ჯანაშიას საქართველოს ძველი ისტორიის დარგში შექმნილი ნაშრომებისათვის სტალინური პრემია მიენიჭა. 1943 წელს გამოიცა ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და სიმონ ჯანაშიას ავტორობით შედგენილი პირველი სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიისა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე (1947 წელს მიენიჭა სტალინური პრემია), რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის. ომის წლებში გამოქვეყნდა თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (1941), თამარის მეორე ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი“ (1944); ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“.

მართალია, 1941 წლის ივლისიდან შეწყდა არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობა, მაგრამ ომის წინა ხანებში საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებზე რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოქვეყნდა: ბორის კუფტინის „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“, რომელსაც 1942 წელს სტალინური პრემია მიენიჭა. 1942 წელს გამოქვეყნდა გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნის, გიორგი წერეთლის „არმაზის ბილინგვა“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და სხვა

ნაშრომები. 1943 და 1944 წლებში კვლავ განახლდა არქეოლოგიური გათხრები მცხეთის სამთავროს და კოლხეთის დაბლობზე. ომის წლებში ხელოვნ-საექსპედიციო სამუშაოებისთვის საჭირო მატერიალური სახსრებისა უქონლობის პირობებშიც კი ქართველი ეთნოგრაფები აგრძელებდნენ მასალების მოპოვებით სამუშაოებს. ომის წლებში შეწყდა გამოცემა კრებულისა — „მასალები კავკასიის ეთნოგრაფიისათვის". ეთნოგრაფიული ექსპედიციები კვლავ განახლდა 1944 წლის ივნისიდან გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით სვანეთში, გურიაში, ხევსურეთსა და გუდამაყარში.

ომის წლებში გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი ნაშრომები დიპლომატიკის, ეპიგრაფიკის, ნუმიზმატიკის და სხვა დარგებში.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობდა აფხაზეთის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში.

ომის პერიოდში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ განიცადა ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებები, გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ქსელი.

1941 წლის მარტში დაარსდა გეოგრაფიის, სატყეო, მემინდვრეობის და თელავის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტები.

1943 წელს დაარსდა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის და ფსიქოლოგიის ინსტიტუტები, 1944 წელს ეკონომიკის ინსტიტუტი, სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

1945 წლის მარტში დაარსდა ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტები.

გაიზარდა მეცნიერ-მუშაკთა რიცხვი. თუ 1941 წელს აკადემიაში მუშაობდა 337 მეცნიერი თანამშრომელი და მათგან 16 აკადემიკოსი, 1945 წელს მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობა გაიზარდა 542-მდე, მათ შორის აკადემიკოსი იყო 29, წევრ-კორესპონდენტი — 13. 1944 წელს აკადემიაში, ნამდვილ წევრებად აირჩიეს ნიკო ბერძენიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, შალვა ნუცუბიძე, ვარლამ თოფურია, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების განყოფილებაში — ალექსანდრე დიდებულიძე, გრიგოლ მუხაძე, ალექსანდრე ნათიშვილი, გრიგოლ წულუკიძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი; სოფლის მეურნეობის დარგში — ს. ჩოლოყაშვილი. აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს 13 მეცნიერი.

ქართული ლიტერატურა

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარების თავისებურება, მისი გმირული და რომანტიკული აზროვნება მკვეთრად გამოვლინდა ომისდროინდელ პოეზიასა და პროზაში, დრამატურგიაში. გმირუ-

ლი ტრადიცია განსაზღვრავდა ომის წლების მხატვრული შემოქმედების შინაარსსა და პათოსს. ქართული პოეზიის ცენტრში იდგა მეომარი გმირი.

ომის პირველსავე დღეებში დაიწერა გალაკტიონ ტაბიძის „ყველა სამშობლოდ გავიდეთ“, გიორგი ლეონიძის „ჰეი, არწივნო“! იოსებ გრიშაშვილის „ჩვენს დებს და დედებს“.

ომში დაღუპულ მეომრებს მიეძღვნა გალაკტიონ ტაბიძის „უცნობ მეომართა სამარე უღელტეხილზე“, სიმონ ჩიქოვანის „სიზმარი“, გრიგოლ აბაშიძის, ალიო მირცხულავას, კარლო კალაძის, ლადო ასათიანის და სხვა ავტორთა ლექსები.

მრავალი ქართველი პოეტი იარაღით ხელში ებრძოდა ფაშისტ ოკუპანტებს. რევაზ მარგიანის ლექსების ციკლში გამოხატულია მძიმე ფრონტული ცხოვრების რომანტიკა, შალვა ამისულაშვილის ლექსებში — მტერზე გამარჯვების ოცნება.

ომში გმირულად დაღუპული მირზა გელოვანის ლექსები — „ფრონტი“, „განგაში“, „ბრძოლის წინ“ და სხვები, პოეტისა და მეომრის ერთგვარი აღსარებაა. მირზა გელოვანის ბედი გაიზიარეს ახალგაზრდა პოეტებმა სევერიან ისიანმა და გიორგი ნაფეტვარიძემ.

აღსანიშნავია გრიგოლ აბაშიძის პოეტური ეპოსი „უძლეველი კავკასიონი“ (1943), მისი მეორე პოემა „გიორგი მეექვსე“ ქრონოლოგიურად დაშორებულ, ისტორიულ პარალელს იმეორებდა და ამ ხერხით მოუწოდებდა მეომრებს ბრძოლისათვის ფაშიზმის წინააღმდეგ.

ომის წლებში დაიწერა ისტორიული პოემები: სიმონ ჩიქოვანის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ (1944) და ლადო ასათიანის „ბასიანის ბრძოლა“, ალექსანდრე გომიაშვილის ლირიკული პოემა „დარიალი“.

ომის დიდ სიძნელეებსა და ფრონტის წინა ხაზზე, თუ მტრის ზურგში ჩადენილ წარმოუდგენელ გმირობაზე მოგვითხრობენ ქართული პროზაული ნაწარმოებები: შალვა დადიანის მოთხრობები „თამბაქო“ და „ამბები ფრონტიდან“. ომის წლებში გამოქვეყნდა ლეო ქიაჩელის მოთხრობა „მამა და შვილი“ და ფრაგმენტები რომანიდან „მთის კაცი“; კონსტანტინე ლორთქიფანიძის „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“, რაჟდენ გვეტაძის „მართალი ნოველები“, გიორგი ნატროშვილის მოთხრობები და ნარკვევები „დასავლეთის ფრონტზე“, სერგო კლდიაშვილის მოთხრობა „ერთი ღამის ამბავი“ და სხვ.

მოქმედ არმიაში მებრძოლი და გაზეთების კორესპონდენტებად მყოფი ქართველი პროზაიკოსების — დემნა შენგელაიას, გიორგი ნატროშვილის, ელიზბარ ზედგენიძის ფრონტული შთაბეჭდილებები საფუძვლად დაედო მათ პროზაულ ნაწარმოებებს.

ომის პერიოდში მრავალი ქართველი პროზაიკოსი — კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე ქუთათელი, გიორგი შატბერაშვილი და სხვა ისტორიულ წარსულს მიმართავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგიის „დავით აღმაშენებლის“ პირველი ტომის გამოქვეყნება. რომანი ასახავს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს, როდესაც ყალიბდებოდა ერთიანი და ძლიერი ქართული სახელმწიფო.

ქართულ ისტორიულ რომანისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აკაკი ბელიაშვილის რომანს „ბესიკი“, რომლის დიდი ნაწილი ომის წლებში დაიწერა, ასევე, ალექსანდრე ქუთათელის ოთხტომიანი რომანის მესამე წიგნს — „პირისპირ“.

ქართული თეატრი. კავკასიის დაცვის ეპოპეას გამოეხმაურა სერგო კლდიაშვილი პიესით „ირმის ხევი“ (1944), რომელიც ომის თემაზე დაწერილი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. შინდაბრუნებულის ფრონტულ ცხოვრებას მიეძღვნა გიორგი შატბერაშვილის პიესა „ფიქრის გორა“. ისტორიულ თემატიკაზე დაიწერა სანდრო შანშიაშვილის პიესები „კრწანისის გმირები“ და „იმერეთის ღამეები“.

ომის წლებში საომარ ყაიდაზე გარდაიქმნა საქართველოს თეატრალური ცხოვრება, რაც, პირველ ყოვლისა თეატრების რეპერტუარში ანტიფაშისტური, სამხედრო-პატრიოტული და ისტორიულ-საგმირო თემატიკის შემოტანაში გამოიხატა. ამასთან, თეატრების რიცხვი 48-დან 39-მდე შემცირდა, რაც ახალგაზრდა მსახიობთა და თეატრის მუშაკთა არმიაში გაწვევამ გამოიწვია. მაგრამ ამის მიუხედავად, რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებთან ერთად, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული, ს. ჭანბას სახელობის აფხაზური, ს. შაუმიანის სახელობის სომხური, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ოსური, ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის, გორისა და თელავის თეატრები, ომის წლებში ქართულ პიესებს დგმდნენ: გიორგი მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, „მოსკოვის ცის ქვეშ“ და „პარტიზანები“; გიორგი შატბერაშვილის „ფიქრის გორა“, სერგო კლდიაშვილის „ირმის ხევი“, სანდრო შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“ და „კრწანისის გმირები“, ლევან გოთუას „ერეკლე მეორე“ და „უძლეველნი“, ა. სამსონიას „ბაგრატიონი“, მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული“, აგრეთვე რუსი ავტორების პიესებს — სელვინსკის „ბრუსილოვი“, რაევსკის და კაცის „ოლეკო დუნდიჩი“, ვალენტინ კატაევის „ჯარისკაცი ბრუნდებოდა ფრონტიდან“ და სხვ.

თბილისში ევაკუირებული იყვნენ გამოჩენილი რუსი და უკრაინელი თეატრალური მოღვაწეები — ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ვ. კაჩალოვი, ო. კნი-

პერ-ჩეხოვა, მ. თარხანოვი, ვ. შევჩენკო, ე. მასალიტინოვა, ვ. კლიმოვი და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის წლებში რესპუბლიკის თეატრებთან ჩამოყალიბდა სამხატვრო ბრიგადები, რომლებიც სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო მეჩონგურე ქალთა ანსამბლებთან, მომღერალთა სხვა გუნდებთან ერთად საშეფო კონცერტებს მართავდნენ ჯარის ნაწილებსა და ჰოსპიტლებში, ბევრი თეატრი გამსვლელ წარმოდგენებსაც მართავდა სამხედრო შენაერთებსა და ევაკოჰოსპიტლებში.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგა ახალი ქართული ოპერები — ო. გოკიელის „პატარა კახი", ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი", ანდრია ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული".

ომის წლები ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებით, კომპოზიტორთა ინტენსიური შემოქმედებით ხასიათდებოდა. შეიქმნა მრავალი საგუნდო სიმღერა, რომანსი, რომელთა ავტორები იყვნენ დიმიტრი არაყიშვილი, ალექსი მაჭავარიანი, რევაზ გაბიჩვაძე, არჩილ ჩიმაკაძე, ვალერიან ცაგარეიშვილი, გრიგოლ კოკელაძე, იონა ტუსკია, ალექსანდრე ბუკია, შალვა და ოთარ თაქთაქიშვილები და სხვ. რომანსებიდან გამოირჩევა ალექსი მაჭავარიანის „არ დაიდარდო, დედაო" (გიორგი ლეონიძის ტექსტზე). კავკასიის გმირულ დაცვას მიეძღვნა ნ. გუდიაშვილის კანტატა „კავკასიონი" (1944 წ.), ნ. ნარიმანიძის „საბჭოთა არმიაში გაცილება", რომელიც 1943 წელს მოსკოვში შესრულდა.

ომის თემა აისახა შ. მშველიძის პირველ და მეორე სიმფონიაში (1943-1944 წწ.); დაიწერა ნ. გუდიაშვილის პირველი და კ. მელვინეთუხუცესის მეხუთე სიმფონიები; 1944 წ. იონა ტუსკიამ შექმნა ერთნაწილიანი სავიოლინო კონცერტი.

ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლის თემა აისახა ოპერებში — ვ. გოკიელის „პატარა კახი" (აკაკი წერეთლის პოემის მიხედვით, 1943 წელი) და ალექსი მაჭავარიანის „დედა და შვილი" (ილია ჭავჭავაძის მიხედვით, 1944 წ.).

აღსანიშნავია, რომ ომის წლებში იმართებოდა თბილისში მცხოვრები ევაკუირებული ცნობილი კომპოზიტორების — სერგეი პროკოფიევის, ნ. მიასკოვსკის საავტორო საღამოები, დირიჟორების ა.გაუკის და ა.სტასევიჩის, მომღერალ ნ. დორლიაკის, პიანისტ ა. გოლდენვეიზერის, მსახიობ კ. ერდელის, მევიოლინე ბ. სიბორის კონცერტები. თბილისში იყვნენ ევაკუირებული კიევისა და ხარკოვის საოპერო თეატრების სოლისტები: მ. გრიშკო, ი. კიპორენკო-დამანსკი, ნ. ჩასტი, აგრეთვე მხატვარი ი. გრაბარი, მწერალი ვ. ვერესაევი, არქიტექტორი ვ. ვესნინი.

სახვითი ხელოვნება

სამამულო ომის თემას მიუძღვნეს თავიანთი ნამუშევრები ხელოვანებმა: თამარ აბაკელია — ქანდაკება „შურს ვიძიებთ“, ვარლამ თოფურიძე — „პარტიზანი“, ირაკლი თოიძე — პლაკატი „დედა სამშობლო გვიხმობს“, რომელმაც მსოფლიოში აღიარება მოიპოვა.

1942 წელს თბილისში დაიდგა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის, შოთა რუსთაველის ძეგლი (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი).

ომის წლებში იაკობ ნიკოლაძემ შექმნა გენერლების — პორფილე ჩანჩიბაძის და კონსტანტინე ლესელიძის სკულპტურული პორტრეტები, ამ პერიოდს განეკუთვნება თამარ აბაკელიას ქანდაკებები „კავკასიის დაცვა“ და „დაჭრილი პარტიზანი“, მოსე თოიძის ფერწერული სურათი „წერილი ფრონტიდან“ და „თბილისელი ქალები აშზადებენ საჩუქრებს ფრონტზე გასაგზავნად“, ირაკლი თოიძის ტილოები „ფაშისტების მხეცობა“ და „დავიცავთ კავკასიას“, უჩა ჯაფარიძის „დედის ფიქრები“, კ. სანაძის „გმირი ჭაბუკი“. მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებას მიაღწიეს მხატვრებმა: ელენე ახვლედიანმა, ქეთევან მაღალაშვილმა, გ. ჯაშმა, შ. მამალაძემ, რ. მირზაშვილმა და სხვ. მხატვარ-დეკორატორებმა სოლიკო ვირსალაძემ, ირაკლი გამრეკელმა, სერგო ქობულაძემ, ვალერიან სიდამონ-ერისთავმა და სხვ.

არაერთი ქართველი მხატვარი იბრძოდა ფრონტზე, მათ შორის — ა. გიგოლაშვილი, გ. ჯაფარიძე, ა. კოპალიანი, დ. თავაძე, გ. ვარაზაშვილი — „კაპიტანი მონტი“, როგორც მას იტალიელმა პარტიზანებმა შეარქვეს. „კაპიტანმა“ იტალიელი ხალხის აღიარება დაიმსახურა და სამუდამო განსასვენებელი იტალიის მიწაზე პოვა.

ქართული კინო

1942 წელს ომის თემაზე შეიქმნა კინოფილმი „ხიდი“ (რეჟისორი კონსტანტინე პიპინაშვილი), „გიორგი საკაძის“ პირველი სერია, მეორე სერია 1943 წელს გამოვიდა ეკრანებზე. კინოეპოპეის რეჟისორს, მიხეილ ჭიაურელს და მთავარი როლების შემსრულებლებს აკაკი ხორავასა და ვერიკო ანჯაფარიძეს სტალინური პრემია მიენიჭათ.

ომის წლებში გადაღებული მუსიკალური კინოსურათი „ჯურღაის ფარი“ (რეჟისორები სიკო დოლიძე და დავით რონდელი), სტალინური პრემიით აღინიშნა. 1945 წელს ეკრანებზე გამოვიდა „ჭირვეული მეზობლები“ (რეჟისორი შოთა მანაგაძე) ხალხის თავდადებული შრომის შესახებ ომის მსვლელობისას.

კინოდოკუმენტალისტებმა კინოფირზე ასახეს ქართული 414-ე, 224-ე მსროლელი და 242-ე სამთო მსროლელი დივიზიების საბრძოლო გზა კავკასიისა

და ყირიმის ფრონტებზე. ეკრანებზე გამოვიდა დოკუმენტური ფილმები: „კავკასიონი“ (რეჟ. ლ. ვარლამოვი და შ. ჩაგუნავა), „გენერალი ოსელიძე“ (რეჟ. კ. გრძელიშვილი), „ფაშისტი მხეცების კვალდაკვალ“ (რეჟ. შ. ჩაგუნავა), „ომი ზღვაზე“ (რეჟ. შ. ხომერიკი), „ჩანჩიბაძის გვარდიული არმია უკანასკნელ ბრძოლებში“ (რეჟ. გ. ასათიანი), „ჩვენი ჯარების დარტყმა ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან“ (რეჟ. ი. კანდელაკი) და ო. დეკანოსიძის და ვლ. კილასონიას დოკუმენტური ფილმები ყირიმის ბრძოლების შესახებ.

თბილისის კინოსტუდიამ ომის წლებში საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოები განახორციელა, რისთვისაც იგი 1944 წელს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სამხედრო შენაერთებში, კერძოდ, 414-ე, 406-ე, 224-ე, 286-ე, 292-ე და 349-ე ქართულ ეროვნულ დივიზიებში გამოდიოდა ე.წ. ფრონტული გაზეთები ქართულ ენაზე.

ომის წლებში საქართველოს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, კომუნისტური პარტიის მკაცრი მოთხოვნების მიუხედავად, რომელიც სახელმწიფო დაკვეთების შესრულებას ავალდებულებდა და შესაბამისად, შემოქმედებითი ინტერესებს მკაცრ ჩარჩოებში ათავსებდა, უძიმეს ყოფით პირობებში გაორკეცებული ენერგიით იღვწოდნენ ეროვნული კულტურის განვითარებისთვის, რაც აისახა ლიტერატურის, თეატრის, კინოს, მუსიკის და სახვითი ხელოვნების არაერთი შესანიშნავი ნაწარმოების შექმნაში.

საეკლესიო ცხოვრება ომის პერიოდში

მეორე მსოფლიო ომის წლები, ომამდე ძალზე შეზღუდული ქართული ეკლესიის ერთგვარი აქტივიზაციის პერიოდია. 20-იანი წლებისთვის საქართველოს საპატრიარქოში 1500 მოქმედი ეკლესია, 1600 მღვდელი და ამდენივე დიაკონი-წიგნის მკითხავი ითვლებოდა. 1937 წლის 1-ლი იანვრისთვის კი ეკლესიების დანგრევისა და დახურვის შედეგად დარჩენილი იყო მხოლოდ 187 მოქმედი ეკლესია, 203 მღვდელი და 43 დიაკონ-წიგნისმკითხველი, 1937 წელს მრავალი ეკლესია დაიხურა. სამღვდელონი ნებსით თუ უნებლიეთ ჩამოშორდნენ ეკლესიას. ზოგი მრევლმა არ გაუშვა და სთხოვა ტაძრის გარეშე გაეწიათ ღვთისმსახურება. ისინიც ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, სახელმწიფოს უხდიდნენ გადასახადს, იძენდნენ სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ობლიგაციებს, მონაწილეობდნენ ფრონტის დასახმარებლად თბილი ტანსაცმლის შეგროვებაში და ა.შ.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ომის წლებში სათავეში ედ-

გა კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე. მას უეკლესიოდ დარჩენილი მღვდლების მდგომარეობა არაკანონიერად მიაჩნდა, ამიტომ დაიწყო სამოქალაქო ხელისუფლებასთან მოთათბირება, რის შედეგადაც მიაღწია შეთანხმებას. მღვდლები დაარეგისტრირეს და მრევლს საშუალება მიეცა დაეკმაყოფილებინა თავის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა ნაწილი.

ომის პირობებში გაიზარდა მორწმუნეთა რიცხვი. ეკლესიებში პოულობდა ნუგეშსა და სასოებას ომში დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა ჭირისუფალი.

1943 წლის 8 ოქტომბერს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან დაარსდა მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო, რომლის კომპეტენცია ვრცელდებოდა მთელი კავკასიის, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაზე. ამიტომ, სამრევლოებმა კათალიკოს-პატრიარქს გადასცეს მოთხოვნები ეკლესიების გახსნისთვის. ეს მოთხოვნები 1944 წლის 10 იანვარსა და 17 თებერვალს გადაეგზავნა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ მართლმადიდებელი ეკლესიის საბჭოს რწმუნებულს საქართველოში კ. ქადაგიშვილს, რომელმაც სათანადო შუამდგომლობა აღძრა მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საკავშირო საბჭოს წინაშე. 1945 წლის მარტისთვის გაიხსნა სამი ეკლესია — მანგლისში, სტალინირში (ცხინვალში) და ბათუმში, სადაც ამოქმედდა სამების სახელობის ეკლესია. ამ დროისათვის საკათოლიკოსოში მოქმედებდა 29 ეკლესია, სადაც მოღვაწეობდა 5 მღვდელმთავარი, 41 ძირითადად მომუშავე მღვდელი, ორი პროტოდიაკონი და 3 წიგნისმკითხველი, ზედმიწერილი 77 მღვდელი და 2 მედავითნე, საკათოლიკოსოში სულ ეკლესიის 135 მსახური ირიცხებოდა.

ქართული ეკლესია ომის წლებში თავდაცვის ფონდში პირად და მორწმუნეთა შორის შეგროვილი თანხების შეტანაში მონაწილეობდა. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, იოსებ სტალინს 1942 წლის 5 ივნისის ტელეგრამით აუწყა, რომ ქართულმა ეკლესიამ წითელი არმიის დასახმარებლად სახელმწიფო ბანკში შეიტანა 85 ათასი მანეთი, ხოლო 1944 წლიდან 1945 წლის 26 მარტისთვის, ეკლესიამ 102274 მანეთი შეკრიბა.

1943 წლის 28 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა სრულიად რუსეთის პატრიარქის მიერ წარმოგზავნილი სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი ანტონი. 31 ოქტობერს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ მთავარეპისკოპოს ანტონთან თანამწირველობით სიონის ტაძარში შეასრულა საღვთო ლიტურგია. ამ ფაქტით რუსეთის ეკლესიამ ოფიციალურად პირველად ცნო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და ამის შესახებ მართლმადიდებელ მწყემსმთავრებს ამცნო.

1943 წლის 31 ოქტომბერს მოხდა კანონიკურ-ევქარისტული კავშირის აღდგენა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელიც შეწყვეტილი იყო 1917 წლიდან, როდესაც აღდგა საქართველოს ეკლესია ავტოკეფალია და გამოეყო რუსეთის სინოდს.

1945 წლის იანვარ-თებერვალში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე მოსკოვს „ფრიად საპატიო სტუმრად" მიიწვიეს სრულიად რუსეთის პატრიარქის არჩევნებზე დასასწრებად. ამ აქციაზე მიწვეული იყო უცხოეთის ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, რომელთაგან პირადად გამოცხადდნენ ალექსანდრიისა და ანტიოქიის პატრიარქები, ასევე, კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, სერბეთისა და რუმინეთის საპატრიარქოების წარმომადგენელნი.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1945 წლის 13 იანვარს მოსკოვს გაემგზავრა.

მიტროპოლიტ სერგეის შემდეგ, სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსის კურთხევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა.

ცნობილი ქართველი ემიგრანტი, გენერალი შალვა მაღლაკელიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „ცნობილია, რომ სტალინმა კალისტრატეს აკურთხებინა სრულიად რუსეთის პატრიარქი". ამ ფაქტს შალვა მაღლაკელიძე იმით ადასტურებს, რომ თვით ჰქონია ნანახი გერმანულ გაზეთებში, მოსკოვს კალისტრატე გვირგვინს ადგამს ალექსის.

ამ ფაქტის საფუძველი ის გარემოება შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ჰქონდა მორალური უფლება რუსეთის პატრიარქის კურთხევისა ვითარცა ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარს.

აღსანიშნავია, რომ ომის წლებში ქართულად და რუსულად, ცალ-ცალკე ფურცლებზე დაიბეჭდა „ღვთისმსახურების დროს საკედრებელი თხოვნანი" და „საქართველოს ეკლესიის კალენდარი" 1945 წლის წიგნაკი და ტაბულა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის ეკლესიისადმი ეს ერთგვარი შემობრუნება აიხსნებოდა იმით, რომ ეკლესიამ მხარი აუბა თავისი ხალხის ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ სულიერად და მატერიალურად. თითქოს გაცოცხლდა ისტორიული ტრადიცია იმისა, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მხარში ედგა თავის ხალხს დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ასე იყო ამჯერადაც. ეს გარემოება ერთ-ერთი საბუთია იმისა. რომ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას გათავისებული ჰქონდა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების მხარდამხარ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XVII.

საქართველო ომის შემდგომი აღდგენისა და განვითარების ხანაში (1945-1960 წწ.)

ზოგადპოლიტიკური მდგომარეობა მსოფლიოში, საბჭოთა კავშირსა და საქართველოში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის მთავარი შედეგი იყო ფაშისტური ბლოკის სამ სახელმწიფოზე — გერმანიაზე, იტალიასა და იაპონიაზე ანტიჰიტლერული კოალიციის: საბჭოთა კავშირის, აშშ-ისა და ინგლისის ძლევამოსილი გამარჯვება. საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, ინგლისის და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა 1943 წლის 30 ოქტომბერს ხელი მოაწერეს „ოთხი სახელმწიფოს დეკლარაციას საყოველთაო უშიშროების თაობაზე". ამ დეკლარაციით აუცილებლად იქნა მიჩნეული უმოკლეს დროში დაარსებულიყო საყოველთაო უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის წესდების მისაღებად საჭირო იყო კონფერენციის მოწვევა სან-ფრანცისკოში. ამ კონფერენციაზე 1945 წლის 26 ივნისს საყოველთაო მშვიდობისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის უზრუნველყოფისთვის შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), რომლის წესდებას ხელი მოაწერა მსოფლიოს 50-მა სახელმწიფომ. წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბრიდან.

გაეროს შექმნის მიზანი იყო მომავალი თაობების ომის საშიშროებისგან დაცვა, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარება, საყოველთაო პატივისცემა რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად მკვეთრად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ, იმის შედეგადაც, რომ ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მემარცხენე ძალების ხელმძღვანელობით, შეუერთდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას გერმანელი ოკუპანტებისა და ასევე, შინაგანი რეაქციის წინააღმდეგ, რამაც განაპირობა ე.წ. სახალხო-დემოკრატიული, სოციალისტური რეჟიმების შექმნა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთსა და ალბანეთში.

ყოველივე ეს ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირის ზეწოლის შედეგად. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში და უნგრეთში ბრძოლა გაიშალა ახალი წყობილების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. საბჭოთა ჯარები იდგნენ ევროპის მთელ რიგ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

კარდინალური ცვლილებები ხდებოდა აზიის მთელ რიგ სახელმწიფოებში. ჯერ კიდევ 1940 წელს სოციალისტური განვითარების გზას დაადგა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა; 1945 წელს იაპონელი ოკუპანტები განდევნა საკუთარი ტერიტორიიდან ვიეტნამმა და თავი დააღწია მათ ბატონობას. 1945 წლის სექტემბერში გამოცხადდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ასეთივე გზას დაადგა ჩრდილოეთ კორეა, რომელიც იაპონიის ბატონობისგან საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა. 1948 წლის სექტემბერში შეიქმნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.

დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ხანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა ჩინელი ხალხი, რომელსაც უდიდეს დახმარებას უწევდა საბჭოთა კავშირი. 1949 წლის 1-ლ ოქტომბერს გამოცხადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, იმავე წლის 7 ოქტომბერს კი შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამრიგად, ჩამოყალიბდა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რომელიც მოიცავდა დედამიწის მოსახლეობის 1/3-ზე მეტს და ტერიტორიის (ხმელეთის ზედაპირის) 26%-ს. მსოფლიოს ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული ბანაკის გარდა, ქვეყნების ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ: ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია, აღმანისტანი, ავსტრია, ფინეთი და სხვა, რომლებიც არ შეუერთდნენ აღნიშნულ ორ ბანაკს, შექმნა ე.წ. ნეიტრალური ქვეყნების ბანაკი, ანუ „მშვიდობის ზონა“.

აღნიშნული ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ხორციელდებოდა ე.წ. ცივი ომის ვითარებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1945 წელს გამოჩნდა საბჭოთა კავშირის გავლენისგან ევროპის ქვეყნების გათავისუფლების მოწოდებები. 1946 წლის 14 მარტს თავის სიტყვაში, ფულტონში (აშშ), უინსტონ ჩერჩილმა პირველად იხმარა გამოთქმა „რკინის ფარდა“, რაც ნიშნავდა მსოფლიოს გამოყოფას საბჭოთა კავშირისგან, მის საერთაშორისო იზოლაციას. ჩერჩილმა ისარგებლა აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის დაძაბვით ირანის კრიზისთან დაკავშირებით, რადგან საბჭოთა კავშირმა ირანიდან ჯარების გამოყვანა დააგვიანა, სადაც იგი დისლოცირებული იყო გერმანიასთან ომის დაწყების დროიდან და მოუწოდა, პირველ ყოვლისა, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ყოფილ მოკავშირეებს, „ეჩვენებინათ ძალა რუსებისათვის და დაერაზმათ მსოფლიო „აღმოსავლეთის კომუნიზმის წინააღმდეგ“.

ჩერჩილის გამოსვლა ფულტონში, რომელსაც უმალ მოჰყვა სტალინის ინტერვიუ, სადაც აღნიშნული სიტყვა შეფასებულ იქნა როგორც მიმართული ომისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მიჩნეულია „ცივი ომის" დასაწყისად, თუმცა ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

„ცივი ომი" ნიშნავდა დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ახალი კურსის შემუშავებას. აშშ-ის საგარეო პოლიტიკური პროგრამა ჩამოყალიბდა პრეზიდენტ „ტრუმენის დოქტრინის" სახით 1947 წლის მაისში. აღნიშნულმა დოქტრინამ დაუდო სათავე ფართო სამხედრო დახმარებას მთელი რიგი ქვეყნებისადმი, რის შედეგადაც სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე იქმნებოდა ამერიკული სამხედრო ბაზების ფართო ქსელი.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პოლიტიკის გამოხატულება იყო „მარშალის გეგმა", რომლის ავტორი იყო 1947-1949 წლებში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯორჯ მარშალი.

„მარშალის გეგმა" ითვალისწინებდა სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციას დასავლეთ ევროპაში, დასავლეთ გერმანიის ჩართვას დასავლეთის ბლოკში და საბჭოთა გავლენის შესუსტებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

საბჭოთა კავშირმა უარი განაცხადა, მონაწილეობა მიეღო „მარშალის გეგმის" განხორციელებაში, რაც წამგებიან დიპლომატიურ სვლად მიიჩნევა. 1948 წლის აპრილში აშშ კონგრესმა მიიღო „მარშალის გეგმა" უცხოეთის სახელმწიფოებისადმი დახმარების კანონის ფორმით.

1951 წლის 30 დეკემბრიდან შეწყდა „მარშალის გეგმის" ოფიციალური მოქმედება და იგი შეიცვალა „უშიშროების უზრუნველყოფის" კანონით, რომელიც ითვალისწინებდა აშშ-ის მხარდამჭერი ქვეყნებისადმი ერთდროულ სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას.

სოციალისტური ბანაკის შექმნამ განაპირობა 1949 წლის იანვარში საერთაშორისო რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციის — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს („სევ") შექმნა. მასში შევიდნენ: ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, საბჭოთა კავშირი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ალბანეთი (1961 წელს შეწყვიტა მონაწილეობა), ხოლო 1950 წლის სექტემბერში ამ ორგანიზაციას შეუერთდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მიზანი იყო წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება საერთო ძალებით.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის „ახალი კურსის" განხორციელებისთვის 1949 წელს შეიქმნა ჩრდილოეთ ატლანტიკის ორგანიზაცია, ანუ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი (ნატო).

ომის შემდგომ საბჭოთა კავშირი იბრძოდა ახალი ომის საშიშროების აღ-

საკვეთად. 1946 წლის სექტემბერში საბჭოთა მთავრობამ პირველმა დააყენა საკითხი ატომური ბომბის აკრძალვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50-იანი წლების დასაწყისისთვის დაიწყო კოლონიური სისტემის ნგრევის გლობალური პროცესი. აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის ბოლოსთვის შეიქმნა ატომური იარაღი, რომლის პირველმა გამოყენებამ იაპონიის ქალაქების ხიროსიმასა და ნაგასაკის — დაბომბვისას შეიწირა ასიათასობით ადამიანი. აშშ-ის ხელმძღვანელები ვარაუდობდნენ ატომურ იარაღზე მონოპოლიის ხანგრძლივ შენარჩუნებას და ამის შესაბამისად აგებდნენ თავიანთ საგარეო პოლიტიკას. ამ ბარბაროსულმა აქციამ „სტიმული მისცა" ატომური იარაღის შექმნას საბჭოთა კავშირში. ამ მიზნით ქვეყნის ტერიტორიაზე გაჩნდა არაერთი დახურული (გასაიდუმლოებული) ობიექტი, რომელთაც ევალებოდათ ატომური ბომბის და ატომმზიდი ტრანსპორტის შექმნის სათანადო სისტემისა და ტექნოლოგიური მხარეების შესრულება. ომის დროს საქართველოს ტერიტორიაზე, ქალაქ სოხუმში უკვე არსებობდა ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანდა აგუძერასა და სინოპის ობიექტები, სადაც თავდაპირველად ტყვე გერმანელი სპეციალისტები მუშაობდნენ.

გასაიდუმლოებული იყო სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი. 80-იანი წლების მეორე ნახევარში ინსტიტუტი კონვერსიაზე გადავიდა.

1949 წელს საბჭოთა კავშირში ატომური იარაღი შეიქმნა.

40-იანი წლების ბოლოს ახალი ომის მუქარამ და საფრთხემ განაპირობა მშვიდობის მომხრეთა მასობრივი მოძრაობის განვითარება. 1949 წლის 20-25 აპრილს პარიზის კონგრესმა მიიღო მანიფესტი, რომელშიც მოუწოდა ყველა ქვეყნის ხალხებს მხარი დაეჭირათ მშვიდობისათვის აქტიური ბრძოლისათვის. კონგრესმა აირჩია მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტი გამოჩენილი მეცნიერ-ფიზიკოსის ფრედერიკ ჟოლიო კიურის თავმჯდომარეობით.

1950 წლის 19 მარტს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიამ მიიღო ისტორიული მოწოდება ატომური იარაღის — როგორც ადამიანთა დაშინებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აუცილებელი აკრძალვის და ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ. ამ მოწოდებას ხელი მოაწერა 500-მა მილიონმა კაცმა მსოფლიოში, მათ შორის 115-მა მილიონმა საბჭოთა კავშირში, ხოლო საქართველოში, 1950 წლის ივნისში, მშვიდობის დაცვის საქართველოს კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ატომური იარაღის აკრძალვის ხსენებულ მიმართვას ხელი მოაწერა 2 275 ათასმა კაცმა.

1951 წლის 5 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა

საქართველოს შესაბამისი უწყების წარდგენით ბრძანებულება მიიღო საქართველოში თბილისისა და ქუთაისის ოლქების შექმნის შესახებ.

ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობის, რაიონებთან ცენტრის კავშირის გაძლიერებას. მაგრამ სულ მალე აშკარა გახდა, რომ საოლქო ორგანოები ზედმეტი რგოლი იყო, რომელიც ხელმძღვანელ ორგანოებს არათუ აახლოებდა ადგილობრივ ორგანოებთან, არამედ პირიქით, აშორებდა მათ. ამიტომ, 1953 წლის 23 აპრილს თბილისის და ქუთაისის ოლქები გააუქმეს.

50-იანი წლების პირველ ნახევარში სამჯერ შეიცვალა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. „მეგრელთა საქმესთან" დაკავშირებით. 1952 წლის აპრილში საკავშირო კპ ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლეს კანდიდ ჩარკვიანი და მის ნაცვლად აირჩიეს აკაკი მგელაძე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ზ. ჩხუბიანიშვილი, ხოლო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ზ. კეცხოველი.

ერთი წლის შემდეგ, იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ისევ შეიცვალა: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ა. მირცხულავა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ვ. ცხოვრებაშვილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, მეორედ, ვალერიან ბაქრაძე.

1953 წლის სექტემბერში, ლავრენტი ბერიას განადგურების შემდეგ, მოსკოვმა საჭიროდ მიჩნია კვლავ შეეცვალა საქართველოს ხელმძღვანელობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს გენერალი ვასილ მჟავანაძე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ მიხეილ ჩუბინიძე, ხოლო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გივი ჯავახიშვილი. მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები განხორციელდა სამეურნეო, პარტიულ და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში.

1953 წლის მაისში საბჭოთა კავშირის მთავრობამ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკების მთავრობებმა უარი განაცხადეს თავიანთ ტერიტორიულ პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ. ეს იყო საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილება, როგორც პასუხი, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების ახლო ხანებში წინ წამოწეულ საკითხზე, რომელიც ეხებოდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიას, თურქეთთან საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საზღვარს, რომელიც დადგინდა ყარსის 1921 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე.

ამ ხელშეკრულებით თურქეთს კვლავ რჩებოდა საუკუნეების წინათ მიტაცებული ქართული ტერიტორიის ნაწილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მსვლელობის დროს თურქეთმა, რომელსაც მეორე მსოფლიო ომში თავისი პოლიტიკური მიზნები შენიღბული ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა საქართველოს სამხრეთის საზღვრებთან დისლოცირებული ჰყავდა სამ ათეულამდე დივიზია, დიდ სიფრთხილეს იჩენდა ომში გერმანიის მხარეზე აქტიურ მხარდაჭერაზე. თუ არა ეს ფაქტორი, ომის დამამთავრებელ ეტაპზე საბჭოთა შეიარაღებული ძალების წარმატებულ საომარ მოქმედებათა ფონზე, შესაძლოა საქართველოს მიტაცებული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების საკითხი წამოჭრილიყო. ამაზე მიგვანიშნებს ის გარემოება, რომ აღნიშნული საკითხი მაინც დაისვა, ოღონდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც 1945 წლის 14 დეკემბერს გამოქვეყნდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის წერილი „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ". წერილის ავტორები ასაბუთებდნენ საქართველოს უფლებას თურქეთის საზღვრებში მოქცეულ სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე. ამ პრეტენზიის საფუძველს მათ აძლევდათ ის გარემოება, რომ „სამხრეთ საქართველომ XX საუკუნემდე შეინარჩუნა უამრავი გეოგრაფიული სახელწოდება. XIX საუკუნის და XX საუკუნის დამდეგი პერიოდის რუკებზე აღნიშნულია მრავალი „წმინდად ქართული სახელწოდება".... ახლა თურქი ხელისუფალნი — ნათქვამი იყო წერილში, — გამალებით შლიან ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, აგრეთვე ქართულ ისტორიულ ძეგლებს — არქიტექტურის შედევრებს... ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი".

ისტორიული მესხეთის დაკარგული ტერიტორიის დაბრუნების საკითხის დასმა მხოლოდ აღნიშნული წერილის გამოქვეყნებით არ დამთავრებულა. ეს საკითხი უფრო ფართო მასშტაბით წამოიწია საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ა.ვიშინსკის გამოსვლაში 1947 წლის 24 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე. ა. ვიშინსკი თურქეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ტერიტორიის საქართველოსათვის დაბრუნების საკითხის დასმისას ეყრდნობოდა აკადემიკოსების, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის აღნიშნული წერილის (რომელიც გამოქვეყნდა ცენტრალურ პრესაში) მტკიცებას იმის თაობაზე, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" აღწერილი იყო ჩილდირი, ფოცხოვი, არტაანი და სხვა რაიონები, სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, სადაც თურქების რიცხვი უმნიშვნელო იყო, ან ისინი საერთოდ არ იყვნენ. „ეს მკვიდრი ქართული მიწა-წყალი, — ნათქვამი იყო

ა. ვიშინსკის სიტყვაში — უნდა დაუბრუნდეს საქართველოს რესპუბლიკას, ქართველ ხალხს, ისტორიულ, გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და ყოველგვარ სხვა საფუძველზე. ეს მართებულია იმიტომ, რომ ეს მიწები ქართულია".

ყოველივე ეს უნდა მიანიშნებდეს თურქეთის მიმართ საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიებისადმი საზოგადოებრივი აზრის ყურადღების მიპყრობის მცდელობაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბითაც. ამ ტკივილიან ეროვნულ პრობლემას გამოეხმაურა ქართველი მწერლობაც, კერძოდ, ომის შემდეგ დაიწერა ცნობილი ქართველი მწერლისა და დრამატურგის, ილო მოსაშვილის პიესა „ჩაძირული ქვები", რომელიც შორეულ წარსულში უცხო ტომის ბატონობის ქვეშ მოქცეული ქართველობის მშობელი მიწისადმი გაუნელებელი სიყვარულისა და თავდადების მარად ცოცხალ თემას ეძღვნებოდა. „ჩაძირული ქვები" 1949 წელს დაიდგა რუსთაველის სახელობის აკადემიურ სახელმწიფო თეატრში (რეჟისორი აკაკი ვასაძე), რამაც მას დიდი გამარჯვება მოუტანა. სპექტაკლს სტალინური პრემია მიენიჭა. ეს ფაქტიც ნიშანდობლივია (თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს პრობლემა ხელოვნურად შექმნილი იყო და „ჩაძირული ქვები" — ბუნებრივი ნგრევის შედეგი და არა თურქების საკარაუდო აგრესიის გამოვლინება).

რეპრესიების ახალი ტალღა. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია

ომისშემდგომ წლებში დიდი მუშაობა მიმდინარეობდა ქვეყანაში გაბატონებული პოლიტიკური სისტემის განსამტკიცებლად. კერძოდ, სამხედრო-სტრატეგიულ თუ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა საქართველოდან, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და სხვა რაიონებიდან მოსახლეობის კომპაქტური ჯგუფების შუა აზიაში დეპორტაციის გაგრძელება. გასახლების ოპერაცია კოდური სახელწოდებით „ვოლნა" განხორციელდა 1949 წლის 14 ივნისს ქალაქებში — თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ფოთი და გაგრა, ღამის 3 საათზე, ხოლო რაიონებში 4 საათზე. 16 ივნისს გასახლებულნი საქართველოს ტერიტორიიდან რკინიგზით გაიყვანეს. გასახლებულთა შორის იყვნენ თურქეთის და საბერძნეთის ქვეშევრდომები და იმხანად მოქალაქეობის გარეშე დარჩენილები, ან ყოფილი ქვეშევრდომები, საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, ასევე სომეხი — „დაშნაკების" სახელით მოხსენიებული მოქალაქეები. ამ აქციის შედეგად სულ გაასახლეს 8285 ოჯახი — 36675 სული. გასახლებულთა (რომელთა შორის იყო 10854 ბავშვი), ეროვნული შემადგენლობა ასეთი იყო: თურქები — 845 ოჯახი — 2548 სული, ბერძნები 676 ოჯახი — 31356 სული და სომეხი-დაშნაკები 660 ოჯახი — 2771 სული. გასახლებულ კონტინგენტს თავისი სურვილით დაემატნენ დეპორტირებულ გასახლებულთა ნათესავები.

ომის დროს — 1944 წელს მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაცია საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან, ჩვენი და არა მარტო ჩვენი [illegible] სამხედრო-სტრატეგიულ ამოცანებთან — თურქეთთან სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების განმტკიცებასთან იყო დაკავშირებული. ეს გასაგებია, მაგრამ აღნიშნული გარემოება შესაძლოა ნაწილობრივ განაპირობებდა 1949 წლის აქციასაც — აფხაზეთიდან, როგორც საზღვრისპირა რეგიონიდან მოსახლეობის ნაწილის გასახლებას. მაგრამ სხვა რაიონებიდანაც ხომ გაასახლეს ზემოხსენებული ნიშნის მიხედვით მოსახლეობის ჯგუფები? ამდენად, 1949 წლის აქცია ბევრ ამოუცნობ კითხვას აღძრავს, თუმცა ამ შემთხვევაშიც, დაეჭვების საფუძველს შეიცავენ დოკუმენტები გასახლებულთა სახელმწიფოსადმი ერთგულებისა და მათი სანდოობის თაობაზე. მაგრამ რით უნდა ყოფილიყო განპირობებული ამ ერთგულებისა და სანდოობის გარკვევის საჭიროება? ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე ერთობ ძნელია.

აღნიშნული აქციის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ 1950-1951 წლებში საქართველოში განხორციელებული რეპრესიების ახალი ტალღა. საქართველოდან გაასახლეს 1950 წელს — 1273 ოჯახი, 4716 სული, ხოლო 1951 წელს — 2581 ოჯახი, 11458 სული, სულ 16 174 სული, შუა აზიაში. ეს იყო ყოვლად უმართებულო და მიუტევებელი რეპრესიების ტალღა, რომელსაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

1953 წელს გადაისინჯა სპეცგადასახლებულთა საქმეები, რომელთა მიხედვით ნაწილობრივ ცნობილი ხდება რეპრესირებულთა გასახლების მიზეზები, კერძოდ, ზოგს ბრალი დასდეს კონტრაბანდისტულ საქმიანობაში 20-იან წლებში, არალეგალურ მიმოსვლაში თურქეთში, თავის არიდება ომის დროს საბჭოთა არმიაში სამსახურისგან, ზოგს ნათესავის ყოლა ემიგრაციაში, ზოგს მოღალატურ დანაშაულად ჩაეთვალა ტყვედ ყოფნა, გერმანელებთან თანამშრომლობა და ა.შ.

მოსახლეობის ეგრეთწოდებული არასაიმედო ნაწილის მიმართ განხორციელებული რეპრესიების ახალი ტალღა საქართველოში 40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში, ნაწილობრივ დაკავშირებული იყო ხელისუფლების რეემიგრაციის პოლიტიკასთან, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ემიგრაციის ანტისაბჭოთა საქმიანობის პარალიზებას. თუმცა ემიგრაცია იმ დროისთვის აღარ წარმოადგენდა საბჭოთა რეჟიმისთვის საშიშ ძალას, რადგან იგი დაშლილი იყო. ემიგრანტთა „გადმობირების" მიზნით საფრანგეთში იგზავნებოდნენ პასუხისმგებელი პირები, რომელთა მიერ გაწეულ პროპაგანდას შედეგად მოჰყვა ემიგრანტთა ნაწილის დაბრუნება სამშობლოში 1947 წელს. მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ რეემიგრირებულნი დაატიმრეს და როგორც „არასაიმედონი" საქართველოდან გაასახლეს.

40-იანი წლების ბოლოს შეაკონწიწეს „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმე“. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში არსებული მდგომარეობის შესახებ“, რის შედეგადაც წარმოშობით მეგრელ ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფს წაუყენეს ადგილობრივი — მეგრული ნაციონალიზმის ბრალდება, რაც საკადრო პრობლემას უკავშირდებოდა. ამის გამო, თანამდებობიდან გაათავისუფლეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი, დააპატიმრეს მეორე მდივანი მ. ბარამია, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ა. რაფავა, რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ს. შონია და მისი მოადგილე ი. რაფავა, კომკავშირის ლიდერი მ. ზოდელავა, თბილისის ზოგიერთი რაიკომის მდივანი და სამეგრელოს რეგიონის ყველა რაიკომის მდივანი და სხვ. მათ ბრალად დასდეს ანტისაბჭოთა ჯგუფში მუშაობა და უცხოეთის ქვეყნების აგენტობა. ეს აქცია მიზნად ისახავდა და ემსახურებოდა ბერიას ჩამოშორებას ხელისუფლებისგან. დაპატიმრებულებს მძიმე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედების გადატანა მოუხდათ. მაგრამ 1953 წლის 10 აპრილს სკკპ ცკ პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ე.წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმის ფალსიფიკაციად კვალიფიცირებისა და მთლიანად ამ საქმის გამო რეპრესირებულ პირთა სრული რეაბილიტაციას შესახებ. პარტიულ და სამართლებრივ პასუხისგებაში იქნენ მიცემული „მეგრელთა საქმის“ ფაბრიკაციის მონაწილეები. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ თითქოს საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობაში არ არსებობდა სერიოზული ნაკლოვანებები, რაც გამოწვეული იყო ხელმძღვანელი კადრების არასწორი შერჩევით და აგრეთვე იმით, რომ საზოგადოებას არ ეძლეოდა შესაძლებლობა გაეკონტროლებინა ხელმძღვანელ მუშაკთა საქმიანობა.

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებას მოჰყვა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის გაძლიერება, რაც სტალინის პიროვნების კულტის აღზევებას ემსახურებოდა, რადგან ოფიციალური პროპაგანდა და მასობრივი თვითშეგნება საბჭოთა ქვეყნის ყველა მიღწევას სტალინს მიაწერდა.

1953 წლის 5 მარტს სტალინის გარდაცვალებამ გამოიწვია ავტორიტარული სისტემის კრიზისი, რაც ხელისუფლებისთვის დაწყებული ბრძოლის შედეგი შეიძლება ყოფილიყო. 1953 წლის 26 ივნისს დააპატიმრეს ლავრენტი ბერია, რომელმაც სტალინის გარდაცვალების შემდეგ (1952 წლის დეკემბერში იგი გაათავისუფლეს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან) კვლავ დაიკავა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობები. ბერია დახვრიტეს „მავნებლური ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედების

გამო", როგორც „ხალხის მტერი". ხელისუფლების სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვი მოვიდა. მისი ხელისუფლების რეპრესიები შეეხო ქართველ ინტელიგენციას. ... შალვა ნუცუბიძეს, ვუკოლ ბერიძეს, სიმონ ყაუხჩიშვილს – ისინი გარიცხეს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან, თუმცა მალე ისევ აღადგინეს.

პიროვნების კულტის საწინააღმდეგოდ, ხელისუფლება ხაზს უსვამდა კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის მნიშვნელობას, მაგრამ იგი მაინც რჩებოდა ფორმალურ მოთხოვნად.

1953-1954 წლებში დაწყებული რეპრესირებულთა რეაბილიტაცია გრძელდებოდა.

ახალმა ხელისუფლებამ სცადა სტალინური რეჟიმის ლიბერალიზაცია და დემოკრატიზაცია, მაგრამ არსებული პოლიტიკური სისტემის საფუძვლების უცვლელად დატოვების პირობებში ახალ კურსს არ შეეძლო დემოკრატიზაციის დამკვიდრება, პირიქით, მან ხელი შეუწყო ვოლუნტარიზმს, ფაქტობრივად სოციალისტური რეჟიმის რღვევის დაწყებას, რომელმაც სამი ათეული წელი გასტანა და დამთავრდა კომუნისტური მმართველობის მარცხით. დაიშალა საბჭოთა კავშირი და წარმოიქმნა დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოები.

პიროვნების კულტის კრიტიკა XX ყრილობაზე მიმართული იყო არა პროსაბჭოურ სივრცეში დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ სტალინის პიროვნების წინაღმდეგ, რასაც დიდი რეაქცია მოჰყვა საქართველოში, — სტალინის სამშობლოში. მისი კრიტიკა მიიჩნიეს მათი რწმენისა და იდეალის ხელყოფად, ქართველი ერის დამცირებად და შეურაცხყოფად, რადგან სტალინის სახელი ეროვნული სიამაყის სიმბოლოდ იყო აღქმული. სტალინი, როგორც ბელადი, დიდი პატივისცემით და ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მსოფლიოში საერთოდ, და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის განადგურებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის.

პიროვნების კულტის დაგმობამ, რომელიც დროში დაემთხვა სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავს, გამოიწვია თბილისის, გორის, ქუთაისის და სხვა ქალაქების ახალგაზრდობის გამოსვლა-მანიფესტაცია. განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო მიტინგი თბილისში სტალინის მონუმენტთან. რესპუბლიკის ახალგაზრდობა გამოვიდა სტალინის დასაცავად, რადგან მისთვის ძნელი იყო ერწმუნა სტალინისთვის მიწერილი ბოროტმოქმედებანი ხალხის ინტერესების საზიანოდ. სტალინის კრიტიკა აღქმული იქნა ეროვნული ღირსების დამცირებად. სტალინის მონუმენტთან თბილისში გამოდიოდნენ მოსწავლეები, სტუდენტები, მუშები, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები, მწერლები, პოეტები, რომლებიც საჯაროდ კითხულობდნენ ლექსებს, ამბობ-

დნენ სიტყვებს, მღეროდნენ. დემონსტრანტთა ნაწილი გაემართა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციისკენ თბილისში ჩამოსული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილესთან, ჯუ დესთან შესახვედრად, რათა მას მონაწილეობა მიეღო სანაპიროზე სტალინის მონუმენტთან გამართულ მიტინგში. მაგრამ ჯუ დემ ავადმყოფობის გამო მიტინგზე გაგზავნა თავისი წარმომადგენელი, რომელმაც მოკლე სიტყვა წარმოსთქვა. გაისმოდა შეძახილები: დიდება ლენინს, სტალინს, მაო ძედუნს!

რესპუბლიკის იმდროინდელი ხელმძღვანელი ვასილ მჟავანაძე სამგზის შეხვდა მომიტინგეებს, რომელთაც სთხოვდა დაშლილიყვნენ არსებული რეჟიმის პირობებში მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. მიუხედავად ხალხის დიდი მასის თავმოყრისა თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში და სხვა ქალაქებში, ადგილი არ ჰქონია წესრიგის დარღვევის შემთხვევებს.

დაძაბულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, თბილისში მოსკოვიდან ჩამოვიდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების პოლიტსამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკი, რომელმაც ფაქტობრივად თავის ხელში აიღო „უწესრიგობის“ აღკვეთის საქმე, რესპუბლიკის ხელმძღვანელების აზრის სრული იგნორირებით. ნიკიტა ხრუშჩოვის ბრძანებით ქალაქებში შემოიყვანეს სამხედრო ნაწილი და ჯავშანტექნიკა.

მანიფესტაციამ თბილისში კულმინაციას მიაღწია 1956 წლის 9 მარტს ღამით, როდესაც ახალგაზრდების ერთი ჯგუფი გაემართა კავშირგაბმულობის სახლისკენ, რათა იქ გამოეცხადებინათ მიტინგის ზოგიერთი მოთხოვნები. მაგრამ კავშირგაბმულობის სახლში ისინი არათუ შეუშვეს, არამედ ტყვია დაუშინეს მომიტინგეებს რუსთაველის პროსპექტზე. ტყვიებით დაიცხრილა სასტუმრო „თბილისის“ კედლები, სანაპიროსკენ უკანდახეულთ დაახვედრეს ტანკები, ალყა შემოარტყეს. სამხედროები მოქმედებდნენ დამოუკიდებლად, ებრძოდნენ მომიტინგეებს.

არ გამოირიცხნენ პროვოკატორებიც, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სისხლის ღვრას კავშირგაბმულობის სახლთან და სტალინის მონუმენტთან სანაპიროზე, სადაც ტანკები და ჯარისკაცები გარს შემოერტყნენ მომიტინგეებს. ისინი ლანძღავდნენ, სცემდნენ და ესროდნენ მათ. სისხლიანი დარბევა რამდენიმე წუთში დამთავრდა.

მშვიდობიანი მომიტინგეები უიარაღონი იყვნენ, ამიტომ სამხედროებს შორის მსხვერპლი არ იყო. ცეცხლსასროლი იარაღით 9 მარტს, როგორც ეს დოკუმენტურად დადგინდა უკანასკნელ ხანს, დაიღუპა 23 კაცი. მათგან საშუალო სასწავლებლის რამდენიმე მოსწავლე, 4 მუშა, 2 სტუდენტი და ა.შ. ოფიციალური ცნობით დაიჭრა 36 მოქალაქე, მათ შორის 22 კავშირგაბმუ-

ლობის სახლთან. დადგენილია დაღუპულთა, დაჭრილთა და გასამართლებულ-დასჯილთა ვინაობა.

1956 წლის 9 მარტის დემონსტრაციებისა და მანიფესტაციის დროს და ტრაგედიის შემდეგ, მოსახლეობაში გაჩნდა მთავრობის საწინააღმდეგო ხელნაწერი ფურცლები და დაბეჭდილი პროკლამაციები, ლოზუნგებით — „თავისუფლება საქართველოს“ და სხვ., რომლებიც სტალინის პიროვნების და მოღვაწეობის დაცვასთან ერთად, საბჭოთა რეჟიმის დაგმობის, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოწოდებად გადაიქცნენ.

10 მარტს, წინადღით დაღუპულთა დაკრძალვასთან დაკავშირებით, თბილისის მოსახლეობის მღელვარების შიშით, შემოიღეს სამხედრო პატრულირება. სახელმწიფომ დაღუპულები თავად დაკრძალა საიდუმლოდ, მხოლოდ ოჯახის ახლობელთა თანდასწრებით.

ამის შემდეგ დაიწყო გამოძიება. დააპატიმრეს 318 მოქალაქე. უმეტესი მათგანი — 290 კაცი 10 დღიდან ერთ თვემდე, იზოლაციაში იმყოფებოდა. რესპუბლიკის რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკი 9 მარტის აშბებთან დაკავშირებით თანამდებობებიდან გაათავისუფლეს, ზოგიერთები კომუნისტური პარტიიდან და კომკავშირიდან გარიცხეს. სამაგიეროდ, დაუსჯელი დარჩნენ რუსი გენერლები, რომელთა ბრძანებით იქნა გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი შეუიარაღებელი ახალგაზრდობის წინააღმდეგ.

ქართველი ახალგაზრდობის 1956 წლის 9 მარტის გამოსვლა იყო ანტისამთავრობო პროტესტი ეროვნული შეფერილობით. ცენტრმა 1956 წლის 9 მარტის თბილისის ტრაგედია შეაფასა, როგორც ანტისაბჭოთა, ნაციონალისტური, კონტრრევოლუციური ხასიათის გამოსვლა.

9 მარტის გამოსვლამ თბილისში სტიმული მისცა განვლილ ათწლეულებში არსებული ტოტალიტარიზმის დაგმობას, ისტორიულ ღირებულებათა გადასინჯვას, ქართველი ხალხის ეროვნულ გამოღვიძებას, რასაც შესაბამისი სიმკაცრით, იმჟამინდელი ცენტრალური ხელმძღვანელის ნეგატიური დამოკიდებულება მოჰყვა საქართველოსადმი. ნიკიტა ხრუშჩოვის ბრძანებით, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის უმძიმეს პერიოდში საგმირო საქმეებით გამორჩეული ქართული საჯარისო შენაერთები (414-ე ანაპის სახელობის ოთხგზის წითელდროშოვანი დივიზია) დაშალეს, ქართველი გენერლები და ოფიცრები იძულებითი წესით ჩამოაშორეს შეიარაღებულ ძალებს, გადააყენეს. ამას გარდა, სხვა დისკრიმინაციული ზომები ჩატარდა, მაგ., ქართველ ოფიცრებს უარი უთხრეს სამხედრო აკადემიებში მიღებაზე და ა.შ.

50-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში იმიერკავკასიის ქლუხორის რაიონიდან, მეორე მსოფლიო ომის წლებში ჩასახლებული ქართველი მოსახლეობის გადმოსახლება დაიწყო, რაც დაკავშირებული იყო ჩრდილოეთ

კავკასიიდან შუა აზიასა და ყაზახეთში დეპორტირებული ჩერქეზების, ბალყარების და სხვა ხალხების ნაწილის უკან, ძველ საცხოვრისზე დაბრუნებასთან. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის 29 იანვრის დადგენილებაში განსაზღვრული იყო უკან მობრუნებული ქართველი მოსახლეობის განსახლების რაიონები — ბოლნისი, თელავი, ზუგდიდი, ოჩამჩირე, გალის და სხვა. ამ მოსახლეობის რიცხვი სულ ცოტა, 3 ათას სულს შეადგენდა.

ადრე გასაიდუმლოებული დოკუმენტების წყალობით ცნობილი ხდება, რომ ადგილობრივი ორგანოების წაყრუებისა და ზოგჯერ ხელშეწყობითაც, ომის დროს ყაზახეთსა და შუა აზიაში საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან დეპორტირებული მაჰმადიანი მოსახლეობის ნაწილი არალეგალურად ბრუნდებოდა საქართველოში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით აიკრძალა მოსახლეობის კომპაქტური ჯგუფების გადაადგილება ერთი რესპუბლიკიდან მეორეში მუდმივ საცხოვრებლად, მაგრამ დეპორტირებულები დაჟინებით ითხოვდნენ ადრინდელ საცხოვრისზე დაბრუნებას. ამასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შუამდგომლობით საკავშირო მთავრობამ 1957 წლის 31 ოქტომბერს მიიღო დადგენილება, რომელშიც მითითებული იყო: „ვიღებთ რა მხედველობაში იმას, რომ საქართველოს სსრ რაიონები, საიდანაც მიმდინარეობდა აზერბაიჯანელი ეროვნების (მოსახლეობის 1939 წლის აღწერით სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობა აზერბაიჯანელებად დაწერეს) მოქალაქეთა გასახლება, ამჟამად დასახლებულია, ხოლო მათი განსახლება-მოთავსებისა და სამეურნეო მოწყობის შესაძლებლობა რესპუბლიკის სხვა რაიონებში, საქართველოს მთავრობის განცხადებით, არ არსებობს, ამ მოქალაქეებს მიეცეთ უფლება თავიანთი სურვილით გადასახლდნენ მუდმივ საცხოვრებლად აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკაში“.

ომის შემდგომ განახლდა სარაიონთაშორისო ორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო მიგრაციები. 1945 წლის 12 ივნისს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღეს დადგენილება აფხაზეთის თავისუფალი მიწებისა და კოლხეთის ამოშრობილი მიწების ასათვისებლად საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა გადასახლების შესახებ.

ორგანიზებული შიდა მიგრაციებისთვის გამოიყო მიწები ქვემო ქართლის, გარე კახეთის, სამცხე-ჯავახეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში, ასევე დაუსახლებელ, მაგრამ სარწყავად ათვისებულ სამგორის ველზე და კოლხეთის ამოშრობილ მიწებზე. 1951 წლიდან, როდესაც ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხი საექსპლოატაციოდ გადაეცა, ამ ველის სასოფლო-სამეურნეო ათვისება დაიწყო.

50-იანი წლების დამდეგს მარნეულის სიახლოვეს ზემო იმერეთიდან გადმოსახლებულთა ბაზაზე შეიქმნა ორი მოზრდილი სოფელი. 1951-1952 წლებში სოფელ ბოლნისში ჩასახლდა 100 კომლი საჩხერისა და ონის რაიონებიდან, სამგორის ველზე კი ახალ სოფლებში — გამარჯვებასა და ახალ სამგორში 1954-1955 წლებში ჩასახლდნენ ხევსურები და სხვა მთიელები. ახალმოსახლეებს გაუჭირდათ განსხვავებულ გარემოსა და კლიმატთან შეგუება და, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიუხედავად, მათი ნაწილი უკან დაბრუნდა.

ორგანიზებულ მიგრაციასთან ერთად სტიქიური გადასახლებებიც გრძელდებოდა. ეს იყო უპირატესად, შიდასარაიონო გადაადგილებანი, როდესაც ცალკეული მეურნეობები მთიანი სოფლებიდან მეზობელი ბარის რაიონებში თავისი სურვილით სახლდებოდნენ. შედარებით უფრო გავრცელებული ჩანს ეს მოვლენა მთიანი აჭარისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მაგალითზე. 50-იანი წლებიდან სტიქიურმა მიგრაციებმა საქართველოს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

ინდუსტრიული განვითარება

ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირში მთლიანად ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების რთული ამოცანების განხორციელება ინდუსტრიის და ტრანსპორტის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის აღდგენა-განვითარებას ემყარებოდა, რადგან სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენდა.

საკავშირო სახალხო მეურნეობის მეოთხე ხუთწლიანმა გეგმამ (1946-1950) მიზნად დაისახა საქართველოში ამიერკავკასიის (შემდგომ რუსთავის) მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, გორის ბამბეულის კომბინატის და ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის შშენებლობა.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მრეწველობის შშვიდობიან ყაიდაზე გარდაქმნა ძირითადად, 1946 წელს დამთავრდა. ამ პროცესში რესპუბლიკის მრეწველობის განვითარებას თავისი თავისებურებები ჰქონდა — თუ ამ პროცესს საბჭოთა კავშირში მთლიანად თან ახლდა წარმოების შემცირება, საქართველოში მას არ მოჰყოლია ამგვარი შედეგი, რაც განპირობებული იყო იმით, რომ შეუფერხებლად მუშაობდნენ ძირითადად ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებაზე მომუშავე საწარმოები.

მაგრამ ომის შემდგომ წლებში მრეწველობის ბევრ საწარმოში დამკვიდრდა დანაშაულებრივი პრაქტიკა გეგმების შესრულების სახელმწიფო ანგარიშებ-

ში — ფაქტობრივად დაუშზადებელი პროდუქციის გამოშვებულად მიწერა, ტრანსპორტზე, საშშენებლო ორგანიზაციებსა და სოფლის მეურნეობაში უსრულებელი სამუშაოების შესრულებულად ჩათვლის გაუკუღმართებული პრაქტიკა. ეს იმ მიზნითაც ხდებოდა, რომ „გამარჯვება" მოეპოვებინათ ან შეჯიბრებაში უკვე დაკავებული ადგილი დაემკვიდრებინათ.

ჯერ კიდევ 1944 წლის ივლისიდან, შშენებლობის პროცესში არსებული ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის შშენებლობისთვის საქართველოში მობილიზებულ იქნა გასაწვევი ასაკის 4890 ახალგაზრდა. მათგან დაახლოებით 3 ათასი კაცი, რუსეთის და უკრაინის სხვადასხვა მეტალურგიულ საწარმოებში სასწავლებლად გაიგზავნა. მაგრამ ამ საქმეში თავი იჩინა სერიოზულმა სიძნელეებმა, კერძოდ, ახალგაზრდა მუშათა ნაწილმა, რომელთაც ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში სამუშაოდ აშზადებდნენ, სწავლა მიატოვა საწარმოთა ხელმძღვანელების გულგრილი დამოკიდებულების, თუ საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობის და სხვა მიზეზთა გამო.

რუსეთის სხვადასხვა საავტომობილო ქარხნებში სასწავლებლად გაიგზავნა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს რაიონებში შერჩეული 3 ათასი ახალგაზრდა. მათთან ერთად კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომავალ ქართველ ავტოშშენებელ მუშაკთა კადრების საწარმოო სწავლების ხელმძღვანელობისთვის გაიგზავნა 30 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი.

მეტალურგთა მოსაშზადებლად თბილისში შეიქმნა მეტალურგიული ტექნიკუმი, ხოლო ქუთაისის საავიაციო ტექნიკუმი გადაკეთდა საავტომობილო ტექნიკუმად.

დაიწყო თბილისის მეტროპოლიტენის შშენებლობა, რომლის მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან მოსკოვში გაიგზავნა რამდენიმე ათასი ახალგაზრდა. ამასთან ერთად, გამოცდილი სპეციალისტები, უმთავრესად რუსეთიდან და უკრაინიდან, იგზავნებოდნენ საქართველოს ახალ სამრეწველო საწარმოებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და მის ბაზაზე შშენებარე ახალი ქალაქი რუსთავი.

ომის შემდგომ წლებში ეკონომიკის და კულტურის ზრდასთან ერთად მოხდა რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები მრეწველობაში, შშენებლობასა და ტრანსპორტზე დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა შემადგენლობაში.

საქართველომ მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, ომამდელ დონეს მიაღწია 1954 წელს. 1941 წლის 1-ლი იანვრისათვის იგი შეადგენდა 3680,6 ათასს, 1954 წელს — 3675,9 ათასს, 1955 წელს კი — 3927,7 ათას კაცს.

ომის შემდგომ გაიზარდა ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების რიცხვი. 1940 წლის დამდეგს საქართველოში იყო 28 ქალაქი და 24 ქალაქის ტიპის

დასახლება. 1956 წლის დასაწყისში კი 32 ქალაქი და ამდენივე დაბა. მოხდა მოსახლეობის გადანაწილება ქალაქსა და სოფელს შორის. 1940 წელს ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 173 ათას კაცს, ანუ საქართველოს მთელი მოსახლეობის 30%-ზე მეტს, 1954 წელს კი ქალაქებში ცხოვრობდა 1365,7 ათასი კაცი, ანუ საქართველოს მთელი მოსახლეობის 34%-ზე მეტი. ქალაქის მოსახლეობის ზრდა უმეტესად სამრეწველო და საშენებლო ობიექტებზე დასაქმებულ მუშათა რიცხვის ზრდის ხარჯზე მოხდა.

50-იანი წლების მეორე ნახევარში არ შესრულდა ამიერკავკასიის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, ჭიათურის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის და რამდენიმე სხვა საწარმოს საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ამის შედეგად თუჯის წარმოების, სატვირთო ავტომობილებისა და სხვა სამრეწველო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო დავალებები.

მეხუთე ხუთწლედში ძირითადად დასრულდა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის შშენებლობა. 1951 წლის 18 აგვისტოს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კონვეიერიდან გადმოვიდა პირველი ქართული სატვირთო ავტომობილი. მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგნენ შაორის, ორთაჭალის და სამგორის ჰიდროელექტროსადგურები, გორის ბამბეულის კომბინატის პირველი რიგი, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა. აიგო თბილისი-კიროვაბადის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი.

საქართველოს მრეწველობამ ომის შემდგომ პერიოდში აითვისა ასობით ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება, მათ შორის თბომავლები, თვითმავალი მცურავი სატუმბავი სადგურები, კოშკურაამწეები, ელექტროვიბრაციული მანქანები, უნივერსალური სახარატო და ხრახნსაჭრელი ჩარხები, მანქანები ჩაის, მეღვინეობისა და საფეიქრო მრეწველობისათვის, მინერალური სასუქები, მინის ტარის წარმოება საკონსერვო მრეწველობისათვის, პლასტმასის ნაკეთობანი და სხვა სამრეწველო პროდუქცია.

1940 წელთან შედარებით 1953 წელს საქართველოს რკინიგზების საექსპლოატაციო სიგრძე გაიზარდა 1133 კმ-დან 1335 კმ-მდე, ხოლო ელექტროფიცირებული გზის სიგრძე 275 კმ-დან 577 კმ-მდე, თითქმის ერთიორად გაიზარდა ტვირთბრუნვა, ხოლო რკინიგზით მგზავრთა გადაყვანა შემცირდა 22,4 მილიონიდან 19,3 მილიონ კაცამდე. სამაგიეროდ, გაიზარდა მგზავრთა გადაყვანა და ტვირთბრუნვა საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტით. გაძლიერდა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების როლი საბჭოთა კავშირის საგარეო-საავჭრო ურთიერთობაში.

ომის შემდგომ წლებში საკმაო ყურადღება არ ექცეოდა მაღალი წარმადობის მანქანების დაპროექტებას. მთელ რიგ საწარმოებში არსებული მოწყობი-

ლობა მოძველდა, იყენებდნენ მცირე წარმადობის ტექნოლოგიას, უშვებდნენ მოძველებული კონსტრუქციის ჩარხებსა და მექანიზმებს. ბევრ საწარმოში ბატონობდა თვითკმაყოფილება, უძრაობა. ასეთ საწარმოთა ხელმძღვანელები არ ცდილობდნენ ახალი ტექნიკის უახლესი მოღწევებით შეცვლას. ასე იყო მთელ საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოში. ეს კი იმას იწვევდა, რომ მრეწველობის მთელი რიგი დარგები ტექნიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ მსოფლიო ინდუსტრიის ტექნიკურ დონეს.

1953 წლის მეორე ნახევრიდან მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების კურსი შეიცვალა მთლიანად საბჭოთა კავშირში. ამის გამოხატულება იყო სახელმწიფოს მიერ მიღებული სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი გაფართოება..

მნიშვნელოვნად გაიზარდა მსუბუქი და კვების მრეწველობისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრები. სახალხო მოხმარების საგნების წარმოებაში ფართოდ ჩაებნენ მანქანათმშენებელი ქარხნები და მძიმე ინდუსტრიის სხვა საწარმოები. ასეთ პირობებში დაირღვა მძიმე მრეწველობის და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპების ადრინდელი თანაფარდობა მსუბუქი მრეწველობის უპირატესი ზრდის შედეგად. თუმცა აუცილებელი რიდი იყო მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების გარდაუვალობა უკლებლივ ყველა ეკონომიკურ რეგიონში, ოლქში, მხარეში, მოკავშირე რესპუბლიკაში.

ომის შემდგომ პერიოდში გაფართოვდა საქართველოს კავშირურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკებთან. გაიზარდა საქართველოს მრეწველობის როლი საზღვარგარეთის ქვეყნებთან, უფრო მეტად, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ კავშირურთიერთობაში.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეკონომიკურ რეგიონში იგზავნებოდა ჭიათურის მანგანუმის მადანი, ზესტაფონის ფეროშენადნობები, თბილისური ლითონსაჭრელი ჩარხები, რადიოტექნიკური და ჰიდრომეტროლოგიული ხელსაწყოები, ქუთაისის ავტომობილები და სამთო მოწყობილობა, ფოთის მიწასაწოვები, ბათუმის თბომავლები, მინერალური წყლები, კონსერვები, ჩაი, ღვინო და კონიაკი.

1953 წელს თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, ჭიათურის, ზესტაფონის, ფოთის, გორის, ბორჯომის სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია საზღვარგარეთის 30-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნებოდა.

ქართველმა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა მონაწილეობა მიიღეს ე.წ. „დიად მშენებლობათა“ დაპროექტებასა და ამ გეგმების რეალიზაციაში.

ამავე პერიოდში დაიწყო რამდენიმე სარწყავი არხის მშენებლობა, განახლდა კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები. ფართო სამრეწველო

მშენებლობის შედეგი იყო 50-იანი წლების პირველ ნახევარში აშენებული და ექსპლოატაციაში გაშვებული 107 მსხვილი სამრეწველო საწარმო საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლილებები სოფლის მეურნეობაში

ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში. ადგილი ჰქონდა დისპროპორციას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებში, რადგან უპირატესად, ყურადღება ექცეოდა ინდუსტრიულ მშენებლობას. სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი ტემპი სერიოზულ სიძნელეს უქმნიდა სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამასთან, ომის შედეგად, მთლიანად საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობის განვითარების შეფერხების პირობებში საქართველო ვეღარ იღებდა ქვეყნის ცალკეული რეგიონებიდან მარცვლეულის და მეცხოველეობის პროდუქტებს. 40-იანი წლების მეორე ნახევარში რესპუბლიკა იძულებული გახდა მაღალმწარმოებლური სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნაწილის შემცირების ხარჯზე გაედიდებინა მარცვლეულის სათესი ფართობი. როდესაც საკუთარი წარმოების ხორბლეულით რესპუბლიკის უზრუნველყოფის საკითხი გადაწყდა, ხორბლეულის ნათესი ფართობების გაზრდის შედეგად შეიზღუდა მაღალშემოსავლიანი მრავალწლიანი ტექნიკური კულტურების განვითარება. ნადგურდებოდა დიდი რაოდენობით მრავალწლიანი ნარგავები, დიდი ზიანი მიადგა საძოვრებს. ამრიგად, შეფერხდა მაღალი სასაქონლო ღირებულების მქონე დარგების — მევენახეობის, მეჩაიეობის, მეხილეობის და სხვა დარგების, მათ შორის მეცხოველეობის განვითარება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმმა ამ დარგის განვითარების ტემპის დაჩქარების კურსი შეიმუშავა. ამ კურსის განხორციელება გამოიხატა საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებაში. საქართველოში სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების სწრაფად განვითარებასთან ერთად, უნდა განვითარებულიყო მარცვლეულის მეურნეობა, მხოლოდ არა უწინდელივით, რესპუბლიკის არასწორად ნავარაუდევი საკუთარი ხორბლეულით დაკმაყოფილების კურსით, არამედ მოსავლიანობის მკვეთრი გაზრდით.

ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობის დარგში ხელმძღვანელობის მხრივ. მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო ფასები, განსაკუთრებით მეჩაიეობასა და მეთამბაქოეობაში. მეცხოველეობა არარენტაბელური დარგი იყო არა მარტო საზოგადოებრივ სექტორში, არამედ კერძო გლეხურ მეურნეობა-

ში, რადგან მეტად დაბალი იყო მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის ფასები. ამის მიზეზი მდგომარეობდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის არასწორ სახელმწიფო სისტემაში. გადასახადის გაწერის წესის მიხედვით, დასაბეგრი თანხა განისაზღვრებოდა კოლმეურნის პირად სარგებლობაში არსებული სხვადასხვა კულტურების ნათესისა და პირუტყვის რაოდენობის მიხედვით. ეს აიძულებდა გლეხს, შეემცირებინა ვაზის, ხეხილის ფართობი და პირუტყვის რაოდენობა, რომელიც მასობრივად ნადგურდებოდა.

1945-1953 წლებში საქართველოში შეიქმნა 43 ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგური. 1949 წელს დაარსდა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო ჩაისა და ციტრუსების მეურნეობისთვის საჭირო მანქანების შესაქმნელად. 1949-1953 წლებში ამ ბიურომ შექმნა ჩაის ბუჩქის საჭრელი, აგრეთვე ჩაის პლანტაციების საკულტივაციო და სხვა სახეობის მანქანები, ჩაის საკრეფი მანქანის საცდელი ნიმუშები. 1953 წლის დამლევს ელექტროფიცირებული იყო საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების დიდი ნაწილი, მაგრამ ელექტროენერგია მცირე რაოდენობით ხმარდებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო საქმიანობას.

განხორციელდა მეფრინველეობის გადაყვანა ინდუსტრიულ საფუძველზე.

ამ პერიოდში ფართო ხასიათი მიიღო საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოებმა. 1946 წლის აგვისტოში დაიწყო ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მშენებლობა, რომელიც გაიხსნა 1951 წლის 4 ნოემბერს. 1945-1953 წლებში მოხდა სკრა-ქარელის, ჯეზვის, სალთვისის, დოესი-გრაკალისა და სხვა სარწყავი სისტემების რეკონსტრუქცია და გაფართოება. ამ დროისთვის საქართველოში იყო რამდენიმე ასეული პრიმიტიული სარწყავი არხი. 1951 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაიწყო ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა, 150 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვის უზრუნველსაყოფად. 1953-1959 წლებში საექსპლოატაციოდ გადაიცა ვანათის, თუძამ-ოკამის, მუხრანის და ტაშისკარის სარწყავი არხები, აგრეთვე კოლხეთის, ენგურ-ხუმუშკურის და წითელი გორას ამოშშრობი სისტემები.

ამასთან, საქართველოში ყოველწლიურად ხდებოდა კოლმეურნეობათა გადასახლება-დასახლება მცირემიწიანი, მაღალმთიანი რაიონებიდან უმთავრესად კოლხეთის დაბლობის ამოშრობილ მიწებზე და ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზონაში. ამ პერიოდში გაიზარდა მინერალური სასუქების გამოყენება სოფლის მეურნეობაში. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1955 წელს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის ამუშავებამ, რომლის პროდუქციით საქართველო არათუ იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებას,

არამედ მზარდი რაოდენობით აწვდიდა მას ამიერკავკასიის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსაც.

1949-1950 და 1953-1954 წლების ზამთრის ძლიერმა ყინვებმა დიდი ზიანი მიაყენეს ციტრუსების მეურნეობას. დაიღუპა ციტრუსოვანთა ნარგავები 20,7 ათას ჰექტარზე — ციტრუსოვანი პლანტაციების 3/4-ზე მეტი. ამიტომ, კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები დაჩქარდა.

რესპუბლიკის არაერთმა კოლმეურნემ გამოიჩინა თავი შრომითი მიღწევებით. 1946-1951 წლებში სოფლის მეურნეობის დარგში 1111 სოფლის მუშაკმა, აქედან 356-მა კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშა-ქალმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიიღო. მათ შორის მეთამბაქოეთა ბრიგადის ხელმძღვანელ სვანიძეს, მეჩაიეთა ბრიგადის ხელმძღვანელ ყუფუნიასა და კოლმეურნეობის თავმჯდომარე როგავას მეორედ მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ომის შემდგომ წლებში კოლმეურნეობათა მუშაობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის სექტემბრის პლენუმმა შესაბამისი საკავშირო გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღო დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის შესახებ“, რომელშიც მხილებული იყო ამ დარღვევების მთელი რიგი ფაქტები, კერძოდ, შრომადღეების არასწორი დარიცხვა, საკოლმეურნეო მიწების დატაცებისა და საკოლმეურნეო ქონების მითვისების შემთხვევები, დარღვევები ნატურალური და ფულადი შემოსავლების აღრიცხვასა და განაწილებაში, ანგარიშწარმოებასა და ანგარიშსწორებაში. გამოვლინდა კოლმეურნეობების მიერ უკანონოდ გაცემული და განიავებული პროდუქტის სია, პირუტყვი, ფულადი სახსრები და კოლმეურნეობათა დებიტორული დავალიანება. ამ და სხვა დარღვევების მხილებას მოჰყვა საკოლმეურნეო ქონების დამტაცებელთა და სხვა დამნაშავეთა დასჯა. 1949-1952 წლებში კოლმეურნეობებს საქართველოში დაუბრუნდათ 7774 ჰექტარი მიწა, აქედან 472 ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავების ფართობი, 6926 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 93 მილიონამდე მანეთი ფულად და სხვ. მაგრამ, მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევების აღმოფხვრა ვერ მოხერხდა.

კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების მიზნით დაიწყო ჩამორჩენილ წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილების, შემოსავლიან მეურნეობად გარდაქმნის პროცესი, რომლის შედეგად შემცირდა კოლმეურნეობათა ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის შტატები და მათი შენახვის ხარჯები. 1953 წელს საქართველოში ითვლებოდა 2057 კოლმეურნეობა, ნაცვლად 4065-ისა (1945 წლის მონაცემებით). მაგრამ კოლმეურ-

ნეობათა გამსხვილების პროცესში ადგილი ჰქონდა შეცდომებს, რომელმაც გამოიწვია პირუტყვის სულადობის მკვეთრი შემცირება, საკოლმეურნეო ქონებისა და ფულადი სახსრების განიავება და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტალიტარული სახელმწიფოს მცდარმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ საქართველოში განაპირობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირება, მიწების ეროზია, სოფლის მოსახლეობის სტიქიური მიგრაცია, ამის შედეგად სოფლის მოსახლეობის შემცირება, ზოგიერთი მთიანი სოფლის დაცარიელება-გაუქმება და ა.შ.

1957 წლის სამთავრობო გადაწყვეტილებით დაისახა არარენტაბელურ კოლმეურნეობათა ბაზაზე ახალი საბჭოთა მეურნეობების შექმნა. 1958 წელს საქართველოში ითვლებოდა ყველა ტიპის და უწყების 117 საბჭოთა მეურნეობა, ნაცვლად 98-ისა (1953 წლის მონაცემებით). ამასთან, სოფლის მოსახლეობის ზრდისა და გამსხვილებული, ძნელად სამართავ კოლმეურნეობათა კვლავ შემცირების შედეგად, კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობა გაიზარდა. 1958 წელს მისმა რიცხვმა მიაღწია 2258-ს.

თვისებრივი ცვლილებები მოხდა გლეხობის შემადგენლობაში. შემცირდა სოფლის მოსახლეობაში კოლმეურნეთა ხვედრითი წილი. შეიცვალა ამ მოსახლეობის პროფესიული შემადგენლობა, ამაღლდა გლეხობის ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის დონე.

50-იანი წლების ბოლოდან მკვეთრად იჩინა თავი სოფლის მეურნეობის დაკნინების ტენდენციამ, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1958 წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გაუქმებამ. მეტად დაბალი იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე, განსაკუთრებით საქართველოს მთიან რაიონებში, სადაც რელიეფი, მკვეთრად დანაწევრებული სახნავი მიწის ფართობები, მექანიზაციის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას არ იძლეოდა.

მიღწევები სოფლის მეურნეობაში გაცილებით მეტი იქნებოდა, საბჭოთა სახელმწიფოს აგრარულ პოლიტიკაში შეცდომები და ნაკლოვანებები რომ არ ყოფილიყო, რაც მომდევნო პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავდა და მეტი უარყოფითი შედეგების მომტანი აღმოჩნდა. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური რეჟიმის პირობებში, თუ საკოლმეურნეო წყობილებამ სოფლად ასე თუ ისე გაართვა თავი დიდ სიძნელეებს, 50-იან წლებში იგი ერთგვარ ჩიხში აღმოჩნდა და დაიწყო შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის ძიება ზერელე ექსპერიმენტების სახით.

კულტურა

ომის შემდგომ წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საქართველოს განათლების სისტემაში. რესპუბლიკის ხელისუფლების წინადადებით

და საკავშირო მთავრობის სანქციით, 1946 წლის 28 მარტს გადაწყვეტილება მიიღეს, საშუალო სკოლებში სწავლების ვადად 11 წლის, ხოლო ადასტურებულ საშუალო სკოლებში — 9 წლის დაწესების შესახებ, რაც ნაწილობრივ მოტივირებული იყო არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების აუცილებლობით.

1953 წლიდან გატარდა აფხაზური და ოსური სკოლების რეორგანიზაცია, რის შედეგადაც გამოსწორდა, 1946 წლიდან აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის დაწყებით სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის მცდარი პრაქტიკა და აღდგა სწავლება მშობლიურ ენაზე.

განხორციელდა სკოლების გამსხვილება. ამის შედეგად საქართველოში შემცირდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რიცხვი 1953-1958 წლებში 21 ერთეულით, თუმცა მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა. სკოლებში ორცვლიანი და სამცვლიანი სწავლების შეკვეცის მიზნით, აიგო ახალი სასკოლო შენობები: 1951-1955 წლებში — 141, ხოლო 1956-1958 წლებში — 143. 1956 წლიდან შეიქმნა სკოლა-ინტერნატები. 1959 წლისათვის საქართველოში იყო 12 სკოლა-ინტერნატი 2500 მოსწავლით.

ომის შემდგომ პერიოდში დიდი ყურადღება მიექცა უმაღლესი და საშუალო სპეციალური კვალიფიკაციის სპეციალისტთა მოშზადებას. 1948-1953 წლებში გაიხსნა უცხო ენათა პედაგოგიური და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები. დაიხურა ორი უმაღლესი სასწავლებელი — თბილისის სტომატოლოგიური და ფარმაცევტული ინსტიტუტები, რომლებიც თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს შეუერთდნენ. საშუალო სპეციალური სასწავლებლების და ტექნიკუმების რაოდენობა 105-მდე შემცირდა, მათ შორის დაიხურა თბილისის მეტალურგიული და საავიაციო ტექნიკუმები.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ნაწილი სასწავლებლად იგზავნებოდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ სტუდენტები მოკავშირე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნიდან.

მეცნიერება

ომის შემდგომ მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმა, რომლებიც ამუშავებდნენ როგორც სპეციფიკურ, ასევე ზოგად პრობლემებს. საქართველოს მათემატიკური, ფიზიოლოგიური, გეოლოგიური, ენათმეცნიერების, ხელოვნებათმცოდნეობისა და ფსიქოლოგიური სკოლები, რომელთაც სათავეში ედგნენ აკადემიკოსები ნიკო მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, არნოლდ

ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი და დიმიტრი უზნაძე, აქტიურად მონაწილეობდნენ მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1958 წელს გამოიცა საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისთვის. 1953-1954 წლებში გამოქვეყნებული მონოგრაფიებისთვის „ნაირი-ურარტუ" და „ურარტუს ლურსმული წარწერები", გიორგი მელიქიშვილს, პირველს საბჭოთა ისტორიკოსთა შორის, მიენიჭა ლენინური პრემია.

არაერთი მეცნიერული ნაშრომი შექმნეს ისტორიკოსებმა საქარველოს ძველი და ფეოდალური ხანის, ახალი და უახლესი ისტორიის დარგში (გიორგი წერეთელი, გიორგი მელიქიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ხაჭაპურიძე, აბელ კიკვიძე, აკაკი სურგულაძე, იური კაჭარავა და სხვ.), ხელოვნებათმცოდნეებმა (გიორგი ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი და სხვ.), ენათმეცნიერებმა (გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია, ქეთევან ლომთათიძე და სხვ.) და ლიტერატურის ისტორიკოსებმა (კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე და სხვ.) შექმნეს მრავალი მეცნიერული ნაშრომი.

1946-1952 წლებში გამოიცა ორთოგრაფიული და რამდენიმე დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონი. ამ პერიოდში მოამზადდა და ნაწილობრივ გამოიცა ქართული ლიტერატურის კლასიკოსების თხზულებათა სრული კრებულები და სხვ.

ფილოსოფიის დარგში მომუშავე მეცნიერები (შალვა ნუცუბიძე, კოტე ბაქრაძე, სერგი დანელია, სავლე წერეთელი და სხვ.) მუშაობდნენ ქართული ფილოსოფიური აზროვნების, ესთეტიკის, ეთიკის და ლოგიკის პრობლემებზე. 1946 წელს დაარსდა ფილოსოფიის ინსტიტუტი მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში.

მსოფლიო მეცნიერებაში ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წვლილია განწყობის თეორია, რომელიც ცნობილია „უზნაძის ეფექტის" სახელწოდებით. მუშავდებოდა პედაგოგიკის ისტორიისა და თეორიის საკითხები.

ომის შემდგომ წლებში შეიქმნა ქართველი ეკონომისტების (პ. გუგუშვილი, ნ. ქოიავა და სხვ.) და იურისტების (თ. წერეთელი და სხვ.) დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევები.

ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ეკონომიკის საკითხების კვლევაში მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დიმიტრი გულიას სახელობის და სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერი თანამშრომლები. 1958 წელს დაარსდა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

საქართველო წარმოადგენდა მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს. სტალინური პრემიით აღი-

ნიშნა ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას ნაშრომები მექანიკის და დრეკადობის თეორიის, მათემატიკური ანალიზის, აგრეთვე მათემატიკური ფიზიკის დარგში და ა.შ. ქართველი ფიზიკოსები (ელეფთერ ანდრონიკაშვილი, ვ. ძაბასახლისოვი და სხვ.) მუშაობდნენ ლითონის ფიზიკის, კოსმოსური სხივების, გამოყენებითი ატომური და თეორიული ფიზიკის პრობლემებზე.

დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის თეორიულ და ექსპერიმენტულ მუშაობას ეწეოდნენ გეოლოგები (ა. ჯანელიძე, ა. თვალჭრელიძე, პ.გამყრელიძე, პ. ქომეთიანი და სხვ.), მინერალოგები, გეოგრაფები (ალ. ჯავახიშვილი, გ. გეხტმანი და სხვ.). გეოფიზიკოსები (მ. ნოდია, ბ. ბალავაძე და სხვ.) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სხვა დარგების მეცნიერები. გ. ძოწენიძისა და დ. დავითაშვილის ნაშრომები გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის დარგში აღინიშნა სტალინური პრემიებით.

1956 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა გამოთვლითი ცენტრი და დაიწყო ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორის შშენებლობა. ახალგაზრდა ქართველმა ფიზიკოსებმა, საბჭოთა კავშირში პირველებმა დაამუშავეს ბირთვული ფიზიკის რიგი საკითხი. იზოტოპებისა და გამოსხივების გამოყენებით საქართველოში 1958 წელს რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება მუშაობდა; ფართო სამეცნიერო კვლევა-ძიება მიმდინარეობდა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, რომელსაც დაარსების დღიდან (1937) 50 წლის განმავლობაში სათავეში ედგა აკადემიკოსი ევგენი ხარაძე. 1958 წელს აქ მექანიკური ტელესკოპით, პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, აღმოაჩინეს 300-მდე მკრთალი ვარსკვლავი.

50-იან წლებში გაფართოვდა სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი. გაიზარდა როგორც მეცნიერებათა აკადემიაში, ასევე უმაღლეს სასწავლებებსა და საუწყებო სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერი თანამშრომელთა რაოდენობა.

1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდა 1717 კაცი, ნაცვლად 1365 მეცნიერი თანამშრომლისა (1953 წლის მონაცემებით).

ომის შემდგომ ვითარდებოდა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება. 1957 წელს დაარსდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. მრავალი ნაშრომი შეიქმნა მემინდვრეობასა და მემცენარეობაში, ნიადაგმცოდნეობასა და აგროქიმიაში, მევენახეობასა და მეხილეობაში, სუბტროპიკულ კულტურებში, მცენარეთა დაცვაში, მეტყევეობაში და ა. შ. (ნ. კეცხოველი, ი. ლომოური და სხვ.) სტალინური პრემიით აღინიშნა აკადემიკოს ქს. ბახტაძის ნაშრომები ჩაის ბიოლოგიაში, ლ. დარასელიასი — სუბტროპიკული კულტურების, მ. დალაქიშვილისა ხორბლის მოყვანის, ა. ნატროშვილის ცხვრის ახალი ჯიშის გამოყვანის დარგში (თუმცა ამ სიახლემ რეალურად ვერ პოვა განვითარება).

განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო ტექნიკური მეცნიერების განვითარება. 1946 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა სამშენებლო საქმის, აგრეთვე მეტალურგიის, სამთო საქმის ინსტიტუტები.

1956 წელს შეიქმნა არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, ელექტრონიკის და ტელემექანიკის ინსტიტუტი, გამოთვლითი ცენტრი — მათემატიკის პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება.

1958 წელს დაარსდა გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტი. დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის ინსტიტუტი.

1958 წელს შეიქმნა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

1959 წელს ამოქმედდა ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვული რეაქტორი, რომლის მშენებლობა 1957 წელს დაიწყო და პირველ კვლევით რეაქტორს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში.

1960 წელს დაარსდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი და საბჭოთა კავშირში პირველი კიბერნეტიკის ინსტიტუტი.

უფრო მაღალ დონეზე აკიდა სამედიცინო და ბიოლოგიური მეცნიერებების განვითარება. შეიქმნა სახელმძღვანელოები მორფოლოგიასა და ჰისტოლოგიაში (ა. ნათიშვილი, ნ. ჯავახიშვილი), ფსიქიატრიაში (ავლიპ ზურაბიშვილი და სხვ.). რესპუბლიკის მეცნიერმა-მედიკოსებმა ქირურგიაში (კონსტანტინე ერისთავი, გრიგოლ მუხაძე, ეგნატე ფიფია და სხვ.) საბჭოთა კავშირში პირველებმა დანერგეს სისხლის გადასხმის მეთოდი. ახალ მეთოდს 1957 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

50-იან წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ურთიერთობა საბჭოთა კავშირის, აგრეთვე საზღვარგარეთის სამეცნიერო ორგანიზაციებთან. საქართველოში ჩამოდიოდნენ უცხოელი მეცნიერები, თავის მხრივ, ქართველი მეცნიერები მონაწილეობდნენ ევროპისა და სხვა ქვეყნების სამეცნიერო მუშაობაში.

საქართველოს მწერალთა III (1946), IV (1954) და V (1959) ყრილობები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქართული პოეზიის, პროზის, დრამატურგიის, კრიტიკის, საბავშვო ლიტერატურისა და მთარგმნელობითი მუშაობის საკითხებს.

50-იან წლებში დაიწერა კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ნატვრისთვალი“. გამოქვეყნდა მიხეილ მრევლიშვილის მოთხრობა „ხარატაანთ კერა“, რევაზ ჯაფარიძის რომანი „ჯარისკაცის ქვრივი“ და „ხევის პატარძალი“, ოთარ ჩხეიძის „ჯებირი“. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დემნა შენგელაიას მოთხრობა „განძი“, გიორგი

შატბერაშვილის „მკვდრის მზე“, აკაკი ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაური“, ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის შემდგომ პერიოდში ქართულ ლიტერატურაში ფართოდ განვითარდა ნოველის ჟანრი, რაც, ნაწილობრივ, განაპირობა ქართველ პროზაიკოსთა ახალი თაობის მოსვლამ — გურამ რჩეულიშვილი, ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური, ოტია იოსელიანი, თამაზ ჭილაძე, რევაზ ინანიშვილი, ედიშერ ყიფიანი, გურამ გეგეშიძე, გურამ ფანჯიკიძე და სხვ.

დიდი წარმატება ხვდა წილად ისტორიულ რომანებს: ალექსანდრე ქუთათელის „პირისპირ“, აკაკი ბელიაშვილის „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ და „ოქროს ჩარდახს“, ლევან გოთუას „გმირთა ვარამს“.

50-იან წლებში ქართულ პროზაში შეიქმნა ე.წ. ბიოგრაფიული რომანის თუ ნარკვევის ჟანრის არაერთი საინტერესო ნაწარმოები, ისეთები, როგორიც იყო ვახტანგ ჭელიძის „ივანე მაჩაბელი“, ელგუჯა მაღრაძის „გრიგოლ ორბელიანი“, მიხეილ კვესელავას „ასერგასის დღე“ და სხვ.

მრავალფეროვანი და რთული იყო ამ პერიოდის ქართული პოეზიის განვითარების გზა. 50-იან წლებში მოვიდა ახალი თაობა პოეტებისა, რომლებმაც ქართული ლირიკა და პოეტური ეპოსი ახალი თემებით გაამდიდრა. ამ დროს შეიქმნა რევაზ მარგიანის, ანა კალანდაძის, იოსებ ნონეშვილის, მურმან ლებანიძის, ხუტა ბერულავას, მუხრან მაჭავარიანის, შოთა ნიშნიანიძის, ჯანსულ ჩარკვიანის, ოთარ ჭილაძის, ტარიელ ჭანტურიას, მიხეილ ქვლივიძის, ფრიდონ ხალვაშის, მორის ფოცხიშვილის, აფხაზი პოეტის გიორგი თარბას და სხვა პოეტთა ნაწარმოებები.

ვითარდებოდა დრამატურგია. ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობდნენ გამოჩენილი ქართველი დრამატურგები: პოლიკარპე კაკაბაძე, რომელმაც ამ პერიოდში შექმნა ისტორიული პიესები „მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი“, „ცხოვრების ჯარა“, მიხეილ მრევლიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“, ნ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანი“, ვ. დარასელის „კიკვიძე“ და სხვ.

ომის შემდგომი წლების ცხოვრების პირობები აისახა პიესებში: სერგო კლდიაშვილის „ირმის ხევი“, ილო მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, მარიკა ბარათაშვილის „მარინე“, კიტა ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“, რევაზ თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“ და ა.შ.

იმ დროს შექმნილი მაღალმხატვრული ნაშრომებისთვის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ გრიგოლ აბაშიძეს, იოსებ გრიშაშვილს, გიორგი ლეონიძეს, ილო მოსაშვილს, სიმონ ჩიქოვანსა და სანდრო შანშიაშვილს.

არაერთი მხატვრული ნაშრომი შექმნეს საქართველოში მომუშავე აფხაზმა, ოსმა, რუსმა და სომეხმა მწერლებმა.

აღსანიშნავია, რომ ომის შემდგომ პერიოდში ქართული მწერლობის განვითარების მაჩვენებელი ხელშესახები შედეგები მიღწეულ იქნა საბჭოური-იდეოლოგიური ზეწოლის გაძლიერების, ლიტერატურული შემოქმედების „სოციალისტური რეალიზმის“ ჩარჩოებში იძულებით მოქცევის პირობებში. ამ მდგომარეობის მიუხედავად, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენდა შემოქმედებით პროცესებზე, ქართული ლიტერატურა ქართული მწერლობის ისტორიული ტრადიციების ერთგული რჩებოდა.

ომის შემდგომ წლებში გამოცოცხლდა თეატრების საქმიანობა საქართველოში. ომის თემა კვლავ აგრძელებდა სიცოცხლეს სცენაზე. აღსანიშნავია ილო მოსაშვილის ახალი პიესების „სადგურის უფროსი“, „მისი ვარსკვლავის“ დადგმები 1947, 1948 და 1952 წლებში შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრების სცენებზე. ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია მიხეილ მრევლიშვილის პიესის „ხარატაანთ კერა“, კიტა ბუაჩიძის „ამბავი ერთი სიყვარულისა“ და მარიკა ბარათაშვილის ლირიკული კომედიის „ჭრიჭინა“ და „ჩემი ყვავილეთის“ დადგმებმა თბილისის წამყვან თეატრებში.

ამ წლებში განხორციელდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებების ინსცენირებები — ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“, ალექსანდრე ყაზბეგის „მოძღვარი“, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილის“ დადგმები.

ქართული თეატრი დიდ ინტერესს იჩენდა უილიამ შექსპირის დრამატურგიისადმი. ომის შემდგომ წლებში განხორციელდა „რომეო და ჯულიეტას“, „ანტონიო და კლეოპატრას“ და „რიჩარდ III“-ის დადგმები რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრებში. აგრეთვე, დაიდგა ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“, ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“, კასონას „ხეები ზეზეურად კვდებიან“. რუსთაველის და ბათუმის სახელმწიფო თეატრებს დიდი წარმატება მოუტანა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ დადგმამ.

ომი შემდგომი პერიოდის ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარება დაკავშირებული იყო რეჟისორების: მიხეილ თუმანიშვილის, დოდო ალექსიძის, ვასილ ყუშიტაშვილის და ვახტანგ ტაბლიაშვილის, მსახიობების — აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, ვერიკო ანჯაფარიძის, თამარ ჭავჭავაძის, გიორგი საღარაძის, გიორგი შავგულიძის, ვასო გოძიაშვილის, სესილია თაყაიშვილის, შალვა ღამბაშიძის, ალექსანდრე ჟორჟოლიანის, აკაკი კვანტალიანის და სხვათა სახელებთან. ამ დროს მოვიდნენ თეატრში ახალგაზრდა რეჟისორები — ლილი იოსელიანი, გიგა ლორთქიფანიძე, აკაკი დვალიშვილი, გაიოზ ჟორდანია, მედეა კუჭუხიძე. მსახიობები: მედეა ჩახავა, სალომე ყანჩელი, მედეა ჯაფარიძე, მარინე თბილელი, ელენე ყიფშიძე, ეროსი მანჯგალაძე, გიორგი გეგეჭკორი, რამაზ ჩხიკვაძე. გურამ საღარაძე, კოტე მახარაძე, ტა-

რიელ საყვარელიძე, იაკობ ტრიპოლსკი, ოთარ მელვინეთუხუცესი, ირაკლი უჩანეიშვილი, ზინაიდა კვერენჩხილაძე, ედიშერ მაღალაშვილი და სხვ.

ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ქუთაისის, ჭიათურის, გორის, თელავის, ზუგდიდის თეატრები, აფხაზური და ქართული თეატრალური დასები სოხუმში, ქართული და ოსური დასები ცხინვალში, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული, სტეფანე შაუმიანის სახელობის სომხური, მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრები თბილისში.

1958 წლის თებერვალში თბილისში შედგა ქართული ცირკის პირველი წარმოდგენა.

მიუხედავად იმისა, რომ რეპერტუარის შედგენაში თეატრებს მკაცრი ჩარჩოები ჰქონდათ დადგენილი, რომელიც თანადროული „უკონფლიქტო" ცხოვრების ამსახველი რეპერტუარის უპირატესობას მოითხოვდა, ქართული თეატრი მაინც ქმნიდა მაღალი დონის თეატრალური ხელოვნების ნაწარმოებებს.

ომის შემდგომ წლებში კინოხელოვნება ომის წლების მძიმე მდგომარეობით გამოწვეულ შეფერხებას განიცდიდა, მაგრამ ამ პერიოდში რამდენიმე მაღალმხატვრული ფილმი მაინც შეიქმნა. მაგალითად, კინოფილმი „ქეთო და კოტე" (რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი, 1949).

1952 წლის 12 ივლისს მიიღეს დადგენილება თბილისის კინოსტუდიის მუშაობის შესახებ, შემოქმედებითი ვითარების გასაუმჯობესებლად. ამ დადგენილების რეალიზაციის შედეგად, 50-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო ქართული კინოს აღმავლობა, რაც ძველი და ახალი თაობის კინემატოგრაფისტთა შემოქმედებამ განაპირობა. რეჟისორები თანამედროვე თემატიკას დაუბრუნდნენ ფილმებში: „ჭრიჭინა", „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან", „ჩრდილი გზაზე", „ჩვენი ეზო", „საბუდარელი ჭაბუკი", „სხვისი შვილები". „ჭრიჭინამ" ფართო გამოხმაურება პოვა საერთაშორისო ეკრანზე. კინოფილმი „ჩვენი ეზო" (რეჟისორი რევაზ ჩხეიძე) მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

ამ პერიოდში შეიქმნა ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების რამდენიმე საინტერესო ეკრანიზაცია. მათ შორის, უდავოდ ყველაზე საინტერესო ნამუშევარია ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობის „მაგდანას ლურჯას" მიხედვით გადაღებული ამავე სახელწოდების ფილმი (რეჟისორები თენგიზ აბულაძე და რევაზ ჩხეიძე).

ომის შემდგომ წლებში ქართველმა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს არაერთი ნახატი, თოჯინური, დოკუმენტური, მეცნიერულ-პოპულარული და დუბლირებული ფილმი. წარმატება ხვდა ნახატ ფილმს „ხელმარჯვე ოსტატი" (რეჟისორი ვ. ბახტაძე).

1956 წლის 30 დეკემბერს თბილისში დაიწყო ტელეტრანსლაცია.

ომის შემდეგ ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა ახალი თაობა მოვიდა, რომელთა განსხვავებული და თვითმყოფადი ნიჭი მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში გამოვლინდა. ქართული საოპერო ხელოვნებაში ახალ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა შალვა მშველიძის ოპერა „ამბავი ტარიელისა", საყურადღებო მოვლენა იყო ალექსანდრე ბუკიას საბავშვო ოპერა „დაუპატიჟებელი სტუმრები". ამ პერიოდში დაიდგა არჩილ კერესელიძის ოპერა „ბაში-აჩუკი", დავით თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი", შალვა აზმაიფარაშვილის „ხევისბერი გოჩა" და სხვ.

ომის შემდგომი პერიოდის ქართული ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს დირიჟორებმა: შალვა აზმაიფარაშვილმა, ოდისეი დიმიტრიადმ და სხვ., მომღერლებმა: დავით გამრეკელმა, დავით ანდღულაძემ, პეტრე ამირანაშვილმა, ნიკო ქუმსიაშვილმა, სანდრო ინაშვილმა, ნადეჟდა ცომაიამ, მერი ნაკაშიძემ, ნადეჟდა ხარაძემ, დავით ბადრიძემ, მიხეილ ყვარელაშვილმა, ბათუ კრავეიშვილმა და სხვ.

ეს პერიოდი აღინიშნა ქართული ბალეტის ინტენსიური განვითარებით. დაიდგა გ. კილაძის ბალეტი „სინათლე", რომელმაც ქართული ბალეტი განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა. ამ ბალეტის ავტორთა და შემსრულებელთა ჯგუფი დაჯილდოვდა სტალინური პრემიით. ასეთივე ჯილდოთი აღინიშნა დავით თორაძის ბალეტის „გორდას" დადგმა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ალექსი მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოს" საქართველოს გარეთ. ამ ბალეტის დამდგმელს და მთავარი როლის შემსრულებელს ვახტანგ ჭაბუკიანს ლენინური პრემია მიენიჭა.

ომის შემდგომ წლებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა სიმფონიური მუსიკა. შეიქმნა ალექსი მაჭავარიანის, შალვა მშველიძის, ანდრია ბალანჩივაძის, რევაზ ლაღიძის, შალვა აზმაიფარაშვილის, ოთარ თაქთაქიშვილის, არჩილ ჩიმაკაძის სიმფონიები, სიმფონიური პოემები, კანტატები და ორატორიები. ოთარ თაქთაქიშვილის პირველი სიმფონია და საფორტეპიანო კონცერტი აღინიშნა სტალინური პრემიით. სიმფონიური პოემებიდან აღსანიშნავი იყო შალვა მშველიძის „მინდია", ოთარ თაქთაქიშვილის „მწირი", ოთარ ბარამიშვილის „შვლის ნუკრის ნაამბობი", რევაზ ლაღიძის „სამშობლოსათვის", ბიძინა კვერნაძის „განთიადი" და სხვ. ამავე წლებში შეიქმნა ანდრია ბალანჩივაძის, ნიკოლოზ გუდიაშვილის, ალექსანდრე შავერზაშვილის, ოთარ გორდელის, სულხან ნასიძის და სხვათა საფორტეპიანო კონცერტები.

40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-იან წლებში ჩაისახა და განვითარდა ეროვნული კამერული მუსიკა, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის კომპოზიტორ სულხან ცინცაძეს, რომელსაც ეკუთვნის „საჭიდაო", „მწყემსური",

მეორე კვარტეტი და სამი საკვარტეტო მინიატიურა, რისთვისაც მას, მაშინ ჯერ კიდევ მოსკოვის კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტს, სტალინური პრემია მიენიჭა.

გაიზარდა ინტერესი ქართული რომანსებისადმი. ომის შემდგომ წლებში შეიქმნა ალექსი მაჭავარიანის რომანსები „ცისა ფერს“, „მზეთამზის სახე“. რევაზ გაბიჩვაძის „შევიშრობ ცრემლს“, არჩილ ჩიმაკაძის „იავნანა“, „შენი დალალნი“, რევაზ ლაღიძის „მაგონდება ჩუქურთმაში ყვავილი“ და სხვ.

50-იან წლებში დაიწყო საესტრადო მუსიკის ინტენსიური განვითარება. იქმნებოდა მუსიკა ქართული ფილმებისთვის, ქართული ოპერეტა. მუსიკალური კომედიის ჟანრში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ არჩილ კერესელიძე, ნიკოლოზ გუდიაშვილი, შალვა აზმაიფარაშვილი, რევაზ ლაღიძე, შოთა მილორავა, გიორგი ცაბაძე და სხვ. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1954 წლის ივლისში ამიერკავკასიის მუსიკალური დეკადის, ხოლო 1958 წლის მაისში, ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის მოწყობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკების კომპოზიტორებმა, მუსიკოს-შემსრულებლებმა და თვითმოქმედმა მხატვრულმა კოლექტივებმა.

ომის შემდგომი წლები ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში ერთგვარი გარდატეხის პერიოდი იყო. ამ წლებში, უფროსი და საშუალო თაობის მხატვართა გვერდით, ახალგაზრდა ოსტატთა შემოქმედება იკიდებს ფეხს. 1952 წელს გახსნილ ხელოვნების მუზეუმში შეიქმნა ქართული სახვითი ხელოვნების მუდმივი ექსპოზიცია. მის ექსპოზიციაშია დავით კაკაბაძის ფერწერული ტილოები „ყაზბეგი“ და „ფოთი-ელევატორი“.

სისტემატურად ტარდებოდა რესპუბლიკური და საიუბილეო, საშემოდგომო და საგაზაფხულო გამოფენები. სპეციალური გამოფენა მიეძღვნა რესპუბლიკის ინდუსტრიულ ობიექტებს, კოლმეურნეობებს და ახალმშენებლობებს, სადაც გამოიფინა ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, უჩა ჯაფარიძის და სხვა მხატვართა ნამუშევრები.

პეიზაჟურ მხატვრობაში კვლავ ნაყოფიერად მუშაობდა უხუცესი მხატვარი ა. ციმაკურიძე („მზიანი დღე“, „ქვიშხეთი“). უფრო მრავალმხრივი გახდა პორტრეტული მხატვრობა. პორტრეტების მთელი გალერეა შექმნეს ქეთევან მაღალაშვილმა, ა. ბაჟბეუქ-მელიქოვმა, უჩა ჯაფარიძემ, კარლო სანაძემ, გ. ჯაშმა. თემატიკის დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება ლადო გუდიაშვილის ამ პერიოდის შემოქმედება.

მონუმენტურ-დეკორატიულ ხელოვნებაში მუშაობა დაიწყო რობერტ სტურუამ, რომელსაც ეკუთვნის ჭიათურის თეატრის ჭალის მოხატულობა, კულტურის სახლების მოხატულობანი და ა.შ.

50-იანი წლებიდან წამოვიდა მხატვართა ახალი თაობა (დიმიტრი ხახუტაიშვილი, გოგი თოთიბაძე, კ. მახარაძე და სხვ.), რომლებიც ფერწერის სხვადასხვა ჟანრში მოღვაწეობდნენ. ინტენსიურად ვითარდებოდა გრაფიკის სხვადასხვა დარგი. წიგნის დასურათების ჟანრში აღსანიშნავი იყო იოსებ შარლემანის მიერ ანა ანტონოვსკაიას რომან „დიდი მოურავის" დასურათება, სერგო ქობულაძის ილუსტრაციები უილიამ შექსპირის „მეფე ლირისა", ირაკლი თოიძის და სხვა მხატვრების მიერ შესრულებული „ქართული პოეზიის ანთოლოგია", უჩა ჯაფარიძის — ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის" ილუსტრაციები, ა. ბანძელაძის, თენგიზ მირზაშვილის და სხვა მხატვრების მიერ დასურათებული წიგნები.

სატირული გრაფიკის ჟანრში ნაყოფიერად მუშაობდნენ გიგლა ფირცხალავა, ნ. მალაზონია, ჯემალ ლოლუა და სხვ. თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებაში მოღვაწეობდნენ ცნობილი მხატვრები: ელენე ახვლედიანი, სოლიკო ვირსალაძე, ფარნაოზ ლაპიაშვილი, რომლებიც თბილისის გარდა, წარმატებით მუშაობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, ერევნისა და სხვა ქალაქების თეატრებში. 50-იან წლებში სოლიკო ვირსალაძემ გააფორმა ბალეტი „ოტელო".

ომის შემდგომ წლებში ქართველ მოქანდაკეთა ყურადღების ცენტრში კვლავ რჩებოდა ომის თემა. ამ დროს შეიქმნა თამარ აბაკელიას ბარელიეფი „კავკასიის დაცვა", ვ. თოფურიძის სკულპტურა — „გამარჯვება", ე. მაჩაბელის — „არსენა ოძელაშვილი", თ. ღვინიაშვილის — ივანე ჯავახიშვილის და ნიკო მუსხელიშვილის სკულპტურული პორტრეტები, იაკობ ნიკოლაძის — XII საუკუნის ქართველი პოეტის, ჩახრუხაძის პორტრეტი მარმარილოში, ვლადიმერ კანდელაკის — საბჭოთა კავშირის გმირის, დავით ბაქრაძის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის, კინომსახიობ ნატა ვაჩნაძის, სილოვან კაკაბაძის — გალაკტიონ ტაბიძის, აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის პორტრეტები.

50-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული გამოფენებზე და კონკურსებში სისტემატურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მოქანდაკეები.

1958 წელს შეიქმნა ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკება „ქართველის დედა", რომელიც თბილისის სიმბოლოდ იქცა. მასვე ეკუთვნის ვახტანგ გორგასლის ქანდაკება მეტეხის პლატოზე, ამ პერიოდში თბილისში დაიდგა მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის ავტორობით შესრულებული დავით გურამიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის ძეგლები.

50-იანი წლებიდან მოქანდაკე ირაკლი ოჩიაურის თაოსნობით აღორძინდა დავიწყებას მიცემული ქართული ჭედური ხელოვნება. შემდგომ წლებში ამ დარგში მუშაობდნენ ასევე, გ. გაბაშვილი, კ. გურული, დ. ყიფშიძე. ამ პერიოდში დაიწყო ახალი ეტაპი ქართული მხატვრული კერამიკის განვითარება-

ში. ამ დარგში მოღვაწეობდნენ გ. ქართველიშვილი, ნ. გომელაური და სხვ.

ქართველ არქიტექტორთა მუშაობა ომის წლებშიც არ შწყვეტილა, ხოლო ომის შემდგომ ხუროთმოძღვრება ინტენსიურად ვითარდებოდა, პირველ რიგში, თბილისის არქიტექტურული რეკონსტრუქციის სამუშაოების გაშლასთან დაკავშირებით. ამ დროს აშენდა არაერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, მათ შორის საცხოვრებელი სახლების კომპლექსი მარჯანიშვილის სახელობის მოედანზე (არქიტექტორი გ. მელია), პლეხანოვის პროსპექტზე (არქიტექტორი თ. ჩხენკელი), 200-ბინიანი საცხოვრებელი სახლი კამოს ქუჩაზე (არქიტექტორები შოთა ყავლაშვილი, გ. მელქაძე და სხვ.).

1956 წელს დაიწყო ქალაქ თბილისის ერთ-ერთი უბნის, საბურთალოს საცხოვრებელი მასივის განაშენიანება (არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი) და სხვ.

1955 წლის ნოემბრის სამთავრობო დადგენილების „დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ" (რომლის მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ საცხოვრებელი, სამოქალაქო და სამრეწველო შენობათა დიდი ნაწილი უმთავრესად შენდებოდა ინდივიდუალური პროექტით) მიღების შემდეგ, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და საერთოდ კაპიტალური მშენებლობა წარიმართა ტიპური პროექტების საფუძველზე.

აიგო უმაღლესი სასწავლებლების — პოლიტექნიკური ინსტიტუტის (1954, არქიტექტორი მ. შავიშვილი), რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კომპლექსის (1956, არქიტექტორი მ. ნეპრინცევა), ფიზიკის ინსტიტუტის (არქიტექტორი ი. კასრაძე) შენობები და სხვ.

1957 წელს გაიყვანეს ვარაზის ხევის ტრასა, ხოლო 1959 წელს ვაკე-საბურთალოს ხეივნის მაგისტრალი. შეიქმნა „თბილისის ზღვის" დიდი ტყე-პარკი. აშენდა ქუთაისის თეატრის შენობა (1955), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სასტუმრო გორში (არქიტექტორები ა. ქურდიანი, ქ. სოკოლოვა). სოხუმის რკინიგზის სადგურის ახალი შენობა (არქ. ლ. და გ. მუშკუდიანები, 1951), რეკონსტრუირებულ იქნა თეატრის შენობა, გაშენდა სოხუმის ტყე-პარკი. ბათუმში გაიხსნა დრამატული თეატრის ახალი შენობა (არქიტექტორი ა. ტეპლიცკი, 1953), რევოლუციის მუზეუმის შენობა (არქიტექტორი კ. ჯავახიშვილი, 1955) და ა.შ.

50-იანი წლების დამლევს შედგა ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის, ცხინვალის და სხვა ქალაქების გენერალური გეგმები. ომის შემდგომ წლებში შეიქმნა არაერთი მუზეუმი, მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი წინანდალში (1946), ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში (1951), იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმი გორში და სხვ.

საქართველოს კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა იყო

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მეორე დეკადა, რომელიც ქალაქ მოსკოვში გაიმართა 1958 წლის 21 მარტს. დეკადაში მონაწილეობდნენ საქართველოს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა და კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირები. გაიმართა ლიტერატურული საღამოები. დიდი მოწონება ხვდა წილად საბალეტო სპექტაკლებს „ოტელო“ და „გორდა“, ქართულ კლასიკურ ოპერას „დაისი“, დრამატული თეატრების სპექტაკლებს — სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“ და უილიამ შექსპირის „რიჩარდ III“-ს, ქართულ მხატვრულ ფილმებს — „საბუდარელი ჭაბუკი“ და „ოთარაანთ ქვრივი“.

მოსკოველები დიდი ინტერესით გაეცნენ ლადო გუდიაშვილის პირველ პერსონალურ გამოფენას მოსკოვში, ასევე ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტებს, უჩა ჯაფარიძის ეტიუდების სერიას, რობერტ სტურუას, გოგი თოთიბაძის, დ. ხახუტაშვილის ფერწერულ ტილოებს, სერგო ქობულაძის, მ. ჩირინაშვილის, ა. ბანძელაძის, დ. ნოდიას წიგნის გრაფიკას და ა.შ.

1958 წლის ოქტომბერში აღინიშნა თბილისის, როგორც დედაქალაქის 1500 წლის იუბილე. საზეიმო დღეებში თბილისს შეემატა ახალი კეთილმოწყობილი ქუჩები და მოედნები, აიგო პირველი საჰაერო სამგზავრო-საბაგირო გზა, რომელმაც ქალაქის ცენტრი — რუსთაველის მოედანი დაუკავშირა ფუნიკულიორს.

იუბილეს მიეძღვნა რევაზ ლაღიძის „სიმღერა თბილისზე“, სამნაწილიანი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „უძველესი ქალაქის გაზაფხული“. მოეწყო ქართული სახვითი ხელოვნების საიუბილეო გამოფენა. მეტეხის კლდეზე საძირკველი ჩაეყარა თბილისის დამაარსებლის, ვახტანგ გორგასლის ძეგლს. რუსთაველის პროსპექტზე, ყოფილი I სკოლის შენობის წინ დაიდგა ვალენტინ თოფურიძის ავტორობით შესრულებული ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ძეგლი. საიუბილეო დღესასწაული შედგა „დინამოს“ სტადიონზე, ხოლო „ქარიშხალას“ სტადიონზე — სახალხო ზეიმი, რომელსაც მრავალი სტუმარი დაესწრო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XVIII.

სოციალიზმის კრიზისი საქართველოში

60-იანი წლების ეკონომიკური რეფორმები

60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში განმტკიცდა ნიკიტა ხრუშჩოვის ერთპიროვნული ძალაუფლება. მისმა მომხრეებმა სკკპ XXII ყრილობას (1961 წლის ოქტომბერი) დაამტკიცებინეს კომუნისტური პარტიის ახალი, უტოპიური მესამე პროგრამა, რომელიც 1980 წლისთვის საბჭოთა ქვეყანაში კომუნისტური სისტემის გამარჯვებას ითვალისწინებდა: „უახლოეს ათწლეულში (1961-1970 წლებში) საბჭოთა კავშირი, რომელიც ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ გაუსწრებს კაპიტალიზმის ყველაზე მძლავრ და მდიდარ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს; მნიშვნელოვნად ამაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურულ-ტექნიკური დონე, ყველასთვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური შეძლება; ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გადაიქცევა მაღალნაყოფიერ და მაღალშემოსავლიან მეურნეობად; ძირითადად დაკმაყოფილდება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი კეთილმოწყობილ ბინაზე; გაქრება მძიმე ფიზიკური შრომა; სსრ კავშირი ყველაზე მოკლე სამუშაო დღის ქვეყანა გახდება. მეორე ათწლეულის შედეგად (1971-1980 წლებში) შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვეს მთელი მოსახლეობისათვის; საბჭოთა საზოგადოება უშუალოდ მივა მოთხოვნილებათა მიხედვით განაწილების პრინციპის განხორციელებასთან, მოხდება თანდათან გადასვლა ერთიან საერთო სახალხო საკუთრებაზე. ამრიგად, სსრ კავშირში ძირითადად აშენდება კომუნისტური საზოგადოება“.

ეკონომიკურად მცდარი და სოციალურად ილუზორული დოკუმენტი ქვეყანაში ისეთ ფანტასტიკურ ეკონომიკურ აღმავლობას სულ რაღაც ოც წელიწადში ვარაუდობდა, რის საფუძველზეც განხორციელდებოდა კომუნისტური პრინციპი: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით!“

მიუხედავად იმისა, რომ ახალი საპროგრამო დოკუმენტი სავსე იყო სამშვიდობო მოწოდებებით, საბჭოთა ხელმძღვანელობის ერთგულებით „მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებისადმი“, საერთაშორისო ძაბვრეობა კვლავ დაძაბული იყო: საბჭოთა კავშირი განაგრძობდა კომუნისტურ ექსპანსიას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. პროსაბჭოთა რეჟიმების სუბსიდირებას უზარმაზარი სახსრები ხმარდებოდა.

50-იანი წლების მეორე ნახევარში განხორციელებული რეორგანიზაციები არაეფექტური იყო: ეკონომიკის მართვის ახალი სისტემა — „სახალხო მეურნეობის საბჭოები“ ნაკლებად ეფექტიანი, მოუქნელი ეკონომიკური სტრუქტურები აღმოჩნდნენ.

1961 წელს განხორციელდა ფულის რეფორმა, რამაც ათჯერ შეამცირა ფულის არსებული მასშტაბი და მომავალში ინფლაცია უზრუნველყო.

სერიოზული პრობლემები იყო სამომხმარებლო ბაზარზე — 1963 წელს შეიქმნა სერიოზული დაძაბულობა ქვეყნის რეგიონების პურით მომარაგების საქმეში. საქართველოში პურის მაღაზიებთან უზარმაზარი რიგები გაჩნდა.

სიძნელეები შეიქმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში საგრძნობლად შენელდა შრომის ნაყოფიერების ზრდა, ყოველ დახარჯულ მანეთზე პროდუქციის უკუგება, ჭიანურდებოდა ახალი სამრეწველო ობიექტების ექსპლოატაციაში შესვლა, წარმოებაში ძნელად ინერგებოდა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, ეკონომიკური დაგეგმვის დროს ხშირი იყო შეცდომები, ეკონომიკური კანონების უგულებელყოფა, წარმოებული პროდუქცია დაბალი ხარისხის იყო.

ყოველივე ამის საპირისპიროდ, დასავლეთში თანდათან იწყებოდა და ყოველწლიურად ძალას იკრებდა ახალი სამრეწველო რევოლუცია, გრანდიოზული ძვრები ეკონომიკის ყველა დარგში მიმდინარეობდა.

საშინაო და საგარეო ფაქტორების ერთობლიობამ აშკარა გახადა საბჭოთა ქვეყანაში რეფორმების აუცილებლობა. პარტიულმა და საბჭოთა ელიტამ ამ ცვლილებების რეალიზაცია დაიწყო ნიკიტა ხრუშჩოვის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ. 1964 წლის ოქტომბრის პლენუმზე, შეთქმულებმა (ლეონიდ ბრეჟნევი, ალექსანდრე კოსიგინი, ნიკოლოზ პოდგორნი, მიხეილ სუსლოვი, ვასილ მჟავანაძე და სხვ.) აიძულეს ხრუშჩოვი „ჯანმრთელობის გაუარესების“ საბაბით თანამდებობიდან გადამდგარიყო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა ლეონიდ ბრეჟნევი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს გამოცდილი სამეურნეო მუშაკი — ალექსანდრე კოსიგინი.

ახალმა ხელისუფლებამ ხრუშჩოვის მიერ განხორციელებული ბევრი ნოვაცია გააუქმა — აღდგა სამინისტროები, გაერთიანდნენ პარტიული

სტრუქტურები, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ დაიწყეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. 1965 წლის სექტემბერში ს.კ.პ ცკ პლენუმმა მიიღო დადგენილება: „მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“.

დადგენილება ითვალისწინებდა ეკონომიკურ რეფორმას. დაგეგმარების დროს მაქსიმალურად უნდა გათვალისწინებულიყო საწარმოს შესაძლებლობები. დაწესდა მატერიალური წახალისების ახალი ფორმები, მაგალითად „მეცამეტე ხელფასის“ სისტემა. მისი ოდენობა მთლიანად დამოკიდებული იყო საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლების საბოლოო შედეგებზე.

1966 წლის 11 იანვარს, ეკონომიკური რეფორმის რეალიზაციის პერიოდში, თბილისში გაიხსნა მეტროპოლიტენის პირველი რიგი — მე-4 საბჭოთა კავშირში და 33-ე მსოფლიოში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გასაცნობად, მისი მხრდაჭერის მისაღებად, ლეონიდ ბრეჟნევი 1966 წლის ნოემბერში საქართველოში ჩამოვიდა. თბილისის სპორტის სასახლეში შეხვედრაზე, მან საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ეკონომიკური რეფორმების რეალიზაციაში წარმატებები უსურვა.

საქართველოს სამრეწველო საწარმოები თანდათან გადადიოდნენ ახალ ეკონომიკურ სისტემაზე, ამუშავებდნენ ეკონომიკურად დასაბუთებულ სქემებს. ამ ეტაპზე მეტი ყურადღება დაეთმო შრომის ნაყოფიერების ზრდას, საამქროებში სამეურნეო ანგარიშის სრულყოფას, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას. 1967 წელს საქართველოში სულ რვა საწარმო მუშაობდა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი პრინციპების საფუძველზე, 1970 წელს რესპუბლიკის წამყვანი 800 საწარმო, რომელიც საქართველოს მთელი მრეწველობის 83%-ს აწარმოებდა, უკვე ახალი ეკონომიკური პრინციპებით მუშაობდა.

ეკონომიკური რეფორმების რეალიზაცია დაემთხვა საქართველოში ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის, ენერგეტიკის, მსუბუქი მრეწველობის უპირატეს განვითარებას. საქართველოს მდიდარი სანედლეულო ბაზა ამის შესაძლებლობას იძლეოდა. სახე იცვალა რუსთავმა, მეტალურგიასთან ერთად ის ქიმიური მრეწველობის მნიშვნელოვანი ბაზა გახდა — განვითარდა აზოტოვანი სასუქების, სინთეზური ბოჭკოების წარმოება. იზრდებოდა ქუთაისური ლითოფონის წარმოება, ქიმიური პრეპარატების, კოფეინის და სხვა საწარმოო სიმძლავრეები.

1965 წელს საქართველოს ელექტროენერგეტიკამ გამოიმუშავა 6 მილიარდი კვსთ ელექტროენერგია, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი რესპუბლიკის

მზარდი ეკონომიკისთვის. დიდ იმედებს ამყარებდნენ უნიკალური მშენებლობის — ენგურჰესის დასრულებაზე — თაღოვანი კაშხალი ევროპაში ყველაზე მაღალი (271,5 მ.) უნდა ყოფილიყო. ენგურჰესი გადაწყვეტდა საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგების პრობლემას, რადგან მისი სიმძლავრე 1300 ათას კვტ-ს უტოლდებოდა. პარალელურად მიმდინარეობდა ვარციხისა და ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

სწრაფი ტემპით შენდებოდა მადნეულის კომბინატი — ადგილობრივი ფერადი ლითონების მადნის გადასამუშავებლად. ეს უნიკალური საბადო უხვად შეიცავდა სპილენძს, ტყვიას, ბარიტს, თუთიას და ა.შ.

რეფორმამ საქართველოში მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების, ელექტროტექნიკური, საინსტრუმენტო, საავტომობილო მრეწველობის, სატრაქტორო წარმოების, კვების ტექნოლოგიური მოწყობილობების წარმოების განვითარება დააჩქარა. თუმცა, სიძნელეებიც შექმნა: საქართველოს ეკონომიკის რიგი დარგები მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის, განსაკუთრებით რსფსრ-ის საწარმოებიდან მიღებულ ნედლეულსა და მოწყობილობებზე.

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში არსებული სერიოზული პრობლემების მოწესრიგებას ითვალისწინებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმი. 60-იან წლებში უკვე აშკარა გახდა სოფლად აგრარული ურთიერთობების მახინჯი ხასიათი: დაბალი პროდუქტიულობა, უპასუხისმგებლობა, საზოგადოებრივი ქონების დატაცება.

ახალი ეკონომიკური რეფორმის საერთო მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების წინსვლისა და განვითარებისთვის, გამოიყო ასიგნებანი სამელიორაციო სამუშაოების გასაფართოებლად, ახალი ნასვენი და ყამირი მიწების ასათვისებლად. ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის მექანიზაციას და ავტომატიზაციას, ახალი, ეფექტური სასოფლო-სამეურნეო მანქანებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგებას, მინერალური სასუქების შეტანას.

60-იანი წლების შუახანებში საქართველოში 1435 კოლმეურნეობა და 168 საბჭოთა მეურნეობა იყო. სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ დარგების ინტენსიურ განვითარებას, რაც საერთო-საკავშირო დარგობრივი კულტურების განაწილებაში საქართველოს იმიჯს ქმნიდა: მევენახეობას, მეჩაიეობასა და მეციტრუსეობას.

დასავლეთ საქართველოში ციტრუსების დამზადება სოფლის მეურნეობის მთავარი და წამყვანი მიმართულება იყო: თუ 1960 წელს ციტრუსების პლანტაცია გაშენებული იყო 9,3 ათას ჰექტარზე, 1970 წელს — 16,3

ათას ჰექტარზე. ასევე გაიზარდა ჩაის პლანტაციების საერთო მოცულობაც: 1960 წელს — 55,6 ათასი ჰექტარი, 1970 წელს კი უკვე 64,8 ათასი ჰექტარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ყველა სახის მეურნეობაში ყოველწლიურად იზრდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებითი მაჩვენებელი: ოფიციალური სტატისტიკით, თუ 1960 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა აწარმოეს 940 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია, 1970 წელს — 1 462,3 მილიონი მანეთის უწარმოებიათ (მიწერებისა და ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების გაყალბების გამო დღეს ეს მონაცემები ეჭვს ბადებს. ავტ.).

საქართველოს აგრარულ სექტორს ძალას აცლიდა ე.წ. „საბჭოთა დუალიზმი" სოფლის მეურნეობაში. პირადი დამხმარე მეურნეობის ადგილი და მნიშვნელობა ქართველი გლეხის ეკონომიკურ ცხოვრებაში ყოველწლიურად იზრდებოდა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ცხოვრების შედარებითმა ლიბერალიზაციამ, დისციპლინის მოშლამ, იძულების მექანიზმის შესუსტებამ გლეხის ყურადღება საკარმიდამო ნაკვეთზე გადაიტანა: საუკეთესოდ მოვლილი, დროულად დამუშავებული კერძო ნაკვეთები საჰექტარო მოსავლიანობით ბევრად სჭარბობდნენ საზოგადოებრივ მეურნეობებს. პირად სარგებლობაში მყოფი საქონელიც უფრო მოვლილი და პროდუქტიული იყო, ვიდრე საზოგადოებრივ ფერმებში (ხრუშჩოვის დამხობის შემდეგ შეზღუდვები კერძო საქონლის ყოლაზე — გაუქმდა). ეს ტენდენცია 60-იან წლებში უკვე აშკარად შესამჩნევი იყო.

წინააღმდეგობების, სიძნელეების მიუხედავად, 60-იანი წლების მეორე ნახევარში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა უზრუნველყვეს საბჭოთა ეკონომიკის ვარდნის დროებითი შეჩერება, ფინანსური დაგროვება, საბჭოთა მთავრობის ახალი სოციალური პროგრამების განხორციელება.

სოციალური ინფრასტრუქტურა. მიგრაციული პროცესები

საქართველომ 60-იანი წლების შუახანებში გარკვეულ წინსვლას მიაღწია როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კულტურული აღმავლობის გზაზე. განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები, თავისი ცალმხრივობის, წინააღმდეგობრიობის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის საქმიანობაზე, მატერიალურ თუ სოციალურ ყოფაზე ზეგავლენას ახდენდა.

საქართველოში 60-იანი წლების დასასრულს 4686 ათასი კაცი ცხოვრობდა (1970 წლის აღწერის მონაცემები). მოსახლეობის მატება წინა აღწერასთან შედარებით (1960 წ.) 13% იყო. საერთოდ, აშკარად შეიმჩნეოდა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ტენდენცია. 1950

წელთან შედარებით, როცა მოსახლეობის მატება 18% იყო, ეს მაჩვენებელი 70-იან წლებში აშკარად შემცირდა. ეს მდგომარეობა აიხსნება ძირითადი მოსახლეობის — ქართველების შობადობის შემცირებით.

საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით შედიოდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. აფხაზეთში 1970 წელს ცხოვრობდა 486959, აჭარაში 309768, სამხრეთ ოსეთში 99421 კაცი.

საქართველოს ქალაქებში ცხოვრობდა 2239 ათასი კაცი, სოფლად — 2 446 ათასი კაცი. სოფლიდან ქალაქში მიგრაციის ტენდენცია უპირატესი იყო მთელი 60-იანი წლების განმავლობაში.

კომუნისტური პარტიის სოციალური პოლიტიკა ითვალისწინებდა ზრდასრული მოსახლეობის აუცილებელ ჩაბმას ეკონომიკურ სტრუქტურებში. საქართველოს მთელი დასაქმებული მოსახლეობა 1970 წელს 2101734 კაცს შეადგენდა. აქედან მუშა იყო — 956780, კოლმეურნე — 521 575, მოსამსახურე — 608736 კაცი.

მუშები, საბჭოთა საქართველოს ძირითადი სოციალური კატეგორია, დაკავებული იყვნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, ტყიბულის, ჭიათურის, ტყვარჩელის, ზესტაფონის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო საწარმოებში, სატრანსპორტო ორგანიზაციებში, მშენებლობაში და ა.შ.

მუშათა შორის მნიშვნელოვან რაოდენობას ქალები შეადგენდნენ. საქართველოს მრეწველობაში 387651 ქალი იყო დაკავებული (სულ მუშა იყო 956 780). ისინი ძირითადად მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში იყვნენ დასაქმებულნი, მაგრამ ბევრი იყო ქალი მძიმე მრეწველობის, მანქანათმშენებლობის და სხვა საწარმოებშიც.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მთავარი და ძირითადი ნაწილი საკოლმეურნეო შრომის სფეროში იყო ჩაბმული — საქართველოში კოლმეურნე იყო 521 575, მათ შორის უმეტესობა — 286568 ქალი იყო.

საბჭოთა სისტემის კრიზისის პირობებში, ქალი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საკოლმეურნეო ცხოვრებაში — ამის მიზეზი იყო ის, რომ მამაკაცები ძირითადად საკარმიდამო მამულის დამუშავებით იყვნენ დაკავებულნი. ეს მათი ოჯახური ბიუჯეტის ძირითადი და მთავარი წყარო იყო.

საქართველოს სოციალური ინფრასტრუქტურის მესამე შემადგენელი ნაწილი — მოსამსახურეები — მეტად მრავალფეროვანი კატეგორია იყო. იგი აერთიანებდა მეცნიერებს, პედაგოგებს, ექიმებს, და უბრალოდ — მომსახურების სფეროში დაკავებულ ადამიანებს. საქართველოში, საბჭოთა სტატისტიკით, 608736 მოსამსახურე იყო.

მთავარი სოციალური ფენა, რა თქმა უნდა, ინტელიგენცია იყო. საქარ-

თველოში უმაღლესი განათლების მიღების ინტერესი მუდამ იყო. 60-იან წლებში ეს კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა: ახალგაზრდების დიდი ნაწილი უმაღლესი განათლების მიღებას ესწრაფოდა. ყოველ 1000 კაციდან, 73 კაცი უმაღლესი განათლებით იყო, 481 — არასრული უმაღლესი და საშუალო განათლებით და 251 კაცი — დაწყებითი განათლებით. უმაღლესი განათლების მაჩვენებელი საუკეთესო იყო მთელ საბჭოთა კავშირში (საერთო-საკავშირო მაჩვენებელი — 42-ს უდრიდა).

საქართველოში შეიქმნა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი ფენა: ადამიანების ნაწილი, რომლებიც დაკავებული იყვნენ მეცნიერებაში, ხელოვნებასა და ჯანმრთელობის დაცვაში. 60-იან წლებში ეს დარგები საქართველოში პრესტიჟული და პრიორიტეტული იყო. საქართველოში 1970 წელს ამ დარგებში (მეცნიერება, ჯანდაცვა, ხელოვნება) დასაქმებული იყო 343507 კაცი — ეს გახლდათ საქართველოს ინტელექტუალური ელიტა. სამეცნიერო შრომით დაკავებული ადამიანების რიცხვი სისტემატიურად იზრდებოდა: თუ 1960 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა 9137 კაცს, 1970 წელს უკვე — 20160 კაცს. მეცნიერების დოქტორების რაოდენობა იმავე პერიოდში 430-დან 989-მდე გაიზარდა. ასევე გაიზარდა ასპირანტების საერთო რაოდენობაც, 1970 წელს საქართველოში 1427 ასპირანტი იყო.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მიგრაციული პროცესების დაჩქარებასაც იწვევდა. ახალი ფაბრიკა-ქარხნების, სამრეწველო ობიექტების ექსპლოატაციაში შესვლა ახალ კადრებს მოითხოვდა, ეს კი სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის ხარჯზე ხორციელდებოდა. მიგრაციული დინება განსაკუთრებით დაეტყო დიდ სამრეწველო ქალაქებს: თბილისს, ქუთაისს, სოხუმს, ბათუმს. 1959 წელს თბილისში 689889 მცხოვრები იყო, 1970 წელს კი თბილისში უკვე 889020 კაცი ცხოვრობდა (მატებამ შეადგინა 208030 კაცი). მთავრობა ნებისმიერ ფასად ცდილობდა, თბილისი „მილიონერი" ქალაქი გამხდარიყო (თბილისი „მილიონერი" გახდა 1980 წელს).

ახალი საწარმოების მშენებლობა გარე მიგრაციასაც უწყობდა ხელს: მეორე ინდუსტრიულ ცენტრში, რუსთავში, მისი სამრეწველო პროფილის გამო, სამუშაოდ და საცხოვრებლად ჩამოდიოდნენ მიგრანტები რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან. თუმცა ეს პროცესები წინა პერიოდთან შედარებით შესამჩნევი უკვე აღარ იყო. 1970 წელს საქართველოს მიგრაციულ ნაკადში შიდამიგრაციული პროცესები წამყვანი ჩანს (66669 კაცი). სულ კი, შიდა და გარე მიგრაციულ პროცესებმა მოიცვა 124435 კაცი (იგულისხმება მიგრაციული ნაკადის შემოსვლა და გასვლა).

1970 წელს საქართველოში დაფიქსირდა 88112 მიგრირებული მოსახლეობა (მათ შორის იგულისხმება შიდამიგრაციული პროცესების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაადგილებული 66669 ადგილობრივი მოსახლეობაც), აქედან რსფსრ-დან იყო 11461 კაცი, დანარჩენი სხვა რესპუბლიკებიდან.

შიდამიგრაციული დინება, თავისთავად, ნეგატიურ პროცესებს იწვევდა — საქართველოს მთის რეგიონები დაცარიელდა. მოსახლეობის ჩამოსვლა ბარში, განსაკუთრებით სამრეწველო ქალაქებში, პერმანენტული გახდა.

ოფიციალური სტატისტიკით, 60-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები აისახა საქართველოს ეროვნული შემოსავლის ზრდის მაჩვენებელზეც: თუ 1966 წელს საქართველოს ეროვნული შემოსავალი 3022,1 მილიონ მანეთს უდრიდა, უკვე 1968 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 3374,2 მილიონი მანეთი, ხოლო 1970 წელს — 4099,2 მილიონი. სახელმწიფოს სოციალური პროგრამების შედეგად ნელა, მაგრამ მაინც იზრდებოდა მოსახლეობის რეალური შემოსავლებიც — 60-იან წლებში, განსაკუთრებით ეკონომიკური რეფორმების პერიოდში, საქართველოს მოსახლეობის რეალური შემოსავალი ყოველწლიურად 5-7 %-ით იზრდებოდა.

ნაკლოვანებების — „ნეგატიური მოვლენების" მიუხედავად, საბჭოთა სისტემის მონაპოვარი იყო უფასო ბინა, უფასო სამედიცინო მომსახურება. მეშვიდე ხუთწლედში (1966-1970 წლებში) საქართველოში აშენდა 7916 ათასი კვმ საცხოვრებელი ფართობი, აქედან, სახელმწიფოსა და კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ 3 346 ათასი კვმ, მუშებისა და მოსამსახურეების მიერ, საკუთარი ხარჯით და სახელმწიფოს დახმარებით აშენდა — 2177 ათასი კვმ საცხოვრებელი ფართობი, კოლმეურნეებმა თავისი ხარჯით და სახელმწიფოს დახმარებით აიშენეს 2395 ათასი კვმ საცხოვრებელი ფართობი. აღნიშნულ პერიოდში საბინაო პირობები ოფიციალური სტატისტიკით გაიუმჯობესა 705 ათასმა მოქალაქემ. 60-იან წლებში დაიწყო და მასობრივად შენდებოდა ე.წ. „ხრუშჩოვკები", მოუხერხებელი, ნაკლებკომფორტული შენობები.

ეკონომიკური წინსვლა აისახა მოსახლეობის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე — გაიზარდა მათი პირადი დანაზოგების ოდენობა — თუ 1960 წელს საქართველოში პირადი ანაბრები ჰქონდა 760 ათას კაცს, 1965 წელს — 785 ათასს, 1970 წელს — უკვე 1146 ათას კაცს გააჩნდა. საგრძნობლად გაიზარდა ანაბრების საშუალო მაჩვენებელიც — 282 მანეთიდან (1960 წ.) 1016 მანეთამდე (1970 წ.).

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში ყოველწლიურად იზრდებოდა გაყიდული ძვირად ღირებული საქონლის: ტელევიზორების, პიანინოების, ავეჯის, ავტომობილების და სხვა საგნების რაოდენობრივი მაჩვენებელი. საკავშირო საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, საქართველოში ცხოვრების დონე მაღალი იყო.

სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გაძლიერება

1971 წელს საქართველოს გასაბჭოების 50 წლის იუბილეს ზეიმობდნენ. მას, ტრადიციულად, 25 თებერვალს კი არა, არამედ სექტემბერში აღნიშნავდნენ. საიუბილეოდ თბილისში ლეონიდ ბრეჟნევი ჩამოვიდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ დიდებული მიღება მოუწყო სკკპ ცკ გენერალურ მდივანს. ოფიციალური შეხვედრების დროს აღინიშნა საქართველოს უდიდესი წარმატებები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

მაგრამ მკაცრი სინამდვილე სხვაგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლეოდა: საქართველოში „ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის მანკიერებასა და კორუფციას შორის პირდაპირი კავშირი „არსებობდა. ამის გამო „კორუფციისაგან ყველაზე მეტად ზარალდებოდა „პატარა ადამიანი", რიგითი მოქალაქე. ის არ იყო დაცული არც ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების, არც სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რადგან მაფია ამ სტრუქტურებშიც აღწევდა და აკონტროლებდა მათ. ხელისუფლებისადმი ნდობა შეირყა, ყველაფერს ნაღდი ფული წყვეტდა. გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა. ლპობისა და რღვევის ნიშნები განსაკუთრებით საშინელი იყო კომუნისტური და პატრიოტული ფრაზეოლოგიის დახვავების ფონზე"... (ედუარდ შევარდნაძე).

მჟავანაძისადმი ოპოზიციურად განწყობილმა ძალებმა ეს მკაცრი სინამდვილე, სათანადო არგუმენტებით დართული, კრემლის ლიდერებს წარუდგინეს. მოსკოვი აშკარად უკმაყოფილო იყო რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობით.

1972 წლის 22 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ". მართალია, დადგენილება თბილისის კომიტეტის მუშაობას კრიტიკულად აფასებდა, მაგრამ ყველასთვის აშკარა იყო, რომ მოსკოვი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის საქმიანობით იყო უკმაყოფილო.

მოსკოვს განსაკუთრებით აღიზიანებდა ქართველი ინტელიგენციის მზარდი ნაციონალური განწყობილება, რაც საგრძნობლად გაძლიერდა 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის შემდეგ და აშკარად ვლინდებოდა მათ შემოქმედებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში.

დადგენილება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობის რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვდა. ამ დადგენილების რეალიზაციას სჭირდებოდა ახალი პიროვნებები, ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელები. ვასილ მჟავანაძე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს კომკავშირის ცკ-ის პირველი მდივანი, მცხეთის პარტიის რაიკომის ყოფილი ხელმძღვანელი, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, რომელმაც ჩინებულად იცოდა საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური სისტემის როგორც აშკარა, ისე ფარული, ძლიერი და სუსტი მხარეები. მან მთელი თავისი მუშაობა იდეოლოგიური, სამეურნეო-ორგანიზაციული და კულტურულ-აღმზრდელობითი მიმართულებით წარმართა.

მოსახლეობაში პარტიისა და მთავრობის შერყეული ავტორიტეტის აღსადგენად, შევარდნაძემ „სასტიკი ბრძოლა" გამოუცხადა კორუფციას: დააპატიმრეს ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლები — ძმები ლაზიშვილები, რომელთა არალეგალური შემოსავლების მასშტაბებზე რესპუბლიკაში ლეგენდები ვრცელდებოდა. უზარმაზარი რეზონანსი გამოიწვია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის, აკადემიკოს პეტრე გელბახიანისა და მისი „დანაშაულებრივი ჯგუფის" მიერ სოციალისტური კანონიერების დარღვევების, მექრთამეობისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო აღძრულმა საქმემ. ხმაურით განხორციელდა პრესტიჟულ დაბა ცხვარიჭამიაში აგარაკების ჩამორთმევის პროცესი. ჩამორთმეულ შენობებში პიონერთა ბანაკები გახსნეს, ზოგი დაანგრიეს.

მოსკოვი თავის სრულ ლოიალობაში რომ დაერწმუნებინა, საქართველოს კომპარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ იდეოლოგიურ მუშაობაში განსაკუთრებული აქცენტი ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობის პროპაგანდის გაძლიერებაზე გააკეთა. 1972 წელი — საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის 50 წლის იუბილეს დაემთხვა. პარტიულ-პროპაგანდისტური მუშაობის მთავარი ძალისხმევა ხალხთა ინტერნაციონალურ მეგობრობას, რუს ხალხთან საუკუნო კავშირის პროპაგანადას, საქართველოს ისტორიაში რუსეთის განსაკუთრებული როლის წარმოჩენას მოახმარეს.

ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობის დამკვიდრებისკენ მოუწოდებდა მეორე მნიშვნელოვანი დადგენილებაც: „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" (1975 წ.). ქართული ეროვნული, განსაკუთრებით რელიგიური ტრადიციების შესრულების ნაცვლად, ქართველ ხალხს სთავაზობდნენ აღენიშნათ „ტრადიციული შრომითი დღესასწაულები, კომუნისტური შაბათობანი, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება, მუშად და კოლმეურნედ კურთხევა" და ა.შ.

ამ დადგენილებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწ-

ვია. დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერც ერთი ტრადიციული წეს-ჩვეულება, რომლის წინააღმდეგაც დადგენილება იყო მიმართული, ვერ აღმოიფხვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში რელიგიური ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად ილია II-ის აღსაყდრების შემდეგ (1977 წ.). ახალმა პატრიარქმა მიზნად დაისახა ქართველების მართლმადიდებლური ეკლესიისკენ შემობრუნება, სულიერების, სათნოების პროპაგანდა. მისი შინაარსიანი, გულმხურვალე ქადაგებების მოსასმენად სიონის საკათედრო ტაძარში უამრავი ახალგაზრდა დადიოდა, რაც სერიოზულად აღელვებდა საქართველოს პარტიულ, კომკავშირულ ხელმძღვანელობას და უშიშროების კომიტეტს.

ქართველებმა, მოსკოვის ხელმძღვანელობის გულის მოსაგებად კიდევ ერთი დადგენილება მიიღეს „რესპუბლიკის სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (1973). საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტებზე რამდენიმე საგნის რუსულ ენაზე წაკითხვა მოითხოვეს. ამ ძალადობას წინ აღუდგნენ პატრიოტულად განწყობილი პროფესორები: მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ბაქანიძე, მ. ლეკვეიშვილი და სხვ.

საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ, განსაკუთრებით, იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ახალი ფორმებისადმი, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას მოსკოვში ავტორიტეტი და გავლენა მოუპოვა. საბჭოთა ქვეყნის მთავარ ქალაქში ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ და სამეურნეო საქმიანობას.

საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის მიზანი საქართველოს მრეწველობის ინტენსიური განვითარება იყო. 70-იანი წლების მეორე ნახევარში გაიზარდა ასიგნებანი მრეწველობის შემდგომი ინტენსიური განვითარებისთვის. 1976 წელს საქართველოში 1127 სამრეწველო საწარმო იყო, მათ შორის 94 — საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება.

მრეწველობის მართვის ძირითადი ბერკეტები კვლავ ძველებური იყო: კომუნისტური შრომის ბრიგადები, სოციალისტური ვალდებულებები, სოციალისტური შეჯიბრებები, პატრიოტული თაოსნობები, ინიციატივები. 1975 წლის 28 თებერვალს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე რესპუბლიკამ გეგმის ზევით 200 მილიონი მანეთის სამრეწველო და 120 მილიონი მანეთის სასოფლო სამეურნეო პროდუქციის შექმნის ვალდებულება აიღო.

70-იან წლებში საქართველოს მრეწველობა შედარებით სტაბილურად ვითარდებოდა. ამ პროცესს მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ეკონომიკური რეფორმების რეალიზაცია, მატერიალური სტიმულირების შედარებით

ეფექტური სისტემის ამოქმედება, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოძრაობის ინტენსიფიკაცია.

ეკონომიკური რეფორმების რეალიზაციის დროს, დაგეგმვის სისტემის გაუმჯობესებამ პირობები შექმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისთვის, გაიზარდა კოლმეურნეობების დაკრედიტება, კაპიტალდაბანდებების მოცულობა, მეტად განვითარდა მექანიზაცია სოფლად, ყურადღება დაეთმო შრომატევადი პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

შრომის სოციალისტური ფორმები საქართველოს სოფელშიც განმსაზღვრელი იყო. სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარ ბერკეტად მიიჩნეოდა. ოფიციალური სტატისტიკით 1972 წლის შემდეგ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზეაღმავალი ზრდაა: თუ 1971 წელს საქართველოში აწარმოეს 1 339,5 მილიონი მანეთის სასოფლო სამეურნეო პროდუქცია, 1976 წელს ეს მაჩვენებელი უკვე უდრიდა — 1 648,5 მილიონ მანეთს.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მართვის რაციონალური ფორმის ძიება — საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო. საკავშირო რეზონანსი პოვა ე. წ. „აბაშის ექსპერიმენტმა", რაც საქართველოს სინამდვილეში სოფლის მეურნეობის უფრო რაციონალური ფორმების, შრომის საბოლოო შედეგით გლეხის დაინტერესებას ითვალისწინებდა. ანაზღაურების მოცულობა დაუკავშირეს პროდუქციის ხარისხს. ექსპერიმენტის საყოველთაო გავრცელებას ხელი შეუწყო მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობამ „რა მოხდა აბაშაში?".

უფრო მოგვიანებით, ქალაქ ფოთშიც განხორციელდა ექსპერიმენტი: შეიქმნა თვითმმართველობის ტერიტორიულ-დარგობრივი ორგანო. მის იურისდიქციაში მოაქციეს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, რომლებსაც დაევალათ, წვლილი შეეტანათ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაძლიერებისა და განვითარების საქმეში.

ოფიციალური სტატისტიკით, 70-იანი წლების მეორე ნახევარი და 80-იანი წლების დასაწყისი საქართველოს ეკონომიკური წინსვლის პერიოდი იყო, რის გამოც საქართველო მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და პერმანენტულად იღებდა გარდამავალ წითელ დროშას.

1977 წლის 7 ოქტომბერს სსრკ უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც ზოგადი რიტორიკის გარდა, დიდად არაფრით განსხვავდებოდა 1936 წლის კონსტიტუციისგან, განსაკუთრებით, პიროვნების დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების დაცვის გარან-

ტიების თვალსაზრისით. მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციის პროექტებში, „სტალინური“ კონსტიტუციისაგან განსხვავებით, ამოიღეს მშობლიური ენის სახელმწიფო სტატუსი. ამ ფაქტმა ეროვნულად ააღელვა ქართველი მოწინავე ინტელიგენცია: უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში, საქართველოს კპ ცკ წარმომადგენლებს ასეთი გადაწყვეტილების ხასიათს განუმარტავდნენ. შეიქმნა საფრთხე, რომ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს კონსტიტუციიდან ამოიღებდნენ. ინტელიგენციის მიერ დარაზმული თბილისელი სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ. ქართველი ახალგაზრდები მოითხოვდნენ ეროვნული ენის უფლებების დაცვას. ვითარება დაიძაბა და შეიძლება უმართავი გამხდარიყო. საქართველოს კპ ცკ პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ ლეონიდ ბრეჟნევს აცნობა თბილისში შექმნილი მდგომარეობა. მოსკოვი იძულებული გახდა უკან დაეხია. ქართველი ახალგაზრდობის გმირობამ ქართულ ენას კვლავ დაუმკვიდრა სახელმწიფო სტატუსი. 1978 წლის 15 აპრილს IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII საგანგებო სესიამ მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელმაც ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი დააკანონა.

მაგრამ ამ მარცხისთვის, ძალიან მალე, მოსკოვმა ქართველებს „სამაგიერო“ გადაუხადა: რუსეთის ანტიქართული ძალების ხელშეწყობით 1978 წელს სერიოზული დაძაბულობა შეიქმნა აფხაზეთში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვი ფარულად მუდამ აღვივებდა აფხაზეთში ანტიქართულ განწყობილებას პოლიტიკური და კულტურული მიმართულებით, კადრების შერჩევასა და განაწილებაში. აფხაზეთის ახალ კონსტიტუციაზე მუშაობისას, ადგილობრივმა ეთნოკრატიის თავგასულმა ლიდერებმა წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომელშიც აფხაზების მიმართ ჩადენილი საბჭოთა ხელისუფლების ყველა დანაშაული ქართველ ერს დააბრალეს. ლიდერები აფხაზეთის სტატუსის შეცვლას მოითხოვდნენ.

ვითარება დაიძაბა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი ყოველნაირად მალავდა წერილის შინაარს, მაგრამ ის ცნობილი გახდა ქართველი ინტელიგენციისთვის, რომელმაც წერილში მოტანილი ინსინუაციების დასაბუთებული უარყოფა მოითხოვა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ აფხაზ ლიდერებთან მორიგება ამჯობინა და მოსკოვთან შეთანხმებით, ერთობლივად შემუშავდა სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტი: „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებების შესახებ“, რომელიც მიიღეს 1978 წლის ივნისში. დადგენილება ითვალისწინებდა ავტონომიურ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების

დონის ამაღლებას. მაგრამ დადგენილება ფაქტობრივად ამკვიდრებდა აფ-ხაზი ეთნოკრატიის შეუზღუდველ ძალაუფლებას, რიგი ღონისძიება აშკა-რად ლახავდა ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ინტერესს. სოხუმის პედინსტიტუტი, სადაც უმეტესად ქართველი პედაგოგები მუშაობდნენ და ქართველი სტუდენტები სწავლობდნენ, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსი-ტეტად გადაკეთდა, აფხაზეთში შეიქმნა დამოუკიდებელი ტელევიზია, რო-მელსაც მთლიანად ეთნოკრატია აკონტროლებდა და ა.შ. ამ დადგენილების ნეგატიური ასპექტები მოგვიანებით აშკარად გამოვლინდა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების რიგ-გარეშე სესიებმა — აფხაზეთისამ 1978 წლის 16 ივნისს, აჭარისამ — 1978 წლის 26 მაისს — მიიღეს ახალი საბჭოთა კონსტიტუციები.

პარტიულ-ორგანიზატორულ მუშაობაში თვალსაჩინო მიღწევებისთვის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების განუწყვეტელი ზრდისა და სხვა მონაცემების გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე ქართველი კომუნისტების ლიდერი ედუარდ შე-ვარდნაძე სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩიეს.

საქართველოს მზარდი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალ-საჩინო მიღწევებზე ბევრი ილაპარაკეს 1981 წელს მაისში, როდესაც სა-ქართველოს გასაბჭოებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 60 წლისთავის საუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის უკვე ღრმად მოხუცებელი ლეონიდ ბრეჟნევი ჩამოვიდა. მშრომელთა პომპეზური პა-რადი და საზეიმო სხდომა საუკეთესო საბჭოთა ტრადიციების მიხედვით ჩატარდა. ბრწყინვალედ დადგმული პარადი და საზეიმო კრების მხატვრუ-ლი ნაწილი, პოლიტიკური მოღვაწეების მაჟორული ტონი, აღტაცებული მოქალაქეები — ფონი, გამიზნული საბჭოთა სისტემის გარეგნული ძლიე-რებისა და დიდებულების საჩვენებლად. მკაცრი სინამდვილე კი ყველაფერ ამისაგან განსხვავდებოდა.

კულტურა

70-იანი წლების მეორე ნახევარი და 80-იანი წლების დასაწყისი საქარ-თველოში მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის აღმავლობის წლებია.

განათლება

ქართული კულტურის განვითარების საფუძველი კვლავ საყოველთაო-სახალხო განათლება იყო. 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ყველა ტიპის 3957 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობდა 962200 ახალგაზრდა. საქართველოში იყო ქართული, რუსული, სომხური, აზერბა-იჯანული საშუალო სკოლები, აფხაზური და ოსური დაწყებითი სკოლები.

ამ მდგომარეობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ადგილობრივი აფხაზი და ოსი ეროვნების ახალგაზრდების პრორუსულ ორიენტაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი განათლების მასშტაბებით, საქართველო 80-იან წლებშიც მოწინავე იყო მთელ კავშირში. 19 უმაღლეს სასწავლებელში, საკავშირო და მოსკოვის უნივერსიტეტების ფილიალებში ათასობით ახალგაზრდა სწავლობდა.

ქართული მეცნიერება

საქართველოში სამეცნიერო შრომა კვლავ პრესტიჟული იყო: 1980 წელს საქართველოში 1335 მეცნიერებათა დოქტორი და 9104 — მეცნიერებათა კანდიდატი იყო. სულ სამეცნიერო შრომაში ჩაბმული იყო 25198 კაცი. ყოველწლიურად იზრდებოდა მეცნიერების დაფინანსება.

კვლავ მოწინავე იყო ანდრია რაზმაძის დაარსებული ქართული მათემატიკური სკოლა: აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ვიქტორ კუპრაძის და სხვათა მიღწევები მათემატიკის სხვადასხვა დარგში თვალსაჩინო იყო. ქართველი მათემატიკოსები ამუშავებდნენ დრეკადობის თეორიის, სინგულარული ინტეგრალების განტოლებათა სისტემების აქტუალურ პრობლემებს.

ქართველმა ასტრონომებმა (აკადემიკოსი ევგენი ხარაძე და სხვ.) გალაქტიკის შერჩეულ უბნებში მოახდინეს ვარსკვლავთა ორგანზომილებიანი კლასიფიკაცია, შეადგინეს 30 ათასამდე ვარსკვლავის სპექტრული ტიპების და მნათობთა კლასების კატალოგები.

დაწინაურდა ქართული გეოლოგიური სკოლა. მომზადდა და გამოიცა „კავკასიის ტექტონიკური რუკა“ (მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი პ. გამყრელიძე). აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის მონოგრაფიას „ვულკანოგენური ფორმაციების მადნიანობა“ ლენინური პრემია მიენიჭა.

განვითარდა ტექნიკური მეცნიერების ახალი დარგები: კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ელექტრონული გამოთვლითი მანქანები, რადიოტექნიკა და ტელემექანიკა.

კვლავ მოწინავე იყო ქართველ ფიზიოლოგთა სკოლა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით. მეცნიერებმა გამოიკვლიეს ემოციური რეაქციებისა და ძილის სტრუქტურის საკითხები, დაადგინეს ტვინის ნახევარსფეროთა ურთიერთმოქმედების მნიშვნელობა მეხსიერების კვალის ფიქსაციაში და ა.შ.

საქართველოს ავტონომიურ ერთეულებში სამეცნიერო პოტენციალი ვითარდებოდა. აფხაზეთში 70-იან წლებში 17 სამეცნიერო დაწესებულება იყო, სადაც ასობით მეცნიერი თანამშრომელი იყო დასაქმებული. სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ერთადერთი იყო საბჭოთა კავ-

შირში. აფხაზური კულტურის საკითხების გასარკვევად მნიშვნელოვან სამეცნიერო კვლევებს აწარმოებდა დიმიტრი გულიას სახელობის სოხუმის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სოხუმის უნივერსიტეტი. ცხინვალში არსებობდა პედაგოგიური ინსტიტუტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ა.შ.

საქართველოში, ტრადიციულად, მოწინავე ჰუმანიტარული მეცნიერებად ქართველოლოგია ითვლებოდა. ენათმეცნიერები დიდი წარმატებით იკვლევდნენ თანამედროვე ენის ზოგად-თეორიულ პრობლემებს, დიდი მუშაობა ჩატარდა ქართული ენის დიალექტების შესწავლისა და ლექსიკოლოგიის დარგში. გამოიცა აკადემიკოს ვარლამ თოფურიას, პროფესორების: ი. გიგინეიშვილის, ი. ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგია" ტ. 1, „ქართული ენის გამარტებითი ლექსიკონის" VI-VIII ტომები, შეიქმნა 30-ზე მეტი ტერმინოლოგიური ლექსიკონი. აღსანიშნავია ქ. ლომთათიძის, ქ. შარაძენიძის, ი. აბულაძის, ი. იმნაიშვილის და სხვების დამსახურება.

ახალი ნაბიჯები გადაიდგა ქართველური ენების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შესწავლის მიმართულებით. საყოველთაო აღიარება მოიპოვა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის გამოკვლევებმა.

ინტენსიურად მუშავდებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის აქტუალური პრობლემები. გამოიცა „ქართული ლიტერატურის ისტორიის" ექვსტომეული, „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია", ქართული ხალხური პოეზიის სრული კრებული (4 ტომი) და ა.შ.

ქართული საისტორიო მეცნიერება, იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, განაგრძობდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კვლევას. აკადემიკოსები გიორგი მელიქიშვილი, სერგი ჯიქია, მარიამ ლორთქიფანიძე, ვალერიან ფუთურიძე, თინა ყაუხჩიშვილი, პროფესორები ვარლამ დონდუა, ოთარ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, დავით მუსხელიშვილი, დავით ხახუტაიშვილი, გრიგოლ გიორგაძე და სხვები მუშაობდნენ საქართველოს ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე. შეიქმნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრი (ხელმძღვანელი პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე). ქართველი ისტორიკოსების დიდი მიღწევაა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულის გამოქვეყნება, რომელმაც 1982 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

ლიტერატურა

1966 წელს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის იუბილეზე ჩამოვიდნენ მეცნიერები საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან, ქართველოლოგიის საერთაშორისო ცენტრებიდან. სამეცნიერო შეხვედრებმა, სიმ-

პოზიუმებმა კვლავ დაადასტურა ქართული, განსაკუთრებით ქართველოლოგიური მეცნიერების, მაღალი დონე.

მაგრამ ქართველი ხალხი მარტო გარდასული ხანის ლიტერატურული მიღწევებით როდი ამაყობდა. ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას აგრძელებდნენ პოეტები: ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, კარლო კალაძე, მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, რევაზ მარგიანი, ანა კალანდაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, იოსებ ნონეშვილი, ფრიდონ ხალვაში და სხვები. ქართული ლირიკა ამ წლებში კიდევ უფრო გაღრმავდა შინაარსით, გაძლიერდა ინტერესი რთული პოეტური სახეებისადმი. უფრო აშკარად და უფრო ხმამაღალა ჟღერდა სამშობლოს თემა, პატრიოტული მოტივი.

60-80-იან წლებში უაღრესად განვითარდა ისტორიული ბელეტრისტიკა. ქართველი მკითხველის უსაყვარლესი რომანები გახდა გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელა" და „დიდი ღამე", ლევან გოთუას „გმირთა ვარამი", რევაზ ჯაფარიძის, ლევან სანიკიძის და სხვა მწერლების ისტორიულ-ჰეროიკული ნაწარმოებები, რომლებშიც გადმოცემული იყო ქართველი ერის გმირული წარსული, თავდადებული ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ თხზულებებმა უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოს ახალგაზრდა თაობის პოლიტიკური მსოფლმხედველობის და თავისუფლებისაკენ სწრაფვის ტენდენციების გაძლიერებაში.

70-იან წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვეს ეთიკურმა პრობლემებმა: პიროვნება და საზოგადოება, პიროვნება და სინდისი. ეგზისტენციალური პრობლემატიკა საქართველოშიც აღელვებდათ. ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი" და გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი" თავისი მოქალაქეობრივი პოზიციით და მარადიული ფასეულობებისადმი ერთგულებით ქართველი მკითხველის უსაყვარლეს წიგნებად იქცა.

საკავშირო აღიარება მოიპოვა ნოდარ დუმბაძის პოეტურმა პროზამ, მსოფლიოს ბევრ ენაზე ითარგმნა სიცოცხლის სიყვარულით გამთბარი მისი რომანები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს" და სხვ.

ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების (ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ოთარ ჭილაძე, მიხეილ ქვლივიძე და სხვები) პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები ითარგმნებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზეც. იმ წლებში უამრავი უცხოური და მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა ლიტერატურა გადმოითარგმნა ქართულ ენაზე.

ვითარდებოდა აფხაზური და ოსური ლიტერატურაც: მწერლები (ბ. შინკუბა, ი. თარბა, მ. ლაკერბაი და სხვ.) და პოეტები (მ. ლასურია, ნ.კვიწინია, ტ. ახბა და სხვ.) ეხმაურებოდნენ თანამედროვე პრობლემატიკას. აფხაზეთში გამოდიოდა სალიტერატურო ჟურნალი „ალაშარა". სამხრეთ ოსეთში მოღვაწეობდნენ ოსური ლიტერატურის წარმომადგენლები გ. ბეს-

თაუთი, კ. მარღიევი, გ. ძუგაევი და სხვ. გამოდიოდა სალიტერატურო ჟურნალი „ფიდიუაგი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წლებში არნახული პოპულარობა მოიპოვა მწერალ ჯაბუა ამირეჯიბის შედევრმა „დათა თუთაშხია“ — რთული პიროვნული კოლიზიებით და არაჩვეულებრივი ლიტერატურული ხერხებით გამორჩეული რომანი ჰყვებოდა ადამიანურ სიკეთეზე, პატიოსნებაზე, მეგობრობასა და ერთგულებაზე, ამკვიდრებდა ძალმომრეობის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის განწყობას. მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის დაკვეთით რომანის საფუძველზე გადაიღეს მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმი, რომლის დამდგმელმა კოლექტივმა (გიგა ლორთქიფანიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, თენგიზ არჩვაძე და სხვ.) საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

კინემატოგრაფი

70-80-იანი წლები ქართული კინემატოგრაფიის აღმავლობის ხანაა. საკავშირო და მსოფლიო კინოფესტივალებზე „ქართული კინოს ფენომენზე“ ალაპარაკდნენ. ქართულ კინოს მახასიათებელი თავისებურება იყო ეროვნული თვითმყოფადობა, სულის ურთულესი პლასტების ორიგინალური და მასშტაბური ინტერპრეტაცია.

1964 წელს მოსკოვის კინოფესტივალზე დიდი წარმატება ხვდა რევაზ ჩხეიძის „ჯარისკაცის მამას“. მთავარი როლის შემსრულებელმა სერგო ზაქარიაძემ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის მთავარი ჯილდო მოიპოვა.

რეჟისორ გიორგი შენგელაიას პოეტური ფილმი „ფიროსმანი“ აშშ-ში ჩიკაგოს X საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზით („ოქროს ჰიუგო“) დააჯილდოეს (1969), ხოლო ელდარ შენგელაიას ფილმმა „შერეკილები“ — საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

თავისი სტილისტიკით, აქტუალური თემის ორიგინალური ინტერპრეტაციით გამოირჩეოდნენ ოთარ იოსელიანის ფილმები „გიორგობისთვე“ და „იყო შაშვი მგალობელი“. ოთარ იოსელიანმა საფრანგეთში ჟორჟ სადულის პრემია დაიმსახურა და პარიზში მიიწვიეს სამუშაოდ.

საყოველთაო მოწონებით სარგებლობდა თენგიზ აბულაძის შემოქმედება: „ვედრება“ და „ნატვრის ხე“ (ამ უკანასნელმა იტალიაში 1979 წელს პრესტიჟული პრიზი — დონატელოს „დავითი“ მოიპოვა).

ქართული თეატრი

ქალაქ რუსთავში გაიხსნა ახალი თეატრი, რომელსაც რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებზე

შექმნილი მისი სპექტაკლები საეტაპო გახდა ქართული თეატრისთვის და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან კი ქართულმა თეატრმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა. თეატრში მოვიდნენ ახალი, მკვეთრი ინდივიდუალობით გამორჩეული რეჟისორები — ქართული თეატრალური სკოლის აღზრდილები, რომლებიც გრძნობდნენ დროის ახალ მოთხოვნებს და საზოგადოებას ახალი ხედვა შესთავაზეს, ახალი თეატრალური გამომსახველობითი საშუალებები. რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის ორიგინალური რეჟისურა 70-80-იანი წლების ახალი ქართული თეატრის მთავარ სათქმელს მკვეთრად განსაზღვრავდა, შეიქმნა საოცარი თეატრალური ზეიმი. ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე", რომელიც რობერტ სტურუამ 1975 წელს დადგა, იქცა სპექტაკლ-ლეგენდად, რომელიც დღესაც წარმატებით იდგმება რუსთაველის თეატრის სცენაზე. შექსპირის „რიჩარდ III"-ს სტურუასეულმა ინტერპრეტაციამ საერთაშორისო აღიარება მოუტანა ხელოვანს.

70-80-იან წლებში საქართველოში ბევრი ახალი თეატრალური კოლექტივი შეიქმნა: კინომსახიობთა თეატრი (მთავარი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი), „მეტეხის თეატრი" (მთავარი რეჟისორი სანდრო მრევლიშვილი), მარიონეტების თეატრი (მთავარი რეჟისორი რევაზ გაბრიაძე) და ბევრი სხვა.

ქართული პროფესიული მუსიკა და ქორეოგრაფია

განვითარების ახალ სიმაღლეზე ავიდა ქართული სამუსიკო ხელოვნება. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ერთ-ერთი საუკეთესო იყო კავშირში. საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები გახდნენ კონსერვატორიის აღზრდილები: პიანისტები ელისო ვირსალაძე, მ. მდივანი, მანანა დოიჯაშვილი, ლექსო თორაძე, მევიოლინეები მ. იაშვილი, ლიანა ისაკაძე, ვიოლონჩელისტი თ. გაბარაშვილი და მრავალი სხვ.

თბილისის ოპერის თეატრს, განხორციელებული რეფორმების შემდეგ, სათავეში ჩაუდგა დიდი მაესტრო ჯანსუღ კახიძე. კლასიკური და თანამედროვე ოპერები და ბალეტები, კლასიკური და თანამედროვე სიმფონიური მუსიკა ორიგინალური ინტერპრეტაციით, ქართველი მაყურებლების დიდ მოწონებას იმსახურებდა. იდგმებოდა ახალი ქართული ოპერები: რევაზ ლაღიძის „ლელა", გია ყანჩელის „და არს მუსიკა" და სხვ. თბილისის ოპერის თეატრში განაგრძობდნენ მოღვაწეობას სახელოვანი მომღერლები: ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ანდღულაძე, ო. კუზნეცოვა, ცისანა ტატიშვილი, მედეა ამირანაშვილი, ლამარა ჭყონია. შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყეს: პაატა ბურჭულაძემ, მაია თომაძემ, ნუგზარ გამგებელმა. მოსკო-

ვის დიდი თეატრის სცენაზე მღეროდნენ მსოფლიოში აღიარებული მომღერლები, ზურაბ სოტკილავა და მაყვალა ქასრაშვილი.

ქართულ საბალეტო ხელოვნებასთან ერთად (ვახტანგ ჭაბუკიანი, ვერა წიგნაძე, ზ. კიკალეიშვილი, ბ. მონავარდისაშვილი, მაკა მახარაძე და სხვ.) განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა ქართული ხალხური ქორეოგრაფია, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა, ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით, თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარა. მათთვის უნიკალური კოსტიუმების ესკიზებს ქმნიდა სახელოვანი მაესტრო, მოსკოვის დიდი თეატრის მთავარი მხატვარი სოლიკო ვირსალაძე. საზღვარგარეთის პრესამ სუხიშვილების ცეკვის ანსამბლს „მსოფლიოს მერვე საოცრება" უწოდა.

სახვითი ხელოვნება

უცხოეთში გამართულ არაერთ კონკურსსა და ბიენალეზე ქართველი ფერმწერები და მოქანდაკეები მონაწილეობდნენ. ქართულ ფერწერასა და ქანდაკებას კვლავაც გამოარჩევდა მკვეთრი ინდივიდუალობა, არაჩვეულებრივი გამომსახველობა, უნიკალური ხელწერა. 60-იან წლებში ევროპის სხვადასხვა ქალაქში ჩატარდა გენიალური ფიროსმანის ნახატების ვერნისაჟი, განსაკუთრებული წარმატება ფიროსმანის შემოქმედებამ პარიზში მოიპოვა.

ძველი თაობის მხატვრებს (ლადო გუდიაშვილს, უჩა ჯაფარიძეს, ელენე ახვლედიანს და სხვ.) მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდა თაობის, მაგრამ მკვეთრი ინდივიდუალობით გამორჩეული შემოქმედნი: ნათელა იანქოშვილი, ნიკოლოზ იგნატოვი, თენგიზ მირზაშვილი, ავთო ვარაზი და სხვ.

ქართველი მოქანდაკეების: ელგუჯა ამაშუკელის, მერაბ ბერძენიშვილის, ჯუნა მიქატაძის და სხვათა ჩინებული ქანდაკებები ამკობდნენ მოსკოვის, თბილისის, გორის, თელავის და რესპუბლიკის სხვა ქალაქების ქუჩებს, მოედნებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს.

ქართულმა არქიტექტურამ თანდათან დაძლია „ხრუშჩოვის ეპოქის" შტამპები (თუმცა არა ბოლომდე), ფორმების სიღატაკე, მოუქნელობა, უსახურობა და აღიდგინა დაკარგული პოზიციები. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში 60-70-იან წლებში ბევრი ჩინებული შენობა აშენდა: თბილისის სასტუმრო „ივერია" (არქიტექტორები ტონი კალანდარიშვილი, ი. ცხომელიძე და სხვ.), თბილისის ავტოვაგზალი (არქიტექტორები რ. კიკნაძე, ვ. ქურთიშვილი და სხვ.), საკურორტო კომპლექსი ბიჭვინთაში (მ. პოსოხინი და სხვ.) და მრავალი სხვ. უკვე იმ წლებში მსოფლიო აღიარება მოიპოვა ქართველმა მონუმენტალისტმა ზურაბ წერეთელმა.

ქართული სპორტი

უდიდეს წარმატებებს მიაღწია ქართულმა სპორტმა. მსოფლიოში ცნობილი გახდა ქართული საჭადრაკო სკოლა. 1962 წლიდან მსოფლიოს ჩემპიონი ქალთა შორის ქართველი იყო. ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილი ხუთჯერ გახდა ამ ტიტულის მფლობელი (1962-1978), ხოლო შემდეგ მაია ჩიბურდანიძე, ასევე, ხუთჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. გროსმაისტერები ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ქეთევან არახამია ქართული საჭადრაკო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ. წარმატებებს აღწევდნენ მოჭადრაკე ვაჟებიც (გროსმაისტერები ბუხუტი გურგენიძე, გ. ზაიჩიკი, ზურაბ აზმაიფარაშვილი და სხვ.).

საქართველოში ჭადრაკის გარდა სპორტის ბევრი სახე იყო განვითარებული. მართალია, საერთაშორისო ასპარეზობაზე ქართველები საბჭოთა კავშირის სახელით გამოდიოდნენ, მაგრამ საქართველოს სასახელოდ მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ მსოფლიო ოლიმპიადაზე. 1952 წლიდან 1980 წლამდე გამართულ ოლიმპიადებზე საქართველოს სპორტსმენებმა სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოიპოვეს 23 ოქროს, 20 ვერცხლის და 29 ბრინჯაოს მედალი. მათ შორის აღსანიშნავია: დ. ციმაკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა), მ. ჯუღელი (ტანვარჯიში), გივი კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა), ვახტანგ ბალავაძე (თავისუფალი ჭიდაობა), რობერტ შავლაყაძე (სიმაღლეზე ხტომა) და სხვ. საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული იყო ჭიდაობის ყველა სახეობა, კალათბურთი, ხელბურთი და, რა თქმა უნდა, ფეხბურთი.

საქართველოში ფეხბურთი მუდამ გამორჩეული სიყვარულით სარგებლობდა, ხოლო თბილისის „დინამო“ — ეროვნული ნაკრების რანგში იყო აყვანილი. ამ გუნდს უმდიდრესი სპორტული ტრადიციები ჰქონდა და საბჭოთა კავშირში საუკეთესოდ ითვლებოდა. 1964 წელს, ტაშკენტში გუნდმა (მთავარი მწვრთნელი გ. კაჩალინი) პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა გუნდს სათავეში ნოდარ ახალკაცი ჩაუდგა, „დინამომ“ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ასპარეზობებზე. „დინამოს“ ახალგაზრდული გუნდი: ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, ოთარ გაბელია, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი, ვიტალი დარასელია და სხვები საერთაშორისო მატჩების დროს საოცრად თამაშობდნენ. 1981 წლის 13 მაისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ დიუსელდორფში, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელებმა ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიპოვეს, რითაც უდიდესი სიხარული და სიამაყის განცდა მიანიჭეს ქართველ გულშემატკივარს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XIX.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

ეროვნული ცნობიერების განვითარება და გაძლიერება

70-იან წლებში მსოფლიოში კარდინალური ძვრები მოხდა, რაც მოითხოვდა ასევე შეცვლილიყო საშინაო და საგარეო პოლიტიკა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. პოსტინდუსტრიული განვითარების შედეგად დასავლეთ ევროპასა და ჩრ. ამერიკაში ჩამოყალიბდა საზოგადოება, რომელმაც უზრუნველყო თავისი მოქალაქეების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საუკეთესო პირობებში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მსოფლიოში აღიარებული დემოკრატიული კრიტერიუმების რეალიზება. პიროვნების სამოქალაქო უფლებები გარანტირებული იყო. პროლეტარიატის, როგორც სოციალური კლასის, მნიშვნელობა ამ საზოგადოებაში ყოველწლიურად მცირდებოდა და ბოლოს ის, როგორც კლასი, გაქრა, რითაც სოციალური დასაყრდენი გამოეცალა რადიკალურ კომუნისტურ წყობას.

70-იანი წლების მსოფლიოში თითქმის დასრულებულია დეკოლონიზაციის გლობალური პროცესი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გაეროს ეგიდით აზიის, ამერიკისა და აფრიკის კონტინენტებზე ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების (მაგალითად, ინდოეთის, ბირმის, ლაოსის და სხვ.) შექმნის პერმანენტული პროცესი თავის ლოგიკურ დასასრულს ელოდა და მოსკოვის განუსაზღვრელ დიქტატურაზე მთლიანად (მოკავშირე რესპუბლიკები) და ნახევრად დამოკიდებული (სოციალისტური ბანაკი) ქვეყნების ეროვნულ-პატრიოტულ ძალებში სანუკვარი თავისუფლების მოპოვების იმედს იძლეოდა.

70-იანი წლების მეორე ნახევარში აშკარად შესამჩნევი გახდა საბჭოთა სახელმწიფოს (სოციალისტური ბანაკის ძირითადი ღერძის) ეკონომიკური ჩამორჩენა დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით. დასავლეთში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები, ელექტროტექნიკური მრეწველობის არნახული განვითარება, ახალი სისტემის გამოთვლითი მანქანები, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ. ამ ქვეყნების, როგორც მსოფლიოში ტექნიკური პროგრესის მთავარი ძალის მნიშვნელობას ზრდიდა.

ძვირად უჯდებოდა საბჭოთა ქვეყანას „ზესახელმწიფოს“ პოლიტიკური იმიჯი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, მოსკოვისადმი ლოიალურად განწყობილი რეჟიმების, „ანტიიმპერიალისტური“ ძალების — სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში — კი საერთაშორისო დაძაბულობის კერების (ლიბია, ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა, ეთიოპია და სხვ.) მხარდაჭერა, მატერიალური და, რაც მთავარია, სამხედრო დახმარება. საბჭოთა კავშირი სულ უფრო ემსგავსებოდა რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიას, რომელიც მხოლოდ იმპერიული ამბიციებით მოქმედებდა.

დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები ცდილობდნენ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის შემდგომი ექსპანსიის შეჩერებას, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ცივილიზებულ ჩარჩოებში მოქცევას, იმის მიღწევას, რომ საბჭოთა სახელმწიფოს შეწყვიტა მხარდაჭერა და დახმარება ტერორისტების მფარველი დიქტატორული რეჟიმებისთვის.

ამ მიზნით შედგა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რომელმაც მიზნად დაისახა შემაჯამებელი დოკუმენტის შემუშავება. 1973-1975 წლებში მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკება ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოებს შორის. 1975 წლის 1-ლ აგვისტოს ჰელსინკში, კონგრესების სასახლეში, ხელი მოაწერეს „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის დასკვნით აქტს“, რომელიც აღიარებდა ომის შემდგომი სახელმწიფო საზღვრების ურღვევობას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, ევროპის უშიშროებას, ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მოთხოვნების უპირობო აღიარებას და შესრულებას, ინფორმაციების გაცვლას, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის დარგში ქვეყნებს შორის ინტენსიური კავშირების განვითარებას.

საბჭოთა კავშირმა და მისმა სატელიტებმა ევროპაში, მართალია, ხელი მოაწერეს ამ დასკვნით აქტს, მაგრამ არც უცდიათ მისი პრინციპების რეალიზება, განსაკუთრებით კი პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების, მსოფლიოში აღიარებული კრიტერიუმების საკუთარ ქვეყანაში დამკვიდრება. საბჭოთა სისტემა კვლავ „დახურულ საზოგადოებად“ რჩებოდა თავისი, 30-იან წლებში ჩამოყალიბებული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი პრინციპებით. მაგრამ საბჭოთა საზოგადოებაში უკვე არსებობდნენ ძალები, რომლებიც რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვდნენ. ესენი ახალგაზრდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ. მათ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში შექმნეს ანტისაბჭოთა, არალეგალური ჯგუფები.

უკვე 60-იანი წლების დასასრულს თბილისში შეიქმნა არალეგალური ორგანიზაცია „ეროვნული თვითშეგნების აღორძინება“ (ვ. ღლონტი და სხვ.). ახალგაზრდა ინტელიგენტთა ეს დაჯგუფება უშიშროების ორგანოების რეპრესიის მსხვერპლი გახდა.

1974 წელს თბილისში შეიქმნა „ადამიანის უფლებათა დაცვის“ საინიციატივო ჯგუფი (ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვ. რცხილაძე და სხვ.). როდესაც 1976 წლის 12 მაისს მოსკოვში „ჰელსინკის ხელშეკრულების შესრულების ხელშემწყობი ჯგუფი“ ჩამოყალიბდა, თბილისის „ადამიანის უფლებათა დაცვის“ ჯგუფი „ჰელსინკის ჯგუფად“ გადაკეთდა. მათ გამოსცეს ლიტერატურული ჟურნალი „ოქროს საწმისი“ (ოთხი ნომერი) და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, მაგრამ ეს გამოცემები ხელნაწერის სახით იყო, მცირე ტირაჟით და მხოლოდ ძალიან ერთგულ ადამიანთა შორის ვრცელდებოდა. ჯგუფის წევრებს განუწყვეტლივ უთვალთვალებდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და ამიტომ, მათი პროპაგანდისტული შესაძლებლობები ერთობ შეზღუდული იყო.

მაგრამ სულ სხვა იყო ის ძლიერი ტენდენციები და აშკარა პროტესტი, რაც 70-იან წლებში შეიმჩნეოდა ქართულ ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში.

70-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდნენ ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც თავის შემოქმედებაში ილაშქრებდნენ პიროვნების უფლებების შელახვის, რუსიფიკაციის პოლიტიკის გაძლიერების წინააღმდეგ, იღვწოდნენ ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებისთვის. რამდენადაც მათი მოღვაწეობა უფრო ლეგალური იყო, შესაბამისად, მოსახლეობაზე ზემოქმედების შედეგები — უფრო შთამბეჭდავი და ძლიერი.

ახალი სულისკვეთების მწერლებს შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს ვანო ურჯუმელაშვილი და მისი რომანი „ფერისცვალება“, რევაზ ჯაფარიძის ნარკვევი „ადამიანთა მორჩილი ზღვა“, გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“, რომლებშიც მხილებული იყო თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების გამოუვალი მდგომარეობა, უძრაობა, სულისშემხუთველი გარემო, პიროვნების გაორება.

70-80-იანი წლების საქართველოს ინტელიგენციის დემოკრატიულ თვალსაზრისს და რეჟიმისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატავდა კრიტიკოსი და პუბლიცისტი აკაკი ბაქრაძე. მისი ობიექტური, პატრიოტული და უკომპრომისო სტატიები და პუბლიკაციები, საინტერესო საჯარო გამოსვლები მოსწონდა საზოგადოებას.

დიდი დამსახურება მიუძღვის რევაზ თაბუკაშვილის პატრიოტულ კინოპუბლიცისტიკას ეროვნული მსოფლმხედველობის განმტკიცების საქმეში. მისი „ალპიური ვარსკვლავი“, „ვიტორიო სელა“ და სხვა დოკუმენტური ფილმები სწორედ პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების პრობლემებს ეხებოდა. ეროვნული აქცია იყო რევაზ თაბუკაშვილის ინიციატივით, იტალიიდან, ცნობილი ქართველი მეცნიერის, იტალიაში მოღვაწე მიხეილ თამა-

რაშვილის ნეშტის გადმოსვენება (1978 წ). დიდი ინტერესი და გამოხმაურება მოჰყვა ელდარ შენგელაიას ფილმებს: „შერეკილები“, „ცისფერი მთები“.

ქართული კინოს, ქართული თეატრის, ქორეოგრაფიის აღმავლობა და საერთაშორისო აღიარება უდავოდ ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, აყალიბებდა გადაულახავ კონფლიქტს არსებულ სინამდვილესთან, საზოგადოების სხვადასხვა ფენაში წარმოშობდა რადიკალური განახლების სურვილს და მისი რეალიზაციის აუცილებლობის მოთხოვნილებას.

აღსანიშნავია მწერლისა და მეცნიერის, ვახუშტი კოტეტიშვილის ინიციატივით დაწყებული „ფოლკლორული საღამოების“ მნიშვნელობა, რომელმაც არა მარტო ხელი შეუწყო ახალი სახალხო მთქმელების, შემსრულებლების გამოვლენას, არამედ უზრუნველყო ძლიერი პატრიოტული გრძნობების გაღვივება.

იდეოლოგიური დიქტატის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება გავრცელდა ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში: ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ლიტერატორები ცდილობდნენ კომუნისტური დოგმატების მსხვრევას, თავისუფალი სიტყვის თქმას. შეფარვით, ეზოპეს ენით, იგავური ხერხით ამბობდნენ ჭეშმარიტ სიმართლეს. მცდელობა იყო დემოკრატიული საქართველოს ისტორიის ობიექტური, არაკომუნისტური, არანეგატიური შეფასებისა (ისტორიკოსები უშანგი სიდამონიძე, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი და სხვ.), თუმცა ასეთ მცდელობას ადმინისტრაციული ზემოქმედება მოჰყვებოდა ხოლმე უმალ.

ამ ყველაფერმა შეამზადა მსოფლმხედველობითი საფუძვლები საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისთვის. ამ პერიოდში მისი ჰეგემონი და იდეური ხელმძღვანელი საქართველოს ინტელიგენცია იყო, რომელიც, საბჭოთა რეჟიმთან ბრძოლის რადიკალური ფორმების გამორიცხვით, ცდილობდა საზოგადოების ევოლუციას სულიერი განწმენდის გზით. ხელისუფლებასთან მკვეთრი დაპირისპირება ინტელიგენციას ეროვნული საქმისათვის საზიანოდ მიაჩნდა.

ასევე ფიქრობდა საქართველოს სამოციქულო ეკლესია, რომელიც თანდათან სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას იხვეჭდა.

ქართველი საზოგადოების პროტესტი არსებული რეჟიმის მიმართ სხვადასხვა ფორმით, ზოჯერ სპონტანურად, ზოგჯერ გააზრებულად შეახსენებდა თავის თავს საბჭოთა სისტემას: 1977 წელს ფეხბურთის მატჩის მსვლელობის დროს, ეროვნებით რუსი მსაჯის არაობიექტურობით აღშფოთებული მრავალათასიანი სტადიონი, რომელმაც მსაჯის არაობიექტური გადაწყვეტილება ეროვნული ღირსების შელახვად ჩაუთვალა, აშკარა ძალმომრეობაზე გადავიდოდა, რომ არა საქართველოს კპ ცკ პირველი

მდივნის, ედუარდ შევარდნაძის პირადი მამაცობა, რომელმაც შეძლო აღ-
შფოთებელი ტრიბუნების დაოკება.

1978 წელს „ჰელსინკის ჯგუფის“ საქართველოს ორგანიზაციის წევრები, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვ. რცხილაძე და სხვები უშიშროების კომიტეტმა დააპატიმრა. უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ ზვიად გამსახურდია საკავშირო ტელევიზიით გამოვიდა და მოინანია თავისი „დანაშაული საბჭოთა ქვეყნის წინაშე“. შემდეგ კი უშიშროების კომიტეტის ყველა მოითხოვნა შეასრულა. ამის გამო ზვიად გამსახურდიას „შეუნდეს“ და მერაბ კოსტავასა და ვ. რცხილაძისგან განსხვავებით, ჩრდილოეთ კავკასიის ყიზლარის საძოვრებზე, ქართველ მეცხვარეებთან გადაასახლეს. საბჭოთა სინამდვილეში ცნობილი დისიდენტის ერთადერთი მონანიება თავიდანვე დაგმო საბჭოთა დისიდენტურმა მოძრაობამ.

ამრიგად, 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ეროვნული ცნობიერება განმტკიცდა და საბჭოური მენტალიტეტის წინააღმდეგ დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა.

ეკონომიკური მდგომარეობა, „გარდაქმნის“ კურსი, სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის რეანიმაციის ცდა

70-იანი წლების ბოლოს საბჭოთა პოლიტიკური ელიტა აშკარად კარგავდა რეალობის გრძნობას, გერონტოკრატიის მახინჯი მმართველობის შედეგები ქვეყანაში სულ უფრო საცნაური ხდებოდა. საბჭოთა გავლენის გასამყარებლად, 1979 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირმა ავღანეთში სამხედრო შენაერთები შეიყვანა. ამ ფაქტმა მსოფლიოში უდიდესი პოლიტიკური მღელვარება გამოიწვია. დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები მოითხოვდნენ საბჭოთა ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანას ავღანეთიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციებით იმუქრებოდნენ. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა მსოფლიოს საზოგადოებრიობის მოთხოვნა, რის გამოც დასავლეთის სამყარომ რადიკალურად გაამძაფრა დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

ამ საერთაშორისო გართულებას დაემთხვა ისიც, რომ 70-იანი წლების დასასრულს უაღრესად გართულდა სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა პოლონეთში. ეკონომიკური კრიზისი გადაიზარდა ეკონომიკურ კოლაფსში. პოლონეთის ხელისუფლება იძულებული გახდა საბჭოთა კავშირის დახმარებით ქვეყანაში სამხედრო წესები გამოეცხადებინა. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები თავის გავლენას ახდენდა საქართველოში, საზოგადოებრივ აზრზე.

საბჭოთა აგრესიის ამ ესკალაციას დაუპირისპირდნენ დასავლეთის სამყაროს ძლიერი პოლიტიკური ლიდერები: რონალდ რეიგანი (აშშ), მარ-

გარეტ ტეტჩერი (დიდი ბრიტანეთი), ფრანსუა მიტერანი (საფრანგეთი), ჰელმუტ კოლი (გფრ) და სხვები, რომლებმაც მიზნად დაისახეს საბჭოთა აგრესიის ფარული თუ აშკარა ექსპანსიის არა მარტო შეჩერება, არამედ „ბოროტების იმპერიის“ (ასე უწოდა რონალდ რეიგანმა საბჭოთა კავშირს თავის ერთ-ერთ გამოსვლაში) სრული დასამარება.

რონალდ რეიგანის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ შეიმუშავა საბჭოთა იმპერიასთან ურთიერთობის ეფექტური პოლიტიკური კურსი, რომელსაც მიზანმიმართულად ახორციელებდა: ეს იყო მოწინააღმდეგის ეკონომიკური გამოფიტვის, გამალებული შეიარაღებით მოქანცვის, ეკონომიკური გაკოტრების კურსი. შედეგები მცირე დროში გახდა თვალსაჩინო.

სამხედრო მოქმედება ავღანეთში საბჭოთა კავშირს მართლაც კოლოსალური თანხები უჯდებოდა. ავღანელი მოჯაჰედები ამერიკული იარაღის გამოყენებით ჩინებულად ებრძოდნენ საბჭოთა ოკუპანტებს. ავღანეთში საქართველოდან იძულებით გაწვეული ათასობით ახალგაზრდა იბრძოდა. ომში დაღუპულთა თუთიის კუბოები საიდუმლო ვითარებაში მოჰქონდათ სამშობლოში და უჩუმრად ასაფლავებდნენ.

საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელისუფლება მოსკოვის ნებისმიერი ღონისძიების მხარდაჭერის და უკრიტიკოდ მიღების ტრადიციულ პოლიტიკას განაგრძობდა.

თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ასეთი „პოლიტიკით“ გამოწვეული პირდაპირი შედეგები: 80-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში ინტენსიური ხდება ინვესტიციები მნიშვნელოვან სამრეწველო პროგრამებში, დაიწყო რიგი უმნიშვნელოვანესი საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობის განახლება (ქუთაისის საწარმოები), იაპონური ტექნოლოგიების საფუძველზე ჭიათურის ფეროკომბინატის გადაიარაღება და ქალაქში ეკოლოგიური პრობლემების მოწესრიგება, თბილისის საწარმოების (საავიაციო, ელმავალმშენებელი და სხვ.) ტექნოლოგიური პროცესების შეცვლა, რაციონალიზაცია და მოდერნიზება.

ასეთ რთულ მორალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებაში 1983 წლის 18 ნოემბერს, თბილისში, ახალგაზრდების ჯგუფმა (გეგა კობახიძე, ძმები ივერიელები, სოსო წერეთელი, გია ტაბიძე და სხვ.) თვითმფრინავი გაიტაცა და დასავლეთ ევროპაში გადასვლას შეეცადა. გატაცების მცდელობა ტრაგიკულად დასრულდა — დაიღუპა ბორტგამცილებელი ქალი და ორი მფრინავი. გამტაცებლები დააპატიმრეს. ქართველი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის შუამდგომლობა შეწყალების შესახებ არ გაითვალისწინეს. ახალგაზრდები დახვრიტეს. მათთან ერთად დახვრიტეს სრულიად უდანაშაულო სასულიერო პირი — მამა თევდორე.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში გაჩნდა აზრი საქართველოს რუსეთთან შეერთების 180 წლისთავის აღნიშვნის შესახებ, მაგრამ მეცნიერ-ისტორიკოსთა მცდელობით, გადაწყდა ნაკლებად მტკივნეული, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის იუბილე აღენიშნათ. ამ გადაწყვეტილებამ გააღიზიანა ქართველი ინტელიგენცია. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც იმედოვნებდა, რომ ასეთი პრორუსული აქცია ახალ ინვესტიციებს, დამატებით შეღავათებსა და პრივილეგიებს მოუტანდა რესპუბლიკას, არ შეისმინა ინტელიგენციის სამართლიანი პროტესტი. პარტიულ ფუნქციონერებს ლოგიკურად უმტკიცებდნენ, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი არ არის ის თარიღი, რომელიც ზარ-ზეიმით უნდა აღნიშნოს ღირსეულმა ხალხმა. პარტიული ნომენკლატურა მაინც შეუვალი იყო. რა თქმა უნდა, მას ამ საქმეში მხარდამჭერიც ჰყავდა — ლოიალურად განწყობილი ინტელიგენცია: დაიბეჭდა არაერთი საიუბილეო პუბლიკაცია, კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ გადაიღო მრავალსერიიანი ისტორიული ფილმი „წიგნი ფიცისა“ (რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე), რომელშიც აისახა საქართველოს დრამატული ისტორია.

ქართველი მოქანდაკეები უამრავ პროექტზე მუშაობდნენ, რომლებსაც უნდა უკვდავეყო რუსი და ქართველი ხალხების „მეგობრობის“ ეს ისტორიული თარიღი.

ქართველ ინტელიგენციასთან ერთად ამ პომპეზური დღესასწაულის წინააღმდეგ ილაშქრებდა სტუდენტი ახალგაზრდობა, რომელიც პროტესტის უფრო რადიკალურ ფორმებს იყენებდა, — აწყობდნენ ქუჩის აქციებს. მილიციამ პატრიოტი ახალგაზრდები (გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, თამარ ჩხეიძე, ლუიზა შაკიაშვილი და სხვ) დააპატიმრა.

1982 წლის 7 ნოემბერს, საზეიმო აღლუმზე გაცივდა და მალე გარდაიცვალა ლეონიდ ბრეჟნევი. მსოფლიო იმედოვნებდა, რომ საბჭოთა კავშირში რადიკალურად შეიცვლებოდა ვითარება. მაგრამ სკკპ პოლიტბიუროს გერონტოკრატიას რადიკალური ცვლილები არ უნდოდა. სკკპ ცკ გენერალურ მდივნად და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს მოხუცებული იური ანდროპოვი, წლების განმავლობაში უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი. ახალი გენმდივანი რადიკალურად მემარცხენე შეხედულებების მატარებელი იყო, მიაჩნდა, რომ დისციპლინის განმტკიცება, უკანონობის აღმოფხვრა, წესრიგის დამყარება ყველგან და ყველაფერში დაეხმარებოდა ქვეყანას კრიზისული ვითარება დაეძლია. მაგრამ მან დასახული მიზნების რეალიზაცია ვერ მოახერხა.

ავადმყოფობამ იური ანდროპოვს ხელი შეუშალა თბილისში ჩამოსულიყო და მონაწილეობა მიეღო იმ გრანდიოზულ დღესასწაულში, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ მოაწყო გეორგიევსკის ტრაქტატის

საიუბილეოდ. ახალგახსნილ „უნიკალურ მოედანზე“ სამხედრო პარადი და სახალხო დემონსტრაცია გაჯერებული იყო პომპეზური სანახაობით, კოსტიუმირებული დადგმებით. ეს ყველაფერი კომუნისტური რეჟიმის ძნის ჩასვენებაზე უფრო მიუთითებდა, ვიდრე ქვეყნის ძლიერებაზე: ყველაფერი ხელოვნური და ყალბი იყო.

იური ანდროპოვი 1984 წელს გარდაიცვალა. საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი გახდა ნიკოლოზ ჩერნენკო, რომელიც 1985 წლის აპრილში გარდაიცვალა.

1985 წლის 23 აპრილს შედგა სკკპ ცკ პლენუმი, რომელზეც საბჭოთა კავშირის კპ ცკ გენერალურ მდივნად აირჩიეს მიხეილ გორბაჩოვი, ასაკით, შედარებით ახალგაზრდა, უცხოეთში გარკვეული ავტორიტეტის მქონე პოლიტიკური მოღვაწე. საბჭოთა საზოგადოება, პირველ რიგში ინტელიგენცია, მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. მდგომარეობა ქვეყანაში უმძიმესი იყო. ეკონომიკური კრიზისის ნიშნები აშკარად ჩანდა: დაცარიელდა მაღაზიების თაროები, ხელფასების დასაქონლება ველარ ხდებოდა, „ნავთობდოლარები“ აღარ კმაროდა პირველადი მოთხოვნილების საგნების, სურსათის საზღვარგარეთ შესაძენად. უზარმაზარი რიგები სურსათის მაღაზიებთან საბჭოთა ყოფის დამახასიათებელი ნიშანი გახდა. მდგომარეობიდან გამოსვლა რადიკალურ, მაგრამ კარგად მოფიქრებულ და პერსპექტივაზე გათვლილ ეფექტურ პოლიტიკას საჭიროებდა. ასეთი რადიკალური ღონისძიებების რეალიზაცია უკვე დაიწყეს კომუნისტურ ჩინეთში, რასაც პირველი თვალსაჩინო შედეგები მოჰქონდა.

სკკპ ცკ ახალმა ხელმძღვანელობამ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას შესთავაზა „გარდაქმნა“ — პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც მოკლე დროში რადიკალურად უნდა შეეცვალა საბჭოთა კავშირის იერსახე.

რადიკალური განახლება სწორედ ეკონომიკას სჭირდებოდა. პროპაგანდას უწევდნენ დევიზს: „ეკონომიკა ეკონომიკური უნდა იყოს!“, ფიქრობდნენ, რომ მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის ენთუზიაზმს გააცოცხლებდნენ, მაგრამ უამრავი დაპირებითა და ფუჭი სიტყვებით გაბეზრებული საბჭოთა მოქალაქე საოცარ ინერტულობას იჩენდა. ქვეყანაში უიმედობამ დაისადგურა. რუსეთში კატასტროფული ხასიათი მიიღო ლოთობამ.

1985 წლის ზაფხულში სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება ითვალისწინებდა ალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და გამოყენების შეზღუდვას, ქვეყანაში „ჯანსაღი ცხოვრების“ წესის დამკვიდრებას. საზოგადოებას შესთავაზეს უალკოჰოლო დღეობები, ქორწილები. დადგენილებამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მეღვინეობა-

მევენახეობას. შემცირდა ღვინის დაშზადების მოცულობა, ქართულ ყურ-ძენზე მოთხოვნილებამ იკლო. კახელი გლეხი იძულებული გახდა ვენახი აეჩეხა და საზამთრო დაეთესა.

მიხეილ გორბაჩოვი თავიდანვე ცდილობდა საერთაშორისო დაძაბულობის, გამალებული შეიარაღების შენელებას, რაც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემდა უზარმაზარი თანხები საშინაო პრობლემების მოსაგვარებლად გამოეყენებინა. კვლავ გრძელდებოდა ომი ავღანეთში, რომელიც უზარმაზარი თანხა უჯდებოდა ქვეყანას, გრძელდებოდა დახმარება კუბის, არაბული ქვეყნების პროსაბჭოთა რეჟიმებისადმი. ქვეყნის შერყეული ეკონომიკა ამდენ ხარჯს უკვე ვეღარ უძლებდა.

გორბაჩოვის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი ახალ პიროვნებას უნდა განეხორციელებინა. 1985 წლის ივნისის შუა რიცხვებში მიხეილ გორბაჩოვმა თავისი საგარეო პოლიტიკური კურსის რეალიზაცია ედუარდ შევარდნაძეს შესთავაზა. 2 ივლისს სკკპ ცკ პოლიტბიურომ ედუარდ შევარდნაძე პოლიტბიუროს წევრად აირჩია და რეკომენდაცია მისცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. ამ გადაწყვეტილებას საქართველოში კმაყოფილებით შეხვდნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ჯუმბერ პატიაშვილი.

ანტისაბჭოთა განწყობილებების ზრდა

მიხეილ გორბაჩოვის მმართველობის პირველ ხანებში იქმნებოდა განახლების ილუზია. მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში ცდილობდნენ ეკონომიკური ნოვაციების ამოქმედებას, ახალი ექსპერიმენტების რეალიზაციას, მაგრამ შესამჩნევი შედეგი არ ჩანდა. ეკონომიკა სტაგნაციიდან ვერ გამოვიდა.

არსებული წყობილების კრიტიკის თვალსაზრისით ყველაზე უფრო ეფექტური და შინაარსიანი გამოდგა პუბლიცისტიკა: იდეოლოგიური წნეხის შესუსტებამ საბჭოთა ჟურნალ-გაზეთები საინტერესო გახადა. განსაკუთრებით ბევრს წერდნენ იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას დანაშაულებების შესახებ. ბესტსელერად გადაიქცა ანატოლი რიბაკოვის „არბატის შვილები", რომელიც სტალინიზმის შავბნელ მხარეებს ეხებოდა. საყოველთაო აღიარება მოიპოვა ქართველი რეჟისორის, თენგიზ აბულაძის მხატვრულმა ფილმმა „მონანიება". მისი გადაღება საქართველოს კპ ცკ პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის თანხმობითა და ხელშეწყობით განხორციელდა. ფილმი კანის საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოთი აღინიშნა და მიხეილ გორბაჩოვის „გარდაქმნის" პოლიტიკური კურსის „სავიზიტო ბარათად" იქცა.

1986 წლის 26 აპრილს მოხდა კატასტროფა — აფეთქდა ჩერნობილის ატომური სადგურის მე-4 გენერატორი. რადიაცია ატმოსფეროში გაბნეულდა. ევროპაში განგაში ატეხეს. საბჭოთა მთავრობა კი დუმდა. საბჭოთა მთავრობამ დიდი დაგვიანებით შეატყობინა თავის მოსახლეობას მწარე სიმართლე. გორბაჩოვის „საჯაროობამ" გამოცდას ვერ გაუძლო. მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც გროვდებოდა მატერიალური სახსრები ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო ფონდისთვის, ასობით ქართველი მაშველი მონაწილეობდა ავარიის შედეგების ლიკვიდაციაში. ბევრი მათგანი დაავადდა კიდეც. რადიაციულმა ღრუბელმა საქართველოს ტერიტორიაზე შემოაღწია.

ჩერნობილის ავარია უდიდესი მორალური და მატერიალური დარტყმა იყო კომუნისტური რეჟიმისთვის: ის მისი აგონიის დასაწყისი გახდა.

1986 წლის ზაფხულში ჟურნალ „ნაშ სოვრემენნიკის" მეხუთე ნომერში დაიბეჭდა ცნობილი და საქართველოშიც პოპულარული მწერლის, ვიქტორ ასტაფიევის „ციმორების ჭერა საქართველოში" — დოკუმენტური „მოთხრობა", რომელიც სავსე იყო ტყუილ-მართლით საქართველოს შესახებ. ქართველი ადამიანებისთვის ღირსებაშემლახავი ტონით მწერალი უაპელაციოდ აკრიტიკებდა ქართველი კაცის ცხოვრების წესს. რუს მწერალს საქართველოში აღიზიანებდა ყველაფერი: ქართველის ცხოვრების მაღალი დონე, მისი მდიდრული სახლი, ავეჯი, მოვლილი ეზო-კარი, უხვი სუფრა. რა თქმა უნდა, ნაწარმოებში დაფიქსირებული იყო რიგი ნეგატიური მოვლენა და ფაქტი, რაც 80-იანი წლების საქართველოში მართლაც შეიმჩნეოდა და ჭეშმარიტი მამულიშვილების გულისწყრომას იწვევდა, მაგრამ რუსი მწერლის გამომწვევი „წკიპურტები" საქართველოს ინტელექტუალურმა საზოგადოებამ შეურაცხყოფად მიიღო. საქართველოში, ამ „ნაწარმოებით" გამოწვეული უარყოფითი რეაქცია დიდი იყო. ქართველი მწერლების პროტესტს მოსკოვში მწერალთა კავშირის პლენუმზე რუსი მწერლების (ვალენტინ რასპუტინის და სხვათა) კიდევ უფრო ცინიკური გამოსვლები მოჰყვა. ქართველმა მწერლებმა დემონსტრაციულად დატოვეს დარბაზი. შეგნებულად თუ შეუგნებლად, რუსმა მწერლებმა ჩინებული გზა მოძებნეს საბჭოთა კავშირის დაშლის ხელშესაწყობად — ეროვნებათა შორის ურთიერთობის გამწვავება. საქართველოში ანტისაბჭოთა ტენდენციები კიდევ უფრო გაძლიერდა.

ამ დროს კი მოსკოვში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. მიხეილ გორბაჩოვს სერიოზული მოწინააღმდეგე გამოუჩნდა ახალი ლიდერის, ბორის ელცინის სახით, რომელიც საჯაროდ აკრიტიკებდა მის პოლიტიკურ კურსს, უფრო რადიკალური რეფორმების განხორციელებას მოითხოვდა.

იმ წლებში შედარებით წარმატებული იყო სსრ კავშირის საგარეო პო-

ლიტიკური საქმიანობა. ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი, ედუარდ შევარდნაძე რადიკალურად განსხვავდებოდა ანდრეი გრომიკოსგან. ურთიერთობებში ღრმად ოფიციალურ, პედანტ, უკომპრომისო პოლიტიკოსი მოღვაწისგან. ედუარდ შევარდნაძის პიროვნული თვისებები საერთაშორისო მოლაპარაკებების ეფექტიანობას ხელს უწყობდა. თუმცა თანდათან საბჭოთა კავშირი თითქმის ყველა პარამეტრში თმობდა პოზიციას: იქნებოდა ეს ავღანეთის პრობლემა, მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპაში, პიროვნების უფლებების აღიარება და დაცვა, ებრაელების ისრაელში რეპატრიაციის თუ შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების საკითხები.

„ახალი აზროვნებიდან" გამომდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოშიც მოხდა. 1987 წელს 11 დეკემბერს, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებში, შეიქმნა არაფორმალური გაერთიანება „ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება". ეს იყო პირველი ლეგალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია საქართველოში. საზოგადოების შექმნის ინიციატორები იყვნენ გიორგი ჭანტურია, გურამ მამულია და სხვა პატრიოტები. ლიდერები გახდნენ: ზურაბ ჭავჭავაძე, თამარ ჩხეიძე, კ. კახაძე, ვ. ვაშაკიძე, მ. ქურდიანი და სხვები. საზოგადოებამ შექმნისთანავე ჩაატარა რამდენიმე ანტისაბჭოთა ღონისძიება: ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში, მოაწყო მასობრივი აქციები დავითგარეჯის უნიკალური სამონასტრო კომპლექსის გადასარჩენად და ა.შ.

ხელისუფლებამ მათ საპირისპიროდ შექმნა „შოთა რუსთაველის საზოგადოება" პოეტ ირაკლი აბაშიძის ხელმძღვანელობით, რომელიც ძირითადად ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ინტელიგენციით შეივსო.

საქართველოში შეიქმნა საზოგადოება „მემორიალი" (თენგიზ ბუაჩიძე), რომელიც იღვწოდა საბჭოთა წლებში რეპრესირებული მოქალაქეების პოლიტიკური რეაბილიტაციისთვის, მათი ოჯახების სოციალური დაცვის საკითხების მოსაგვარებლად.

აღდგა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (გია ჭანტურია, ირინა სარიშვილი, მამუკა გიორგაძე და სხვ.). დისიდენტმა ირაკლი წერეთელმა შექმნა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია. მასობრივად იქმნებოდა სხვადასხვა არაფორმალური ორგანიზაცია და პარტია.

ქართველმა ახალგაზრდებმა, არაფორმალურმა ორგანიზაციებმა და უპირველესად ინტელიგენციამ, ეროვნულ ფასეულობაზე ზრუნვა დაიწყეს: ისინი დაუპირისპირდნენ ტრანსკავკასიის მაგისტრალის მშენებლობის იდეას, ხუდონჰესის მშენებლობას — იმ მოსაზრებით, რომ ეს რადიკალურად შეცვლიდა ეკოლოგიურ ბალანსს რეგიონში და გამოიწვევდა ან გააძლიერებდა მეწყრულ პროცესებს. ახალგაზრდები აპროტესტებდნენ საზღ-

ვრისპირა რეგიონებში ქართული მიწების უკანონო განიავების ფაქტებს, აიძულებდნენ მთავრობას სერიოზულად ეზრუნა მეწყერით დაზარალებული აჭარელი და სვანი მოსახლეობის ქვემო ქართლში ჩასასახლებლად და ა.შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფორმალები წინ აღუდგნენ მოსკოვის არამართლზომიერ პოზიციას, რომელიც მისთვის მოულოდნელი „გარდაქმნის" მასშტაბებისა და შესაძლო შედეგებით შეშინებული, უკვე ცდილობდა შეენარჩუნებინა საბჭოთა სახელმწიფოს ერთიანობა. ხელისუფლებამ სცადა კონსტიტუციიდან ამოეღო ის პუნქტი, რაც რესპუბლიკას კავშირიდან თავისუფლად გასვლის შესაძლებლობას აძლევდა.

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის გამოქვეყნებისთანავე საქართველოში საპროტესტო მოძრაობა დაიწყო. საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო რადიკალური ხდებოდა. 1988 წლის 12 ნოემბერს არაფორმალების მიერ თბილისში მოეწყო არნახული საპროტესტო აქცია, რომელშიც 100 ათასი კაცი მონაწილეობდა. გადაიკეტა რუსთაველის, გურამიშვილის, ჭავჭავაძის ქუჩები. აქცია დასრულდა მიტინგით იპოდრომზე. მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმული იყო აუცილებელი მოთხოვნა: დემონსტრაციებისა და ქუჩაში მსვლელობების თავისუფლება, საკონსტიტუციო ცვლილებების დაუშვებლობა და ა.შ.

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება, არაფორმალების აქტივობით შეშინებული, დათმობებზე წავიდა და 19 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ ნაწილობრივ გაითვალისწინა არაფორმალთა კანონიერი მოთხოვნები. ახალგაზრდებს იმედი არა ჰქონდათ, რომ მოსკოვი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას გაითვალისწინებდა, ამიტომაც თბილისში საპროტესტო აქციები გაგრძელდა. აქციის დროს, 25 ნოემბერს მოქალაქე გაბრიელ ისაკაძემ მთავრობის სასახლის თავზე მოფრიალე წითელი დროშა ჩამოხსნა.

ნოემბრის აქცია გრანდიოზულობით გამოირჩეოდა. მისი ორგანიზატორები იყვნენ გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი და ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერები. მიტინგებზე, საპროტესტო აქციებში აქტიურად მონაწილეობდნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა. თანდათან იკვეთებოდა ზვიად გამსახურდიას, როგორც არაფორმალური მოძრაობის ლიდერის ავტორიტეტი. აშკარა იყო, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა მას წარსულის შეცდომა — სამარცხვინო მონანიება — აპატია. მთავრობის სასახლესთან მიტინგი არ იშლებოდა.

29 ნოემბერს მოსკოვიდან, მიხეილ გორბაჩოვის დავალებით, ედუარდ შევარდნაძემ დარეკა, რომელმაც აღუთქვა მომიტინგეებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება ყველა მათ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. მიტინგი შეწყდა. მაგრამ „დესოვეტიზაციის" პროცესი საქართველოში შეუნელებ-

ლად მიექანებოდა წინ, ოფიციალური ხელისუფლება სულ უფრო ნაკლებად აკონტროლებდა ვითარებას ქვეყანაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1989 წლის 9 აპრილი

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან ერთად, ავტონომიურ რეგიონებში გამოცოცხლდნენ სეპარატისტული ძალები, რომლებსაც რუსეთის რეაქცია ასაზრდოებდა. მათ ჩინებულად ისარგებლეს მოსკოვის მასმედიაში, რუსეთის ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში შექმნილი ანტიქართული განწყობით და დაიწყეს ქართველების დაუფარავი კრიტიკა, საბჭოთა ხელისუფლების ყველა ცოდვა და დანაშაული ქართველ ერსა და საქართველოს მიაწერეს.

ყველაზე შეურაცხმყოფელი სეპარატისტული განწყობილება გამოვლინდა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზეთის ნაციონალისტების თავყრილობაზე, სადაც 1989 წლის 18 მარტს 30 000 აფხაზი შეიკრიბა. აქ იყვნენ აფხაზეთის ასსრ აფხაზი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკებიც. რუსეთის რეაქციული ძალების მიერ წაქეზებულმა სეპარატისტებმა თავყრილობაზე მიიღეს ე.წ. „ლიხნის მიმართვა“, რომელშიც ისტორიული ფაქტების გაყალბებით არის მოცემული საქართველო-აფაზეთის ისტორიული ურთიერთობის რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხი. სეპარატისტები შეეცადნენ ეჩვენებინათ ქართველთა „ძალმომრეობის, ყოველმხრივი შეზღუდვის, ჩაგვრის, კულტურული ასიმილაციის მცდელობის, რეპრესიული პოლიტიკის გატარების“ პროცესი და ითხოვდნენ საკავშირო მთავრობის დახმარებას, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას და ა.შ. ეს წერილი დაეგზავნა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობას, დაიბეჭდა აფხაზურ პრესაში.

სეპარატისტების მიმართვის შესახებ თბილისში არაფორმალებმა და ინტელიგენციის წარმომადგენელებმა ძალიან მალე გაიგეს. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა კი დროს კარგავდა, აქტიურ მოქმედებაზე არ გადადიოდა.

25 მარტს თბილისში, ვაკის პარკში შედგა თბილისის საზოგადოებრიობის დიდი მიტინგი, რომელზეც განიხილეს აფხაზეთის სეპარატისტების ახალი გამოხდომა. მიტინგმა საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა მიმდინარე მოვლენის ობიექტურად გაშუქება და შეფასება, გადამწყვეტი ზომების მიღება სეპარატისტების უკანონო მოქმედებების აღსაკვეთად.

26 მარტს საქართველოს კპ ცკ ბიურომ განიხილა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები, მაგრამ სხდომაზე ვერ გაბედეს სეპარატისტთა ლიხნის აქციაში მონაწილე კომუნისტი ხელმძღვანელების პარტიული დასჯა, მხოლოდ სიტყვით დაგმეს აფხაზეთის სტატუსის შეცვლის უკანონო მცდელობა.

ქართული საზოგადოებრივი აზრი კი ღელავდა. ქართველმა ისტორიკოსებმა დასაბუთებული პასუხი გასცეს ლიხნის წერილს. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში ინტელიგენციის შეკრებებზე მიმდინარეობდა მსჯელობა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით. თვით აფხაზეთში „ლიხნის მიმართვა“ ადგილობრივმა ქართველობამ დაგმო. გალში 25 მარტს შედგა გრანდიოზული მიტინგი.

30 მარტს სოხუმში ჩავიდნენ საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები: ჯუმბერ პატიაშვილი, გ. ანჩაბაძე, ნ. ფოფხაძე, ბორის ნიკოლსკი, ოთარ ჩერქეზია. საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა პრობლემის მოწესრიგებას. ამ მიზნით თბილისში ჯუმბერ პატიაშვილი შეხვდა არაფორმალურ ლიდერებს: ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას და სთხოვა მათ, საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობისთვის პრობლემის მოგვარების შესაძლებლობა მიეცათ, არ გაემწვავებინათ დედაქალაქში პოლიტიკური სიტუაცია. მაგრამ, უკვე 4 აპრილიდან დაიწყო თბილისის ახალგაზრდებისა და სტუდენტების მიტინგების სერია: ისინი ჯერ სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ. თუ პირველ მიტინგზე არაფორმალები აქტიურობდნენ, უნივერსიტეტში საკითხის ყოველმხრივ განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: აკაკი ბაქრაძე, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ლევან ალექსიძე და სხვ. ქართველმა ინტელიგენციამ ხელისუფლებას კატეგორიულად მოთხოვა ყოველმხრივ მოეწესრიგებინა აფხაზეთის პრობლემა.

იმავე დღეს, 4 აპრილს, საღამოს 7 საათზე, უნივერსიტეტში შედგა სტიქიური მიტინგი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია აფხაზეთის ასსრ პრობლემასთან დაკავშირებით. რეზოლუცია მოითხოვდა ეროვნულ დაუმორჩილებლობას, საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას, ქვეყანაში ავტონომიური ფორმირებების გაუქმებას. ამრიგად, ქართველი ინტელიგენციის ზომიერ, აწონ-დაწონილ პოზიციას დაუპირისპირდა რადიკალური იდეოლოგია, ეგზალტირებულ მასაზე გათვლილი არარეალური პოლიტიკა.

მთავრობაზე ზემოქმედების მიზნით გადაწყდა მთავრობის სახლის წინ ხალხმრავალი მიტინგის მოწყობა. ეს იდეა ეკუთვნოდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“, რომლის ფაქტობრივი ლიდერი ზურაბ ჭავჭავაძე იყო. 4-5 აპრილს მიტინგის მსვლელობას სწორედ ეს არაფორმალური დაჯგუფება აკონტროლებდა.

6 აპრილს მიტინგზე ინიციატივა რადიკალების — ირაკლი წერეთლის და გია ჭანტურიას ხელში გადავიდა. აფხაზეთის პრობლემატიკა, რა თქმა უნდა, მიტინგის დღის წესრიგში დარჩა, მაგრამ ის დაჩრდილა მომიტინგე-

ების, განსაკუთრებით კი მიტინგის ახალი ხელმძღვანელების ულტრარადიკალურმა გამოსვლებმა და გამონათქვამებმა. მიტინგზე გამოჩნდა ლოზუნგები და ტრანსპარანტები, რომლებიც მოითხოვდნენ: „რუსეთის იმპერიის დაშლას“, „საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას“, „საქართველოს გამოსვლას საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან“, „საქართველოში გაეროს ჯარების შემოყვანას“ და ა.შ.

საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა შეეცადა საკითხის საკუთარი ძალებით მოწესრიგებას: 5 აპრილს სოხუმში ჩატარდა პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელსაც ჯუმბერ პატიაშვილიც ესწრებოდა. პლენუმზე საოლქო კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლეს ბორის ადლეიბა და მის ნაცვლად აირჩიეს ვლადიმერ ხიშბა, შედარებით პროქართული განწყობის პარტიული მუშაკი. სოხუმში გამოქვეყნდა აფხაზი და აფხაზეთში მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლების ერთობლივი წერილი, არსებული გაუგებრობის დაუყოვნებლივ მოწესრიგების მოთხოვნით.

მაგრამ თბილისში მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე კვლავ პოპულარული იყო რადიკალური მოთხოვნები.

მიტინგზე ზემოქმედება სცადა საქართველოს ოფიციალურმა ხელისუფლებამ. 6 აპრილს ტელევიზიით გამოვიდა და არაფორმალებს ვითარების მშვიდობიანი განმუხტვა შესთავაზა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ჩერქეზიამ, მაგრამ უშედეგოდ. 7 აპრილს ტელევიზიით ჯუმბერ პატიაშვილი გამოვიდა, მაგრამ მისი მიმართვაც წარუმატებელი ცდა გამოდგა.

იმჟამად საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლება ქვეყანაში არ იმყოფებოდა: სსრ კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, თანმხლებ პირებთან ერთად ინგლისში იმყოფებოდნენ. სკკპ ცკ მეორე მდივანი, ეგორ ლიგაჩოვი — მივლინებაში იყო. თბილისში შექმნილი ვითარების შესახებ მას 7 აპრილს შეატყობინეს და უთხრეს, რომ თბილისიდან მოდის ჯუმბერ პატიაშვილის ინფორმაცია, რომელშიც ხაზგასმულია: „მდგომარეობა ვითარდება უფრო მწვავედ... მიდის უწყვეტი მიტინგები, გაისმის კომუნისტებისათვის ანგარიშის გასწორების მუქარები, მოითხოვენ საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლას, მომზადებულია მიმართვა გაეროს ჯარების შემოყვანის თაობაზე“.

გვიან ღამით, სახელმწიფო დელეგაცია მოსკოვში ჩაფრინდა. „ვნუკოვო-2“-ის დარბაზში მიხეილ გორბაჩოვთან შეხვედრისთანავე თბილისის საკითხი განიხილეს.

მიხეილ გორბაჩოვს ამ შეხვედრაზე უთქვამს: თბილისში რა ხდება

„ჯერჯერობით არ არის ცნობილი, როგორც ჩანს, პატიაშვილს რადაც ჩავარდნა მოუვიდა“. ამ არაოფიციალური შეხვედრის დროს მიხეილ გორბაჩოვმა დაავალა ედუარდ შევარდნაძეს და ვალერი რაზუმოვსკის 8-აპრილს თბილისში გამგზავრება და მდგომარეობის მოწესრიგება. შევარდნაძე და რაზუმოვსკი თბილისში იმ დღეს არ ჩამოვიდნენ, რადგან საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა ამის აუცილებლობას არ გრძნობდა.

ვითარება კი თბილისში უმართავი გახდა. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებთან საპროტესტო მიტინგის მონაწილე არაფორმალურმა ორგანიზაციებმა პიკეტები მოაწყვეს, სტუდენტებს სწავლის შეწყვიტისკენ მოუწოდებდნენ. შეიქმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კომიტეტი, დაიწყეს ფულადი სახსრების შეგროვება, ააგეს ბარიკადები.

საპასუხოდ, 8 აპრილის დილას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა გაიმართა, შემდეგ, მოიწვიეს პარტიული აქტივის კრება, რომელსაც დაესწრო სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალი კოჩეტოვი.

8 აპრილს სცადეს მიტინგის მონაწილეებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოეხდინათ სამხედრო ძალის დემონსტრაციით, რასაც, ინიციატორთა აზრით, მიტინგის მონაწილეების შემცირება უნდა გამოეწვია. მაგრამ შედეგი საპირისპირო მიიღეს — მიტინგს ახალი მონაწილეები დაემატნენ. იმ დღეს განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო თბილისის ცენტრში. მიტინგზე მთელი ქალაქი გამოვიდა.

სამხედროებმა თბილისში შემოიყვანეს სპეციალური სადესანტო ნაწილები, რომლებიც სანაპიროზე იყვნენ განალაგებულნი. იდგნენ ტანკები.

შუაღამისას მიტინგზე იმყოფებოდა 8-10 ათასი კაცი, ძირითადად ქალები და მოზარდები. მგზნებარე მოწოდებებს ცვლიდა ცეკვა, სიმღერა, პატრიოტული ლექსების დეკლამირება. ამასობაში მიტინგის დაშლის ბრძანება უკვე გაცემული იყო.

9 აპრილს, დილით, 3 საათსა და 30 წუთზე მიტინგზე მივიდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, რომელმაც შეატყობინა მომიტინგეებს, რომ საფრთხე რეალურია, რომ მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მასთან ერთად წავიდნენ ქაშუეთის ეკლესიაში და ერთად ილოცონ საქართველოს გადასარჩენად. მაგრამ მომიტინგეები არ დაემორჩილნენ საქართველოს სულიერი მამის შეგონებას. ეს საბედისწერო შეცდომა იყო...

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა... სულ უფრო ძლიერდებოდა პროსპექტზე მომავალი ტანკების გრიალი. ამ დრამატულ ვითარებაში გაისმა ქალების მიერ ვაჟკაცურად შესრულებული პატრიოტული სიმღერა „დაუკარით..!“. ეს მიტინგზე მყოფი უსინათლო გოგონების ჯგუფი მღეროდა და

ტრაგიკული ვითარების ჰეროიკულ განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღშფოთებული მომიტინგეები ტანკებს წინ ჯოხებით აღუდგნენ. ფარებს ამოფარებული ჯარისკაცები, ალესილი სადესანტო ბარებითა და ხელკეტებით შეიარაღებულნი მიტინგის დაშლას შეუდგნენ. ვინც წინააღმდეგობას უწევდა — ბარებით ჩეხდნენ, მომიტინგეების წინააღმდეგ გამოიყენეს მომწამვლელი გაზი, რომელმაც ბევრი დააზიანა.

ქართველმა მილიციონერებმა შესაშური ვაჟკაცობა გამოიჩინეს, იცავდნენ თანამემამულეებს, ცდილობდნენ უსაფრთხოდ გაეყვანათ ისინი მიტინგის ადგილიდან. მიტინგის დაშლის დროს ადგილზე დაიღუპა 16 ადამიანი. შემდეგ მათ რიცხვს კიდევ რამდენიმე დაემატა.

თბილისში საგანგებო წესები და კომენდანტის საათი შემოიღეს. 9 აპრილს დღისით დაძაბულობა გრძელდებოდა მთელ თბილისში. ორშაბათს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა არ იყო, ბევრი საწარმო გაიფიცა — აღარ მუშაობდა. თბილისი დაღუპულებს გლოვობდა.

თბილისში ჩამოფრინდნენ ედუარდ შევარდნაძე და ვალერი რაზუმოვსკი. მათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ინტელიგენციასთან შეხვედრის დროს სცადეს ტრაგიკულ მოვლენაზე პასუხისმგებლობა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებისთვის დაეკისრებინათ. 14 აპრილს საქართველოს კპ ცკ პლენუმმა დააკმაყოფილა ჯუმბერ პატიაშვილის თხოვნა გადადგომის შესახებ.

პლენუმმა საქართველოს კპ ცკ პირველ მდივნად აირჩია გივი გუმბარიძე, რომელიც მანამდე საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობდა. თუმცა გუმბარიძემ ვეღარ შეძლო შეეჩერებინა საქართველოში კომუნისტური რეჟიმის აღსასრულის შეუნელებელი მოახლოება.

ტრაგედიის შემდეგ პირველსავე დღეებში რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს (მინისტრი ირაკლი მენაღარაშვილი) საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებს დასახმარებლად მიმართა ასეულობით ადამიანმა, მათ შორის მოწამლული იყო 66, ბასრი და ბლაგვი საგნებით მიყენებული მძიმე ჭრილობა ჰქონდა — 24 კაცს, თავის ტრავმებით იყო 67 კაცი.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა შეეცადა შეესუსტებინა ტრაგიკული მოვლენით გამოწვეული უარყოფითი რეზონანსი მსოფლიოში. „ტასს"-ის კომენტარები დეზინფორმაციული და არაფრისმთქმელი იყო. მაგრამ მსოფლიომ მაინც გაიგო ყველაფერი — როგორც საქართველოს საინფორმაციო წყაროების, ისე რუსეთის დემოკრატიული ორიენტაციის ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებების დამცველთა საშუალებით (ანდრეი სახაროვი, იური როსტი და სხვ.), ისე საკუთარი კორესპონდენტებისგან.

თბილისში მოვლენების გასარკვევად და თანაგრძნობის გამოსახატად ჩამოვიდა მიხეილ გორბაჩოვისადმი ოპოზიციურად განწყობილი ბორის ელცინი, აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი და სხვ. დაზარალებულთა დასახმარებლად ჩამოვიდნენ ექიმები საფრანგეთიდან, გერმანიიდან, აშშ-დან. მოგვიანებით თბილისში ჩამოვიდა ლეგენდარული დედა ტერეზა.

1989 წლის 25 მაისს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების ყრილობაზე საქართველოს დეპუტაციამ მოითხოვა თბილისის ტრაგიკულ მოვლენებზე პასუხისმგებლობის საკითხის ყრილობის დღის წესრიგში შეტანა. მათი მამხილებელი გამოსვლები ხელს უწყობდა ტრაგიკულ მოვლენებზე ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას, მაგრამ ყრილობის „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა" სათანადოდ არ რეაგირებდა ქართველი დეპუტაციის გამოსვლებზე.

ყრილობის დემოკრატიული ნაწილი (ანატოლი სობჩაკი, ანდრეი სახაროვი და სხვები) თანაუგრძნობდა ქართველებს. შეიქმნა დროებითი კომისია (ანატოლი სობჩაკი, ნურსულთან ნაზარბაევი, გიგა ლორთქიფანიძე, ლევან თოიძე და სხვ.), რომელმაც ობიექტურად შეისწავლა თბილისის ტრაგიკული მოვლენები და საზოგადოებას წარუდგინა ნათელი სურათი რუსების ვანდალური მოქმედების შესახებ.

9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობა საქართველოს უახლეს ისტორიაში უაღრესად დიდია: მან ცხადყო საბჭოთა პოლიტიკური სისტემის აგონია და საბოლოო კრახი, განაპირობა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის პროცესის მოახლოება. მაგრამ, ამასთანავე შეიქმნა მნიშვნელოვანი გარემოება — მან მეტად აშკარად და მეტად უხეში ფორმით დაუპირისპირა რუსეთის სახელმწიფო ქართველებს, რუსეთის ჯარი საქართველოს. საქართველო კავკასიაში მარტო დარჩა. ეს ჩინებულად გამოიყენა საქართველოს ყველა მტერმა და არაკეთილისმყოფელმა.

9 აპრილის შემდეგ საქართველოში კომუნისტური რეჟიმი ნომინალური გახდა. საქართველოში სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას იძენდნენ ულტრარადიკალები. ციხიდან გაათავისუფლეს ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გია ჭანტურია და სხვები.

9 აპრილის შემდეგ თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში ხშირად იმართებოდა არაფორმალთა მიტინგები, რომელზეც მიმდინარე პოლიტიკის მტკივნეულ საკითხებს იხილავდნენ.

9 აპრილის შემდეგ უფრო გააქტიურდნენ სეპარატისტები აფხაზეთსა და შიდა ქართლში („სამხრეთ ოსეთში"). აფხაზეთის სახალხო ფრონტი „აიდგილარა", სამხრეთ ოსეთის „ადამონ ნიხასი", ქვემო ქართლის სომეხი აზერბაიჯანელი მოსახლეობის ექსტრემისტული ნაწილი უკვე ნაციონალისტურ მოთხოვნებს აყენებდა.

განსხვავებული ეროვნების ადამიანების ასეთი რთული ურთიერთობის

ფონზე 1989 წლის ზაფხულში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა აფხაზეთში. აფხაზი (აფსუა) ნაციონალისტები ჩინებულად გრძნობდნენ, რომ რუსეთის რეაქციული მთავრობა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ნებისმიერ ძალას დაუჭერდა მხარს. 9 აპრილის შემდეგ აფხაზეთის უნივერსიტეტში ქართველი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის გაუსაძლისი ვითარება შეიქმნა. გამოსავალი მოიძებნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის შექმნით. ამ საბაბით, ანტიქართულმა ძალებმა მოაწყვეს პროვოკაცია. სოხუმის ქართველი მოსახლეობა, ინტელიგენცია აქტიურად ჩაება სეპარატისტების წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობაში, მათ გაფიცვა გამოაცხადეს.

აფხაზმა (აფსუა) ექსტრემისტებმა ისარგებლეს ცენტრალური ხელისუფლების წაყრუებით და მოაწყვეს სოხუმის რიგი ორგანიზაციის, მათ შორის სოხუმის I სკოლაში შეხიზნული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დარბევა. ვითარება უმართავი გახდა. 16 ივლისს სოხუმის შესასვლელთან, გუმისთის ხიდთან მოხდა შეტაკება აფხაზებსა და ქართველებს შორის. შეტაკება მოხდა სხვა ადგილებშიც. იყო მსხვერპლი. მღელვარება გრძელდებოდა გულრიფში, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში. საქართველოს ფაქტობრივმა მთავრობამ ამ ტრაგიკულ ვითარებაში სრული უსუსურობა გამოავლინა.

25-26 აგვისტოს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაუკითხავად, სოხუმში, არაფორმალური ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, კავკასიის ხალხთა I ყრილობა გაიმართა. მიიღეს დადგენილება კავკასიის მთიელ ხალხთა სათათბიროს შექმნის შესახებ, რომელიც პირობებს მოამზადებდა კავკასიის მთიელი ხალხის სახელმწიფოს შესაქმნელად. ამ „სახელმწიფოს" დედაქალაქად სოხუმი გამოცხადდა. ეს უკვე აშკარა პროვოკაცია იყო.

აფხაზეთში ვითარების გამძაფრებასთან ერთად ანტიქართული ძალები უზბეკეთშიც ამოქმედდნენ — ფერღანაში ცხოვრობდნენ საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული მესხეთელი თურქები, რომელიც ადგილობრივმა მოსახლეობამ პროვოკატორების წაქეზებით დაარბია და საცხოვრებელი ადგილებიდან აჰყარა. გაჩნდა მრავალათასიანი მოსახლეობის საქართველოში შემოსვლის საფრთხე, რის შესახებაც ქართველ საზოგადოებას სხვადასხვა, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული აზრი ჰქონდა.

კომუნისტური მმართველობის დასასრული საქართველოში

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზას უზენაესი საბჭოს არჩევნებში ხედავდა. არჩევნები 1990 წლის 25 მარტს დაინიშნა.

1989 წლის 13 ოქტომბერს საავტომობილო კატასტროფაში მოეკვნენ ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები: მერაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძე და ზურაბ ჭავჭავაძე. მერაბ კოსტავა მეორე დღეს გარდაიცვალა, ზურაბ ჭავჭავაძე უფრო მოგვიანებით, თამარ ჩხეიძე სერიოზულად დაშავდა.

არჩევნებისთვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა სეპარატისტული მოძრაობა შიდა ქართლის ოსი ეროვნების მოსახლეობაში. რუსი რეაქციონერებისგან წაქეზებული „ადამონ ნიხასის" ექსტრემისტი ხელმძღვანელები, აძლიერებდნენ ანტიქართულ აგიტაციას და მოითხოვდნენ ოლქის რესპუბლიკად გარდაქმნას. მათ მხარს აშკარად უჭერდა საკავშირო პრესა და ტელევიზია, რომელიც ოსებს „დაჩაგრულ მხარედ" აცხადებდა.

საქართველოში კარგად ხედავდნენ, რომ სასურველი თავისუფლება ახლოვდებოდა. ინტელიგენციის გონიერი ნაწილი ცდილობდა ამ პროცესებისთვის უფრო ცივილიზებული, ნაკლებად მტკივნეული და მშვიდობიანი ხასიათი მიეცა. მაგრამ ამ დროისთვის მათი ზეგავლენა საგრძნობლად შესუსტებული იყო. ვითარებას მთლიანად ულტრარადიკალები აკონტროლებდნენ.

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება აშკარად გრძნობდა, რომ ძალაუფლებას კარგავდა და ცდილობდა გარკვეული დათმობითი ნაბიჯები გადაედგა. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების დავალებით, ქართველი ისტორიკოსების ერთმა ჯგუფმა (ლევან თოიძე, უშანგი სიდამონიძე და სხვ.) შეისწავლეს და დაასაბუთეს რუსეთის მხრიდან 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის ფაქტი. ამის საფუძველზე 9 მარტს საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ", სადაც საბჭოთა რუსეთის არმიების შემოჭრა გამოცხადდა ინტერვენციად და ფაქტობრივ ანექსიად.

მაგრამ რადიკალურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების აღარ სჯეროდა. 1990 წლის 13-15 მარტს გაიმართა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება: 1. საქართველოს უნდა განსაზღვროდა ოკუპირებული ქვეყნის სტატუსი; 2. 1990 წლის 25 მარტის არჩევნებისათვის უნდა გამოეცხადებინათ ბოიკოტი; 3. პარტიულ საწყისებზე შეიქმნებოდა ეროვნული ფორუმი, 4. ყოველგვარ უცხო შეიარაღებულ ძალას უნდა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია და ა.შ.

ეროვნული ძალების კონსოლიდაცია ვერ მოხერხდა: ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების შერჩევის, პიროვნული მოსაზრებებისა და ამბიციებისა, სხვადასხვა, ჯერაც უცნობი მიზეზების გამო, აშკარა ხდებოდა უთანხმოება, რამაც საბოლოო განხეთქილება გამოიწვია.

აპრილის მიწურულს ფორუმი დატოვეს: საქართველოს ჰელსინკის კავშირმა, მონარქისტულმა პარტიამ, წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ, ზვიად გამსახურდიამ, ვაჟა ადამიამ და მათმა მომხრეებმა.

1990 წლის 7 მაისს ფორუმიდან განცალკევებულმა პოლიტიკურმა ძალებმა შექმნეს „მრგვალი მაგიდის" ორგანიზაცია. მათ გადაწყვიტეს მონაწილეობა მიეღოთ 28 ოქტომბერს დანიშნულ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, რითაც ძლიერ გააკვირვეს ყოფილი მეგობრები, რომლებიც საბჭოთა პოლიტიკურ სისტემას რუსული კოლონიალიზმის სიმბოლოდ თვლიდნენ.

განხეთქილება ეროვნული ძალებში, სერიოზულად აღელვებდა დიდ ქართველ მამულიშვილს, ფილოსოფოსსა და მოაზროვნეს მერაბ მამარდაშვილს. ის „ეროვნული ფორუმის" შემადგენლობაში დარჩა და უდიდეს ძალისხხმევას ახმარდა ეროვნული მოძრაობის კონსოლიდაციას, ცდილობდა პოლიტიკური ბრძოლის მშვიდობიანი, ცივილიზებული ფორმების დამკვიდრებას, მაგრამ მისი ზომიერება აღიზიანებდა ულტრარადიკალებს, რის გამოც მას ბევრი უსიამოვნება შეხვდა. მერაბ მამარდაშვილის მოულოდნელმა გარდაცვალებამ დაასუსტა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზომიერი ფრთის პოზიციები. ეროვნული მოძრაობისთვის დიდი დანაკლისი იყო ცნობილი და აღიარებული შემოქმედის, რევაზ თაბუკაშვილის უდროო გარდაცვალება.

რესპუბლიკაში შექმნილი კრიზისული ვითარების გამო, იმის შიშით, რომ მოახლოებულ არჩევნებში კომუნისტები სასტიკად დამარცხდებოდნენ, მთავრობამ არჩევნები 28 ოქტომბერს გადაიტანა

საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების ამ დემარშს ეროვნულმა მოძრაობამ ეროვნული ყრილობის მოწვევით უპასუხა. 23 მაისს ეროვნული ყრილობა საზეიმოდ გაიხსნა. მას 80 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი და 6020 დელეგატი ესწრებოდა. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „საქართველოს ეროვნული კონგრესის" შესახებ. მისი არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 30 სექტემბერს.

კონგრესის არჩევნები გაჭიანურდა. მასში, ოფიციალურ სტრუქტურებთან ერთად, არ მონაწილეობდა ორგანიზაცია „მრგვალი მაგიდა". სიძნელეების მიუხედავად „ეროვნული კონგრესი" მაინც აირჩიეს.

პარალელურად მიმდინარეობდა მზადება 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის. საარჩევნო სიაში შეიტანეს 3444002 ამომრჩეველი. არჩევნებში კენჭს იყრიდა 14 პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია: ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", საქართველოს კომუნისტური პარტია, ბლოკი „თავისუფლება", საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ბლოკი „თანხმობა", საქართველოს სახალხო პარტია და ა.შ.

28 ოქტომბრის არჩევნებში გაიმარჯვა პოლიტიკურმა გაერთიანებამ

„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. მან უზენაეს საბჭოში მიიღო 155 ადგილი, კომუნისტურმა პარტიამ — 64, სახალხო ფრონტმა — 12, რუსთაველის საზოგადოებამ — 1, „დემოკრატიულმა საქართველომ“ — 4, ბლოკმა „გათავისუფლება და დემოკრატიული აღორძინება“ — 1 ადგილი, უზენაეს საბჭოში 9 დამოუკიდებელი დეპუტატი გავიდა.

ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია 1990 წლის 14 ნოემბერს, თბილისში გაიხსნა. სესიამ მიიღო საქართველოს უზენაესი საბჭოს მიმართვები: „მსოფლიოს ხალხებს“, „სრულიად საქართველოს“, „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციას“. ამ მიმართვებში საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო მსოფლიო თანამეგობრობას, ქართველ ხალხს აუწყებდა, რომ საქართველომ „მოიპოვა შესაძლებლობა აერჩია ის გზა, რომელმაც იგი ევროპის ხალხების ოჯახში უნდა დააბრუნოს“.

სესიაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდია აირჩიეს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა გახდა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას სახელწოდება შეეცვალა და „საქართველოს რესპუბლიკა“ ეწოდა. აღდგა სახელმწიფო სიმბოლიკა — გერბი (შვიდქიმიანი ვარსკვლავი თეთრი გიორგის გამოსახულებით), დროშა — სამფეროვანი გახდა (ზედა ნაწილში თეთრი და შავი ზოლი შინდისფერ ფონზე) და ჰიმნი (კონსტანტინე ფოცხვერაშვილის „დიდება“).

საქართველოში დაემხო კომუნისტური ხელისუფლება.

დაიწყო ახალი ეტაპი ან დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიისა.

სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათქმა (მაყვალა ნათმელაძე) 5

თავი I (ალექსანდრე ბენდიანიშვილი)
ბაგრატიონი უფლისწულებისა და ქართველი ხალხის ბრძოლა მონარქიული სახელმწიფოს აღდგენისათვის XIX ს-ის პირველ მესამედში 9
ანტირუსული მოძრაობა 1802 წელს.
მაორგანიზებელი დასი. ძირითადი მიზანი 9
ქართლის მთიანეთის 1804 წლის ანტირუსული აჯანყება 15
რუსეთის აგრესიის გაფართოება დასავლეთ საქართველოს მიმართულებით.
იმერეთის მეფე სოლომონ II ქართული სახელწიფოებრიობის
შენარჩუნებისათვის ბრძოლის სათავეში 16
ანტირუსული აჯანყება კახეთში 1812 წელს.
ალექსანდრე ბაგრატიონი განმათავისუფლებელი ბრძოლის სათავეში.
დავით ბაგრატიონის ეროვნულ-პოლიტიკური პოზიცია 22
ანტირუსული აჯანყება იმერეთში 1819-1820 წლებში 30
ქართველ პატრიოტთა ფარული საზოგადოება.
ანტირუსული შეთქმულება და აჯანყების მცდელობა 1832 წელს 35

თავი II (ალექსანდრე ბენდიანიშვილი)
საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა XIX საუკუნის 30-50-იან წლებში. ცვლილებები რუსულ მმართველობაში 43
მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა და
წოდებათა ურთიერთობის ფორმები 43
თავადაზნაურობა 43
სამღვდელოება 45
გლეხობა 45
ადმინისტრაციული რეფორმა 46
რუსეთის საგარეო ომები და საქართველო 49
საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა.
კაპიტალიზმის განვითარების პირველი ეტაპი 52

თავი III (ალექსანდრე ბენდიანიშვილი)
ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის კრიზისი. ბურჟუაზიული რეფორმების გატარება საქართველოში 55
სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავება.
გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა 55
სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წლების აჯანყება 56
იმერეთის, გურიის, აფხაზეთის და სხვა რეგიონების გლეხთა აჯანყებები 57
ეროვნული მოძრაობა. მისი ხასიათი 59
საადგილმამულო რეფორმა 61
სასამართლო და საქალაქო რეფორმები 64

თავი IV (ალექსანდრე ბენდიანიშვილი)
ეკონომიკურ-სოციალური ვითარება და განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში 70
აგრარულ-სამეურნეო ურთიერთობანი და გლეხთა მოძრაობა 70
მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესი. მესაკუთრე გლეხთა ფენის ჩამოყალიბება 75

თავი V (ალექსანდრე ბენდიანიშვილი)
საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა XIX საუკუნის 70-90-იან წლებში 77
რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და საქართველო 77
თერგდალეულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოებისათვის 79
„საქართველოს თავისუფლების ლიგა“ 85
საქართველოს მუნიციპალიტეტები 80-90-იან წლებში 87

თავი VI (ალექსანდრე ბენდიანიშვილი)
კაპიტალისტური წარმოება. ვაჭრობის და კრედიტის ფორმები 91
კაპიტალისტური ურთიერთობის გაფართოება საქართველოს სოფლებში 91
მრეწველობის განვითარების დონე საქართველოში 95
ვაჭრობა და კრედიტის ფორმები 98
კაპიტალისტური საზოგადოების კლასების ჩამოყალიბება 99

თავი VII (ალექსანდრე ბენდიანიშვილი)
განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისი. პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება (XIX-XX საუკუნეების მიჯნა) 102
აგრარული მოძრაობა. მუშათა პირველი გაფიცვები 102
„მესამე დასი“. ქართული სოციალ-დემოკრატიის დაბადება 104
სოციალისტ-ფედერალისტური მიმართულების ეროვნული პარტიის ჩამოყალიბება 106
რევოლუციური მოძრაობა 1901-1904 წლებში 110

თავი VIII (ალექსანდრე ბენდიანიშვილი)
1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში 113
რევოლუციური ბრძოლის ფორმები 1905 წლის პირველ ნახევარში 114
რევოლუციის გაღრმავება-გაფართოება.
17 ოქტომბრის კომპრომისული მანიფესტი.
საერთო დემოკრატია და კონკრეტული ეროვნული საკითხი 117
საერთო დემოკრატიის გათიშვა და მარცხი.
დამარცხებული რევოლუციის სამომავლო მნიშვნელობა 126

თავი IX (ალექსანდრე ბენდიანიშვილი)
საქართველო 1907-1913 წლებში 135
რეპრესიები დამარცხებული რევოლუციის ავანგარდული ძალების წინააღმდეგ 135
აგრარული საკითხი — აზრთა ბრძოლა
კანონპროექტის შინაარსთან დაკავშირებით 137
ეკონომიკურ-სოციალური ვითარება.
კაპიტალიზმის განვითარების დონე 142

საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის პრობლემა.
პოლიტიკური პარტიების პოზიცია. 148

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი X (ალექსანდრე ბენდიანიშვილი)
**საქართველო პირველი მსოფლიო ომისა და
რუსეთის მეორე რევოლუციის პერიოდში** 158
ორი სამხედრო ბლოკის ომი და საქართველოს
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების პოზიცია.
ეროვნული მოძრაობის რადიკალიზაცია 158
ეკონომიკის დაცემა. ხალხის ცხოვრების დონის დაქვეითება
და სოციალური მოძრაობის ახალი აღმავლობა 163
1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია და
პოლიტიკური ვითარება საქართველოში 165
ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.
ინტერპარტიული საბჭოს საქმიანობა 170
საქართველო ამიერკავკასიის მომენტალური სახელმწიფოს შემადგენლობაში
(1917 წლის ნოემბერი – 1918 წლის მაისი) 174

თავი XI (ალექსანდრე ბენდიანიშვილი)
ბურჟუაზიული საქართველოს კულტურა 183
ახალი ყოფა და ახალი კულტურა 183
მოსახლეობის მატერიალური ყოფა. სამეურნეო კულტურა 184
ხალხის სულიერი ყოფა 188
განათლება და მეცნიერება 190
ხელოვნება 203
კულტურული ურთიერთობა კავკასიისა და მსოფლიოს სხვა ხალხებთან 207

თავი XII (ალექსანდრე ბენდიანიშვილი)
საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წლები) 211
საქართველოს პარლამენტისა და დროებითი მთავრობის საქმიანობა
(1918 წლის მაისი — 1919 წლის თებერვალი) 212
საქართველოს დამფუძნებელი კრება და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა.
მრავალპარტიული დემოკრატია და ეროვნული
სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი 230
ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. სოციალური საკითხი.
კრიზისული სიტუაციის დაძლევის პროგრამა 242
საგარეო ორიენტაციის პრობლემა.
საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დე ფაქტო და დე იურე აღიარება.
ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია 253

თავი XIII
**საბჭოთა პოლიტიკური სისტემის
ჩამოყალიბება საქართველოში** 269
საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა
და პოლიტიკური ძალების დამოკიდებულება
საქართველოს ოკუპაციისადმი (ალექსანდრე დაუშვილი) 269
საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურები (მაყვალა ნათმელაძე) 271
ეკონომიკის გარდაქმნა ნაციონალიზაციის საფუძველზე (მაყვალა ნათმელაძე) 274

ეროვნული საკითხი საქართველოში (ალექსანდრე დაუშვილი) 280
1924 წლის აჯანყება საქართველოში.
ქართული პოლიტიკური ემიგრაცია (მაყვალა ნათმელაძე) 286
მრეწველობის ინდუსტრიალიზაცია და
სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია (მაყვალა ნათმელაძე) 294
დემოგრაფიული სიტუაცია (მაყვალა ნათმელაძე) 306

თავი XIV
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება
20-იანი წლების დასასრულს 315
შიდაპარტიული დაპირისპირებები
კომუნისტურ პარტიაში (ალექსანდრე დაუშვილი) 315
ეროვნული საკითხი 20-იანი წლების დასასრულს (ალექსანდრე დაუშვილი) 325
საქართველოს ტერიტორიული ცვლილებები
20-იან წლებში (მაყვალა ნათმელაძე) 332

თავი XV (ალექსანდრე დაუშვილი)
საქართველო 30-იან წლებში 337
პოლიტიკური ვითარება საქართველოში 30-იანი წლების დასაწყისში 337
სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია 339
ეროვნებათაშორისი ურთიერთობა 30-იან წლებში 345
მასობრივი რეპრესიები საქართველოში 30-იანი წლების მეორე ნახევარში 350
საქართველოს მეცნიერება და კულტურა 20-30-იან წლებში 355
მეცნიერება 357
ქართული ლიტერატურა და მწერლობა 359
ქართული თეატრი 361
ქართული კინოხელოვნება 362
ქართული პროფესიული მუსიკა 362
სახვითი ხელოვნება 363
არქიტექტურა 363
ფიზკულტურა და სპორტი 364

თავი XVI (მაყვალა ნათმელაძე)
საქართველო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ.) 365
პოლიტიკური ვითარება მსოფლიოში. საქართველოს მონაწილეობა
1939-1940 წლების საბჭოთა კავშირის სამხედრო აქციებში 365
გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე და საქართველო 368
სახალხო მეურნეობის გარდაქმნა საომარ ყაიდაზე.
საქართველოში ევაკუირებული წარმოება-დაწესებულებანი და მოსახლეობა 374
ქართული ეროვნული დივიზიების შექმნა.
საქართველოდან წარგზავნილები მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე 384
ქართველები გერმანიის არმიაში 405
ანტისაბჭოთა ჯგუფები 410
მოსახლეობის კომპაქტური ჯგუფების
დეპორტაცია საზღვრისპირა რაიონებიდან 412
კულტურა ომის წლებში 418
ქართული ლიტერატურა 423

სახვითი ხელოვნება 427
ქართული კინო 427
საეკლესიო ცხოვრება ომის პერიოდში 428

თავი XVII (მაყვალა ნათმელაძე)
საქართველო ომის შემდგომი აღდგენისა და განვითარების ხანაში (1945-1960 წწ.) 431
ზოგადპოლიტიკური მდგომარეობა მსოფლიოში, საბჭოთა კავშირსა და საქართველოში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 431
რეპრესიების ახალი ტალღა. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია 437
ინდუსტრიული განვითარება 444
ცვლილებები სოფლის მეურნეობაში 448
კულტურა 451
მეცნიერება 452

თავი XVIII (ალექსანდრე დაუშვილი)
სოციალიზმის კრიზისი საქართველოში 464
60-იანი წლების ეკონომიკური რეფორმები 464
სოციალური ინფრასტრუქტურა. მიგრაციული პროცესები 468
სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გაძლიერება 472
კულტურა 477
განათლება 477
ქართული მეცნიერება 478
ლიტერატურა 479
კინემატოგრაფი 481
ქართული თეატრი 481
ქართული პროფესიული მუსიკა და ქორეოგრაფია 482
სახვითი ხელოვნება 483
ქართული სპორტი 484

თავი XIX (ალექსანდრე დაუშვილი)
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 485
ეროვნული ცნობიერების განვითარება და გაძლიერება 485
ეკონომიკური მდგომარეობა, „გარდაქმნის“ კურსი, სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის რეანიმაციის ცდა 489
ანტისაბჭოთა განწყობილებების ზრდა 493
1989 წლის 9 აპრილი 497
კომუნისტური მმართველობის დასასრული საქართველოში 503

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორია

ოთხ ტომად

ტომი პირველი

საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე

ტომი მეორე

საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე

ტომი მესამე

საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე

ტომი მეოთხე

საქართველო XIX-XX საუკუნეებში

33.625
ეროვნული
ბიბლიოთეკა